[illegible]

1901 ช. ฝ 1. [illegible]

რედაქციისაგან

სურათები ამ ნომერში ისე ვერ დაიბეჭდა, როგორც გვინდოდა, რადგანაც დაგვიგვიანდა კლიშეების მიღება პეტერბულიდამ. შემდეგს ნომერში კი ყოველი სურათი თავთავისს ადგილას იქნება დაბეჭდილი.

შენიშვნა. 73 გვერდზე შენიშვნის მეექვსე სტრიქონზე დაბეჭდილია „ფარნაოზის მამა სამარა", უნდა იყოს „ფარნაოზის მამა და ბიძა სამარა".

ჟურნალს **„მოგზაურს"** აქვს მიზნად: ადგილობრივ ასწეროს და დაასურათოს ჩვენის ქვეყნის ყოველი შესანიშნავი ადგილი, ნაშთი, საგანი, პირი, ცხოვრება და გააცნოს იგი ჩვენს ხალხსა და უცხო ერთა. ჟურნალში დაიბეჭდება: მეთაური წერილები, მოგზაურობანი, აღწერილობანი, მოთხრობები, პოემები, ლეგენდები, ზღაპრები, ბიბლიოგრაფიული წერილები და სხვა ყოველ-გვარი სტატიები ისტორიულ-არქეოლოგიურისა და გეოგრაფიულ ეტნოგრაფიულის შინაარსისა.

ავტორთა საყურადღებოდ.

რედაქცია **„მოგზაურისა"** სთხოვს ქართულის ისტორია-არქეოლოგიისა და გეოგრაფია-ეტნოგრაფიის მოყვარეთ, უგზავნონ რედაქციას საზოგადო შინაარსის სტატიები საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, გეოგრაფიის და ეტნოგრაფიის შესახებ. სტატიები დაწერილი უნდა იყოს ადვილ გასაგების ენით და ყოველის კითხვის შესახებ ცალკე. საგნად შეიძლება აღებულ იქმნას სურვილისამებრ: უძველესნი ცნობანი საქართველოსა და მის მკვიდრთა შესახებ. ქვისა და ბრინჯაო-რკინის საუკუნოები. უმთავრესი ხანები საქართველოს ისტორიისა და მათი დახასიათება მოკლედ. ცალკ-ცალკე სტატიები ამ ხანათა შესახებ. საქართველოს ბუნების გავ-

ლენა ქართველ ხალხის ყოფა-ცხოვრებაზე და თვით ხალხისა ბუნებაზე. ოჯახი, მონობა და ბატონ-ყმობა საქართველოში. რას წარმოადგენდა საქართველო ერთ-სამეფოს დაარსებამდე? ქართველების რჯული ქრისტიანობის მიღებამდე, ღმერთნი და ტაძრები იმ დროისა. ერთ-სამეფოს დაარსება საქართველოში და მოკლე განხილვა და დახასიათება საქართველოს ყველა სამეფო გვარისა. ცალკ-ცალკე სტატიები ამ სამეფო გვართა შესახებ. ცალ-ცალკე სტატიები არაბთა, მონგოლთა, სპარსთა, თურქთა, ლეკთა და სხვა ხალხებთან დამოკიდებულების შესახებ საქართველოსი და ამისი ნიშნები და ნაშთნი ჩვენს ქვეყანაში და ბრძოლა ქართველის ხალხისა და მეფეებისა მათ წინააღმდეგ. რამ შეუწყო ხელი საქართველოს დანაწილებას რამდენსამე სამეფოდ და სამთავროდ და, რომ დანაწილდნენ, რას უნდა ცდილიყვნენ? მნიშვნელობა და დახასიათება საქართველოს ისტორიის შესანიშნავ პირთა და ამბავთა. უმაღლესი გამგეობა, ხელის-უფალნი, წოდებანი, მწერლობა, ენა, სწავლა-განათლება, სამართალი, სასჯელნი, აღებ-მიცემობა, მეურნეობა, მრეწველობა, სოფელი, ქალაქი, ხუროთ-მოძღვრება, ფულები თავისი წარწერებით, ჭამა-სმა, ჩაცმა-დახურვა, ჯარი, ისტორია ჩვენის ცივილიზაციისა, ეკონომიურ მდგომარეობის სხვა და სხვა დრო და სხვ.

თვით ავტორებმა უკეთ იციან, რომელი კითხვა და საგანი ჩვენის ისტორიისა უფროა საჭირო გასარკვევად და მათზედ სწორის ცნობის გასავრცელებლად ჩვენს ხალხში.

რედაქცია აგრეთვე სთხოვს ავტორებს მოაწოდონ ისტორიული მოთხრობები, პოემები, ლექსები, მოგონებანი (ცხოვრებისა, სწავლა-აღზრდისა, შესანიშნავ პირთა შესახებ და სხვ.), რომლებიც მოკლედ და გარკვევით ახასიათებდნენ საქართველოს შესანიშნავ ისტორიულს პირებს და ამბებს.

შესანიშნავ ნაშთთა აღწერას თან სურათებიც რომ ჰქონდეს, უკეთესი აღარ იქნება.

საახალწლოდ

ჟურნალს

„მ ო გ ზ ა უ რ ს“

ვარს გაგიღებთ, მოგზაურო,
კარგად გათევინებთ ღამეს,
სხვა პატივსაც ბევრს მოგაგებთ,
თუ მოგვითხრობთ ახალს რამეს.
ვალიც გვაძევს პატივი ვცეთ
თქვენისთანა მოგზაურსა,
სიმართლითა თუ გადმოგვცემთ
ყველა ნახულს, გაგონილსა.
მასალასა ბევრს იშოვნით,
მარტო ძართლსაც რომ იმგზავროთ,
ოღონდ სიმხნე, ტრფიალება
გქონდესთ და არ დაიზაროთ.
ბაუმარჯოს მოგზაურსა
და მასთან იმ მოგზაურებს,
ვინც სამშობლოს ნათელისთვის
არაფერსა დაიშურებს...

ვარდ. ჟიფიანი.

დიდება შენის ქვეყნისა, იგივ შენი
დიდებაა. . . .

აურიცხველნი „საქმენი საგმირონი“ მოუღვაწნია ჩვენთა წინაპართა. ვამბობთ ამას არა ხოტბობით. ტრაბახობა

კარგი არ არის, განსაკუთრებით სამშობლოს ღირსებათა შესახებ, რადგანაც ამით თუ არ დავამცირებთ, არც იმდენად განვადიდებთ მას. ჩვენს ღირსებაზე და მნიშვნელობაზე ლაპარაკი, როგორც ერზე, უნდა სხვებს დავუთმოთ, მაგრამ რას ვიზამთ, როდესაც სხვებს ჩვენთვის იმდენად არა სცალიანთ და, თუნდაც რომ სცალოდეთ, არც იმდენად მცოდნენი არიან ჩვენის წარსულისა და ენისა, რომ პირუთვნელად შეეძლოთ სჯა-ბაასი. უცხო მწერლებს ეპატიებათ კიდეც ყოველი ეს, მაგრამ არ გვეპატივება თვით ჩვენა, რომ ხელს არ ვანძრევთ ჩვენის წარსულისა და აწმყოთა წვლილთა კვლევა-ძიებისა, შესწავლისა და დასურათებისათვის...

ბევრი საშინელი წამი უნახავს ჩვენს ხალხსა და ერსა. სუსტი ადამიანი, სუსტი ხალხი მაშინვე შეჰრიგებია მტერსა და დაუთმია მისთვის თავისი ალაგი. ასე არ იქცეოდა ქართველი: იგი გმირულად უმკლავდებოდა მტერს და ხშირად სძლევდა კიდეცა მას. მაგალითებისათვის შორს ნუ წავალთ: გავიხსენოთ მურვან-ყრუ, ტამერლანი და სხვანი მათნი მსგავსნი. გაიხსენეთ შესანიშნავი ღვაწლნი ჩვენთა გამოჩენილ მამულის შვილთა, მათი საარაკო გამბედაობა, თავ-დადება, მოთმინება, ქედ-მოუხრელობა, პატიოსნება და გვიბრძანეთ: საჭირო და ღირსი არის თუ არა, რომ ყოველი ეს გამოკვლეულ და განცხადებულ იქმნას მათ სადიდებლად და ჩვენთა, მათ შთამომავალთა, კვლავ გმირებად აღსაზრდელად... დიახ რომ საჭირო და ღირსია და აი „მოგზაურიც“ ეცდება ნათელი მოჰფინოს ჩვენის წარსულის ყოველთა წვლილთა და გააცნოს იგი ხალხსა. დედა აზრი ჩვენის ჟურნალისა ის არის, რომ რამდენათაც შესაძლებელი იქნება, ადგილობრივ აღწეროს და დაასურათოს ჩვენის ქვეყნის შესანიშნავი ნაშთები, რათა შესრულებულ იქმნას უმთავრესი მოთხოვნილება მეცნიერთა: „რომ ერთი სტრიქონი დასკვნა სთქვა, საჭიროა ათი და ოცი ტომები მასალათა“.

მაგრამ, რადგანაც წარსულის შესწავლა მხოლოდ და

ფუძე ქართლისა—ციხე ქართლოსისა (გვ. 12).

მხოლოდ მაშინ არის ნაყოფიერი, როცა იგი დაკავშირებულია აწმყოსთან, როცა გესმის და ჰხედავ, რომ ავად თუ კარგად შენც განაგრძობ წინაპართა წმიდა ღაღადებათა და ღვაწლთა, ამიტომ ჩვენის ჟურნალის მიზანი ისიც იქნება, რომ წარსულის გაცნობასთან ერთად, არც აწინდელი ყოფანი დასტოვოს უყურადღებოდ. ეს იყო მიზეზი, რომ ჩვენ არ დავკმაყოფილდით პროგრამის საისტორიო-საარქეოლოგო ნაწილითა და საგეოგრაფიო-საეტნოგრაფო ნაწილიც შევიტანეთ მასში...

მართალია ბევრს წინააღმდეგ ფაქტებსაც წარმოგვიდგენს ჩვენი წარსული და აწინდელი ცხოვრება, ბევრს მაგალითებს ვხედავთ მათში ძმისას და ქვეყნის ღალატისას, საკუთარის ხელით ყელის გამოჭრისას, სულ უბრალო საქმის გაუგებრობასა, თითქმის ველურობასა, მაგრამ არც ამათი შესწავლაა ურიგო და უმნიშვნელო: იგინი გვამცნევენ ჩვენს ნაკლსა და მანკსა, გვძენენ სიბრძნესა და გამოცდილებას, განავითარებენ ჩვენს მოქალაქურს ხასიათსა და მოქმედების უნარსა...

დაგეთანხმებით, რომ უცხოეთში, ევროპაში, ცხოვრება უფრო განათლებული, წესიერი და წარმატებულია, მაგრამ იგი ჩვენ მაინც ვერ გაგვათბობს, ვერ დაგვიხსნის წაწყმედისაგან, თუ ჩვენისაც არაფერი გაგვეგება, არაფერი გვეცოდინება, თუ ჩვენ ჩვენისადმი სიყვარული არ გვიღვივის გულში, თუ არ ვეცდებით სამშობლოსადმი წმიდა სიყვარულის, სამშობლოს საკეთილ-დღეოდ მარად და ყოველთვის უანგაროდ მოქმედების და თავ-დადების დანერგვასა... ეს კი შეიძლება მხოლოდ გამუდმებულის ზრუნვით და ჩიჩინით, გამუდმებულის და შეუყენებელის სწავლით მშობლიურისა ყოველთა წვლილთა, რაიცა მარად ცენტრი უნდა იყოს ყოველის სწავლისა....

დანიშნულება ყოველის ჭეშმარიტის სწავლისა იმაშია, რომ ზედ-მიწევნით გვასწავლოს შემეცნება და გაგება ჩვენს გარშემო მყოფ ბუნებისა და ცხოვრებისა, ხოლო შემეცნება

და გაგება ბუნებისა და ცხოვრებისა ის არის, რომ ვიცოდეთ შეგნებით მიღება და შეთვისება იმ შთაბეჭდილებათა, რომლებსაც ახდენენ ჩვენზედ ესენი, ე. ი. ვხედავდეთ და გვესმოდეს ყოველი ავი და კარგი ჩვენს გარშემო მყოფ ბუნებისა და ცხოვრებისა. ესე გაგება და შემეცნება ბუნებისა და ცხოვრებისა კიდევ იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ისე ახლო ვუდგეთ მათ, რომ ძალაუნებურად ვგრძნობდეთ ჩვენს თავს მათს განუყოფელს ერთთაგანს... ეს კი შეიძლება მხოლოდ ერთის გზით: გამუდმებულის დაკვირვებით და შესწავლით ჩვენს გარშემო მყოფ ბუნებისა და ცხოვრებისა; ხოლო ეს ისეთი სწავლაა, რომელიც მარად გამოსადეგია არა მარტო ჭკვისა და გონებისათვის, არამედ სულისა და გულისათვისაც...

ამით ჩვენ იმას არ ვამბობთ, რომ უცხო განათლებულ ერთა ცხოვრებას და სწავლა-მეცნიერებას ნუ მივსდევთო, არა .. მაგრამ ჩვენს დღევანდელს ყოფაში, ყოველი კაპეიკი ჩვენის ღარიბულის შეძლებისა და ყოველი წამი ჩვენის სიცოცხლისა დიდის სიფრთხილით და გამოზოგვით უნდა იქმნას მოხმარებული ბეჭდვითს სიტყვაზე და არც ერთი ფურცელი, არც ერთი სტრიქონი, ვიტყვით მეტსა, არც ერთი სიტყვა უქმად არ უნდა იყოს მასში ნახმარი. გავიხსენოთ რუსეთის დიდებულის მოღვაწე-მეფის, პეტრე დიდის, საგულისხმო სიტყვები:

> „Вы святитесь, ну такъ будьте же святы, а не носите только важность святости! Вы считаете себя первыми, такъ будьте же въ самомъ дѣлѣ первыми“... *)

დროა ჩვენც საქმით ვემსახუროთ ჩვენს ქვეყანას. გვახ-

*) „თქვენ სთვლით თქვენს თავსა წმინდანებად: მაშ იყავით წმინდანნი და მხოლოდ მოსაჩვენებლად კი ნუ ატარებთ მნიშვნელობას სიწმიდისას! თქვენ სთვლით თქვენს თავსა პირველებად: მაშ იყავით ნამდვილად პირველებიო“...

ჯაჭვის წმ. ჯვარი (გვ. 25).

სოვდეს: ძილი და მკონარება — უკანსვლაა, სიმხნე — წინსვლა...

Დახასიათება რომლისამე ისტორიულის პირისა ანუ ამბისა, სრულის სიმართლით და შარავანდედით, ჩვენ მიგვაჩნია უკეთეს საშუალებად საზოგადოებისა და ხალხის კეთილ-შობილურის აზრებით, მისწრაფებებით და ხასიათებით გასამჭვალებლად და აღსაზრდელად. **ღვაწლთ** და მოქმედებათ **ფარნავაზისას**, **მირიანისას**, **ვახტანგ ბორგასლანისას**, **ბიორგებისას**, **ბაგრატებისას**, **დავით** აღმაშენებელისას, **თამარისას**, **ათონის** წმ. **მამათას**, **რუსთველისას** და სხვათა მათ მსგავსთა, გამოთქმულთა ისტორიულს წერილებსა თუ პოემებსა და მოთხრობებში, უფრო დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვთ,

ვიდრე უკეთესად დაწერილს ჩვეულებრივს რომანებსა. ეს იმიტომა, რომ რომანი მოქმედებს მხოლოდ ზოგიერთებზე, ისტორიული ღვაწლი კი თითქმის ყველაზედ, დიდსა და პატარაზედ.ღარიბსა და მდიდარზედ. ასეთია დიადი მნიშვნელობა პირუთვნელის ისტორიულის ბეჭდვითის სიტყვისა...

სარგებლობა და მნიშვნელობა ისტორიისა.
(ნ. კარამზინისა).

რუსეთის ცნობილი ისტორიკოსი ქარამზინი ასე განმარტავს სარგებლობასა და მნიშვნელობას ისტორიისას:

„ისტორია არის საღმთო წიგნი ერთა: უმთავრესი, უსაჭიროესი; სარკე მათის ყოფისა და მოქმედებისა; ზანდუკი განცხადებათა და წესთა; აღთქმა წინაპართა შთამომავალთადმი; დამატება, განმარტება აწმყოსი და მაგალითი მომავლისათვის.

მმართველნი და კანონმდებელნი მოქმედებენ ისტორიის ჩვენებითა და სჭვრეტენ მის ფურცლებსა, ვითარცა მეზღვაურნი ზღვათა რუკებსა. სიბრძნესა კაცობრიობისას სჭირია გამოცდილება, სიცოცხლე კი ხან-მოკლეა. საჭიროა ვიცოდეთ, თუ ვნებანნი უკუნიდგან ვითარ ჰრევდნენ მოქალაქეთა საზოგადოებას, ვითარის საშუალებებით კეთილი გონება იკავებდა მათს მძაფრს მისწრაფებათა, რათა დაემყარებინა წესიერება, შეეთანხმა ადამიანთა სარგებლობა და მიენიჭა მათთვის ამ ქვეყნად შესაძლებელი ბედნიერება. მაგრამ უბრალო ხალხმაც უნდა იკითხოს ისტორია. იგი შეარიგებს მას არსებულ წესთა უსრულობას, ვითარცა ჩვეულებრივ მოვლენასთან ყველა საუკუნეებში, ანუგეშებს სამეფო უბედურებაში, უმტკიცებს რა, რომ უწინაც ყოფილა ასეთი ამბები და უფრო უსაშინელესებიც და სამეფო კი მაინც არ დარღვეულა; ასაზრდოებს ჩვენს ზნეობითსა გრძნობასა და თავისის ძიუკერძველის მსჯავრითა მიჰმართავს ჩვენს სულსა სამართლიანობისა-



დმი, რომელიც განამტკიცებს ჩვენს კეთილ-ყოფასა და საზოგადოებაში თანხმობასა.

ეს არის სარგებლობა. ახლა, რამდენი სიამოვნება მოსდევს მას გულისა და გონებისათვის! ძვლევა-ძიების მოსიყვარულეობა ერთგვარად თან-დაყოლილი აქვს განათლებულსაც და გაუნათლებელსაც. ოლიმპიის დიდებულ დღეობებზე აყაყანებული ბრბონი ხმას იკმენდნენ ჰეროდოტეს წინაშე, როდესაც იგი უკითხავდა მათ საუკუნეთა გარდმოცემებს. როცა ხალხმა ჯერ კიდევ არ იცის წერა-კითხვა, მას უკვე უყვარს ისტორია. მოხუცი მიუთითებს ჭაბუკთ მაღალ საფლავზედა და მოუთხრობს საქმეთა საგმიროსა მასში მდებარე გმირისას... ისტორია განაღებს რა კარებს კუბოთა, აღადგენს რა მკვდართა, ანიჭებს რა მათს გულს სიცოცხლესა და ბაგეთ სიტყვასა, კვლავ ჰქმნის გახრწნილებიდამ სამეფოთა; წარმოუდგენს რა ჩვენს გონებას მთელს რიგს საუკუნეებისას მათის სხვა და-სხვა ბუნებებით, ჩვეულებებით, მოქმედებებით, — განაფართოვებს საზღვრებსა ჩვენის საკუთარის ყოფისას; მისის შემოქმედებითის ძალით ჩვენ ვცხოვრებთ ყველა დროის ადამიანებთან, ვხედავთ მათ და გვესმის მათი, გვიყვარან და გვძულან; ვივიწყებთ ნივთიერ სარგებლობასა და ვნეტარებთ ხილვითა იმ მრავალ-გვარ შემთხვევათა და ხასიათებთა, რომელნიც იპყრობენ ჩვენს ჭკვასა და ასაზრდოებენ გრძნობიერებასა.

თუ ყოველი ისტორია, თუნდაც მდარედ დაწერილი, სასიამოვნოა, ვითარცა ამბობს პლინი: მით უმეტეს სამშობლო ისტორია. ნამდვილი კოსმოპოლიტი მეტაფიზიკური არსებაა, ანუ ისეთი არა-ჩვეულებრივი მოვლენა, რომ საჭირო არაკია ვილაპარაკოთ მასზედა, არც ვაქოთ და არც ვაძაგოთ იგი. ჩვენ ყველანი ვართ მოქალაქენი, ევროპასა და ინდოეთში; ყველას პირადობა მჭიდროთაა დაკავშირებული სამშობლოსთან: გვიყვარს იგი, რადგანაც გვიყვარს თავი თვისი. დეე ბერძნებმა და რომაელებმა დაატყვევონ ჩვენი გონება.

ბანძის ძუძუს ქვა.

მურჯახეთის ძუძუს ქვა (გვ. 31).

Იგინი ეკუთვნიან კაცობრიობის ოჯახს და ჩვენთვინაც უცხონი არ არიან თავისი კეთილის და ცუდის მხარეებით, დიდებით და უბედურებებით. მაგრამ სახელს რუსისას სულ განსხვავებული სიმშვენიერე აქვს ჩვენთვისა: გული ჩემი უფრო ძლიერად სცემს პაჟარსკის გაგონებაზედ, ვიდრე Თემისთოკლისა ანუ სკიპიონის გაგონებაზედ. მსოფლიო ისტორია ამშვენებს მთელს ქვეყანასა, ხოლო რუსეთისა—სამშობლოს, სადაც ვცხოვრებთ და ვგრძნობთ ჩვენა. რა მიმზიდველნი ხდებიან კიდენი Ვოლხოვისა, Დნეპრისა, Დონისა, როდესაც ვტყობულობთ თუ რა ხდებოდა იქ ძველის-ძველად! Არა მარტო ნოვგოროდი, Კიევი ბ Ვლადიმირი, არამედ თვით ქოხნი Ელცისა, Კოზელსკისა და Ბალიჩისა ხდებიან ჩვენთვის სახალისონი და მიმზიდველნი... *)

ფუძე ქართლისა—ციხე ქართლოსისა, არმაზისა.

(გვ. 3.).

Მცხეთის სადგურიდგან, რომ რკინის გზის ლიანდაგით ზევით წახვიდეთ, ორიოდე ვერსის გავლის შემდეგ, მიადგებით ერთს პატარა ხევსა, რომელიც შეერთვის მტკვარს მარჯვნიდამ. Ამ ხევს ხალხი ახლაც არმაზის წყალს უწოდებს, პირველად კი ქართლის ჩეკი ეწოდებოდა. Ასე აქვს, მაგალითად, იგი ნახსენები ბატონიშვილს ვახუშტს თავისს გეოგრაფიაში (გვ. 194). Ქართლის ხევი ანუ იგივე არმაზის წყალი ისე პატარაა, რომ შვიდის წლის ფეხ-მარდიან ბიჭსაც არ გაუჭირდება მასზედ გადახტომა, მაგრამ თვით მისი ხეობა კი ისეთი ღრმა და ღრანტიანია, რომ მარჯვნივ და მარცხნივ მთელი ას-საჟენიანი მთები აქვს აყუდებული, შემოსილი საკმაოდ ხშირის ტყითა. Რომ შეჰყვეთ ამ ხევს, ორიოდე ვერსს გაივლით თუ არა, მიადგებით ერთს დიდად დაზიანებულს, თითქმის მთლად

*) Исторія Государства Россійскаго Н. Карамзина, Т. I.

ბელტის ციხე (გვ. 34).

დანგრეულს მონასტერს, რომელსაც ბატონიშვილი ვახუშტი უწოდებს „ახალ-ქალაქურს“. Ეგი ამბობს:

„Cცხეთის ხიდის სამხრით, არს მონასტერი ა ხ ა ლ-ქ ა-ლ ა ქ უ რ ი, ყოვლად წმიდისა, უგუნბათო, კეთილს ადგილს, იდგნენ მოწესენი“.

დღეს იგი, როგორც ვსთქვით, მთლად დანგრეულია, ე. ი. კამარა უმთავრესის ტაძრისა, თვით კამარიან კარის-ბჭიდამ, ვიდრე საკურთხეველის აღმოსავლეთ კედლამდის, სულ მთლად ჩამონგრეულია. დარჩენილია მხოლოდ ჩრდილოეთის ეკვდერი, რომელიც ამ რამდენისამე წლის წინად განუახლებია ვინმე თრიალელს მთიულს გლეხს, აწ დავით ბერს, დაუდგამს კანკელი, შეუბამს კარები, აღუმართავს ეკლესიის თავზე ჯვარი და ამ გვარად კვლავ აღუდგენია მონასტერი. ბანახლებულის ეკლესიის კარების თავში ჩატანებულია ძველი წარწერა, ხუცურ-ს ასო-მთავრულის ჩართულით დაწერილი, რომელიც უკვე დაბეჭდილია კავკასიის სამოსწავლო უწყების ოც-და-მეორე კრებულში და წაკითხულია ბ-ნ ე. თაყაიშვილის-მიერ, რომლის აზრით წარწერა უნდა ეკუთვნოდეს მე-XVII საუკუნეს, როდესაც საქართველოში ჰყვაოდა ხელ-ჩართული წერა, ხოლო მცხეთაში იჯდა კათალიკოზი ნიკოლოზი. აი თვით შინაარსი წარწერისა:

,,ძ ჯი ყოვლად საგალობელო დედოფალო, ცათა დაუტევნელისა დამტევნელო, მტვირთველო ღვთისა, ქერაბიმთაგან უტვირთველისაო, მშობელო დედაო, მაწოვნებელო, მზრდელო ღვთისა ჭეშმარიტისაო, სიტყვისაებრ შენის სანატრელო, მარადის ქალწულო მარიამ, პატიოსანო და ნათელისა მიმცემელო ყოველთა შენდამი შემავედრებელთაო! მე უნდოი დედაკაცი ხათუნ, ყოფილი მარიამ, დედაი საბალთისი, ძმის-წული სალდახისი, რომელი ღირს ვიქმენ წმიდასა ღვთივ აღმართებულსა კათოლიკე ეკლესიასა სულისა შევედრებად, შუამდგომლობითა სვეტის-ცხოველისაითა, ბრძანებითა და სურვითა ქართლისა კათალიკოსის ნიკოლოზისაითა, შემწეობითა ყოველთავე კათოლიკე ეკლესიისა შვილთაითა, ხელ ვყავ მცირედითა მსახურებაი: ვიყიდე და აღვაშენე არმაზის ეკვტერი, სრული ყოვლითა: საკურთხეველი, გლეხნი და სიგელი, მწირველი სულისა ჩემისათვის, და ვინცა შემდგომითი შემდგომად წარედგინებოდნეთ ქართლისა კათალიკოსობასა, შეიწყალეთ უნდოი სული ჩემი და დაამტკიცეთ, თქვენც ღმერთმა მტკიცე გყვეს. ვინცა შეცვალოს ყოველი წადილი ჩემგნით სულისა ჩემისა სალოცავი, შემცაიცვლების

ხიზაბავრელი მოშაირე—სტეფანე ტატურაშვილი (იხ. ლექსი).

ქრისტეს სარწმუნოებისაგან და შენაზღვევინ ცოდვანი სულისა ჩემისანი, ამინ. ერთი გლეხი ტ.. გელაისძე, ა ციხე-დიდს ლომინაი უპიაისძე... მცხეთას“...

ამ მონასტრიდამ რომ განაგრძოთ გზა არმაზის ხევით, ორის-სამის ვერსის გავლის შემდეგ, არმაზის წყლის ზედ შუა კალაპოტზედ, მიადგებით ერთს ფრიად მაღალსა და ფრიალო კლდესა, სიმაღლით 100—150 საჟენიანსა, რომლის მობრტყო თაკზედ აშენებულია ძველი ციხე ეი ეს ციხე არის ის ციხე, რომლის სურათი მოყვანილია ჩვენის ჟურნალის

3 გვერდზე და რომელსაც ჩვენ ვუწოდეთ ფუძე, ე. ი. საფუძველი ქართლისა. ეს ის მთაა, რომელზედაც ჩვენის მატიანის სიტყვით ჩვენმა მამა-მთავარმა ქართლოსმა პირველად ააშენა თავისთვის სახლი და სიმაგრე, ხოლო მის გარშემო ქალაქი ქართლი, რომლისგანაც მთლად მისს კუთვნილს ქვეყანასაც ეწოდა საქართველო და ხალხს ქართველი. ციხის უმეტესი ნაწილი საკმაოდ კარგად არის შენახული დღემდინა, დარღვეულია მხოლოდ ჩრდილოეთის ზღუდენი. ძედლის სისქე ყოფილა ერთი არშინი, სიმაღლე სამ-კუთხიანის კოშკისა 5—6 საჟენი, ხოლო სიგრძე მთელის ციხისა 11—12 და სიგანე 6—7 საჟენი. შენობა ქვით-კირისაა. თუ ვინ და როდის მოზღუდა ქართლის მთა ქვით-კირითა, ამის შესახებ „ქართლის-ცხოვრებაში“ ვკითხულობთ შემდეგსა:

„ამან არდამ ერისთავმან *) მოზღუდა ქალაქი მცხეთა ქვით-კირითა და აქამომდე არა იყო ქართლს შინა საქმე ქვით-კირისა. ამისგან დაისწავლეს ქვით-კირი. ამანვე არდამ მოჰკიდა კირით ზღუდე ციხესა არმაზისას და წარმოზღუდა ცხვირი არმაზისა ვიდრე მტკვრამდის“.

თუ დღევანდლამდის დარჩენილი ნაშთი არმაზის ციხისა არდამ ერისთავის დროისაა, რომელიც ცხოვრობდა 1600 წლებში ქრ. შობამდე, გამოდის, რომ იგი დღეს 3500 წლისაა.

რაც შეეხება იმას, თუ როდის და როგორ დაერქვა ქართლის ქალაქსა, მთასა და წყალსა არმაზი, ამის შესახებ ჩვენი მატიანენი მოგვითხრობენ შემდეგსა:

„ფარნავაზ მეფემ (302—237 წელს ქრ. წინათ) შექმნა კერპი დიდი, სახელსა ზედა თვისსა **) და აღმართა იგი თავსა ზედა ქართლისასა, რომელსაც მიერიდგან ეწოდა არმაზი. და ქმნა სატფურება ***) დიდი აღმართულის კერპისათვის. მოკვდა ფარნავაზ და დაფლეს იგი წინაშე კერპისა არმაზისა“...

---

*) იხ. დამატებაში „ახალხო ისტორია საქართველოსი“.

**) ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქვა.

***) ძოველ-წლიური დღესასწაული.

ზარდა არზამ კერპისა, არზამის მთაზედ იდგა სხვა ორი კერპიცა—გაცი და გაიმ. აი როგორ აგვიწერს „ქ.-ცხოვრება“ ამ კერპებსა და მათს დღესასწაულსა:

„ხოლო აღიძრნენ ღღესა ერთსა ერნი დიდნი სიმრავლითა ზორვად (საკლავის შესაწირავად) წინაშე არმაზ ღვთისა მათისა და წარჰყვა მათ წმ. ნინოცა. და აჰა გამოვიდა დედოფალი ნანა მრავლის ერითა და შეამკეს ერმან ყოველნი გზანი და ფოლორცნი *) ფერად-ფერადის ქსოვილებითა და მწვანითა. მერმე გამოვიდა მეფე მირიან (265—342), საზარელითა და თვალ-შეუდგამითა ხილვითა და იწყო ყოველმან ქება მეფისა. მიჰყვა წმ. ნინოცა, მოასწრო არმაზის ციხეში შესვლა და დადგა მახლობლად კერპისა, ნაპრალსა ზღუდისასა. და იხილა მუნ წმიდამან ნინომ მდგომარე კაცი ერთი, სპილენძისა, რომელსაც ეცვა ტანზედ ოქროს ჯაჭვი და თავსა მისსა ჩაფხუტი ოქროსი; სამხრენი და თვალნი მისნი იყვნენ ზურმუხტისა და ბერილისაი, და ეპყრა ხმალი ხელსა მისსა, ელვარე და ბრწყინვალე, რომელიც ტრიალებდა ხელში. და კვალად იყო მარჯვენით მისსა სხვა კერპი ოქროსი, სახითა კაცისათა, მდგომარე, და სახელი მისი გ ა ც ი, და მარცხენით მისსა იდგა კაცი ვერცხლისა, და სახელი მისი გ ა ი მ, რომლებიც ღმერთად მიაჩნდათ ერთა ქართლისათა“...

რა ნახა ასეთი სიბრმავე ხალხისა, წმ. ნინომ აღაპყრო ხელნი ზეცად და სთქვა:

„უფალო, მოჰხედე წყალობითა შენითა ამათსა ზედა და აჩვენე ამათ მაცხოვრებაი შენი, რათა მხოლოსა ღმერთსა თაყვანი სცენ ამათ“.

წამოვიდა ქარი და თან ისეთი საშინელი სეტყვა მოიტანა, რომ კერპნი სრულებით დალეწა და ხალხმა კი ძლივს თავს უშველა სახლებსა და გამოქვაბულებში.

62 წლის განმავლობაში, არმაზი სატახტო ქალაქადაც იყო. ეს მაშინ, როცა 60 წლიდამ ქრისტეს შემდეგ, ვიდრე 122 წლამდის, საქართველოში არსებობდა ეგრედ წოდებუ-

*) ბაზრები, მეიდნები.

P-2581

ლი ერ-გამგეობა, რომელიც იმაში მდგომარეობდა, რომ საქართველოს ჰმართავდნენ ერთ და იმავე დროს ორნი მეფენი. ერთი ამათგანი იჯდა მცხეთაში და ჰმართავდა ყველა ადგილებს მტკვრის მარცხენა მხრისას, ხოლო მეორე იჯდა არმაზში და ჰმართავდა მტკვრის მარჯვენა მხარესა. როცა რომელიმე ამათგანი მოკვდებოდა, ახლა შვილი გამეფდებოდა. საერთო საქმეების განსახილველად და განკარგულების მოსახდენად, ორივე მეფენი ერთად იყრიდნენ თავსა, ხოლო ომიანობის დროს ერთი სამხედრო საქმეებს განაგებდა, მეორე შინაურს. აი რომელი მეფეები მსხდარან არმაზში: მეფე ფარსმანს I († 60 წ.) დარჩა ორი შვილი: უფროსს შვილს ბარტომს მისცა მცხეთის მხარე, ხოლო უმცროსს შვილს ქართამს—არმაზის მხარე; ამათს შემდეგ მცხეთაში მეფობდა კაოსი, არმაზში—ფარსმან II; მცხეთაში—არმაზელ და არმაზში—აზორკ; მცხეთაში ამზასპ და არმაზში—დეროკ; შემდეგ მათისა მცხეთაში მირდატ და არმაზში—ფარსმან III. 122 წელს ფარსმან III მოწამლულ იქმნა და საქართველოში კვლავ დამყარდა ერთ-გამგეობა, დედა-ქალაქით მცხეთით.

არმაზი არსებობდა ვახტანგ გორგასლანის დროსაც (446—499); ამას ჰმოწმობენ „ქ. ცხოვრების“ შემდეგი სიტყვები:

> „მას ჟამსა იყო ვახტანგ წლისა ოც-და-ორისა, იგი იყო უმაღლეს ყოველთა კაცთა მის ჟამისათა და უმშვენიერეს სახითა, და ძლიერი ძალითა, რამეთუ სიმაღლე იყო მისი თორმეტი ბრჭალი *) და იყო საზარელ და გოლიათი, და განთქმულ ყოველსა ქვეყანასა, რომელ ჭურვილი **) ირემს მიეწიის და ცხენსა ჭურვილსა აღიდის მხართა ზედა და მცხეთით აღვიდის ციხესა ა რ მ ა ზ ი ს ა ს ა“...

ანუ შემდეგი:

> „სცნეს სპარსთა, ვითარმედ დამძიმდა ვახტანგ (გორგა-

---

*) მტკაველი.

**) შეიარაღებული.

სლანი) წყლულებისაგან *), მოაოხრეს თბილისი, ა რ მ ა-
ზ ი ქ ა ლ ა ქ ი და წარვიდნენ''...

Armazi arsebobda gvaram kurapalatis († 600) dro-sac, mxolod tan-da-tan ecemoda igi. Amas mowmobenen shemdegi sitkvebi matianesi:

,,mas jamsa mcxetha aghtxelgebodha da tbilisi aghshendebodha, a r m a z i shemcirdebodha da kala gandidebodhao''.

esevea gangmeorebuli gvarami shvilis stefanozis mtavris drosac (600—619):

,,mcxetas moakldebodha da kala aghshendebodha; tfilisi gandzlierdebodha da a r m a z i aghtxelgebodhao''...

armazis shesaxebs batonishvili vaxushti tavisis geografiaši swers shemdegsa (gv. 194):

,,m c x e t i s xidis samxrit arsi mcire xevi q a r-
t l i s a, sdis misisavi mtas da modis chrdilot. aqa
arsi cixe, romeli aghashena qartlos da uwoda saxeli
tvisi, araodesi shemusvrili mtertagan, romeli dadga
yrus mosvlasaca. am adgilis gamo ewoda am qveyanata
qartli. mepemani farnaozi aghmarta aqa kerpi a r m a z,
saxelisa tvisisa, da mis gamo ewoda a r m a z i adgilsa
amas da daepla qartlos aqavi, da farnaozica winaši
kerpisa tvisisa. arami kerpisa imis msaxurni romelni
iyvnen, igini iyvnen saqartvelo. xolo shemdgomad se-
musra kerpi esi wmidamani ninom. arami iyo qalaqi a r-
m a z i aqetagan vidre naqulbaqevamde, da yrusagan da shem-
dgomad misisa moxrda. xolo aw arsi dabnebi''.

ჯაჭვის წმ. ჯვრის მონასტერი (გვ. 5).

tbilisidam rkinis gzit wasuli, mcxetas rom mi-uaxlovdebit, zed araagvisa da mtkvris shesartavtan,

*) ჭრილობისაგან.

მათს მარცხენა კიდეზე, დაინახავთ საკმაოდ მაღალს მთას, რომელიც საამურად დაჰყურებს ამ მდინარეებსა და ჩვენს ძველს სატახტო ქალაქსა მცხეთასა. ამ მთაზედ დღევანდლამდე დაცულია თლილის ქვით აგებული ეკლესია, რომელსაც უწოდებენ ჯაჭვის და ჯვრის მონასტერსა. ხალხის გარდმოცემით, სახელი ჯაჭვი იმიტომ ეწოდა ამ ეკლესიასა, რომ მისის გუმბათიდამ მცხეთის სვეტის-ცხოვლის გუმბათამდის გამბული იყო ჯაჭვი, რომლითაც ორსავე მონასტრის წმიდა მამანი დაიარებოდნენ ერთმანეთთანაო. მაგრამ, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ ამბავსა, რომ სახელი ჯაჭვი ამ ადგილს ეწოდებოდა ეკლესიის აშენებამდინაც და თვით ქრისტიანობის მიღებამდინაც, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გარდმოცემა შემდეგ არის შეთხზული რომლისამე გამომცდელ ჭკუის პატრონისაგან. „ქართლის ცხოვრებაში“ მაგალითად ვკითხულობთ შემდეგსა:

> «და წელსა მეორესა კვალად მოვიდა მირდატ (სპარსეთიდამ) სპითა მეტად ჯძლიერესითა. ხოლო ფარსმან-ქველმან შემოკრიბნა მხედარნი და ქვეითნი და დადგა მცხეთას, ქალაქსა შინა, რამეთუ არა ჰყვანდა სპანი მირდატის სპათა ოდენნი. მოვიდა მირდატ და დადგა ჯაჭვს და ყოველთა დღეთა იბრძოდიან ბუმბერაზნი. და ამას ბრძოლასა შინა მეფემან ფარსმან მოჰკლა თავის-თავითა თოთხმეტი ბუმბერაზი, ხოლო სპასპეტმან ფარნავაზმან თექვსმეტი. მაშინ ფარსმან მეფე განვიდა ჟამსა განთიადისასა სპითა თვისითა და დაეხა მტერსა. მოსცა სვემან მისმან ძლევა, აოტა ბანაკი მათი და მოსწყვიდნა ურიცხვნი, და წარვიდა მირდატ მეოტი სპარსეთადვე».

ფარსმან ქველი მეფობდა საქართველოში ქრისტეს შემდეგ 113 წლიდამ, ვიდრე 122 წლამდის; ჯაჭვის ანუ ჯვარის მონასტერი კი, როგორც ამას ქვემოთაც დავინახავთ, აშენებულია ბევრად შემდეგში, 600 წლებში.

აი კიდევ ერთი ადგილი „ქართლის ცხოვრებიდამ“, რომელიც აგრეთვე გვიმტკიცებს, რომ სახელწოდება ჯაჭვი სდებია ამ ადგილს ეკლესიის აშენებამდინა. 470 წლებში,

სპარსეთის მეფე ფირუზ 300,000 ჯარით შემოესია საქართველოს და დაიბანაკა თბილისსა და მცხეთას შუა მდებარე ადგილებში. ჩვენის მატიანის სიტყვით, ვახტანგ გორგასლანმა დაახვედრა მტერს 100,000 მხედარი და ამდენივე ქვეითი ჯარი, მოვიდა 80,000 ბერძნის ჯარიც. ფირუზმა რა ნახა, რომ საქმე წაგებულია, სთხოვა ვახტანგს შერიგება. ვახტანგმა მიიღო წინადადება და, როგორც მოგვითხრობს იგივე მატიანე, პირობების დასადებად გადასწყვიტეს ერთმანეთის ნახვა. აი როგორ ასწერს ამ შეყრასა „ქართლის ცხოვრება“:

„აიყარა მეფე სპარსთა განთიად, და დადგა ველსა კალისასა, ხოლო ვახტანგ დადგა ჯ ა ჭ ვ ს. შეკრბეს მასვე ველსა ორნივე მეფენი, მოიკითხეს ერთმანეთი და უყვეს აღთქმათ თავის-თავისა სჯულსა ზედა გარდაუვალ“.

ეს ამბავი მოხდა 470 წლებში, ჯაჭვის ანუ ჯვრის მონასტერი კი, როგორც ვსთქვით, აგებულ იქმნა 600 წლებში.

ჯვარის მონასტერს ეძახიან იმიტომ, რომ იმ ადგილზედ, სადაც დღეს ეს ეკლესია არის აშენებული, წმ. ნინოს დროიდან, ამართული იყო ჯვარი, რომლის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ შემდეგსა:

როდესაც მეფე მირიანმა და დედოფალმა ნანამ მიიღეს ქრისტიანობა, მაშინ იდგა ხე ერთი კლდესა ზედა შეუვალსა, ფრიად მშვენიერი, სურნელი და მკურნავი, ასე რომ, ისარ-ცემული ნადირიც კი, ოაკი სჭამდა მის ფურცელსა ანუ თესლსა, მყისვე მორჩებოდაო. ეს ამბავი მოახსენეს ეპისკოპოსს იოანეს და მან ბრძანა მოჭრა ხისა მის და გაკეთება სამის ჯვრისა, რომლებიც დაასვენეს მცხეთის სვეტის-ცხოვლის ეკლესიაში. ამის შემდეგ, რამდენისამე ღამის განმავლობაში, ჩაბოვიდოდა ციდამ გვირგვინი ნათლისა და დაადგებოდა თავს სვეტის-ცხოვლის ეკლესიას, ვიდრე გათენებამდე, ხოლო გათენებისას, გამოვიდოდა ამავ გვირგვინიდგან ორი ვარსკვლავი, ერთი წავიდოდა აღმოსავლეთისკენ და დადგებოდა სოფელ ბ ო დ ბ ე ს ა ზედა *) და მეორე—და-

*) ქ. სიღნაღთან ახლო.

სავლეთისკენ და დადგებოდა თავსა თ ხ ო თ ი ს მ თ ი ს ; სადაც თვალთ დაუბნელდა და შემდეგ აეხილა მირიან მეფესა, რაიცა გახდა მიზეზად მისის მოქრისტიანებისა; ხოლო თვით გვირგვინი კი, გავიდოდა ნელა არაგვის გაღმა და დადგებოდა იმ ადგილზედა, სადაც ახლა აშენებულია ჯ ვ ა რ ი ს მონასტერი. ნინოს ბრძანებით ერთი იმ სამ ჯვართაგანი აღმართეს თ ხ ო თ ი ს მთაზედა, მეორე მისცეს მეფის შვილის, კახეთის ერისთავის, რევის მეუღლეს—სალომეს, რომელიც ცხოვრებდა ქ. უჯარმაში და მანაც იგი ჯვარი აღმართა უჯარმას და არა ბოდბეში, რათა ჯვრისა ბოდბეში აღმართვით არ დაცემულიყო ქ. უჯარმა, ხოლო მესამე ჯვარი წამოიღეს ჯ ა ჭ ვ ი ს მთაზედა და აღმართეს აქ იმ ადგილზედა, სადაც დგებოდა გვირგვინი ნათლისა, ე. ი. ჯვარის ეკლესიის ადგილზედა. და იყო ჯვარი ესე ველსა ზედა, ვიდრე გვარამ კურატპალატამდის, რომელიც იყო კაცი მორწმუნე და მაშენებელი ეკლესიათა. ბვარამი იყო პირველი მეფე საქართველოსი ბაგრატიონთ გვარიდამ და მეფობდა ჩვენში 575 წლიდამ 600 წლამდის. ამან იწყო ჯ ა ჭ ვ ი ს ჯვრის ეკლესიის აღშენება და მოიყვანა იგი წელთამდის. მის სიკვდილის შემდეგ გამეფდა შვილი მისი ს ტ ე ფ ა ნ ო ს I, კაცი დიდათ განთქმული მხედრობაში. მან და მისმა ძმამ დემეტრემ განაგრძეს მამისაგან ჯ ა ჭ ვ ი ს ჯ ვ რ ი ს ეკლესიის აშენება, მაგრამ არც ამათ დასცალდათ მისი დასრულება: ამ დროს საქართველოს შემოესია საბერძნეთის მეფე ერეკლე; სტეფანოზმა გაამაგრა ციხე-ქალაქნი და თვით ჩადგა თბილისის ციხეში. მოვიდა ერეკლე და მოადგა თბილისს. სტეფანოზ იყო კაცი ქველი, დიდი მხედარი და შემმაერთებელი. იგი ყოველ დღე გამოდიოდა ქალაქის კარიდამ და ებრძოდა ბერძნებსა, მაგრამ მოკლულ იქმნა 619 წელსა. ბერძნებმა თბილისი მაინც ვერ აიღეს და, რადგანაც ერეკლეს მიეჩქარებოდა სპარსეთს, საქართველოს მთავრად დანიშნა მოკლულის სტეფანოზის მეტოქე ადარნასე ხოსროიანი და თვით გზას გაუდგა სპარსეთისაკენ. ადარნასემ აიღო თბილისი და დაიმორჩილა მთელი ქართლი. ამან დაამთავრა ჯაჭვის ჯვრის მონასტერი და გარდაიცვალა 639 წელსა. დაჯდა მთავრად ძე მისი ს ტ ე ფ ა ნ ო ს მ ე ო რ ე, „უწარჩინებულესი

ქართლის ყოველთა მეფეთა და მთავართა, მორწმუნე და განმწმენდელი სჯულისა, მაშენებელი ეკლესიათა". მან მოადგნა ზღუდენი ჯ ა ჭ ვ ი ს ჯ ვ რ ი ს მონასტერსა და ააშენა აქ დარბაზნი".

ეი მთლად ის ცნობანი, რომელნიც დაცულია ჩვენს მატიანებში. ვნახოთ ახლა რას გვეტყვიან თვით კედლები საქართველოს ამ შესანიშნავის სიძველისა და თვით ჯვარი, რომელიც აქამომდე ინახება ამ ეკლესიაში. ეღმოსავლეთის კედელზე, ძირიდამ სამის საჟენის სიმაღლეზე, გამოქანდაკებულია მაცხოვარი, რომელიც ლოცავს მთავარსა სტეფანოზსა პატრიკსა *). ამ ქანდაკის გვერდზე აქამომდე დაცულია შემდეგი წარწერა ხუცურის ასო-მთავრულით:

. . . . „მთავრისა სტეფანოს ქართლისა პატრიკოსისა შეიწყალე".

ამ წარწერის მარჯვნივ იმავე სიმაღლეზედ არის მეორე ქანდაკი—ანგელოზი და მთავარი ადარნასე შემდეგის წარწერით ხუცურის ასო-მთავრულით:

„წმიდაო გაბრიელ მთავარ-ანგელოზო, ადარნასეს ვიპატოსსა **) მეოხ ეყავ".

რომ მკითხველმა ნათლად გაითვალისწინოს ხუცური ასო-მთავრულით წერა მეშვიდე საუკუნის დასაწყისში, მოგვყავს ეს წარწერა ისე, როგორც იქ არის ამოჭრილი.

ᲩᲐ ᲜᲘᲗᲜ ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲡ ᲡᲗᲔᲤᲐᲜᲝᲡ
ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲙᲝᲡᲘᲡᲐ ᲨᲔᲛᲬᲘᲚᲔ

მარცხნივ პირველის წარწერისა არის მესამე ქანდაკი—ანგელოზი და დემეტრე ვიპატოსი შემდეგის წარწერით ხუცურის ასო-მთავრულით:

---

*) პ ა ტ რ ი კ ი ანუ პ ა ტ რ ი კ ო ს ი (ლათ.)—მთავარ-სარდალი, ერისთავთ-ერისთავი.

**) ვ ი პ ა ტ ო ს ი ანუ ი პ ა ტ ო ს ი (ბერ.)—მთავარი, მთავარ-სარდალი; ა ნ თ ვ ი პ ა ტ ი—მოადგილე ვიპატოსისა.

„წმიდაო მიქელ მთავარ ანგელოზო, დემეტრეს ვიპატოსსა მეოხ ეყავ“.

სამხრეთის კედელზე, კარის ზემოთ, კედლის ძირიდამ სამის საჟენის სიმაღლეზე, არის ქანდაკი, რომელიც ამ მონასტრის ბერის გიორგის სიტყვით წარმოადგენს ანდრია მოციქულსა, რომელიც თავისს საქართველოში ყოფნის დროს, სხვათა შორის აქაც ყოფილა და დაუსვამს აქ ის ხე, რომელიც შემდეგში მოაჭრევინეს წმ. ნინომ და ეპისკოპოსმა იოანემ და, როგორც ზევითაცა ვსთქვით, სამი ჯვარი გააკეთებინეს. მაგრამ, ჩვენა ვფიქრობთ, რომ ეს თქმულება სხვა ქანდაკს უნდა შეეხებოდეს, რადგანაც სულ სხვას გვეუბნება ამ ქანდაკის წარწერა, რომელშიაც აღმოიკითხვის წმ. სტეფანე და არა ანდრია. მოგვყავს აქ ეს წარწერაცა ისე, როგორც ნამდვილშია:



სამხრეთისავე კარის თავზედ მშვენიერის ხელოვნებით გამოქანდაკებულია, ეკლესიისავე ნაშენობის ქვიდგან, რკალში ჩასმული ჯვარი, რვა ვარსკვლავით, რომელიც უკავია აქეთ-იქიდამ ანგელოზებსა. ეს ის გვირგვინია ნათლისა, რომელიც, როგორც ზემოთაც მოვიყვანეთ „ქართლის-ცხოვრებიდამ“, გამოვიდოდა მცხეთიდამ არაგვსა და ამ ადგილას გაჩერდებოდა.

სამხრეთისავე მეორე კარის თავზედ გამოქანდაკებულია ღვთის-მშობელი რკალში, რომელიც აქეთ-იქიდამ უკავიათ სერაბიმთა. ამ ქანდაკის ქვეშ ყოფილა დიდი წარწერა, მაგრამ ჩვენ რომ ვნახეთ, მარტო რამდენიმე ასო-ღა იყო დარჩენილი, დანარჩენი სულ წაშლილა დროთა ვითარებისაგან.

ამავე კარის თავში, შიგნიდან, არის შემდეგი, მშვენიერის ხელით და ასო-მთავრულით ხუცური წარწერა:

„წყალობითა ღვთისათა და შეწევნითა ჯვარისაი მით ემესტია მხევალმან ქრისტესმან აღვაშენე საყოფელი ესე სახსენებელად სულისა ჩემისა, და თაყვანის საცემელად დედათა“.

ამ ჟამად ჯაჭვის მონასტრის ჯვარი მოჭედილია ვერცხლით, წინეთ კი, როგორც თვით წარწერიდამაცა სჩანს, იგი მოუჭედავი ყოფილა. სიმაღლე ჯვარისა დაახლოვებით $1^1/_2$ არშინია. მასზედ დაცულია შემდეგი მხედრული წარწერა:

ძ: ძლიერებითა: და შეწევნითა: ცხოველის-მყოფელისა: ჯვარისათა: მე: ყოვლად უღირსმან: ავალიშვილმან: ნაზირმან: დავით: მოვაჭედინე და შევამკე: წმიენდა: ესე: ჯვარი: გიძღვენ და შემოგწირე: ჯაჭვისა: ძონასტერსა: ჯვარისასა: განმტკიცებულად: და მფარველად: მეფეთა: უფლისა: ჩვენისა: ცხებულისა მეფის თეიმურაზისა: და ძისა: კახთ მეფის ირაკლისა: და მე: მონისა: მათისა: სასოდ: საოხად: და: მოსახსენებლად: იანვარს: ოცდა: ხუთსა: ქრისტეს: აქეთ: ათას: შვიდას: ორმოცდა: თერთმეტი.

შესანიშნავია, რომ მთელს ეკლესიაზე, გარედამ ქვებზე აქაიქა ამოჭრილია ასოები + და Ѳ, რომლებიც მგონია უხმარიათ ნომრებად მაშენებლებსა, ასეთი ნიშნები ჩვენ სხვა ეკლესიებზე ჯერ არსად გვინახავს.

ვერაფერს სანუგეშო მდგომარეობაშია დღეს ეს შესანიშნავი ძეგლი ჩვენთა წინაპართა სასოებისა. ეკლესია ჯერ კიდევ მტკიცეთა სდგას, მაგრამ სტეფანოს მეორისაგან (639—663) აშენებული ზღუდენი და დარბაზნი კი თითქმის მიწასთან გასწორებულია. დაშთენილა მხოლოდ ერთი ორ სართულიანი კოშკისებური შენობა, ოთხიოდე ოთახით, რომელიც დახატულია ჩვენს სურათზედაც. ბერის გიორგის სიტყვით, რომელსაც ზედ-მიწევნით აქვს შესწავლილი მონასტრის ყოველი ვითარება, ჯაჭვის ზღუდენი ყოფილა შვიდ-გალავნიანი, ამას ნათლად ამტკიცებს საძირკვლე-

ბიო. არც მლოცავი ჰყავს ისე მრავალი ამ ეკლესიას; აიხსნება ეს, ეჭვი არ არის, იმ გარემოებით, რომ მონასტერი აგებულია მტკვრისა და არაგვის გალმა, მარცხენა კიდით, სადაც თითქმის სრულიად არ მოიპოვება მოსახლობა, მდინარეებში გასვლა კი მუდამ ადვილი და უხიფათო არ არის. სანამ მცხეთიდამ ჯაჭვისკენ ხიდი ყოფილა არაგვზე, მლოცავიც ბევრი მოსდიოდა ჯვარსა, მას აქეთ კი, რაც ხიდი მოიშალა, მლოცავი ბევრად მოჰკლებია. უნდა ვიფიქროთ, რომ განძრახული კახეთის რკინის გზა, რომელმაც შიგ ძირში უნდა გაუაროს ამ მონასტერსა, დიდს მლოცავსა და თაყვანის-მცემელს შესძენს ჯაჭვის ჯვარსა, მაგრამ ურიგო არ იქნება, რომ ბერებიც ყოველის ღონით ეცადნენ მეტის მწვანით შემოსონ მონასტრის ბორცვი და მიდამონი, მოაშენონ მასზედ ტყე და ბაღები, გაიყვანონ ხეირიანი ბილიკები ეგრედ წოდებულ წმ. ნინოს წყაროსკენ და სხვა შესანიშნავ ადგილებისკენ მონასტრის ახლო-მახლო, გასწმინდონ და გაასუფთაონ ისინი, უბრალო ცოცხალის ღობით მაინც შემოჰღობონ მონასტერი, შეადგინონ მისი დაწვრილებითი აღწერა, დაჰბეჭდონ და იქონიონ ტაძარში გასასყიდად სანთელთან ერთად და სხ. საჭიროა მეტი მხნეობა, ხალისი და და დროს შესაფერი უნარი გამოიჩინონ ჩვენთა მონასტერთა ბერებმა, თორემ გული გიკვდება, როდესაც ჰხედავ ამდენის შრომითა და ხარჯით აგებულს ძეგლსა მიწასთან გასწორებულსა. ხალხიც, მნახველი ყოველ ამისა, ეძლევა სასო-კვეთებას და ნელ-ნელა ეცემა. სულ სხვა იმედით და მხნეობით შეიმოსება ხალხიც, როდესაც ჰნახავს იგი თავისს წინაპართა ნაღვაწს სრულს რიგზედ მოვლილსა და შენახულსა.

სოფელი ბარალეთი.

სოფელი ბარალეთი ძევს ჯავახეთში, 15 ვერსზე ჩრდილოეთით ქალაქ ახალ-ქალაქიდამ. სიტყვა ბარალეთი ქართუ-

ლი სიტყვაა და აღნიშნავს სწორს, ვაკე ადგილსა. ბარალეთი მართლაც გაშენებულია ჯავახეთის ულამაზესი და უნაყოფიერეს ველზე, რომელიც ირწყვის ვახუშტის სიტყვით ბარალეთის წყლითა, ხოლო აწინდელის რუკებით—მენტ-ჯურით (დიდის-წყლითა), რომელსაც ერთვის ხმელი-ხევი, ჩხარუ-ლა და სხვ. ბარალეთს ვახუშტი უწოდებს მცირე ქალაქს და დასახლებულია მესხებით, სომხებით და ურიებითაო. ამ ჟამად ბარალეთში ცხოვრობენ პირველის ორის ხალხის წარმომადგენელნი 150 კომლამდის, ურიები კი სრულიად აღარ არიან აქა.

ბარალეთში არის ორი საყდარი, ერთი ქართველებისა და მეორე სომხებისა. ქართულ ეკლესიის აღმოსავლეთ კედელზე აქამომდე შენახულა შემდეგი შესანიშნავი წარწერა, რომელიც მოგვყავს ისე, როგორც იქ არის:



. . . , . აღშენდა ეკლესიაი ესე მათ ჟამთ შინა, ოდეს ლაშა მეფედ დაჯდა. ადიდენ ღმერთმან ორთავ ცხოვრებასა შინა . . . . . .

ისტორიით ვიცით, რომ ლაშა იყო თამარ მეფისა და მისის მეუღლის დავით სოსლანის შვილი და აღვიდა ტახტზე დედის სიკვდილის შემდეგ 1212 წელსა, მაშასადამე, წარწერა და ეკლესიაც ამ ჟამად უკვე 688 წლისაა და კიდევაც მაგრადა სდგას. წარწერა ესე დაცულია აღმოსავლეთის კედელზე და ჩემს ნახვამდის იგი ისე იყო კირით და ქვიშით ამოლესილი, რომ სრულიად არაფერი ჩანდა. მე ბე-

ჯითად ამოვთალე დანით ამოჭრილს ასოებში ჩალესილი კირი და წარწერა სრულის თავისის ლაზათით და შნოთი გამოჩნდა.

აღმოსავლეთისავე კედლის გვერდით, საფლავის მშვენიერს ქვაზედ, ქართულის მშვენიერის მხედრულით არის წარწერა, რომელიც მოკლედ შეიცავს ქრისტიანობისა და ქრისტიანების ყოფას ჯავახეთში რუსების მოსვლამდე ამ მხარეში (1830 წლებში). აი ეს წარწერა:

„ლოდსა ქვეშე ამისა მდებარე არს გვამი მღვდლის პეტრე ხმალაძისა, რომელიც ჟამსა მაჰმედიანთაგან ქრისტიანეთა დევნულებისა, იყო შეძლებისამებრ შემვლელი და რუსეთის მთავრობის მოსვლასა, ძველთა ქრისტიანეთა ეკლესიის შეწყნარებისა ერთგული წინამძღვარი. აღმკითხველთაგან შენდობასა არს მოქენე, რათა თქვენცა დღესა განკითხვისასა მიემთხვინეთ შენდობასა. ბარდაიცვალა წლისა 90-ისა. სახსოვარი ესე აღაგეს მისთა მმადლობელთა შვილთა“.

სიკვდილის წელი მღვდლის პეტრე ხმალაძისა წარწერაში არ არის მოხსენებული, მაგრამ როგორც ადგილობრივ გამოვიკითხე, იგი გარდაცვლილა 1855 წლებში, მაშასადამე, დაბადებულა 1765 წელსა, მეფე ირაკლის II-ის დროსა.

ბარალეთში აღსანიშნია აგრეთვე სკოლის ახალი შენობა, რომელიც ააშენა სოფელმა სამოსწავლო მთავრობის დახმარებით, 1893 წელსა, ნ. ბ. დარსკის დირექტორობის დროსა. შენობა ქვითკირისაა და იმდენად ვრცელი, რომ მასში თავისუფლად ეტევა 200-ზე მეტი მოსწავლე და მასწავლებლებსაც ბინა შიგა აქვთ. მკითხველს ეხსომება, თუ რამდენი დახმარება აღმოუჩინა ამ შენობამ უკანასკნელ მიწის ნძრევის დროს ბარალეთის ახლო-მახლო მცხოვრებ საწყალ სოფლელებსა, რომელთ სოფლებიც მიწის-ნძრევამ უსასტიკეს ზამთარში სულ მიწასთან გაასწორა, მრავალი ხალხიც იმსხვერპლა და ვინც გადარჩა, ტიტველა და ნახევარ შშიერ-მწყურვალმა აქ, ამ შენობაში მოიპოვა ბინა, მზრუნველობა, ნუგეში, წამალი და საჭმელ-სასმელი (გვ. 9).

ბარალეთის ამაღლების ქვის სვეტი.

ბარალეთი აღსანიშნია აგრეთვე ქვის მაღალის სვეტით, რომელიც ამართულია სოფლიდან ორ ვერსზე ჩრდილოეთით და ეწოდება ამადჯების სვეტი (გვ 29).

როგორც მკითხველი თვითაც დაინახავს აქ მოყვანილ სურათიდამ, იგი წარმოადგენს სიმაღლით ორ საჟენზე მეტს ერთიანის ქვის სვეტსა, ქვისავე ჯვრით დაგვირგვინებულსა, რომელიც ცალკეა სვეტში ჩასმული. აი რას გვიამბობენ ჯავახნი ამ სვეტის შესახებ. წინეთ ეს სვეტი იდგა სოფელ კოთელიაშიო, რომელიც ძევს ბარალეთიდამ სამხრეთ-დასავლეთისკენ ორს ვერსზე და თავზე ოქროს ჯვარი ედგაო. მაგრამ მკრეხელმა (მტაცებელმა) ლეკებმა ერთს ღამეს გაძარცვეს იგი, მოხსნეს ჯვ რი და წაიღესო. ღამის გასათევად მძარცველები დაბინავდნენ იქ, სადაც ახლა სდგას სვეტიო. დილით, გარიჟრაჟზედ, გაიღვიძეს რა ლეკებმა, განცვიფრებულებმა დაინახეს, რომ გაძარცული სვეტი მათს ფერხთა წინაშეა აყუდებული. თავ-ზარ დაცემულებმა, დაუყოვნებლად დასდეს ჯვარი სვეტის ძირსა და უკან აღარც მოუხედნიათ, ისე განქრნენ იქიდამაო. მას აქეთ ეს სვეტი სდგას აქაო, მაგრამ რაიქმნა ის ოქროს ჯვარი, გარდმოცემა აღარაფერს ამბობს.

სახელი „ამადჯების სვეტი“ კი, ამ სვეტს მიუღია შემდეგის მიზეზის გამო. ამოვარდნილა ერთხელ ისეთი ძლიერი ქარი, რომ სვეტი წაუქცევია და ახლაც ისე ეგდებოდაო, რომ ხალხის შემდეგს უბედურებას იგი არ აღემართაო. ერთხელ ისეთი გვალვა დადგა, რომ არც ერთი დათესილი მარცვალი არ ამოვიდაო. ხალხი დრტვინავდა და არ იცოდა რა ელონა, რით მოელბო ცის რისხვა. გამოეცხადა სვეტი ერთს გლეხსა და უთხრა: „წადი და განუცხადე ხალხსა: სანამ არ ამწევენ და თავისს ადგილზე არ დამდგავენ, ცა ერთს წვეთ წვიმასაც არ მოიცემაო!“ გლეხმა, რასაკვირველია, არ დააყოვნა ამ ამბის მოფენა ხალხში, მოიყარა თავი მთელის ჯავახეთის გლეხობამ და შემდეგ მრავალის ცდისა, სვეტი კვლავ ამართესო. ამართვა და დადგმა სვეტისა მოხდა სწო-

რეთ ამადლების დღესაო და ამისგან მიიღო მან თავისი ახლანდელი სახელიო, ხოლო საღამოს იმავ დღისა, ისეთი მადლიანი წვიმა მოვიდა, რომ ნათესი ყველგან გამობრუნდა და მშვენიერი მოსავალიც მოვიდა იმ წელსაო.

მურჯახეთისა და განძის სვეტები (გვ. 11).

სულ სხვა დროს და სხვა კულტს (რჯულს) ეკუთვნის სვეტები მურჯახეთისა და განძისა, რომელთ სურათები მოყვანილია მე-9 გვერდზე. ეს ორი სვეტი ეკუთვნის იმ უხსოვარ დროებას, როდესაც ადამიანები თაყვანს სცემდნენ სიცოცხლის მომცემს ემბლემას. სიმაღლე მურჯახეთის სვეტისა არის 4, სიგანე 1 და სიგრძე თვით სიცოცხლის მომცემის ემბლემისა 1 არშინი. სვეტი ამართულია სოფელ მურჯახეთის დასავლეთის განაპირას, ხოლო თვით სოფელი მურჯახეთი ძევს ქ. ახალქალაქიდამ 4—5 ვერსზედა. ვურჩევთ ყველას, ვინც კი მოჰხვდება ამ მხარეს, უთუოდ ინახულოს მურჯახეთის სვეტი. სოფელში ამ ჟამად ცხოვრობს 30 კომლამდე მეკომური, მათში 12 კომლი მართლ-მადიდებელი ჯავახია, ხოლო დანარჩენები არიან გამაჰმადიანებული ქართველები და რამდენიმე კომლიც სომეხი. მურჯახეთი ცნობილია ჩვენს ისტორიაშიაც: აქ მოხდა საშინელი სისხლის ღვრა, ერთის მხრით, იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის (1510—1548) და მეორეს მხრით სამცხის ათაბაგის ყვარყვარე IV-ეს შორის (1516—1535); ბაგრატს შველოდნენ გურიელი და დადიანი, ხოლო ყვარყვარე მარტო იყო თავისი მესხებით. თუმცა მესხებმა გამოუთქმელი ვაჟკაცობა გამოიჩინეს ამ ბრძოლაში, ყვარყვარე მაინც დამარცხებულ და დატყვევებულ ინქმნა და წაყვანილ იმერეთში, სადაც გარდაიცვალა საპყრობილეში 1535 წელსა *).

---

*) „ქ.-ცხ.“. 2, გვ. 159.

მურჯახეთის სვეტს სოფლელები ეძახიან ძუძუს ქვას, რადგანაც მათის სიტყვით, ამ ქვას აქვს ძალა მისცეს რძე იმ დედებსა, რომლებსაც რძე არა აქვთ შვილების საწოვებლადაო. ეს არის მიზეზი, რომ ადგილობრივის სოფლების დედები ხშირად მოდიან აქ ამ ქვის სათაყვანოდ, მოაქვთ თან ერბო ან ქონი და უსმენ სვეტის თავს, რისგამო სვეტი მარად შავად გამოიყურება. ეს ჩვეულება, ვგონებ, იმავ უხსოვარ დროს უნდა ეკუთვნოდეს, რათა ქონისა თუ ერბოს წასმით, სვეტი დაცული ყოფილიყო წვიმისა და წახდენისაგან. ერთი ასეთივე სვეტი მოიპოვება მურჯახეთშივე 150—200 ნაბიჯზე მოშორებით აღწერილ სვეტიდამ, მაგრამ იგი წაქცეულია და ამიტომ თქმა რისამე მის შესახებ, სანამ ააყენებდნენ, შეუძლებელია. შრიგო კი არ იქმნებოდა, რომ ვისმე გაემეტნა საამისო ხარჯი და სვეტი აეყენებინათ და აეწერათ, მით უმეტეს, რომ ამ საქმეს დიდი ფული და მუშა არ დასჭირდება.

განძის სვეტი უდიდესია ამათში. სიმაღლე განძის სვეტისა უდრის 5-სა და სიგანე $1^1/_2$ არშინსა. როგორც სურათიდამაც სჩანს, ამ სვეტზედაც არის სიცოცხლის მომცემის ემბლემის ქანდაკი, აგრეთვე დასავლეთის მხარეზე მიმართულს გვერდზე. ეს სვეტიც სდგას დასავლეთის განაპირას სოფელ განძისას, რომელიც მდებარეობს მდ. თაფარავნის მარცხენა კიდეზე, 20—22 ვერსზე აღმოსავლეთით ქ. ახალქალაქიდამ.

საზოგადო ისტორიიდამ ვიცით, რომ ნაყოფიერების დასაბამის თაყვანისცემა გავრცელებული იყო მთელს აღმოსავლეთში ძველის-ძველად და არც ეხლაა იგი იშვიათი. ნაკვთები და ქანდაკები ამ ემბლემისა არ შეურაცხებდნენ თვალსა და არც სირცხვილად მიაჩნდათ იგი, რადგანაც გამოჰხატავდნენ ნაყოფიერებისა და გვარის გაგრძელების იდეასა. ასეთი იყო ზნე და ჩვეულება იმ დალოცვილს დროში!

ინდიელები, მაგალითად, დიდის ამბით და ზეიმით დღესასწაულობდნენ ეგრედ წოდებულ ნაყოფიერების დღესასწა-

ულსა. მათი მექანდაკენი და ხელოსნები ათასობით აკეთებდნენ ლითონიდამ და ქვიდამ ერთი-ერთმანეთზე მაცდურ ნაკვთებსა სიცოცხლის დასაპამის ემბლემისას და ჰყიდდნენ საჯაროდა, რადგანაც იგი ითვლებოდა უმთავრეს სამკაულად ყოველის ქალისათვის. თვით ტაძრებში დაცული ჰქონდათ უშველებელი ქანდაკნი ამ ემბლემებისა, რომლის წინაშე ერთხმოდნენ უშვილო ქალები და ცრემლითა და ვიშითა შესთხოვდნენ მას შვილიერებასა. მოგზაურთა აღწერილობიდამ ვიცით, რომ ჯერ ჩვენს დროშიაც, ბევრგან ხდება ეს ამბავი ინდოეთში.

ესევე ითქმის მეორე უძველეს ხალხებზე — ეგვიპტელებზე. ესენი სჭრიდნენ და ჰხატავდნენ სიცოცხლის მომცემ ემბლემებსა ყოველ-გვარ ძეგლებზედა. ამასვე სჩადიოდნენ ასირიელები, ბაბილონელები და სპარსელები. არ ჩამორჩა აღმოსავლეთს განათლებული ძველი საბერძნეთი და რომიცა, რომელთ ევრედ-წოდებული „ვაკხანალები" (ლოთობანები) სავსე იყო წრეს გადასულის დროს გატარებითა და გარყვნილობითა. გაიხსენეთ განათლებულის ათინა-ქალაქის და რომის ეგრედ წოდებული პრიაპის ძეგლები, გაიხსენეთ ყველა მოსწავლისაგან ცნობილი ამბავი, თუ რა დამართეს ათინელებმა ლაღს ალკივიადსა, როდესაც მან ერთის ასეთის „ვაკხანალიის" შემდეგ, მოისურვა მასხარად აგდება ხალხის ცრუ-მორწმუნოებისა და ამ იზრით, ერთად თავისს ამხანაგებთან, სულ მილეწ მოლეწა ძეგლთა ის ნაწილები, რომლებიც გამოჰხატავდნენ ამ იდეას. ამ ამბავმა ისე ააღელვა ხალხი, რომ ალკივიადსა სიცოცხლედ დაუჯდა იგი! ასე ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვი ამ უზნეო რწმენასა! აი ამ დროს ეკუთვნის ჩვენი ჯავახეთის შესანიშნავი სვეტებიცა, იმ დროსა, როდესაც კულტი (სჯული) სულის მსახურებისა ჯერ კიდევ შორს იყო ადამიანის გულისაგან და იგი მხოლოდ ხორციელს ვნებათ ეთაყვანებოდა. ქრის-

ტიანობამ სამუდამოდ დაჰგმო იგი, და ქართველი ხ ლხიც დაადგა სულისა და მისს სათნოებათა მსახურებასა. .

ბელტის ციხე (სურ. გვ. 13).

ბელტის ციხე ძევს მცხეთიდამ ერთს ვერსზე, მის ჩრდილოთ. ბატონიშვილის ვახუშტის სიტყვით იგი „აღაშენა არდამ ერისთავმან". ვინ იყო არდამ ერისთავი და როდის ცხოვრებდა იგი? ამის პასუხს ჩვენ ვპოულობთ „ქართლის-ცხოვრებაში". ვინაობა მისი იქ აწერილია ასე:

„ფიერითგან გაძლიერდეს სპარსნი, ნათესავნი ნებროთისნი და გ მოუჩნდა ნათესავთა შორის ნებროთისთა კაცი ერთი გმირი, ა ფ რ ი დ ო ნ. ამან დაიპყრა მთელი სპარსეთი და წარმოგზავნა ერისთავი თავისი, სპითა დიდითა, რომელსა ერქვა ა რ დ ა მ, შვილი ნებროთის ნათესავთა. მოვიდა ქართლად და შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და ციხენი ქართლისანი, და მოსრნა ყოველნი რაოდენნი ხაზარნი პოვნა ქართლსა შინა. ამან არდამ ერისთავმან მოზღუდა მცხეთა ქალაქი ქვით-კირითა, და აქამომდე არა იყო ქართლს შინა საქმე ქვით კირისა. ამის გამო დაისწავლეს ქვით-კირი. ამანვე არდამ მოჰკიდა კირით ზღუდე ციხესა არმაზისასა და აქათ მტკვრამდის, და წარმოზღუდა ცხვირი არმაზისი, ვიდრე მტკვრამდე"...

ბელტის ციხის შესახებ კვლავ ვკითხულობთ „ქ.-ცხოვრებაში" შემდეგსა:

„ხოლო ამან ა ზ ო ნ მ ა ნ (ალექსანდრე მაკედონელის მოადგილემ საქართველოში) მოარღვივნა ზღუდენი ქალაქისა მცხეთას, საფუძველითურთ, და დაუტევნა ოთხნი იგი ციხენი, რომელნი მოსდგმიდეს პირსა ქართლისასა. თავადი ციხე, რომელ არს ა რ მ ა ზ ი, და ერთი ციხე, დასასრულსა არმაზის ცხვირისასა, და ე რ თ ი თ ა ვ ს ა ზ ე დ ა მ ც ხ ე თ ი ს ა (ბელტისა), მეოთხე ციხე, დასავლით, მცხეთა მტკვარსა ზედა, ესენი მოამტკიცნა და განავსნა იგინი ლაშქრითა, და ყოველთ ქართლისა ქალაქთა მოარღვივნა ზღუდენი და დაიპყრნა ყო-

ველნი საზღვარნი ქართლისანი, ბერდუჯის (ბორჩალოს) მდინარიდგან, ვიდრე ზღვამდე სპერისა (შავის ზღვისა). დაიპყრა ეგრისიცა და მოაარკე ჰყენა ოსნი, ლეკნი და ხაზარნი"...

აქ მოხსენებული მესამე ციხე—ერთი თავსა ზედა მცხეთისა—არის ის ციხე, რომელსაც ბატონიშვილი ვახუშტი უწოდებს ბელტის ციხესა, სდგას იგი მომაღლო მთაზედ, ზედ არაგვის მარჯვენა კიდეზედ და იმ გზაზედ, რომელიც შემოდის მცხეთაში ჩრდილოეთიდამ, ე. ი. დარიალის ხეობიდამ. როგორც თვით სახელწოდებიდამაცა სჩანს, ციხე პირველად ყოფილა ბელტისა, ე. ი. ყამირის მიწის ნაჭრებიდამ აგებული, ხოლო, არდამ ერისთავს დაუქცევია იგი და მის ადგილას აუგია ქვით-კირისა, რომელიც დღეს-აქამომდე ჯერ კიდევ მთლადა სდგას თითქმის უზიანოდ და შეურყეველად. დღეს ხალხი ამ ციხეს უწოდებს ბებრის ციხეს, ვინმე ბებრისა გამო, რომელიც მათის სიტყვით მჯდარა აქა და ხარკი უხდევინებია გამვლელ და გამომვლელისათვის, რისთვისაც ციხეს გზისაკენ დატოვებული აქვს სამზვერავი ფანჯარა Ციხის კედლები აგებულია მთლად ლიტონის ქვითა და კირითა.

ახლა, როდის ცხოვრებდა არდამი და, მაშასადამე, როდის არის აშენებული ეს ციხე? როდის არის აშენებული თვით ბელტის ციხე, ე. ი., როცა ის პირველად ბელტით ააშენეს, ამის თქმა ძნელია, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ იგი თითქმის თანამედროვე უნდა იყოს თვით მცხეთის დაარსებისა, რადგანაც ციხეს ისეთი ადგილი უკავია, რომ მცხეთელებს და მისს მმართველებს, ეჭვი არ არის ძლიერ ადრე უნდა ეგრძნოთ და ემცნოთ ამ ადგილის საციხეობა. ხოლო, რაც შეეხება არდამის დროს, იგი, როგორც მკითხველი ჩვენის ისტორიიდამაც შეიტყობს, რომელიც ამავე ნომერში იბეჭდება ცალკე დამატებად, ცხოვრებდა 1600 წლებში ქრისტეს შობამდე, მაშასადამე, დღეს ეს ციხე არის 3500 წლისა.

ბელტის ციხის ძირში, ზედ გზის ნაპირზე, ცნობილმა

არქეოლოგმა ბაიერნმა († 1886 წ.) აღმოაჩინა ეგრედ წოდებული სამთავროს ძველის დროის სასაფლავო, დოლმენები (ქვის საფლავები), რომლებიც წარმოადგენენ ისტორიის წინა დროის საფლავებსა. ამ დოლმენებზე და ბაიერნისაგან მათში აღმოჩენილ ნივთებზე, ჩვენს ჟურნალში დაბეჭდილი იქნება ცალკე წერილი.

ხმალში გატანება

(ქართული „დუელი“).

მეფის ვახტანგის სამართლის სიტყვით,

„საქართველოში რიგი და სამართალი ექვსი არის,
რომე ამითი თავი იმართლების“

და ამ ექვს რიგში მეოთხედ მოხსენებულია ხმალი, ხმალში გატანება (რუსულად—поединокъ). ხმალში გატანება შეადგენდა დამტკიცებას, თავის გამართლების საშუალებას. მაგრამ ისტორია მოწმობს, რომ ხმალს პირვანდელ დროში სხვა მნიშვნელობა ჰქონდა. ხმალი მომდინარეობდა შურის ძიებიდან და ნიშნავდა ბრძობას, რომლის ძალით ორს მოპირდაპირე მებრძოლს ბოლო უნდა მოეღო გადამტერებულ გვართა სისხლის ღვრისათვის. მხოლოდ დროთა განმავლობაში ხმალი გარდაიქცა დამტკიცებად, რომლითაც „თავი იმართლების“.

აქ ეგრედ წოდებული ევოლიუციის კანონი მოქ'ედებდა და ამ კანონმა ჩვენებურს ხმალზედაც თავისი გავლენა იქონია.

ხმალი ხშირსა და თითქმის საყოველთავო ჩვეულებას შეადგენს. არიელ ერთა გარდა, იგი ბევრს სხვა მოდგმის ხალხსაც მოეპოვება. საქართველოში ხომ ხმალს დიდი პატივი ჰქონდა. და რატომაც არა, როდესაც ჩვენი წარსული რაინდული ცხოვრება ხელს უწყობდა ამ სავაჟკაცო განსჯას და გაბჭობას. ფიცს იშვიათად ჰხმარობდნენ. ჯერ ახლაც უბირი და უმზაკვრო მოჩივარი უფრთხის ფიცსა და ძველ დროს ხომ ფიცის მიღება საშინელს განსაცდელს წარმოადგენდა:

„ყოველი მოსამართლე ფიცის მოხდენას ეკრძალოს და სხვა რიგად მოჩივრის გარიგებას ეცადოსო“,—

ამბობს მეფე ვახტანგი. მაგრე რიგად არც მოწამეს მისდევდნენ:

„მოწამე დიად სწამთ და იციან უფრო ბერძენთა, ფრანგთაცა და რუსთაცა“... მაგრამ აქ, ქართველში, უფრო არ განუწესებიათო“;—

ბრძანებს იგივე მეფე. რაკი ასე იყო, ხმალს დიდი და ფართო მოედანი დარჩა. მეტადრე მაღალი წოდება, დიდ-კაცობა ძრიელ ეტანებოდა ამ სამართლის იარაღსა. მგრედ წოდებული შანთი (გახურებულ რკინით გასამართლება) და მდუდარე ისრე ვერ იზიდავდა ქართველის გულსა, როგორც ხმალი. მიზეზი ცხადია: თვითეული თავადი თუ აზნაური განხორციელებულ რაინდს წარმოადგენდა და აბა რაინდის გულსა შანთი და მდუღარე ისრე რა გზით აატოკებდა და მოინადირებდა, როგორც ხმალი!?...

ევროპაში ფეოდალურმა ცხოვრებამ დიდად ააღორძინა და აღამაღლა ხმალი. ფეოდალობა აღიარებდა, რომ ვინც გაიმარჯვებს, იგი მართალიც არის, ძალაში მდგომარეობს სიმართლეო... ამ ზნეობრივს საფუძველზედ დამყარდა სამართლის ქმნა. ფიზიკური ძალა გაბატონდა, ხორციელი ღონე გამეფდა. თვით საბჭო მოედანზედ მხოლოდ იარაღის ჟღარუნი-ღა ისმოდა. რაინდობის დაარსებამ ხომ უფრო მეტი დიდება მიანიჭა ხმალსა. ისტორია მოგვითხრობს, ხმალმა ისე გაიტაცა საზოგადოება, რომ მთელ წლობით დაქირავებულნი ჰყავდათ ხმალში გამსჯელნი, რომელთა ვაჟ-კაცობა ეჭვს გარეშე იყო. იმათს ხელობას შეადგენდა ბრძოლა სამართლის ასპარეზზედ. სახარბიელო იყო ეს ხელობა, რადგანაც გასამრჯელო დიდი ეძლეოდათ, მაგრამ სახიფათოც: თუ დაქირავებული სისხლის სამართლის საქმის გამო დამარცხდებოდა, სახრჩობელაზედ ჩამოჰკიდებდნენ, ხოლო სამოქალაქო

საქმის წაგებისთვის ცოტა ნაკლები სასჯელი ეწერა — ხელებ. ზედ თითები უნდა დაეჭრათ...

საქართველოში ამ ზომამდე საქმე არ მისულა, მაგრამ ჩვენებურმა ფეოდალობამაც დიდი მნიშვნელობა და ძალა შესძინა ხმალსა. თუმცა ხმალი სამართლის წიგნში მეოთხე რიგად არის მოხსენებული, მაგრამ ყველაზედ პირველად კი იგია აღწერილი და განმარტებული. სხვათა შორის, ეს გარემოებაც ამტკიცებს, რომ ხმალს პირველი ადგილი ეჭირა სიმართლის ქმნაში, თუ ყველა წოდებისთვის არა, დიდ-კაცობისთვის მაინც... აქ სხვა საბუთიც შეიძლება მოვიყვანოთ. ჩვენი სამართალი აწესებდა, ხმალში გასვლა შეიძლება მხოლოდ დიდის დანაშაულისათვის, როგორც, მაგალითებრ, მეფის ორგულობა და ღალატია, მეფის სალაროს გატეხა, საყდრისა და ხატის გატეხა და სხვა ამათი მგზავსი. ყველა ეს ისეთი დანაშაულია, რომლის ჩადენა მაღალ-წოდების კაცს უფრო ეხერხებოდა და ემარჯვებოდა. და მართლაც ჩვენის ისტორიის სტრიქონებზედ მეტად ხშირად აღნიშნულია მეფის ღალატი, იმის სალაროს გატეხა და სხვა ამ გვარი და იქვე ნაჩვენებია, რომ ამ ბოროტებას დიდნი და მაღალნი მისდევდნენ: აბა სად მეფის სალარო და სად გლეხი!... დიაღ, ხმალში გატანება, რომელიც ჩვენის წარსულ ცხოვრების ბუნებრივსა და ორგანულს თვისებას შეადგენდა, თითქმის მარტო მაღალ წოდებისათვის არსებობდა. ევროპაშიაც მხოლოდ კეთილშობილს და თავისუფალს ჰქონდა ნება ხმალში გასვლისა. მონანი, ბატონის ნების დაურთველად, ხმალში ვერავის გაიწვევდნენ და თუნდაც გაეწვიათ, მოწინააღმდეგეს უარი შეეძლო ეთქვა.

ჩვენებური ხმალი მხოლოდ სისხლის სამართალში იხმარებოდა და, როგორც უკვე შევნიშნეთ, მძიმე დანაშაულისათვის. ეს შეადგენდა მისს არსებადს თვისებას. ხოლო ევროპაში სხვაფრივ იყო. იქ, მეტადრე X—XI საუკუნეს, როცა ხმალის ვარჯიში უმაღლეს წერტილამდე მივიდა, თვითოე-

ული საქმე, სასისხლო თუ სამოქალაქო, შეიძლებოდა ხმლით გარდაწყვეტილიყო. სულ უბრალო და უმნიშვნელო საჩივარი საკმაო იყო, რომ ხმლისთვის მიემართათ. მოჩივარს შეეძლო. თუ კი საქმეს წააგებდა, თვით მოსამართლენი გამოეწვია ხმალში. ამისთვის საჭირო იყო აღეარებინა — თქვენი განაჩენი უსამართლო და უპატიოსნოაო. მაგრამ თუ ასეთი თავხედი და კადნიერი ხმლის მოედანზედ ვერ გაიმარჯვებდა, საღრჩობელაზედ უნდა ასულიყო...

საქართველოში ხმალს აქამდე არ მიუღწევია, ჩვენი ხმალი ადვილად ხელ მისაწვდენ იარაღად არ გარდაქცეულა და ეს გარემოება ცხადად ღაღადებს, რომ ქართველნი კრძალვითა და მოწიწებით ეპყრობოდნენ ხმალსა. მართლაც-და, ჩვენებურს ხმალს უფრო მეტი რელიგიური ხასიათი და თვისება ამჩნევია, ვიდრე ევროპიულს. იქ უჯერო და უმართებულო ხმარებით ხმალს .თითქო დიდება მოაკლდა და ზეციური ძალა გამოელიაო (მოგეხსენებათ, რომ ხმლის საქმეს, მაშინდელი აზრით, ღვთაება განაგებდა)...

ევროპაში ხმალი მაშინ აღორძინდა, როცა შანთმა და მდუღარემ ძალა და მნიშვნელობა დაჰკარგეს. საზოგადოება ჰხედავდა, რომ ხშირად აშკარა დამნაშავე და მტყუანი, შანთითა თუ მდუღარით განბჭობილი, მართლდებოდა. ეშმაკი და ბოროტი სული ერევა შანთსა და მდუღარეშიო, ფიქრობდა გულ-უბრყვილო საზოგადოება. ოქმის მსგავსად კერძო კაცის განსამართლება უფრო ემჯობინებაო. ასეთს შეხედულობას იმ დროინდელი ზნეობაც ფრთებს ასხავდა. სივაჟკაცე ჲ სიმამაცე მეტად დიდს ფასში იყო. ლაშქრობა ჲ სამხედრო ვარჯიშობა ხომ სასიქადულო ხელობას შეადგენდა. მაშ რაღა საკვირველია, რომ შანთმა და მდუღარემ პირველი ასპარეზი ხმალს დაუთმეს!... მაგრამ უსაფუძვლო და უნიადაგოა ის აზრი, რომელსაც ზოგნი მეცნიერნი აღიარებენ, — ვითომ ხმალი მაშინ დაარსდა, როცა შანთმა და მდუღარემ ძალა დაჰკარგა. არა და არა! ხმალი სიმართლის პირვანდელი ია-

რალია და თუ შემდეგ თავისის სხივითა და ელვარებით აღემატა შანთსა და მდუღარეს—ამ უბრალო რკინასა და წყალსა—ეს თვით ცხოვრების ბრალია. საქართველოს ისტორიის პირველ ფურცლებზედ აღბეჭდილია იგი ხმალი. როდესაც ქართველი ბუმბერაზი ველზედ გაიწვევდა მტრის ბუმბერაზს, ეს ხმალი იყო და არა სხვა რამე. ორთა „შებმულთა“ სისხლით უხილავად თვით ღვთაება აღბეჭდავდა ხოლმე განაჩენს... როგორც უკვე შევნიშნეთ, ჟამთა ვითარებით ჩვენებური ხმალიც აღორძინდა, მაგრამ შანთი და მდუღარება კი სრულად ვერ მოსპო, ვერ სძლია ვახტანგის სამართალში შანთი თითქო კიდეც ეცილება ხმალსა, ხმლის მოედანზედ ვარჯიშობს. აი ამის საბუთიც: სამართალი ამბობს—

„შანთი მაშინ აეღებინების, რომე ან ბატონის დალატი და ორგულება, ან საყდრის და ხატის გატეხა, ან ბოზობა, ან მსგავსი ამისი შეემთხვეს“.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ თვითეული ეს დანაშაული ხმლითაც გარდასწყდებოდა ხოლმე და უმეტეს შემთხვევაში უფრო ხმლით, ვიდრე შანთით.

ხმალში მაშინ გადიოდნენ, როცა დანაშაული საეჭვო იყო. ცხადს დანაშაულს თვით მოსამართლენი სდებდნენ განაჩენსა. ასრე იყო ევროპაშიაც და საქართველოშიაც ევროპაში ნება-რთვა ხმალში გასვლისა დამოკიდებული იყო უმაღლეს სამსჯავროზედ, რომელსაც ბატონობდა და პატრონობდა ფეოდალი—სენიორი. ხმალში გაწვევის ფორმას თათმანის სროლა შეადგენდა (брошенная перчатка). ჩვენში ნება-რთვას იღებდნენ მეფისაგან და ზოგს შემთხვევაში ფეოდალისაგან (მთავარი, ერისთავი, დიდებული), რომელიც თითქმის იგივე მეფე იყო თავისს ფეოდში. არა სჩანს, თათმნის სროლა ხმარებაში იყო, თუ არა.

როცა ნება-რთვას აიღებდნენ, მზადებას შეუდგებოდნენ. რადგანაც ხმალი ღვთის სამართალსა და მსჯავრს მოასწავებდა, საჭირო იყო ცოდვათაგან განწმენდა და განბანვა. ხო-

ლო ცოდვათაგან ისრე რა იხსნის და განკურნავს კაცსა, როგორც გულ-მხურვალე ლოცვა და ვედრება ღვთისადმი. სამართალიც პირველად ამას ავალებდა ხმალში გამსვლელთა:

,,ხმალში გატანება ამ წესით უნდა, რომე ან ორმოცსა და ან ნაკლებ დღემდინ ადოცონ''...

ევროპაშიც, ვიდრე ხმალს ამოიღებდნენ და მოედანზედ გამოვიდოდნენ, «შესაბმელი კანონი» (ჩვენი სამართლის ტერმინია) უნდა მომზადებულიყვნენ, ხოლო ეს მომზადება სულის ზრუნვაში მდგომარეობდა. იქაც ლოცვა და ვედრება იყო საჭირო. მომზადების შემდეგ, „შესაბმელთა კანონთაგის" თითო წიგნი უნდა დაეწერათ ასეთის შინაარსისა—

,,სასწორო და სამართალო ღმერთო მე, ესე და ეს კაცი, გეაჯები და გეხვეწები, სხვას ჩემს დანაშაულს დღეს ამაში ნუ მკითხავ; რასაც ეს კაცი მიდებს და მეწამების, თუ იმაში უმართლე ვიო და არას ვერიო, იმისი თავი მე დამინარჩუნე, თორემ ჩემი თავი იმას დაანარჩუნეო''.

სამართალი განაგრძობს, რომ—

,,ამ რიგი წიგნები ორთავ უნდა დაუწერონ, ან ულზედ და ან შუბის ბუდესთან შეაბან''.

ღვთისადმი აჯასა და ვედრებას ევროპიელ სამართალშიაც თავისი ფორმულა ჰქონდა. მაგ., „შესაბმელი კაცი", რომელიც ვისმე დანაშაულს სწამებდა და ხმალში იწვევდა, ხახარებაზედ ხელს სდებდა და ასრე ღაღადებდა:

,,უკეთუ ღმერთი, ოოველნი წმინდანი მისნი და წმიდა იგი სიტყვა, ამა სახარებასა შინა აღწერილი, მეოხ მეყვიან, დავამტკიცებ, რომ დამნაშავემ ჭქმნა ოოველივე, რასაც მე ვაბრალებ''.

ხმლის დაწყობამდე აჯა და ვედრება მიუცილებლად საჭირო იყო.

ევროპაშიაც და ჩვენშიაც სამართალი აწესებდა, რომ ,,შესაბმელთა'' იარაღი უნდა დაიმზადონო. მეტადრე ევრო-

პიელი სამართალი დიდს ყურადღებას აქცევდა იარაღსა. იქ ეს საგანი დაწვრილებით იყო განმარტებული. იარაღი თანასწორი უნდა ყოფილიყო და თუ, მაგ., ერთს უფრო გრძელი შუბი ჰქონდა, ისრე უნდა დაემოკლებინა იგი, რომ ორივესი ერთის სიგრძისა ყოფილიყო. შებმის წინად მოსამართლეებს იარაღი უნდა გაესინჯათ და თითოეული „შესაბმელიც“ ჰფიცავდა, მართალი იარაღი მაქვს, მოტყუებას და ღალატს არ ჩავიდენო. გარდა ამისა, მაღალი წოდების კაცნი სხვაფრივ უნდა შეიარაღებულიყვნენ, ვიდრე დაბალ წოდებისანი. მაგალითებრ, პირველნი, თავიდამ ფეხამდე, იარაღში ისხდნენ, ცხენზედ მჯდომარენი იბრძოდნენ, ხოლო მეორენი—ფეხ-და-ფეხ და ჯოხით გადიოდნენ ხმლის მოედანზედ. თუ, მაგ., აზნაური დაბალ წოდების კაცს ხმალში გაიწვევდა, იმასაც პირ-ახდილს (თანასწორთან მუზარადი, ჩაჩქანი და სხვა ამ გვარი სამკაული ეცვა) და მარტო ჯოხით უნდა ებრძოლა,—თავი რად დაიმცირე და შენზედ დაბალი ხმალში რად გაიწვიეო. აი საიდგან მომდინარეობს ჩვეულება, რომ კეთილშობილის ჯოხით გალახვა და სილას გარტყმა დიდად სათაკილოა და იგი ამ თაკილს ეხლაც ძნელად აიტანს და სიცოცხლესაც ანაცვალებს, თუმცა გლეხისათვის ჯოხი და სილა მაგრე რიგად არაფერი შეურაცყოფაა...

ჩვენი სამართალი იარაღის დამზადებას მოკლედ განმარტებს:

„ის შესაბმელნი კაცნი, როგორც შეეძლოსთ, ისრე შეეკაზმნენო“,

მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ ამ საგანს ჯეროვანს ყურადღებას არ აქცევდნენ. „შესაბმელთა“ იარაღის თანასწორობა სავალდებულო იყო. დანაშაულად მიაჩნდათ, როდესაც ხმლის გამტანი რომელსამე ხრიკს იხმარდა, სავაჟკაცოზნესა და ქველობას უღალატებდა. ბევრჯელ ეგეთი დანაშაული დიდს ქიშპს ასტეხდა ხოლმე და თვით მეფეს უნდა დაემშვიდებინა ალელვებული საზოგადოება. არა ერთი და

ორი მაგალითი მოიპოვება სიგელსა და გუჯრებში, რომ ხმლის დროს ჩადენილს თაღლითს ახალი სისხლის ღვრა მოუხდენია. და უკეთუ წარსულს ჩვეულებას თავს დავანებებთ და აწინდელს წარმოვიდგენთ, მაგ., ლიხთ-იმერთა ბურთაობას, მაშინაც ცხადი იქმნება, — თუ რა სასტიკად ეპყრობოდნენ სახმლო ზნეობის შელახვას...

ხმალში გასვლის დროს სასამართლო ნიშნავდა. თვით ადგილს **მოედანი** ეწოდებოდა. სამართალი აწესებდა, რომ ხმალი ყველას თვალ წინ უნდა მოქმედებდეს და ცოცხალ მაგალითს უნდა წარმოადგენდეს მაყურებელთათვისო. **მოედანი** წმინდა ადგილად ითვლებოდა. იქ ღვთის მსჯავრი სწარმოებდა. აი თვით ამ სამსჯავრო ადგილის სურათიც: მოედანი მრგვალი იყო, მოკრიალებული და მოსუფთავებული, გარეშემო თხრილითა და ღობით შემოზღუდული, ასე რომ ფეხით ან ცხენით ზედ გადახტომა არვის შეეძლო. ღობეს თოკი ჰქონდა შემოვლებული და თოკს იქით მაყურებელნი უნდა მდგარიყვნენ. **მოედნის** ახლო სახრჩობელა იყო ამართული. **იქვე** იდო ბარი და ნიჩაბი. **მიხვდებით**, — თუ რისთვის .. **მოედანზედ**, თავსა და ბოლოს, ორი კარავი იდგა. **ვიდრე** მსჯავრის საათი დაჰკრავდა იქ იცდიდნენ შეკაზმულნი „**შესაბმელნი**". **ჩვენებური** მოედანიც ასეთივე იყო. **მეფე** ვახტანგ ამბობს:

„ის **შესაბმელნი** კაცნი ერთი თავს **მოედნისას** და ერთი **ბოდოს** დადგენენო"...

მაგრამ იმ კოპწია **მოედანზედ** სხვანიც იდგნენ, — **მემათრახენი** (აწინდებურად секунданты). **ევროპაში** ოთხი **მემათრახე** იცოდნენ, **რომელთაც** **მოედნის** **მარშალი** ეწოდებოდათ. **საქართველოში** კი ორს **მემათრახეს** სჯერდებოდნენ:

„**შესაბმელთა** კაცთა **ოითო** **მემათრახე** ჩაატანონ, **რომ** **ოითოს** ფარისა და **მათრახის** **მეტი** **იმათ** **არა** **იქონიონ** **რა**".

მოედნის **მარშალი** **და** **ჩვენებური** **მემათრახე** ერთი **და**

იგივეა, თუმცა მათ შორის ცოტა განსხვავებაც მოიპოვება. მარშალი, მემათრახეობის გარდა, ცერემონ-მეისტროობდა კიდეც, თუ ასე ითქმის. ძართველ მემათრახის მოვალეობა კი უფრო ზნეობრივი იყო. იგი მფარველი და მოსარჩლე იყო ძლეულისა და ხმალში გამტანს, აფრთოვანებულს გამარჯვებით, ნებას არ აძლევდა მოეკლა დამარცხებული,—

,,რა რომე ერთი გადავარდეს, მაშინ მემათრახენი მიეშველნენ და არ მოაკვლევინონ''...

ევროპაში კი გამარჯვებული ჰკლავდა ცხენიდგან გადავარდნილს, უკეთუ ეს უკანასკნელი არ შეეცვლრებოდა,—სიცოცხლე მაჩუქეო. თუ სთხოვდა, მაშინ მარშლებს ძლეული მიჰყავდათ... სახრჩობელასკენ. ჩვენში ძლეული ჯერ მეფესთან უნდა მიეყვანათ.

როცა ხმლის ჟამი დადგებოდა, ,,შესაბმელნი'' დაპირდაპირდებოდნენ. მემათრახეთ იგინი უნდა გაეშვათ. აი ერთმანერთს შეუტიეს... დაიწყო ბრძოლა. ზოგჯერ შებმა დიდ ხანს გასტანდა ხოლმე. ჩვენი მთიელნი ეხლაც რამდენსამე საათს დაუღალავად ,,კეჭსაოებენ'' დაშნებით. უიარაღო მემათრახენი მარტო ამ სავაჟკაცო სანახავს უმზერდნენ, მაგრამ

,,როცა ერთ-ერთი მებრძოლი გადავარდეს, მეფეს მოართვან და მერე მეფეს, ვით ხამდეს, ეგრე ქმნასო''...

მაშასადამე, ჩვენებურს მემათრახეს ძლეული, სახრჩობელას მაგივრად, მეფის საკარძელთან მიჰყავდა... იქ, მეფის წინაშე, საცოდავს და საბრალოს, უფრო მეტი ლმობიერება და სათნოება მოელოდა. მეფეზედ იყო დამოკიდებული, რა სასჯელსაც გაუჩენდა ძლეულსა. სახრჩობელას ჩვენში იშვიათად ხმარობდნენ. ევროპაში კი, თითქმის ყველა გზის პირად და თვითოეულ ფეოდალის ეზოს წინ სახრჩობელა იდგა.

ძართველებმა დიდის ყოფითა და ამბით იცოდნენ ხმალში გასვლა. ორთა ვაჟ-კაცთა ,,შეტევება'' თვალ წარმტაცს სურათს წარმოადგენდა. მაინც ქართველ კეთილშობილისა-

თვის ტაიჭსა და იარაღზედ ძვირფასი არა იყო-რა. პოეტის თქმისა არ იყვეს,—

ცხენთა თქრიალი, შუბთა ტრიალი,
ჯირითთ სრიალი, ხმალთა კრიალი.

საამო სანახავს შეადგენდა და თვით

,,მეფე და ჯარნი ხმალში შებმულთა შეტევებას შორიდამ უყურებდნენ'',—

ამბობს მეფე ვახტანგი. მშვიდად და წყნარად იდგნენ მაყურებელნი. მებრძოლთა მშობლებს ხმლის მოედანთან ყოფნის ნება არა ჰქონდათ. მოედანზედ და მის გარშემო სრული სიჩუმე სუფევდა. ძრძალვა და შიში ღვთის მსჯავრის წინაშე ცხადად იხატებოდა მაყურებელთა სახეზედ. სასტიკად აღკრძალული იყო, ვისმე სიტყვით თუ ნიშნით რომელსამე ,,შებმულისათვის'' თანაგრძნობა და შემწეობა აღმოეჩინა. ევროპაში სიკვდილით სჯიდნენ ასეთს დაუდერაგს. ჩვენშიაც, ხმლის დროს, დიდი წესიერება იყო დაცული. მეფე და ჯარი ამიტომ უყურებდნენ,

„რომე მოუვრობით ან სხვა რიგად არ ვინ მიეშველოსო“...

ევროპაში შებმა შუადღისას იწყებოდა და ვარსკვლავების ამოსვლამდე გრძელდებოდა. თუ ამ დროამდე არ გათავდებოდა, მაშინ ხმალში გამომწვევი ძლეულად ითვლებოდა და სასჯელს ვერ წაუვიდოდა. ჩვენში ასე არ იყო: აქ ნამდვილს გამარჯობას თხოულობდნენ—

,,რომელიც გარდავარდების და ან გაიქცევის, ის გამტეუნებულ იქმნების''.—

სხვა გვარი გამარჯვება არა სწამდათ.

მაგრამ მოხდებოდა ხოლმე, რომ ორნივ შებმულნი თანასწორნი ვაჟკაცნი იყვნენ და ამიტომ,

,,ვინ იცის, ორნივ გადავარდნენ''.

ხმალი მაინც არ თაყდებოდა:

,,უნდა დაცალონ, ქვეითად ერთმანეთზედ მიუშვან

და რომელიც წაიქცევის, სამართალი იმას დარჩებისო''.

სამართლის ასეთი შეხედულება ზედ გამოჭრილია ჩვენს ზნეობაზედ. ახლაც, მაგალითებრ, ჭიდაობის დროს, ცალიერ წაქცევას დამარცხებად არ სთვლიან, — მიწაც უნდა აალოკინონ ზურგითაო...

ევროპაში ძლეულის ცხენი და იარაღი ფეოდალს მიჰქონდა, ძლეულის სახლ-კარიც უნდა დაექციათ. სახრჩობელა ხომ კიდევ სხვა იყო. მეტადრე ქალს ულმობელად ეპყრობოდა ევროპიელი სამართალი. ზოგჯერ ქალსაც ნება ჰქონდა ხმალში გასულიყო და თუ დამარცხდებოდა, ცოცხალი კოცონზედ უნდა დაეწვათ ან ცოცხალი მიწაში უნდა ჩაეფლათ. ჩვენი სამართალი ქალის ხმალში გასვლას არ იხსენიებს და იგი გასვლა ხმალში არც საჭირო იყო.

,,ირაღი გარდავარდნილისა გარდამგდებისა არის და ცხენი მემათრახისაო'', —

ამბობს მეფე ვახტანგი. უკვე აღვნიშნეთ, რომ ,,გარდავარდნილისათვის'' სასჯელი მეფეს უნდა გაეჩინა.

ნ. ურბნელი.

ბიბლიოგრაფია

კონსტანტინე ბატონიშვილი.

Ისტორიული დრამა 5 მოქმედებად, ა. ყაზბეგისა.

წარსულს 19 გიორგობისთვეს ქართველ მსახიობთა დასმა წარმოადგინა ხუთ მოქმედებიანი დრამა „კონსტანტინე ბატონიშვილი". **წ**არმოდგენამ საზოგადოდ სუსტად და უფერულად ჩაიარა, მაგრამ ჩვენ უფრო იმან გაგვაკვირვა, რომ შინაარსი პიესისა ძალიან შორს არის ისტორიულს სიმართლესა და სინამდვილესთან. **პ**იესისათვის ავტორს საჩრულად მიუცია სიუჟეტული კონსტანტინე ბატონიშვილისა თავისს რძლისა — კახეთის დედოფალ ქეთევანისადმი, მაგრამ ვინ არ ვიცით, რომ სიუჟეტულს აქ არავითარი ადგილი არა ჰქონდა და კონსტანტინე თუ თხოულობდა ლამაზის რძლის ხელსა, მხოლოდ იმიტომ, რომ ამით ერთხელ კიდევ შეერყია ქრისტიანობისადმი სიმტკიცე ქართველებში და თვით კახეთის ტახტიც ადვილად ეგდო ხელთ. **ა**რ გავჯიუტდებით და ჩვენც ვიტყვით, რომ რჯულის მოღალატე ბატონიშვილი უარს არ იტყოდა ახალ-გაზდა ქვრივ და ლამაზ დედოფალ ქეთევანის შეუღლებაზედ, მაგრამ მიზანი ~~ბ~~ მიზეზი მისის ყოველის მოქმედებისა მაინც ეს არ იყო. **პ**ატარაობიდამვე შაჰა-აბასის კარზედ გაზრდილს, კონსტანტინეს მხოლოდ ის ენატრებოდა, რომ: ა) თავისი მბრძანებელის შაჰის ნება და სურვილი შეესრულებინა და ბ) კახეთის პატარა დესპოტად შეექმნილიყო, ვითარცა შაჰა-აბასი მთელის სპარსეთისა. **რ**ომ კონსტანტინე ბატონიშვილს მაჰმადიანობა ქეთევანის ქმრის დავით-მეფის

სიკვდილის შემდეგ მიეღო, ჰო, მაშინ კიდევ შეიძლებოდა გვეთქვა, რომ კონსტანტინემ იმიტომ გაჰსცვალა ქრისტიანობა მაჰმადიანობაზე, რომ უკანასკნელის მიღებით ნება მიჰცემოდა მას რძლის შერთვისა, მაგრამ ისტორიით ვიცით, რომ დავით მეფე გარდაიცვალა 1603 წელს, მისი ძმა კონსტანტინე კი ამ დროს უკვე დიდის ხნის მაჰმადიანი იყო. ავტორი ამით არ კმაყოფილდება და მამასთან ერთად, ბატონიშვილს კონსტანტინეს თავისს უფროსს ძმას, ქეთევანის ქმარს—მეფე დავითსაც აკვლევინებს 1605 წელს, მაშინ როდესაც, დავით მეფე უკვე ორის წლის მკვდარი იყო და კონსტანტინემ დავითი კი არა, მეორე ძმა გიორგი მოაკვლევინა. დავითის სიკვდილი ავტორს ეჭვი არ არის, იმისთვის დასჭირდა, რომ ქეთევან დედოფალი დაქვრივებულიყო და იგი კონსტანტინესთვის შეეროო, მაგრამ ჭკვა სად არის?! ზანა ისეთი ქალი, როგორიც იყო ქეთევანი, რომელსაც ეჭვი არ არის კარგად იცნობდა კონსტანტინე, ან თუ არ იცნობდა, გაგებული ექნებოდა ეს, ქმრის მკვლელს თავისს დღეში ქმრად მიიღებდა?!... ზარდა ამისა ისტორიით ვიცით, რომ ბატონიშვილი კინსტანტინე მოკლულ იქმნა კახელებთან ბრძოლაში 1605 წელს, პიესაში კი იგი თვით ქეთევანის მოწამეობასაც ესწრობა, რომელიც მოხდა 1624 წელსა, ე. ი. თითქმის ოცის წლის შემდეგ კონსტანტინე ბატონიშვილის სიკვდილიდამ. ახლა მოგვყავს ცნობანი კონსტანტინე ბატონიშვილის შესახებ ისე, როგორც მოგვითხრობენ ამას ჩვენი მატიანენი და მეისტორიენი.

საშინელი დრო იყო საერთოდ საქართველოსათვის მე-XVI საუკუნის მეორე ნახევარი და მე-XVII-ის დასაწყისი. საქრისტიანო ჰორიზონტზე ამ დროს გამოჩნდა ძლიერი რუსეთი, დამამხობელი ყაზანისა და ასტრახანის თათართა სამეფოებისა (1556 წ.). სპარსეთმა და ოსმალეთმა ინსტიქტიურად იგრძნეს, რომ საქრისტიანო საქართველოს უჩნდება ახალი მოკავშირე და მფარველი (ბიზანტიის დამხობის მერე), რომ

დღეს თუ ხვალ, ჩრდილოეთის ბუმბერაზი ხმას აიმაღლებს საქრისტიანო საქართველოს ერის დასაცველად და აი, განძვინებულებმა დაიწყეს ჩვენის,—ისედაც ურთიერთთა მტრობით, ომებით, დარბევით და ძმათა სისხლის ღვრით,—ქვეყნის რბევა, განადგურება, დაპყრობა, გამაჰმადიანება, ქართველის ხალხის ამოჟლეტა, ასი ათასობით ცხრა მთას იქით გადასახლება და სხვ.

ბაიხსენეთ ლალა-ფაშის შემოსევა საქართველოში 1578 წელს, როდესაც მან დაიპყრო თბილისი და ჩააყენა შიგ ოსმალეთის ჯარები. 1558 წელს სვიმონ მეფემ მართალია კვლავ დაიბრუნა სატახტო ქალაქი და განსწმინდა საქართველო ოსმალებისაგან, მაგრამ 1581 წელს ოსმალნი ხელ-მეორედ შემოესივნენ საქართველოს, აიღეს თბილისი და დაბანაკდნენ მუხრანში. რამდენსამე წლის შემდეგ სვიმონ მეფემ კვლავ წარსტაცა ოსმალებს თბილისი და განდევნა ისინი საქართველოდამ, მაგრამ 1590 წელს ოსმალნი კიდევ შემოესივნენ ხაქართველოს და დაიჭირეს გორი და სომხეთი (სამხრეთი საქართველო). სიმონმა კვლავ აამხედრა მრავალ-წამებულნი ქართველნი, კვლავ გარეკა ოსმალნი საქართველოდამ, მაგრამ 1599 წელს განძვინებულმა სულთანმა ამურატ III მეხუთე-ჯერ თუ მეექვსე-ჯერ კვლავ გამოგზავნა უდიდესი ჯარი ჯაფარ-ფაშის წინამძღოლობით და უბრძანა საქართველოს დაპყრობა. ბმირი სვიმონი ეჭვი არ არის ახლაც ძველებურად ნაცარ-ტუტას აადენდა ოსმალებს, მაგრამ ბედმა უმუხთლა და მტრის ბანაკის დაზვერვის დროს ისე ახლო მივიდა მტერთან, რომ ოსმალებმა შენიშნეს, გამოეკიდნენ, მეფეს ცხენი ლიაში (ტალახში) ჩაეფლა, ცოცხლივ დაიჭირეს და ოსმალეთში გაჰგზავნეს, სადაც მალე გარდაიცვალა კიდეც 1600 წელს.

ბაიხსენეთ ახლა სპარსეთის მძვინვარებანიც: 1601 წელს შაჰ აბას პირველმა ჩამოართვა ქართლის მეფეს ბიორგის (სვიმონ-მეფის შვილს) სომხეთი, ხოლო კახეთის მეფეს ალექ-

სანდრეს—საინგილო; 1605 წელს ამავე შაჰ-აბასმა მოსთხოვა მეფე ბიორგის მაჰმადიანობის მიღება, მაგრამ მეფემ უარი სთქვა და ამიტომ მოწამლულ იქმნა შაჰის ბრძანებით. ბამეფდა შვილი მისი ლუარსაბ II. 1615 და 1616 წლებში შაჰა-აბასი ზედი-ზედ ორჯელ შემოესია ქართლ-კახეთსა და სრულიად გაანადგურა ისინი. მაგრამ ისე არაფერს არ შეუმწიკვლია ადამიანის ღირსება, როგორც შაჰა-აბასის მზაკვრობით კახეთის ბატონიშვილ კონსტანტინესაგან მამისა და ძმის მოკვლას. საქმე იყო ასე: კახეთის მეფეს ალექსანდრეს II-ეს (1574—1605) ჰყვანდა ოთხი შვილი: დავითი, ბიორგი, ირაკლი და კონსტანტინე. მოკლებულნი წესიერს და დამოუკიდებელ მეფურს სწავლა-აღზრდასა, კახეთის ბატონიშვილები მეტისმეტი ურჩნი და თავხედნი აღიზარდნენ: მესამე შვილმა ირაკლიმ ვერ აიტანა უფროსი ძმის უდიერად მოპყრობა და განივლტო ოსმალეთში (კონსტანტინეპოლში); მეორე შვილმა ბიორგიმ მოინდომა უფროსის ძმის დავითის მოკვლა, რათა თვით გამეფებულიყო მამის სიკვდილის შემდეგ, მაგრამ დავითმა დაასწრო მას, დაატყვევა იგი და ერთგულნი მისნი, აგრეთვე მეფე-მამა, და თვით გამეფდა, მაგრამ ექვსის თვის მეფობის შემდეგ მოკვდა 1603 წელს. დავითს დარჩა ცოლი ქეთევანდედოფალი, ასული მუხრან-ბატონის აშოთანისა და ერთი მცირე-წლოვანი ვაჟი თეიმურაზ. მეოთხე შვილი კონსტანტინე ხომ შინაც არ დააყენეს: იგი პატარაობიდამვე გაისტუმრეს სპარსეთში შაჰა-აბასთან, რომელმაც მაჰმადიანობაც კი მიაღებინა მას და მით სამუდამოდ გაუორგულა იგი სამშობლოს. აი ეს გამაჰმადიანებული ბატონიშვილი კონსტანტინე გახადა შაჰა-აბასმა თავისი ქვენა აზრების შესრულების იარაღად და საქართველოს საუკუნოდ დასამონებლად. მან მოუწოდა კონსტანტინეს და უთხრა: «წაიყვა კახეთს ჯარი, წაულე მამაშენს ეს ხალათი, მოჰკალ იგი და ძმა შენი და თვით გახდი კახეთის მეფეთო».

აღზრდილი აღმოსავლეთის დესპოტის კარზე, კონსტან-

ტინე ბატონიშვილს დიდად იამა თავისი მბრძანებელის ასეთი წყალობა და დასტური მოახსენა. დარაზმა ჯარი, მოვიდა საინგილოს და დადგა სოფელ ბაზარში. გაიგო მეფე ალექსანდრემ შვილის ჩამოსვლა საქართველოში და დიდად იამა, რომ ყაენს ასე გაუბედნიერებია მისი შვილი... რა ვუყოთ რომ რჯული გამოიცვალა, მაშ როგორ უნდა ეშოვნა ხარისხი და პატივი!.. მეფეს მალე კაციც მოუვიდა წერილით, რომლითაც სჯულის მოღალატე შვილი იწვევდა მამას თავისთან შაჰის წყალობის გამოსაცხადებლად და დროს გასატარებლად. ბულ-უბრყვილო ალექსანდრემ არ დააყოვნა და შაჰისგან ასე განდიდებულს შვილს თვით ეახლა მემკვიდრე გიორგით. კონსტანტინესაც სწორედ ეს უნდოდა: გაეგება მამას და ძმას დიდის მოსიყვარულობით, მიართვა მამა-მეფეს შაჰ-აისაგან გამოგზავნილი ხალათი და მიეცა განცხრომას და ლხინს. მაგრამ ორიოდე დღის განცხრომის შემდეგ, კონსტანტინემ უგრძნეულად თავს დაასხა მამა-შვილს თავისი ჯარი და უსირცხვილოდ დაახოცინა ისინი. მოაკვლევინა რა მამა და ძმა, კონსტანტინემ აფრინა კაცი ქეთევანთან და შეუთვალა: „შაჰამ მე მომცა კახეთის მეფობა; შენ ქმარი არა გყავს, მომთხოვდი მე და ვიქმნეთ—შენ დედოფალი და მე მეფე კახეთისაო“. თავ-ზარ-დაცემულმა ქეთევანმა უარი შეუთვალა. კახელები მეტად გამწარდნენ. მოიყარეს თავი, დასვეს ქეთევანი მეფედ და მიუხტნენ მამის მკვლელს და რჯულის მოღალატე ბატონიშვილს. სპარსელები თავ-გამოდებით იბრძოდნენ, მაგრამ, როცა გაფიცებულმა კახელებმა ბატონიშვილი კონსტანტინე შიგ შუა ჯარში აკუწეს, სპარსნი დაფრთხნენ და მცირედნი-ღა გადარჩნენ კახელების სისხლის ძიებას. ასე უბედურად დაასრულა ბატონიშვილმა კონსტანტინემ თავისი არა სვიანი სიცოცხლე 1605 წელს.

Сборникъ матеріаловъ для описанія мѣстностей и племенъ КАВКАЗА, выпускъ XXVII—კრებული მასალათა, აღსაწე-

რად ადგილია და ტომთა კავკასიათა, გამოცემა XXVII, კავკასიის სამოსწავლო უწყებისაგან. სხვა მრავალ წერილთა შორის, კავკასიის ერთა და ადგილთა შესახებ, კრებული შეიცავს 5—6 სტატიას მარტო ქართველებისა და საქართველოს შესახებ. აი ეს სტატიები.

1) **Уголокъ Лечхума**—კუთხე ლეჩხუმისა. სტატია ეკუთვნის **ი. მოსეშვილს** და შეიცავს შემდეგს საგნებსა:

> დაბა ლაილაში. სიჭრელე მცხოვრებთა. აზნაურობის მაძიებელნი. მშვენიერი სასახლები გზა-გზა. ს

სათვის წარვიდა ვიდრე ავიდოსამდე *), რათა მიერ ბოგოს ნავი, კერძოთა სპანიისათა მიმავალი და წარვიდეს მუნ. და, რომელი იგი მას ყამსა მთავრობდა ავიდოსს, ფრიად საუვარელი იყო მამისა იოანესი, და მეგობრობისა მისისათვის გამოუცხადა მას გულის სიტყვაი თვისი; ხოლო იგი წინააღუდგა, და, რაოდენ შესაძლებელი იყო მისგან, აბრკოლებდა"...

Დედანის ეს ადგილი თავდება იმით, რომ Იოანეს დაუჯერია რჩევისათვის და კვლავ Ათონის მონასტერში დაბრუნებულა.

Ესპანიისა და საქართველოს ი ვ ე რ ი ე ლ თ ა ერთი და იგივე სახელწოდება ერთ გვარად იზიდავდა რომაელთა და ბერძენთა მწერალთა ყურადღებას. ზოგნი ამტკიცებდნენ, რომ საქართველოს Ივერიელნი გამოსულები არიან Ესპანიიდამაო, ხოლო ზოგნი ამბობდნენ, რომ პირ-იქით, Ესპანიის Ივერიელნი არიან საქართველოდან მოსულნიო. საქართველოს და Ისპანიის ერთ-ტომობის აზრს ეჭვი არ არის აქვს რაიმე საფუძველი და ამიტომ ურიგო არ იქნებოდა, რომ ჩვენი და ევროპის ლინგვისტნი (ენათ მცოდნენი) შეისწავლიდნენ ამ მხრით ბ ა ს კ უ რ ს ა **) და ქართულს ენებსა.

---

*) ა ვ ი დ ო ს ი ძველს დარდანელის სრუტის აზიურს კიდეზე.

**) ბასკები—ივერიელთ ტომის ხალხია, ცხოვრებენ ბისკაის ყურის კიდით დასავლეთის პირინეების მთა-გრეხილის ორივე მხრით, საფრანგეთსა და ესპანიაში, რიცხვით 800,000 სული, ლაპარაკობენ საკუთარ ენაზე, აქვთ საკუთარივე მწერლობა. მე-XI საუკუნეში ბასკებმა დაიფუძნეს დამოუკიდებელი სამეფო, რომელიც 1376 წ. შეერთებულ იქმნა დანარჩენ ესპანიასთან. ძათი წინაპრები იბერები ცნობილ არიან ვითარცა მკვიდრნი ესპანიისა ორი ათასი წლის წინათ ქრისტეს დაბადებამდე; ნაწილი მათი—სორდები არე სარდები—გადასახლდა სარდინიასა და სიცილიაში; ლაპარდის კამოკვლევამ დაადგინა, რომ იბერიელნი გავრცელებულნი ეოფილან

3) **Село Сачилаво** — სოფელი საჭილავო. სტატია ეკუთვნის მარანის სკოლის ზედამხედველს Иасон ძაპანაძის კალამს და შეიცავს:

> **მ**დებარეობა და საზღვრები. ჭვავ და ხალხის ჯანმთელობა. ნიადაგი და მცენარეობა. საქმენი მცხოვრებთა. ვაჭრობა. დაბა ორპირი. მცხოვრებნი. შვილების ადზრდა. სკოლა. ჩვეულებანი და დდესასწაულნი. გარდმოცემანი, ზღაპრები, ანდაზები, გამოცანები და ცრუ-მორწმუნოებანი საჭილავოელთა. ძმანი ჭილაძენი გარდმოცემა). საკვირველი ხარი (ზღაპარი); ქორწილი 363 ძმისა (ზღაპარი).

სტატია საკმაოდ დიდია და შეიცავს მრავალს საინტერესო ცნობას მოხსენებულ საგანთა შესახებ. **მ**ოგვყავს აქ იქიდამ გადმოცემა სოფელ საჭილაოსა და ჭილაძეთა გვარის შესახებ.

„სოფელი საჭილავო დაუარსებია მე-VIII საუკუნეში ქრ. შემდეგ ორს ძმას ჭილაძეს, რომელთაგან ერთს ჭრქმევია **შ**ედან და მეორეს ჯავახი. შედანი დამკვიდრებულა სცა ახლა **სა**ჭილავოა, ხოლო ჯავახი მისს საძხრეთით, ძდ. რიონს გადმა, სცა ახლა სოფელი **ს**აჯავახოა“.

ეს ორნი ძმანი მოსულან აქ იმ დროს, როდესაც 731 წელს საქართველოში მძვინვარებდა **მ**ურვან-ყრუ. **ძ**

ლამაზნი, მდიდარნი და ნამდვილნი გმირნი ყოფილან. **მ**ათი სიმდიდრე იმითა მტკიცდება, რომ საკუთარის ხარჯით ორი ეკლესია აუშენებიათ **ე**რთს მათგანში აქამომდე დაცულია **მ**აცხოვრის ხატი, რომელზედაც სხვათა შორის დახატულნი არიან მღვდელთ-მთავარი **ე**რემია ჭილაძე და **ვ**არნოზ ჭილაძე.

თვით ასტორისა, კანარისა და სხვა მათ ახლო-მახლო მდებარე კუნძულებზე და აგრეთვე ჩრდილო ათრიკაში, რომლის მკვიდრნი — ბურბერები — აგრეთვე ცნობილ არიან მათ მონათესავე ხალხად. ამტკიცებენ, რომ ეტრუსკებიც იბერიელთა ტომს ეკუთვნოდნენო.

ერთხელ იმერეთის მეფეს ბაგრატს (რომელს, გარდმოცემა არ ამბობს) გაუგზავნია საჭილავოში თავისი კაცები სანადიროდ. ჭილაძეებს რო უნახავთ მეფის კაცები, დაუთხოვნიათ და დაჰმუქრებიან, თუ კიდევ გაგიბედნიათ ჩვენს მამულში გავლა, დაგხოცავთო. მეფე დიდად გამწყრალა და გარდაუწყვეტია გმირი ძმების ამოწყვეტა, მხოლოდ როგორ, ელოდდა უკეთესს შემთხვევას. ეს შემთხვევაც მალე გამოჩნდა. ვინმე ზიორგი ქორძაიას მოუხსენებია მეფისათვის, მე მომანდეთ ეგ საქმეო. მეფე დათანხმებულა და დიდს წყალობასაც დაჰპირებია. ამისათვის ქორძაიამ ჯერ მოისყიდა ჯავახ ჭილაძეს სიძე—ქაცია ჩიქოვანი, რათა ამან მოჰკლას სიმამრი. ჩიქოვანმა დაჰპატიჟა ჯავახი და მოჰკლა იგი მძინარე. ქორძაია დაუყოვნებლივ მიიჭრა შედანთან და თავში ცემით შესტირა და შეჭრიალა ძის მოკვლის ამბავი. შედანი გამოეგება ასეთივე ყოფით და აი ამ დროს ქორძაიამ მოჰკლა შედანიც. ამ სამსახურისათვის ულმობელს ბაგრატს უბოძებია ჩიქოვანისათვის ოდიშის თავადობა, ხოლო ზიორგი ქორძაიასთვის აზნაურობა და სოფელი საჭილავო. შთამომავალნი მისნი ახლაც ცხოვრებენ აქ 80 კომლამდისო.

4) **О происхожденіи грузинскаго народа и его языка** —ქართველებისა და მათის ენის დასაბამი. წერილი ეკუთვნის შედარებითის ენათა ცოდნის მაგისტრს ა. ბლეიეს, რომლის აზრით, ქართველები არიან შთამომავალნი იმ ელამიტებისა, რომელნიც 2300 წლის წინად ქრისტეს შობამდე მოვიდნენ აღმოსავლეთიდამ და დაიპყრეს ბაბილონი, სირია და მცირე აზია, ე. ი. უგანათლებულესი ქვეყნები ძველის დროისა, რისგამოც ელამიტებისა და მათს შთამომავალთა — ქართველების ენაში ვხვდებით მრავალ სემიტიურს სიტყვებსაო. ბლეიე აგრეთვე ამტკიცებს ელამიტებისა და ურარტელების (არარატელების) შთამომავლობის ერთდაიგივეობას, ხოლო, რო ურარტები მახლობელნი ნათესავნი იყვნენ ქართველებისა, ეს უკვე ევროპის ბევრმა მეცნ-

ნიერმა დაამტკიცა ეგრედ წოდებულის ვანის ლურსმულის წარწერებით, რომელთ ენა აღმოჩნდა ქართულის ენის მონათესავე ენად.

5) **Этимологія картвельскихъ этнографическихъ и географическихъ именъ** — სიტყვის წარმოება ქართულ ეთნოგრაფიულ და გეოგრაფიულ სახელ-წოდებათა. წერილი ეკუთვნის მ. ჯანაშვილის კალამს და განმარტავს, თუ საიდამ და როგორ წარმოსდგა თვითეული სახელ-წოდება ჩვენის ხალხისა, ქვეყნისა და მის ნაწილებისა, მაგალითად: საქართველო, სამშვილდე, ამერეთი, იმერეთი, ივერია, იბერია, ალაზანი, არაგვი, ბარდაბანი, მცხეთა და სხვა.

В. П. Авенаріусъ. „Передъ разсвѣтомъ". Повѣсть для юношества изъ послѣднихъ лѣтъ крѣпостного права. Спб. изд. книжн. магаз. П. Луковникова. 1900 г.

მოთხრობა ესე ერთგვარად სახალისო და სასარგებლო საკითხავია ახალ-გაზდებისა და დიდებისათვის. ბმირი მოთხრობისა გვიამბობს თავისს ცხოვრებას ბატონ-ყმობის დროს ბატონის ოჯახში და ამ გვარად თვალ-საჩინოდ გაგვაცნობს როგორც ბატონ-ყმობას, ისე გლეხთა განთავისუფლების დიადს ხანას.

Война и трудъ, Сп. 1900 г. М. В. Аничкова — **ომი და შრომა, მ. ვ. ანიჩკოვისა.** ავტორი მოხსენებულის წიგნისა შესანიშნავის ხელოვნებით და თავისებურობით სწყვეტავს დიადს კითხვასა: რა მოსპობს ომებსა ხალხთა შორისო? მისის აზრით, კაცთ-მოყვარული ქადაგებანი მაღალ-ზნეობიან მოაზრეთა ომის მოსპობაზე ლიტონი ოცნებაა. აგრეთვე შემცდარნი არიან ის მეცნიერნი, რომელნიც ჰგონებენ, რომ ომს თვით ომი მოჰკლავსო, ე. ი. აწინდელი ტეხნიკა და ქიმია ისეთის სისწრაფით მიდის წინ, რომ, ბოლოს, ყოვლად შეუძლებელი-და იქნება ომიო და, მაშასადამე, იგი უნდა მოისპოსო. ანიჩკოვს არ სჯერა ესა და ამბობს: უკანასკნელი

გამარჯვებანი აბისინელთა იტალიელებზე და ბურებისა—ინგლისელებზედ ცხადად მოწმობენო, რომ ტეხნიკისა და ქიმიის ყოვლად შემძლებლობას ომის მოსპობაში ადგილი არა აქვს და რა გვარათაც უნდა განვითარდეს ქიმია და ომის ტეხნიკაო, ისინი ომს ვერ მოსპობენო. ასეთსავე ტკბილს იმედებს აძლევდა ქვეყანას ყოველი ახალი გამოგონება სამხედრო საქმეში უწინდელს დროშიო, მაგრამ ვინ არ ვიცით, რომ იმედი იმედად დარჩა და ომები მაინც არ მოისპოვო.

მაშ რა მოსპობს ომსაო? როცა ხალხთა შორის დამყარდება სრული თავისუფლება გადასვლა-გადმოსვლისა ერთი სახელმწიფოდამ მეორეში, როდესაც თვით საქმით აღიარებული იქნება ყველგან თავისუფლება შრომისა და ვაჭრობისა, როდესაც ადამიანს აღარ ეცოდინება რა არის საბაჟეთი, ბაშფორთი, როდესაც ადამიანი, გარეშე თვისის ხალხოსნობისა, ყველგან ერთგვარად თავისუფლად იგრძნობს თავისს თავს, მაშინ რაღა თქმა უნდა, რომ ომი ყოვლად შეუძლებელი ღა იქნებაო, იმიტომ კი არა, რომ ადამიანები უფრო კეთილნი და განათლებულნი იქნებიანო, არამედ იმიტომ, რომ ერთიანი მტერი აღარავის ეყოლება და, მაშასადამე, ვის და რას უნდა ეომონო,—დასძენს ბ-ნი ანიჩკოვი. და, მართლაც, თუ კი მე, გარეშე ჩემის ენისა, რჯულისა და ხალხოსნობისა, ყველგან მკვიდრად მეგულება ჩემი თავი, მაშ ვისთან და რისთვის უნდა ვიომო? ბამოდის, რომ **საბაჟო საზღვრები**, აი ის კერა, სადაც უმეტეს შემთხვევაში ღვივდება ცეცხლი ომისა, აი საქმე, რომლის მოწეს-რიგებას და, ბოლოს, სრულიად მოსპობასაც უნდა სცდილობდნენ სახელმწიფოები, რომ მოისპოს ომებიო.

მე-XIX საუკუნე. დასრულდა მეცხრამეტე საუკუნე—XIX და დადგა მეოცე—XX. **რუსეთისა** და საზღვარ-გარეთის **მწერლობა** სავსეა მრავალ-ფეროვანის წერილებით წარსულის საუკუნის შესახებ. **მოგვყავს** ზოგიერთი მათგანი.

ამერიკელი პროფესორი ტგინგი, ეხება რა სწავლა-განათლების საქმეს წარსულს საუკუნეში, ამბობს: მეცხრამეტე საუკუნე გარდასცემს მეოცეს დაუფასებელს იარაღს წინ-სვლისას—ოცცხალს ინტერესს სწავლა-აღზრდისადმი, რომელიც გახდა ძირეულ ძალად თანამედროვე ცხოვრებისაო. სკოლის მასწავლებელს მარად საპატიო ადგილი ეჭირა საზოგადო ცხოვრებაშიო, მაგრამ უწინ იგი დამოკიდებული იყო სხვაზე და არასოდეს არ ეკავა მას პირველი ადგილიო. სულ სხვას ვხედავთ მე-XIX საუკუნეში ამ მხრივა: წინეთ სკოლის მასწავლებელი ფეხით ვიდოდა ბრბოშიო, ხოლო ახლა იგი ცხენზე მჯდომარე წინ უძღვის მასო: იგი ახლა ნამდვილი წინამძღოლი და მომავლის საერთო მბრძანებელიაო. ცხოვრების არც ერთს დარგში არ შეუტანია მე-XIX საუკუნეს იმდენი სიკარგე, გონიერი წესნი და აღფრთოვანებული ტრფიალება საგნისადმი, რამდენიც ამ საუკუნემ ხალხის სწავლა-აღზრდის საქმეში შეიტანაო.

პროფესორს შენგოფს მიზნად დაუდვია თავი მოუყაროს ნივთიერ შეძლებათ მეცხრამეტე საუკუნისას და წინააღმდეგ მალტუსის თეორიისა, ამტკიცებს, რომ ხალხის გამრავლებას მოსდევს პროპორციალური წარმოებაც, რადგანაც საერთო წინ-სვლის წყალობით მატულობს ახალის, იქამდე ხელ-უხლებელის ადგილების შემუშავება და წარმოებაო. დასამტკიცებლად თავისის აზრისა, შენგოფი ადარებს ერთმანეთს საფრანგეთსა და ინგლისსა. როგორც ვიცითო, მიწა და ნიადაგი საფრანგეთისა გაცილებით უკეთესია ხვნა-თესვისათვის ინგლისისაზე, მაგრამ 1854 წლიდამ ხვნა-თესვის წარმოება ინგლისისა ერთი ორად აღემატა საფრანგეთისასაო. მიზეზი ამისი ის პოლიტიკური თავისუფლებაა, რომლითაც სამართლიანად შეუძლიან თავი იქოს ინგლისმაო; ხოლო პოლიტიკურ წინ-სვლას ხომ მარად თანა სდევს ეკონომიური, ნივთიერიცაო. ტტყუილად კი არა სთქვა მონტესკემ: „ხვნა-თესვა ვრცელდება და ვითარდება რომელისამე ქვეყანაში

არა მისის ნიადაგის სიკეთის-და-გვარად, არამედ მისის თავისუფლების-და-გვარადო“. შვეიცარიასა, ნორვეგიასა, ჰოლანდიასა, ბელგიასა და გერმანიაშიო ხვნა-თესვის წარმოება სჭარბობს საფრანგეთისაზეო. რუსეთი და იტალია ამ მხრით იმ ხარისხზედ დგანან, რა ხარისხზედაც საფრანგეთი ამ ასის წლის წინათ და ინგლისი ორასის წლის წინათ იდგაო. რომ საფრანგეთშიაც იმ ხარისხამდე ავიდეს ხვნა-თესვის წარმოება, როგორც, მაგ., ბელგიაშიაო, მაშინ საფრანგეთის წარმოებას მოემატებოდა 300,000 ჰექტოლიტრი *) წელიწადში, ხოლო ხვნა-თესვა რუსეთისა რომ გაუთანასწორდეს საფრანგეთისას, ყოველ წლიურს წარმოებას მისას მიემატებოდა მილიარდი ჰექტოლიტრიო. ერთი სიტყვით, კაცობრიობას სრულიად არ უნდა ეშინოდეს გამრავლებისა და საზრდოს ნაკლებობისა მომავალშიო.

*) ჰექტოლიტრი (ბერძ.)—საწყაო საფრანგეთში, უდრის დახლოვებით 8 ვედრას სითხისას ანუ $1^1/_2$ ფუთს წონისას.

როგორ გაჩნდა ღვინო

(ხალხური ლეგენდა *)

ნოემ აშენა ვენახი,
ღვინო ვერ დააყენაო,
დალონებულსა ნოესა
ეშმაკი უდგა წინაო.
— „ნოევ, ვერ გიქებ ღვინოსა,
შენ ვერ ახარებ ვაზსაო,
თუ ამხანაგად გამიხდი,
გასწავლი ვაზის ხელსაო.
„ისეთი ღვინო დაგიდგეს,
კაცი ებრძოდეს ლომსაო,
ყველა ქართველი გაქებდეს,
თან სვამდეს ყურძნის წვენსაო“.
— ბასწი, ეშმაკო, დამეხსენ,
შენ ვინა გკითხავს რასმეო,
თუ ღმერთი ზედაშეს ითხოვს,
მეც დავაყენებ მასაო.
აშენა ნოემ, აშენა,
ღვინო ვერ დააყენაო,
გაჭირვებულსა ნოესა
ეშმაკი უდგა წინაო.

---

*) ნათქვამი ტარუაშვილისგან (სურ. გვ. 15), ჩაწერილი ი. ალხაზიშვილისაგან.

— „ნოე, დამითმე, ვენახი,
ხერხი სჯობია ლონესო,
ისეთს თილისმას გასწავლი,
ღვინო დაუდგეს ყველასო“.
ნოე გადუდგა ღვთის მცნებას,
ეშმაკმა შეაცდინაო,
ადგა და ძმობა შეჰფიცა,
პირ-სახემ გაუცინაო.
წაჰყვა ეშმაკი ვენახში,
ასწავლა თილისმობაო,
ნოეც ადვილად მიუხვდა,
ყველა ისწავლა კარგაო.
პირველად მთელსა ვენახსა
უსხა და უსხა წყალიო,
მეორეთ დაკლა ბატკანი,
სისხლითა მორწყა კარიო.
მესამეთ დაკლა ბულბული,
სისხლი აწვეთა ვაზსაო,
მეოთხეთ დაკლა მოზვერი,
სისხლი დაასხა სარსაო.
მეხუთეთ დაკლა ლომ-ვეფხი,
მეექვსეთ მაიმუნია,
ბოლოს დახოცა ღორები,
სულ მორწყა მინდორ-ტყენია.
მიდის და მოდის ზაფხული,
მას მოსდევს შემოდგომაო,
ნოემ დაწურა ყურძენი,
ქვევრს ღვინო დააყენაო.
ნოემ უცადა, უცადა,
გულმა ვერ მოუთმინაო,
შესვა და შესვა ნუნუა,
მიწვა და მიიძინაო.

ბატიტვლებულსა ნოესა,
ძამი დასცინის მამასო,
იაფეტს შერცხვა, გაბრუნდა,
რა დამართვია ამასო!
მას აქეთ საქართველოში
ყველა აშენებს ვაზსაო,
მას აქეთ ღვინოს თან დაჰყვა
თილისმაც ეშმაკისაო.
ზოგი სვამს ღვინოს წყალივით,
მერე კრავივით მშვიდია,
ზოგი მოჰყვება ჭიკჭიკსა,
ბულბულსავითა ყბედია.
ზოგი კი მოზვერს ემსგავსის,
შფოთავს და ჭირვეულია,
ლომ-ვეფხად გადაქცეული,
იბრძვის, ეშმაკის სულია.
ზოგი მაიმუნს ემსგავსის,
უსირცხვილო და ფლიდია,
კაცის ღირსება სადღა აქვს,
მასხარა მაიმუნია.
ზოგი კი ჩვენი ღორივით
ტალახში ამოსვრილია,
საცა კი წუმპესა ნახამს
გორაობს, ბედნიერია.
ნეტავ მას, ვინცა ბულბულსა
არ გასცდეს, მოილხ ნოსა,
კარგი სვას, კარგი ჭამოსა,
მიწვეს და მიიძინოსა.

ნ ა რ ე ვ ი.

რა არის დარანი?

სოფლებ-დაბებში და ნაოხრებ ძველის-ძველ ნასოფლარებ ადგილებს სახლებ ქვეშ ღრმად გაყვანილი ხვრელებია, ამოყვანილი დიდვრიანი ბალავარ-ლოდებით და ზეითგან დაბურვილი დიდვრიანის ფიქლებითა, აქეთ-იქით მეზობლისას მისასვლელად, ან უბნითგან უბანს გარდასასვლელად, ან შორს სადმე სიმაგრეებში, ციხე-კოშკებში ასასვლელად, ან ქვაბებში და ან ტყე-ღრეში დასამალავად მებრძოლ მტრების შემოსევის დროს. აი ეს არის დარანი. ამისთანა დარნებს ალაგ-ალაგ სასუნთქი, ქვებში ამოჭრილი კოკროჭინები (წვრილი ნახვრეტი) აქვთ ჰაერის შესასვლელად. ამათში ბევრ ნაირი სამალავები არის ქონებისა, და საცხოვრებელი სენაკები აქეთ-იქით მთელ სოფლეულად. ასეთი დარნებია, მაგ, ხიზაბავრას (ჯავახეთში). სენაკებში დღესაც ჰყრია გროვა-გროვა ნახშირები პურის საცხობად და საჭმლის მოსამზადებელად. 1700 წლებში დასცემიან ხიზაბავრას სპარსები თუ ოსმალ-ლეკნი. მეცხვარე-მენახირეებს მთიდგან ცხვარ ძროხა მოურიდებიათ ვარახის ციხისკენ ხშირს შეუვალს ტყეში და სოფლეულად ჩაკეტილან დარნებში სრულ ორ თვეს. რა შემოჰკლებიათ საზრდო, წასულან ფარულის გზით მესათხეველენი, უნადირიათ თევზი მტკვარში, წაულიათ ახალი ნამცხვარი ლავაშები და ახლად მოხარშული თევზი და დაუწყვიათ წყაროსთან, სადაც ჰქონიათ დარნის ქვის კარნი. რა უნახიათ ეს მტრებს, გადასწყვეტიათ

იმედი დარნის გატეხისა ტყვეს გასაყვანად, ამდგარან და წასულან.

ასეთი დარნები მრავალია სამესხეთოში, მეტადრე ნანგრევ-ნაოხრებში.

ვინმე მესხი.

დიდის დავით კურატპალატის ჯვარი. დავით კურატპალატი იყო კლარჯეთის მფლობელი. საუკუნო ხსოვნა დასტოვა ქართველთა გულში და მატიანეში იმით, რომ მან 980 წელს გაამეფა თავისი შვილობილი ბაგრატი ქართლში, ხოლო 985 წელს აფხაზეთში და ამ გვარად ხელი შეუწყო ამერეთ-იმერეთის გაერთიანებას. დავით კურატპალატი ცნობილია ჩვენსა და უცხოთა ისტორიაში კიდევ იმით, რომ მან მიაშველა საბერძნეთის იმპერატორს ბასილს 12,000 რჩეული ქართველთა ჯარი, Oორნიკე ბერის წინამძღოლობით, რომელმაც დაამარცხა თავ-გასული სკლიაროსი და ამ გვარად დაიხსნა იმპერატორი დიდის განსაცდელისაგან.

მღ. პ. ქარბელაშვილი სწერს „ივერიაში“, რომ სოფ. ბრილში, რომელიც ძევს სამს ვერსზე სოფ. ალიდამ (გორის მაზრაშია), ამ ორის წლის წინათ გლეხს პეპო ქართველიშვილს თავისს სახლის ეზოში უთხრია მიწა და სხვათა შორის უპოვნია ვერცხლის ჯვარი, რომელიც გლეხს თავიანთის სოფლის მღვდლისათვის ისიდორე მაჭარაშვილისათვის მიუთმევია, ხოლო ამ უკანასკნელს ჩამოუტანია იგი Oბილისს და გადუცია საეკლესიო მუზეუმისთვის. ჯვარი სიმაღლით ნახევარი არშინია, სიგანით 6 ვერშოკი, გაკეთებულია ხალასი ვერცხლიდგან და დაფერილია ოქროში. წინაპირზედ დიდის ხელოვნებით გამოქანდაკებულია ჩუქურთმით ჯვარცმა ქრისტესი. ჯვარს აქეს შემდეგი ხუცური წარწერა: „ქ ᲐᲓᲓᲔ ᲓᲓᲔᲒᲠᲫᲔᲑᲘᲗ ᲓᲗ ᲙᲝᲠᲝᲠᲝᲠᲘᲢᲘ, ᲐᲜ,“: ქრისტე, ადიდე დღეგრძელებით დავით კუროპალატი, ამინ.

კათედრა ქართულის ლიტერატურისა მოსკოვის უნივერსიტეტში.

მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტებს მიუმართავთ უნივერსიტეტის მთავრობისათვის თხოვნით, რომ დაარსებულ იქნას კათედრა ქართულის ენისა და ლიტერატურისა მათს უნივერსიტეტში. თხოვნა შეუწყნარებია მთავრობას და პირველ ენკენისთვიდან პროფესორი ლაზარევის უნივერსიტეტისა ა. ს. ხახანაშვილი დაიწყებს ლექციების კითხვას ქართულის ისტორიისას და მწერლობისას მოსკოვის უნივერსიტეტში. ორი საათი კვირაში დანიშნულია ლექციებისთვის, ხოლო ერთი საათი იმათთვის, ვისაც ჰსურს ქართული წერა-კითხვა და ენა შეისწავლოს („Рус. Вѣд.“).

ურიგო არ იქნებოდა, რომ პატივცემულს პროფესორს თავისი ლექციები ქართულის ისტორიისა და ლიტერატურის შესახებ ჩვენის საზოგადოებისთვინაც გაეზიარა. ჩვენ დიდის სიამოვნებით დავუთმობდით მისს ლექციებს ადგილს „მოგზაურში“.

სამხრეთი საქართველო

(სომხეთი).

I

სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს გაცნობა ჩვენთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენს; დღევანდლამდისაც არ არის განსაზღვრული მისი გეოგრაფიული საზღვრები, ისტორიული მდგომარეობა და პირობები ძველის ძველად და და საშუალ საუკუნოებშიაც; მისი არც ეტნოგრაფია არსებობს, არც სტატისტიკა, ერთის სიტყვით, ჩვენ არ გვაქვს მისი შესაფერი გამოკვლევა. სწორეთ ამის მიზეზით გახლავსთ, რომ ქართლის ამ ვრცელს კუთხეს ზოგნი ძველნი მემატიანენი სამშვილდეს უწოდებენ, ზოგნი ბერდუჯს, ზოგნი სომხეთს, ზოგნი ვინ იცის რას არა.

ჩვენ კარგად ვიცით და ამას „ქართლის-ცხოვრებაც" და და სხვა ისტორიული, გეოგრაფიული და საეკლესიო წერილებიც მოგვითხრობენ, რომ მთელს საქართველოში ისეთის სინარნარით და აღმომზეობით არსად არავითარი ქართველთ ძალა არ აღორძინებულა ისე, როგორც ამ აღმოსავლეთ-სამხრეთ საქართველოს კუთხეში ამ კუთხის წარსულს და აწინდელს მრგომარეობას განცვიფრებაში მოჰყავს თვით დღევანდელი მნახველ მოგზაურიც. აქ თქვენ ნახავთ მრავალს მონასტრებსა და ეკლესიებსა, რომელნიც ჟამთა ვითარების მეოხებით აღგვილან, შემუსვრილან და დაქცეულ-დანგრეულან, რომელთ შთენნიც დღესაც საოცარ სახილველნი არიან. აქვე ნახავთ მრავალს ციხე-კოშკებს, ხიდებ და

ბევრს სხვა რამესაც, მაგრამ ყველაზე ძვირფასი, რომელსაც ნახავს აქ მოგზაური, არის ქართველთ სოფლების ხსოვნა და რიცხვი, რომელნიც ძველათ არსებობდნენ ამ კუთხში და დღეს კი მათი რიცხვი აქ დიდად ნატამალობს.

აწინდელის მიმართულების მეოხებით განვლილ დროთა ნაშთების ისტორიით ჩვენ თავს არავის შევაწყენთ, არც სხვა და სხვა ციხე-კოშკ-მონასტერ-ეკლესიათა სიდიადის მნიშვნელობას შევეხებით, ჩვენ ავიღებთ მხოლოდ ქართველ ერს, ამ ერის წარსულს ცხოვრებას, მის რიცხვს, სიდიადეს, მრავალ-ნაირს შემძლებლობას, ხოლო დღეს ამ სიდიადის დაქვეითებას, რიცხვით შემცირებას და ქართველთ ყოფა-ცხოვრების სახის ძირითად შეცვლას, თითქმის წარხოცვას. ამას წინეთ, ერთი თრიალეთელი მოძღვარი, მეტად სამართლიანად სწერდა და თითქმის სტიროდა ხსენებულს კუთხესა და თრიალეთზედ, მაგრამ ღმერთმან უწყის, გამგონი ვინმე იყო თუ არა? ვაი ჩვენს ბედს.

ბორჩალოს მაზრად, ანუ სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრად ჩვენ უნდა ვიწამოთ ის კუთხე, რომელსაც ქართველნი დღეს სომხეთს უწოდებენ. სომხეთი წარმოსდგა სიტყვა სამხრეთიდგან. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ სიტყვა „სამხრეთი“ საშუალ საუკუნოებში რაღაც მანქანებით მიეთვისა ჰაოსიანთ ძეთა სახელ-წოდებას, მათს გვარ ტომობის, ანუ მოდგმის ცნობას.

ძველად ქართველნი სომხებს ჰაოსიანებს უწოდებდნენ; „ქართლის-ცხოვრების“ უძველესი ფურცლები და ყველა ჩვენი ძველი საეკლესიო წიგნები და წმიდათა ცხოვრებანი, რომელნიც კი საშუალ საუკუნოების წინეთ დაწერილან, ამისი მტკიცე საბუთია, რადგან მათში ვერსად ვერ ნახავთ, რომ ჰაოსიანთ ძენი სომხად იწოდებოდნენ. მე-XII საუკუნის დასაწყისიდგან კი ეს სახელ-წოდება სჩანს; ამას მოიხსენებს შავთელიც ასე, რომ „სომეხთ მეფენი, მტერთ სისხლ მჩქეფენი, ღმერთმან არ დირს ჰყო უფლებათასა“ და სხვანი. ასე რომ ამ

სახელ წოდების განსხვავება, გარდაკეთება მეთერთმეტე საუკუნეზე იქით აღარ უნდა ვეძიოთ, რადგანაც მეათე საუკუნის ნაშთებში სომეხთ შესახებ არსად კრინტიც არ მოიპოვება *). ამ სახელ-წოდების შესახებ თვით სომეხთ მსწავლულნიც ჰკვირობენ, ისინი გაოცებით ეკითხებიან ძველს წიგნებს, თუ ჰაოსიანებს ყველა ხალხნი ერმიანებს, ანუ ჰაოსიანებს უწოდებენ და ქართველები კი სომეხსაო! საიდგან დაარქვეს ქართველებმა ეს სახელი ჰაოსიანთ ძეთაო? ამის შესახებ ადრე „ცისკარში“ სომეხთ არქიმანდრიტის ტერ-ყაზარიანცის წერილიც დაიბეჭდა, რომელიც გაოცებით იძიებდა ამ სახელ-წოდების მნიშვნელობას, ხოლო იგი იმას კი არ დააკვირდა და არ გაარკვია, რომ ეს სიტყვა არის ადგილ მდებარეობის სახელ-წოდება და არა რომელიმე ტომისა.

ერთის სიტყვით, ამ კუთხის ასე წოდება მათთვის სანუკარიც უნდა იყოს, რადგანაც ამ შეცდომის მეოხებით, ხსე-

---

*) სიტყვა სომეხი ნახმარია „ქართლის-ცხოვრების“ თითქმის ბირველსავე ფურცლებზე. მაგ., ზ. ჯიჯინაძის გამოცემულს „ქ. ცხოვრების“ 43, 44, 62, 63 და 64 გვერდზედ ვკითხულობთ: „და წარავლინეს მოციქულნი წინაშე სომეხთა მეფისა... მაშინ სთნდა სომეხთა მეფესა... მიეგებნეს სომეხთა მეფესა... ხოლო ადერკისითგან ესე მეფენი იყვნეს მორჩილებასა შინა სომეხთა მეფისასა, უმეტეს არმაზელნი მეფენი შეეწოდეს სომეხთა, ყოველთა მტერთა მათთა ზედა. მაშინ მეფე იქმნა სომხეთს დიდი იგი მეფე ირვანდ... მაშინ მოჰკლა სუმბატ ბივრიტიანმან ირვანდ, მეფე სომეხთა, და დასვა მეფედ ძმაი ირვანდისი არტაშან... ვიდრე შეკრებებოდეს სპანი სომეხთანი.. მაშინ სუმბატ ბივრიტიანმან მოუწოდა სპათა სომხითისათა, და შეჰკრბეს მსწრაფლ სომეხნი... და არა დასტხრეს კირთებისაგან სომეხთა ზედა... იწყეს ოვსთა სისხლისა მათისა ძიებად სომეხთა ზედა... და მარადის ბრძოდეს სომეხთა... იგი

ნებული ნაწილი დიდის და მცირის არმენიის ნაწილად იქნა-
ალიარებული. სომეხთ მეისტორიენი და მოგზაურ მსწავ-
ლულნი იქამდის გაკადნიერდნენ, რომ სიტყვა „სამხრეთიდ-
გან“ შეცდომით წარმომდგარს სომხეთს ვერ დააკვირდნენ
და სომხეთად ძველათვე მათ არმენია და ერმიანთა მოდგმის ძე-
ნი გამოხატეს. ამის მეოხებით საქართველოს საკუთარის ვრცე-
ლის ადგილების კუთხეები მოჰყვა ერმიანთა სამეფოს საზ-
ღვრებში და მასზედ მცხოვრებ ქართველთ ძენიც შემდეგ და
შემდეგ ჰაოსიანთ შთამომავლად იქნენ ხმობილნი! შამთა ვი-
თარების მეოხებით მრავალ ქართველთაგანი სარწმუნოებითაც
დაუკავშირდნენ გრიგორიანებს და დღეს მის წყალობით უმ-
რავლესი ნაწილი იქაურ ქართველებისა ჰაოსიანთ შთამომავ-
ლად არიან ალიარებულნი, გრიგორიანის სარწმუნოების მე-
ქონად, ხოლო თუ სადმე მათში ქართულს ლაპარაკობს ვინ-
მე, მას მაინც სომხის მოდგმად სთვლიან, ხოლო დროის
მეოხებით გაქართველებულები, მათზე საქართველოს ერის
სახის და ენის ბეჭდვის დასმის, მათ მხნე მოძღვართა მეოხე-
ბით. ამ მხარეში, ბევრს ალაგას ქართველთ ძველადვე დაჰ-
კარგეს ქართული ენა, ქართველობა, ზოგ ალაგას კი შეი-
ნახეს თავი, მაგრამ ერთობ მცირე კი. მცდელ მწერალთ ძა-
ლა ისე აზვირთდა, რომ არამც თუ საქართველოს სამხრეთის
ნაწილის განაპირა ადგილებს უწყეს სახელები სომხურის და-
ბოლოვებით გარდაკეთება, არამედ თბილისს ახლო მდებარე

ავნებდის საზღვართა სომხითისა... მაშინ წარმოემართა
ძალითა თვისითა ოთვლითა არტაშან, სომეხთა მეფე... მოვიდეს
სომეხნი და დადგეს მცხეთას და ჰბრძოდეს ხუთ თვე...

ასტრაკ და არმაზელი მეფობდნენ საქართველოში 87—103 წლებში
ქრ. შემდეგ. ხოლო არშაკ არშაკუნიანი მეფობდა 93—81 წლებში
ქრ. წინ. შეიძლება ეს ადგილები „ქ.-ცხოვრებისა“ გარეკნილი იყოს
შემდეგ შემდგენელთაგან, მაგრამ ჯერ-ჯერობით კი ასეა.

რედაქცია.

მანგლისის ხეობასაც კი „მანგლა-ფორა“ უწოდეს და ბოლნისის ხეობას „ბოლნა-ფორა“. მე მგონია, რომ ჩვენის ისტორიის მცოდნესთვის ახსნა საჭირო არ იქნება, თუ ან მანგლისი ვისი საკუთრება იყო ძველად და ან ბოლნისი, აქაური დაბები, ციხე-კოშკები და შესანიშნავი ტაძრები ვისგან აღშენებულნი, ნამეტურ ბოლნისის დიდი სიონი, დღეს ხავსმოკიდებული და მანგლისის შესანიშნავი ძველი ტაძარი. ჩვენ ყველაფერი ვიცით, მაგრამ ჩვენს ცოდნას სხვები არ გვჯერდებიან და იგინი კი სხვაფერ ასხვაფერებენ ჭეშმარიტს ცნობებს.

ადრევე აქეთ მხრის ქართველთ ვითარება სულ სხვაფერ მოიმართა. აქაურნი ქართველნი გადარქმეულ და გადაბირებულ იქმნენ. ჩვენ ამ ქართველთ ვერც გავიცხავთ, რადგანაც რაც მათ ძალა სძალავდა, იგი ძალა ქართველთ სამღვდელოების ძალაზედ ბევრად მაღლა იდგა. ძველიდგანვე საქმე ისე მოეწყო, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს ქართველებმა ქართველობისგან იწყეს გარდაქმნა და გარდასხვაფერება, ამ გარდასხვაფერებისთვის მათ არავინ არ ეწინააღმდეგებოდა. ბარემოებამ აქ საქმე ისე არია, რომ უმეტესი ნაწილი-აქაურ ქართველებისა მოჰყვნენ სომეხთ ერის ნაწილში და უკანასკნელ მათაც უწყეს ენით და გვარ-ტომობით გასომხება და გაქარწყლებ გადაგვარება. ჩვენ ქართველნი არც ისე წყალ წაღებულნი ვართ, რომ ჩვენის მოდგმის და ისტორიის სულ აღარაფერი გვახსოვდეს.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ჯერეთ ქართველთ და სომეხთ ეკლესიის განცალკევების შემდეგ, ძველს რჯულზე, ანუ აწინდელს გრიგორიანთ წესებზე ძლიერ ბევრი ქართველი დაშთა, ნამდვილ ქართველ გვარის შთამომავალნი; ისინი იტყოდნენ, რომ ჩვენ ახალი გარდაწყვეტილების არაფერი გვინდა, ჩვენ ჩვენს ძველს რჯულზე უნდა ვიქნეთ დატოვებულნიო. ამათ მაშინ ძალასაც ვერავინ დაატანდა, რადგანაც ხსენებულ სარწმუნოების მექონ ერის მეფობაც არსე-

ბობდა; ასეთის მიდრეკილებით სარწმუნოებრივ საქმეებში უფრო კი საქართველოს სამხრეთ აღმოსავლეთის ადგილებზე მცხოვრებ ქართველნი აღმოჩნდნენ; ამის მიზეზი ის იყო, რომ მათზე ჰაოსიანთ ადგილები ზედ იყო მოკრული, იგინი საზღვრავდნენ. სწორედ ასეთსავე მდგომარეობაში მოთავსდა ქახეთის მცხოვრებთა უმეტესი ნაწილიც; უმეტესნი აქაც ისევე ძველს სწავლას აღიარებდნენ, მათშიაც ფეხს იდგამდა გრიგორიანობა, მაგრამ მეათე საუკუნის ნახევარს, კახელნი ძალით იქმნენ დამორჩილებულნი, დაკავშირებულნი ახალს სწავლასთან და ამით საზღვარი დაედვა გრიგორიანობის სწავლის გადღესასწაულებას. სწორეთ ამის წყალობა გახლავსთ, რომ ადრე და საშუალ საუკუნოებშიაც, სომეხთ მწერლებმა ქახეთი სომხეთის კუთხედ აღიარეს, ბევრნი დღესაც ასევე უწყიან, მაგრამ ეს არ არის სწორე.

ასეთმა შეცდომებმა ქართველთ გვაროვნობას საკმარისი ზნევა მოუტანეს. მან ძლიერ ბევრი ქართველი მოაშორა საქართველოს და სხვას მისთვისა. ასეთ განთვისებულ პირებით სავსეა დღეს ბორჩალოს მაზრა, ბუმბრის მხარე, ბანჯის, ერევნის, შუშის და ვინ იცის საით არა. ასეთ უნებლიეთ განთვისებულ ქართველთ ზედ სხვებიც ემატებოდნენ; ეს იყო, მეოხება ქართველთ ბატონ-ყმობის, ქართველთ თავადაზნაურთა მახვილის. ამათგან დევნილი ყმანი ხშირათ მირბოდნენ ზემოხსენებულ კუთხეების სომხებთან, იქ თავს აფარებდნენ მათს სარწმუნოებას და ზნეს ეთვისებოდნენ, სწავლობდნენ მათს ენას და ეგრე სომხობასაც სჩემულობდნენ, რაც ხდებოდა მათის თავის შველისა და დახსნის იარაღად. ასეთ შემთხვევებით გასულთ პირებს გარდა, მრავალი მებატონენი თავიანთ ნებითაც ჰყიდდნენ ქართველებს სხვა და სხვა პირებზე; ხშირად ასეთს ქართველებს სომხებიც ყიდულობდნენ, მერე ესენი მათ მიაქცევდნენ თავიანთ რჯულზედ და მის მეოხებით შემდეგ დროებში ეს ქართველნი სულიერათ, ხორციელად და ენითაც ეთვისებოდნენ სომხებს.

(შემდეგი იქნება) ზ. ჯ.

ფარნაოზი *)

(ისტორიული სურათები).

I

ავკასიონის მაღალ მთის
თოვლით მოსილი მწვერვალი
დიდის მზის შუქით ბრჭყვიალებს,
ამაყად გადმომტქერალი.
  დაბლა ფერდობზედ ჭკიდია,
ვით ბუდე ფრინველებისა,
აქა-იქ მწირი ქოხები
მთიულის მცხოვრებლებისა.
  ერთის ქოხის წინ სდგას ვინმე,
ჩაფიქრებული ჯაბუკი,
არწივებრ გამომეტუველი,
წერწეტა ტანის, ჩაუქი.
  სდგას და გაჰყურებს შორს, ქვევით,
საც მოსჩანს უცხო ქვეყანა,

---

*) ფ ა რ ნ ა ო ზ ი იყო პირველი მეფე საქართველოსი; აღვიდა სიმეფო ტახტზედ 302 წელს ქრისტეს შობამდე და იმეფა 65 წელიწადი. მისი გამეფება მოხდა ამ გვარად: ფარნაოზამდის საქართველო დანაწილებული იყო რამდენსამე წვრილ სამამასახლისოდ და ყოველი სამამასახლისო თვით განაგებდა თავისს თავს. 325 წელს საქართველოს შემოესია მაკედონიის მეფე ალექსანდრე, აიღო მცხეთა, მოჰკლა ფარნაოზის მამა სამარა, რომელიც იმ დროს იყო მცხეთის მამასახლისად, ჩააყენა საქართველოში მაკედონელთა ჯარი აზონის წინამძღოლობით და თვით წავიდა სპარსეთის დასაპყრობად. ფარნაოზი ამ დროს იყო სამის წლის ბავშვი და დედამ

ბადებით, ვენახ-ყანებით
მიმოფენილი ყველგანა.
ის მხარე ანდამატივით
იზიდავს ჯაბუკს თავისკენ,
და ესეც უნებურად
ისწრაფის ტურფა მხარისკენ.
მოუახლოვდა ფარნაოზს
ჯერ კიდევ მხნე დედაკაცი,
მშობელს გულს დამწუხარებულს
ის უზრდის, ბირმშო ვაჟკაცი.
შვილი ოცნებობს, გაჭეურებს
სულ იმ მიმზიდველს მხარესა,
და უზიარებს დედასა
თავისს ფიქრს, სევდას მწარესა:
„არა, მე მეტი აქ ყოფნა,
დედავ, არ შემიძლიანო,
იქ მივესწრაფვი, იქ, სადაც
მოძმენი იტანჯვიანო!
„როდემდის უნდა აქ ვიყო,
გულ-ხელ დაკრეფილ, უქმადო?
მესმის ხალხთ კვნესა, ხმა ზღვევის
მიწვევს იქ საიდუმლადო.
„წავალ და ამოვუდგები
ჩვენის მამულის შვილებსო,
ძალიერ მტრის, ავაზაკის, წინა
უდანოდ ქედ-მოხრილებსო“!
— გაიმე, შვილო, რომ ავაზაკს
ვერვინ უბედავს განდგომას,

ის გააქცია ძავკასიის მიუდგომელს მთებში და იქ აღზარდა. როცა ფარნაოზი წამოიზარდა, ააჯანყა ქართველნი, დაამარცხა მაკედონელნი, მოჰკლა ალექსანდრე და თვით გამეფდა. ეი ეს ამბავია აქ დასურათ-ხატებული.

რედ.

და ძალა-უნებურად
ეველა ფიქრს იხშობს და ნდობას!
  მამა შენი და ბიძია,
მამასახლისი სამარა,
უწყალო მტერმა ორივე
გაჭგმირა, დაასამარა.
  თვით მამა ჩემი, დარიოზ,
ხელმწიფე კეთილ-შობილი,
უძლეველ მტერმა ძირს დასცა,
ნახევარ ქვეყნის მპყრობელი.
  დასავლეთიდგან გამოჩნდა
მაკედონელი გმირიო,
ძლევა მოსილმა დაიპყრა
მთლად დედა-მიწის პირიო.
  საქართველოში დასტოვა
ზონი სისხლის მსმელიო,
ვერაგმა ლამის გააქრო
მთლად კავკასიის ერიო.
  და შენ, ვით მთავრის მემკვიდრეს,
ვინ და დაგინდობს, შვილო?
ამ მთაში მიტომ მეევხარ,
რომ სიკვდილს აგაცილო.
  ფარნაოზ დედას ეურს უგდებს,
თან სისხლი უდუღს, მჩქეფარებს,
მაკედონელის ამბითა
გულში ინთება, მგზნებარებს:
  „ის გმირი იყო... ხოლო მე...
მეცა ვგრძნობ ჩემსა ძალასა,
თავ-დავიწყებით რომ მივსდევ
ნადირს ტყე-ღრესა, ჭალასა!
  მზათა ვარ გამოვიწვიო
ქვეყანა საბრძოლველად,

თავს ვერ ვიკავებ, მწადიან
ზეცას ავფრინდე ხელადა.
„მსურს კიდეც გადავეხვიო
ქართველიანებს ძმურადა,
მხურვალე სიტყვით შევსძახო:
„წინ ძმანო, წინ ერთგულადა!
„ამას ვგრძნობ... ვინ იცის, ეგებ
მეც ვიყო... ერთი რჩეული,
მხოლოდ ამ თოვლიან მთებში
მწარე ბედისგან წყვდეული!
„დეე, რაც მოხდეს, მაინც ვცდი
ჩემს ბედს“!—სთქვა ესე სვიანმა
და მტკიცედ ხირი იბრუნა
დედისკენ სახე-მზიანმა.
დედა კი გულ-დაწყვეტილი
ცრემლით მუხლებზედ დაეცა
და შეეგვედრა ზეცასა,
რომ თვისს წყალობა მოეცა...

II

ქა, სადაც მტკვარი ტალღებს
მცხეთის ციხეს სცემს, ანკურებს,
სდგას სასახლე ანზორისა
და ამაყად მას დაჰყურებს.
მაგრამ მტკვარი თავს არ უხრის,
ჯავრიანათ მიბუტბუტებს,
და ვით დედა საიმედო
შვილს, არაგვსა გულს იხუტებს.
თითქოს თავ-მომწონე დარბაზს
ემუქრება: ,,დაიცაო,

ავზდვავდები, ავდიდდები
და შენს კედლებს დავდეწაო''!
სასახლეში ზის აზონი,
ქედ-მაღალი, თავ-გასული,
გვერდით უზის ფარნაოზი,
მდიდრად მორთულ მოკაზმული.
ტკბილად ემუსაიფება,
ვით მამა დიდ—მოუვარული,
მიიწვია, პატივში ჰყავს,
რომ მოიგოს მისი გული.
მხოლოდ დედა ფარნაოზის
ურჩევს: ,,შვილო, გაფრთხილდიო,
მოგხიბლავს და გიღალატებს,
არ დაგინდობს ის ფლიდიო!
,,წამო ჩუმად, მანამ დრო,
ჩემს სამშობლოს, ისპაანსო,
და იქიდგან წამოვიყვანთ
ქართლის გამოსახსნელს ჯარსო''.
ფარნაოზი კი იდუმლად
სასახლეში იტანჯება,
კაცს ვერ ხედავს, რომ მიენდოს,
გაუმჟღავნოს თვისს ოცნება.
აზონისგან დამონებულს
ხალხს მისი არ ეურება;
ოჰ, რად უღირს ფარნაოზსა
ერთი მცირეც ეურადღება!
რომ წავიდეს, სად წავიდეს,
უცხოეთში რას გახდება?
არა, არა, მას არ ძალუძს
მამულისა მოშორება.
და, ჰა, უცებ სასწაულმა
სასოება ჩაუსახა!..

ერთხელ რადაც უცნაური
მან სიზმარი ძილში ნახა:
ერთს უკაცურს, ჩაბნელებულს
სახლში არის მომწყვდეული,
კარს ვერ ჭხედავს, ვერც გასავლელს
შემკრთალი და შემწყვდეული.
ამ დროს უცბად სარკმელიდგან
შემოადგა მზისა შუქი,
წელს მოერტყა, მიიზიდა,
გაიტაცა მსწრაფულ ჭაბუკი.
კარედ უფრო სოტრება!
იხილა მზე ქვე მდებარე.
დაიხარა და მოხოცა
მზის ხირს ცვარი მობრჭყვინვარე.
ცვარი იგი ხირსა იცხო,
გაელვეძა და გაჭკვირდა...
—წავალ სწორედ ისპაანსო,
თავისს დედას მეის დაჭხირდა!..

III

ეჭქრის, მიფოთავს მხედარი
დიდმის გადაშლილს ველზედა,
კისკასი, მხარ-ბეჭიანი
ჭშვენის ბედაურს ცხენზედა.
ძის გაშლილს შუბლსა ატყვია
სიმამაცობის ბეჭედი,
მაღლა ფრინველი ვერ უსწრობს
და ეს ირემი თავხედი
უეცრად გამოხტომი...
ნეტა სად დაემალება,

რომ ვერ აკარებს ფეხს მიწას,
შურდულებრ მიექანება?
  რქა ხშირი, ბორჯღლებიანი
ზურგზედ გადუფენია,
წინ თავ-წართმევით ლამაზი
ულ-ხირი გაუწვდენია.
  დედამიწაში რომ ჩაძვრეს,
მხედარი იქაც ჩასწვდება,
ფრთაც რომ მოისხას, მის მჯრელი
ისარი მას არ ასცდება.
  ფეხ-მარდი ბუნების შვილი
ელვა ქარივით მიჭქროლავს,
ხან სულ თვალთ მიეფარება,
ხან ისევ სადღაც იჩენს თავს.
  ბედაურიცა სწრაფია,
ვით გასროლილი ისარი
მკერდით მიახობს ჭაერსა,
ფრიალებს ხშირი ფაფარი.
  გადაიქროლეს მინდორი,
დაბურულს ტეესა გასცილდნენ,
გადახტნენ გიუმაჟ ნაკადულს,
ფრიალო კლდეზედ აფრინდნენ.
  თვით იალბუზიც წინ დახვდეს,
იგი არ შეუშინდება,—
დაჭკრავს მხედარი ცხენს მათრახს
და ზედვე გადაფრინდება.
  მიჭქრის ირემი, მაგრამ, ვაჭ,
ისარმა გაუწკრიალა,
და სასიკვდილოდ დაჭრილმა
საბრალოდ დაიღრიალა.
  გადგა ორიოდ ნაბიჯი
და კლდისა ძირსა დაეცა...

ფარნაზ წამსვე გადმოხტა
და ნადირს ზურგზედ მოუქცა.
  მიმოიხედა გარშემო,
ნახა კლდე გამოქვაბული
სალის კლდის ძირში, უცხო რამ,
კარი ქვით ამოგებული.
  იძრო ჩუგლუგი, დაჭერა ქვას,
გამოანგრია კედელი...
რას ჭხედავს? თვალ-მარგალიტით
ქვაბია გამოწყვიდული!
  ურიცხვი ოქრო და ვერცხლი
ბედნიერს წაბუკს თვალსა სწრის,
მოახტა გახარებული
მერანს და... ძცხეთისკენ მოჭქრის...

მ. ზობეჩია.

(შემდეგი იქნება)

გ უ რ ი ა.

ᲒᲣᲠᲘᲐᲡ ძველათ დიდი ადგილი ეჭირა, მარა დროთა ვითარებისა გამო, შემცირდა იგი და დღეს მისი ნახევარიც ძლივს-ღა უჭერია.

ᲣᲬᲘᲜ ამას ს ზღვრავდა: აღმ. ფერსათის მთა (ᲐᲭᲐᲠᲐ-ᲒᲣᲠᲘᲘᲡᲐ, გინა ᲚᲮᲘᲜᲝᲡ მთა), დას. შავი ზღვა, სამხ. მდ. ᲭᲝᲠᲝᲮᲘ და ჩრდ. ᲝᲓᲘᲨᲘ(სამეგრელო). ᲔᲡ ქვეყანა ამ საზღვრებიდგან შევიწროვდა და ახლა კი საზღვრავს: აღმ.-დას. ᲤᲔᲠᲡᲐᲗᲘᲡ მთა და შავი ზღვა, სამხრეთით—ᲞᲐᲢᲐᲠᲐ მდ. ᲩᲝᲚᲝᲧᲘ (საზღვარი ᲒᲣᲠᲘᲘᲡᲐ 1877 წ.ს) და ჩრდ.—მდ. ᲠᲘᲝᲜᲘ. ᲗᲥᲛᲐ არის, უწინდელ ᲒᲣᲠᲘᲐᲡᲗᲐᲜ შედარებით დღევანდელი ᲒᲣᲠᲘᲐ შემცირებულა ᲥᲐᲮᲐᲑᲔᲠᲘᲗ—ᲭᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘᲗᲣᲠᲗ და ᲝᲓᲘᲨᲘᲗ — ᲨᲝᲗᲘᲡ მხრითურთ, მაშასადამე, დღევანდელს ᲒᲣᲠᲘᲐᲡ მხოლოდ ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘᲡ მაზრა-ღა შეადგენს, რომელიც აღმ.-დასავლეთით 50 ვერსს არ აღემატება სიფართით და ჩრდ.-სამხრეთით 35 ვერსს. მთელს აწინდელს ᲒᲣᲠᲘᲐᲨᲘ მცხოვრებთა რიცხვი 80,000 სულს მეტს არ აღემატება.

ᲒᲣᲠᲘᲐᲨᲘ მხოლოდ ერთი ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ქალაქია ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘ, რომელშიაც 4,000 მცხოვრებია. ᲔᲡ ქალაქი მეტად მშვენიერია და ბაღ-ვენახით და მწვანე ბალახ-ყვავილოვან მცენარეობით მოაივანებულია, რასაც სამი-ოთხი ნაკადული-მდინარე ᲭᲠᲬᲧᲐᲕᲡ, რომლებიც ქალაქის შუა-გულს და გვერდებზე ჩასჩქეს-ჩაუთამაშებს.

ᲒᲣᲠᲘᲘᲡ მდებარეობა ზომიერია. ᲐᲠ აკლია: არც მთაგორა, არც სწორე ადგილები, არც ხევ-ღრე და არც სოკოზოკე (უსწორ-მასწორო ადგილები), რომლებიც ერთის შეხედ-

ვით ტყითაა მოცული. მაგრამ კარგათ რო დააკვირდებით, ტყე კი არა და კარგი მოშენებული ბაღ-ვენახები დაგიდგებათ წინ,—ვაშლისა დი მსხლის მაღალი ხე ხილები, ნიგვზები და თვალ-უწვდენი მუხა-წაბლ-ცხემლა-თხემლა-შავ-ხე, რაზედაც ასდევს ადგილობრივი ვაზები (რომელსაც აქ ვენახებს უწოდებენ), ყურძნის მტევნებით დაშვენებული და დაბაბილოებული (ვაზის ფოთლებით შეფურცლული).

ტყე-ბაღოვან-ვენახიანი ბურიის მიდამო ატირებულია მრავალის წყარო-ნაკადულ მდინარეებითა, რომელნიც მაღალ მთა-გორებიდგან თვალი უწვდენ ხევ-ღელეებში დაღრმაკალაპოტებულად მიწანწკარ-ჩქეფობს და მოშხუის მთა-ბარის ასაღებად და წასარღვნად, ნამეტურ ადგილობრივ ხანგძლივ წვიმებში ადიადებულ ღვარნაშსში *).

ბურიაში შესანიშნავია მდ. ნატანები, რომელსაც ოზურგეთში გიქმაჟი ბუჯი და აჭის წყალი ერთვის პატარა მდ. ბგიდაუკათი და დანგრეულათი (ერთვის გიქმაუ მდინარე ბუჯსა) და სხვა მრავალის ნაკადულების მიმატებით საკმაოდ მოზრდილი მდინარე მიეშურება შავის ზღვისაკენ და სადგურ ნატანებთან, დაახლოებით შეკვეთილში (Николаевскъ), ერთვის ზღვას.

შესანიშნავია აგრეთვე მდ. სუფსა, რომელიც ნატანებსავითვე მრავალ ნაკადულების შეერთებით საკმაოდ იზრდება და მდ. ნატანების შესართავთან ახლოს ერთვის შავს ზღვასა. ეს მდინარეები 40—50 ვერსს მიმდინარეობენ თავიანთ სათავიდგან, რომელსაც ორივესთვის აჭარა-ბურიის მთა შეადგენს. ზღვიდგან 20—25 ვერსზედ აქ ნავებით მიეზიდებიან ბურიიდგან საზღვარ-გარეთ გასატანს სიმინდსა.

ბურიის აღმოსავლეთზედ ლხინოს მთის შტო გაგძელდება, მიდის მდ. რიონამდის და შემდეგ კი — რიონის ნაპირ-

---

*) სანამ მთა-გორებს გასცილდება, აქაური მდინარეები მეტად ჩქარა მიმდინარეობენ, ხოლო როცა რავდენსამე ვერსს გასცილდებიან, ბარად და ზღვის დაახლოვებით, დინჯდებიან.

სვე შეუხვევს, დაისავლეთებს პირსა და დასავლეთზე ნახევარ ბურიას შემოზღუდავს, შემდეგ კი დაილევა, წყდება. ეს შტო ნიგოეთის მთებად იწოდება და საკმაოდ მაღალნი არიან.

ნიგოეთის მთა თითქმის მთელს იმერეთსა საზღვრავს ბურიისაგან აღმოსავლეთით და ჩრდილოეთზე კი — სამეგრელოსა (ოდიშს) მდ. რიონთან ერთად. ეს მთები დიდს სამსახურს უწევენ ბურიასა, რადგან არ უშვებენ იმერეთიდგან ბურიაში მავნე ზენა ქარს, რომელიც დიდს ზარალს აძლევს იმერეთს.

დიაღ, აქ მოკლებულია ზენა ქარი, მაგრამ ქვენაც კი არ აკლია, რომელიც ხშირად გრიგალად გადიქცევა ხოლმე და ბევრს ზარალს აძლევს ბურიას.

თუ არ ვსცდები, მგონია 1895 წელში იმისთანა ქარი ამოვარდა ქვენათი, რომ რაც კი საუკეთესო ხე-ხილები — ნიგვზები, ლეღვები, ვაშლები და სხვა იყო, სულ ძირში დათხარა, ხოლო, რომელთაც ძირი მკვიდრათ ჰქონდათ და ვერ წააქცია, იმისთანები წელში გადატეხა და დაამსხვრია. იმ ქარმა 60,000 მანეთამდე ზარალი მისცა ბურიას.

ბურიაში საზოგადოთ წყალი არ ვარგა. თუმცა მდინ. ბჟუჟის და აჭის წყალი და მისთანა მდინარეები თვისებით საუცხოვოა, მაგრამ ზაფხულობით ხალხი აქედგან არა სვამს წყალსა, არამედ ჭის წყალსა სმენ (აქ სტივს ეძახიან), რომელსაც ცუდი და დამპალი თვისება აქვს. ასეთს საცივებს ბევრგან ზამთრობითაც ხმარობენ და ესაა უმთავრესი მიზეზი, რომ კუჭის ტკივილს და მუცლის წვას ჰბადავს ხალხში და ხაშმავს ერთიანად, უფრო კი მამა-კაცებსა, რომელნიც ზაფხულის სიცხეში ცხარე მუშაობის დროს გახურებულს გულს საცივით იგრილებენ და იმ დროს მანდილოსნები კი. თავიანთ გრილის ხეებით ჩამობურდულ-დაჩრდილულს სახლებში შეექცევიან საშინაო საქმეებს.

ჰავა აქ ნოტიოა და მეტად უძლური ადგილობრივ უმშრალ-ჭაობების (ნოეო) წყალობითა, რომელიც გველ ბაყაყე-

ბით დახავსებულია და ზაფხულში, ცხარე მზიანს სიცხეში, ასდის მავნე სუნი და ორთქლი, რითაც მკვიდრნი იწამლ-ხაშ-მებიან. Ციებ-ცხელების მიზეზიც ეს გახლავთ, რომ აქ წლითი-წლობამდე ჩათესილია მკვიდრთა შორის და ბევრსაც ასალმებს წუთს სოფელსა.

Ციებ ცხელება ქათმებსა და ძაღლებსაც კი ერევათ. ეს სნეულება აქ ისეა გაჩვეულებული, როგორც მეკაში ხოლერა.

ჰავა-წყლის უძლურობის წყალობითა აქ მუცელ-კეთილაც მძვინვარებს, რომლისგანაც აუარებელი ხალხი ხდება უდროოდ სიკვდილის მსხვერპლად. ამ სენის გავრცელებას ჰავა-წყლის სიდამპლის გარდა ხელს უწყობს დამპალ ტარანას (თევზია) და უმწიფარ ხილის ჭამა, რაიცა გურულებს ძალიან უყვართ.

შარშან, 1899 წ., ოზურგეთის მახლობელ სოფლებში ისე მძლავრობდა მუცელ-კეთილა, რომ ბევრს ოჯახში ხუთი-ექვსი სული იმსხვერპლა და კარიც გამოაკეტია სამუდამოთ. მუცელ კეთილას ნიშნები არის შემდეგი: რასაც სჭამს და სვამს იმ წამსვე მოუნელებელი გასდის ავადმყოფსა.

1892 წლის ხოლერა, რომელმაც ბევრგან და მთელს საქართველოშიაც მრავალი ხალხი იმსხვერპლა, აქ ზურიაში შემთხვევაც არ ყოფილა ვინმე გამხდარიყოს ხოლერით ავათ და მომკვდარიყოს. ეს გარემოება მიეწერება იმას, რომ სანიტარულათ დაცულ არიან აქაურები. ზურული საზოგადოთ სუფთად ცხოვრობს. სახლი, კარი, ეზო ისეთი დასუფთავებული აქვს, რომ მნახველს შეახარებს მასა. ტანისამოსის და საცვლების ცვლა სუფთად უყვართ. ასევე წმინდათ ამზადებენ და სჭამენ სასმელ-საჭმელსა, წარმოიდგინეთ ხილსაც კი გურულები გაურეცხავად და გაუფცქვნელად არ მიირთმევენ.

ზურიის ბუნება უხვად არის დაჯილდოვებული, როგორც ზემოთაცა ვსთქვით, ტყით და ბაღ-ვენახით, რომელნიც

ირწყვიან მრავალ წყარო-ნაკადულ მდინარეებით და მოშე-ლიგეულია ერთ-გვარის ქართველის მოდგმისაგან (გურულის-გან *).

ბუნებას საზოგადოთ ძალა ყველგან აქვს, მაგრამ აქ კი უძლიერესია ესა. ბევრს უცნაურს მოვლენას და ძალას ჰბადავს ბუნება აქა და თვით ბუნებაც ძლიერობს. ადამიანი და სხვა-და-სხვა სულიერნი ცხოველნი ბუნებისაგან მხნევდებიან და ძლიერდებიან თავიანთს ბუნებაში და მათგანაც ბუნება. ბუნება აქ სწრაფად ცვალებადობს და მისი შემხედვარე ადამიანი და ფრინველ ნადირნიცა ბუნებას ჰბაძავენ; ამას კიდევ ცხოვრების პირობანი კარგათ ხელს უწყობენ და ამისათვის ბუნებასთან ერთად ჩქარ-ცვალებადი და სხვა-და-სხვაფერია, როგორც ადამიანი, ეგრეთვე ფრინველი და ნადირიცა. ასეთივე მსწრაფლ-ცვალებადია მცენარეცა, რომელიც აქ დიახ რომ სწრაფად იზრდება. აი ამისი დამახასიათ-დამამტკიცებელი რავდენიმე საბუთი.

დაღრუბლა უცბად ბურიაში, ასტყდა საშინელი ელვა, ჭექა, ქუხილი (აქაურად გურგული) და მისთანობა; ამას მოჰყვა კოკა-პირული წვიმა, რაიცა მნახველს ქვეყნის დაქცევას თუ არ, დიდ-ხანს გაგრძელებას მაინც უქადის. მაგრამ, დახეთ ბუნების ძალას (სქმეს): ღრუბლები უცბად ეცლება და წვიმის მოლოდინის უცბათვე შეწყვეტის შემდეგ, ლურჯს მოწმენდილს ცაზედ გამობრწყინდება მზე. ეს ხდება მაშინ, როდესაც წყალრღვნის ლოდინში სასო-წარკვეთილებით აღიჭურვება ადამიანი, რომელსაც ბუნება უქადდა ყოველსავე სიავესა.

ავდარი დარზე იცვალა მოულოდნელად; უთუოდ ადამიანსაც ბუნება და ხასიათი ეცვლება ამის შეხედვით; მაგრამ ესეც არ რჩება ასე დიდ-ხანს. აი უცბად იმ ცოტა ხანშივე ქვენა ქარმა მოუბერა და უცბად შეღრუბლა ცის დასავალი.

---

*) გურულები ვერ გაიცდიან სხვა ხალხს, ამიტომაც მარტო თვითონ ცხოვრობენ თავიანთს ქვეყანაში.

იწყო გაზვიადებული ღრმათ მოსმენილი ჭექა-ქუხილი და ისე შემზარავათ აქცევს ქვეყანას, რომ ადამიანს აფიქრებინებს, უთუოდ ახლაა რაცხა დასაქცევი ქვეყნის მომავალიო, მაგრამ ეს უწვიმოთვე ისევ მოწმენდილს ცაზედ იქცევა; ეს კოკა-პირუელ სხმა წვიმად შეიცვლება, რითაც ააღვარ-მდინარებს და სახლ-კარსა და ნათესსა წყალში მოათავსებს; იმავე ხნის განმავლობაში, ყველაფერი ეს, ან მწვავდება უფრო ავდარით და ან ცხრება და იდარებს.

ასეთი ცვალებადია აქ დარიცა. ზვალვაც საკვირველია აქა: უწვიმრობას იჩემებს და წვიმას ანატრებს ყველასა; მაგრამ უწვიმრობაც და გინდა დარიც ერთს ყალარზე არ დგანან, უცბათ დააცხუნებს და უცბათვე შეაღრუბლებს და დააცხრობს მზის სიცხესა; მაგრამ მასთანავე ქარი გააცილებს იმ ღრუბელს და მზეს გამოაჩენს, რომელიც მაინც სიცხეს იქნება მოკლებული იმ ქარის შემწეობითა და სხვა მისთანა ცვალებით მომდინარეობს უწვიმრობაცა.

ზამთრის ამინდიც ასეთივე სწრაფი ცვალებადია.

ორს დღეს იბარდნის, მოდის თოვლი უწყვეტლივ სხვა-და-სხვა ნაირ ცვალებითა, დააყენებს ორს არშინამდე უტეხელს თოვლსა. ასეთი თოვლი აღმ. საქართველოში ორ-სამ თვესაც რომ ვერ ადგება, აქ ნახავთ ერთ კვირის განმავლობაში წვიმის შემწეობით განადგურებულსა და მთელს მიდამოს აწყალ-ტბავებულს.

ზამთრის ბუნება მალე ზაფხულ-ბუნებავდება. ასეთივე ჩქარი ცვალება აქვთ ადგილობრივ მცენარეთა ზრდას. მაგ., ნათესს ორს დღეში ამოსულსა ნახავთ; ერთ ორ კვირაში ნახევარს არშინის სიმაღლეს იხილავთ. ასევეა ტყისა და მინდვრის მცენარეობაში სწრაფი ზრდითი ცვალება.

ასეთი სწრაფ-ცვალებადის ბუნების და ჰაერის შემხედვარე ფრინველ-ნადირნიც ამინდისა და გვარ მიხედვით ჩქარავე ჩნდებიან ბუდიდგან გარეთ, სწრაფადვე შოულობენ საჭმელ-სასმელსა, რომ სწრაფადვე შეიბუდონ და დაემალონ ავდარ-

სა, რადგანაც მოსალოდნელია, როგორც დარი ისე ავდარი.

წელან მოვიხსენეთ ადგილობრივ მდინარ-ნაკადულთა სწრაფად მოჩხრიალ-მჩქეფება თავიანთ ღრმა კალაპოტში ბუ-რიაში.

ამ წყალთა ჩქრიალის მიმდინარეობითა ჩნდება ზარფი, ესრედ წოდებული ნიავი. ეს ნიავი წყლის პირას მომცენა-რებულთ ფოთლებს ანძრევს, ამით ერთი მეორეს ეხლება, მეორე მესამეს და ასე მოძრაობა შეიქმნება, იწყება ხეების და ბუჩქების ფურცელთა შრიალი. ამ ფოთლების შრიალზე ფრინველ-ნადირნი ფრთხებიან და საკმაოც არის ხოლმე მათ გასაქცევათ საქონლის საბალახოზე სიარული და მით ბუჩქებში მსხვრევა და ან, მახლობელ შარაზე (გზაზე) ადამიანის სია-რული და ტყეში მყოფ ადამიანისავე ფეხის ხმა და ბარდ-ნარ-ბუჩქებში ძრომა. ამ შემთხვევაში, თუ ფრინველია, უცებ დასჭეხავს, როგორც ეს შაშვმა იცის და ფართხუნით შორს ფოთლოვან ხევნარში (ხიან ადგილში) შევარდება და შორ-დება ხიფათსა. ასევე იქცევა ნადირიცა.

ამის გამგონე მახლობელი ადამიანიც, უცბათ შეფეთია-ნებულ ფრინველისა გამო, სახტავდება და თუ დაწყნარე-ბულად არის—იცვლება და თუ გაჯავრებულია—მრისხანდება და ან შეძრწუნდება.

ამ შემთხვევაში ადამიანს თუ თოფიც ხელთ აქვს, მას დანახვისათანავე ესვრის თოფსა და თუ მოკვდა დაფეთიან-ებული ფრინველი, ხო გათავდება, თუ არა და შემდეგისა-თვის უფრო ფხიზლობს, რომ აშორდეს ამისთანა ხიფათსა და ამიტომაც, უფრო და უფრო ფრთხილდება და ჩქარდება.

მიზეზიც ეს არის, რომ აქ ფრინველ-ნადირზე მიპარვა ძნელი საქმეა მონადირისათვის, დანახვისათანავე ნიშანში აღება და სროლა ერთათ უნდა მოხდეს აქა.

ასე, ბუნების სიჩქარემ ბუნებავე აამძლავრა; ამ ქარ-მძლავრმა ბუნებამ ფრინველ-ნადირი დააფეთა და მით სიჩქარე აუსწრაფა მათ; ამან ადამიანის წყნარი ხასიათი შეაფწინა და

შეაძრწუნა, ე. ი. შესცვალა. რასაკვირველია, შეძრწუნებულმა ისწრაფა და ხელში თოფი მყისვე შესწკიპ-უნიშნა მოსაკვლავათა და ამით თვით ფრინველი უფრო დაფრთხა, და დაფრთხალის ფრინველის დანახვა მონადირესაგან უფრო სასწრაფოთ სამოქმედო შეიქნა, რომ დანახვისათანავე ესროლოს და მოკლას ის, რასაც ეძებდა. *)

(შემდეგი იქნება).

ალექს. ბვარამაძე.

*) ქართველის კაცისთვის გურიაში ნადირობა შეუძლებელია, რადგანც იგი მიჩვეულია თავიანთს ფრინველისა და ნადირის ახლოს მაპარებას. ქართველში ჩახმახის კვრაზე თოფი რომ არ ვარდება, ფრინველი მაინც არ ირჯება, არ ისწრაფის გასაქცევად; მონადირე ხელ-მეორედ იღებს ჯიბიდგან და უცვლის ეზალსა და ხელ-მეორედ უმიზნებს და ისვრის; თუ მოარტყა — ან მოჭკლავს, ან დაჭკოდავს და თუ ვერ მოარტყა, ჭე, მაშინ ირჯება დინჯი ფრინველი, რომ მოშორდეს და იმ თოფის ხმით, ხიფათს ასცილდეს. გურიაში კი არ მიიპარებს და მიუპარებელს ფრთხალს ფრინველს ქართველი ხომ სწრაფვით ვერც ნიშანში ამოიღებს. ახალციხიდგან სამხედრო მონადირეთა რაზმი ხშირად გადმოდის გურიაში სანადირეთა და დორს ნადირობენ ხოლმე. ისე უჭირთ აქ დორის მოკვლა, რომ 24 კაცი ახალციხეში თუ 10 დორს მოჭკლავს, აქ ორის მოკვლაც უძნელდებათ ხოლმე ეს იმათ ძალიან აკვირვებს, რომ არ გვიპარებს ახლო აქაური დორი, რა საძნელო ეოფილა მისი მოკვლა. ლელვაელი და ქობულეთელი თითრები კი ზოგჯერ 20 დორსაც მოჭკლავენ ხოლმე გურულებთან ერთად. ამ გარემოებითაც აიხსნება ის, რომ ეოველ მხარეს თავისდა გვარი ბუნების მიხედულობით ხალხი და ნადირ-ფრინველია და ურთიერთის ამბავი და ხასიათი ისევ შინაურ ერთ-მხრელებს ეცოდინებათ და არა უცხოთა.

სახალხო ისტორია საქართველოსი.

საქართველო და ქართველები ძველის-ძველად.

ჩვენი სამშობლო ძირველად წარმოადგენდა ზღვის ფსკერსა*).

მთელის დედა-მიწის ზედაპირი უჭირავს ხმელეთსა **) და წყალსა, ხოლო დედა-მიწის გულში კი დაუშრეტელი, გაუქრობელი ცეცხლია, რომელიც ხშირად დედა-მიწის პირზედაც ამოვარდება ხოლმე და, რაც-კი დახვდება გზაზედ, ყველაფერს ანადგურებს.

ჩვენს ქვეყანას აღმოსავლეთით გადაჭიმული აქვს კასპის ზღვა და დასავლეთით შავი ზღვა. ეს ზღვები ეხლა ცალკ-ცალკე არიან და მათ შუა აყვავებულია ჩვენის ქვეყნის ველ-მინდვრები და მთები, მაგრამ იყო დრო, ამ რამდენიმე ათასი წლის წინად, რომ ეს ზღვები შეერთებულნი იყვნენ ერთმანეთთან და,

*) ფ ს კ ე რ ი ეწოდება კიდობანთა, მდინარეთა, ტბათა, ზღვათა და მისთანათა ძირს; ხოლო ძირი ჰქვიან ხეებისა და ბალახების ქვემო ნაწილსა.

**) ხ მ ე ლ ე თ ი ეწოდება იმ მიწასა, რომელზედაც ჩვენ დავდივართ და რომელზედაც იზრდება მცენარეობა, წინააღმდეგ დედა მის იმ ნაწილისა, რომელიც წყლით არის დაფარული.

მაშასადამე, მთელი ჩვენი ქვეყანაც სულ წყლით იყო დაფარული.

მოვიდა დრო და დედა-მიწის შუა-გულის ძლიერმა ცეცხლმა ამოაბურთა ზღვის ფსკერი და ააყუდა ჩვენის ქვეყნის უშველებელი მთები—კავკასიისა, სურამისა, ჯავახეთისა და სხვ., ხოლო ზღვის ტალღები, რომლებიც იმ დროამდე ჩვენს ქვეყანაზედ დანავარდობდნენ, აქეთ-იქით გაიფანტა და წყალმა დაბალი ადგილები დაიჭირა და წალეკა. ბევრს ეწი მაშინ ბუნების საშინელი რისხვა: აუარებელი დაბა-ქალაქი და ქვეყანა საუკუნოდ დაიფლა ზღვების ქვეშ! საშინელება იყო ეს დრო ყველა სულიერისათვის!...

აბიბინდა და მოიკაზმა მას შემდეგ ჩვენი ქვეყანა: მისი თვალ-უწვდენელი მთები და მინდორ-ველები შეიმოსა ყოველ გვარის ხეებითა და ფერად-ფერადის ყვავილ-ბალახებითა. გაჩნდა მალე ყოველ-გვარი მწერი და ფრინველ-ნადირიც, არ იყო მხოლოდ ადამიანი, არ იყო ხალხი, მაგრამ ესენიც მალე გაჩნდნენ. როგორ და საიდამ? აი როგორ.

როდის და როგორ დასახლდა ჩვენი ქვეყანა?

ჩვენი წინაპარნი სულ პირველად ცხოვრობდნენ აზიის მაღალს ვაკეზედ, საიდამაც ახლაც გამომდინარეობს შემდეგი ოთხი მდინარე: ანდოსი (ინდოეთში), ჰელმენდი (ავღანისტანში), სიხ-დარია და ამუ-დარია (თურქესტანში). ამ ვაკეზე მცხოვრებ ხალხებს საზოგადოთ ეძახდნენ არიელებს, რაიცა ნიშნავს ერთგულს, ხოლო

მათ მეზობლად მცხოვრებ ხალხებს ეძახდნენ ქამიტებს (აფრიკაში მცხოვრებნი - ეგვიპტელნი, კოპტები, ეთიოპელნი), სემიტებს (ასირიელნი, ფინიკიელნი, ურიები, არაბები) და თურანელებს (თურქესტანის მცხოვრებლებს). ამ მეზობლობით აიხსნება ის ამბავი, რომ არიელების ენაში ურევია ბევრი თურანული და ქამიტ-სემიტური სიტყვები და უკმოცა. ჯერ კიდევ გარდასახლებამდე თავიანთ პირვანდელ სამშობლოდამ, არიელებს უკვე სცოდნიათ ხვნა-თესვა, გზების კეთება, ჭრა-კერვა, სახლების აშენება, ლითონების ხმარება, შინაურ საქონლის ყოლა და მოშენება, ნათესაობა, ქორწინება, უმცროს-უფროსობა და თაყვანისცემა ბუნების ზოგიერთ საგნებისა.

დაახლოვებით 4000 წლის წინათ ქრისტეს შობამდე, როცა მოხსენებულ ადგილებში ხალხი გამრავლდა, მათ იწყეს მთელის გვარეულობით და სოფლობით სხვა ადგილებში გადასახლება. პირველად დაიძრნენ ქამიტნი. მოვიდნენ და დამკვიდრდნენ ზოგნი სპარსეთის ყურის გარშემო და ზოგნიც ქალდეასა (ბაბილონიაში) და ეგვიპტეში, სადაც მათ დაარსეს უგანათლებულესი სამეფონი ძველის დროისა—ბაბილონი და ეგვიპტე.

ქამიტებისაგან გაკვლეულს გზას მალე დაადგნენ სემიტებიც. ესენი შეესივნენ უკვე კარგად მოკალათებულს და გამდიდრებულს ქამიტებს, დაიპყრეს ისინი და თავიანთ მონებად აქციეს.

ჯერი დაუდგათ არიელებსაც. ერთი ნაწილი იმათი წავიდა სამხრეთისაკენ და დასახლდა ინდოეთში; მეორე—სპარსეთში; მესამე—ფრაკიაში (საბერ-

ძნეთის ჩრდილოთ, მათის ენის ნაშთად სთვლიან ახ-ლანდელს სომხურს); მეოთხე—ბერძნები—საბერძნეთ-ში; მეხუთე—ლათინები—იტალიაში; მეშვიდე—კელ-ტები—დასავლეთ ევროპაში; მერვე—სლოვენები—ალმოსავლეთ ევროპაში; მეცხრე—გერმანელები—გერმანიაში და მეათე—ელამიტები—დასახლდნენ სპარ-სეთში, მდინარე ტიგროსის მარცხენა კიდით, სადაც ამათ დაარსეს ძლიერი სამეფო, სატახტო ქალაქით სუზათი, რის გამოც მათს ქვეყანას ხშირად ელამის მაგივრად სუზიანსაც ეძახდნენ. 2,300 წლის წინათ ქრისტეს შობამდე ეს ელამიტები შეესივნენ ქამიტე-ბისა და სემიტებისაგან დაარსებულს სამეფოებს და დაიპყრეს მთელი ბაბილონი, ასირია და მცირე აზია. ეი ამ ელამიტებს სთვლიან ქართველების წინაპრებად. ამათვე აკუთვნებენ ურარტელებს, ე. ი. არარატის მხრის მცხოვრებლებს, რომელთ ენა ეხლანდელ მეც-ნიერთა აზრით აგრეთვე ქართულის ენის მონათესავე ენაა.

არარატისაგე მხარეში, 2,300 წლის წინათ ქრისტეს შობამდე, მატიანის სიტყვით, ცხოვრებდა ჩვენის მა-მა-მთავრის ქართლოსის მამა—თარგამოსი, კაცი დიდათ განთქმული და სახელოვანი. თარგამოსს ჰყვანდა რვა შვილი: ჰაოს, ქართლოს, ბარდოს, მოვაკან, ლეკოს, ჰეროს, ქავკასოს და ეგროს. თარგამოსმა იცოცხლა 600 წელიწადი და ისე გამრავლდა ნათესავი მისი, რომ არარატის მხარე ვეღარ იტევდა მათ. მაშინ მა-მამ გაუყო შვილებს თავისი ქვეყანა და ესენიც ყვე-ლანი თავ-თავისს ხვედრს მამულში გადასახლდნენ.

ჭალს მამამ მისცა საკუთრივ Ararატის მხარე;

ქართველს მისცა მტკვრის ხეობა, მდინარე ბერდუჯიდამ (ახლანდელი ბორჩალო) ვიდრე შავ-ზღვამდე;

ბარდოსმა მიიღო ქვეყანა Iორის შესართავიდამ, ქვევით, მტკვრის მარჯვნივ, ვიდრე ძასპიის ზღვამდე. მან ააშენა ქალაქი ბარდავი (ახლანდელი სოფელი ბარ-და, მდ. ტერ ტერაზე ბანჯის გუბერნიაში) და დადგა იქა;

მოგვაკანმა მიიღო ქვეყანა მდინარე Iორისავე შესართავიდამ, ქვევით, მტკვრის მარცხნივ, ვიდრე ძასპიის ზღვამდე; მან ააშენა ქალაქი მოგვაკნეთი (ეხლანდელი ნუხა) და დადგა იქა;

ჭერეოსმა მიიღო ქვეყანა მდინარე ალაზნისა და Iორის შესართავებიდამ, ზევით, ვიდრე ტფილ-ტბამდე (ეხლანდელ სოფელ ბულგულამდე თელავის მაზრაში); მან ააშენა ქალაქი ჭერეთი ამ ორ მდინარეთა შესართავთან და დადგა იქა;

ეგრესმა მიიღო მთელი Iმერეთი, ე. ი. სურამის მთებიდგან ვიდრე შავ-ზღვამდე; მან ააშენა ქალაქი ეგრისი (ეხლანდელი ბედია მდინარე Iნგურზე ზუგდიდის მაზრაში) და დადგა იქა; მისგან ეწოდა იმ მხარეს სამეგრელო, ხოლო ხალხს მეგრელები.

დეკოსმა მიიღო ლეკეთი (ეხლანდელი დაღისტანი), ე. ი. ქვეყანა პასპიის ზღვიდამ ვიდრე მდინარე თერგამდე და

კავკასოსმა მიიღო ქვეყანა მდინარე თერგიდამ ვიდრე შავ-ზღვამდე, ე. ი. ეხლანდელი ყაბარდო.

ქართლოსი და მისი შვილები.

მამულის გაყოფის შემდეგ წამოვიდა ქართლოსი თავისი ნათესავი ხალხით და დასახლდა ერთს ფრიალო მთაზედ, ახლანდელ მცხეთიდამ 5 ვერსზე *). აქ ამან ააშენა დიდი ციხე-ქალაქი და უწოდა მას სახელი ქართლი, რომლისგანაც მთლად მისს ხვედრ მამულსაც ეწოდა საქართველო, ხოლო ხალხს—ქართველები.

გარდა ქალაქ ქართლისა, ქართლოსმა და მისმა ცოლმა ააშენეს კიდევ ოთხი ციხე-ქალაქი: 1) მტკვრის ციხე ანუ ხუნანი, სადაც მდინარე ქცია (ხრამი) უერთდება მტკვარსა; 2) ციხე ორბი ანუ სამშვილდე მდინარე ქციის შუა წელზედ; 3) დედა-ციხე, ქალაქ ქართლის მახლობლად, თეძამის მდინარეზე; 4) მეორე დედა-ციხე, ეხლანდელი ბოჭორმა იორის მაღალს კლდეზედ და 5) ბოსტან-ქალაქი ანუ ნაგები, რომელსაც ეხლა იაგლუჯას უწოდებენ და მდებარეობს თბილისიდამ ქვევით 15 ვერსზე, ხუნანს ზევით. პირველი ორი ქალაქი ააშენა ქართლოსმა, ხოლო დანარჩენები მისმა ცოლმა.

მოკვდა ქართლოსი და დაფლეს თავსა ზედა ქალაქ ქართლისა და შეიქმნა საფლავი მისი უმტკიცესი და უფროსი საფიცარი ყველა ქართველებისათვის.

ქართლოსს დარჩა ხუთი შვილი: მცხეთოსი, გარ-

*) იხ. სურათი 3 გვერდზე.

დაბანოსი, ბაჩიოსი, ძუხოსი და ძახოსი.

მცხეთოსმა ააშენა ქალაქი მცხეთა და დადგა იქ მთელის საქართველოს მამასახლისად; მისგან ეწოდა მთელს ზემო ქართლს სამცხე, ე. ი. სამცხეთო ანუ მესხეთი.

გარდაბანოსი დაემკვიდრა ხუნანში; მისგან ეწოდა ამ მხარეს გარდაბანი.

გაჩიოსი დაემკვიდრა ორბის ციხეში და ააშენა ქალაქი გაჩიანი ანუ სანადირო-ქალაქი, მდინარე ქციაზე, ორბეთის ციხის ახლო, სადაც ახლაც ბევრია დიდ-დიდნი ნაშენებნი.

კუხოსი დაემკვიდრა ბოსტან-ქალაქში; მისგან ეწოდა ამ მხარეს კუხეთი.

კახოსი დაემკვიდრა მდინარე არაგვიდგან ჰერეთამდე და ააშენა ქალაქი ჩელთი ჩელთის წყალზე (ეხლანდელი სოფელი შილდა თელავის მაზრაში); მისგან ეწოდა ამ მხარეს კახეთი.

მცხეთოსის შვილები.

მცხეთოსსა ჰყვანდა სამი შვილი: უფლოსი, ოძრახოსი და ჯავახოსი. უფლოსი იმით არის შესანიშნავი, რომ მან სამუდამოდ გადმოიტანა სამამასახლისო ტახტი მცხეთაში და გახადა ის მთელის საქართველოს დედა-ქალაქად *). მან ააშენა შემდეგი სამი ქალაქი: უფლისციხე, ურბნისი და კასპი. უფლის-ციხე მდებარეობს ქა-

*) დედა-ქალაქი ეწოდება უმთავრესს ქალაქს, სადაც სდგას და სცხოვრობს მეფე ანუ საზოგადოთ ქვეყნის მმართველი.

ლაქ ბორის ქვემოდ 8 ვერსზე, მტკვრის მარცხნივ, და შესანიშნავია იმით, რომ სულ კლდეშია გამოკვეთილი. ქასპი ძევს მცხეთასა და გორს შუა, რკინის-გზის გაყოლებაზედ, ხოლო შრბნისი ძევს ბორის ახლო, ზემოთ, მტკვრის მარცხენა კიდეზედ.

ოძრახანი დაემკვიდრა ტასის-კარიდგან (ეხლანდელი ბორჯომის ხეობა) ვიდრე შავ-ზღვამდე და ააშენა ორი ციხე-ქალაქი: ოძრხე და თუხარისი. ოძრხე გაშენებული იყო ოცხის ანანოების (ეხლანდელ აბასთუმნის) ახლო, ზემოდ, მთის ძირში, ხოლო თუხარისი—ჭოროხის ხეობაში.

ჯავახანი დამკვიდრდა ფარავნის ტბიდგან (ეხლანდელს ახალ-ქალაქის მაზრაში) ვიდრე თავამდე მტკვრისა. ამანაც ააშენა ორი ციხე-ქალაქი: წუნდა (ეხლანდელს ახალ-ქალაქის მაზრაში, ხერთვისის ციხის ზემოთ) და არტანი (ეხლანდელი არდაგანი, ყარსის საოლქოში, წუნდას ზემოთ, მტკვარზე).

(შემდეგი იქნება).



„ი ვ ე რ ი ა“

გამოვა 1901 წელსაც

იმავე პროგრამით, რაგვარც წინად.

ფასი გაზეთისა

12	თვით	10 მ.	— კ.	6	თვით	6 მ.	— კ.
11	„	9 „	50 „	5	„	5 „	50 „
10	„	8 „	75 „	4	„	4 „	75 „
9	„	8 „	— „	3	„	3 „	50 „
8	„	7 „	25 „	2	„	2 „	75 „
7	„	6 „	50 „	1	„	1 „	50 „

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი; ხოლო თუ ტფილისის გარეშე ხელის მომწერელი ერთის ადგილიდგან მეორეში გადავიდა, უნდა წარმოგზავნოს ორი აბაზი.

შენიშვნა წლიურ ხელის-მომწერთათვის: გინც გაზეთს ამ თავით მთელის წლით დაიბარებს, იმას შეუძლიან წლის ხელ-მოსწერი ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანოს ამგვარად: ხელის-მოწერის დროს 3 მან; პირველ მარტს — 2 მან; პირველ მაისს — 3 მან. და პირველ სექტემბერს — 2 მან.

ფასი განცხადებისა:

მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი — 8 კაპ., პირველზედ — 16 კაპ.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტ ფ ი ლ ი ს ი,

„ივერიის“ რედაქციას

ნიკოლოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კონცელარ., სასახლის ქუჩ., თავად-აზნაურობის სახლი.

ტელეფონის ნომერი 227.

საფოსტო ადრესი:

ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲚ, ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚ ᲜᲐᲮᲐᲢᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲙᲕᲐᲚᲘ“

(წელიწადი მეცხრე)

გამოვა 1901 წელსაც ოთვულ კვირა დღეს, **ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲝᲠᲛᲐᲢᲘᲗ** ერთიდგან სამს თაბახამდე.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ: რადგანაც ახალ-წლიდგან „კვალის“ გამოცემის საქმე ახალ პირობებში დგება ამისათვის შესაძლებელი ხდება გაზეთის სივრცით გაფართოვება, ახალი მუდმივი გახუოფილებების შემოღება და მით მკითხველისათვის მეტი საკითხავი მასალის მიწოდება.

წლის განმავლობაში „კვალში“ დაიბეჭდება მეცხრამეტე საუკუნის უველა შესანიშნავ მოღვაწეთა სურათები (ევროპის, რუსეთის და ჩვენი) მათი ბიოგრაფიებით.

გაზეთი წლიურათ ღირს თბილისში 7 მანეთად, თბილისს გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თბილისში 3 მ. 50 კ., თბილისს გარეთ 4 მან., ხოლო სამი თვით 2 მან., თითო ნომერი სამ შაურათ.

ხელის მომწერლებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილ-ნაწილათ შემოიტანონ.

ხელის მოწერა მიიღება: თბილისში, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში: (სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა), რკინის გზის სადგურზე—პირველი კლასის ბუფეტში ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით „კვალის“ რედაქციაში, არტილერიის ქუჩა, № 5, კადეტთა კორპუსის ახლოს (დროებით სანამ ახალ ბინაზე გადავიდოდეს).

ქუთაისში: მიტროფანე ლალიძესთან და ვ. ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში; ბათომში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში და სახალხო უფასო სამკითხველოში; ოზურგეთში და ახალ-სენაკში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში; ჭიათურაში კარპე მოდებაძესთან და ყვირილაში ივანე არდიშვილთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „КВАЛИ“

1901 წლისათვის
მიიღება ხელის მოწერა
„მოამბე“-„ცნობის ფურცელ“-ზე

ყოველ თვიური ჟურნალი „მ ო ა მ ბ ე“ (წელიწადი მერვე)		ყოველ დღიური გაზეთი „ც ნ ო ბ ი ს ფ უ რ ც ე ლ ი“ (წელიწადი მეექვსე)	
ფასი ჟურნალისა გაგზავნით:		ფასი გაზეთისა გაგზავნით:	
კავკასიაში და რუსეთში:	საზღვარ გარეთ:	კავკასიაში და რუსეთში:	საზღვარ გარეთ:
1 წლით . 10 მ.	1 წლით . 13 მ.	1 წლით . 6 მ.	1 წლით . 9 მ.
6 თვით . 6 მ.	6 თვით . 7 „	6 თვით . 4 „	6 თვით . 7 მ.
3 „ . 3 „	3 „ . 5 „	1 „ . 75 კ.	1 „ . 90 კ.
წლიური ფასის განაწილება:		**წლიური ფასის განაწილება:**	
პირველად — 5 მანეთი,		პირველად — 3 მანეთი,	
1-ლ აპრილამდე - 3 მანეთი და		პირველ აპრილამდე — 3 მანეთი.	
1-ლ სექტემბრამდე — 2 მანეთი		—თითო ნომერი — 3 კაპ.	

ვინც **„მოამბე“**-ს მთელის წლით გამოიწერს **„ცნობის ფურცელი“** უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნად ფოსტის ხარჯისთვის უნდა დაუმატოს 1 მანეთი.

წლიური ფასის და საფოსტო სარჯის განაწილება ასე შეიძლება: პირველათ—**6** მანეთი, პირველ აპრილამდე—**3** მან., და პირველ სექტემბრამდე—**2** მანეთი.

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ გამოვა 1900 წ. პირველ დეკემბრიდან გაფართოებულის პროგრამით და გადიდებულის ფორმატით.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კ., მე-4—5 კ; თუ განცხადება 3 ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели“.

მიიღება ხელის-მოწერა 1901 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემს“-ზე

და

„РУССУЛ ПАСТЫРЬ“-ზე

ჟურნალის ფასი:

12 თვით „მწყემსი“	3 მ.		6 თვით „მწყემსი“	2 მ.
— „ რუსული „	3 მ.		— „ რუსული „	2 „
— „ ორივე გამოცემა	5 „		— „ ორივე გამოცემა	3 „

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც ყვირილაში, აგრეთვე ქუთაისშიაც. თფილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან. ფოთში დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭაროვთან, საჩხერეში — ყარამან მხეიძესთან; ახალციხეში — დეკანოზ დ. ხახუტოვთან, ახალსენაკში — ბლაღოჩინ მამა არისტარქ კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთი დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მანეთად.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში დიასამიძის სახლებში და ყვირილაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიანთ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и „ПАСТЫРЬ“.

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

1901 წლის ხელის მომწერთ ჴრემიად (საჩუქრად) აქვსთ დანიშნული დიდი სურათი ყოვლად სამღვდელო ლეონიდისა, იმის მსგავსი, როგორიც არიან შოთა რუსთაველისა და თამარისა.

ОТКРЫТА ПОДПИСКА
на 1901 г.

на издающуюся въ Тифлисѣ политическую и литературную ежедневную газету

„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“.

Газета будетъ выходить въ 1901 году подъ прежней редакціей и по прежней программѣ.

Съ цѣлью удовлетворить все болѣе развивающуюся потребность въ чтеніи, ФОРМАТЪ газеты съ конца нынѣшняго года будетъ УВЕЛИЧЕНЪ.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ

съ доставкой и пересылкой:

На 12	мѣсяцевъ	10 р. — к.	На 6	мѣсяцевъ	6 р. — к.
„ 11	„	9 р. 50 к.	„ 5	„	5 р. 25 к.
„ 10	„	8 р. 75 к.	„ 4	„	4 р. 75 к.
„ 9	„	8 р. — к.	„ 3	„	3 р. 50 к.
„ 8	„	7 р. 25 к.	„ 2	„	2 р. 75 к.
„ 7	„	6 р. 50 к.	„ 1	„	1 р. 50 к.

За границу: на годъ—**17** р., на полгода—**9** р., на 3 мѣсяца—**5** р.

Для годовыхъ подписчиковъ, какъ городскихъ, такъ и иногородныхъ, обращающихся непосредственно въ контору редакціи, ДОПУСКАЕТСЯ РАЗСРОЧКА на слѣдующихъ условіяхъ: при подпискѣ вносится—3 р., къ 1-му марта—2 р., къ 1-му мая—3 р. и къ 1-му сентября—2 р. Для сельскихъ учителей льгота: подписная цѣна на годъ—**7** р., на полгода—**4** р.

Лица, подписывающіяся на будущій годъ, получаютъ газету въ нынѣшнемъ году безплатно.

Подписка принимается не иначе, какъ считая съ 1-го числа каждаго мѣсяца. Подписка иринимается **въ Тифлисѣ, въ конторѣ газеты, Барятинская ул., д. № 8**.

Книги, издаваемыя редакціею, будутъ продаваться подписчикамъ „Нов. Об“ съ уступкою 50%.

„Духовный Вѣстникъ Грузинскаго Экзархата“

съ 1 января 1901 года

при Тифлисской Православной Духовной Семинаріи имѣетъ выходить два раза въ мѣсяцъ, объемомъ отъ 2 до 3 печатныхъ листовъ, на русскомъ языкѣ, съ переводомъ нѣкоторыхъ статей на грузинскій, по слѣдующей программѣ:

Офиціальная часть.

Высочайшія повелѣнія, указы *Святѣйшаго Синода,* опредѣленія и распоряженія Высшаго духовнаго и мѣстнаго Епархіальнаго Начальства;

Назначенія и перемѣны по службѣ лицъ духовныхъ и вообще служащихъ по духовному вѣдомоству въ Грузинскомъ экзархатѣ;

Свѣдѣнія о дѣятельности „Общества возстановленія православнаго христіанства на Кавказѣ“ и отчеты его;

Свѣдѣнія о состояніи духовно-учебныхъ заведеній экзархата; разрядные списки учениковъ Семинаріи, Духовныхъ училищъ и воспитанницъ Епархіальнаго женскаго училища;

Отчеты Епархіальныхъ Училищныхъ Совѣтовъ и духовно-учебныхъ заведеній экзархата по хозяйственной части.

Неофиціальная часть.

Слова, поученія, рѣчи. а также и внѣцерковныя собесѣдованія;

Жизнеописанія св. угодниковъ Православной Церкви вообще и Грузинской въ особенности, и назидательные примѣры изъ ихъ жизни;

Біографіи и некрологи замѣчательныхъ современныхъ церковныхъ дѣятелей;

Статьи, очерки и разсказы, преимущественно касающіеся Грузій, религіознаго, историческаго и описательнаго характера;

Лѣтопись церковной жизни Грузинскаго экзархата и корреспонденціи изъ его епархій;

Разрѣшеніе недоумѣнныхъ вопросовъ изъ пастырской практики;

Отвѣты и объясненія на разныя журнальныя статьи, касающіяся Грузинскаго экзархата;

Общедоступныя и наиболѣе полезныя свѣдѣнія по народной медицинѣ;

Разныя извѣстія и замѣтки; и объявленія.

Подписная цѣна на годъ 4 р., на полгода 2 р. (Пересылка на счетъ редакціи). Подписка принимается при Тифлисской Православной Духовной Семинаріи.

„*Духовный Вѣстникъ Грузинскаго Экзархата*“ покорнѣйше проситъ редакціи журналовъ и газетъ какъ духовныхъ, такъ и свѣтскихъ, напечатать это объявленіе и обмѣниваться своими изданіями съ нимъ.

Редакторъ, Ректоръ Семинаріи,

Архимандритъ Гермогенъ.

მაღაზია

ქართველთა საღებ-მიცემო ამხანაგობისა

„შუამავალი“

გადატანილ იქმნა გოლოვინის პროსპექტზედ ოქოევის შენობაში (ცირკის გვერდზედ).

გამგეობა „შუამავალისა“ აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ მაღაზია სრულიად **შეახლებულ და შევსებულია** ყოველ გვარის საუკეთესო ხაქონლითა, სანოვაგითა, ხილეულითა და სასმელებითა.

ვსთხოვთ ყველას ნახონ ჩვენი მაღაზია და დარწმუნდნენ, რომ ქართველთა საღებ-მიცემო ამხანაგობის ცდა, **რომ** საუკეთესო საქონელი მიაწოდოს თავისს მუშტარს პირიანად, ღირსია საზოგადოების ყურადღებისა და თანაგრძნობისა.

გამოვიდა და დაურიგდა გასასყიდად წიგნის ყველა მაღაზიებს **კ ე დ ლ ი ს კ ა ლ ე ნ დ ა რ ი** კ. თავართქილაძისა, ფასი **40** კ.

მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი იმპერატორი სრულიად რუსეთისა **ნიკოლოზ ალექსანდრეს** ძე, დაიბადა 6 მაისს 1868 წ. და იმპერატრიცა **ალექსანდრა თეოდოზ-რეს** ასული, დაიბადა 25 მაისს 1872 წ.

განთიადი

(ვუძღვნი ჟურნალს „მოგზაურს“).

ასეგვარად ეთერში ბადრი მოოვარე
დაჭკაშკაშებდა დედა-მიწასა,
ბდემა-მოსილი არე და ბარე
შესტრფიალებდა მოწმენდილ ცასა.
ბუმბერაზივით სთვლემდა მთა-ბარი,
ირგვლივ სიჩუმეს არვინ არღვევდა,
მხოლოდ ხან-და-ხან ნიავი წყნარი
შიშველ ხის ტოტებს მიმოარხევდა.
შავ-ცხოვრებასთან ბრძოლით დაღლილი
მარტოდ ოთახში იჯდა ჭაბუკი
დაღონებული, ძირს თავ დახრილი
და ზედ დაჭკრთოდა სანთლისა შუქი.
ხვალ ახალს წელსა მიეგებება
მთელი ქვეყანა მხიარულადა,
მას კი... შხამითა გული ევსება
და თავს გრძნობს ისევ უბედურადა.
რადას მოუტანს ახალი წელი,
რას აქნევს ახალს თვით საუკუნეს,
როს კარს არტყია იგივე ბნელი,
იგივ გრიგალი თავს დაჭგუგუნებს?
ახალი წელი... ოჰ, ეს იმედი!
ეს ამხნევებდა ჭაბუკს სიყრმიდგან,
და ვითა წყარო ცხოველ-მომქმედი
ძალა მოსჩქეფდა სულის სიდრმიდგან.

მაგრამ მასს სიტუვას, საქმეს კეთილსა
ჭხვდა ნიადაგი ცივი, კლდოვანი,
და უხმოდ მაშვრალს, გულ-დაწუვეტილსა
ულრობოდ აჭკნობს სევდა, კლოვანი..
ამ ფიქრში გართულს უცებ თვალ-წინა
წარუდგა უცხო რამ სანახავი,
შარავანდედი სახეს ეფინა,
შემკული ჭქონდა გვირგვინით თავი:
„მე ვარო შენთან გამოგზავნილი
წინა-მორბედად დიად ნათლისა,
ჭხედავ—ამოდის ძლევა მოსილი,
ქვეყნად მომფენი ციურ მადლისა!
„შენს ოცნებაში გამოხატული
განხორციელდა ბედნიერება,
აღერე ჩანგი სიმ მომართული
და კვლავ შეამკე მშვენიერება“!
სალცარ ხილვით გატაცებული
ჭაბუკი უცებ სულით განახლდა,
იგრძნო კვლავ ძალა განცოცხლებული,
გული სიამით აუთამაშდა.
წამოდგა სახე-გაბრწყინვებული
და მიეგება დღის გათენებას:
ხალხი ჭხარობდა გაღვიძებული
და ჭღაღადებდა ქებათა-ქებას!

ნ. ზობელია.

შეუსაბამო ცნობანი ისტორიაში.

ბევრს შეუსაბამო და დაუჯერებელს ამბავს შეხვდება მკითხველი ჩვენსა და უცხო ხალხთა ისტორიასა და მატიანებში. საჭიროა ხელ-მძღვანელი, რომ მკითხველმა გაარჩიოს ტყუილი მართლისაგან, დასაჯერებელი დაუჯერებელისაგან. ასეთ ხელმძღვანელად ჩვენ მიგვაჩნია ფსიხოლოგია — მეცნიერება სულზე და მის მოქმედება-გამოჩენაზე. საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ გავარკვიოთ, რით აიხსნება ასეთი თუ ისეთი არა ჩვეულებრივი მოქმედება და ამბავი რომლისამე ისტორიულის პირისა, რომ ტყუილ-უბრალოდ მუდმივ ეჭვსა და გამოცანაში არა ვტრიალებდეთ ისტორიულის სიმართლის ძებნაში. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია განვუზიაროთ მკითხველს ზოგიერთი საზოგადო ცნობანი გრძნობათა მოტყუებათა შესახებ, მეტადრე მხედველობისა და მსმენელობის გრძნობებისა რომლებიც ხშირად ისე მოეშლება ხოლმე ადამიანს, რომ რაღაც არა ჩვეულებრივს მდგომარეობაში აყენებს მას და მისსავე მსგავსად ამოქმედებს. მოხდება ხოლმე, მაგ., რომ ადამიანს კლდე კოშკად ეჩვენება, მთვარის სინათლის ციმციმი სადმე დაბურულს ტყეში — კამკამ ნაკადულად და გასაშრობად გაფენილი ზეწარი — ლანდად. ყველა ეს, რა თქმა უნდა, გრძნობისა და აზრის მოტყუებაა და უმეტეს შემთხვევაში წარმოსდგება გარეგან ბუნებაში ანუ თვით ადამიანში მყოფ მიზეზებისაგან. ხშირად საკმაოა მცირეოდნად შეიცვალოს ჩვენის სისხლის შემადგენელობა, ანუ მოგვეშალოს რომელიმე ასო, შეგვცივდეს, დაგვცხეს და სხვა, რომ ძალა-უნებურად ჩავვარდეთ გრძნობებით ავად-მყოფთა რიცხვში. ასეთის ავადმყოფების აღწერით სავსეა სპეციალური ჟურნალები. მაგალითად, სწერენ, რომ ერთი ასეთი ავად-მყო-

ფი, მთელის საათობით სტკბებოდა ორის ფრთის რხევით, რომლებიც ვითომც მოძრაობდნენ ჰაერში და ავათ-მყოფიც წამ და-უწუმ უბერავდა მათ, რომ ფრთების ფრიალი არ შემდგარიყო. ერთი ასეთივე ავად მყოფი, რამდენისამე საათის განმავლობაში, ყოველ დღე ღამე სულ ათიოდე ნაბიჯის მანძილზე ჰხედავდა ერთის უკვე გარდაცვალებულის ნაცნობის სახეს. ავად-მყოფმა ჰკითხა ცოლსა: „შენც ჰხედავ თუ არა მის სახესაო?“ — არაო, — უპასუხა ცოლმა და კაცს ძლიერ უკვირდა ეს. რადგანაც აქიმებს ეგონათ, რომ მისი ავად-მყოფობა სისხლის ჭარბობისგან წარმოსდგება, საღამოს 11 საათზე მას წურბელა მოუკიდეს. მოჩვენება ნელ ნელა გაჰქრა და აღარც გაჰმეორებია. ზოგიერთი ასეთი მოტყუებანი მხედველობის გრძნობისა თვალების დახუჭვის დროსაც ემართება ადამიანს.

მოვიყვანოთ ყურების ანუ მსმენელობის გრძნობის მოშლისა და მოტყუების მაგალითებიც. ერთს ასეთს ავად-მყოფს, მაგალითად, მუდამ ესმოდა, რომ მას ვილაც ეძახის, თუმცა არავინ კი არ ეძახდა. ერთი ქალი მუდამ ამას ეხვეწებოდა მეზობლებს: „უთხარით ამ კედლებს დამეხსნან, ნუ მეძახიანო“, — მაგრამ, რასაკვირველია, ამაოდ, მეზობლები ვერას შველოდნენ. ერთმა ასეთმავე ავად-მყოფმა ცეცხლი წაუკიდა საკუთარს სახლს, რომ გამოეყარა იქიდგან ბოროტი სულები, რომლებიც ვითომ მოსვენებას არ აძლევდნენ მას თავიანთის ყბედობით. ერთს ასეთსავე ავად-მყოფს ვითომც ესმოდა მშვენიერი სიმღერები დედა-მიწის სიღრმიდამ და ისიც სრულ მოქანცვამდის სთხრიდა მიწას იმ ადგილას, საიდამაც მოესმოდა სიმღერა, რათა ენახა მომღერალნი. ზოგს ასეთს ავად-მყოფებს მოესმით ლაპარაკი იატაკის ქვეშიდამ და გრძელს ბაასსაც გააბმენ ხოლმე მათთან. ერთს ქალს, მაგალითად, მთელი თორმეტი თვე ისე აწუხებდა გრიალი თავსა და ყურებში, რომ იგი ნამდვილს გიჟსა ჰგვანდა და რამდენჯერმე განიძრახა კიდეც თავის მოკვლა, რომ სამუდამოდ მორჩენი-

ლიყო წვალებას, მაგრამ მახლობლებმა გადაარჩინეს. აჩვენეს აქიმს. მან ყველა ეს მიაწერა ყურის უბრალო ავად-მყოფობას, გამოურეცხა ყური თბილის წყლით, გამოუღო რაც ყურში უწმინდურება მოგროვილიყო და ქალიც მას შემდეგ სრულიად მორჩა კიდეც.

ცხადია, რომ ყოველი ასეთი მოტყუება მხედველობითის, მსმენელობითის თუ სხვა გრძნობებისა, წარმოსდგება ამ გრძნობათა დაშავებისა და მოშლისაგან და არა სხვა რაიმე ზესთა ძალებისაგან. ეს კარგად უნდა დაიხსომოს ჩვენმა მკითხველმა, რათა ყოველს ასეთს შემთხვევაში შეეძლოს ადვილად გაარჩიოს შესაძლებელი შეუძლებლობისაგან და მიზეზიც უპოვოს ისტორიულს საეჭვო ამბავსა.

მაჰმადის ცხოვრებაში, მაგ., ვკითხულობთ შემდეგსა: „როცა მაჰმადი მთელს დღეებსა და ღამეებს მარტოდ-მარტო ატარებდა ლოცვასა და სარჯულო საქმეთა ფიქრებში ჰირას გამოქვაბულში, მას გამოეცხადა ანგელოზი და უთხრა: „წაიკითხეო". მაჰმადმა უპასუხა: „არასოდეს არ მისწავლია კითხვაო". ანგელოზმა მტაცა ხელი, განაგრძობს მაჰმადი, — და ისე მომიჭირა, რომ მთლად ღონე დავკარგე, შემდეგ გამიშვა და კვლავ მითხრაო: „წაიკითხეო". მე კვლავ ვუპასუხეო: „თავისს დღეში არ წამიკითხავსო" და სხვა. ყოველი ეს შეიძლება მართლაც ენახოს და გაეგონოს მაჰმადს, მაგრამ ცხადია, რომ ყოველივე ეს ლიტონი მოტყუება იყო მისის მხედველობითის და მსმენელობითის გრძნობებისა, რომლებმაც ყოველს შემთხვევაში ისე ძლიერად იმოქმედეს თვით მაჰმადზე და მისს მახლობლებზე, რომ დაარწმუნეს ისინი მაჰმადის ღვთისაგან მოციქულად და წინასწარ-მეტყველად არჩევაში ღვთის წმიდა ნებისა და სურვილის შესასრულებლად და ახალის რჯულის გასავრცელებლად ქვეყანაზედ.

არის მეორე გარდმოცემა, რომ, როცა მაჰმადი დასეირნობდა ხოლმე მეკკას მიდამოებში, ყოველი ხე და ქვა ხმას იღებდა და ეუბნებოდაო: „კეთილი შენ, ღვთის ნოციქუ-

ფი, მთელის საათობით სტკბებოდა ორის ფრთის რხევით, რომლებიც ვითომც მოძრაობდნენ ჰაერში და ავათ-მყოფიც წამ და-უწუმ უბერავდა მათ, რომ ფრთების ფრიალი არ შემდგარიყო. ერთი ასეთივე ავად-მყოფი, რამდენისამე საათის განმავლობაში, ყოველ დღე ღამე სულ ათიოდე ნაბიჯის მანძილზე ჰხედავდა ერთის უკვე გარდაცვალებულის ნაცნობის სახეს. ავად-მყოფმა ჰკითხა ცოლსა: „შენც ჰხედავ თუ არა მის სახესაო?“ — არაო, — უპასუხა ცოლმა და კაცს ძლიერ უკვირდა ეს. რადგანაც აქიმებს ეგონათ, რომ მისი ავად-მყოფობა სისხლის ჭარბობისგან წარმოსდგება, საღამოს 11 საათზე მას წურბელა მოუკიდეს. მოჩვენება ნელ ნელა გაჰქრა და აღარც გაჰმეორებია. ზოგიერთი ასეთი მოტყუებანი მხედველობის გრძნობისა თვალების დახუჭვის დროსაც ემართება ადამიანს.

მოვიყვანოთ ყურების ანუ მსმენელობის გრძნობის მოშლისა და მოტყუების მაგალითებიც. ერთს ასეთს ავად-მყოფს, მაგალითად, მუდამ ესმოდა, რომ მას ვილაც ეძახის, თუმცა არავინ კი არ ეძახდა. ერთი ქალი მუდამ ამას ეხვეწებოდა მეზობლებს: „უთხარით ამ კედლებს დამეხსნან, ნუ მეძახიანო“, — მაგრამ, რასაკვირველია, ამაოდ, მეზობლები ვერას შველოდნენ. ერთმა ასეთმავე ავად-მყოფმა ცეცხლი წაუკიდა საკუთარს სახლს, რომ გამოეყარა იქიდგან ბოროტი სულები, რომლებიც ვითომ მოსვენებას არ აძლევდნენ მას თავიანთის ყბედობით. ერთს ასეთსავე ავად-მყოფს ვითომც ესმოდა მშვენიერი სიმღერები დედა-მიწის სიღრმიდამ და ისიც სრულ მოქანცვამდის სთხრიდა მიწას იმ ადგილას, საიდამაც მოესმოდა სიმღერა, რათა ენახა მომღერალნი. ზოგს ასეთს ავად-მყოფებს მოესმით ლაპარაკი იატაკის ქვეშიდამ და გრძელს ბაასსაც გააბმენ ხოლმე მათთან. ერთს ქალს, მაგალითად, მთელი თორმეტი თვე ისე აწუხებდა გრიალი თავსა და ყურებში, რომ იგი ნამდვილს გიჟსა ჰგვანდა და რამდენჯერმე განიძრახა კიდეც თავის მოკვლა, რომ სამუდამოდ მორჩენი-

ლიყო წვალებას, მაგრამ მახლობლებმა გადაარჩინეს. აჩვენეს აქიმს. მან ყველა ეს მიაწერა ყურის უბრალო ავად-მყოფობას, გამოურეცხა ყური თბილის წყლით, გამოუღო რაც ყურში უწმინდურება მოგროვილიყო და ქალიც მას შემდეგ სრულიად მორჩა კიდეც.

ცხადია, რომ ყოველი ასეთი მოტყუება მხედველობითის, მსმენელობითის თუ სხვა გრძნობებისა, წარმოსდგება ამ გრძნობათა დაშავებისა და მოშლისაგან და არა სხვა რაიმე ზესთა ძალებისაგან. ეს კარგად უნდა დაიხსომოს ჩვენმა მკითხველმა, რათა ყოველს ასეთს შემთხვევაში შეეძლოს ადვილად გაარჩიოს შესაძლებელი შეუძლებლობისაგან და მიზეზიც უპოვოს ისტორიულს საეჭვო ამბავსა.

მაჰმადის ცხოვრებაში, მაგ., ვკითხულობთ შემდეგსა: „როცა მაჰმადი მთელს დღეებსა და ღამეებს მარტოდ-მარტო ატარებდა ლოცვასა და სარჯულო საქმეთა ფიქრებში ჰირას გამოქვაბულში, მას გამოეცხადა ანგელოზი და უთხრა: „წაიკითხეო“. მაჰმადმა უპასუხა: „არასოდეს არ მისწავლია კითხვაო“. ანგელოზმა მტაცა ხელი, განაგრძობს მაჰმადი, — და ისე მომიჭირა, რომ მთლად ღონე დავკარგე, შემდეგ გამიშვა და კვლავ მითხრაო: „წაიკითხეო“. მე კვლავ ვუპასუხეო: „თავისს დღეში არ წამიკითხავსო“ და სხვა. ყოველი ეს შეიძლება მართლაც ენახოს და გაეგონოს მაჰმადს, მაგრამ ცხადია, რომ ყოველივე ეს ლიტონი მოტყუება იყო მისის მხედველობითის და მსმენელობითის გრძნობებისა, რომლებმაც ყოველს შემთხვევაში ისე ძლიერად იმოქმედეს თვით მაჰმადზე და მისს მახლობლებზე, რომ დაარწმუნეს ისინი მაჰმადის ღვთისაგან მოციქულად და წინასწარ-მეტყველად არჩევაში ღვთის წმიდა ნებისა და სურვილის შესასრულებლად და ახალის რჯულის გასავრცელებლად ქვეყანაზედ.

არის მეორე გარდმოცემა, რომ, როცა მაჰმადი დასეირნობდა ხოლმე მეკკას მიდამოებში, ყოველი ხე და ქვა ხმას იღებდა და ეუბნებოდაო: „კეთილი შენ, ღვთის ნოციქუ-

ლოო!“ მაჰმადი დადგებოდა და აქეთ-იქით დაიწყებდა ყურებას, რომ დაენახა და გაეგო, ვინ ელაპარაკება, მაგრამ ქვისა და ხეების მეტს ვერასა ჰხედავდაო.

ავიღოთ გამოჩენილი რეფორმატორი ნემცებისა ლიუტერი. დიდი და მრავალის მცოდნე კაცი იყო იგი, მაგრამ მაინც არ იყო თავისუფალი იმ ცრუ-მორწმუნოებათაგან, რომლითაც სავსეა საქსონელის გლეხის ოჯახი. ბამუდმებულის ღელვისა და წერისაგან, ლიუტერს დასჩემდა ეგრედ წოდებული ტვინის სიშმაგე. რომლის დროს ადამიანს თითქმის აღარ შეუძლიან ტვინით მუშაობა—კითხვა, წერა, მსჯელობა. ერთს თავისს წერილში ლიუტერი სწერს: „საშინელი თავ-ბრუ მჭირს; დღეს, მაგალითად, ისიც ვერ მოვახერხე, რომ აზრი მომეკრიბა და ფსალმუნის ორი-სამი სტრიქონი წამეკითხა. ყოველ 11-12 წამში, ისეთი საშინელი ბზუვილი და გრიალი მივლის თავსა და ყურებშიო, რომ მეშინიან სკამიდგან არ გადმოვარდეო. რა წამსაც დავჯდები სამუშაოდ, იმავ წამს, ჩემი თავი ივსება წივილით, კივილით, ბრახუნით და თუ მაშინვე არ მივატოვე მუშაობა, გულ-შელონებული დავარდები ძირსაო“. დასასრულ ლიუტერი სწერს: „ეს სულ ეშმაკის ბრალიაო, რომელიც მოსვენებას არ მაძლევს მეო“.

ბევრს ასეთს მაგალითებს შევხვდებით ჩვენს ისტორიასა და მატიანებშიაც. „ქართლის-ცხოვრებაში“, მაგ., ვკითხულობთ შემდეგსა:

„და ვითარცა წარვიდა ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ ქარსნელი, და მუნ დახვდეს ჯვარ-ცმასა. ხოლო რა ჟამს-იგი იერუსალიმს დამსჭვალვიდეს უფალსა, ცემასა-მას კვერისასა სამსჭვალთა ზედა, მყის მებრ მასვე ჟამსა მცხეთას ხმა ესმა დედასა ელიოზისსა. ხოლო მან საშინელითა კრჩხიალებითა დაიზახნა და თქვა: „მშვიდობით, მეფობაო ისრაელთაო, რამეთუ უგუნურებით მოკალთ, უბადრუკნო და წარწყმედილნო, უფალი და მა-

ცხოვარი ყოველთა, და იქმენით ბოროტად მკვლელ შემოქმედისა თქვენისა“... (გვ. 51).

ანუ შემდეგი ადგილი:

„და ვიდრე არა ეყივლა ქათამსა სამოავე კერძოთა ქალაქისათა, დაჰსცა ზარსა ლაშქარმან ძლიერმან, დალეწნეს კარნი, და აღივსო ქალაქი სპარსითა ლაშქრითა, და შეიქმნა ზარის სახდელი ზრზინვა, და ყივილი, და კლვა, და სისხლი დიოდა, და აღივსო ყოველი ადგილი, და მოვიდა მათდა სიმრავლე, ზახილითა და მახვილითა, და სხვათა-მათ შიშისაგან დადნებოდნენ ხორცნი და განილია სული მათი... და ისმა ხმა ძლიერი: „მირიან მეფეი შეიპყრესო“... (გვ. 122).

აღმოჩნდა, რომ მცირედი რამ ამის მსგავსისაცა რაფერი მომხდარიყო, მცხეთას მშვიდობიანად ეძინა და მირიან მეფეც კეთილად ბრძანდებოდა თავისს სასახლეში...

ეხლანდელთა მეცნიერთა ენით ასეთს მოვლენას ადამიანთა ცხოვრებაში ეწოდება გაჯიუტანიცია, რაიცა აღნიშნავს მოტყუებას, როტვას და, როგორც ზემოთაც განვმარტეთ, წარმოსდგება გრძნობათა მოტყუებისაგან, რომლის მიზეზი ხშირად ან თვით ადამიანში და ან მის გარე მყოფ ბუნებაშია.



ძუმურდოს ტაძარი აღშენებული 964 წელსა.

ახლანდელს რუკებზე (ქარტებზე) კუმურდო წოდებულია გუმურდოდ, მაგრამ უფრო სწორი იქნება ვიხმაროთ კუმურდო, რადგანაც ასეა იგი ნახმარი თვით წარწერაში ეკლესიაზე, რომელიც ჩვენ წინაპრებს აუშენებიათ აქ 964 წელსა. ამიტომ სცდება დიმიტრი ბბქრაძეც, როცა სწერს:

„იმას მოიხსენებს წარწერა ჯავახეთის ეკლესიის ქ უ მ უ რ დ ო ს ი“... *).

სოფელი კუმურდო ძევს 12 ვერსზე ქალაქ ახალ-ქალაქიდგან, სამხრეთ-დასავლეთისკენ მისგან, ზედ მდინარე მტკვრის თვალ-უწვდენ ღრმა ხევის პირად, რომლითაც თავდება ჯავახეთის შესანიშნავი ვრცელი ველი (მარჯვნივ მტკვრისა). რომ უფრო კარგად წარმოიდგინოს მკითხველმა სოფელ კუმურდოს მდებარეობა, მოვახსენებთ შემდეგს. ახალ-ქალაქიდამ რომ სამხრეთ-დასავლეთისკენ წაბრძანდეთ, მთელს 12—15 ვერსს სულ ერთ უშველებელს ველით ივლით, მოფენილს გარშემო ყანებითა და მშვენიერის ყვავილ-ბალახითა. არსად ერთი ხე, ერთი ბუჩქი და მათი მკუთვნელი ფრინველი! მაგრამ ნაცვლად ამისა, ჰაერში ასობით მოციმციმე ტოროლების ნარნარი და ნაზი გალობა საამურად ატკბობენ თქვენს სმენას. გაივლით 12-15 ვერსს და მიადგებით მდინარე მტკვრის უშველებელს ხეობას, მაგრამ არ კი გეგონოთ, რომ აი ეს არის მტკვარში თევზს დაიჭერთ! არა. მართალია მტკვრის ხევს მიადექით, მაგრამ თვით მტკვარი კი ჯერ შორს არის: ბარემ ოთხი-ხუთი ვერსი უნდა იაროთ სულ დალმართით, რომ ძლივს მიხვიდეთ მდინარემდის. ადვილი წარმოსადგენია მკითხველისათვის, თუ მართლა რამოდენა უნდა იყოს აქ მტკვრის ხევი, რომ მარტო 4-5 ვერსი უნდა იაროს, რომ გაიაროს მისი მარტო ერთი მხარე. თბილისში რომ განდეგილიდამ მახათის მთამდის ძლივს ერთი-ორი ვერსი იქნება მტკვრის ხევის სიგანე, იქ, კუმურდოს ნაპრალიდამ ზედა თმოგვის

*) იხ. მისი ისტორია საქართველოსი გვ. 275.

(მტკვრის მეორე ნაპირზე ძევს, მის აგრეთვე მაღალ კიდეზე) ნაპრალამდე ბარემ ათი ვერსი იქნება. ასეთი ვრცელია აქ მტკვრის ხეობა! უყურებ და გიკვირს—რა ძალამ, რა წყალრღვნამ ჩარეცხა და ჩააღრმავა ასე გაუთავებლად აქაურობა. სწორედ ამით აიხსნება, რომ მთელი ეს ხეობა მოფენილია უშველებელის კლდის ნამსხვრევებით ⁄ მთელის სახლის ოდენა ქვებით, რომლებიც გამოუჩენია აქ წყალსა, როცა ფხვიერი მიწა ჯავახეთის ველისა მდინარესთვის მიუცია. ბარდა განცვიფრებისა, დამკვირვებელი მოგზაური დიდს სიამოვნებასაც გრძნობს აქა, როცა იგი გაშტერებული გაჰყურებს ძუმურდოდამ მისს ფერხთ ქვეშე გაშლილს ხევსა. აიხსნება ეს იმით, რომ მთელი ეს უშველებელი ხევი მოფენილია ბაღ ბოსტნებითა, რომლებსაც, როგორც ზევით მოგახსენეთ, სრულებით მოკლებულია ჯავახეთის თვალუწვდენი ველი, სიმაღლისა, სიგრილისა და უწყლობის გამო. აქ, ქვეით კი, წყალიც ბევრია, რომელიც მშვენიერის კამკამ წყაროებად გამოსჩქეფს ჩარეცხილ კლდეთა ძირებიდამ და ჰავაც უფრო ზომიერი და თბილია, რის გამოც აქ უხვად ხარობს უკეთესი ვაშლი, მსხალი, ალუბალი, ბალი, თუთა და სხვა, რომლებითაც ასე განთქმულია საზოგადოთ ახალციხის და ეს ნაწილი ახალ-ქალაქის მხარისა. აი ამ ხევის ველზე იყო ოდესმე მორჭმული დიდებული წუნდა, ჯავახოსისგან აშენებული, სადაც შემდეგში ხშირად ცხოვრობდნენ ჩვენი მეფენიც ზაფხულობით, როგორც ამბობს მატიანე:

„ხოლო თვენი ზაფხულისანი და სთვლისა ორისანი (შემოდგომის დრო?ი) დაუვნის *) მცხეთას, სამეფოსა, და თვენი ზამთრისანი დაუყნის გაჩიანთა, ხოლო თვენი ზაფხულისანი წ უ ნ დ ა ს, და ყამითა-ყამად მიჰიდის ეგრის, და კლარჯეთს და მოიკითხნის მეგრელნი და

*) იგულისხმება ფარნაოზ მეფე.

კლარჯნი, და განგის ეოველი საქმე დაშლილი“... *)

აქვეა თმოგვის მიუდგომელი ციხე და დიდებული ვარძია. მაგრამ დავუბრუნდეთ ქუმურდოს. დღეს იგი მთლად სომხებით არის დასახლებული, რომლებიც გადმოსახლებულან აქ 1830 წლებში ერზერუმიდამ და თავი შეუფარებიათ ქუმურდოს იმ ეკლესიისათვის, რომლის ჭერის ქვეშ ოდესმე ვინ იცის რამდენის ქართველის სასოებას მოუპოვებია მადლი და ნუგეში... უწინ ქუმურდო როდი იყო უბრალო სოფელი: იგი ადგილ-საცხოვრებელი იყო ჯავახეთის ეპისკოპოსისა და, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებასაც, რომ ჯავახეთის აწინდელი უმთავრესი ქალაქი ახალ-ქალაქი მაშინ (964 წელს, როცა ააგეს ქუმურდოს ტაძარი) ჯერ კიდევ არ არსებობდა (იგი დაარსებულია მეფე ბაგრატ მესამის დროს, რომელიც მეფობდა 980—1014 წლებში), ქუმურდო უმთავრესი ადმინისტრატიული ცენტრიც უნდა ყოფილიყო მაშინდელის ჯავახეთისა. არც მცირე ადგილი ეკავა ქუმურდოს ეპისკოპოსს საქართველოს მაშინდელს იერარქიაში; მაგალითად, მეფეთა კურთხევის დროს, ქუმურდოს ეპისკოპოსი ჯდებოდა მეფის მარცხნივ მეოთხე ადგილზე, ძიზიყის ეპისკოპოსის შემდეგ, ე. ი. პირველ ადგილზე მეფის მარცხნივ ჯდებოდა ჴყონდიდელი (მარჯვნივ — კათალიკოსი სრულიად საქართველოსი), შემდეგ ჴყონდიდელისა— ავვა ალავერდისა, ძიზიყისა, კუმურდოსი, ნინო-წმიდისა და სხვა.

ქუმურდოს არქიელთა შორის ცნობილ არიან იოანე

---

*) ჩვენ ხშირად განგებ მოგვაქვს სიტყვა-სიტყვით ძველის ნაწერების ნიმუშები, რათა ამით სხვათა შორის გავაცნოთ „მოგზაური“-ს მკითხველი ძველს ენას. ჩვენის მხრით მხოლოდ იმას ვეცდებით, რომ ძნელი სიტყვები და გაუგებარი აზრი ავხსნათ ხოლმე. ეს საშუალება ჩვენ მიგვაჩნია უკეთეს სკოლად ჩვენის ძველის მწერლობის შესასწავლად და გასაცნობად. რედ.

(მაშენებელი ქუმურდოს ტაძრისა), ბაბრიელი, ეფრემი და ზოსიმე. სახელები ამ ოთხისავე ეპისკოპოსისა, როგორც ამას ქვემოდ თვითონაც დაინახავთ, ახლაც დაცულია ქუმურდოს ტაძრის წარწერებში. აძავე წარწერებში მოხსენებულ არიან მარიამ დედოფალი (მეუღლე ბიორგი მეფისა პირველისა 1014—1027 წ.) და დედა ბაგრატ დიდისა მეოთხისა (1027—1072 წ.), ერისთავნი ზვია, ვაჩე და სხვ.

ტაძარი, როგორც თვით სურათებიდამაც ჩანს, ჯერ კიდევ კარგად არის შენახული. ჰქონია ფრიად ვრცელი და მაღალი გუმბათი, რომელიც დამყარებული ყოფილა ტურფად ამართულ, რვად-დაკუთხვილ ექვს სვეტზე. დღეს გუმბათი უკვე აღარ არსებობს, მაგრამ ვრცელი ძირი მისი, როგორც ეს კარგადა სჩანს მეორე სურათიდამ, დღესაც დაცულია და ამართლებს ხალხის თქმულებას, რომელიც ამბობს:

„ქუმურდოს გუმბათი ისეთი მაღალი იყოვო, რომ ჩრდილი მისი მტკვარს ხვდებოდაო“.

მტკვარი კი ამ ტაძრიდამ სულ უკანასკნელი 4-5 ვერსზეა!

ბარედამ ეკლესია მთლად მშვენიერის თლილის ქვით არის მორთული, მოყვითალო ფერისა, და როგორც თვით წარწერებიდამაცა სჩანს აშენებულია ორს სხვა-და-სხვა საუკუნეში. თვით ტაძარი ქუმურდოსი, ე. ი. საკურთხეველი, გუმბათი და მისს ქვეშე მყოფი ნაწილი ტაძრისა აგებულია 964 წელს ეპისკოპოს იოანესაგან, ხოლო წინა მხარე ტაძრისა, რომელშიაც ამ ჟამად სომხებს მოუკალათებიათ თავიანთი მწირი სალოცავი, მოშენებულია შემდეგში, სახელდობრ მე-XI საუკუნეში, მეფე ბაგრატ დიდის დროს (1028—1072).

აი თვით გეგმა ქუმურდოს ტაძრისა:

საზოგადო სახე ქუმურდოს ტაძრისა ფრიად მშვენიერი და დიდებულია. ბევრი ეკლესია მინახავს ჩვენს ტურფა ქვეყანაში, მაგრამ ასეთი ლამაზი და კოხტა კი — არც ერთი. ბანსაკუთრებით დიადს შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე ამ ეკლე-

სიის ტურფად მორთული, რვად-დაკუთხული სუბუქი მაღალი სვეტები და მათზე განსაცვიფრებელის ხელოვნებით დახრილი კამარებიც. აი მათი სურათი, რომელიც გადაღებულია ჩვენგან ზამთრის ხანში.



ზეგმა ჯუმურდოს ტაძრისა.

შრიგო არ იქნებოდა, რომ ჩვენს სამღვდელოებას როგორმე თავს ედვა და ეს დიდებული ნაშთი ჩვენის წარსულის ხელოვნებისა და მორჭმულობისა მცირედაც არის განეახლებინა...

მოვიყვანოთ თვით წარწერებიც:

ᲐᲦᲛᲝᲩᲐᲕᲚᲔᲗ ᲙᲔᲓᲔᲚᲘᲡ, მიწიდამ 5—6 საჟენის სიმაღლეზე, დაცულია შემდეგი, ექვს ვერშოკიან ამობურთულის ხუცურის ასოებით, წარწერა:



„ქრისტე, შეიწყალე იოანე ეპისკოპოსი მისი მაშენებელი დღეს ამას“.

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲙᲔᲓᲔᲚᲖᲔ. კამარიან დერეფანში, ორ არშინიან ქვაზე, მიწიდამ ორის საჟენის სიმაღლეზე, წვრილის, მაგრამ ამობურთულისავე ასოებით, სწერია:



„შეწევნითა ღვთისათა იოანნე ეპისკოპოსმან დაჴდევ

კუმურდოს ტაძრის შიგნითი.

პირველად საძირკველი ამის ეკლესიისა ხელითა ჩემ ტოდვიდისა სკცრისითა (?) ლეონ მეფისა ᲬᲘ (?) ადიდენ ღმერთმან ქორონიკონსა რპდ (184) თვესა მაისსა დღესა შაფათსა პირველსა (თუ ათსა?) მთვარისასა ერისთოვობასა ზვიასის ესე ბალავარი მუნ დაიდვა ქრისტე შეეწიე მონასა შესსა ამინ *).

აქ მოხსენებული ერისთავი ზვია ცნობილი კაცია ჩვენს ისტორიაში. ეს ის ზვიადი უნდა იყოს, რომელიც „ქ.-ცხოვრებაში“ მოხსენებულია მეფე ბაგრატ მესამის დროს (980—1014). იქ ნათქვამია:

„ამისა შემდგომად ბაგრატ მეფემან მოვდო ყოველი სამეფო თვისი, ათხაზეთი, ჭერეთი და კახეთი, მოვიდა და დაიზამთრა ხევთა ტაოსთა, და მორაიწია ზაფხული, მოვიდა მასვე ციხესა ფანასკერტისასა, წელსა მესამესა, და მუნ შინ გარდაიცვალა ბაგრატ მეფე, მცხიათა (ჭალარა) შვენიერათა შემკული. ქორონიკონსა სლდ (1014) .. და წარმოიდო გვამი მისი ზვიად-მან ერისთავთ-ერისთავმან, და დამარხა ბედიას“ (გვ. 309).

სამხრეთისავე კედელზე, თვით კამარაზე, მიწიდამ ორის საჟენის სიმაღლეზე, დაცულია ეს წარწერა:

ᲗᲘᲚᲘᲗᲘᲡᲐ ᲛᲘᲗᲘ ᲛᲝᲠᲘᲡ ᲬᲧᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲪᲘᲪᲘᲠᲘᲡ ᲚᲐᲠᲘᲡ ᲙᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲙᲐᲠᲔᲚᲘᲡ

„სახელითა ღვთისათა მე ეფრემ ეპისკოპოსმან დაგ-

---

*) კითხვის ნიშნით აღნიშნული სიტყვები ვერ წავიკითხეთ, თუ ვინმემ წაიკითხოს, ვსთხოვთ გვაცნობოს და შემდეგ ნომერში გამოვაცხადებთ.

დევ ადგად გაბრიელ კუმურდოელისა მეხუთესა უველი-
ერსა“.

ამ წარწერიდამ სჩანს, რომ გაბრიელ ეპისკოპოსი მჯდა-
რა კუმურდოში ეფრემ ეპისკოპოზზე ადრე.

ამ წარწერის მარჯვნივ დაცულია ეს წარწერა:

„ქრისტე შეიწეალე სული გაბრიელ კუმურდოელისა ამინ“.

აქვე მომცრო კამარაზე დაცულია ეს წარწერა:



„ქრისტე, შეიწეალე სული . . . . . ზოსიმესი, ამინ“.

ამ კამარის ქვეშ დაცულია შემდეგი წარწერა:



„სახელითა ღვთისათა მე გაბრიელ ეპისკოპოსმან დვ-
დევ ადგად ბზობის ხარასკევი ..... დღესასწაული წმი-
დათა მღვდელთა“.

მის ქვეით, არშინიან ქვაზედ, ამობურთულის ასოებით სწერია შემდეგი:



„სახელითა ღვთისათა მე იოანნე ეპისკოპოსმან დავდევ დდე ახვსებისაი ადასპად ვაჩე ერისთავისა ვინ შესცვალოს კრულია ამით ხატითა ჩვენითა ჯვარითა“.

ამის ქვემოდ უფრო მომცრო ასოებით სწერია შემდეგი:



„სახელითა ღვთისათა მე გაბრიელ ეპისკოპოსმან დავდევ ადასპად დდე ეგნატესი გოდგოთელისა, ვინ შესცვალოს კრულია ამით ხატითა ჩვენით ჯვარითა.

ამის ქვემოდ უფრო გარკვეულის ხელით სწერია შემ-
დეგი:



„სახელითა დვთისათა მე ზოსიმე კუმურდოელმან
შევმოსე საკურთხეველი ბარძიმ ფეშხუში ჯვარი და შე-
ვამკევი ხატით . . . . . “.

მოხსენებულ დერეფნის მარცხნივ, მე-XI საუკუნეში
მოუდგამთ ტაძრისთვის კიდევ ერთი იმოდენი ნაწილი საყ-
დრისა. მასზედ, მიწიდგან ორის საჟენის სიმაღლეზედ და კე-
დლის მთელ სიგრძეზე, ოთხ ვერშოკიან და დიდად მშვენიერ
ასოებით დაწერილია შემდეგი:



„. . . . . თი მარიამ დედოფალი ადეშენა შტორი
ესე მეფობასა მათსა მდვდელთ-მოძღვრებასა ზოსიმე კუ-
მურდოელისასა“.

ამ წარწერის თავი სამწუხაროდ აღარ არსებობს, მაგრამ იგი მაინც შესანიშნავია ჩვენთვის იმით, რომ გვაცნობებს ზოსიმე ეპისკოპოსის მღვდელთ-მოძღვრების დროს; სჩანს იგი თანამედროვე ყოფილა მარიამ დედოფლისა, მაშასადამე, ცხოვრებდა მე-XI საუკუნეში.

დასავლეთის კარის თავზედ მდებარე ქვაზედ ამოჭრილია შემდეგი წარწერა:



იესო: ქრისტე დიდებულ ჭეშვ: ორთავე: შანა: (ცხოვ-
რებასა) მეორედ: აღმაშენებელი: ჯიჯი: ბატრონი: ელის-
ბალ: დედა: მარიტ: ძენი: მისნი: რისტინა: მეცხედრე:
მათი: და: ასულნი: მათნი: ამინ:"

მარჯვნივ ამავ ქვისა ამოჭრილია;



„ზოსიმე კუმურდოელსა შეუნდოს: დმერთმან".

სამხრეთისავე კედელზედ, დერეფნის მარჯვნივ, თითქმის საწვეთის ქვეშ, არის ორი ფანჯარა, სიმაღლით თვითეული ერთი საჟენი და სიგანით ნახევარ არშინი, ხოლო ამ ფან-

ჯრებს შორის, თითქმის საძირკვლიდამ საწვეთამდის, არის ორ-დაკუთხული თახჩა, რომლის თავში გამოქანდაკებულია წვერიანი და თმიანი პირისახე და თავი, ხოლო მის აქეთ-იქით წარწერა: ԱԴ ԱՀ, ე. ი. Ადამ. Ასეთივე ნაკვთი თავისა და პირისახისა მოიპოვება ჩრდილოეთის კედელზე, მაგრამ იგი უფრო ქალისას წააგავს; ეს, მგონია, Ევას თავი და პირისახე უნდა იყოს...

ბატონიშვილი Ვახუშტი ასე აგვიწერს კუმურდოს:

„ამ წუნას (წუნდას) ზეით ხრამის თავს, მინდორზედ, სამხრით კერძოთ (უნდა იყოს აღმოსავლით კერძო), არს **კუმურდოს** ეკლესია, გუნბათიანი, ფრიად დიდ შენი, შვენიერად ნაშენი, რომელი აღაშენეს კონსტანტინეს მოგზავნილთა, ყამსა მირიანისასა, იჯდა ეპისკოპოსი მწყემსი სრულიად ჯავახეთისა, ხერთვისის ზეითისა“ (გვ. 98).

როგორც მკითხველი თვითაც მიხვდება, ბატონიშვილს Ვახუშტს ერთმანეთში აურევია ცნობა Ერუშეთის ეკლესიისა და კუმურდოს აშენების შესახებ. კონსტანტინე მეფისაგან გამოგზავნილების შესახებ «ქართლის-ცხოვრებაში» ვკითხულობთ შემდეგსა:

„მაშინ წარავლინა მირიან მეფემან ეპისკოპოსი იოანეი და მისთანა წარჩინებული ერთი წინაშე კონსტანტინე მეფისა და ითხოვა ნაწილი ძელისა ცხოვრებისა... ვითარცა მიიწივნეს წინაშე კონსტანტინე კეისრისა, სიხარულით მიანიჭა ნაწილი ძელისა ცხოვრებისა, და ფიცარნი იგი, რომელსა ზედა ფერხნი დაუმსჭვალნეს უფალსა, და სამსჭვალნი (ლურსმები) ხელთანი (ხელისანი). წარმოგზავნა მღვდელნი და ხურთნი ფრიად მრავალნი და უბრძანა: სადაცა ჯერ იყოს აღგილთა ქართლისათა, მუნცა (იქ) აღაშენეთ ეკლესიანი, სახელსა ზედა ჩემსა, და ნიჭი ესე დამიმკვიდრეთ საზღვართა ქართლისათა“. და წარმოვიდა ეპისკოპოსი, და მის თა-

ნა მოციქული და ვითარ მოიწივნეს ადგილსა, რომელსა ჴრქვიან ერუშეთი, დაუტევნა მუნ ხურონი, საქმედ ეკლესიისა, დაუტევნა განძნი და სამსჯავლნი უფლისანი და წარმოვიდა, და მოვიდა მანგლისს, და იწყო შენება ეკლესიისა, დაუტევნა ფიცარნი იგი უფლისანი. მაშინ შეწუხდა მირიან მეფე, რამეთუ პირველ არა სამეფოსა ქალაქსა მოვიდეს, არამედ სხვათა ქალაქთა და დაუტევნეს ნაწილნი. ხოლო მოვიდა წმიდა ნინოი და ჴრქვა: „ნუ სწუხ, მეფეო, რამეთუ ესრეთ ჯერ არს, სადაცა მივიდოდიან და სთესვიდიან სახელსა ღვთისასა, რამეთუ არს ქალაქსა ამას შინა სამოსელი იგი *) დიდებული უფლისა“ (გვ 126).

როგორც ჰხედავთ ძუმურდოს შესახებ აქ არაფერია ნათქვამი და საიდამ აუღია ეს ცნობა ბატონიშვილს ვახუშტს არ ვიცით. მაგრამ ეჭვი არ არის, რომ ვახუშტის სიტყვები:

„ კუმურდოს დიდ-მშვენიერი ეკლესია კონსტანტინე მეფის კამოგზავნილებმა აშენესო“.

შეცდომა უნდა იყოს, რადგანაც, როგორც ამაში თვით მკითხველი დარწმუნდა მოყვანილ წარწერების წაკითხვიდამ, იგი აშენებულია არა მეოთხე, არამედ მეათე საუკუნეში. ვფიქრობთ ეს შეცდომა ინ გარემოებამ გამოიწვია, რომ მირიან მეფის დროის ეპისკოპოსსაც, რომელმაც ააშენა ერუშეთისა და მანგლისის ეკლესიები, იოანე ერქო. მაგრამ შეიძლება ასეც ვიფიქროთ, რომ წინეთ აქ სხვა ეკლესია არსებობდა, მართლაც კონსტანტინე მეფის გამოგზავნილებისგან აშენებული (მით უმეტეს, რომ გზა ერუშეთიდამ სწორედ კუმურდოზე გაივლის), ხოლო მეათე საუკუნეში იოანე ეპისკოპოსმა იგი დაანგრია და მის ადგილას დღევანდელი ძუმურდოს ტაძარი ააგო.

---

*) იგულისხმება კვართი უფლისა.

გლაუბერის მარილის ქარხანა.

სოფელი უჯარმა, რომელზედაც ჩვენ შემდეგს ნომერში გვექნება საუბარი, ვრცელი ქალაქი და ძლიერი ციხე იყო უწინ. დღეს იგი ერთი ღარიბი სოფელია, მაგრამ შესანიშნავია ეგრედ წოდებულის გლაუბერის მარილის ქარხნითა, რომელიც ეკუთვნის ალექსანდრე პეტრეს ძე ბახმეტიევს. გლაუბერის მარილმა მიიღო თავისი სახელი ჰელლანდიელ ალქიმიკოს იოგან გლაუბერის სახსოვრად, რომელმაც 1658 წელს პირველმა აღმოაჩინა ამ მარილის გამოხდა-კეთების გზა და საშუალება. ქარხანა გაშენებულია სოფელ უჯარმისა და მუხრავანის გვერდზე, ორიოდე ვერსის მანძილზედ პირველიდგან, თბილისსა და თელავს შორის არსებულ საფოსტო გზა-ტკეცილის პირად და 38 ვერსზე ქ. თბილისიდამ. მამული, რომელზედაც დღეს გაშენებულია ქარხანა, წინათ ეკუთვნოდა თავად ძიკო თადიას ძეს ჩოლაყაშვილს, ხოლო მისგან შეუსყიდნია მოხსენებულს ბახმეტიევს და დაუარსებია ეს ქარხანა. ხელობით ბახმეტიევი ინჟინერია, მოსკოვის გუბერნიის აზნაურთაგანი; სწავლა დაუმთავრებია ჯერ მოსკოვის უნივერსიტეტში და შემდეგ ტეხნოლოგიურს ინსტიტუტში. 1865 წელში იგი ჩამოსულა საქართველოში და დაუარსებია ცემენტის ქარხანა სამეგრელოში, 30 ვერსზე ქ. ფოთიდამ, ხოლო 1884 წელს, საცა ახლა უჯარმის ქარხანაა, მას აღმოუჩენია მიწაში გლაუბერის მარილის მადანი, შეუძენია ეს ადგილი და დაუარსებია ქარხანა, რომლის საზოგადო სურათს აქვე წარმოვუდგენთ მკითხველს.

როგორც თვით მკითხველიც მიხვდება, ქარხანა და სხვა მ-ს კუთვნილი შენობანი აშენებულია ტბის პირად, ცოტა მოშორებით, მთის ძირში, გვერდობზედ. სიგრძე ტბისა იქნება 100—120 საჟენი, ხოლო სიგანე 20—30 და სიღრმე 1—2 საჟენი. თვით გლაუბერის მარილი ძევს მიწაში, მის ზედა-პირიდამ ერთის საჟენის სიღრმეზედ, სისქით 1—2 საჟენამდის. გლაუბერის მარილი აქ წმინდად და სუფთად როდია დაგროვილი; იგი არეულია მიწასთან და მოსახმარად რომ გამოდგეს, უნდა გადი-

წმინდოს. ამ ძველს საქმეს აქ მეტად ადვილად ასრულებს ახლო-მახლო მდებარე მთებიდგან ჩამონადენი წვიმისა და თოვლის წყალი, ტბად დაგუბებული. ეს წყალი ადნობს ამ მარილს და



ერის მარილის ქარხანა ა. პ. ბახმეტიევისა სოფელ შჯარმის ახლო, თბილისიდან 38 ვერსზე, აღმოსავლეთისკენ.

თვითონ ითვისებს, უკეთესი დრო ამისათვის არის გაზაფხულისა და ზაფხულის თვეები, როდესაც ახლო-მახლო მდებარე მთებიდგან ჩამოდის ამ ტბაში წვიმისა და თოვლის წყლები, ავსებენ მას და ადნობენ ტბის მიწაში მყოფს მარილსა. აქვე ტბის გვერდზე გაკეთებულია (ამოთხრილია) მეორე, ხელოვნური ტბა, ეგრედ წოდებული დასაბრუნი (კრისტალიზატო-

რი); შეატყობენ თუ არა, რომ ტბის წყალი საკმაოდ გაიჟინთა გლაუბერის მარილით. მაშინვე იწყობენ წყლის საქანელის მანქანით (ნასოსით) მუშაობას და ტბიდამ მარილით გაჟღენთილი წყალი გადააქვთ მოხსენებულს ხელოვნურს ტბაში. შემოდგომასა და ზამთარში, აცივდება თუ არა, მოხსენებულს დასაბროლში წყალი იყინება, ბროლდება და აი ამგვარად დაბროლებული ნივთიერება, რომელიც თეთრი და ფხვიერია, არის გლაუბერის მარილი. იგი დიდად საჭირო ნივთია თურმე შუშის საკეთებელ ქარხნებისათვის, რადგანაც, რომ ქვიშიდამ შუშა გაკეთდეს, მას 30% (ასზე ოც-და-ათი წილი) უთუოდ ეს მარილი უნდა მიემატოს. მთელს რუსეთის იმპერიაში ამ მარილისა ყოველ წლივ იხმარება ოთხი მილიონი ფუთი, ასეთი ქარხანა კი, სადაც თვით ბუნებითს მადნიდამ აკეთებდნენ გლაუბერის მარილსა, მთელს რუსეთში და, ვგონებ, მთელს დედა-მიწაზედაც (თვით ინჟინერის ბახმეტიევის სიტყვებია) შუჯარმის ეს ქარხანა არისო. მაგრამ წელიწადში აქ აკეთებენ მხოლოდ 100—120 ათას ფუთს ამ მარილისას, 40-50 ათას მანეთისას. მაშ საიდგან იკმაყოფილებენ მოხსენებულს აუარებელს მოთხოვნილებას შუშის საკეთებელი ქარხნები? იქიდგან, რომ, თურმე, ხელოვნურადაც აკეთებენ ამ მარილსა და, მასთან, საკვირველი რა არის, იგი კეთდება მარილის მჟავის (соленой кислоты) საკეთებელ ქარხნებში რუსეთსა და ევროპაში, ვითარცა სხვათა შორისი (побочный) გარეშე საგანი.

შუჯარმის გლაუბერის მადანში ბ-ნ ბახმეტიევის სიტყვით ძევს 40 მილიონამდის ფუთი მარილი, მაგრამ ჩვენა გვგონია, რომ იგი აურიცხველი უნდა იყოს, რადგანაც მთელი ეს მხარე სულ ამ მარილით არის გაჟენთილი და ნიადაგის წყალი, რომელიც მოხსენებულ ტბაში იყრის თავს, სულ ამავე ტბის და მის გარემო მიწაში აგროვებს (ჰბადავს) ამ მიწალსა (მინერალსა).

როგორც ზევითაც მოგახსენეთ, ქარხანა ყოველ-წლივ

ამზადებს 100—120 ათას ფუთს გლაუბერის მარილს, მაგრამ მილიონ ფუთის გამოღებაც შეიძლებოდაო,—ამბობს ბ-ნი ბახმეტიევი, რომ რკინის გზა გვქონოდა და ან გადასაზიდი ურმები საკმაოდ ჰქონოდათ ქარხნის ახლო-მახლო მდებარე ქართველ სოფლებსაო. ჩვენის აზრით კი გადაზიდვის მსურველნი მუდამ გამოჩნდებოდნენ და ქარხნის ახლო მდებარე ივრის სოფლები—მუხრავანი, უჯარმა, ხაშმი, პატარძეული, სართის-ჭალა და თვით ნინო-წმინდა და საგარეჯო (ეს უკანასკნელი სოფლები უშორესია ამ ქარხნიდამ, 15—20 ვერსი იქნება) გადაჭარბებითაც დააკმაყოფილებდნენ ქარხნის ამ მოთხოვნილებას, მაგრამ დღეს თუ ერიდებიან ამ საქმეს, ეს გადასაზიდის ფასის სიმცირით უნდა აიხსნას. როგორც თვით ბ ნმა ბახმეტიევმა მიამბო, ფუთში ვაძლევთ 6 კაპეიკს ქრასო, ე. ი. 5 მანეთამდის თვითო ურემზედა თბილისამდის, ეს კი ისეთი მცირე ფასია, რომ ვერ მიიზიდავს მიწად-მომქმედ ქართველთ, რომ მათ საამისო ურმები და საქონელი გაიჩინონ. ბახმეტიევი კი, როგორც შევატყე, დიდად გულ-ნატკენი იყო აქაურ ქართველებზე, ზარმაცნი და მიუკარებელნი არიანო.

რათა რითიმე შეღავათი მისცეს თავისს ქარხნის ამ მოთხოვნილებას, ბახმეტიევს გაუჩენია საკუთარი რუსული ურმები (პავოზკები), ჯერ-ჯეროობით 12 ცალი თავისი კუთვნილი საქონლით (ხარებით). თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ქარხნის გარშემო მდებარე თვალ უწვდენი სერები, უმშვენიერესი საძოვარი და ბალახის სათიბი ადგილებია და, მაშასადამე, საჭირო საქონლის შენახვაც სულ მცირე ფასად დაუჯდება მის პატრონს, უნდა ვიფიქროთ, რომ ბ-ნი ბახმეტიევი სწორე გზას დასდგომია და გულ-ნატკენობა ქართველთა ზარმაცობასა და მიუკარებლობაზედ სრულიად უადგილოა. ქართველი გლეხი მართალია უსწავლელია, აღებ-მიცემობაში გამოუსვლელია, მაგრამ არც იმდენად გაუგებელია, რომ საკუთარი სარგებლობაც არ ესმოდეს. თუ სარფა იქნებოდა მისთვის ურმის მუშავება, მერწმუნეთ, რომ იგი უკან თავისს დღეში არ და-

დგებოდა, მაგრამ რას იზამთ, რომ ქარხნის პატრონისათვის, ამოდენა სათიბ-საძოვრების წყალობით. ერთი ორად უფრო სარფაა საკუთარის ურმების ყოლა, ვიდრე გვერდზე მდებარე სოფლელებისგან მეტ ფასად იმავ ურმების დაქირავება! აქ ერთხელ კიდევ მტკიცდება ის აზრი, რომ ყოველი ჩვენგანი საკუთარს თავსა და მკვლავზე უნდა იყოს დაიმედებული და ისე შრომობდეს და ირჯებოდეს, როგორც მისი საკუთარი გარემოება და სარგებლობა მოითხოვს, თორემ მუქთად სხვა არავინ არაფერს არ მოგვცემს. „Ოაფლი იყოს, თორემ ბუზი ბალდადიდგან მოფრინდებაო“,—ნათქვამია ქართულად. Ამას გვგონია განმარტება აღარ ეჭირება.

ქარხანას ეკუთვნის სულ 126 დესეტინა მიწა, მათ შორის 10 დესეტინა იქნება თვით მარილის მადნის ქვეშ, 15 დესეტინა შენობათა, ბაღებისა და ბოსტნის ქვეშ, ხოლო დანარჩენი საძოვარი და სათიბია. საზოგადო ღირებულება დღეს აქ არსებულ შენობათა და ბოსტან-ხილნართა იქნება 200 ათასი მანეთისა. მუშათა რიცხვი ქარხანაზე 12, რომელთაც საშუალოთ აქვთ წელიწადში 100—120 მანეთი თვითეულს. მუშები მომეტებულად სომხები არიან და ორიოდე იმერლეიც; უკანასკნელთ აქ უფრო მაღალი თანამდებობა უჭირავთ. ბახმეტიევი მათით ძლიერ მადლიერია, ნიჭიერი ხალხიაო.



გზა და გზა: თბილისიდამ საგარეჯომდის.

თიბათვის მიწურულებია. თბილისის სიცხე თან და თან ძალას ატანს კაცს—სოფლად, აგარაკად გავიდეს. ვისაც კი ცოტა-ოდენი შეძლება მოეპოვება და გარემოებაც ხელს უწყობს, ყველა სცდილობს მოშორდეს მის გახრიაკებულს მიდამოებს, რომ ცოტათი თავისუფლად ამოისუნთქოს და სული და თვალი შეასვენოს სოფლურის ცხოვრების ავ-კარგით და ბუნებით. ამ ბედნიერთა რიცხვში, წარსულს ზაფხულს, მეც მოვყევი, მაგრამ იმდენად მოხსენებულის მიზეზების გამო არა, რამდენიც ჩემის ანიჟებულის ხასიათით, რომ ჩვენი ქვეყანა ვნახო, დავათვალიერო, დავასურათო, მისი ავი და კარგი გავიგო, ერთის სიტყვით, ვიმოგზაურო და მოგზაურობის შედეგი მკითხველს საზოგადოებას გავუზიარო. მაგრამ გადვიდეთ თვით საგანზედ.

საგარეჯო, როგორც ალბათ თვითაც მოგეხსენებათ, ძევს მდინარე ივრის ხეობაში, თბილისიდამ 50 ვერსზე, აღმოსავლეთით. დღეს ეს სოფელი ისეა დაწინაურებული, რომ მისსა და თბილისს შორის, თითქმის ყოველ დღე დაიარება რამდენიმე დილიჟანი და მერე, როგორ იაფად და ხელ-მისაწდომ ფასად ყოველის მგზავრისათვისა! სულ ერთი მანეთი ღირს თბილისიდამ საგარეჯომდე, მაშინ როდესაც სხვაგან, მაგალითად, თბილისიდამ თელავამდის, სადაც ორი ამდენი გზა არც კია, დილიჟნები 4-ს მანეთსა და ხშირად ამაზე მეტსაც ახდევინებენ მგზავრსა. რა უნდა ქმნას ასეთს ყოფაში მრავალ-რიცხვიანმა ოჯახმა? ბატყავდეს და სხვა არაფერი. აი რით აიხსნება ის მოუთმენლობა, რომლითაც ეს რამდენიმე წელიწადია კახელები სულის კვე-

თებით მოელიან რკინის გზის გაყვანას, თუმცა ჯერაც ამაოდ. სულ სხვაა საგარეჯო. მისცემ სულზე ერთს მანეთს და ექვსიოდე საათის მგზავრობის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, იმავ დღეს, უკვე სოფელში ხარ.

ერთ უმთავრეს და უკეთეს სოფლად თბილისსა და საგარეჯოს შუა ითვლება სართის-ჭალა. ძევს იგი ზედ მდინარე ორის მარჯვენა კიდით და სხვათა შორის შესანიშნავია იმით, რომ ქართველებს გარდა აქ ნემეცებიც ცხოვრობენ, რომლებიც ამ რამდენისამე ათის წლის წინათ დაუსახლებია აქ მთავრობას, რათა სამაგალითო ცხოვრება და მეურნეობა ნახონ ადგილობრივმა ხალხმა და დღეს თუ ხვალ თვითონაც დაადგნენ მათებურს ცხოვრებას. რა სარგებლობა მოუტანა მათმა მეზობლობამ ადგილობრივ მკვიდრს—ქართველს, რა ისწავლეს ან შეიგნეს უკანასკნელებმა მათგან, ამაზედ მკითხველს ჩვენ როდისმე, სხვა დროს, მოველაპარაკებით, ახლა კი მწადიან სულ სხვა საგანზედ შევაყენო მისი ძვირფასი ყურადღება. ბამომიწვიეს ამ საგანზედ სასაუბროდ ფშავლებმა, რომლებიც მრავლად ვნახე აქ, სართის-ჭალაში. ძვირა დღე იყო და ესენიც, თითქმის ყველანი, ერთად მოგროვილიყვნენ დუქნის წინ. ზოგი იწვა, ზოგი იჯდა, ზოგი იდგა, ზოგი ლაპარაკობდა და ზოგიც გამვლელს და გამომვლელს უყურებდა. უფრო კი იმათ შესცქეროდნენ, რომელნიც, შორის გზით მოქანცულნი, დუქანში შედიოდნენ და ორიოდე სტაქანს არაყს ანუ ღვინოს გადაჰკრამდნენ მადიანად. ჩქვენ, გარეშე კაციც კი შეატყობდით, როგორი ნერწყვი მოსდიოდა პირში ზოგიერთს მათგანს ამ დროს...

მეეტლემ გააჩერა ჩვენი დილიჟანი ამავე დუქნის წინ და გამოგვიცხადა, რომ ორიოდე საათს შევასვენებ აქ ცხენებსაო. მართალი გითხრათ, მე დიდად მიამა მისი სიტყვები და მარდად გადმოვხტი ეტლიდამ, რომ დამეთვალიერებინა სოფელი, რომელიც გამოიყურება კოპწია ქალაქად. მაგრამ, დავინახე თუ არა მთელი ჯგუფი ფშავლებისა, ჯერ იმათკენ გავწიე

ლ ორიოდე სიტყვით მოკითხვისა და გამოლაპარაკების შემდეგ, სულაც დამავიწყდა სოფელი. ბადავწყვიტე ამათ შორის გამეტარებინა ეს ორი საათი და გავჩერდი მათ წინ. ვკითხე:

ფშავლები.

ვინ არიან, სადაურები? — ფშავლები ვართო... აქ რა გინდათ-მეთქი კვირა დღეს, უქმეში ყოველი მეოჯახე ოჯახში უნდა იყოს, ცოლით და შვილით ისიამოვნოს, ისინიც ასიამოვნოს... — მართალიაო, — მიპასუხეს, მაგრამ ჩვენ აქ ყანის სამკალად ვართ წამოსულები, ჩვენს ოჯახამდის კი ბარემ 40 — 50 ვერსია და აბა ერთის დღის გულისათვის შინ როგორ წავიდეთო ამ სიშორეზედ... ვისთან მუშაობთ-მეთქი აქ და რა ფასად? — ნემცებთან და თათრებთანაო, დღეში მანეთად... ახლა ამათ დამიწყეს გამოკითხვა: ვინ ბრძანდებითო? — მოგზაური ვარ,

მხატვარი, ვუპასუხე მე. რასა ჰხატავო?—ჩვენის ქვეყნის შესანიშნავ ადგილებს, ციხეებს, საყდრებს, სოფლებს, ხალხს... რად გინდათო?—უნდა ავწერო, და დავბეჭდო, რომ ვინც სულ შინა ზის, იმანაც წაიკითხოს და გაიგოს, თუ ჩვენს ქვეყანაში სად რა არის შესანიშნავი-მეთქი. ყველას ღიმილმა გადაჰკრა პირი-სახეზედ. თქვენში რომელი ციხეა შესანიშნავი-მეთქი?—ბოჯორმის-ციხე,—სთქვეს ერთხმად. ვიცი, ვიცი, ვუთხარი მე, იმასაც ვნახავ უთუოდ, იმას პირველად დედა ციხე ერქო, რადგანაც ის ჩვენმა პირველმა დედამ, ქართლოსის ცოლმა, ააშენა... შევატყე, რომ ფშავნი მზად იყვნენ სულ შიგნიან-გარეგნიანად ჩავეყლაპე და გავჩუმდი, რომ ცოტა თავისუფლება მათთვისაც მიმეცა და იმაზედ გველაპარაკნა, რაც იმათ გულს ჰქენჯნიდა იმ ჟამად. არც მოვსტყუვდი... მაგრამ ფშავლებზე მერე იყოს... მივედით სოფელ საგარეჯოშიაც.



სოფელი საგარეჯო.

საგარეჯო ერთი უდიდესი სოფელთაგანია მთელს სა-

ქართველოში. მასში ითვლება 800—900 კომლამდის მცხოვრები (4500 სულამდის), რომელთ შორის 70 კომლამდის იქნება სომეხი, ხოლო დანარჩენი ნაწილი მცხოვრებთა სულ ქართველობაა. სომხებსავით, შიგა და შიგ, ქართველებიც მისდევენ ვაჭრობასა და ხელოსნობას, მაგრამ უმეტესობის საქმე მაინც ხვნა-თესვა და ბაღ-მევენახობაა. უკანასკნელი გარემოება არის იმის მიზეზი, რომ საგარეჯო წარმოადგენს ერთს უშველებელს და გაუთავებელს ბაღ-ვენახსა, გადაჭიმულს 8 ოთხ-კუთხიან ვერსის სივრცეზე.

სოფელს შუაზე ჩამოუდის საკმაოდ დიდი ხევი — თვალთ-ხევი, რომელიც მთლად არიყებულია და დიდს ზარალსაც აძლევს მის ნაპირად მცხოვრებთ და ნელ-ნელა ხელიდამ აცლის მშვენიერ ბაღ-ვენახებსა... ეურის მგდებელი და მშველელი კი არავინ არის, თუბცა მეტად ადვილად ეშველებოდა საქმეს. საჭიროა მხოლოდ ორიოდე ხელოვნურის ტბის გაკეთება ამ ხევის თავში და სოფელი სამუდამოდ უზრუნველი იქნებოდა გაზაფხულის და ზაფხულის უეცარ წარღვნისაგან...

საგარეჯოს მიუღია თავისი სახეთი იმისგან, რომ თუმცა თვით სოფელი ძევს ივრის მარცხენა კიდითა და ბუნებითაც სრულიად განსხვავდება გარეჯისგან (ცნობილ სავანეთა უდაბნო), რომელიც ძევს ივრის მარჯვენა კიდით და წარმოადგენს ნამდვილს ტრამას (степь), იგი მაინც ბარეჯას ეკუთვნის, რადგანას საგარეჯოს თვალ-უწვდენელი სახნავები ბარეჯის ტრამის იგივე გაგრძელებაა. ამ სახელ-წოდებას კიდევ იმითი ხსნიან, რომ, ვითომც, ეს სოფელი წმიდა დავით ბარეჯის უდაბნოსი ყოფილა და მისგან მიუღია თავისი სახელიო. თვით სოფლის დაარსებასაც ხალხის თქმულება მიაწერს წმ. დავით ბარეჯელს, რომელსაც აუგია აქ აქამომდე კარგად შენახული ჰეტრე-ჰავლეს დიდი ეკლესია და თვალთავისა.

საგარეჯოს აქვს საკმაო სასმელი და სარწყაო წყალი, მაგრამ

სასმელადაც და სარწყავადაც სოფლელნი ხმარობენ ერთსა და იმავე წყალსა პირ-ახდილ რუვებიდამ, რომლებშიაც წყალი, რასაკვირველია, მუდამ სუფთა არ მომდინარეობს და ხალხი კი მაინც იძულებულია იხმაროს იგი სასმელად. შრიგო არ იქნებოდა, რომ სოფლის თავ კაცებს და მის ინტელიგენციას, რომელიც საკმაო რიცხვოვანია ამ სოფელში, თავს ედვათ და სასმელად სოფლის მშვენიერის „სათავეს" წყაროს ერთი ნაწილი მილებით გამოეყვანათ სოფლის სხვა-და-სხვა ნაწილში და წყაროებად დაეყენებინათ, ხოლო დანარჩენი ნაწილი სარწყავად ეხმარათ. უფრო კი უკეთესი იქნებოდა, რომ „სათავეს" წყაროს წყალი, სულ მილებით გაეყვანათ მთელს სოფელში, ხოლო სარწყავად—თვალთ-ხევის სათავეში, როგორც ეს ზემოთაცა ვსთქვით, ხელოვნური ტბები გაემართათ და იმისი წყალი ეხმარათ სარწყავად.

ვერც ქუჩა-ეზოების სისუფთავით და წეს-რიგით დაიკვეხებს სოფელი: ქუჩები უსწორ-მარსწორებია, ეზოები შეუღობავი, შამბნიანი და სხვა. ერთს უმთავრეს ნაკლს სოფლისას, ჩვენის აზრით, ისიც შეადგენს, რომ მცხოვრებნი მეტად გაფანტულად ცხოვრობენ, მთელის სამი-ოთხის ვერსის მანძილზე. დღევანდელ ცხოვრების საჭიროების მიხედვით, აუცილებლად საჭიროა, რომ სოფლელები მორიგდნენ ერთმანეთში და ზემო ნაწილი სოფლისა, ხევის მარცხნივ, სწორ ქუჩებად დაგეგმონ, 200—300 საჟენიან სასახლე ადგილებად დაყონ და ყველანი იქ დასახლდნენ ერთმანეთთან ახლო, ხოლო ბაღ-ვენახები და კალოები კი სოფლის ბოლოს იქონიონ, როგორც ეს უკვე ასე აქვთ ზოგიერთებს.

საგარეჯოში არის ბაზარიც: 10 საწვრიმალო დუქანი, 9 ღვინო-არყისა, 1 სადურგლო, 7 სამჭედლო, რამდენიმე ქარხანა კრამიტისა, აგურისა და თიხის ჭურჭლისა, საკმაო რიცხვი წისქვილებისა, როგორც სოფელში, ისე მდინარე Iორზე, რომელიც 3—4 ვერსის მანძილზე მომდინარეობს

სოფლიდამ და სხვა. აქვს აგრეთვე სასოფლო სამკურნალო, სკოლა, ჰყავთ მკურნალი, რამდენიმე მასწავლებელი, მღვდელი და სხვა.

საგარეჯოელები, პეტრე-პავლეს ეკლესიის ეზოში გადაღებული.

ერთი დიდათ სამწუხარო მოვლენაც შევნიშნე საგარეჯოში: მეტის მეტად თავ-აშვებული მსმელი და ლოთი ხალხი ყოფილა. ვინც კი გვთხოვა სურათის გადაღება, ქართველმა თუ სომეხმა, თითქმის ყველამ ღვინით ხელში, ლოთურის სახით ირჩია გადაღება...

აქ არსებობს მშვენიერი ორ-კლასიანი სასწავლებელი, ასზე მეტის მოსწავლით და ორის მასწავლებლით. არსებობს აგრეთვე კერძო სამრევლო სასწავლებელი, რომელიც გაუხსნია აქ ერთს სემენარიელს, ჰყავს 40-მდის მოსწავლე და იღებს თვითეულისგან 5 მანეთს წელიწადში. სასიამოვნო მოვლენაა, რომ სოფლის ხალხი ფულსაც არ იშურებს კერ-

ძო სასწავლებელში შვილის გამოზრდისათვის! ეს არის მიზეზი, რომ ადგილობრივის ორ-კლასიანის სკოლის გამგე ა. ბაჩეჩილაძე, სცდილობს მთავრობის წინაშე, რომ შემწეობა აღმოუჩინოს მთავრობამ სოფელს და უკვე არსებულს უშველებელს ერთ სართულიან სასკოლო შენობას, რომლის სიგრძე 17 საჟენია, მეორე სართულიც დაადგან და პირველის ორის განყოფილებისათვის პარალელური კლასები გახსნან.

მაგრამ ყოველი მოხსენებული, ჩვენის აზრით, მაინც არ კმარა ისეთის სოფლისათვის, როგორიც საგარეჯოა. საჭიროა მეტი ზრუნვა სოფლის საზოგადო ცხოვრების გაუმჯობესობისათვის, მეტის ახალის საზოგადოებურის სხივის შემოტანა მასში. მაგალითად, ურიგო არ იქნებოდა შემოეღოთ აქ ქალაქური თვით-მართველობა, დაეარსებინათ აქ მომრიგებელი სასამართლო, რადგანაც საგარეჯოელნი საჩივლელად დღევანდლამდის თბილისს ჩამოდიან, თუმცა კერძო ლაპარაკში მასწავლებელი მიმტკიცებდა, რომ ეგ სანატრელი არ არისო, სოფელს გარჰყვნისო, ჩივილსა და დავი-დარაბას შეაჩვევსო, ეხლა სიშორისგამო ერიდებიან ჩივილსაო და ავად თუ კარგად აქვე ათავებენ თავიანთ შორის სადავო საქმეებსა. აქ რომ მომარიგებელი სასამართლო გაიხსნასო, საგარეჯო ადვოკატების ბუდედ გადაიქცევა, დავი-დარაბებს დასასრული აღარ მიეცემა და სხვა ამისთანებიო... ნუ თუ მართლა ასეთი გამათახსირებელი გავლენა აქვს ხალხზე განმათავისუფლებელ-მეფის დიადს რეფორმას? დიახ რომ საჭიროა დაწვრილებით განმარტებულ იქმნას ჩვენის პრესისაგან სოფლის მასწავლებლის და სხვათა ასეთი შეხედულება.

ჩვენი მწერლები სურათებში.



მოხერხებული ვირი,

იგავ-არაკი საბა-სულხან ორბელიანისა, დ. 1658, გ. 1725 წელსა.

ბიუხტა მგელი ვირსა და შეჭმა უნდოდა. უთხრა ვირმა მგელსა: „ხომ უნდა შემწამო და ბარემ ერთი მადლი მიყავ: ქაჩაჩში *) ლურსმნის ნატეხი მაქვს დარჩომილი და ამოვიღო“.

მოსტყუვდა მგელი და მიჰყო პირი, რომ ლურსმანი ამოეღოს. ჰკრა ვირმა წიხლი და კბილები ჩაუმტვრია. მგელმა ვირი ვეღარ შეჭამა და სთქვა: „მამა ჩემი ხარაზი იყო და მე ნალბანდობას რა მრჯოდაო“!

*) ქ ა ჩ ა ჩ ი—ცხენისა, ვირისა და მისთანათა ერთიანი (გაუპობელი) ჩლიქია.

წმიდა მოღვაწე ნინო († 338 წ.).

წმ. ნინო, მირიან მეფე და ნანა დედოფალი.

ბანმშვენებულს მცხეთის დედა-ქალაქს ამშვენებს სამეფო ბაღი და სასახლენი. ბაღში დადიან მოგვთ-ხეტი *) გორანა და მეფის ვაჭარი აბიათარი **) დიდის კმაყოფილებით მხიარულნი.

მოგვთ-ხეტი ეკითხება **აბიათარს**: რა იცი ახალი ამბავი ქვეყნისა?

აბიათარი. მე ჩემის ვაჭრობის მეტი სხვა ამბავი არა ვიცი რა.

---

*) მოგვთ-ხეტი—მოგვთ-მთავარია, მღვდელთ-მთავარი ტეტხლთ-მსახურთა.

**) ა ბ ი ა თ ა რ ი ცნობილი ხერია ჩვენს ისტორიაში: იგი იყო მცხეთელ ურიათა მღვდელი და ხერგელმა მიიღო ქრისტიანობა ნინოსგან. რედ.

თქვენ, როგორც მოგვთ-პეტს მრავალი მიმსვლელ-მომსვლელი რომ გყავთ, უფრო მრავალი რამ გეცოდინებათ.

მოგვთ-პეტი. რაღა სხვა ამბების სმენას გვაცლის ვიღაცა ქრისტიანის დედა-კაცია, მისი სასწაულთ-მოქმედება და მრავალ-გვარ სნეულებათა განკურნების საქმე მთელის ქვეყნის სალაპარაკოდ გამხდარა; ამ დღივ ყურები გაჭედილი გვაქვს!

ა ბ. სჩანს ნიჭიერი და მადლიანი ვინმე უნდა იყოს, რომ მაგდენს სიკეთეს სთესავს!

მოგ. რაღა სულ ქართველებში გამოდიან აგრე ნიჭიერი და მადლიანი ქალები?

ა ბ. იმიტომ, რომ ამ ქვეყანას გაჩენილა სულ პირველად კაცის საცხოვრებელი ადგილი; ისპირში *), ჩვენ ებრაელნი სოფირს რომ ვეტყვით, იქ უცხოვრიათ ჩვენთ პირველ მშობელთ—ადამს და ევას ცოლ-ქმრულის პატიონსნობით; იმათგან გამრავლებულა მთელი კაცობრიობა, იქვე აშენებულა ნოეს კიდობანი და დაცულა წყალ-რღვნისაგან მასში კაცობრიობა; იმ მხარესვე სწოდებია ევიდადი, ჩვენის დედის ევას სამარადისო სახსოვრად, რომ მთელის კაცობრიობის ცხოვრების წყაროა; მისგამო ქართველობაში თავისუფლობით პატივ-ცემულია ქალი და არა დაჩაგრული, სხვა ქვეყნის ტომების დედა-კაცებსავით.

მოგ. ეგ მართალი სთქვით, ქართველ ჭლებივით კადნიერი და პირ-აღებული დედა-კაცი არც ერთ ტომში არ მოიპოვება, კაცებიც ხომ მათი მიმყოლნი არიან და რაღა უნდათ?..

ა ბ. თქვენს სპარსეთში როგორღა არის ქალების საქმე?

---

*) ი ს პ ი რ ი ანუ ს პ ე რ ი—ჭორწახის ერთი ხეობათაგანია, მის შუა წელზე, მარცხნივ. რედ.

მოგ. ჩვენში დედა-კაცები მორიდებულნი, მორცხვ-მოთაკილენი არიან და ისეც უნდა, უთქვიათ: „ქალი მორცხვი — ქვეყნის ფასი, ქალი ურცხვი — კვერცხის ფასიო“!

ამ. თქვენ მორცხობად სთვლით დამონებით კარ-ჩაკეტილში დედა-კაცების ჩამწყვდევას და ცხვირ-პირის მობურვას, კარზედ არ გამოახედებთ, მზეს არ დაანახვებთ, თითქოს თქვენი ტყვეები იყვნენ, რითაც სნეულდებიან მრავალნი ხორციელად თუ გონებრივად. ეგ ხომ უწყალო მძლავრობა და გარეული მოჩვენებაა, უვიც კაცთა მომატყუილებელი; თვალები ხომ ასხიათ აუხვეველი, გულის სურვილის გამომხატველი თვალია; დამერწმუნეთ, რომ ის ცხვირ-პირ მობურული დედა-კაცები, ათ და ას წყევად მომეტებულს ცოდვებს შვრებიან ავის თვალ-გულითა. ქართველ ქალების ავ-კარგიანობა ცხადად სჩანს, საიმისოდ ურიგოს არას ჩაიდენენ, თავ-მოყვარეობა ნებას არ მისცემსთ, და თუ ზოგიერთებს ნებისად ანუ უნებლისად რამე შეცდომა-დანაშაულობა მოუხდებათ, მტერ-მოყვარეთაგან დარცხვენით, შენიშვნის მიცემით, სწავლა-დარიგებით გაისწორებენ თავიანთ ყოფა-ქცევას და გაუმჯობესდებიან უმრავლესნი! თქვენი დედა-კაცების ავ-კარგიანობა კი დაფარულია მეტად, ბევრჯელ თვით მათი პატრონები, მათი ქმრებიც სტყუვდებიან, „თეთრი პირი, შავი გული, შენთვის არა მშურებიაო“, რამდენიც ხან-ჟამი გადის უფრო ფიცხდებიან, უფრო იწამლებიან შხამ-გესლითა; ათში თუ ასში მათგან ერთს რომ გაუჩნდეს ვინმე დამრიგებელ-ჩამგონებელი, მეტის გადარეულობით აღარც კი გაიტარებენ ახლოს, რამდენიც უნდა ეცადოს ვერ გაიყვანს სიტყვას თხოვნა-მუდარებითა; მისთანები რა მარჯვე შემთხვევას ხელთ იგდებენ, მაშინვე გაუსხლტებიან ხელიდგან თავიანთ ქმრებს, თავიანთ პატრონებს და რაც უნდათ იმას იზმენ, ეწევიან თავიანთ სურვილს, თავიანთ

მურაზსა; რითაც მრავალთ-მრავალი საპატიო პირნი მოუკიცხიათ და მრავალთაც მრავალი სახლობა მოუღორებიათ.

მოგ. **მ**აშ ქართველ ქალების მოურიდებელის ყოფა-ქცევით, რაც თქვენთვისაც აგრე მოსაწონარი ყოფილა, აშენებით აშენდებიან ქართველები და ებრაელებიც მათთანა!

ად. **რ**ატომ არა, ქალის მოურიდებლობისაგან, როცა არავითარი ვნება, არავითარი დაბრკოლება არ მოხდება, დეე იყვნენ თავისუფლად: ღმერთს ქალი კაცის შემწე-მომხმარედ გაუჩენია. **შ**ინაც უნდა ირჯებოდნენ კეთილ-გონივრულად და გარედაც ხელი-ხელ მოკიდებულნი, ყოველ საძნელო საქმე-ყოფაში მხარში უნდა უდგნენ კაცთა!

მოგ. **ნ**ეტა არ მითხრათ, მაგნაირი თავისუფლებით, როდის რა გაუკეთებიათ ქართველ ქალებსა, რომ აგრე ესარჩლებით?

ად. **რ**ოგორ არა, ბატონო: ძველად **ე**გვიპტელებმა რომ ფეხი შემოსდგეს **შ**ავის ზღვის პირებზედ და აავსეს სხვადა-სხვა ტომებით ჩვენი **ს**აქართველოს მხარენი, მამაკაცთ გაუჭირდათ მათი ძლევა და გაყრა **ს**აქართველოდგან; მაშინ **ა**მასიელ თავადის ქართველმა ქალმა შეადგინა ახალგაზრდა ქალთ მხედრობა თემის-კარში, განძლიერდა საკვირვლად, დაესხა თავს უცხო ტომთა, უმრავლესნი ამოწყვიტა და დანარჩენნიც უკანვე განდევნა! **მ**ათმა ასეთმა კადნიერება-მხნეობამ თავ-ზარი დასცა მთელ წარმართობასა; მით უწოდეს უცხო ტომებმა **ა**მასიელ ქალებს ამაზონნი (ამასიელნი), ხოლო **ს**აქართველოს დასავლეთს, ზღვის-პირის მახლობელ მიდამოებში მცხოვრებლებს—კოლხიდარნი (ქალთ-მხედარნი) და მათ ქვეყანას **კ**ოლხიდა; ამათმა მფლობელობამ დიდ ხანს გასტანა. **ტ**როადელებს შეეწივნენ ბერძნებთან ომ-ბრძოლაში იქამდის თავ-განწირვით, ვი-

დრე ამაზონების პენთასილა დედოფალი მოიკლა აქილესაგან! ეს არ შეარჩინეს ბერძნებსა, მერმე შეესივნენ საბერძნეთს და ერთ ხანს ეპყრათ კიდეც, ჯავრი ამოიყარეს. ამაზონებმა ააშენეს ეფესოს სახელოვანი არტემის ტაძარი, რომელიც ალექსანდრე მაკედონელის დაბადების ღამეს, ერთმა უმნიშვნელო კაცმან გადასწვა; ამათვე დაიპყრეს დონის მდინარის გარემო მცხოვრები სარმატ-სკივთნი და მოაწიეს დიდ ალექსანდრე მაკედონელის თვით-მპყრობელობამდის; როცა ძლევა-მოსილმა ალექსანდრემ ფეხი შემოდგა საქართველოში, მას მიეგება თალისტრია დედოფალი თავისთან ხლებულ 300 ამაზონების მხედრობითა პატივ-საცემლად!

მოგ. ასეთი მოვლენა წამხდარი საუკუნოების უბედურებითგან არის. ოქროს საუკუნოებში თუ რამე მომხდარა, ეგ მითხარით, თორემ მაგათ რა ვუყოთ, ქმნილან რაღაცა.

ან. ძველის-ძველადაც ქავკასიის დევ-გმირთა ცოლებიც სულ თავისუფლები ყოფილან. მამა-კაცებთან ერთად, მათი ცოლი-დედაკაცებიც გაულმერთებიათ, ვითარცა ქრონოსთან—რეა, არმაზთან—ჰერა, აპულონთან—არტემი, ჰერმესთან—არისი, ეფესტესთან—თემისი, ათინა, დიმიტრი და სხვანი.

მოგ. იმისთვის ახლაც, ვიღაცა ქრისტიან ქალს დევ-გმირსავით აღმერთებენ, რაღაც-რაღაცა თვალთ-მაქცურის სასწაულთ-მოქმედებით რომ ჰკურნავს ვითომ სნეულთა და მისი თანაგრძნობით თავიანთს მამა-პაპურს სჯულსაც ჰკარგავენ... სამწუხაროა დიდად!

ან. მაგაზედ ხათრი ჯამათ იყავით და იცოდეთ, რომ თვალთ-მაქცობა ან ეშმაკისაგან და ანუ კაცობრიულ ხელოვნობისაგან არის, რასაც არა-ვითარი სნეულების კურნება არ შეუძლიან, როგორც ვიცით თქვენი წარმართული

გრძნეულებისა და მსახვრელების მოქმედებათაგან; სას. წაული კი ხდება ღვთიურ მადლისაგან; როცა რამე ბოროტ მოვლინებას კაცობრივი ღონე-ძალა ვერ სძლევს, მაშინ ღვთიურის მადლის ზედ მოქმედებით რა ასრულდება კურნება, მას ვეტყვით სასწაულთ-მოქმედებას და სხვა არაფერსა!..—მიდიან ორნივე თავ-თავიანთს სახლებში.

მოგვთ-შეტი გორანა დგება დილა ადრიან ლოგინიდგან მეტის უძილობით გაბრუებული და შესჩივის შინაურებსა: ცოლ-შვილნო! საშინელმან სიზმარმან ძილი გამიწყვიტა, აღარ მაქვს ღონე-ძალი, თავით ფეხამდის დამტვრეულ-დალეწილი ვარ, გული მიწუხს, სული მიკრთის, ლამის დარდ-ნაღვლისგან ნაცარ-მტვრად ვიქცე; ეს რა უბედურება უნდა იყოს? აღარ შემიძლიან, ვთავდები!

ლელა ცოლი უკმარებს: ღმერთებმან გაშორონ, ამ ალიონ დილაზედ, სიკეთის წილ რად იბედნიერებთ მავნე სიბოროტესა, გვზელამ და გვფეთამ ჩვენცა? ჭვის ქვეშამც არის შენი ჭირი-კვნესა, ვაი-ვაგლახი, უშველებელი შეეყაროს შენს მაჭირვებელსა!.. შენ სიკეთიანად აგვიხსენ და გაგვიგებინე ეგ შენი სიზმარი, რომ გული დავიმშვიდოთ, ჩემო კარგო ბორანავ?

გორ. ძალბატონო ქალო, ჩემო ლელავ, შავ-ბნელი უბედურება როგორ უნდა აგიხსნა საბედნიერო მოვლინებად, არა ეშველება რა?..

ლელა. ბვიბრძანე მაინც, რა იყო მისთანა სავალალო, სავაგლახო რამ?

გორ. რა და, ისეთი საშინელი ჭეხა-ქუხილი გაჩნდა, საზარელი ყვირილი არმაზისა, ბაცისა და ბაიმისა, რომ მთელმა ქვეყანამ მათი ხმაურობისგან ზანზარი დაიწყო და მთელი ჩვენი მთები დაირღვნენ, დაიშალნენ და პირქვე დაეცნენ, აღმოსავლით დასავლეთამდე ხელის გულივით გასწორდა მთელი დედა-მიწის პირი, აღარსად აღარ

სჩნდნენ მთის საწვეროებიდგან გადმოცვივნული კერპები და არცარა მათი სახსოვარი, სვეტ-ბალავარნი, ერთიან ქარ და მუზლად გარდაქცეულიყვნენ მტვრად.

ლელამ გააწყვეტინა სიტყვა და გაოცებით შესძახა: ოჰო! **ეგ** რა საშინელება ყოფილა! **მერე?**

გორ. **მერმე** **მტკვარი** ერთი ასად და ათასად გადიდდა, მოეფინა, მორწყო მთელი დედა-მიწა და თანვე დაგუბდა იქამდის, რომ მთელი საქართველოს მცხოვრებნი დაიღუპნენ კაცით ქალამდის, მთელი ქვეყანა გატიალდა, ადამიანის ჭაჭანება აღარსად იყო; მხოლოდ აკვნის ჩჩვილ ყმაწვილები გადარჩნენ დაღუპვასა აკვნების წყალობითა!

ლელა. ეი, მაგრამ მე გამიგონია, რომ სათემ-ქვეყნო ჭირ-ვარამი სიზმრით მოჩვენებულ-მოლანდებული კაცმან ლხინად უნდა მიიღოსო და თქვენ კი პირ-და-პირ შეუცვლელად ბოროტ-მოვლინებადვე სთვლით და არა კეთილად, ეგ რასა ჰგავს?

გორ. ასეთი უბედურება როგორ უნდა დავთვალო ბედნიერებად, შენც ვითამ მაგით მანუგეშებ, ის კი არა თუ წყლულ გულზედ უფრო მარილს მაყრით; განა მე არ ვიცი: თქვენ ის ქალბატონები არა ხართ, რომ მთელი სეფე-წულებით და სეფე-ქალებით ერთი სიტყვა, ერთი პირი გიქნიათ ურიებთან ერთად და ქრისტიანობას ჰქადაგებთ, გაიძახით კადნიერად! დამაცადეთ თქვე ჰაშარმაშრებო, თქვე ასპიტებო, თუ მე თქვენ რა დაგმართო? — **თქვა** და გავარდა გარეთ გამწყრალი დიდად!

ლელა თავისთვის. **თუ** ბანზედ შემიგდე პასუხი და დამემუქრე, შენმა მზემ და სიცოცხლემ, იქნება მართალიც არ იყოს. დაგელიათ დღე და სიცოცხლე: ქამა სოკოს დღე ადგება აგერ თქვენს კერპობასა, აღარსადა გაქვთ პირი და გავლენა, ყველა მოიმდურეთ; ქრისტიანობა კი ნელ-ნელა შემოდის, ფეხს იკიდებს დილის რიჟრაჟსავით.

ამ ცოტა ხანში ხომ ერთიან ბოლოც მოელება თქვენს წარმართობასა!.. იმ დღეს ნანა დედოფალიც იმას ამ-ბობდა: ევროპა გაქრისტიანდა, ანატოლი, პონტი და კარ წინ ჩვენი დასავლეთი. მაშ ჩვენ რაღა უკანასკნ-ელი დედის შვილები ვართო, რომ არა გვეშველოს რაო. ლმერთი დიდია: ჩვენც ის დღე მოგველის, გაგვითენ-დება, სინათლეს ვნახავთ, თვალს გავახელთ ერთს ორად და ცხოვრების გზა-კვალს გავიგნებთ, უგზო-უკვლო ღადაღუდითგან თავს დავახწევთ და სწორე გზა-კვალს დავადგებით. მერე ჩაფიქრდება და ამბობს: მართლა, რა უბედურებაა წარმართობის ეს ამდენი ცრუ-მორწმუნება; მთელი კერპობა მავნე მოვლინებებისგან ამ დღივ გულ-გახეთქილია, აქა-იქ დაეხეტებიან, შესჩივიან ამას, იმას. ეს მამალმან უდრო-უდროოდ დაიყივლა—რა მეშველებაო, კაჭკაჭმან კარზედ დამჩხავლა—რას მემართლებოდაო, ცხენმა დაიჭიხვინა—გული გამიხეთქაო, ხარმან იბღარავა —თავ-ზარი დამცაო და სხვაცა მისთანა ათასი უგუნ-ურობა და სულელობა. აბა ერთი მიბრძანეთ, ფრინველს ან პირუტყვს რა გავლენა აქვს კაცის ცხოვრებაზედა. ახლა მოსდგებიან და თავიანთ თავსაც პირუტყვებში ჰრევენ: ვუი ყურმა მიწივლა, თვალმა მითამაშა, ხელის გული ამიქავდა, მუცელმა მიყურყურა და სხვაც. თქვე ცოდვის უბედურებო, როცა სჭამთ და სვამთ საზრდელს, ხომ კუჭში გეხარშებათ; მათი ორთქლი ტრიალებს ძარ-ღვებში მოძრავ მდუღარე სისხლთან ერთად, რითაც იშ-ლებიან ქარები, გადი-გამოდიან ყოველ ასო-სახსრებ-ში, რა ეჭვი უნდა, რომ ბევრჯელ უნებურად ამო-ძრავდებიან ჩვენი სახსრების ნაწილები, რასაც მოსდევს არა მარტო ხსენებული გაკვრა-გამოკვრანი, იგივე ბო-ყინი, სლოკინი, ფრუსტუნი, ხველა და მისთანანი.

(შემდეგი იქნება). ვინმე მესხი.

ფარნაოზი

(დასასრული *)

IV

ბევნეთის მთიდგან შხეილით
გადმოჰქუხს ეგრის-მდინარე,
თვალ წარმტაც, ამწვანებული
გარდაშლილია წინ არე
  ზამთარ და ზაფხულ ნიადაგ
ჰუვავის ეს ტურფა ადგი,
ვით თვალთა შორის ალმასი,
ჰშვენის აქ ეგრის-ქალაქი,
  თარგამოსის ძის ეგრისის
გმირისგან აშენებული
და ახლა მთავარ ქუჯისგან
უფრორე გამშვენებული.
  დღეს მზადებაა ეგრისში,
ხალხი აწუდება ქუჩებსა,
ქუჯი და მისნი ერთგულნი
ელიან უცხო სტუმრებსა.
  აი, გაიდო ჭისკარი,
მოდიან ქართლოსიანნი:
ფარნაოზ, იმისი დედა,
თან დანი ჰირი-ეზიანნი.
  გამოეგებნენ სალამით,
ქუჯი და მისი მხლებლები

*) იხ. № 1, გვ. 73.

და სასახლეში შემოჰყავთ
ზრდილობიანად სტუმრები.

ფარნაოზმა ჰრქვა: „მთავარო,
მე შენ გიპოვე ამ ქვეყნად
ღირსეულ მამულის შვილად
და აგირჩიე მეგობრად.

„შენც ხელი გამომიწოდინე,
ნიშნად თანაგრძნობისა,
მე აწი ადარ მეშინის
არავითარის მტრობისა

„ეი ეს განძი მიიღე,
შეეგრიბოდ მრავლად ჯარით,
საერთო მტერსა დავეცეთ,
ამოვიყაროთ ჯავრით!“

ქუჯი-კი მთლად მოხიბლული
მისის დის მშვენიერებით,
ნიშნად თანხმობის, ფარნაოზს
თავს უკრავს წადიერებით...

უმანკო ქალწულს ხირველად
მოჰხვდა ისარი ტრფობისა,
სახეს გადაჰკრა ელფერი,
გამომყღავნელი გრძნობისა.

ეს მშვენიერი ჯაბუკი
გულს ჩაისვენა ხატადა,
შეერთდა ორი არსება
უხილავ ანდამატადა!..

V

ოადგნენ მცხეთას ფარნაოზ
და ქუჯი დიდის ჯარითა,
ეგრისელთ, ოსთ და ლეკების
შეერთებულის ძალითა.
ახლა-კი იცხო ფარნაოზ
ერმა სამშობლოს მხსნელადა,
გადუდგა მტერს და მიემხრო
თავისს ერთგულს შვილს მთელადა.
ასეა ხოლმე! როდესაც
ჯაბუკი აღტაცებული,
გრძნობს რა დიადის საქმისთვის
იგია მოწოდებული,
იწვევს მოძმეებს და ეჯელას
სთხოვს შველა-დახმარებასა,—
მას გულ-გრილობით არავინ
არ აქცევს ყურადღებასა.
და მოუხდება მარტო-ხელს
გზისა გაკაფვა ძნელისა.
ვინ უწყის, როგორ იკრგვის
ძალა საბრალო შვილისა!?
მაგრამ, რომ იგი ჯაბუკი
ოოველს სიმწარეს აიტანს
და მაინც სახელოვანად
ლელოს მარტოკა გაიტანს,—
მაშინ-კი... გაჭკვირდებიან,
თაყვანსა სცემენ ერთად,
აღიარებენ დიდებულ
აზრთა მჭურობელად, დმერთად!
თავისუფლების სული ხალხს
კვლავ ფარნაოზმა შთაჭბერა,

შავ-ბნელი გარემოება
შესტვალა, გაასხვაფერა .
ვზონი კლარჯეთს გაიქცა
უიმრად დამარცხებული,
დედა ქალაქში შევიდა
თვარნიოზ გამარჯვებული.
გარნა მიზანი კაცისა
რამდენად სახსტრელია,
მისი მიღწევაც საგსებით
იმდენად უფრო ძნელია
ხშირად კაცს რაიმე ზღუდე
აჩერებს შუა გზაზედა,
ის გულ-მოკლული მზად არის
ხელი აიღოს თავზედ...
ხოლო გმირთ შესწევთ იმდენი
სულისა ძლიერებანი,
რომ ვერ აჩერებს მათს სურვილს
ვერარა დაბრკოლებანი.
სამხრეთის ცაზედ ღრუბელი
შავადა იკრიბებოდა
და სისხლის ნაადვარითა
ქართლს წარდგნას ემუქრებოდა.
ვზონსა წამოეშველნენ
ჯარები საბერძნეთიდგან,
მაგრამ თვარნიოზ მზადაა,
დაიძრა სწრაფად მცხეთიდგან.
მიწინაღმდეგე ჯარები
ერთმანეთს შეტაკებული,
ქაჯთა ქალაქში, იბრძვიან
ორივ-მხრივ გამწვავებული.
თაკ-ზარს სცემს ბერძნებს ქართველთა
მხეორობა თავ-განწირული;

თვითონ ძლიერი ოზონიც
დაეცა გულ-გაგმირული.
ადსრულდა! მზე დაუბნელდა
სასტიკეს მტერს ამოხოტიდსა,
დარჩა ურიცხვი სიმდიდრე
ფარნაოზს ძლევა-მოსილსა.

VI

ეცხეთა ლამაზად მორთული,
ხალხი მიმოდის, ხმაურობს,
მეფე ფარნაოზ სტუმრებით
ლხინს იხდის, დღესასწაულობს.
ორი და მზეთ-უნახავი
დღეს საუვარელს ძმას შორდება:
ერთი ქუჯს მიჭუავს, მეორე
ოსთა მეფეზედ თხოვდება.
დარბაისელი სტუმრები
ახალგაზდებსა ამკობენ,
ჩანგი-წიწილით, ლექსებით
მგოსნები სმენას ატკბობენ.
ეანწს იღებს მეფე ფარნაოზ,
მიირთმევს საღეგრძელოსა:
„სწუალობდეს მზე და მთოვარე
ჩვენს ტურფა საქართველოსა!
„აწ მივადწიეთ, ძმობილნო,
ჩვენს მიზანს სანატრელსაო,
ერთობა, თავისუფლება
ხომ მოვანიჭეთ ერსაო!
„სიმდიდრე უველას შევსძინეთ,
საკმაო მიწა წუალიო

და მტრისა მოსაგერებლად
მოგვეშოვება ძალიო.
„რა დაგვრჩენია?— სინათლე,
სინათლე ვეძინოთ ხალხსაო,
რომ გონებრივად ამაღლდეს,
დაუახლოვდეს ცასაო.
ამისთვის გამოვიგონე
ქართული წერა-კითხვაო,
რომ გურგანიდგან ბონტამდე *)
ჰქუხდეს ქართველთა სიტყვაო;
რომ სწავლა მეცნიერებით
ეველანი აღიჭურვნენო
და უშიშრად უმაღლეს
საგანსა ემსახურნენო;
რომ ღირსეულთა სახელი,
ვის გული სცემდეს ქვეყნისთვის,
წიგნსა და ერის ხსოვნაში
აღბეჭდონ უკვდავებისთვის“...
სთქვა და კვლავ აღვსილი ეანწა
ქუჯს გაუწოდა. წამოდგა
ქუჯი— მთავარი იმერთა,
და გულ-მხურვალედ წარმოსთქვა:
„სანამ მზე მ ღლით დაგვნათის,
სანამ კაშკაშებს მთოვარე,
სანამ ციმციმებს ვარსკვლავი
ცის კამარაზედ მოარე,
„ძანამდის ჩვენი ერიცა
სცოცხლობდეს ქვეყანაზედ
და იდგეს გაბუტდენელად
ჭეშმარიტების გზაზედ!

*) ბასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდე

„მეფევ, ვით შვილსა კოლხიდის,
სახელ-განთქმულის ქვეყნისა
მე მრწამს... და მომლოდინე ვარ
მომავალ ბრწყინვალე ხნისა.

„კვლავ გამოიყანს კოლხიდა
აეტისებურს *) გმირებსა,
ეგრის-წყალსაგით მჩქეფარე
გრძნობა-გონების შვილებსა.

„ადზრდის მედიას *) ქვეყანა
უფრო მომხიბლავს ასულებს,
აუვავილებულს წალკოტში
გაფურჩქვნილ ვარდად ასულებს

„და გამოჩნდება ორთეოზ *)
ციურ ხმით დამატებობელი,
ტეის მხეცის, ზღვაზედ ქარიშხლის
ჭანგებით დამცხრობელი.

„ძაშ, გაუმარჯოს მომავალს,
ალნაგსა მოძმეთ სისხლითა,
მან მოგვიხვეჭოს, მეფეო,
დიდება შენის ღვაწლითა!..“

გადაუწოდა მთავარმა
უანწი ოსეთის მმათველსა.
სთქვა მეფემ: „ჭირსა და ლხინში
მეც გვერდთ უდგივარ ქართველსა;

---

*) ა ე ტ ი იყო კოლხიდის (იმერეთ სამეგრელოს) მეფე, ცხოვრებდა 1350 წლებში ქრისტეს შობამდე ქალაქ ე ა შ ი, ეხლანდელს ციხეგოჯში (იხ. დამატებაში: «სახალხო ისტორია საქართველოსი»).

**) მ ე დ ი ა იყო ა ე ტ ი ს ქალი, ფერიად ლამაზი, ნასწავლი და გრძნეული (იხ. იქვე).

***) ო რ თ ე ო ზ იყო გამოჩენილი მგოსანი ს ა ბ ე რ ძ ნ ე თ ი ს ა; თვისი ციურის ხმებით ამოძრავებდა კლდეებს და იმორჩილებდა მხეცებს. იყო იაზონის თანამედროვე და მასთან ერთად ჩვენს ქვეყანაშიაც (კოლხიდაში).

„დე, ვით კავკასიონის
დევ-ბუმბერაზი მთებია,
და მათგან გადმომქუხარე
წვეთ-მარგალიტი წყლებია,

ისე მადალი, ანკარა
იერს ქართველთა ბუნება,
მათი მშრომელი მარჯვენა
ვით კლდე, ნუ მოიდუნება.

„ისე აჭვავდეს, ამაღლდეს
მათ შვილთა ნიჭიერება,
რომ მათის შემოქმედობით
ჰკვირობდეს ქვეყნიერება“...

ვ. ბობეჩია.

სახალხო ლექსები

ყოფა-ცხოვრების გამომხატველნი.

(ძართლში შეკრებილი თ. რაზიკაშვილის-მიერ).

ისქვილო, კარი გამიღე,
შენი ბატრონი მოვსულვარ,
ზურგზედ მკიდია ქუმელა,
სირცხვილით ვერ შემოვსულვარ.

—

ბატო, ბატო, თეთრო ბატო,
ეხლა რაღა მოგიმატო.
ე ბუმბული მაინც მომეც,
ე ოხერი თავი დავდო.

—

ხელთუბნელი ქალი მიეკარს,
თეთრად კოჭი ებანოსა,
იმის შედგმულ შეჭამანდსა
კოჭ-ბილბილი ეყაროსა.

—

დაცხა და დადგა ლულია,
კამეჩებს ვედარ უვლია!

—

მაღლა, მაღალსა მთაზედა
სისხლისა გუბე მდგარიყო,

ჩვენი მტერი და დუშმანი
სვამდა, ვერ გამაძღარიყო!

(ნასწავლები შაქრო გაგნიძისგან).

რას მემართლები, ლათვაჩო, *)
შარაზედ გავლისათვისა,
განა სამტერროდ მოვსულვარ,
სამოუგროდ ქალისათვისა.

—

ქვრივი ეუბნება შვილსა:
შვილო, რად არ ეძებ ქალსა?
რატომ არ დაქორწილდები
და არ გაახარებ სახლსა.

უხეირო ცოლი.

დედამ რო ცოლი მითხოვა,
შავი იყო, არაბს ჰგავდა,
მე რო სხვაგან წავიდოდი,
ის კი დედალს დაიკლავდა.

დედაკაცის ჭკუა.

ცოლი: — ვისაც კაცსა დმერთი სწყალობს,
ცოლი მიჰყავს ჯვარობასა,
ე სწყალი ჩემი ქმარი
კარზედ იხნავს ნათუძარსა.

ქმარი: — ვისაც კაცსა დმერთი სწყალობს,
კარზედ იხნავს ნათუძარსა,

*) გვარია.

რომელ კაცსაც დმერთი ჭრისხვეს,
ცოლი მიჭუავს ჯვარობასა,
იმას ბური არ მოუვა,
დმერთს დაუწყებს ჯვარობასა!

•

თავისუფალი კაცი.

სულ ერთიან დავიარე:
ქართლი, კახეთი, ხეითი,
მინდა შევჯდები ცხენზედა,
მინდა გავიგდი ქვეითი.

(დავით ქველიძეს ნასწავლები 1897 წ.).

ზემო ქართლელები მჭადი ჭამიები არიან:

ზემო ქართლელი ფუჩეჩა
მცხეთას ჩავარდა წყალშია,
იბოვნეს, გამოიტანეს,
მჭადი ეჩარა უბაშია.

ვარო ბაგნიძე.

სოფლები.

ახალსოფლელი [1]) ბიჭები
დაუჭამიათ რწყილებსა,
სიმდერა არა სცოდნიათ
იმ მამაძაღლის შვილებსა.

—

ხიდისთავს [2]) სეტყვა გროვდება;
ნამქერი მოდის სვეტათა,
უფლისციხური მინდვრები
დასეტყვა მეტის მეტათა.

[1], [2]) სოფლებია ქართლში.

ხიდისთავს ქვევრი მოგლიჯა,
დაუდო კარებს კეტადა.

—

Ახალდაბა, [1]) Ვარიანი, [2])
ახლო-ახლო არიანო,
ვისაც კარგი ქალი უნდა,
Ქარალეთში [3]) არიანო.

—

Ბორიჯვრის წმიდა გიორგი
გადმამცქერალი მტკვრისაო,
ტივი ბევრი ჩამოიგლის
ქარელისა და სკრისაო.

ლობიო და მჭადი.

შენი ჭირიმე სიმინდო,
ლობიოს შეჭამანდოვო!
სანამ შენ [4]) არ მოგიყვანე,
ქალი არავინ მანდოვო.

—

საწყალ-ბურდ კვარხითი [5]) სჯობს,
საბურ-დვინოდ კირბალ-ზერტი [6]),
ბერშუეთი [7]) ეკვლასა სჯობს,
მაგრამ ბატონი ჭუაგთ ცეტი.

ლორი

შენ ჩემო დორო ქედაო,
თორმეტი გოჭის დედაო,

---

[1], [2], [3]) სოფლებია ქართლში.
[4]) ვითომ, სანამ სიმინდი არ მოვიყვანე, ქალი არავინ მომცაო.
[5], [6], [7]) სოფლებია ქართლში.

საბალახოზედ გაგიშვი
კვრიცხრეების ბოლოზედა.
ნეტავი, დორო, გაბმავ.
მოგავდე ქუჩოზედა,
მოგდო და მოგდო კოშაბდი
მაგ ცხვირის ნესტოზედა.

ლიახვი და მტკვარი.

რას მოტუტუნებ, ლიახვო,
რა ფრთები გაგიშლია,
მე შენზედ ბევრით დიდი ვარ,
კაცი არ დამიხრჩვია,
ჩულურეთი და ძუკია
ნარიეთ ამოვსია.

შაკრო ბაკურიძე

ვარიანტი (სხვანაირად):

„ნუ ადიდებ, ლიახვო,
რა ზავთები აგიშლია,
მე უფრო დიდი ვეფიდვარ,
მე ეგენი არ მიქნია,
ძუკია და ავლაბარი
სულ ნარიეთ ამოვსია“.

(შემდეგი იქნება).

ბეკიჩა ქაჯაია

(ე. ლ—ძის ნაამბობი).

ძლევა-მოსილის იდუმრის წმ. გიორგის *) სასწაულთ-მოქმედება არამც თუ ქრისტიანებს, მახმადიანებსაც უცილებლად სწამდათ და სწამთ კიდეც. ერთხელ ვიღაც თათრის ფაშამ იჭვი შეიტანა, როდესაც მას უამბეს: „ილორის ხატს თავისი შესაწირავი ხარი თვითვე მოჰყავს ყოველ წლობითო“. ფაშამ სიცილი დაიწყო და სთქვა: „ჭორია თორემ, თუ ეს ამბავი მართალია და ხატი ტრაბიზონიდგან ჩემს კუროს მოიყვანსო, მე მაშინვე მოვინათლები და სხვებსაც ბევრს დავნათლაო“. ეს სიტყვები ჯერ არც კი დაესრულებინა ფაშას, რომ ცა ერთბაშად მოიხუშა, ასტყდა უცებ ელვა-ქუხილი, ამოვარდა საშინელი ქარი და შავმა ზღვამ ღრიალი მორთო. ტაროსის ასეთმა უეცარმა ცვლილებამ ყველა შეაშინა. ბე-

*) ილორი—სოფელია შავი ზღვის პირას, ფოთსა და სუხუმს შუა მდებარე; აქ არის მცირე და უგუნბათო ეკლესია წმიდის გიორგისა, მაგრამ მდიდარი და განთქმული. ბატონიშვილი ვახუშტი სწერს: „სიდოვანობის გამო, რათა არ შეირუეს ეკლესია, მოუდიათ ქვა დიდ ფრიად ფიქალი, და მას ზედა არს შენი სრულიად ეკლესიაო“. შესანიშნავია, რომ აქ მოთხრობილი სასწაულთ-მოქმედება იდუმრის წმ. გიორგის ხატისა, ვახუშტისაც აქვს მოხსენებული. იგი ამბობს: „აქ მოიუვანს ხარს ყოველ წლივ 10 ნოემბერს, რომელსა დაჰკვლენ და განიყოფენ მეფე დიდებულებითურთო. განა არს ფრიად სასწაულთ-მოქმედი ჭეშმარიტსა ზედაცა. არამედ მოსწვეს ოსმალთა ეკლესია იდუმრისა ქორონიკონსა 1733“ (დეოდრ. ადწ. საქართვ., გვ. 398). რედ.

რები და იქ დამსწრე ქრისტიანენი შეიკრიბნენ Ილორის ტაძარში და ლოცვას შეუდგნენ. Შაშასაც ურჩიეს, რომ ელოცა. Მოაწია საღამოს ჟამმა. Ცა მოიწმინდა, ქარი ჩადგა და ზღვაც დაცხრა. Ერთიც ვნახოთ, ზღვიდგან რაღაც უზარ-მაზარი ცხოველი ამოიჭრა და ტაძრისკენ მიაშურა. Რა რომ ფაშამ ეს ცხოველი დაინახა, ერთი კი დაიყვირა „ალაჰ“ და პირჯვრის წერით პირქვე დაემხო. Აღმოჩნდა, რომ ფაშის კუროს სულ რამდენიმე საათის განმავლობაში გამოეცურა Ტრაპიზონიდგან შავი ზღვა...

Ილორის სასწაულთ-მოქმედების მაგალითები ურიცხვია, მაგრამ ყველაზედ უფრო შესანიშნავი ის იყო, რომ თუ ვინმე უშვილო ამ ხატს გულით შეევედრებოდა და იმ რკინის რგოლში გაძვრებოდა, რომელიც Ილორის სამრეკლოზედ ეკიდა, შვილი მიეცემოდა. Ეს ამბავი მთელმა Საქართველომ იცოდა და კიდევაც ამიტომ ყოველ კუთხიდგან მოდიოდა აქ მლოცველი.

Ბეკიჩა ძაჯაიასაც არა ერთხელ გაუგონია ეს ამბავი, მაგრამ არა სჯეროდა. „ხატი მე შვილს როგორ მომცემსო“, — იტყოდა ის დაცინვით.

Ბეკიჩა ძაჯაია მეფის მონათესავე კაცი იყო და კიდეც შვენოდა მეფის ნათესაობა, ისეთი ვაჟკაცი იყო. Მისი შემხდომი არამც თუ Იმერეთში, დუნიაზედაც არ მოიპოვებოდა. Მისი ჭიდაობის სახელი მთელ ქვეყანას ჰქონდა გაგონილი. Თვალ-ტანადობაც ძალ-ღონის შესაფერი ჰქონდა. Მის ბეჭმკერდს ფხარი ვერ გადასწვდებოდა. Ბეკიჩას ძლიერ უყვარდა ომი და იარაღსაც კარგს მიუცილებლად ატარებდა. Მისი ხმალი „ქვას აპობდა და რკინას კვეთდა“; ამიტომაც ისე უყვარდა ეს იარაღი, რომ ძილის დროსაც ლოგინში თან ჩაჰქონდა, თორემ თუ ფეხზე იდგა, მაშინ ხომ მუდამ წელზე ერტყა.

Ბეკიჩა უძეო იყო და ურჩევდნენ Ილორის წმ. Გიორგის შეჰვედრებოდა, მაგრამ ის, როგორც წინეთ ვსთქვი,

იკვნეულობდა Ილორის ძლიერებაზედ. ბოლოს მაინც დაიჯერა მტერ-მოყვრის რჩევა და ვაუდგა გზას აფხაზეთისკენ თავისი ჯორით. მიდის ბეკიჩა და თან ფიქრობს: „რა სისულელე დავიჯერე, „გვერდებ ქექია“ აფხაზებს ისეთი ძლიერი ხატი ვინ მისცა, რომ მე შვილი მაყოლოსო“. ის კი დაჰვიწყებოდა, მაცხოვარმა რომ სთქვა: „სარწმუნოებამან შენმან გაცხოვნოს შენო“. ამიტომ, როცა მან მცირე ფარისევლურის ლოცვის შემდეგ გაყო თავი რგოლში, მართალია, ორჯელ მშვიდობიანად გაძვრა გამოძვრა, მაგრამ მესამე ჯერზე კი რგოლმა შიგ გულ-ბოყვში ისე მაგრად მოუჭირა, ხელები ისე მიუკრა გვერდებზე, რომ ფრჩხილებში სისხლი წასკდა. ის იყო უნდა სული დაელია ურწმუნო ბეკიჩას, რომ ბედზე ბერებმა მიუსწრეს, ამხილეს ურწმუნოებაში და უბრძანეს, რომ ელოცა. მაშინ კი იკადრა ბეკიჩამ გულ-მხურვალეთ ხვეწნა-ვედრება: „ძლევა-მოსილო და საკვირველთ-მომქმედო Ილორის წმ. გიორგი! თუ ამ განსაცდელიდგან დამიხსნი, შენი ტაძარი სპილენძით გადავჭედოო“. რგოლმა მაშინვე მოუშვა და ბეკიჩა გადარჩა. დაბრუნდა ბეკიჩა შინ, მაგრამ დიდ საგონებელში ჩავარდა: აღთქმა უნდა აესრულებინა და იმდენს სპილენძს მთელს Იმერეთშიაც ვერ იშოვნიდა. ბევრის ფიქრის შემდეგ ბეკიჩამ გადასწყვიტა: წავალ ბურიელთან, შევეხვეწები და ის შემეწევაო. სთქვა ეს და შეკაზმა კიდეც თავისი ჯორი.

ბურიელს ძლიერ იამა Იმერეთის სახელოვანის კაცის ნახვა. ჰკითხა მეფის ამბავი, Იმერეთის ავ-კარგი და ბოლოს ისიც გაიგო, თუ რა თხოვნა ჰქონდა მასთან ბეკიჩას. „მაგ სათხოვარს ადვილად აგისრულებ, მხოლოდ ხვალ ჩემს Ოსმანას უნდა დაეჭიდოო“,—უთხრა ბურიელმა. ბეკიჩამ თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა და წავიდა სასტუმროში. ბურიელის ფალავანი Ოსმანაც იქ დახვდა. ბეკიჩამ აათვალიერ-ჩაათვალიერა თავისი მეტოქე და რა ნახა, რომ თათარი მართლაც შესაზარი მოყვანილობისა იყო, იფიქრა: მოდი ამა-

ღამვე გამოვცდი ამას და, თუ, ვინიცობაა, შევატყვე, რომ ხვალ დამამარცხებს, მაშინვე წავალ აქედგან, რომ სირცხვილი არ ვჭამოვო. Ოფიქრა ეს და შეასრულა კიდეც. „Ოსმან“,—უთხრა თათარს ბეკიჩამ: „ხვალ ბურიელს ჩვენი ბურღაობის ცქერა უნდა; ურიგო არ იქნება ამაღამვე ჩვენ ერთმანეთს ცოტათ მაინც გავეცნოთ და მაჯა გავუსინჯოთო!“—სთქვა ეს და გაუშალა თათარს თავისი მკლავი. Ოსმანამ მძლავრად წაავლო ხელი მაჯაში და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოსწია იდაყვში, მაგრამ ამაოდ: ბეკიჩას მკლავი თითქოს გაშეშებული იყო. Ახლა ჯერი ბეკიჩაზედ მიდგა. Მან წაავლო თათარს მაჯაში ცალი ხელი, წუთით თვალი თვალში გაუყარა მოპირდაპირეს და ერთბაშათ ისეთის სისწრაფით დაჰკრა თათრის მაჯას, რომ მას ეგონა, ეგ არის ცა მოსკდა და ჩემს მაჯაზედ დაემყარაო. ბეკიჩამ უშვა ხელი თუ არა, თათარი უსულოდ დავარდა ძირს, ხოლო დალეწილი მკლავი კი ჩვარივით ჩაეკეცა სახელოში. Თათარი მაშინვე წაიყვანეს იქიდგან და ეს ამბავი ბურიელს მოახსენეს. Ბურიელს, ცოტა არ იყოს ეწყინა თავისი ფალავნის დამარცხება, მაგრამ ჩვენის კაცის გამარჯვებამ მაინც გაახარა. Იმ ღამეს ბეკიჩას კარგად მოუსვენეს, მხოლოდ დილისათვის მისი ვაჟკაცობის გამოსაცდელი სასტიკი ზომა მზადდებოდა სასახლეში. Რა კი ყველა დარწმუნებული იყო, რომ თუ ბეკიჩას მისი ხმალი წელზე ერტყმებოდა, მას წინ ვერაფერი დაუდგებოდა და ისიც იცოდნენ, რომ ბეკიჩა ფეხზე ადგებოდა თუ არა, ხმალს მაშინვე შემოირტყავდა და უმისოდ კარებიდგან ფეხსაც არ გადადგამდა, ბურიელმა ბრძანა: „როდესაც ბეკიჩა დაიძინებს, ხმალი მოჰპარეთ, პირი დაუჩლუნგეთ ნაჯახის ყუით და სადაც წინეთ ედვა, იქვე დაუდევით, რომ არაფერი ეჭვი აიღოსო. Დილას კი, როცა ის სოინარზე გასვლის შემდეგ სახლისკენ შემობრუნდება, გააღეთ ბაკის კარები და ჩემი კურო გამოუშვით და მეც შემატყობინეთ, რომ სარკმლიდგან ვუცქიროთ, თუ ბეკიჩა როგორ გაუს-

წორდება უხმლოდ ჩემს ოთხ-ფეხა ფალავანსო". ეს თადარიგი იმ ღამესვე სისრულეში მოიყვანეს. ბათენდა დილა. სასახლის ეზოში ჭაჭანი არ იყო არც კაცის და არც პირუტყვის. ბეკიჩა ადგა, გადიცვა ახალუხი, შემოირტყა ხმალი და გავიდა სოინარზე. ეზოში რომ გამოვიდა და არაფერი ბაიბური ესმოდა, ცოტა არ იყოს ეოცა. იფიქრა, ეს რა საძაგელი ჩვეულება ჰქონიათ ამ ბურულებს, შუადღემდე არც კაცი დგება და არც პირუტყვებს უშვებენო. რა იცოდა, თუ პირუტყვებს მისთვის არ უშვებდნენ ამ დილას, რომ ეშინოდათ, კურომ არ დაგვიწყვიტოს საქონელიო. ბეკიჩა სახლისაკენ შემობრუნდა; აქ დაინახა, რომ ერთმა ბიჭმა ერთ განცალკევებულ პატარა სახლის კარებთან კიბე მიიტანა; მიაყდდო კედელს, ცალი ფეხი კიბის საფეხურზედ შედგა, გადმოსწვდა იქიდგან, კარის ურდული გამოაძრო და თვითონ უცებ სხვენზე შეეარდა. ბაიღო კარები და სამწყვდეევიდგან ლომივით გამოიჭრა ექვსი წლის ნასუქი კურო. ქანდრი ერთ არშინზე ადგა კისერს. ეურომ ერთი საზარლად შეჰკივლა, მიიხედ მოიხედა და ბეკიჩას რომ თვალი მოჰკრა, შურდულივით გაექანა მისკენ. ბეკიჩა მიხვდა, რა მახეც დაუგეს, მაგრამ არ შეწუხდა. ულვაშებში ჩაცინებით ჩაიდუდუნა: „შენი თავი და ფეხიო" და აუჩქარებელის ნაბიჯით განაგრძო გზა ეურო მიუახლოვდა მას. ერთი შედგა და ის იყო მოიმართა. ბეკიჩამ ახლა კი გაიკრა ხმალს ხელი, მაგრამ დაჩლუნგული ხმალი ისე მაგრად ჩაეჭედათ ქარქაშში, რომ პატრონმა ხმალი თუმცა ამოაძრო, მაგრამ თან ქარქაშიც სულ დაილეწა. ბეკიჩა მიხვდა, რაშიაც იყო საქმე და, რომ კუროს არ მოესწრო ხმლის ამოღებამდე, ვეფხვის ნახტომი ქნა უკან. ხმლის გაშიშვლება და კუროს დატაკება ერთი იყო. ეუროს ის იყო, ჰაერში უნდა აეგდო თავისი მოპირდაპირე, მაგრამ ბეკიჩამ მოასწრო და ისე მძლავრად დაჰკრა ხარს თავში დაჩლუნგებული ხმალი, რომ მახვილი სამად გადავარდა და კურომ კი ჩაიჩოქა, თუმცა ისევე მალე წამოვრდა და გაექა-

ნა ბეკიჩასაკენ. მეტი გზა არ იყო, ბეკიჩა ისევ თავისს მა-ჯას დაენდო. ბაბრაზებულ ხარს ხელი შეახვედრა. ქურო დაეჯახა ხელს, მარა მკლავის ძლიერება ვერ გადრიკა და ტუჩი მიწას დაჰკრა. ბეკიჩამ იდროვა, წაავლო ხარს რქებში ხელი, ერთი გადაჰკრა მარჯვნივ და კუროს კისერი მარილი-ვით გაუხადა. ამ შეტაკებას ბურიელი სარკმლიდგან უცქე-როდა და მის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა. რა რომ საქმეს მორჩა, ბეკიჩამ ხმლის ნამტრევები აკრიფა, დახედა, და რა კი ის დაჩლუნგებული დაინახა, ცოფ-მორეულმა დორბლის დენით გასწია სასტუმროსაკენ. ილბლათ სასახლე-ში თადარიგი დაეჭირათ და კარები მაგრად ჩაეკეტათ. ეზო-შიაც კაცის ჭაჭანი არსად იყო. აქეთ ეცა ბეკიჩა, იქით ეცა. ვაი მის დედას, ვინც მას ამ წუთას თვალში მოხვდებოდა. მაგრამ ცხელ გულზე რომ ვერავინ ნახა, ცოტად დამშვიდ-და. ხმა-მაღლა შეუკურთხ-შეულოცა ბურიელს და მის ყველა-ყას *), გამობრუნდა, შეკაზმა თავისი ჯორი და გაუდგა გზას იმერეთისკენ. როცა ბეკიჩა ბურიელის კარ-მიდამოს გამოსცილდა, ბურიელმა კარის კაცები დაადევნა. ბეკიჩამ რომ მდევრები დაინახა, ცოტა არ იყოს შეფიქრიანდა, ნუ თუ მოკვლასაც მიპირებენო, მაგრამ შიშით კი არ შეჰშინე-ბია. პირ-იქით, ჩამოხტა ჯორიდგან და მომავლებს მიაძახა: „თუ დედაბრები არა ხართ, თოფს ნუ მესვრით და ისე რა-საც იქთ, ალალი იყოსო". მალე კარის კაცებიც მიეწივნენ და ბეკიჩამ შეიტყო, რომ მდევრები სამტროდ კი არა, ხვე-წნა-მუდარებით იყვნენ გამოგზავნილნი. კარის კაცებმა ბევ-რი ემუდარეს ბეკიჩას, მაგრამ ვერ დაიყოლიეს: — „მკვდარს თუ ჩამიყვანთ ბურიელის ოჯახში, თორემ ცოცხალი ღმერ-თმა ნუ ჩამიყვანოს მისასო", — უპასუხებდა ბეკიჩა, როცა მო-ციქულები ეხვეწებოდნენ: „ბურიელი გთხოვს დაივიწყო სა-წყენი და დაბრუნდეო". — „თუ კუროსთან ჩემი ბურლაობის

*) გურულად იტყვიან.

ნახვა სწყუროდა, ხმალს რად მიფუქებდა, ეთქვა და მეც ხელ-და ხელ შევებმოდი მასო“,—განაგრძობდა ბეკიჩა ხმლის მოგონებით ცრემლებ მორეული. ბურიელსაც გაეგო, ბეკიჩა ცოტად მოლბაო და თვითონ წამობრძანდა მისკენ. ბურიელი რომ დაინახა, ბეკიჩა ცოტად აირია და, რომ ხიფათი თავიდგან აეცდინა, წასვლა დააპირა, მაგრამ ბურიელმა მოაძახა: „არ გრცხვენია, ბეკიჩა, ერთ ხმალში მცვლიო?!“. ამ სიტყვებმა თავისი გავლენა იქონიეს ქართველ კაცზე და ბეკიჩა შედგა. ბურიელი მივიდა და სიცილით გადაეხვია მას. „წამოდი, ბეკიჩა, წამოდი. ხმალსაც უკეთესს მოგართმევ და ილორის გადასაქედ სპილენძსაც ჩემის საფასით გამოგიგზავნი ორპირამდეო“,—უთხრა ბურიელმა. ამ ტკბილმა კილომ მოალბო ბეკიჩას გული და გაჰყვა ბურიელს. ერთ კვირას იქ იქეიფა. მერე შეაბრძანეს ბედაურს ლაფშაზე, შემოარტყეს წელზე ძვირფასი ხმალი და გაისტუმრეს იმერეთისკენ. ერთი კვირის შემდეგ ბეკიჩას კაცი მოუვიდა ბურიელისგან: „დაპირებული აგისრულე, სპილენძი ორპირშია ჩამოტანილი და ახლა შენც შეგიძლია შენი აღთქმა ილორის წმ. გიორგის პირ-ნათლად შეუსრულოო“,—უთვლიდა ბეკიჩა ძაჯაიას ბურიელი.

ასე და ამ რიგათ ბურიელის ფალავნების დამარცხებით ბეკიჩა ძაჯაიამ სპილენძით გადაქედა ილორის ტაძარი. ამის შემდეგ მას მალე ვაჟიც მიეცა.

ჩაწერილი სოფლის კაცისაგან.

სოლომონ ლეონიძე,

მსაჯული მეფე ერეკლესი და საქართველოს რუსეთთან შეერთების მომზადების წელიწადი.

(სახსოვრად ასის წლის შესრულებისა საქართველოს რუსეთთან შეერთებისა).

ვუწოდებ მას პატიოსნებისა გამო მაღლისა დროთა მათ ფაბრიციად *) ქართველთა, და ვითარცა მტკიცე და შეურყეველი, იქმნა სამდვილ ქართველთა ერისა და ისტორიისა კატონად **).

პ. Иосელიანი.

სოლომონ ლეონიძე ცნობილი პირია ქართველთ ცხოვრებაში. იგი მაღლა სდგას თავისს დროის ქართველებზე და მეთვრამეტე საუკუნეს ბრწყინვალის შუქითაც ანათებს. მიზეზები ასეთის იშვიათის პირების მოვლენისა უცხო არ არის იმ დროის ქართველთ შორის. მაღალ გონების კაცნი სხვე-

*) ფაბრიციი იყო რომაელთ მხედარი-მთავარი, III საუკუნეში ქრისტეს შობამდე, გაითქვა სახელი თავისი მოუსყიდველის პატიოსნებით და ერთგულობით მოვალეობისადმი.

**) კატონი — სახელ-განთქმული მწერალ-მეტყველი და მწერალი რომაელებისა, დაიბადა 234 წ. ქრ. შობამდე, ცნობილია, ვითარცა სასტიკი ცენზორი და მცველი ძველის რომაელების მარტივის ცხოვრებისა.

ბიც ბევრნი იყვნენ მაშინ საქართველოში, განვითარებით სჯობდნენ კიდეც ლეონიძეს, მაგრამ სოლომონ ლეონიძე მაღლა იდგა მათზე თავისი უზადო და უსაზღვრო მამულის სიყვარულით, სპეტაკის გრძნობებით, მოქალაქურის სულოვნობით და განსაკუთრებით დაუშრეტელის ენერგიით და მოქმედებით, რის მეოხებითაც იგი შეფემ მრჩევლად და ერისა და ქვეყნის საქმეთა მზრუნველად მიიხმო.

ეს იყო კაცი წინად მგრძნობელი, მომავლის ნათლად გამრკვევი დადამნახავი, მომავალ ცხოვრების რუკათა მხატვარი. მან ადრიდგანვე იგრძნო ქართველთ გაჭირვებული მდგომარეობა, რომ იმ დროს საქართველო საბრალოთ იყო დაკნინებულ-დანაწილებული; აწუხებდა უფრო ის გარემოება, რომ აქ ნაცვლად ერთობისა, ხშირად მთავარი მთავარს ებრძოდა და ბატონიშვილი ბატონიშვილს, სულ მცირე რამ დანაშაულობის გიმო მათში სტყდებოდა დაუსრულებელი განხეთქილება, შფოთი და მტრობა, რაც ქართველობას ძლიერ ვნებდა და საქმეთა ყოველ ძალას სიცოცხლის მომსპობ ცელივით ესმობოდა გარს.

თუმც ასეთი იყო ქართველთ ვითარება, მაგრამ მათ შორის ქვეყნის მეტრფეთა რიცხვი მაინც მცირე არ ყოფილა, უმრავლესნი გამსჭვალულნი იყვნენ ერთობის სიყვარულით, თვით-მყოფელობის ხაზის შემოფარგმელობით, საკუთარ სხეულის და მის მეოხებით სულიერად გარე და შინ აღორძინების მისწრაფებათა ქონვით. ამიტომაც იყო, რომ იმ დროის ქართველი ერი დღეს რომ ომობდა, მეორე დღეს ხის ძირში მოსვენებით ლხინობდა, რადგანაც მესამე დღეს მას კვლავ მწარე ომი ელოდა და ამ ომში იქნება თავის განწირვაც. ასეთ მებრძოლთათვის საამქვეყნიოთ იმის გარეშე სხვა აღარა იყო რა დაშთენილი, რომ მცირეთ სადმე თავი მიეყრდნათ, მცირედ ელხინათ და მერე მტერს შეჰკვდომოდნენ. სულ ამის მეოხება იყო, რომ ქართველნი თითქმის სამუდამოდ გამოეთხოვნენ მრეწველობას, ვაჭრობას

და სხვა ასეთ საქმეებს. ყველა ასეთ საქმეთ მფარველობა მოემწყვდა სხვა-და-სხვა ტომ-ჯურის ხალხთა ხელში, ეს უცხონი წავიდნენ წინ, მათ ჩაიდგეს პირში სული, ბევრმა ამის მეოხებით თავად-აზნაურობაც მიიღო და ყმებად ქართველი გლეხები, რომლებსაც შემდეგში ისინი თავისს რჯულზე იბირებდნენ და ნელ-ნელა ასხვატომებდნენ. ასეთის გადაგვარებულის ქართველებით სავსეა თვით საქართველო. ყველა ეს ჩვენს ტომს და ქვეყანას კარს მის მეოხებით მოევლინა, რომ ჩვენი სამეფო აზიის სხვა სამეფოების მსგავსად ექვსას-შვიდასი წლის წინეთ კი არ მოვსპეთ არამედ მედგრად ვიბრძოლეთ და გამგეობა თვით მეცხრამეტე საუკუნის პირველ წლებამდის შევინახეთ, თუმც უნდა ითქვას, რომ ეს ხანგრძლივი და დიდის ბრძოლით შენახული გამგეობა ჩვენ იაფად არ დაგვიჯდა და უმეტესი ნაწილი ქართველებისა ამას შეეწირა: ზოგი ომში გასწყდა, ზოგი ძალით გაათათრეს, ამ გათათრებულებისაგან გაძლიერდა ოსმალთა ტომი, ზოგნი გასომხდნენ და გაფრანგდნენ; ამათ შემდეგ დროს ენაც დაკარგეს და დღეს გვარ-ტომობით და ენით სომხის მოდგმას ეკუთვნიან. მოისპო აგრეთვე აფხაზეთიც და, ოდესმე ყოფილი 8 მილიონი ხალხი, ორ მილიონად იქცა და ვინც დარჩნენ, ისინიც ისე დაკნინდნენ და დაეცნენ, რომ მათში მკაცრად დაირღვა ურთიერთ სიყვარული და მის ნაცვლად დამყარდა სრული დარღვევის ხანა—დანაწილებ-დაკნინება.

უკანასკნელ, ასეთი ბედშავი მდგომარეობა ქართველთა ისე გამწვავდა და აზვირთდა, რომ ყოველ მამულის შვილს გული უნდა ასჩქროლებოდა და მის წინააღმდეგ ბრძოლა და შრომა დაეწყო. ეს მოეთხოვებოდა მაშინ ყოველ შესმენილ ქართველს და აი ამასვე ვხედავთ სოლომონ ლეონიძეში და თითო-ოროლა სხვა პირებშიაც, მაგრამ მათ თავიანთ სიმცირის გამო იმ დროს ვერა გააწყეს რა. რა გაეწყობა, ესეც გარემოების ბრალია. ლეონიძის და მის მომხრეთა ნატვრა იყო შემდეგი:

ნაკუწ-ნაკუწად ქცეული საქართველო ერთ ქვეყნად გარდიქმნას, მის ძეთა შორის ერთი აკვანი დაირწეს, ერთი მამასახლისი ჰყვანდეთ, ქართველთა სხეულმა და სულმა დიადი სიძლიერე შეიკრიბოს გარს და მის მეოხებით გარე ერთობის ძებნას თავი გაანებოს, მათ შორის მოიძებნოს წინ-წამყვანი ძალა ჯ სხვა ეს ჩვენგან სხვათა დაუხმარებლათაც მოხდებაო, თუ კი, რასაკვირველია, ამას ჩვენ მოვინდომებთ, ვიგრძნობთ ქვეყნისა და ერის კეთილ-დღეობის საჭიროებას, ერთობის მნიშვნელობას და ქართველ ერის იმ მხვედრსა, რაც მან მომავალში სამაგიეროდ უნდა მიიღოს იმ ბრძოლის ჯილდოდ, რომელიც მან ადრე ატარა და მოითმინა შინაურსა და გარეულ მტერთა წინაშეო. ამ აზრების გავრცელებისათვის სოლომონ ლეონიძე ქართველთ წინაშე სდგას მტკიცე სვეტად და ბურჯად. იგი მთელს ქართველობას დიდს ერთობას ავედრებს, საშვილი-შვილო საქმეს, შთამომავლობისათვის მერმისის დაურღვეველს ცხოვრებას

სოლომონ ლეონიძე შთამომავლობს ცახელ ლეონიძეებიდგან, რომლებიც ახლაც თავადებად არიან ცნობილნი და სოფელ ძონდოლში ცხოვრობენ, თელავიდგან 8 ვერსზე. ლეონიძეების გვარი წინეთ სხვა ყოფილა და ლეონიძეთა წოდება გარდმოცემის სიტყვით ამათ ასე მიუღიათ:

ქართველთ ერთს მეფეს სპარსებთან ომი ჰქონია, ამ ომში ლეონიძეების გვარის წევრნიც რეულან და შესამჩნევად უბრძოლიათ მტრის წინააღმდეგ. ზამარჯვების შემდეგ ქართველთ მეფეს ლეონიძეებისათვის ეს გვარი დაურქმევია, სახსოვრად სომხეთის სამეფოს უკანასკნელის შთამომავალის ლეონისა (VI-სა), რომელიც 1393 წელს პარიჟში გარდაიცვალა, და იმ გარდმოცემისა, რომ ერთ დროს, სწორედ ამავე ადგილას სომხებისგანაც ძლეულან სპასრსნიო.

ზოგნი ამ გვარის წევრნი ძახეთიდამ საქართველოს სხვადა-სხვა კუთხეებშიაც გადასახლებულან, სხვათა შორის სცხოვ-

რებენ შავშეთის ნაწილის იმერხ-ევის სოფლის წყალსიმერის მახლობლადაც ხუთი კომლი; ზოგნი მათგანი ადრე ოსმალეთში გადასულან და შავშეთ-იმერხევის გათათრების დროს ესენიც გათათრებულან. შავშეთის ლეონიძეები ძველად აზნაურის შვილები ყოფილან, დღეს აღიებად იწოდებიან. ქართლსა და იმერეთში ლეონიძის გვარის წევრნი გლეხები და აზნაურის შვილებიც არიან, მაგრამ ამათ ლეონიძეების გვართან არაფერი ნათესაობა არა აქვსთ.

სოლომონ ლეონიძის დაბადება დაახლოვებით მიეწერება 1745 წლებს, ზედ-მიწევნით კი არ ვიცით, თუ როდის. იგი აღიზარდა მშობლებთან, მერე თბილისში იყო, სცხოვრებდა მეფე ერეკლეს შვილებთან, ამბობენ, ლეონ ბატონიშვილის კარგი მეგობარი იყოვო და ჯერეთ ისევ ახალ-გაზდას დიდათ უგლოვნია ლეონის მოწამლვა. სოლ. ლეონიძეს ბიორგი მეფის შვილებთანაც კარგი მეგობრობა ჰქონია, ხოლო ლეონის სიკვდილის შემდეგ კი უფრო ალექსანდრე ბატონიშვილს ჰმეგობრობდა. ს. ლეონიძემ თავისს დროის კვალათ ყოველ ნაირი სწავლა მიიღო, შეისწავლა სომხური ენა და მწიგნობრობა, სპარსული, მცირეთ ბერძნული, რუსულიც ესმოდა, ლაპარაკიც იცოდა, ხოლო წერის პრაქტიკა არ ჰქონდა. მცირეთ ებრაულიც სცოდნია და ადგილობრივი ქართულის კილოკავების ზოგიერთი მთიული ენებიც. ქართული მწიგნობრობა, ენა და ისტორიაც თავისს დროის კვალათ ზომაზე შეისწავლა. მას ავითარებდნენ დოსითეოზ ჩერქეზიშვილი, იოანე ბერი, ფრანგის პატრეპი, სომეხთ ვართაპეტნი და ზოგნიც სხვა პირნიც, მცოდნენი სპარსულის ენისა. დოსითეოზ ნეკრესელისაგან სოლომონ ლეონიძეს ჩაენერგა სიბრძნის მოყვარეობა, იოანე ორბელიანისაგან — მჭევრ-მეტყველობა და პატრებისგან — ევროპის წეს-წყობილების შესწავლის სურვილი, ხოლო სამეცნიერო და საფილოსოფო წიგნების კითხვა იმ დროის ბრძენ ქართველთაგან. ერთის სიტყვით, არ დარჩა რამე სამეცნიერო, საფი-

ლოსოფო თუ საღვთისმეტყველო წიგნი, რომ მათი შინაარსი სოლომონ ლეონიძეს არ გაეცნო თავისებურად. საქართველოს და ქრისტიანობის ისტორიის გარეშე სხვა-დასხვა ერთა ისტორიასაც ნატვრით კითხულობდა, ყველა ხალხთა ცხოვრებაზე თავისებურს ცოდნას იძენდა. თბილისში სწავლის და ყოფნის დროს, რაღაც მიზეზების გამო იგი მეგობრობდა ხელოსან ხალხს, ეკედლებოდა მოქალაქეებს; ამით მან თბილისის ხელოსანთ და მოქალაქეთ წინაშე ყურადღება და მასთან დიდი პატივი დაიმსახურა. ხელოსანთ და მოქალაქეთ სიყვარულმა სოლომონ ლეონიძე სულ სხვა კაცად გარდაჰქმნა, სხვა გვარ მოღვაწე მამულისშვილად: მან ზედ-მიწევნით შეისწავლა თბილისის ხელოსანთ და მოქალაქეთ ცხოვრება.

პირველი მაგალითი იყო, რომ ს. ლეონიძემ ქალაქის მცხოვრებთ ყურადღება მიაქცია ღა ბევრსაც ეცადა, რომ ქართველთ მდაბიოდგან გამრავლებულიყო ხელოსნები ყველა ხელობაში, ქარხნებში და ვაჭრობაში. ამ საქმეების გამო მან აღწერაც შეადგინა, რომელიც 1799 წელს ივანე ბატონიშვილმა თავისად წარუდგინა მეფე ბიორგის და სთხოვდა დახმარებას, რომ ყველა ხელობაში ქართველთ მდაბიოთ რიცხვი გამრავლდესო. ამ ნაკლისათვის ყველა იმ დროის ქართველს უნდა შეემცნია, მაგრამ საუბედუროდ ეს ასე არ იყო, ქართველთ სამეფო პირებს ამის დაკვირვებისთვის მაშინ მოცალება არა ჰქონდათ. აქ უნდა ითქვას, რომ, როსტომ მეფის დროს, მეჩვიდმეტე საუკუნის შემდეგიდგან, ქართველთ შორის ყოველ გვარ ხელოსნებმა იწყეს გამრავლება, მე-XVIII საუკუნეში ეს უფრო წინ წავიდა, ქართველთ ერთი ათად იმატეს, მაგრამ კლება იწყო საუბედუროთ 1795 წლიდამ, რომლის მიზეზად აღნიშნულის წლის რისხვა უნდა ჩაითვალოს.

სოლომონ ლეონიძემ თავისს დროსვე მიიღო ვრცელი შეხედულობა სამეფო საქმეებზე და წეს-წყობილობაზე, ეს

მეფისაგანაც იქმნა შენიშნული. ქვეყნისადმი მაღალის მიდრეკილებით და სიყვარულით მზერამ იგი დაახლოვა ყველა იმ დროის ქართველთ ბრძენ პირებთან, ესენი დაუკავშირდნენ მისს ნიჭს, იგი ამით უფრო აღფრთოვანდა და უფრო მედგრად დაიწყო მხნეობა, სამეფო სხეულში ჩახედვა-დაკვირვება და მის სასარგებლოდ მეცადინეობა. მისმა ასეთმა შრომამ უფრო დააწინაურა იგი და 1775 წ. ქართველთ წინაშე უმეტეს განითქვა სახელი. ამ დროს იგი საერთოდ იქმნა შენიშნული, როგორც მაღალ გონების კაცი და დიდის ენერგიის მექონი. ასეთი პირის მოქმედება და გამგეობა ცხადი საქმეა, რომ იმ დროის ქართველთ გამგეობას მალამოსავით მოესმებოდა, რადგანაც, ჩვენდა საუბედუროთ, ერეკლე მეფის გამეფების და გაძლიერების შემდეგ, ისეც დაკნინებული რიცხვი ქართველთ მართველობისა რამდენსამე ნაწილად გაიყო და ვინც იყვნენ, ისინიც ან ერთმანეთს ეშლებოდნენ, ან იდევნებოდნენ და ბოლოს სულაც თახსირდებოდნენ, ქართველობას და საქართველოს ეცლებოდნენ.

ასევე დაემართა სოლომონ ლეონიძეს თავისს სიცოცხლის უკანასკნელს წლებში. ამის მიზეზები გახლდათ შემდეგი: მეფე ერეკლემ თავისს გამეფების უმალ ყურადღება მიაქცია მხოლოდ ისეთ სამეფო პირების გამრავლებას, რომელნიც მის ნებას და სიტყვას ემორჩილებოდნენ, მისი ყოველი სიტყვის მორჩილნი იყვნენ. ხშირად ეს ასეც იყო საჭირო, მაგრამ მას თავისი ალაგი გააჩნდა, თავისი ბინა. ერეკლე მეფემ თავისს ქვეშევრდომთ ქართველთ შორის ბევრი ვერ სცნა თვისს მოაზრედ და ამიტომ იგი თავისს არ მოსაწონ პირებს თავიდგან იცილებდა, თანამდებობას ხელიდგან აცლიდა. ამის მეოხებით საქმე ისე მოეწყო, რომ თბილისში ქართველ გამგეთ რიცხვი შემცირდა, თავადიშვილებმა სოფლად წყეს გადასახლება, ქალაქში კლება, შემცირება და მათ მაგიერ ერეკლე მეფის მეოხებით თბილისში სომხებმა იწყეს გამრავლება და ქალაქის გამგეობის პატრონობა. სომხები მე-

ფე ერეკლეს კარგად ემორჩილებოდნენ, ხოლო ოსტატურათ; ისინი მეფის ყოველ სიტყვას მოწიწებით ისმენდნენ, მიტომაც იყო, რომ მეფე მათ აძლევდა თავადიშვილობას, აზნაურიშვილობას, მოქალაქობას, ანიჭებდა ყოველ ნაირ ღირსებას და ხშირად დიდის უპირატესობითაც მოსავდა. ასეთი იყო სწორედ ქალაქის მელიქების საქმე, რომელი თანამდებობაც კინალამ მეფის ბრძანებით ერთის სომხის შთამომავალის თავადიშილის საკუთრებად არ გადიქცა. ერეკლე მეფის საზარალო მოქმედება ბევრმა სცნა, ბევრმა ბრძენმა ქართველმა შეხედა ფხიზელის თვალით, და კარგად დაინახეს ის გარემოება, რომ თუ ერეკლე მეფე დარჩებოდა საქართველოში ასეთის ძალით და გამგეობით, რასაც ის ადგა, მაშინ საქართველოს უსათუოდ დაღუპვა მოელოდა, რადგანაც მისი გამგეობა უმეტეს წილად დაფუძნებული იყო ძალ-მომრეობაზე, დესპოტიზმზე. მეფის ასეთმა ქცევამ გამოიწვია 1768 წლებში, თბილისში, მის წინააღმდეგ დასის დაარსება, რომელსაც ქართველთ დაღუპვის გარემოების წინააღმდეგ უნდა ემოქმედნა. ბევრის თათბირის შემდეგ ამათ გადასწყვიტეს მეფე ერეკლეს მოკვლა და მისის ოჯახის მთლად ამოწყვეტა ისე, რომ ერთი კაციც არ უნდა დარჩენილიყო და მეფობა უნდა მიეცათ ვახტანგ VI-ის შვილის ბაქარისათვის, რომელიც იმ დროს რუსეთში მსახურებდა და გენერალ-ლეიტენანტობა ჰქონდა მიღებული. ამ ცნობილს „შეთქმის“ წრეში ერივნენ ისეთნი ქართველნიც, რომელთაც სწავლა ევროპაში ჰქონდათ მიღებული, როგორც პაატა ბატონიშვილი, უკანონო ძმა ბაქარისა, მაგრამ კაცი თავისს დროის კვალად დიდად განსწავლული. მეფეს „შეთქმის“ ამბავი აცნობეს, დამნაშავენი მალე დაიჭირეს და დასაჯეს, ზოგი მოკლეს, ზოგს თვალები დასთხარეს და ზოგი უცხო ქვეყანას გააგდეს. ერთმა ასეთმა გაძევებულმა, რუსეთში, ერეკლე მეფის გამგეობის შესახებ რუსულ ენაზე წიგნიც დაბეჭდა და ჰგმო მეფემ საქციელი, მის სამართალს დესპოტიზმი უწოდა. ასეთმა საქ-

ციელმა იმ დროის თავადებიც დიდათ ააღელვა მეფეზე, თუ რამე პატივისცემა არსებობდა მათში, ესეც მოისპო მათ შორის, რადგანაც მათი მონათესავენი მეფემ დასაჯა. ამან უფრო არივ-დარია ქართველთა საქმე, ამ დღიდგან იწყო მომზადება საქართველოს დაღუპვის ხანამ, ამ დღიდგან მომზადდა 1795 წლის უბედურება და ყველა ის განსაცდელი, რაც კი ამ წლით ჩვენს სამშობლოს მოევლინა.

სოლომონ ლეონიძემ ისე განითქვა სახელი და ისეთი ყურადღება დაიმსახურა ხალხში, რომ ხალხმა და ბევრმა მალალ პირებმაც საქვეყნოდ დაიწყეს საუბარი მასზედ, თვით მეფესაც აუწყეს მისი ღირსება და შემძლებელობა და მრავალ გზის მოახსენეს მეფეს, რომ ს. ლეონიძეს დიდი შემძლეობა ემჩნევა ქვეყნის მართვაშიო. ეს მოხსენება მოქალაქეთაგან უფრო იმან გამოიწვია, რომ ლეონიძეს ქალაქის მცხოვრებლებთან დაახლოვებული კავშირი ჰქონდა. მეფემ ერის განცხადება სიამოვნებით შეისმინა, ს. ლეონიძეს პატივით დაუწყო მზერა, სხვა გვარი პატივი მიანიჭა, უპირატესი მნიშვნელობა, კარის კაცთა შორის უპირველესობა დაუთმო და საქმედ ქალაქის მართვის ზედამხედველობა მიუჩინა. მაშინდელ ქალაქის მეუფროსენი არ იყვნენ მაინც-და-მაინც დროის კვალად შესმენილი პირები; იგინი ქალაქის საქმეებს სულ ვერ მართავდნენ და ნამეტურ იმ დროის ხელოსნებს და ამქრულ წეს-წყობილებას ხომ სულ არ აპყრობდნენ ყურადღებას. ესენი ქალაქის მაშინდელს შემოსავალს ბოროტად ხმარობდნენ და მეფეს არ უჩვენებდნენ იმას, რასაც თვით იღებდნენ. ამ გარემოებამ თვით ხალხის წინაშეც გამოიწვია უთანხმოება და მრავალ-გზის იქმნენ ხალხისაგან ქალაქის მმართველნი და მელიქნი დასმენილნი, რომ იგინი ბოროტებას სჩადიანო. ამიტომ მეფემ ისურვა იმათ ზედამხედველად სოლომონ ლეონიძის დანიშვნა. ლეონიძემ თბილისის მოქალაქეები ერთ დღეს შეჰკრიბა ერთად და აუწყა ბევრი რამ ქალაქის სასარგებლოდ. მაგალითებრ, დუქან-

ბაზრის გაფართოვების შესახებ, ბაზაზხანის ქუჩების და გზების დაწმენდის, თბილისში ახალის დუქნების გაშენების საჭიროება, სახელოსნო ქარხნების დაარსება, არსებულთ გაფართოვება, მოგზაურთათვის კარგის ქარვასლის აგების საჭიროება, რადგანაც მაშინ საქართველოში ევროპის მოგზაურნი და სამხედრო კაცნიც ხშირად მოდიოდნენ, ხოლო მათ სადმე რამე საცხოვრებელი ოთახის მოპოვება კი არ შეეძლოთ. ყველა ამაებზე ლეონიძემ მეფეს მოხსენება მიართვა და მფარველობა სთხოვა, რომ ვაჭრების მდგომარეობას ყურადღება მიაქციეთ, მცირეთ მეგობრობა და მფარველობა დაუწყეთო, რომ მის მეოხებით ჩვენში ვაჭრობა ფეხზე დადგეს, იგი წარმატებას მიეცეს და სამერმისოდ ქართველთ შორის რამე საქმეები აღორძინდესო, რაის მეოხებით სამეფოსაც შემოსავალი გაუჩნდება, თოფხანის საქმეს ვუშველით რამეს, ჯარს ულუფას მოვუპოვებთო, დრო არის, რომ საქართველოს სამეფომაც თვისს შორის რიგიანი სამხედრო წესები შეიდგინოს, მორიგი ჯარი განწესდეს, ჯარისთვის სახლები აშენდეს, დაფუძნდეს კარგი არტილერიაო. ერთის სიტყვით, უნდა შემოღებულ იქმნას ისეთი წესები, რითაც შესაძლებელ იქნება ქართველთ სამეფოს არსებობა-გაძლიერება და მომავლის შენახვაო.

მეფემ უსმინა და განაწესა ვაჭართათვის უცხო პატივისცემა, მსაჯულთ წეს-რიგთა განსაკარგავად შემოიღო „მოქალაქობა“, ქალაქის მცხოვრებთ საპატიო გვამნი რჩეულ პირებად იქმნენ ხმობილნი, ზედ თან-დართვით „მოქალაქე“, ამათთვისვე განწესდა დარაჯთა რაზმი, რომელიც ვაჭრებს იცავდა ტ ფოსტის მსგავსად ადგილიდგან ადგილამდე ფულით და საქონლით გადაჰყვანდათ უზრუნველად. ვაჭართ ამისთვის არაფერი ერთმევოდათ. ეს გარემოება გახდა უფრო მის ფუძედ, რომ ეკატერინეს იარმუკობაზედ მათ ხშირად იწყეს მისვლა-მოსვლა, საქონლის გატან-შემოტანა და ვაჭრობა. სწორეთ ამ დროს და ასეთ საქმეთა წარმატების აღორძინება გახდა მის უმთავ-

რეს საგნად, რომ იმ დროის ქართველთ ოქროს ფულის მოჭრა საჭიროდ დაინახეს და მალეც მოსჭრეს, თუმცა დიდხანს არ გაგრძელდა. ოქროს ფული საქართველოში ძველიდგანვე არსებობდა, ხოლო სამ სამეფოდ განყოფის შემდეგ მოისპო.

სოლომონ ლეონიძის ყოველი თხოვნა, გეგმა და მიმართვა მეფემ საპატიოდ სცნა, ყოველისფერი შეასრულა, მიტომ მოქალაქეებსაც ხარჯის გადახდის ზომა შეუცვალეს და მცირე აღმატებით დააწერეს. მაინც ხელოსანი წელიწადში 70 კაპ. იხდიდა და ვაჭარი 1 მანათს; თითო აბაზი მოუმატეს ორივეს, 70 კაპ. გახადეს 90 კაპ. და 1 მანეთი— ექვს აბაზად. იმ დროს თბილისში იყვნენ ისეთნი ღარიბნიც, რომელთაც ასეთი ხარჯის გარდახდა ემძიმათ და მათ თბილისიდგან აყრა დააპირეს და სხვაგან გადასახლება; ეს ამბავი სოლომონ მსაჯულმა მალე შეიტყო, მოვიდა მათთან და დააშოშმინა, აუწყა, რომ ოღონდ თქვენ ნუ აიყრებით და ხარჯი გაგინახევრდებათო, მცხოვრებთ სიტყვა მისცეს. სოლომონ ლეონიძე საჩქაროდ წავიდა მეფესთან და ხარკის ზომა შეაცვლევინა, რომ თბილისში მცხოვრებთ რიცხვი გამრავლებულიყო, ქალაქი ქალაქს დამსგავსებოდა.

საქართველოში, ამქრული წეს-წყობილება ძველადვე არსებობდა, მას თავისებური წესებიც ჰქონდა და საზოგადო კანონ-მდებლობისაგან თითქმის სრულიად განთავისუფლებული იყო. მაშინ მას ბევრი რამ ნაკლიც ჰქონდა და მიტომ ს. ლეონიძემ მათთვის ბევრი რამ შემოიღო, იგი აღადგინა კარგის ღირსებით, შემოსა ხალხის სასარგებლო წესებით, რომელ წესებითაც ამქრულ წეს-წყობილებამ საქართველოში თვით 1865 წლებამდის მოაღწია. ძარგის წესების განმტკიცების შემდეგ ხელოსნებს მიეცათ გეგმა საკუთარ გამგეობისა, იმ დღიდგან ხელოსანნი თვით განაგებდნენ და განაბჭობდნენ ხელოსანთ შორის სადავო საქმეებს. თვით ხელოსანნივე გახდნენ მოსამართლენი და კანონთ-მდებელნი თავიანთ

საქმეებისა, მანამდის კი ქალაქის სახლი და კარი სავსე იყო სადავო საქმეებით და საჩივრებით და ხელოსნების ასე ხშირად ერთმანეთზე საჩივრები სასტიკად სტვირთავდა თვით სამეფო გამგეობასაც. მელიქის ხელში ხშირად ხელოსნები უსამართლოდაც იდევნებოდნენ და მელიქები, ანუ ქალაქის მმართველნი ყოველთვის მდიდრდებოდნენ ხელოსნებისაგან. ამავ დროს ხელოსანთ გამგეობამ შეიძინა წესები უსტაბაშების ამორჩევისა, მასთან დაადგინეს, რომ ქარგალთა და შეგირდთ დაყიდვა და წაყვანა მებატონეებს არ შეუძლიანთო, რადგანაც ეს საზარალოა ხელოსნებისთვის და თვით მებატონეთათვისაც უმჯობესიაო, რომ მებატონეს უვიცის მსახურის მაგიერ რიგიანი ჰყვანდესო. ბატონი თუ ამას არ იკადრებდა და ყმის დასჯას ანუ გაყიდვას მოისურვებდა, მაშინ ამ ყმას ამქარი იხსნიდა. უველა ესენი სოლომონ ლეონიძის მეოხებით დამტკიცდა და განცხადდა ქართველთ წინაშე; შეიძლებოდა ეს განკარგულება არც კი მომხდარიყო, რომ სოლომონ ლეონიძეს არ ემოქმედნა. ამას ჩვენ მით უფრო ვამბობთ, რადგანაც მაშინ სხვა ნაირად იყო მოწყობილი ჩვენი გამგეობის მიმდინარეობის ვითარება. მანამ ეს გადაწყვეტილება აღსრულებაში მოვიდოდა, სოლომონ ლეონიძე წარსდგა მეფის წინაშე, თან ახლდნენ მოქალაქენიც, აიმაღლა ხმა და მეფეს მოახსენა შემდეგი აზრი და ნატვრა მოქალაქეთა და ხელოსანთა:

> უმეფოფერს თქვენ თვით ჭხედავთ, მეფეო, თუ რა მდგომარეობაშია მოთავსებული დღეს თბილისის ხელოსანთ და მოამალაქეთ ვითარება, იგინი შეწუხებულნი არიან გარე მტრისაგან, და ამავე დროს არც შინაურები ასვენებენ. საჭიროა, მეფეო, რომ ამ ნაკლს თქვენი მეფური გამგეობის ძალა მოჭფინოთ და უზრუნველ ჭყოთ ხელოსანთ და მოქალაქეთ საქმეო. ხელოსანი და ვაჭარი უზრუნველობით და იმათის ადორძინებით ადორძინდება ბევრი რამ ქართველთა შორის, ერი გაფხიზლდება, მრავალნი მდაბიონი შეეჩვევიან დროის რიგიანად

მოხმარებას, ამიტომ საჭიროა, რომ მოქალაქენი და ხელოსანნი პატივცემულ იყვნენ თქვენგან, იგინი ამაოა უფრო გიერთგულებენ, უფრო დაგიახლოვდებიან. გაჭირვებაში ყოველთვის დიდს მოწყალებას მიიღებენ, მეტს სარგებლობას და სიკეთეს მისცემენ ჩვენს ლაშქარს“ და სხვ.

მეფე განცვიფრდა სოლომონ ლეონიძის მჭევრ-მეტყველობით, აზრებით, ცოდნით და როგორც მოგახსენეთ უსმინა კიდეც.

XVIII საუკუნის ნახევრიდამ, საქართველოს ვაჭრებმა ევროპაშიაც ხშირად იწყეს განსვლა, მაგრამ იქიდამ ბევრნი აღარ ბრუნდებოდნენ, ზოგის შესახებ მათ ნათესავთაგან ძებნა და დავაც ტყდებოდა, ზოგთა ძებნას მთავრობასაც ავალებდნენ. ამ გარემოებას სოლომონ ლეონიძემ ყურადღება მიაქცია და მისის მეოხებით დაწესდა შემდეგი წეს-რიგი: რუსეთში წამსვლელთ ვაჭართ, ხელოსანთ და სხვათაც, თუნდ თავად-აზნაურებსაც, უსათუოდ ქართველთ სამეფოს გამგეობისაგან ნებართვა უნდა ჰქონდეთ აღებულიო, ანუ პასპორტი; გარდა ამისა დადგენილ იქმნა ისიც, რომ

„რუსეთში წამსვლელს უსათუოდ ცოლ-შვილი უნდა ჰყოლოდა, უცოლშვილოს ცოლი უნდა შეერთო და მერმე უნდა წასულიყო, ცოლშვილი კი აქ უნდა დაეტოვებინა, უამისოდ ნებას არ აძლევდნენ; სპარსეთსა და ოსმალეთში კი აძლეოდათ ნება წასვლისა, რადგანაც იქ დარჩენის არაფერი ფიქრი ჰქონდათ“.

ამ საქმეების შესახებ რუსის ერთმა მოგზაურ აფიცერმა (პეტროვმა) საქართველოდამ თავისს მთავრობას მოხსენებაც გაუგზავნა და ამ წესებს რაღაც ეჭვი მიაწერა, იგი სწერს:

„იმ დროს, როდესაც საქართველოს მთავრობა აქაურს ვაჭრებს და სხვებს სპარსეთში და ოსმალეთში წასვლის ნებას აძლევს, რუსეთში კი არავის უშვებენ, თუ ის უცოლშვილოა, ხოლო თუ ცოლ-შვილიანია, ოჯახი აქ მძევლად რჩება ქმრის მობრუნებამდისო“.

სოლომონ ლეონიძე იყო მოქალაქობის მიმდევარი, ყო-

ველ დღე დაიარებოდა ქალაქის სხვა-და-სხვა ქუჩებში, სინ-ჯავდა სავაჭროებს, საპნის ქარხნებს, სამთლის, ლილახანას, მეჭურჭლეების, მექურქეების ქარხნებს, სამჭედლოებს, ფეიქარხანებს, მეშანდლეების, მეტყავეების და ბევრს სხვებს, რომლებიც კი იმ დროს საქართველოში და თბილისში არსებობდნენ. იმ დროის კვალად ყველა სახელოსნოების და ქარხნების ვითარება კარგს პირობებში იყო მოთავსებული, იგინი საკმარისად წინ წავიდოდნენ, თავისებურს სულსა და ხორცსაც ჩაიდგავდნენ, ერთი სიტყვით, აქ ყოველნაირი ბედნიერება დაიბადებოდა, რადგანაც ერმა იგრძნო წინ-სვლის საჭიროება, წარმატების მნიშვნელობა, ყველა ის პირობითი მხარეები, რაც კი ყოველ ერისთვის სადიადო საგანს შეადგენს. საუბედუროდ, ერის ასეთი აზვიადებული წადილი და ნატვრა მეფე ერეკლემ ვერაფრად გამოიყენა და ამან დაღუპა ერის წარმატების მისწრაფება; იმ დროს, როცა მას ქართველთ შინაურის ძალის აღორძინებისთვის უნდა მიექცია ყურადღება, იგი გადაეკიდა ჯავათ-ხანს, სომხების გამო 32 ათასი ქართველი შეაწყვიტა და 8000 ურემი, მერე ხანმა სამაგიერო გადაუხადა, 1795 წელს თბილისი ააოხრებინა, ყველაფერი წელში გაწყვიტა, მოისპო თბილისში ყველა ის ძალოვნებითი მხარეები, რაც კი დიდის დიდებით და წარმატების მიმდინარეობის ნატვრით იქმნენ დაფუძნებულნი.

ამ ქარხნების და სამუშაოების შესახებ ძველად მოქალაქეთ შორის ბევრი ამბავი იყო დარჩენილი, მე თვით მოვესწარ ასეთ პირთ და მათგან ბევრი ამბავიც გამიგონია, დღეს კი მათგანი აღარავინ არის, განვლეს სოფელი, მათის განვლით ბევრი რამ მოისპო.

ბრძნობიერმა ქართველმა, სოლომონ ლეონიძემ, კარგად იცოდა ქვეყნის კეთილ-დღეობის საიდუმლოება, ესმოდა ყველა ძალოვნების ვითარება, ამიტომაც იგი დიდს მნიშვნელობას აძლევდა ხელოსნების გამრავლებას და წარმატებას, მან თითქოს შეიგნო და მიხვდა ქართველთ იმ საჭიროებას, რომ

ვიდრე ქართველთ შორის ხელოსნები არ ვამრავლდებიან და მათი წარმოებაც არ გაფართოვდება, მინამდის ვერც სამეფოს საქმეები აიწევს მაღლა. ამის სიმტკიცისათვის საჭიროდ დაინახა ზოგიერთ მოქალაქეების ამაღლება ქონებით, გამგეობით, ღირსებით და ამიტომ მეფესთან იმეცადინა და თბილისში აღადგინა რამდენიმე გვარი მოქალაქეთა, რომელთაც მიეცათ ბევრნაირი სახსარი წინ-სვლისა და წარმატებისა, რომელ წარმატებაც შემდეგში გახდა ქართველთ სამეფოს საკეთილდღეო ბედნიერებად. ამათ თავიანთ სავაჭროები გააფართოვეს, საქონლის გატან-შემოტანას მოუმატეს, სპარსეთს გარდა ახალციხით ოსმალშიაც იწყეს განსვლა და ვაჭრობა. რუსეთშიაც ბევრად უმატეს საქონლის წაღება და შემოტანა. ჩვენში რუსული ფულიც თავისებურის ღირსებით გადიოდა, საქართველოში სპარსულს და ოსმალურს ფულსაც ჰქონდა გასავალი. მოქალაქეებმაც თვალ-ხილულად ნახეს ლეონიძისაგან ჭეშმარიტი მფარველობა, ქვეყნისადმი მაღალ მიდრეკილებით სამსახური და ამიტომ იგინიც დიდს თავაზს სცემდნენ, შესაფერს პატივს აპყრობდნენ, მოქალაქეებში ერთი წვეულება არ გაიმართებოდა, რომ იქ სოლომონ ლეონიძე არ მიეპატიჟნათ. ამ გარემოების მეოხებით მან კარგად გაიცნა მოქალაქეთა შინაური ცხოვრება, ვითარება და ყველა მათ მოძრაობათა მიზეზები. შფრო ეს გახდა მის საგნად, რომ სოლომონ ლეონიძეს თხოვნით მეფე ერეკლემ იმ დროს ქალაქის წელიქად ყოფილს კუზიან დარჩია ბებუთაშვილა ყველა თავისს დანაშაული აპატივა; მელიქს ბრალდებოდა ქვეყნის ამოგდება, ბევრი მოქალაქეების და ხელოსნების დარბევა, ქრთამების აღება და ათასიც სხვა ცუდი საქმეები. სოლომონ ლეონიძემ გასტეხა მელიქი, ბევრი რამ საქმეები გაასწორებინა და მათს მცნობთა და არა მცნობთ შორის ამბოხებაც მოსპო, სიყვარული დათესა. მოქალაქეებისაგან სოლომონ ლეონიძეს პატივის ცემის გარდა ხშირად საჩუქრებიც ეძლეოდა; ისე ვაჭარი არ დაბრუნდებოდა საქართველო-

ში სპარსეთიდამ, ოსმალეთიდამ, რუსეთის და სხვა საზღვარ გარეთის ქალაქებიდგან, რომ მათ ამისთვის რამე საჩუქარი არ მოეტანათ.

იგი ისე მოქმედობდა და შრომობდა, რომ თავისი შრომით და ცდით რამდენიმე ათასი თუმნის შეძლებაც მოიპოვა, იმ დროის კვალად, მას ნაღდად საკმარისი ფული ჰქონდა, სულ კეთილი ცდით და საქმეებით შეკრებილი. ფულის გარდა თვალ-მარგალიტი და ოქროც ბევრი ჰქონდა. ეს შესძინა მას რიგიანად თავის დაჭერამ, ქვეყნისადმი მტკიცე ჭეშმარიტმა სამართლიურმა მოქმედებამ. იქნება ვინმემ სთქვას: იგი თუ უანგარო ქვეყნის მოღვაწე იყო, მაშინ ამდენი საცხოვრებელი როგორ შეიძინაო? ამაზე ვიტყვით, რომ ერთი გროშიც არავისთვის წაურთმევია. იგი სამეფო სამსახურში იყო, ჯილდოს იღებდა. მასთანვე კერძო საქმეებსაც ბევრს არიგებდა და აკეთებდა, ნამეტურ სადავო საქმეებს, რაშიაც ხშირად კაი ფასსაც უხდიდნენ. ბარდა ამისა, მამა პაპისაგან დანატოვარიც საკმარისი ჰქონდა. ცოლად შეირთო ქსნის ერისთვისშვილის ქალი, რომელსაც კარგი მზითევი მოჰყვა. თვითონაც თბილისში ჰქონდა დუქნები, რომელსაც აქირავებდა, ბაღები ჰქონდა და მამულები, ქახეთშიაც კარგი მამულები, აბა რაღა გაუჭირდებოდა ამას, რომ ამდენ უძრავ ქონებათა უვალო პატრონს მამულების შესავლიდგან ოქროს ფული და თვალ-მარგალიტი შეეძინა. შნოიანს, ენერგიულს კაცს არა გაუჭირდებოდა რა და უხეირონი კი განადღეს ცოტანი არიან ჩვენში, რომ შეძენის მაგიერ მთლად ფლანგვენ, ღუპავენ თავიანთ ოჯახს და ქართველ უმიწა-წყლო გლეხ-კაცობასაც, თუმცა თვალ-უწვდენელი მამულები აქვსთ.

ია მარუშიძე.

(შემდეგი იქნება).

სამხრეთი საქართველო

(სომხეთი *).

ამ დასალუპს გარემოებას ქართველებმა სულ ვერ მიაქცი ეს ყურადღება, მათთვის ეს შეუნიშნავი იყო. ამ საუკუნის 1860 წლებში, დ. ჯონქაძემ მიაქცია ამას ყურადღება და „სურამის ციხეში“ ნიმუშში აჩვენა ჩვენს საზოგადოებას, მაგრამ იგი დღესაც მრავალთათვის შეუმცნეველია.

ქართველთ ჩვეულება ძველად ისე იყო, რომ საქართველოს კუთხეთ შორის საითაც კი უფრო მდიდარს ნიადაგს ამჩნევდნენ, სადაც მოსავალი უხვი იყო და მასთან ადვილ მოსაყვანიც, ხალხიც იქით სახლდებოდა, იმ კუთხეს ეტანებოდა, ასე იყო სწორედ ბორჩალოს მაზრის საქმეც. სიტყვა ბორ-ჩალა ქართული ძველებური სიტყვა არის. აქ ქართველნი მეტის სიუხვით მრავლდებოდნენ ძველად და შემდეგ დროებშიაც არ მოჰკლებია ამ კუთხეს მნიშვნელობა ქართველთ წინაშე. აქ ქართველნი ყოველთვის აღტაცებულის მხნეობით შრომობდნენ, ისინი ყველაფერს სიხარულით აკეთებდნენ, რადგანაც მათ სწამდათ თავიანთის ცხოვრების მომავალი, იქაურ ადგილ-მდებარეობათ სინოყიერე, სიმაგრე, რასაც ქართველი ხშირად სხვაგან ვერ ჰპოვებდა. ბორჩალოს კუთხის მრავალ-მნიშვნელოვანი ღირსება, ადგილების სიმსუქნე, სხვა-და-სხვა წამლების სიმრავლე, რკინის, ვერცხლის და ვინ იცის, რამდენი კიდევ ასეთ ნივთიერებათა სიუხვე შენი-

*) იხ. № 1, გვ. 67.

შნულია თვით დღევანდელ მწერლებისაგან. თვით ოფიციალური ცნობაც კი იძლევა საბუთებს, რომ ეს კუთხე ბევრად მაღლა უნდა იქმნეს დაყენებული საქართველოს სხვა კუთხეებზე.

ამ კუთხის ასეთი მნიშვნელობა გახდა მის ფუძედ, რომ ძველად, აქეთ ქართველთ ტომი დიდად მრავლდებოდა და ამ გამრავლებას თვით ქართველთ მთავრობაც უწყობდა ხელს. საქმე ისე მოეწყო, რომ აქეთ აღმომჩენობით იწყეს აღმოჩენა ქართველთ ბრძენ კაცებმა, მწიგნობრებმა, მღვდელთ-მთავრებმა და შესანიშნავ გმირებმა. აქეთვე მსწრაფლ აღორძინდა ქართველთ ეკლესია მონასტრების კეთება, სადაც მრავლად სცხოვრებდნენ ქართველთ მწიგნობარი ბერები, ნამეტურ გადამწერნი ქართულის ძველის ხელთ-ნაწერის წიგნებისა. რაც ამ კუთხეში ძველად აგებული ეკლესიები მოიპოვება, არა მგონია, რომ სამცხის გარდა საქართველოს სხვა რომელსამე კუთხეში მოიპოვებოდეს. ძველ ქართველთ კარგად ესმოდათ ამ კუთხის განაპირული მდგომარეობა და ამიტომ მათ აქეთკენ ციხე-კოშკების და ხიდების შენებაც უმაღლეს წერტილამდის აიყვანეს, უმაღლეს ხარისხამდე; მათ არ დარჩათ ამ კუთხეში არც ერთი პატარა ხევი, რომ მასზე გზა და ხიდები არ გაეკეთებინათ; ვაკე ურწყავ ადგილებში გაჰყავდათ წყლის არხები; მაშინდელის არხების დანატოვარ ნაშთებს დღესაც კი მოჰყავს მხილველი განცვიფრებაში. დავასახელოთ თუნდ ის გარემოება, რომ ძველად მდინარე ქცია და მაშავერი ერთად ყოფილან შეერთებული რუთი, მაგრამ ჟამთა ვითარების მეოხებით იგი გაუქმებულა. მე-XVIII საუკუნეში ისევ მოუძებნიათ ნარუვალი და განუახლებიათ, ამაზე ვახტანგ მეექვსეს ლექსიც აქვს დაწერილი.

აქედგან დავიწყებთ იმ ეკლესიების და მონასტრების მოხსენებას, რომლებიც ადრე ქართველთ მეფეებს ამ კუთხეში აუგიათ. ბევრი მათგანი აოხრებულა, ბევრი დაქცეულა, მაგრამ შავს გრიგალს კიდევ ბევრი გადარჩენილა და

დღევანდლამდის მოუწევია, თუმცა იგინიც შემოსილან სამ-
გლოვიაროს ძაძით და გარს ავლიათ ქართველთ წარსულ-
ლის მდგომარეობის ძაძა. იგი მხილველს ნაღვლით აავსებს,
წრფელს მამულის შვილს ამ სოფლის წესებს მწარედ აგმო-
ბინებს. ამ კუთხის გაცნობით მკითხველთ თვალთ წინ გადაე-
შლება ქართველთ განვლილი დრო და ის მწარე მხვედრ-
სურათიც, თუ სადმე ერი როგორ სცხოვრობს, როგორ ეძ-
ლევა იგი წარმატებას და დიდებას, მაგრამ მცირე რამ უბე-
დურის მეოხებით მერე როგორ ეცემა, როგორ ისპობა მთელს
კუთხეში მისი რიცხვი, როგორ ქრება მისი კვალი, წინად
ყოფილი ერის ხსენება როგორ ეძლევა დავიწყებას და მის
ნაცვლად ვინ იდგამს ფეხს და ვინ მიდის წინ. ამის დაკვირ-
ვება ჩვენთვის დიდს საჭიროებას შეადგენს, რადგანაც ქარ-
თველ ტომის ძეთა რიცხვს ვინ არ იზიდავდა თვისკენ და არ
ასხვაფერებდა; ქართველ ძეთა რიცხვს სასტიკად მუსრავდა
ყველაფერი და უკანასკნელ თვით ეკლესიურმა წესებმაც კი
უწყო დაკარგვა, რაის მეოხებით დიდი ძალი ქართველობა
დაუკავშირდა სომხობას, სომხის გვარსა, ენას, ზნეს და ჩვეუ-
ლებას, დღეს მათში ქართველობის აღარაფერია დაშთენილი
და მათ ალაგას სხვა ტომის შვილები სცხოვრობენ.

დიდი ბოდნისის სიონი, უგუნბათო, რომელ ვრცელი ეკლე-
სიაც გაუკეთებია 29 ქართველთა მეფეს ფარსმანს, მეხუთე საუ-
კუნის ნახევარში, შემდგომ ამის ამ ტაძარში ეპისკოპოსის კა-
თედრა დაუარსებია ვახტანგ ბორგასლანს, შემდეგ საუკუ-
ნეებში აქ მსხდომთ ეპისკოპოზებს განუმტკიცებიათ და გა-
ნუმაგრებიათ ეს ტაძარი, მრევლში გაუვრცელებიათ წერა-
კითხვა, დაუხსნიათ აქა-იქ სასწავლებლები და გაუვრცელე-
ბიათ საღმრთო მწიგნობრობა საზოგადოდ. თუ ამ კუთხეში
ადრე ქართველთ სოფლები და ქართველთა ხალხი ისე ნატა-
ბალობდა, ნუ თუ შესაძლებელი იქნებოდა, რომ ფარსმან
მეფეს ტაძარი აღეგო და შემდგომ მისა ვახტანგ ბორგასლანს
ეპისკოპოსი დაესო?—არა გვგონია. იგი იყო ქართველების

კუთხე, ქართველის ტომისგან დაარსებული და აქ მიტომაც მოხერხდა ყველა ესენი. დღეს ბოლნისს ამაოდ უხმობენ „ბოლნა-ფორას“! ქართველთ ეპისკოპოსი აქ იჯდა XVIII საუკუნის ნახევრამდე.

ამ მონასტრის მახლობლივ არის მონასტერი, წუდურდაშენში, გუმბათიანი, მშვენივრად ნაკეთი, მშვენიერ ალაგას, დღეს ჟამთა ვითარების მეოხებით ხავს-მოდებული, დანგრეულ-დაქცეული.

დმანისის ტაძარი, ძველი კათედრა ტაშირის მხრის ეპისკოპოზებისა, მშვენივრად ნაშენი, უგუნბათო. აქ ეპისკოპოსის კათედრა არსებობდა XVIII საუკუნის ნახევრამდე. ეს ტაძარი მაშავერის მხარეს მდებარეობს, იგი ეკუთვნოდა ორბელიანებს, ჩვენი პოეტი ვახ. ორბელიანი მას მიუძღვნის ლექსს „ძველი დმანისი“ —

„გაჭრი, დმანისო, და დაინთქე უფსკრულსა შინა,
ჩემს სატანჯავად რომ არ მიდგე ჩემ თვალთა წინა“-ო.

დღეს ამ ტაძრის მიდამოები სომეხთა მდიდრებს ეკუთვნისთ და დმანისიც მათს საკუთრებას შეადგენს.

წალკის ტაძარი, მშვენივრად ნაშენი მეტად ძველს დროში; აქაც იჯდა ეპისკოპოსი, რომელიც განაგებდა ტაშირისა და თრიალეთის ქართველთ საქმეებს, მაგრამ რადგანაც ჩვენ თრიალეთს აქ არ ვეხებით, ამიტომ ამ საზღვრებზე მდებარე ნაშთების აღწერითაც არ შევაწუხებთ მკითხველს.

ყარდის-უბნის მონასტერი, უგუნბათო, მშვენიერს ადგილს ნაშენი.

ბირდერულად წოდებული მონასტერი, კლდეში გამოკვეთილი, დიდის შენობებით შემკული, ვახუშტის დროს აქ არქიმანდრიტი მჯდარა. მოგვითხრობენ, რომ ეს მონასტერი X საუკ. გაუკეთებიათ, ხოლო XII საუკ. თამარ მეფეს განუახლებია და შეუმკია.

ქციის ხეობაზე ორი ტაძარი, ერთი გუნბათიანი, აღაშენა მეფემან მირდატ, შემუსრა ლანგ-თემურმა. მეორე არს მცი-

რე მონასტერი, სადაც ვახუშტის დროს ერთი მღვდელი ყოფილა.

ქობერის მონასტერი, ქართველთაგან აღშენებული, დღეს სომხებს უპყრავთ.

ძველი ჯუმარიტის მონასტერი, ქართველთაგან ნაშენი, დღეს უპყრავთ სომეხთა.

რუსთავის მცირე ეკლესია, რუსთველისაგან აღშენებული, ალგეთის ხეობაზე, სოფ. არაშენდის ტყეში, დღევანდლამდე კარგად შენახული სდგას, წარწერებით.

მანგლისის ეკლესია, აღშენებული კონსტანტინე იმპერატორის ბრძანებით, ქართველთა გაქრისტიანების დროს, შემდგომ აქ დასვა ეპისკოპოსი ვახტანგ ბორგასლანმა. ამ ტაძარში მოტანილი ყოფილა იესო ქრისტეს ფეხის ფიცარი. შემდეგ საუკუნოებში ერთს კედელზედ დაუხატავთ მაჰმადი ლომზე მჯდომარე; მოგვითხრობენ, რომ საქართველოს შემუსვრის დროს, მაჰმადიანებმა ეს ტაძარი მიტომ არ შემუსრესო. ეს ტაძარი დღევანდლამდე არსებობს. დღეს ამ ტაძრის ხეობას სომეხნი მანგლა-ფორას უხმობენ!..

გუდარეთის მონასტერი, მშვენიერ ადგილას, მრავალ შენობათა ნაშთებიანი, დღეს სასტიკად შემუსვრილი.

კაბუნის მონასტერი, დედათა სადგომი, ვრცელი, გუნბათიანი, მშვენივრად ნაკეთი, XVIII საუკუნის ნახევარს მთლად შემუსრეს, სამხრეთის კედელი მთელია, ორს მხარეს აქვს მგალობელთა მაღალი კათედრები.

თელეთის წმიდა გიორგი, დღეს სომხებს უპყრავთ, აქ იყო ძველად ხატი წმ. გიორგისა ვერცხლისა, ქართულის ნაწერებით, შეწირული ერთის ქართველის მოლოზნისაგან.

რუსთავის ტაძარი, იგივე ბოსტან ქალაქად წოდებული. ეს ტაძარი აღშენდა ძველად, იჯდა ეპისკოპოსი, XVIII საუკ. დასაწყისში თათრებმა შემუსრეს, ამიტომ საეპისკოპოსო კათედრა მარტყოფს გარდაიტანეს, დღეს რუსთავის ეკლესიისა ნაშთი და სჩანს.

ფიტარეტის ტაძარი, შესანიშნავია თავისს ხუროთ-მოძღვრებით, მხატვრობით და ადგილ-მდებარეობით.

ტანძიის ვრცელი ტაძარი, ღღეს მცირედ განახლებული.

ახტალის ვრცელი ტაძარი, დღეს მთლად მოსპობილი, სამიტროპოლიტო ვახტანგ ბორგალლანის დროდგან, ამის სამწყსოს შეადგენდა ხუნანი, კარდაბანი და ბერდუჯის მდინარე.

ჭუჯაბის მონასტერი, გუნბათიანი, ღღეს დაქცეული.

ხოჟორნის ეკლესია, გუნბათიანი, ვრცელი.

ახპატის ეკლესია, ვრცელი, გუნბათიანი, ვაგტანგ ბორგასლანისაგან აღშენებული. ღღეს სომეხთ უპყრიათ იგი და სომხების საკუთრებად აღიარებენ, სომეხთ მეფეთაგან აღშენებულს, მაგრამ ამაოდ. სომეხთ ეს ტაძარი დაიკავეს მეთხუთმეტე საუკუნის შემდეგიდგან, როდესაც ამ კუთხეში ქართველთა იწყეს შემცირება, ესენი ქართლის განაპირ მცხოვრებლებად ითვლებოდნენ და ამიტომ მაჰმადიანთაგან მათზე თავდასხმა ერთობ ხშირი იყო. ყველა უბედურება პირველად მათ აღუდგებოდა თავზედ, მის მეოხებით მოიხვნენ ახპატის კუთხის ქართველნი და მათ მაგიერ სომეხნი დასახლდნენ, რომელთაც შემდეგში ხელი სტაცეს ამ ტაძარსაც.

სანაჰის ტაძარი, ქართველთ მეფეთაგან აღშენებული, დღევანდლამდე შენახული, ღღეს იგი სომეხთ უპყრიათ და სომეხთა ისტორიასაც იგი თვისს ტომის ძეთა საკუთრებად სწამთ, მაგრამ ეს არ არის მართალი; რასაც ქართველ ტომის ძეთა მოსპობით ახპატს მოეელინა, იგივე მოეელინა სანანის ტაძარს. ვახუშტის დროს, ამ უკანასკნელს ორს ტაძარში სომეხთა ორქევატორები (წინამძღვარი) მსხდარან.

ჩვენ ყველა ეკლესიებს აქ ვერ მოვიხსენებთ, რადგანაც მათი რიცხვი ერთობ დიდია, სულ რაც ჩვენ გვაქვს დათვლილი, ორასამდე დიდი ეკლესია მოიპოვება, თლილის ქვებით ნაშენი, ზოგი სიონის ტოლა, ზოგი დიდი და ზოგი პა-

ტარა, მაგრამ ყველას თავისს უცხოობის ბეჭედი აზის, ყველას მზერა იზიდავს მხილველის ყურადღებას.

ჩვენს საუბარს ნურავინ გაიკვირვებს, აქ საკვირველი არაფერია, რადგანაც ისტორიით კარგად ვიცით, რომ ვახტანგ ბორგასლანს და ამის შვილს ეს კუთხე ძლიერ უყვარდათ, ამათ ამ კუთხეზედ დიდი ყურადღება ჰქონდათ მიპყრობილი, მათ კარგად ესმოდათ ამ კუთხის მნიშვნელობა არა მარტო შესანიშნავის ნიადაგით და სიმდიდრით, რაც კი აქეთ მოიპოვება, არამედ საზღვრებითის პირობებით, რადგანაც ამ კუთხეს გარს ეკრა მთელის აზიის მცხოვრებნი მაჰმადიანნი. ვახტანგ მეფის შემდეგ ამ კუთხეს არც დავით აღმაშენებელი აკლებდა თვისს მაღალს ყურადღებას და არც მას შემდეგ სხვა მეფენი.

ვახტანგ მეფის (ბორგასლანის) მრძანებით აქეთკენ, ვინ იცის, რა არ გაკეთდა; აღშენდნენ ეკლესიები, განწესდნენ ეპისკოპოსები, გამრავლდნენ მწიგნობარ ბერები, გაკეთდა გზები, ხიდები, კოშკები, ციხეები, გალავნები, არხები.

თვით ეს კუთხე არის მაღალ მთიან-ტყიანი, ტყეში მოდის ბევრ ნაირი ბალახი, ყვავილები, ძლიერ ბევრი წამლად გამოსადეგნი, ხილიც ბევრი და კარგიც. ხე-ტყეც კარგი იცის, გაუჩეხავი; დაბურული ტყეები აქ ისე არის, როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსკენ; აქეთკენ ვაკე ადგილები ხშირია, დასავლეთ საქართველოში კი ეს ასე არ არის, იქ სულ აღმართებია, მაღალი ტყეები და აქა-იქ გორაკებში სოფლები. ამიტომაც უფრო აძევს ამ კუთხეს თავისი ფასი, თავისი მვიშვნელობა. აქეთა მხრიდგან შემოტანილი შეშა თბილისში ყოველთვის ქებით ისყიდება.

პურის მოსავალი, სიმინდი, ქერი, ფეტვი და ბრინჯიც კარგი იცის, ამას გარდა მუხუდო, ცერცვი, ოსპი, ნუკაშირი, სისირი, კართოფილი, კომბოსტო, ბადრიჯანი, ოქროვაშლა, ხახვი, ნიორი, ბოლოკი, სტაფილო, ხილიც მრავალი, ყურძენიც, ალაგ-ალაგას კარგი სასმელი ღვინოც იცის.

აქაური ღვინო, პური და სხვა ხორაგეულობაც კარგ ფასად იყიდება, თვით ნესვი და საზამთროც კი ქებულია მრავალთაგან, კარგ ფასადაც იყიდება და საზოგადოთ ეს კუთხე თბილისს დიდ ძალ მოსავალს აწვდის.

აქაურნი მკვიდრნი ძველად საქონლის მოშენებასაც უხვად მისდევდნენ, რადგანაც აქეთ ბალახი კარგი იყო, საქონლისაგან ყოველთვის რძე, მაწონი, ერბო, ყველი, დო და დომხალიც კარგი იცოდა; ეს დღესაც კარგია, თუმცა დღეს აქეთ უმეტეს თათრები ცხოვრობენ, ბინძურნი ბევრის რამით. ამის მშვენება და გარჩევა ცხადად ემჩნევა გერმანელთ მცხოვრებთა რძეს, მაწონს, ყველს, ერბოს, ღვინოს და სხვა ყველაფერს. მოგეხსენებათ, რომ ამ მხარეს გერმანელნი ისე უხვად ცხოვრობენ, რამდენსაც საქართველოს სხვა კუთხეებში ვერსად ნახავთ.

ნემეცები აქეთ არ დასახლდებოდნენ ასე მრავლად, რომ ამ ადგილების სიუხვე მათ კარგად არა სცოდნოდათ, ისინი ცარიელს ჯამში ხელს არ ჩაჰყოფენ; გერმანელთ გარდა აქეთ მალაკანი, დუხაბორი, რუსი, სხვა-და-სხვა სექტანტი, სომეხ-კათოლიკენი და სომეხნიც მრავალნი არიან. ყველა ამათ აქ უკავიათ საუკეთესო ადგილები, ყველგან ისინი კარგად ცხოვრობენ, მათ ალაგას კი ადრე მთლად ქართველი ხალხი ცხოვრობდა, მაგრამ დღეს აქათკენ ქართველი ტომის ხსენება მოსპობილია, ქართული ხმა გამქრალი.

ამ კუთხეში წყაროებიც ერთობ მრავალია, მასთან კარგი სასმელიც, ხევებიც ხშირია, მაგრამ სულ სუფთა და შემრგო, დიდ-დიდი მდინარენიც მრავალია: ქცია, მაშავერი, ალგეთი და ბევრიც სხვა. ყველა ისინი მტკვარს ერთვიან, წყალში თევზეულობაც ერთობ კარგი იცის, გემოიანი და არც ძვირად ფასობს, თვით ჩვენგან და უცხოთაგან მოწონებული ხრამულიც აქედგან მოდის.

მადნის წყაროებიც ყოფილა აქეთ და დღესაც მოიპოვება ორავე წყაროები, მლაშე, მწარე, შავ ტალახიანი, კუპრის

მსგავსი და სხვანი, მრავალნი ჰკურნავენ კაცს გარდა პირუტყვსაც. მიტომ ამ წყაროებს ულცხოელნი ნატვრით ესეოდენო, შემდეგ და შემდეგ კი მოისპო მათი მომდინარეობა.

ძველად, ვიდრე ეს კუთხე მოფენილი იყო ქართველის ტომით, მინამდის ისინი მისდევდნენ უხვად ქათმის, ანუ შინაურის ფრინველების შენახვას, პირუტყვების—ცხვრის და ლორის ფარების, ცხენის ჯოგების, ძროხის, კამეჩის და ვინიცის, რამდენი რა გინდა რის არა. ქართველთ გლეხთა ასეთი ცხოვრება და გარემოება უადვილესად აკმაყოფილებდა იმ დროის ქართველთ სამეფოთა დიდებულთ მოთხოვნილებას. მოგეხსენებათ, რომ ქართლ-კახეთის სამეფოში იმდენი პირველ-ხარისხოვანი თავადის-შვილები სხვა კუთხეში არსად ცხოვრებდნენ, რამდენიც აქ ბორჩალო-ტაშირისაკენ. ქართველ ტომის მოსპობის შემდეგ აქეთ თათრებმა იწყეს გამრავლება, მაგრამ მათში ქართველთა თვისებანი ისე ვერ ვრცელდებოდა, მათში მხოლოდ უსაჭიროესი რამეები შთებოდნენ, უმრავლესთა დარგთა მოყვან-მოშენების საქმის მიმზიდველობა კი ისპობოდა. ქართველნი ამით ყველაზედ მაღლა იდგნენ ძველად. მათის ცხოვრების მიმსგავსებით მხოლოდ ამ საუკუნიდგან იწყეს სხვათა ტომის ძეთა ცხოვრება და დღეს ისინი მიდიან წინ.

დღეს აქეთკენ ქართველნი თუ სადმე ცხოვრობენ, თუ მათი კვალი და ფეხი შენახულა აქეთ, იგინიც მთლად დაცემულან, მათში წინაპართ თვისების სახე წაშლილა, დღევანდელი ქართველნი აღარ არიან ის მხვნელ-მთესველ, საქონლის მომშენებელ და მევენახე, როგორც ადრე იყვნენ, რომელთ წინაპართ ცნობები და ნაშთები დღესაც აკვირვებს მხილველს. აქაურნი ქართველნი ცხოვრობენ წმინდათ თათრულად, უფრო აზიურად, მათში სანუკარი აღარაფერია.

ჩვენ ამ წერილს უფრო განვლილ დროთა ქართველთ ცხოვრების მოსაგონარად ვსწერთ, ვიდრე აწინდელს ქარ-

თველთ ცხოვრების შესახებ, რადგან დღევანდელ ქართველთ რიცხვი ერთობ მცირე და შეუნიშნავია.

როგორც სჩანს, ძველთ ქართველთ ადრიდგანვე სცოდნიათ ამ კუთხის მრავალ-ნაირი მნიშვნელობა და ნამეტურ ადგილ-მდებარეობათა თვისების, ლითონთა, იშვიათ ქვების და სხვა-და-სხვა სახმარ მიწის, რომელთაგანაც ფერად-ფერადი წამლები გამოვიდოდა; აქეთ ძველადვე ყოფილა ერთ-ნაირი ყვითელი ქვა, რომლითაც აღშენდებოდნენ ქართლისა, კახეთისა და სხვათა კუთხის ტაძრები; ყვითელ ქვის გარდა შავი პატალო ქვის კლდეებიც ყოფილა, თეთრი მარმარილოს ქვაც, მასთან, ორბეთის ციხეების ახლო ყოფილა ისეთი კლდე, რომლის ქვები ისე ყოფილა დაწყობილი, რომ თითქოს კაცის ხელით არის ჩაწყობილიო, ამაზედ ვახუშტიც კი ჰკვირობს. ამ ქვებისა მეც ვნახე, იგინი ოდესმე სალიტოგრაფიო ქვად გამოდგებიან, მათში სხვა-და-სხვა ფერის ქვები მოიპოვება და ზოგნი მეტად დიდრონი და მძიმეც; ამის ქვები ზოგიერთს ძველს ეკლესიების სვეტებში უხმარიათ, ასეთ ეკლესიათა სვეტების ნაშთები მეც ვნახე. აქა-იქ მარილიც ქვის მოიპოვება, სჩანს ადრე აქეთ ქართველებს მარილიც უნდა ჰქონოდესთ. უამისობა არ შეიძლებოდა, რადგანაც აღზევნის მარილის მოტანა და ხსენება ჩვენში მარტო საშუალ საუკუნოებიდგან სჩანს.

ზ. ჯ.

(დასასრული იქნება).

ჩვენი მეფეების საამწერლო მოღვაწეობა.

მოგეხსენებათ, რომ საქართველოს მეფეთა და ბატონიშვილთა შორის ბევრმა მათგანმა დაგვიტოვა, როგორც სამეცნიერო თხზულებანი, აგრეთვე ლექსები და მოთხრობები. ჩვენ განვიზრახეთ ზოგ-ზოგი ამ ნაწერთაგან წარვუდგინოთ „მოგზაური“-ს მკითხველებს და ავირჩიოთ პირველ ხანად ისეთი ლექსები, რომელნიც ადვილად გასაგები არიან.

მეფე თეიმურაზს, ირაკლი II მამას, უყვარდა ლექსების წერა. მან დაგვიტოვა რამდენიმე თხზულება და სხვათა შორის შემდეგი ლექსიც. ვიდრე ლექსს მოვიყვანდეთ ორიოდე სიტყვა ვსთქვათ მის განსამარტებლად.

მეფე თეიმურაზი აღდგომა დღეს ბომბორზედ შეხვდა ერთს ლამაზ გლეხის ქალს, რომელსაც ხელში კალათა ეჭირა. მეფეს მოეწონა კოხტა გოგონა და მიჰმართა მას ლექსით:

„ა, ქალო, ვაშლი წითელი, ხელთ რომ გიჭირავს კალათა,
შენმა წარბმა და წამწამმა მე გული მომიკალათა“.

პირ-წყლიანი ქალი მოსწრობილი ვითომც არსებაც გამოდგა და პასუხად მეფეს მოახსენა:

„მეფეო, არავის გეყვის, რომ დამიჭირო ძალათა,
აღდგომას არ ვის უნახავს ხელმწიფე მაკანკალათა“.

—

უკანასკნელი მეფის გიორგი XII ძე დავით ბატონიშვილი ნიჭიერი და შეგნებული კაცი იყო, საფუძვლიანად განათლებული, მცოდნე ევროპიული მწერლობისა, გატაცებული თაყვანის მცემელი საფრანგეთის მწერლის ვოლტერისა. დავით ბატონიშვილი შეუდგა წერას ჯერ ტფილისშივე და

შემდეგ 1803 წ., გადასახლების შემდეგ რუსეთში, სამეფო ტახტს გარეშე დარჩენილი, მოსვენებას და ვარამის განქარვებას მწერლობაში ჰპოებდა. მან დასწერა „საქართველოს ისტორია“, სთარგმნა „გულის-ხმის ყოფისათვის ჰსჯულისა“ მონტესკიოსი, და სხვ.

სხვათა შორის ლექსებსაც სწერდა. აი ერთი იმ სატრფიალო ლექსთაგანი.

თქმული მეფის მის დავითისაგან სარდლის ქალის ეკატერინეზე.

ბამიფრინდა სიხარულის ფრინველი *)
შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა,
დავშთენილვარ ასე აწ უნუგეშოდ
უბედობის გამო სხვისა და სხვისა.
რად შესჭრიან მზესა წვრილ-წვრილნი ხალნი,
შეუმოსა მასვე ლამაზად ალნი,
ვგუშაგობ არ ეცეს მჭვრეტელთა თვალნი
რაყაბთა გამო სხვისა და სხვისა.
შენის ეშხით მოხვდა ისარი გულსა
ვინღა დაეშლასტრავს **) ამ ჩემსა წყლულსა,
ყარიბ ძღვნად გიძღვნი ამ ჩემსა სულსა
მიზეზების გამო სხვისა და სხვისა“.

შემდეგ გავაცნობთ მკითხველებს სხვა ნიმუშებსაც ბატონიშვილების და საერთო ძველი მწერლების მოღვაწეობისას.

ა. ხახანაშვილი.

*) ფრინველი. ძველის მართლ-წერის ნიმუშად მოგიყვანე. შემდეგ ადარ დავიცავ ამ მართლ-წერას და ჩვენის დროის ასოებით ამოგსწერ.

**) ეჭვი არ არის, აქ რუსული სიტყვისაგან აწარმოებს ამ სახლს ზმნას: შლასტარი (пластырь)—მალამო.

გ უ რ ი ა *).

ზემოთ მოხსენებულით ბევრი რამ დამტკიცდა გურულის სიჩქარეზედ და უკეთესს მაგალითს კიდევ ახლა მოვიყვანთ, რომელიც უკეთესად დაახასიათებს გურულის სიჩქარ-სიფიცხესა და ჩქარის ლაპარაკის მიზეზსა.

გურული ყანის დათესვამდე სხეპავს ხეებსა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ, ჩრდილი არა ჰქონდეს ყანას (აქაურად ჩაო) და მეორედ იმიტომ, რომ, რადგან შეღლობავათ აქ ყანა და ბოსტანი (აქაურად ბაღჩა) არ დაითესება ღორისა და საქონლისა გამო, ამიტომაც წკნელი სჭირია. დასხეპის შემდეგ ჭოკრავს (ამარგილებს, სწმენდს) და რა შეაგროვებს საკმაო მასალას—ღობავს, შემდეგ ჩალავს (ძველს ჩალას მოსწმენდს) და ბოლოს ხნავს ორჯერა. ასე მზად აპრილის დამლევამდე უნდა ჰქონდეს. მეორე მოხვნაზე კი მოაბნევს სიმინდის და ღომის მარცვალს (აქაურად კაკალსა). მაისის დამლევს ყველგან დათესილი უნდა იყოს მიწები **).

თუ სახნისი არ ექნებათ, თოხით ჩიჩქნიან მიწას და ისე სთესავენ გურულები ყანასა.

დათესილი სიმინდი და ღომი რამდენიმე დღეში ამოდის

---

*) იხ. № 1, გვ. 81. „კვალს“ არ მოსწონებია პატივ ცემულის კ. გვარამაძის ეს შრომა; ჩვენ კი, პირიქით, ვსთვლით მას ერთ უკეთეს ადწერად, რომელიც კი ოდესმე დაბეჭდილა ჩვენს ენაზედ ამ შესანიშნავ კუთხის შესახებ, რადგანაც მასში მშვენიერად არის განმარტებული გ'ვლენა ბუნებისა ხალხზე და ხალხისა ბუნებაზე. რედ.

**) სუსტს მიწებს კი (მოდუღებს) აპრილის დამლევს სთესავენ, ადრე, ხოლო კარგსა მაისის დამლევამდე და ზოგჯერ იუნისის ათამდინაც გასტანს თესვა.

და სამი კვირის განმავლობაში სამარგელიც ხდება. მარგვლას უფრო ბევრი კაცი სჭირია, რადგანაც თვითეულ სიმინდის და ღომის ძირს უნდა მიადგეს მუშა (აქაურად მეუანუჯი) და ხშირი გამოსჭრას, გაამეჩხროს (გაათხელოს), რომ უკეთესად იკეთოს ნათესმა. ამიტომაც აქ მარგვლაში ნადი იციან საქმის სიძნელისა გამო. ნადი თოხნაშიაც იციან. თოხნა იმასა ჰქვიან, რომ გამარგლილ სიმინდს ორის კვირის შემდეგ მოსწმენდენ ბალახს ყანაში და მიწას მიაყრიან თოხით თვითეულს ძირს სიმინდსა და ღომსა. თოხნა ორჯერ სჭირია ორორი კვირის შემდეგ.

სამარგელში და თოხნაში მოვა ნადი 20—40 კაცამდე შემდგარი, გამწკვრივდებიან ყველანი, წინ უფრო მარჯვე კაცი უძღვით და ყველა თავ-თავის ხელის მისაწვდომს მარგლის, სთოხნის და ამგვარად მიდიან წინ; ერთ-ნაირად მუშაობა რა მოსწყინდება ნადს, დაიწყებენ სიმღერას, რომელსაც აქ ნადურს ეძახიან. აი ნადურიც:

ელი შენი, მელი შენი,
იყო გრიგოლ მტერი შენი;
ულლად ხარები მოგპარა
შესაჯდომი ცხენი შენი,
ძაღლი ცუდად გაგიზდია,
ვერ ყოფილა მცველი შენი.

ეს ხელხვავია. სიმინდის რჩევაზედ და ტეხა-კრეფაზე კი ყანაში მღერიან:

ალი ფაშამ გვიღალატა,
გაგვიყვანა ქვირიკეთში,
იმან ფულები აიღო,
ჩვენ დაგვტოვა მტერის ხელში;
კაი არც მას დამართნია
ბაწრით ჩაითრიეს გემში;
მისი ყვირილი ისმოდა
სუფსას გალმა ბაილეთში.

ღმერთო, იგი მომასწარი
ბაწარ გაყრიჭული გემში *).

აქედგან აიხსნა, რომ ზურიის ბუნებასავით გურულს ცვალება უყვარს და ერთ-ნაირობა და გულ-მოწვლილობა კი აბეზრებს მასა. სხვა-და-სხვაობა მოკლე დროში უხდებათ და ამიტომაც სიჩქარე ებადებათ ურთიერთ შორის.

მარგვლაში ნათესი წელს იმაგრებს, მეორე თოხზე (პირველ თოხნაში) კატარდება სიმინდი და ლომითურთ ნაყოფს იჩენს და მესამე თოხზე (მეორე თოხნაში) კი, ისრულებს დაკოტავებულს (დატარებულს) სიმინდსა და დათაველებულს ლომსა. ეს ხდება ივანობის თვის პირველს რიცხვებიდგან მკათათვის (კვირიკობის-თვის) დამლევამდე; ხოლო მარიამობის თვეში კი მწიფდება და ამ დროსვე მუშაობაც ყანებში სწყდება. ზურული მუშა მაშინ ისვენებს აქედგან, თუმცა, არც ახლაა იგი შესვენებული, რადგან ამ დროს ბევრნი ტყეში შეშას და წნელს მუშაობენ და ბევრნიც საფულოზე მიდიან ხარ-ურმით. ზურიაში ხარები ჩამოჰყავთ მარიამობისთვის ნახევრამდისინ მთიდგან, ხოლო წაყვანილი ჰყავთ თიბათვის პირველიდგან.

ბევრი ნაადრევი ლომი მარიამობისთვის დამლევს და ენ-კენისთვის პირველ კვირაში იკრიფება; აგრეთვე ნაადრევი სიმინდიც ამ დროებში იკრიფება; საზოგადოდ კი ტეხა-კრეფა (როგორც აქ ეძახიან ყანების ადებას) ხდება მწიფობისთვეში (ღვინობისთვეში).

ტეხა-კრეფა ზურიაში.

ტეხა-კრეფაშიაც შესდგება ნადი, არამც მარტო მამა-კა-

---

*) სიმღერა ამბნევებს ყანის მუშებსა, ხოლო სიმხნე უკრთ მარჯვედ და ჩქარა ამუშავებს, რომ ნაპირი მალე გაიტანონ ერთი მეორის ჩამოურჩენელად; მუშობა სიმღერას უჩქარებს, სიმღერა სამუშაოსა და ასე ამ გვარად რა მიაკიდურებენ ყანას ელესას დასძახებენ.

ცებისაგან, როგორც ეს მარგლა-თოხნაში ვნახეთ, არამედ დედა-კაცებისა და ყმაწვილებისაგანაცა.

ლომის საკრეფში დიდი და პატარა ხელში დანის ნატეხი პირებით (ღინწკათი) და მაკრატლებით გაესევიან ერთის კიდიდგან და ნაპირ-ნაპირ სჭრიან, კნაპავენ თაველებს ლომსა; ქალები კაბის კალთებში და სხვანი კი კალათებში იკავებენ მოკრეფილს თაველებსა და რა გაევსებათ ჭურჭლები, იქვე საყოველთაო გორიცაში ჰყრიან და ისიც რა გაივსება, ერთი მათგანი მამა კაცი აიკიდებს და მიიტანს კალოზე (სადაც მოათავსებენ ყანიდგან აღებულს ჭინახულს, კალოს უწოდებენ აქა) და დაახვავებენ. რა გაჰკრეფენ მთელს ყანას, შემდეგ კალოდგან გორიცებში ჩაჰყრიან, რომელიც ურემზედ მომზადებული ექნებათ, გაავსებენ, წაიღებენ სახლში, შეჰყრიან და გააწყობენ.

აი გაწყობაც: სხვენზედ შეჰყრიან რავდენიმე გორიცას ლომის თაველსა (სათესლე თაველს მუჭკას ეძახიან). ძვეშ, შუაში, საცეცხლე კერაა. დააპობენ ცხემლის შეშასა ერთის ურემს ოდენას და მოუკიდებენ ცეცხლსა. იქ დარაჯი დოქით სავსე წყლით უყურებს, რომ ცეცხლმა ალი (დოჩხაური) არ აუშვას და არ სწვდეს ზევით ლომის თაველსა. ძარებ დახურულ ლომის ნალიაში დგას ფუტი (კვამლი) და ჯოჯოხეთური სიცხე. ფუტის და სიცხის შემწეობით 3 — 4 საათის განმავლობაში ლომი გახმება (გაწუკება) სხვენზედ, ჩამოჰყრიან შემდეგ და აფშვნიან; ჩაჰყრიან საცეხველში ტ ფშვნიან, თან სატყეპელას და ტუკებს (მოკლე მსხვილ ჯოხებს) ურტყამენ და მით აცლიან მარცვლებს ტდანარჩენს ჩენჩოდ და ბრედ (მტვრად) აქცევენ; ვაფშვნილს გადუნიავებენ ნელს ქარზე და ან ქალები კალთებით უქროლვენ და სუფთა ლომის მარცვალს რა გამოიღებენ, წაიღებენ ჩემურზე გასაცეხვად.

კ. ბვარამაძე.

(შემდეგი იქნება).

ბიბლიოგრაფია.

Е. И. Якушкинъ. Обычное право русскихъ инородцевъ. Матеріалы для библіографіи обычнаго права. М. 1899 г.

მოგეხსენებათ, რომ ზოგიერთნი მუნებურნი (ეგრედწოდებულნი туземцы—მუნებურნი) ვრცელის რუსეთის იმპერიისა საკმაოდ სწრაფად შენდებიან, ე. ი. სწყდებიან, ისპობიან. რუსეთის საზოგადოების შეგნებული ნაწილი სცილობს რაიმე წამალი დასდოს ამ სამწუხარო მოვლენას და შეუნახოს მომავალს რუსეთში მცხოვრებნი მუნებურნი. უკეთეს საშუალებად ამისთვის ისინი სთვლიან ხალხის ყოფა-მდგომარეობის შესწავლას, რადგანაც ამბობენ ესენი: „როცა ჩვენ დაწვრილებით გვეცოდინება ხალხის ყოფა-მდგომარეობა, მისი ჩვეულებანი და ადათნი, მაშინ უჯრო სერიოზულად მოვეპყრობით ამ საკითხსა და ხალხსაც უკეთ ვუშველითო. სამწუხაროდ ჩვენ ასე არ ვიქცევითო და თბილ ოთახიდგან უფრო გვეადვილება მათთვის კეთილ საშუალებათა ღონობაო“.

ამიტომ დიდის მადლობის ღირსია ბ ნი Иакушкинი, რომელსაც თავს უდვია ეს არა ადვილი საქმე და უკვე სამი წიგნი შეუდგენია და გამოუცია მუნებურთა ჩვეულებათა და ადათთა შესახებ. პირველი წიგნი მან გამოსცა 1875 წელს, მეორე—1896 წ. და მესამეც 1899 წ. მათში, რაღა თქმა უნდა, არის ქართველთა შესახებაც.

Александръ Аннинскій. Древніе армянскіе историки, какъ историческіе источники. Одесса. 1899.

წიგნი შეიცავს წინა-იტყვაობას (1—4 გვ.) და 15 თავს თვით სომხების ძველ ისტორიკოსთა შესახებ. პირველს თავში (4—15 გვ.) მოყვანილია ცნობა სომხების ძველ ისტო-

რიკოსების შესახებ, აღნუსხულია საზოგადო შინაარსი ყოველის მათგანის შრომისა და დახასიათებულია.

თავიანთ უძველეს ისტორიკოსად სომხები სთვლიან სირიელს მარ-აბბას კატინას, რომელსაც მეორე ს. ქრ. შობამდე, დაუწერია სომხეთის უძველესი ისტორია ვალარშაკის მეფობამდის. დედანი მისის ისტორიისა დაკარგულია, მაგრამ მოსე ხორენელის „სომხეთის ისტორიის 34 თავშია იგი დაცულიო". ხოლო, რადგანაც ყოველი იქ მოთხრობილი ამბავი ზღაპრულია, ამიტომ მათ არავითარი სამეცნიერო მნიშვნელობა არა აქვთო, ამბობს ანნინსკი.

სომხების მეორე ისტორიკოსად სთვლიან აგრეთვე სირიელს ლაბუბნუს, რომელსაც დაუწერია „ისტორია აბგარისა და წმ. მოციქულის თადეოზისაგან ქრისტიანობის ქადაგების" შესახებ, რომელშიაც მოთხრობილია ედესის მეფის აბგარის მიწერ-მოწერა იესო ქრისტესთან, მოყვანილია წერილი აბგარისა ასირიის მეფესთან ნერზექთან და რომის იმპერატორ ტიბერიასთან ქრისტეზე და თადეოსის ქადაგებაზედ ედესაში. მაგრამ, რადგანაც ამ შრომას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს სომხებთან, არც შინაარსით და არც ისტორიკოსის ვინაობით, ამიტომ ლაბუბნა ვერ ჩაითვლება სომხების ისტორიკოსადაო.

სომხების შემდეგ ისტორიკოსად სთვლიან აგათანგელს, რომელსაც დაუწერია „ისტორია თრდატ მეფისა და წმ. გრიგოლ განმანათლებელის ქადაგების" შესახებ.

ამბობენ აგათანგელი ცხოვრობდა თვით მეფის თრდატის დროსაო (302—344 წ), მაგრამ მეცნიერი ლანგლუა ამტკიცებს, რომ „აგათანგელის ისტორიად" ხმობილი ისტორია სრულიად ის არ არის, რაც იყო იგი პირველადაო, რადგანაც შემდეგ ხანებში იგი სრულიად გარყვნენ სომხებმაო.

სომხების ისტორიის მამა-მთავრად ჩვეულებრივ სთვლიან მოსე ხორენელსა, რომელიც ცხოვრობდა სომხების მწერლობის ოქროს საუკუნეშიო (მე-V საუკ.), მიიღო მშვენიერი განა-

თლება და დასწერა ნამდვილი მეცნიერული ისტორია სომხების დასაბამიდგან, ვიდრე მეხუთე საუკუნემდისო. ასე ფიქრობდნენ პარიჟის 1838 წლის ისტორიულ კონგრესამდე, მაგრამ ამის შემდეგ კი მოსე ხორენელის ავტორიტეტი ძლიერ დაეცაო. ლედიერმა, პიშარმა (1866), ბუთშმიდტმა (1894) და ძარიერმა (1893) უეჭველის საბუთებით დაამტკიცესო, რომ მოსე ხორენელი ჰლაგიატი იყოვო, ე. ი. სხვისი ნაწერების მიმთვისებელი, ქურდიო. საზოგადოთ ანნენსკის წიგნში სომხეთის ძველნი ისტორიკოსნი და საისტორიო წყარონი საკმაო სევსებით არის აღწერილი და დახასიათებული.

მარი ბროსსე. საქართველოს ისტორია, ნაწილი პირველი და მეორე, ნათარგმნი და განმარტებული სიმონ, ხოლო გამოცემული ნიკოლოზ ლოლობერიძეთა მიერ.

პირველი ნაწილი გამოვიდა 1895 წელს, ხოლო მეორე წარსულის წლის ქრისტეშობის თვეში. მოხსენებული ისტორია ბროსესი უსრულესი სახელმძღვანელოა ჩვენის ისტორიისა. ბროსსეს იგი დაუწერია რუსულად შემდეგის სათაურით: „Очеркъ критической исторіи Грузіи, მაგრამ აქამომდე დაუბეჭდავი დარჩომილა. ბროსსეს შვილს ლავრენტის გარდაუცია იგი ბ. ნ სიმონ ლოლობერიძისათვის და მასაც თავს უდვია მისი ქართულად გადმოღება. ლირსება ჩვენ წინ მდებარე გამოცემათა იმაშია, რომ მთარგმნელი არ დასჯერდა ლიტონს თარგმანს და ბევრგან, სადაც კი საჭირო იყო ეს, უჩვენებს მკითხველს ბროსსეს შეცდომებს და ასაბუთებს მისგან მოთხრობილს ამბებს ახალის საბუთებით. მაგალითად: მე-17 გვერდზე ბროსსე ამბობს:

> „თუ მხედველობაში მივიღებთ ივერიის მიწის ნაყოფიერებას და განათლებულ ერთა, ბერძენთა და სპარსთა, მეზობლობას, მაშინ ზეპირ-გარდმოცემას, რომელიც ამბობს, ვითომც ივერიელნი შვილებს მსხვერპლად კერპებს სწირავდნენ და კაცისა და აგრეთვე პირუტყვის მძოვრის მჯამლები იუვნენო, ვერ დავეთანხმებითო“...

მთარგმნელი არ სჯერდება ბროსსესაგან ამ ადგილის ასე მოკლედ მოკრას და ასე ასაბუთებს შენიშვნაში:

„ბატონიშვილი თეიმურაზი ამის შესახებ, თუ სად ამ წარმოსდგა ეს უსაფუძვლო ზეპირ-გარდმოცემა, სწერს: „ეკკლესიისა ჩვენისა მოძღვარნი უძალებდნენ მათ გარდაცვლილთა წინაპართა მათთა და მათსა ეტუოდეს მრავალთა უწესოთა ქცევათა და არა წმინდათა და მკვდართა ჭამასა ხორცთა კაცთასა, რათა ამით დაავიწყონ წინაპართა თვისთა კერპთ-მსახურებისა საქმენი“ (თეიმ. ისტ. გვ. 54). თეიმურაზი უარ-ჰყოფს აგრეთვე ქართლოსიანთა შვილთა მსხვერპლად კერპთა დაკვლასა (გვ. 56). იხილე აგრეთვე თეიმურაზის ასსნა თქმულისა „კარსნელთა მართებსო კოდმანელთა ხუთი მკვდარი“. ერთი სოფელი მეორეს სთხოვდა ნატვლად თვისსა დაშქრობაში წასვლას და შემდგომში ის სოფელი გავიდოდა მეორის ნატვლად „რათა გარდეხადა ვალი თვისი და რადენიც კაცნი ბრძოლასა შინა დაეკლებოდათ მათ, ე. ი. პირის პირ, მტერთ-მიერ მოიკვლოდეს, ეგოდენი რიცხვი მკვდრისა დაედებოდათ მათ ვალად, რომელთაც მაგიერად წარსულიყვნენ იგინი ბრძოლად მტერთა. ესე ვითარი ჩვეულება მოთხრობასა შინა გარდასხვაფერ-სიტყვავდა და ითქვა სხვებრ, რათა ქრისტეს სარწმუნოებასა ზედა მოქცეულთა ერთა შეიძულონ ჩვეულებანი და ზნენი წინაპართა მათთა კერპთ მსახურებანი“ (გვ. 55).

და სულ ამგვარის მრავალ-ფეროვანის საბუთებით არის დასაბუთებული მთელი გამოცემა ყველგან, სადაც კი ეს საჭიროდ დაუნახავს მთარგმნელს.

ორივე ნაწილი ბროსსეს „საქართველოს ისტორიისა“ შეიცავს 500 გვერდამდე, დაბეჭდილია კარგს ქაღალდზედ და ღირს მხოლოდ შვიდი აბაზი.

ყოფა-ცხოვრება უწინდელ ქართველებისა *).

პირვანდელი ქართველები ცხოვრობდნენ თემ-თემობით **) და თვითონვე განაგებდნენ თავიანთ საქმეებსა მამასახლისების მეთაურობით. ხოლო, რადგანაც მცხეთა ითვლებოდა დედა-ქალაქად, ამიტომ მამასახლისებში ყველაზედ უპირველესიც მცხეთის მამასახლისი იყო. მასთან იკრიბებოდნენ დრო-გამოშვებით საქართველოს დანარჩენი მამასახლისები და ერთად არჩევდნენ საქვეყნო საქმეებსა. მამასახლისები მოკლებულნი იყვნენ უფლებას თავისით დაესაჯათ დამნაშავე და არ შეეძლოთ მოეკრიფათ ხარჯი დასაკმაყოფილებლად სამხედრო თუ სხვა რისამე საჭიროებათა. ეს შეადგენდა თემის უფლებას და მამასახლისს მარტო მაშინ შეეძლო ხარჯის მოკრეფა, როცა ამას თემი დაადგენდა.

მტერთან საბრძოლველად ყველაზედ წინ გადიოდა მცხეთის მამასახლისი თავისი სამამასახლისო მეომრებით და მას მიჰყვებოდნენ დანარჩენი მამასახლისები, ყველა თავ-თავიანთის ჯარით, განსაკუთრებით კი იმ თემების მამასახლისები და ჯარები, რო-

---

*) იხ. № 1: „სახალხო ისტორია საქართველოსი“ გვ. 8.

**) თემ-თემობით, ე. ი. ნაწილ-ნაწილად, მაზრა-მაზრად, ხეობ-ხეობად.

მელთ საზღვრებსაც უფრო ემუქრებოდა მტრის ძალა.

ბჭობა საზოგადო კრებებზე ეკუთვნოდა ამორჩეულ პირებს, რომლებსაც შეადგენდნენ: მოხუცნი, გონიერნი, გამოცდილნი, უქრთამონი და პირუთვნელნი კაცნი. თუ საჩივარი იქნებოდა, მამასახლისი დანიშნავდა საბჭოდგან ორ-სამ ბჭესა, მოჩივარნი თავთავის მხრით ოროლსა და ესენი ყველანი ერთად არჩევდნენ საქმესა. ხოლო, თუ ასტყდებოდა საჩივარი თემსა და თემს შუა, საქმე გაირჩეოდა ადგილობრივის მამასახლისების თანა-დასწრებით და ხშირად თვითონ მცხეთის მამასახლისის თავსმჯდომარეობით.

მამა-კაცი იყო ქმარი ერთისა ცოლისა, მბრძანებელი და გამგე ოჯახისა. თუ ქმარი ცოლზე ადრე მოკვდებოდა, ქვრივს ვალად ედო ოჯახისა და შვილების გამგეობა. მაგრამ არ შეეძლო გაბნევა ქმრის ნაქონებისა, რადგანაც ის შვილებს ეკუთვნოდა. საცხოვრებელს უყოფდნენ შვილებს თანასწორად. მამა ქალიშვილს ათხოვებდა თავისის მიხედულობით და მზითევს აძლევდა—ზოგი თანასწორად ვაჟი-შვილებისა, ზოგი—მისს ნახევარსა.

ძველი ქართველები ცხოვრობდნენ კლდეებში (გამოქვაბულებში), მიწურებში და ქვით ნაგებ სიმაგრეებში. ამ გვარ სიმაგრეებს ეკუთვნის სხვათა შორის აბულისა და შაორის ციხეები ჯავახეთში, რომლებიც აშენებულნი არიან სრულიად უკიროდ და უტალახოდ, ცარიელის ვეებართელა ქვებითა, რის-

გამოც კედლებს აქვთ ორ საჟენამდე სისქე და ამდენივე და მეტიც—სიმაღლე.

Თაყვანსა სცემდნენ ერთსა დამბადებელსა ღმერთსა, ხოლო დროს მიმავლობაში დაივიწყეს **ღ**მერთი დამბადებელი და იწყეს თაყვანის-ცემა ცისა, მზისა, მთვარისა, ვარსკვლავებისა, კერპებისა, ხეებისა და ზოგიერთ პირუტყვებისა და ნივთებისაც-კი.

Უწინდელნი ქართველნი ზნით ყოფილან პირმტკიცენი, მტერთა-ზედა ერთობის მიმდევარნი, თავისუფლებისათვის მხნედ მებრძოლნი და მაგრად მდგომნი მისთვისა. **Უ**ყვარდათ მაგრება ქვეყნისა და შენება ციხე-სიმაგრეთა და ქალაქთა.

სხვა-და-სხვა სახელ-წოდებანი ჩვენის ქვეყნისა.

ბარდა ზემოდ მოხსენებულ სახელებისა, ჩვენს ქვეყანასა და მის ნაწილებსა, როგორც ეხლა, ისე უწინაც, ეწოდებოდა სხვა-და-სხვა სახელები, მაგალითად: **ი**ვერია, **ბ**იორგია, **ი**მერეთი, **ა**მერეთი, **ა**ლვანია და სხვა. **რ**ისაგან ეწოდა ჩვენს ქვეყანას **ს**აქართველო, ამაზე ჩვენ უკვე ვსთქვით ზემოთა (გვ. 6). **ვ**სთქვათ ახლა რისგან ეწოდა დანარჩენი სახელებიცა.

„**ი**ვერიის“ სახელწოდების მითვისებას **ს**აქართველოსთვის ხსნიან ორ გვარად. **მ**ეცნიერი **ბ**როსსე ამბობს, რომ სახელ-წოდება „**ი**ვერია“ წარმოსდგა სიტყვა ვრაც ტუნი-საგან, რომელიც არის სომხური სახელ-წოდება **ს**აქართველოსიო. **სი**ტყვა ვრაც **არ**ის

საზღვრები და მოსაზღვრე ხალხები უწინდელის საქართველოსი.

საზღვარი უწინდელის საქართველოსი და ქართველთ მონათესავე ტომებისა იყო შემდეგი: აღმოსავლეთით—კასპის ზღვა; სამხრეთით მდინარე ტიგროსის სათავის მთები; დასავლეთით—შავი-ზღვა მდინარე ჰალისამდე (ტრაპიზონს იქით) და ჩრდილოეთით კავკასიის მთები, და იყო ენა მათი ამ საზღვრებს შუა ყოველგან ქართული.

რაც შეეხება მოსაზღვრე ხალხებსა, ესენი იყვნენ: ჩრდილოეთით, კავკასიის მთის გადაღმა, რუსეთის ეხლანდელ თვალ-უწვდენელ მინდვრებზე ცხოვრობდნენ უამრავნი (მრავალნი) ელნი, წოდებულნი ქართველებისგან ხაზარებად.

სამხრეთად, ვანის ტბის ქვემოდ, მდინარე ტიგროსის და ეფრატის ხეობებში, ცხოვრობდნენ ასირიელები, რომელთ სატახტო ქალაქი იყო ნინევია, მდინარე ტიგროსზე და ბაბილონელები, რომელთ სატახტო ქალაქი იყო ბაბილონი მდინარე ეფრატზე. ამათ მარჯვნივ, აღმოსავლეთად, ცხოვრობდნენ: კასპიის ზღვის სამხრეთად მიდიელები, რომელთ სატახტო ქალაქი იყო ეკბატანა და ამათ ქვეით—სპარსელები, რომელთ სატახტო ქალაქი იყო პერსეპოლი. ხოლო დასავლეთით, მცირე-აზიის დასავლეთის ნაწილში, ცხოვრობდნენ ფრიგიელები.

დიდი და შეურიგებელი მტრები იყვნენ ყველა

ეს ხალხები ქართველებისა და საზოგადოდ Თარგამოსიანებისა, ე. ი. Თარგამოსის შთამომავლობისა. Მომწყვდეული ამოდენა ხალხებს შუა და შეჭირვებულნი ხან ერთისაგან, ხან მეორისაგან და ზოგ-ჯერ ყველა მათგან ერთად, Თარგამოსიანები მწარედ იბრძოდნენ თავიანთის სამკვიდრო მამულისათვის და ერთ მტკაველ მიწასაც არ უთმობდნენ მძვინვარე და ულეველ მტრებსა, მაგრამ ამაოდ: მტრის სიმრავლემ თავისი ქმნა და ჩვენმა ხალხმა ნელ-ნელა დაჰკარგა არამც თუ თვალ-უწვდენელი და ძვირფასი მამულები, არამედ თვით ბევრი ჩვენი მონათესავე ტომნი სრულიადაც გასწყდნენ ამ უსწორო ბრძოლაში. Მაგალითად, მთელი Ალვანიის, Არარატის, Ვანის, Მუშაშირის, Ჟურთისტანის, Არზრუმის და Კაპადოკიის მხარენი, თვით Ქართლოსის დროდამ, დასახლებულნი იყვნენ ჩვენის მონათესავე ტომებით და სადღა არიან ახლა ისინი? Ცამ ჩაყლაპა თუ დედა-მიწამ! Ცას და დედა-მიწას კი არ ჩაუყლაპავს და მტრებმა კი დიახ ამოჭამეს ისინი! Ვინ იყვნენ ეს მტრები? Ამათზე ქვეით ვილაპარაკოთ.

ბრძოლა თარგამოსიანებისა ნებროთთან.

Ჯერ Ქართლოსის დროსვე, 2120 წელს Ქრისტეს შობამდე, გამოჩნდა ვინმე ნებროთი, კაცი გმირი და სახელოვანი, რომელმაც დაიპყრო რა Ასურეთისა და Ბაბილონის ქვეყნები, მოისურვა მთელის დასავლეთის Აზიის დაპყრობაცა და აგრეთვე Არარატის მხა-

რისაც, სადაც მაშინ მთავრობდა ძმა ქართლოსისა ჰაოსი. ჰაოსმა აფრინა საჩქაროდ შიკრიკები *) და აცნობა ქართლოსსა და დანარჩენს ძმებსა თავისი გაჭირვება და სთხოვა შემწეობა მტრებზედა.

ქართლოსმა შეჰკრიბა ძმები და სპანი ძლიერნი, მოვიდა და დადგა ძირსა არარატისა. მოვიდა ნებროთიცა და დადგა პირის-პირ თარგამოსიანებისა. დაიწყო ომი. ნებროთმა წამოაყენა წინ სამოცი გმირი და სპანი ძლიერნი და თვითონ კი დადგა უკან და აწყობდა და ამხნევებდა ჯარსა. მოეგება ქართლოსიცა თავისი ექვსი ძმითა და სპითა და ჰაოსი კი დასტოვა უკან, ზურგის გასამაგრებლად.

(შემდეგი იქნება).

*) შ ი კ რ ი კ ი—ჩქარად, მარდად მავალი კაცი.

თავადი გრიგოლ სერგეის ძე გოლიცინი,
მთავარ-მართებელი კავკასიისა.
დაიბადა 20 ღვინობისთვეს 1838 წელსა.

სასიამოვნო ამბავი.

„აწმყო, შობილი წარსულისაგან,
არის მშობელი მომავალისა“.
ლეიბნიცი.

ზოგი ჩვენგანი მეტად სუბუქად უყურებს წარსულს და თითქმის არავითარს ფასს და მნიშვნელობას არა სდებს მას. რაც არის—აწმყო და მომავალიაო, წარსული რაღა სახსენებელია, იგი იყო და აღარ არის, მან უკვე მოჭამა თავისი მწარე თუ ტკბილი დღეები და საუკუნოდ ჩაჰბარდა წიაღსა აბრაამისასა, საიდამაც კვლავ აღარავინ და აღარაფერიც დაბრუნდებაო. ეს აზრი ჩვენ შემცდარად მიგვაჩნია და ამიტომ საჭიროდ ვსთვლით ორიოდე სიტყვა ვსთქვათ მის შესახებ.

ზრუნვა და ცხოვრება მარტო აწმყოსა და მომავლისათვის, ყოვლის უკუხედად წარსულზე—ქვიშაზე აშენებული სახლია. თუ გვინდა, რომ სახლი მტკიცედ და შეურყეველად იდგეს, მისთვის აუცილებლად საჭიროა მტკიცევე და შეურყეველი საძირკველი. ასევეა აწმყო და მომავალი: თუ გვინდა, რომ იგი მტკიცე და შეურყეველი იყოს, აუცილებლად საჭიროა, მათაც უეჭველად მტკიცე საძირკველი ჰქონდესთ, ხოლო ეს საძირკველი წარსულის ზედ მიწევნით გაცნობა და შესწავლაა. უამისოდ, როგორც ვსთქვით, აწმყო და მომავალი და ამათის წარმატებისა და მომტკიცებისათვის ზრუნვა იგივე ქვიშაზე აგებული სახლი იქნება და ამიტომაც უდღეო. აი აქ არის დიადი მნიშვნელობა წარსულისადმი ტრფიალისა და უცილობელი ვალიცა ყოველის ადამიანისათვის—ზედმიწევნით იცოდეს თვისის ერის წარსული. ტყუილად-კი არ ამბობს ლეიბნიცი:

„აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“-ო.

როგორ არის შობილი აწმყო წარსულისაგან, აი რა უნდა გვასწავლოს სამშობლოს წარსულის ზედ-მიწევნით შესწავლამ და გამოკვლევამ. მეცნიერები იმ აზრს ადგანან, რომ უმიზეზოდ არაფერი ხდება ქვეყნად და ამიტომ ისიც,რაც მომხდარა, უწყებულს მიზეზს გამოუწვევიაო. ამიტომაო, ამბობენ ისინი, როცა ჩვენ ზედ-მიწევნით გვეცოდინება წარსულის წვლილნი, იმისი თქმაც შეგვეძლება, საიდამ რა გამოვიდა და ახლაც რა გამოვაო...

ეს გარემოებაა მიზეზი, რომ ჩვენ დიდად სასიამოვნოდ დაგვრჩა, როცა ამოვიკითხეთ გაზეთებში, რომ ე. თაყაიშვილის თაოსნობით თბილისში სდგება ქართულის ისტორიისა და ლიტერატურის მოყვარეთა წრე, რომელსაც აზრად აქვს დრო-გამოშვებით გამოჰსცეს ჩვენის წარსულის საისტორიო და სალიტერატურო მასალები. რომ უკეთ გავითვალისწინოთ თუ რა დიადი სამსახურის გაწევა შეუძლიან ასეთს წრეს სამშობლოს წინაშე, მოვიყვანთ აქ ერთს დიდად საინტერესო ცნობას რუსეთში არსებულ ერთის ასეთის წრის მოქმედების შესახებ. —

13 აპრილს 1884 წელსა უმაღლესად დამტკიცდა „დებულება“ სამეცნიერო არქიულ (სიძველეთა) კომისიათა შესახებ, ხოლო 15 თიბათვეს იმავ წლისა ქ. რიაზანში ადგილობრივ მოღვაწეთ უკვე დაუარსებიათ ასეთი კომისია. 15 წლის არსების განმავლობაში კომისიის წევრთ კარგა ბლომა საქმე გაუკეთებიათ სამშობლოს წარსულის შესწავლისათვის. მათ გადეკინჯავთ არქივები საგუბერნიო გამგეობისა, საოლქო სასამართლოსი, სახაზინო პალატისა და სხვ., გაურჩევიათ მათში 155,000 საქმე და გადუტანიათ აქედამ შესანახად და დასაცველად ისტორიულს არქივში 14,000-მდე საქმე. სულ ამ ჟამად ინახება იქ 16,000 საქმე, 50,000 ბრძანება სამხედრო კანცელარიისა და 5,000 სხვა-და-სხვა სიგელი, წიგნი და სხვა. ზარდა ამისა კომისიას დიდის მუყაითობით ხელი მიუყვია არქეოლოგიურად გუბერნიის შესწავლისათვის და ამიტომ

გაუთხრია ძველი ნაშთები და აღმოჩენილ ნივთების შესანახად დაუარსებიათ „რიაზანის მუზეუმი“, რომელიც შეადგენს უმთავრესს სიმდიდრეს და სიამაყეს კომისიისას. მასში ამ ჟამად ინახება 15,000-ზე მეტი სხვა-და-სხვა ნივთი, რომელთ შორის მრავალია რიაზანის უძველესის დროის ნივთები და ფულები. მუზეუმის კარები მუდამ ღიაა მნახველთათვის და ამიტომ დიდი სარგებლობა მოაქვს მას სამშობლოს შესწავლისათვის. ზარდა მოხსენებულისა, რიაზანის არქიულ კომისიის წიგნთ-საცავში ინახება 9.000-მდე სხვა-და-სხვა წიგნი, გარდა საკუთარ „შრომათა“, რომელიც ამ ჟამად გამოდის ყოველ წლივ 3—4 წიგნად. 15 წლის განმავლობაში კომისიაში უმუშავნია 83 კაცს, დაუწერიათ 400-სი ისტორიული გამოკვლევა, რეფერატი, წერილი და სხვ. ამ დროს განმავლობაში კომისიას ჰქონია საშუალებად სულ 17.212 მანეთი, რომელიც შემდგარა წევრთა გარდასახადისგან—3.875 მ. და 95 კ., კერძო შემოწირულებათაგან—7,106 მ., საგუბერნიო და სამაზრო ერობათაგან შესაწევრიდან—4.625 მ. და სხვ. უმეტესი ნაწილი ამ ფულისა დახარჯულა კანცელარიაზედ და მწერლისა და მოსამსახურის დაქირავებაზე—3.660 მ. (244 მ. წელიწადში), „შრომათა“ გამოცემაზე—3.348 მ., ნაშთთა ამოთხრაზე—3.340 მან. და, დასასრულ, შენობათა, არქივთა, წიგნთ-საცავთა და მუზეუმის მოწყობა-ვამგეობაზე—2.994 მ. შრიგო არ იქნებოდა, რომ განზრახული წრე გვერდში ამოუდგებოდეს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას და საეკლესიო მუზეუმის კომიტეტს და მათთან ერთად, რიაზანის არქიულ კომისიის მსგავსად, კისრად აიღებდეს ჩვენის ქვეყნის წარსულის ძიება-შესწავლისა და ამისათვის საჭირო მასალების საქვეყნოდ გამოცემის საქმეს.



სიონის ტაძარი თბილისში, ს.-ა. მხრიდამ.

თბილისის ყოვლად წმიდა ღვთის-მშობლის **სიონის ტაძარი** დაფუძნებულია მეფე **ვახტანგ ბორგასლანისაგან** (446—

499). ბევრი ქარტეხილი, ბევრი ქვენა განძრახვანი საქართველოს შეურიგებელ მტერთა განიცადა სიონმა თავისს კედლებზედა, მაგრამ დღეს იგი ისევე დიდებულად გამოიყურება მტკვრის მაღალს კიდეზედ აგებული, როგორც ამ ათას-ხუთასის წლის წინათ, როცა ადარნასე მთავარმა († 639) დაამთავრა და დააგვირგვინა აზრი და ღვაწლი ვახტანგ გორგასლანისა.

სიტყვა სიონი აღნიშნავს სიმტკიცეს, დარაჯს. ტყუილად კი არ უწოდა ვახტანგმა ამ ტაძარს სიონი: იგი უნდა ყოფილიყო სიმტკიცე ქართველთა და ქრისტიანობისა, დარაჯი საქართველოისა და ქრისტეს ჯვარისა აღმოსავლეთში! და არც მოსტყუვდა ცხებული მეფე: ბევრმა რისხვამ და სისხლთა ჩქეფამ გადიარეს სიონის თავზედა, მაგრამ ვერა ბოროტებამ ვერ დაამხო იგი და მისი მორწმუნე ერი... ბარდა თბილისის სიონისა, საქართველოში არსებობს კიდევ სხვა ბევრი სიონი. უძველესი მათგანი არის ბოლნისის სიონი, აღშენებული მეფე ფარსმან მეოთხისაგან († 410); მას მოსდევს სიონი სამშვილდისა, აღშენებული მეფის არჩილ I-ის დროს († 434), მისის შვილის მირდატის მეუღლის საგდუხტას-მიერ, რომლის დროსვე და ბრძანებითვე პირველად ითარგმნა წმ. სახარება ქართულად. შემდეგ—სიონი თბილისისა, აღშენებული ვახტანგ გორგასლანისაგან († 499); სიონი ერწოისა, აღშენებული მეფის არჩილ II-ის-მიერ († 718), სადაც დაკრძალულია მისივე წმ. ნაწილები; სიონი ატენისა, აღშენებული ბაგრატ მეოთხე დიდისაგან († 1072 წ.). სიონი უწერისა (რაჭაში), კავკასისა (ყაზბეგთან), შილდისა (ქახეთში), ჭარისა და სხვანი, რომელნიც რკალსავით შემორტყმიან მთელს საქართველოს და ვითარცა ფხიზელნი დარაჯნი განამტკიცებენ მას სჯულისა და მამულისათვის.

ვახტანგ გორგასლანი ვერ მოესწრო ტაძრის დამთავრებას და ამიტომ შენება მისი განაგრძო შვილმა და მემკვი-

დრემ მისმა **

თა. შენდობას იტუოდეთ ღვთის გულისათვის, ამინ. ქრ-
რონიკონი ტმე- (345, ე. ი. 1567 წ.).

ძველი კანკელი სიონისა იყო დაბალი, აწინდელის მა-
გვარი, მაგრამ, რადგანაც მტრები ხშირად ანგრევდნენ და
ანადგურებდნენ მას, თბილისის ეპისკოპოსებმა შაჰაბაზ I-ის
შემოსევის შემდეგ, ააგეს აქ ხის კანკელი, მაგრამ იგიც
1795 წელს დასწვეს სპარსელებმა. მაშინ ბარესჯის უდაბნოს
ბერმა, ზოსიმემ, ათონის მთის კანკელის მიმსგავსებით, ააგო
გაჯის ჩუქურთმიანი კანკელი და მოხატა იგი ოქროთი. მა-
გრამ, რადგანაც კანკელი ხუთ-სართულიანი იყო და ამიტომ
მეტად მაღალი, რისგამოც ჰფარავდა მლოცველთა თვალ-
თაგან საკურთხევლის კამარასა, მხატვარმა ბაგარინმა, რომელ-
მაც თავად ვორონცოვის ბრძანებით 1850 წლებში განაახ-
ლა 1795 წლიდამ წაჭვარტლული მხატვრობა სიონის ტა-
ძრისა, დააქცია იგი და, მსგავსად საქართველოს ძველ ტაძართა
კანკელებისა, მაგ. ძველის შუამთის მონასტრისა, ქ. თელავს
ახლო, გაუკეთა სიონსაც დაბალი, მაგრამ დიდად მშვენიერი
მწვანე ქვის კანკელი, რომელიც დღესაც დიდს შნოსა სდებს
მთელს ტაძარსა. ტაძრის სვეტებზედ დახატულ არიან სვეტნი
საქართველოს ეკლესიისა, წმიდანნი: ნინო, აბო, ძეთევან,
ლუარსაბ, არჩილ, ხოლო საკურთხევლის კამარაზედ 13
სირიელნი მამანი, აღმომფხვრელნი ცეცხლ-თაყვანის-მცემლო-
ბისა და განმამტკიცებელნი ქრისტიანობისა საქართველოში.

ერთად თბილისთან, სიონიც ბევრჯელ გაუძარცვავთ
და აუოხრებიათ საქართველოს მძვინვარე მტრებსა, მაგრამ
ღვთით, იგი დღესაც სდგას მტკიცედ და სანუგეშოდ მისს
ძეთა. მოვიყვანოთ ზოგიერთი რისხვათაგანი, აღნიშნული
ჩვენსა და უცხოთა მატიანებში.

უსასტიკესი რისხვა დაატყდა სიონის ტაძარსა ხვარას-
ნელ ჯალალ-ედინის შემოსევის დროს, რომელიც 1228
წელს, რუსუდანის მეფობაში, მოადგა თბილისს 40,000 ჯა-
რის კაცითა, აიღო იგი და საშინლად ააფორიაქა.

აი როგორ აგვიწერს ამ ამბავს ჩვენი მატიანე: დამარცხებული მონგოლთაგან, ჯალალ-ედინმა მიატოვა სპარსეთი და 40,000 ჯარითა წარმოემართა საქართველოსკენ. მოახლოვდა რა საზღვარსა, ჯალალ-ედინმა აფრინა ელჩი რუსუდან მეფესთან შემდეგის დანაბარებით:

„ვიძღიე რა ჩინგიზ-ყაენისაგან, დავუტევე სამეფო ჩემი და წარმოვედ საქართველოსკენ, მშვიდობისა და ზავისა ეოფად, რადგანაც ვიცი სიმაგრე საქართველოს ნათესავისა და სიმხნე მათი წყობათა შინა. აწ მნებავს რათა შევერთდეთ და შევიქმნეთ მტკიცითა ფიცითა და ერთად ვებრძოლოთ მტერთა მათ ჩვენთა. მუავით მე ქმრად თქვენის მეფისა და მეფედ თქვენზედ. თუ ესე იქნება, ვსძღიოთ ეოველთა მტერთა ჩვენთა, და უკეთუ ესე არა ჰყოთ, მოახრდეს სამეფო თქვენი, და თუნდა მეც წავიდე, თათარნი ეგრეცა მოსრულ არიან და თქვენ მარტოდ ვერ წინააღუდგებითო“.

რუსუდანმა და მისმა კარის-კაცებმა შორს დაიჭირეს ჯალალ-ედინის წინადადება და უარი შეუთვალეს. აიყარა ჯალალ-ედინი და წარმოემართა თბილისისაკენ. რუსუდანი გაიქცა ძუთაისს, ხოლო ქალაქის დასაცველად დასტოვა ლაშქარი და ორი თავადი, ბოცოს ძენი, მემნა და ბოცო. ჯალალ-ედინი შემოვიდა ჯერ სამხრეთ საქართველოში (ბორჩალოში), ააფორიაქა იგი, მოსრნა სრულიად მისი განთქმული მკვიდრობა და მოადგა თბილისს. მემნა და ბოცო მამაცურად დაუხვდნენ მტერსა და, ვგონებ, ვერც აიღებდა ქალაქსა, რომ ქალაქში მცხოვრებ სპარსელებს არ ეღალატნათ ქართველებისთვის და ქალაქი მტრისათვის არ მიეცათ. სცნეს რა ეს ამბავი მემნამა და ბოცომა, ფიცხლავ წარმოემართნენ უმუზარადონი ჯალალ-ედინის ლაშქრის წინააღმდეგ, გააღეს ბანჯის მხრის კარები და ძლიერად ეკვეთნენ მტერსა. ეს დრო იყო, რომ ვინმე ქალაქელმა სპარსმა დაჰკრა უმუზარადო მემნას აფთი (ფართო პირიანი და გრ-

ძელ-ტარიანი მახვილი) და სრულიად გაუხეთქა თავი. მოკვდა მემნა, ხოლო ბოცო გამაგრდა ისანში, აწინდელს ავლაბარში და აქედამ გაუმართა ჯალალ-ედინს ძლიერი ომი, მაგრამ არა დიდის ხნით:

„წარმოუვლინა მეფემან რუსუდად ბოცოს და სხვათა მტველთა ქალაქისათა, რათა დაუტეონ სპანი და წარვიდნენ".

ბოცო დიდხანს არ ასრულებდა მეფის ბრძანებას, მაგრამ ბოლოს მაინც იძულებული იყო შეესრულებინა მისი ბრძანება და გავიდა ქალაქიდამ. ჯალალ-ედინმა დაიჭირა ქალაქი და ხელი მიჰყო უბოროტესთა საქმეთა. აი როგორ ასწერავს მატიანე აზ ამბავსა:

„ხოლო არა შემინდობს ტკივილი გულისა მოხსენებად, თუ რას შვრებოდნენ ხვარაზმელნი ქალაქში. რამეთუ ესე-ოდენ მძვინვარედ ხოცდეს, რომელ ჩჩვილნიცა ძუძუთაგან დედისათა აღიტაცნიან და წინაშე დედისა დაანარცხიან, და რომელსამე თვალნი წარსცვივდიან, და რომელსამე ტვინი დაითხის, და მერმე დედანი მოიკლოდიან, ბერ-ბერნი უწუალოდ ფოლორცთა შინა ცხენთა მიერ დაითრგუნებოდეს, და ჭაბუკნი დაეკვეთებოდეს... ეკლესიანი და ეოველნი სამსხვერპლონი შეურაცხ იქნებოდნენ, პატიოსანნი მღვდელნი, და დიაკონნი, და მონაზონნი, ეკლესიასა შინა, თვით ხატთა და ჯვართა თანა, შეიმუსრვოდეს და დაიკლვოდეს. და ესე ვითარნი ჭირნი მოიწევნეს, რომელ ხრალოდეს ძველთა სადამე წიგნთა მიერ სმენილ არს, უკუნისამდე... ამასთან არა დამშვიდდა ცუდ-რჯული იგი და ბილწი. მოიკონა სხვაცა სიბოროტე; იწყო რღვევად ეკლესიათა, ვიდრე საფუძვლადმდე, რომლისაოვის იკადრა და ხელი მიჰყო სიონის გუმბათის შემუსრვასა და მას ზედა ბილწისა საჯდომისა მისისა აღშენებას, რომელი იგი ხიდითა მაღლითა და გრძელითა გასხიდა, აღსვლად

მას ზედა. და ესეცა შესძინა, რამეთუ ხატი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და ეოვლად წმიდისა დვთისმშობლისა, რომელი სიონს მკვიდრ იყო, ბრძანა მოუვანებად და ხიდისა საშუალსა დადებად, ბირადმართ, და ბრძანა ყველა მათ ბერობილთა ქრისტიანეთა, მამათა და დედათა, იძულებით დათრგვნა ბატიოსანთა ხატთა, დატევება რჯულისა, და უკეთუ ესე არა ჰყონ, წარკვეთა თავთა მათთა. და მრავალთა უკვე ბრწყინვალე ძღვა აჩვენეს, და არა თავს-იდვეს შეურაცხება წმიდათა ხატთა და დატევება ქრისტიანობისა, რჯულისა მათისა. მაშინ მრავალმა მიიღო გვირგვინი წამებისა, რომლისა აღრიცხვა შეუძლებელ არს, სიმრავლისათვის, რამეთუ ვგონებ ვითარმედ ათ ბევრად (ას ათასამდის) აღიწია რიცხვი მოკლულთა“...

ბავიდა თერთმეტი წელიწადი და ჯალალ-ედინს კვალ და კვალ ახლა მოჰყვნენ თვით მონგოლნი, აიღეს თბილისი და კვლავ აოხრეს იგი, სანამ 1243 წელს საქართველოს ტახტზედ არ აღვიდნენ მეფენი: დავით რუსუდანის ძე და დავით ლაშას ძე. მათს დროს იყო კათალიკოზი ნიკოლოზი,

„კაცი სულითა მხილველი, მობაძავი ანგელოზთა და მრავალთა მოღვაწეთა შინა საკვირველი, ჭმართლ-მადიდებელი, ძლიერი და თვალ-უხვად მამხილებელი მეფეთა და მთავართა“.

ამან მოუყარა თავი სიკვდილს გადარჩენილ მეოჯახეთ, განაახლა სიონი და კვლავ აღადგინა სასოება მისი ხალხში.

ერთი ასეთი საშინელება და უფრო უარესიც, თბილისმა და სიონმა გამოიარეს თემურ-ლენგის შემოსევის დროს 1383 წელსა. თემურ-ლენგმა დაიპყრა მთელი თურქეთი, ინდოეთი, სპარსეთი და წარმოემართა ჩვენსკენ. ამ დროს საქართველოში მეფობდა ბაგრატ მეხუთე დიდი. ბაიგო რა თემურ-ლენგის გამძლავრება, ბაგრატმა იწყო ციხე-ქალაქთა

მაგრება, გაამრავლა და დარაზმა ლაშქარნი და ჩადგა თბილისში. თემურ-ლენგმა მართლა არ დააყოვნა ჩვენსკენ გამოლაშქრება. შემოვიდა სომხითს, მოსრნა ყოველი და მოადგა თბილისს. მეფე მიუხტა და მრავალი დაუხოცა. თემური შეშინდა, მაგრამ ექვს თვემდის ადგილიდამ ფეხიც არ მოიცვალა. დღე-ყოველ ქართველნი და თათარნი ერთმანერთს უხტებოდნენ, ქართველნი მუდამ იმარჯვებდნენ კიდეც, მაგრამ ბოლოს თემურმა მაინც აიღო ქალაქი შემდეგის ხერხითა: გააკეთებინა რკინის ჩელტები (ლასტები), წარუმძღვარა ისინი ჯარს და ისრე მოვიდა ქალაქამდის. ქართველნი მიუხტნენ მტერს, მაგრამ ჩელტები ვერ გასტეხეს და ქალაქში შთაიკეტნენ. ამის შემდეგ თემურმა მალე აიღო ქალაქი და საშინლად ააფორიაქა იგი. დადუმდნენ კამარანი სიონისა, მაგრამ რა განაქროს ერთხელ ანთებულს სინათლესა ჭეშმარიტებისას! თემური წავიდა, მოკვდა, მოისპო; მოისპო მისი საქმენიც ბოროტნი, ჭრილობანი გამრთელდნენ და ჭეშმარიტების ლამპარი სიონი კი კვლავ განახლდა და ახმაურდა!..

სიონის სამრეკლო პირველად აუშენებიათ 1425 წელს, მეფე ალექსანდრე პირველის დროს. იგი იყო ორ-სართულიანი და იდგა სიონის ჩრდილოდ, ეზოში შესავალ კარების თავზე. 1795 წელს სპარსელებმა დააქციეს იგი და ამიტომ, 1816 წელს, ეკზარხოსმა ვარლაამმა ააშენა ახალი სამრეკლო დასავლეთის მხარეზე, რომელიც ახლაცა სდგას აქ და ჩვენს სურათზედაც სჩანს. მასზე დაცულია შემდეგი წარწერა:

„დროსა ალექსანდრე პირველისა, იმპერატორისა უოველისა რუსეთისა, აღშენდა უწმინდესის სინოდის ჩლენის, მცხეთისა მიტროპოლიტისა, ქართლისა და კახეთისა და სრულიად საქართველოისა ექსარხოსისა და კავალერისა ვარლაამ ქსნის-ერისთვის დავითის ძისაგან: წელსა ჩუიბ (1812): ქორონიკონსა ფ (500).

სიმაღლე აწ არსებულ სამრეკლოსი იქნება 24 საჟენი. მის აგებაზედ შედგენილი იყო ოთხ-სართულიანი გეგმა, მაგრამ აშენების დროს ერთი სართული მოაკლეს შიშისა გამო მიწის-ძვრისა, რომელიც ხშირად იცის თბილისში. მის მრავალ ზართა შორის, აღსანიშნია თავისი სიდიდით ერთი, რომელიც 1848 წელს ჩამოუსხმევინებია თავადს ვორონცოვს დაძველებულ ზარბაზნებიდგან და თბილისის სიონისათვის შეუწირავს. ზარი იწონს 650 ფუთსა.

სიონის სიწმიდეთა შორის აღსანიშნია: წმ. ნინოს ჯვარი ვაზისა, სიონის ღვთის-მშობლის დიდად მშვენიერი ხატი, მეფის გიორგის ბრწყინვალის წმ. ღვთის-მშობლის ხატი და სხვანი. ამათზე ცნობას და მათ სურათებს ჩვენ განვუზიარებთ „მოგზაურის“ მკითხველებს ხან გამოშვებით შემდეგს ნომრებში.



სოფელ ყაურმის საყდარი.

სოფელი ყაურმა ძევს სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ ქ. ხალ-ქალაქიდგან, 9—10 ვერსის მანძილზე მისგან, მდინარე ჯავახეთის-მტკვრის (აწინდელის თაფარავნის) მარჯვენა ნაპირით, სადაც გაკეთებულია მდინარეზე მშვენიერი ქვით-კირის ძველი ხიდი. მცხოვრებნი მეუბნებოდნენ, რომ ამ ხიდზე

იყო „გურჯული“ (ქართული) წარწერაო, მაგრამ შეკეთების დროს უკანასკნელ ხანებში, იგი სადღაც მიჩქაფესო. ხიდი შესანიშნავია იმით, რომ მასზე გაივლის ხოლმე ის უთვალავი ცხვარი, რომლითაც სავსებით ავსებენ ჯავახეთის თვალუწვდენელ მთა-გორებს თიანეთის, სიღნაღის და სხვა მაზრების მეცხვარეები ზაფხულში.

დღეს სოფელ ყაურმაში ცხოვრობენ სომხები, მაგრამ უწინ კი იგი მთლად ქართველებით ყოფილა დასახლებული, რომლის მოწმედ აქამომდე დაცულია პატარა, მაგრამ თლილის ქვით ტურფად ნაგები ეკლესია. მის სამხრეთ კარების თავზედ ძევს გრძელი ქვა, რომელზედაც შუაგულზე ამოჭრილია ჯვარი, ხოლო მის მარცხენა და მარჯვენა-მხარეზე ეს საინტერესო წარწერა:



„ქრისტე ადიდე გიორგი მეფე და შვილნი მათნი. ქრისტე ადიდე მელქიზედეკ ქორ[illegible]ლისა კათალიკოზი და შეეწიე დღესა მას, ამინ“.

ამავე ეკლესიის დასავლეთ კედელზე, წითელ ქვაზე, ზედ ფანჯრის თავზე, საწვეთის ქვეშ, დაცულია შემდეგი მშვენიერი წარწერა:



„ქრისტე, ადიდე ოქროპირი ქათალიკოზი“.

აქ მოხსენებული მეფე ბიორგი არის პირველი, რომელიც მეფობდა საქართველოში 1014—1024 წლებში, ხოლო მელქისედეკი და ოქროპირი იყვნენ კათალიკოზნი მისს და შემდეგ დროებში. ესევე მელქისედეკი იხსენება სოფელ ხორენიის პატარა ეკლესიის წარწერაში, ხოლო ოქროპირი— სოფელ ფოკის წარწერაში. სოფელი ხორენია ძევს სამხრეთისკენ ქ. ახალ-ქალაქიდამ, 7—8 ვერსის მანძილზე მისგან, ხოლო ფოკა—თაფარავნის ტბის კიდით, 25 ვერსზე ახალქალაქიდამ. ამ ეკლესიების სურათებს და მათზე დაცულ წარწერებს ჩვენ დავბეჭდავთ შემდეგს ნომრებში.





სოფელი უჯარმა, უჯარმო.

უჯარმა დღეს ერთი ჩვეულებრივი ქართული პატარა სოფელთაგანია მდინარე Iორის მარჯვენა კიდით, 40 ვერსზე ქ. თბილისიდამ, მისსა და თელავს შუა არსებულ საფოსტო გზა-ტკეცილზე. სოფელს და მისს მომცრო ვენახებს ამ ჟამად უჭირავს მხოლოდ ერთი მცირედი კუნჭული იმ ველისა, რომელიც მოუვაკებია აქ მდინარე Iორს ანუ თვით უჯარმის ხევს. სახლები უჯარმაში მომეტებულად მიწურებია, როგორც ქართლში, მაგრამ ამ ბოლოს დროს ქვით-კიკირის ერთ-სართულიანის და ორ-სართულიანის სახლების კეთებაც გახშირდა, მეტადრე საფოსტო გზა-ტკეცილის გაყოლებით, მაგრამ საზოგადო სახე სოფლისა მაინც და მაინც მწირი და ღარიბია. ასეთი არ იყო უჯარმა უწინ. ჩვენის მა-

ტიანის სიტყვით იგი ააშენა მეფე ასფაგურმა, რომელიც მეფობდა საქართველოში 262—265 წლებში ქრისტეს შემდეგ. ამ ამბავს „ქართლის-ცხოვრება“ მოიხსენიებს ასე:

„და ამან ასფაგურ ააშენა ციხე-ქალაქი უჯარმა“ (გვ. 75).

დღეს ჩვენ აქ ნატამალსაც ვერ ვპოვებთ ასფაგურ მეფის ციხისას და არც საკვირველია, რადგანაც ჯერ ერთი, რომ 1700 წლის განმავლობაში მართლაც და ადვილად შესაძლებელია, ნატამალიც არ დარჩენილიყო იმ დროის რაიმე შენობისა და მეორეც, უჯარმა, როგორც ამას ქვემო აღწერიდამაც დავინახავთ, იმდენჯერ იყო მტრისაგან აღებული და განადგურებული, რომ დიდი შეცდომა იქნება ეჭვში შევიდეთ მისს სიძველესა და მატიანისაგან გარდმოცემაში. მაგრამ მე თვით მოვსწრებივარ ამ 30-ოდ წლის წინად, რომ უჯარმის მთაზედ ციხის ნაშთი იყო დარჩომილი, მაგრამ იმ მთის ნახევარი ბორმა წაიღო და ციხეც ჩაიქცა.

რაც შეეხება იმას, თუ რამ აიძულა ასფაგურ მეფე ციხე-ქალაქი დაეარსებინა აქ, ამის შესახებ შემდეგი უნდა განუმარტოთ მკითხველს: ასფაგურ მეფის დროს, დიდი ამბები და ცვლილებანი ხდება სპარსეთში; ქასრე (იგივე შირვან) სასანიანმა მოსრნა სპარსეთის სამეფო გვარის აეღალიანების (იგივ არდაშირების) ყველა წარმომადგენელნი და თვით გამეფდა. სპარსეთის ასეთი არევ-დარევით ისარგებლეს ქართველთა მეფემ ასფაგურმა და სომეხთა მეფემ ქოსაროომ; ამათ შეჰკრეს ზავი, დარაზმეს და გაამრავლეს ჯარები, ასფაგურმა გახსნა კავკასიის კარნი, გამოიყვანა ოვსნი, ლეკნი, ხაზარნი და შეესივნენ სპარსეთს, რომელიც საშინლად მოსრეს და მოსტყვევნეს. დამწუხარდა დიდად ქასრე და არ იცოდა რით და როგორ ეშველა ამდენის ტანჯვა-ვაებით და სისხლით შეძინებულ სამეფოსათვის. მაგრამ, ტყუილად კი არ უთქვამთ ძველებს, რომ ციხე შიგნიდამ გატყდებაო. მოუწოდა დიდებულებს სათათბიროდ; მოვიდა წარჩინებული მთა-

ვარი ანაკაც, ნათესავი სომეხთ მეფის ქოსაროსისა; ამან აღუთქვა ძასრეს ქოსაროს მოკვლა და შეასრულა კიდეც დაპირებული. ანაკა ჩამოვიდა სომხეთს და ერთხელ, ნადირობაში, როცა ქოსარო მეფე განლაღებული იშვებდა და ლხინობდა, ანაკამ იდროვა და მოჰკლა იგი. ანაკა გაიქცა, მაგრამ ვერ გადურჩა სომეხთა აბორგებულს შურის-ძიებას: მხლებელნი ქოსაროსი მოეწივნენ მას და სულ ასო-ასოდ აკუწეს იგი და მთლად მისი ოჯახიც მოსრნეს. ზადარჩა მხოლოდ სამის წლის ვაჟი ანაკასი, რომელიც გააქციეს ქალაქ ქესარიაში, მონათლეს იქ ქრისტიანად და უწოდეს ზრიგორი, მომავალი ხუსავორიჩი (განმანათლებელი) სომხებისა.

ქოსაროს მეფის სიკვდილის ამბავი თავ-ზარ დამცემი იყო ასფაგურ მეფისათვის. იგი გრძნობდა, რომ ძასრე არ დააყოვნებს მაგიერი უგოს მას სომეხთა დახმარებისათვის და ამიტომ შეუდგა ქვეყნის მაგრებას. აი ეს დრო იყო, რომ ასფაგურ მეფემ განამაგრა ციხე-ქალაქნი საქართველოსი და სხვათა შორის ააშენა უჯარმის ციხე-ქალაქიც, რათა ამით საქართველოში შესასვლელი გზა შეეკრა მტრისათვის ივრის ხეობით.

მოვიყვანოთ აქ ზოგიერთი ისტორიული ცნობანიც უჯარმის შესახებ.

> . . . „მეფობდა მირიან (265—342) ქართლს, რანს, ჭერეთს და მოვაკანს, და აქვნდა ეგრისიც, ეგრის წულამდე, და მისცა ძესა თვისსა რევს საუფლისწულოდ კახეთი და კუხეთი, და დასვა იგი უჯარმოს, რევ და ცოლი მისი სალომე, ასული თრდატისი, და ცხონდებოდეს (ჭსცხოვრებდნენ) უჯარმოს“ (გვ. 85)...
>
> . . . „პირველად ვახსენოთ ცხოვრებაი წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩვენისა და ეოვლისა ქართლისა განმანათლებელისა ნინო მოციქულისაი, რომელისათვის მანვე ნეტარმან მოგვითხრა, ჟამსა აღსრულებისა მისისა, რომელ აღწერა მოწამენემან დედოფალმან სალომე

უჯარმოელმან, ძის ტოდმან მირიან მეფისამან (გვ. 86).

როდესაც ნინოს ბრძანებით მოსჭრეს ხე ჯაქვის მთაზე-და და გააკეთეს მისგან სამი ჯვარი, ნინომ უბრძანა:

. . . „წარიხვენით (წაიღეთ) ორნივე ესე ჯვარნი და ადმართენით, ერთი თხოთს *), სადა იგი ღმერთმან გამ-ხილათ ძალი თვისი, და ერთი მიეცით სალომეს, მხე-ვალსა (მსახურსა) ქრისტესსა, ადმართოს უჯარმოს ქა-ლაქსა, რამეთუ ბუდი (ბოდბე, სიდნაღს ახლო), და-ბაი კუხეთისა, არა წინააღუდგეს ქალაქსა მეფეთასა, რამეთუ ერისა სიმრავლე არს მუნ. ბუდისი კუალა და-ბაი თვით იხილოს სათნო იგი ადგილი ღვთისაი **) და უვეს ეგრე ვითარცა უბრძანა ნინომ“ (გვ. 130).

. . . „მაშინ დასნეულდა მუნ (ე. ი. ნინო, ბოდბეში) და ვითარცა ცნა რევ. ძემან მეფისამან, და სალომე, ტოდმან მისმან, რომელნი ცხოვნდებოდეს (ცხოვრობდ-ნენ) უჯარმოს, მოვიდეს ნინოსსა“ (გვ. 135)

. . . „მაშინ შეიძრნეს ორნივე ესე ქალაქნი, მცხეთა და უჯარმო, და ეოველი ქართლი, მიცვალებასა მისსა, მოვიდეს და დამარხეს ძღევით შემოსილი გვამი მისი ადგილსავე ზედა ჭერეთისა, დაბასა ბოდისასა“ (გვ. 136).

სწორედ ასფაგურ მეფის აზრითვე, ორის საეკუნის შემ-დეგ, ხედმძღვანელობდა მეფე ვახტანგ ბორგასლანი (446—499 წწ.), როცა ჰან, სპარსეთსა და ინდოეთში წავლის წი-ნად, უჯარმის გასაძლიერებლად და ასაღორძინებლად დასვა მისს კარსა—ნინო-წმიდას ეპისკოპოსი და უბრძანა თავისს ერისთავებს უჯარმის აღშენება და აქვე მემკვიდრე ბატონი.

---

*) თ ხ ო თ ი—მთა მცხეთის ახლო, სადაც მეფე მირიანს თვალ-დაუბნელდა, ხოლო როცა ილოცა ღმერთი ნინოსი თვალნი კვლავ ეხილა.

**) აქ წმ. ნინო გაახსენებს მსმენელთ თავისს სიკვდილსა და სო-ბოდბეში დასაფლავებაზე.

შვილის დაჩის აღზრდა, თუმცა მატიანე სულ სხვა ნაირად ხსნის ამ განკარგულებათ, როცა ამბობს:

„რამეთუ სიმარჯვედ გამოზარდა იგი ნადირთა და საცხოვართათვის“.

ხოლო ინდოეთიდამ დაბრუნების შემდეგ, ვახტანგ ბორგასლანმა, თავისს შვილს დაჩის მისცა განსაგებლად ხორნაბუჯი, ნეკრესი და ჯერემი ამ შესანიშნავ (ციხე-ქალაქთა ნაშთებს და აღწერას ჩვენ ვუძღვნით ცალკე სურათებს და წერილებს), და თვით კი

„დაჯდა უჯარმოს და აღაშენა იგი ნაშენებითა უზომოთა“.

აი ამ დროს ეკუთვნის უჯარმის შესანიშნავი ნაშთი, აწ ეგრედ წოდებული გორგასლანის ციხე, იგივ ჯვარ-ვატიოსანი ახლანდელის რუკებისა, რომლის სურათი და აღწერა მოგვყავს აქვე.



ბოლგასლანის ციხე-დარბაზი.

აშენებულია იგი უჯარმიდამ ნ. ვერსზედ, ზევით, მდინარე ბორის მარჯვენა მაღალ კიდეზედ და წარმოადგენს შესანიშნავ ნაშთს ჩვენის ძველების ძლიერებისა და შეძლებისას. ჩვენის აზრით, მიზეზი აქ ასეთის ძლიერის ციხისა და შიგ მონასტრის აშენებისა ბორგასლანისაგან ის უნდა ყოფილიყო, რომ დაეცვა ქალაქი უჯარმა ჩრდილოეთიდამ მთის ხალხების თავ-დასხმისაგან არაგვისა და ივრის ხეობით, ხოლო, რადგანაც ციხე იმდენად ვრცელია, რომ ადვილად შეუძლიან დაიტიოს რამდენიმე ათასი სული, ამიტომ იმასაც ვფიქრობთ, რომ ასეთის ვრცელის ციხის ასეთს მიუდგომელს ადგილას აგებით,

ვახტანგს ჰსურდა მტკიცე თავ-შესაფარიც მიეცა უჯარმელთა დედა-წულთათვის სამხრეთით მტრისაგან თავ-დასხმის დროს, როგორც ეს მართლაც განცხადდა შემდეგში. როცა საქართველოს შემოესია სპარსეთის მეფე ხვასრო, ვახტანგმა დახიზნა ხალხი მთებში და სიმაგრეებში, ხოლო

„ცოლი და შვილნი თვისნი უჯარმის ხევსა, და წინაციხესა თვით შედგა, და მასთანა ჯუანშერ და ადარნასე, ხოლო მცხეთად დემეტრე და ნერსე და ბივრიტიანი დაუტევნა“...

სიგრძე მთელის ციხისა იქნება 100 საჟენი და თითქმის ამდენივე სიგანე, თუ სახეში მივიღებთ იმ გალავნებს, რომლებიც ჩატანილია მთის ზურგზე აგებულ ციხე-კოშკებიდამ რამდენსამე წყობად მდინარე ალორამდის, 5—6 მაღალი კოშკით თვითეულში. ლღეს ყოველი ეს შემოსილია საკმაოდ ხშირის ბარდნარით და ტყით, ხოლო მაღალის კოშკის ძირას, რომელიც ჩვენს სურათზედაც არის დახატული, სულ რამდენსამე ნაბიჯზე გაყვანილია თბილის-თელავის საფოსტო გზა-ტკეცილი.

უჯარმის გახსენება ჩვენთვის კიდევ იმით არის ძვირფასი, რომ ვახტანგ ბორგასლანმა აქ, მისსა და საქართველოს დაცვაზედ, დასდვა თავი თვისი, ვითარცა ტარიგმა უბიწომ. მე მოგახსენებთ იმ საშინელ ბრძოლაზედ, რომელიც 499 წელს გადიხადა აქ ვახტანგმა სპარსეთის აბორგებულ მეფე ხვასროსთან. მოვიდა ხვასრო და შემუსრნა ქალაქნი კამბეჩისანი (ხორნაბუჯი, ახლანდელს დედოფლის წყაროს ახლო), ბერმის ციხე და ველის-ციხე. შემდეგ გამოვიდა ალორზედ და დაიბანაკა უჯარმის პირ-და-პირ, სადაც ციხის გარეთ იდგა თვით ვახტანგი თავისი ჯარით. ასტყდა ბრძოლა და გაგრძელდა სამ დღემდის. მაგრამ უმჯობესია ვილაპარაკოთ „ქართლის-ცხოვრების“ სიტყვებით (გვ. 208):

„და იყო დაშქარი ვახტანგისი ას ორმოცი ათასი, ხოლო სპარსთა იყო შვიდას ორმოცი ათასი. და განეო

ვახტანგმა ლაშქარი თვისი სამად, და კლდით კერძო მიავლინა ქვეითი, და ერთ-კერძო მიავლინნა ჰატიახშნი (მთავარნი) და სპასპეტნი, და სადაც სპარსთა მეფე იყო, მუნით თვით მივიდა ასი ათასითა კაცითა... და ცისკარი რა აღეებოდა, დაესხა ვახტანგ და შეეწყო ვიდრე ჰალატამდე შაჰისასა; შაჰ შეესწრა ცხენსა ზედა, შვილი მისი ბარტამ-კი მოკლა და მოჭეეთა თავი. და მუნ შინა სპარსმან ვინმე სცა ისარი მკერდსა ვახტანგისსა, და იყო ბრძოლაი შუადღემდე; სძლო ვახტანგმა სპარსთა მათ, და მოკლა მათგან ას ოცდა ათი ათასი, ხოლო სპათაგან ვახტანგისთა მოკვდა ოცდა რვა ათასი. და აიყარა მუნით სპარსთა მეფე და ჩადგა რუს-თავსა. და დამძიმდა წყლულება (ჭრილობა) ვახტანგის, რამეთუ შეწყულ იყო ისარი ფილტვად, და წარვიდა უჯარმას, და უბრძანა სპასალართა ქართლისათა, რათა ადგილსავე თვისთა დადგეს. სცნეს სპარსთა სიკვდილის მოახლოვება ვახტანგისი, აოხრეს თბილისი და არმაზ-ქალაქი, ხოლო მცხეთა ვერ დაიპყრეს და წავიდნენ"...

უჯარმა არ ჰკარგავს თავისს მნიშვნელობას შემდეგშიაც. ბვარამ მეფის დროს (575—600) ქახეთი და ჰერეთი დაიპყრეს დაჩის (ვახტანგ ბორგასლანის შვილის) შვილის-შვილებმა და დასხდნენ უჯარმაში, თუმცა იყვნენ მორჩილებასა შინა ბვარამისა.

663 წელს გარდაიცვალა მთავარი სტეფანოზ II და განუყო ხვასტაგი (საქონელი, სიმდიდრე) თვისი ორს თავისს შვილსა, მირსა და არჩილსა. მირმა წაიღო იგი ეგრისს, ხოლო არჩილმა, როგორც ამბობს მატიანე:

„დაეფლა საგანძური თვისი ხევსა კახეთისასა, ხოლო სამსახურებელნი ოქროსა და ვერცხლისანი—ხევსა უჯარმოსასა და საგანძურნი ქართლისა და ჯავახეთისანი დახსნა მახლობლად გორს, ხოლო საგანძურნი ეკლესიათანი დაეფლნა აჩრდილსა დიდსა სიოანისა მცხეთისასა"...

აქვე დაფლა არჩილმა ძვირფასი გვირგვინები მირიან მეფისა და ვახტანგისი, როგორც ამბობს „ქარლის-ცხოვრება“ (გვ. 252):

> . . . „რომელი დამალა ერეკლე მეფემან, რომლისა აღწერილი ეოგელი ვდევით ორთა მათთანა გვირგვინთა ზურმუხტისა და იაგუნდისა ძოწეულისათა (წითელისა), რომელნი იგი გამოიტანა მამამან ჩვენმა, დიდმა ვახტანგ მეფემან ინდოეთით, დავფლენით იგი უჯარმოს, მახლობელად შორის ორთა მათ კოშკთა უმტველოთა“.

თუ როდის დაარღვიეს მტრებმა უჯარმის ზღუდენი, ამაზედაც არის ცნობა ჩვენს მატიანებში. ადარნასე მეფის დროს (881—923) შემოესია საქართველოს არაბთ ემირი აბულ-კასიმი ურიცხვის ჯარით, მოადგა თბილისს და აიღო იგი. აქედამ

> „მოვიდა და მოადგა უჯარმოს, და შიგან დგეს სამასი ოდენ კაცნი, და ბრძოდეს მრავალთა დღეთა, და ვითარ იხილეს, რომელ ვერ დაუდგმიდეს, ამისთვის აღდგეს ღამით და გარდიხვეწნეს... აიღეს უჯარმა და ზღუდენი მისნი დაარღვევნეს“.

მას შემდეგ უჯარმა თან და თან ეცემა და დღეს, როგორც ამ წერილის თავშიაცა ვსთქვით, იგი მწირს სოფელსღა წარმოადგენს... მოგვყავს აქვე ლეგენდა, რომელიც მივიღეთ ჩვენ გორგასლანის ციხე-დარბაზის შესახებ ბ-ნ დ. ნახუცრიშვილისაგან.

გორგასლანის ციხე.

(დეგენდა).

ვისაც ძახეთისაკენ უმოგზაურნია, იმას უეჭველად ეხსომება სოფელი Ужარმა და ისიც, რომ Ужარმის ზემოდ— საცა საკახეთო გზა-ტკეცილი მთაზედ ადის და მერე Ივრისკენ ეშვება, იმ უღელ-ტეხილზედ, გზიდან მარჯვნივ არის ძველი, დანგრეული და მიტოვებული ციხე-დარბაზი საყდრით, რომელსაც ჰქვიან „Жვარ-პატიოსანი“ (იხ სურათი ზევით გვ. 217). ეს ძველი ციხე-დარბაზი სდგას მთის განმარტოებულს ცხვირზედ, საიდანაც ამაყად გადაჰყურებს Ივრის შემკულსა და ლაზათიანს ხეობას. Ბარშემო დიდი შეკრული ტყე აკრავს, რომელიც თავდება დაბლა—ზედ Ივრის პირად. Აქედან გადახედვა კარგა საგრძნობელს შიშს აუძრავს კაცს, ისეთს სიმაღლეზეა ციხე-დარბაზი. Თუმცა ბებერია, თუმცა გავერანებულია, მაინც ძველის რიხით გადაჰყურებს ბატონურად შორს დაბლა მოქუხარს და მოჩანჩქარე Ორს. Ივრის გაღმა ფერდობებიც აგრეთვე ტყით არის შემოსილი. Სამის მხრით ეს ციხე-დარბაზი შემოფარგლულია ხევებით, მეოთხით კი უერთდება მთის დედა-ძარღვს, რომელსაც ეკუთვნის თვითონ ციხის მტვირთველი ბორცვი. ზემოდან რომ გადაიხედოთ, დაინახავთ, რომ ციხიდან Ივრის პირამდის ფერდობზედ ჩაყოლებული რამდენიმე ხავსმოკიდებული ჩორსო კოშკი არის შიგ ტყეში. Ამბობენ, ეს კოშკები წყლის გზას იცავდნენო ომიანობის დროს. Აი ამ ციხე-დარბაზის ძველ დროის პატრონზედ დარჩენილია ხალხ-

ში ერთი ლეგენდა, რომელიც ეხლა მსურს გავუზიარო „მოგზაური“-ს მკითხველებს.—

Ოდესღაც, დიდის ხნის წინად,—როგორც გვიამბობს ხალხი,—აქ უცხოვრია ამ „ჯვარ-პატიოსნის“ ციხე-დარბაზის პატრონს— ვახტანგ მეფეს. მაშინ ეს ციხე ყოფილა მაგარი, მტკიცე, მტრის შეუვალი და პატრონის გამხარებელი, ხოლო მტრისათვის გულის მომკვლელი. ვახტანგი სცხოვრობდა აქ თავისს ცოლითა და ყმებით მშვიდათ და არხეინად, რადგანაც მტრებისა ისე აღარ ეფიქრებოდა. ისინი დამარცხებულნი ჰყვანდნენ. მხოლოდ შორიდან კი შურით უყურებდნენ მისს კეთილ-ცხოვრებას და ელოდებოდნენ მოხერხებულს შემთხვევას, რათა სამაგიერო მიეწყოთ წინანდელის მარცხისათვის. ერთი ოსის მთავარი, რომელსაც გული ძალიანა ჰქონდა ნატკენი ვახტანგისაგან, მალ-მალე მოვიდოდა ციხის ახლო-მახლოებში, უდარაჯებდა და ცდილობდა როგორმე მოეკლა ვახტანგი, მაგრამ ვერაფერს აწყობდა; პირიქით, თითონ დიდის ზარალით ბრუნდებოდა შინ. ბევრს ეცადა, მაგრამ ვერა გააწყო-რა. პირის-პირაც შეჰხვედრია, როცა ვახტანგს თავისს ცხენი წყალზედ მიჰყოლებია; ჩუმად ჩასაფრებულსაც უცდია ბედი, მაგრამ ამაოდ! ბევრი ცდისა და ნადირობის შემდეგ გადასწყვიტა. ხერხი ეხმარა და საწადელისათვის ისე მიელწია. ეგრეც მოიქცა.

ის წინადვე კარგად იცნობდა ვახტანგის ცოლსა; ისინი მეზობლები იყვნენ და ერთმანერთიც უყვარდათ, მხოლოდ ერთმანერთს კი ვერ ეკუთვნოდნენ, რადგან ძლიერმა მეფემ საქართველოისამ—ვახტანგმა წამოიყვანა ის თავისს ცოლად. ეს იყო მიზეზი და საბუთი მთავრისათვის, რომ შური ეძია, მეფის მოკვლა სდომებოდა და საყვარლის მოტაცება. ამიტომ ძალით რომ ვერას გახდა, ეს ხერხი იხმარა: ადგა, მისწერა თავისს საყვარელს არსებას წერილი, რომელშიაც, რასაკაირველია, ჯერ უცხადებდა სიყვარულს და მერე ატყობინებდა, რომ მას ჰსურს მისი გატაცება, მაგრამ ვერ მოუ-

ხერხებია, რადგანაც ვახტანგის ცხენ შეუვალია. შემდეგ სთხოვდა ესწავლეინა რამე ხერხი, რომ იმისი ქმარი გამოესალმებინა სიცოცხლისთვის და თითონ ქალი კი წაეყვანა თავისთან. ბოლოში მიაწერა, რომ აქვე ახლოს ვარ და პასუხს მალე ველიო. დაკეცა ეს წერილი, შეაბა ისარს და გაისროლა ქალის ოთახის ფანჯრისკენ. ისარი მართლაც შეიჭრა ვახტანგის ცოლის ოთახში. ქალმა შეხედა, ისარს ქაღალდი აბია. შეხსნა, წაიკითხა. ჯერ კი შეეყოყმანდა, ქმრის გაცემა და ღალატი არ უნდოდა, მაგრამ ბოლოს სიყვარულმა დასძლია და პასუხად მისწერა: „ამაღამ მე ვახტანგის ცხენს მარილის ნატეხს დავუდებ სალოკავად, წყალი ძლიერ მოსწყურდება; ხვალ რომ ვახტანგი ცხენს წყალზედ წამოიყვანს, შენ იქვე ახლო წყლის პირას ჩაუსაფრდი და როდესაც ხელს აუქნევს ცხენსა, რადგანაც ბეკრს წყალს არ ასმევს ხოლმე, მაშინ ესროლე ისარი იღლიაში; იქ თუ დასჭრი და ისე მოჰკლავ, თორემ სხვაგან არსად იარაღის მისადგომი ალაგი არა აქვსო. ეკადე ისარგებლო ამ შემთხვევით და მერე მეც შენი ვარო“.—შეაბა წერილი იმავე ისარს და ფანჯრიდანვე გასტყორცნა გარეთ...

ოსის მთავარმა პასუხი რომ მიიღო, მაშინვე მოემზადა. ქალმა კი იმ ღამეს ჩუმად ცხენს მარილის ნატეხი ჩაუდო ახურში და დილით ადრიან, ვიდრე ვახტანგი ჩავიდოდა მოსავლელად, ისევ ააცალა, რომ ეპვიც კი არ აეღო ქმარსა.

ვახტანგსა ჰყვანდა ერთი მშვენიერი და მოყვანილი ბედაური, რომლის ფასი პატრონისთვის მთელს ქვეყანაზედ არ მოიპოვებოდა. ისე უფრთხილდებოდა, როგორც თვალის ჩინს. იმის გაფრთხილება და სიყვარული იქამდის მიდიოდა, რომ მეფე ყმებს არ ენდობოდა და თითონ უვლიდა, ყოველ დილას წყალზედაც (ორზედ) თითონ ჩაიყვანდა ხოლმე წყლის დასალევინებლად. მტერს ამ დროსაც არ შეეძლო ევნო რამე ვახტანგისათვის, რადგანაც ის მუდამ შეიარაღებული იყო და ჯაჭვ-ჯავშანში გამოწყობილი, ასე რომ ერთი

ბეწო ადგილიც არა ჰქონდა ტანზედ, რომელიც რკინით დაფარული არა ჰქონიყო, გარდა იღლიებისა. ეს ერთად ერთი ადგილი იყო, სადაც შეიძლებოდა მისი დაჭრა ისრით, ან სხვა რითიმე. თავისი ჩვეულება ვახტანგმა ახლაც გაიმეორა.

ბამოიყვანა ცხენი. მაგრამ აღარ ისვენებს ბედაური, გიჟობს, ტოტსა სცემს, იწევს და ყალყზედ დგება, ისეა გახურებული მარილისაგან. ვახტანგი აზრსაც ვერ მოდის. იმასა ჰგონია, ქერი მეტი მომსვლია და იმისაგან არისო. ჩაიყვანა იორზედ, მიუშო დასალევად. ცხენი გაფოთებული ეცა წყალს და დაეწაფა. შეუურებს მზრუნველი პატრონი, რომ პირუტყვი ძღომას ვერ ეკიდება; უკვირს და თან ეშინიან არ გახეთქოს ამოდენა წყალმაო. აუკრა ხელი ავშარას ერთხელ, ვერ ააღებინა თავი; თან ფიქრობს, რა დაჰმართნია ამ ცხენსაო! — მერე მეორეთ აუქნია... ბაიწუწუნა ამ დროს მტრის მოშხამულმა ისარმა, მოხვდა შიგ მარჯვენა ხელის იღლიაში და განეწო გულ-მკერდში... მაშინ კი მიჰხვდა მეფე, რომ მუხანათად წაართვეს სიცოცხლე, რომ უღალატეს... მერე ვინ?.. ბოლმა, რომელმაც იცოდა, სად შეიძლებოდა მისი დაკოდვა... შეჰზიზღდა შინაური გამცემი და პირ-მცინარი მტერი... ბოლოს შეებრალა თავი, ნაამაგდარი ქვეყანა, შვილები, რომელნიც სხვაგან ცხოვრობდნენ... მიიხედა იქითკენ, საიდანაც ისარი გამოვარდა და დაინახა თავისი მოსისხლე მტერი, — ოსის მთავარი. ბაიბრძოლა, უნდოდა სამაგიერო გადაეხადნა, შეენანებინა თავხედობა... მაგრამ შხამმა გასჭრა და გმირს მეფეს ძალა წაერთო, მუხლები ჩაეკეცა... ოსის მთავარი გახარებული გაექანა ციხისკენ, გაიტაცა ვახტანგის ცოლი და თან მთელი ციხე-დარბაზიც ააფორიაქა...

დ. ნახუცრიშვილი.



კატა და ლომი,

იგავ-არაკი საბა-სულხან ორბელიანისა, დ. 1658, გ. 1725 წელსა.

ერთი კატა დაიარებოდა. ჰნახა, რომ ძუ ლომი მომკვდარიყო და ერთი ლეკვი დაჰრჩომოდა. წაიყვანა და ზრდა; დაუწყო. რა გაზარდა, დიდი შეიქნა. დაიწყო ლომმა ნადირობა და ნადირის ჭამა. ერთხელ ლომმა ვერაფერი დაიჭირა და შინ მშიერი მოვიდა. დაინახა თავისი გამზრდელი კატა და გამოუდგა, რომ შეჭამოს. კატა ხეზედ ავარდა. დარჩა ლომი ხის ქვეშ პირ-დაღებული.

უთხრა ლომმა: „ჩემო გამზრდელო! ეველა შენი ზნე რომ მასწავლე, ეგ ხეზედ გასვლა რატომ ადარ მასწავლეო?“

კატამ უპასუხა: „ეს ჩემთვის შეეინახე, რომ ასეთს გაჭირებაში გამოომდგომოდაო“.

წმიდა მოღვაწე ნინო *)

წმ. ნინო, მირიან მეფე და ნანა დედოფალი.

ლელა. მერე მოსდგეებიან ისივე სასახლის პირის ფარეშნი ამ ჩემს საბრალო მოხუცებულ გორანას (ქურუმებსაც არ სჯერდებიან) და ჯიჯინით სულს ყელში ჰგვრიან; ერთს დაუჟინია: ესა და ეს სიზმარი ვნახე, რა უნდა იყოს, ამიხსენიო. მეორე ჩასციებია—ძილში სიზმრით ვილაცამ მომატყუა და მითხარ რა არისო! მესამე ჩამოხინიჯებია—ნამძინარევს ძალლმა მიკბინა, რას ნიშნავს, გამაგებინეო; მეოთხე შესჩივის: მუცლის ბერვა მანაღვლებს, ბევრგან მარცხვენს და მიშველე რამეო; მეხუთე ეხვე-

*) იხილე „მოგზაური“ № 2, გვ 136.

წება—ცხენი მომპარეს და გამიგე ვინ მომპარაო; მექვსე შესტირის—ცოლს ვსძულვარ და შემაყვარეო; მეშვიდე ემუდარება: ვილაცამ კერპს გარდამცა და მარცხები თავიდგან ამაცილეო. ასე, ბატონო, თავათ მოხუცდა, ჭკუა ალარა აქვს თავში და ამისთანა ჯიჯინით დღეყოველ უფრო აშტერებენ და აბეჩებენ საცოდავ კაცსა!

ბორანა ცოლისაგან შეხუშტურებული გარე კარზედ რომ გავარდა, შეხედა მზე ახლად ამოდიოდა, ეთაყვანა ჯერ მზესა, შეევედრა რაც უნდოდა და მერმე შესწუწუნა თავის გულის სატკივარი კერპსა: „არმაზ, არმაზო, ტურფავ ლამაზო, დახატულ-გამშვენებულო! შემეწიე, მიშველე, მომეხმარე, მეტად ბნელ დღეს შევესწარ, მეტისმეტი შიშის ზარისგან შეპირვებული ვარ, სული მეხუთება, გული მიკვდება, ლამის გადავირიო, საოცარმა სიზმარმან დამლია, დამადნო! ჩვენი ქვეყანა იღუპება და შენ-კი არ ნაღვლობ, ვაი ჩვენი ბრალი! რისაგან ხდება ეს, შემატყობინე, რომ რამე მოვუგვარო: დავიცვა, დავიფარო როგორმე.

ამ დროს ალიონ დილაზედ, მირიან მეფე სასიარულოდ რომ გამოსულიყო, თვალი მოჰკრა ბორანას და ხმაურობაც რომ გაიგონა რაღაცას შებღავლიდა ზადენსა, მიაშურა ფეხი, მიესალამა:—გამარჯობა, ბორანავ?—უპასუხა: თქვენი თავი მიცოცხლოს ღმერთებმან.—ჰკითხა მეფემ:—რა არის, რას შესთხოვ ამ დილაზედ არმაზსა?

ბორ. წუხელის ერთ ხანს ვფიქრობდი ქრისტიან ქალზედ, რომ ჩვენს წარმართულ სჯულს ჩვენს მეფის სატახტო ქალაქში გვიმცირებს და ქრისტეს სჯული კი ცამდის აჰყავს; სასწაულით სნეულებს ჰკურნამს და მით არა მარტო სოფლელ ერობას, ისევე თავად-აზნაურობასაც იზიდამს თავისკენ დღითგან-დღეზედ და ჩვენ-კი ხელს გვაბანინებს მათგან. ასე ამ ნაირ აზრებში ცოტა რამ ჩა-

მეძინა და ისეთი საშინელ სათრთოლველი სიზმარი ვნახე, რომ მაშინვე თვალები დავჭყიტე შიშისგან აკანკალებულ-ათრთოლებულმან...

ამ დროს აბიათარიც მიემატათ, მიესალამა მეფეს და დადგა მათთანა.

მეფემ უბრძანა: ბორანავ! გვითხარ შენი სიზმრის შინაარსი?

ბორანა. ისეთი საშინელი ჭექა-ქუხილი და მეხების ტეხვა ასტყდა, რომ მთელი ღმერთები დაიზელნენ, დაიფეთნენ; არმაზი მეტად მღელვარე უწყვეტლივ ყვიროდა, ღრიალებდა, არ ირჩეოდა კილო თუ რაზედა, ასრევე სხვა ღმერთებიცა, მთელი საქართველოს მთა-ბარი ირყეოდა იქამდის, ვიდრე მთელი მთები დაირღვნენ, დაიშალნენ და მიწასთან გასწორდნენ, მთელი მიდამო აღმოსავლეთიდგან დასავლეთამდე გავაკდა. აღელვებული მტკვარი ღავისს კალაპოტითგან გარეთ გავიდა და მორწყო მთელი მიდამო. მერმე დაგუბდა, დატბავდა და მთელი მცხოვრებნი კაცით ქალამდის დაღუპა, მხოლოდ აკვანში მწოლი ჩჩვილი ყმაწვილები მორჩნენ დაღუპვისაგან აკვნების წყალობითა!

მეფე. საშინელებაა, საშინელება?!!

აბ. არა, ბატონო, არ არის საშინელება: ეგ ძალიან კარგი სიზმარი არის, ოველია წინასწარმეტყველისა არ იყოს: „მოხუცებულნი თქვენნი ძილის შორისსა იძილის-შორისებდნენო“ (ᲘᲝ. 28). მაგის ბოლო ღვთისა და მეფის წყალობით კეთილი არის. თუ მიბრძანებთ მოგახსენებთ სიმართლესა,—შეეკითხა აბიათარი მეფე მირიანსა და მოგვთ-პეტს ბორანასა. ორნივე ნებას აძლევენ.

აბ. ღმერთმან დიდხანს გაცოცხლოს, მეფევ, ბედნიერად და გამარჯვებით შენს მტრებზედ, ჩვენს სარგოდ და სასიხარულოდ და მოგვთ-პეტსაც მის სამართლით უშველოს. ეგრეთი სიზმარი სხვა არა არის რა, თუ არ ჩვე-

ნის ესაიას წინასწარმეტყველება ქრისტიანობაზედა, ათასი წლით წინ გვიმახარებლებს მესსიის მოსვლაზედა, რომელიც არის იესო ქრისტეს წმინდა სარწმუნოების ჩვენში ახალად შემოსულის ძლიერება. როგორც სწერია სახარებაშიაცა: „ხმა ღაღადებისა უდაბნოსა შინა, განმზადენით გზანი უფლისანი და წრფელ ჰყენით ალაგნი მისნი, ყოველი ხევნები აღმოივსოს და ყოველნი მთანი და ბორცვნი დამდაბლდნენ, და იყოს გვლარძნილი იგი მართალ და ფიცხელი იგი გზად წრფელად და იხილოს ყოველმან ხორციელმან მაცხოვარება ღმრთისა“ (ლუკ. გ. 4..).

ამ დროს მეფის ვეზირი დიდსულაც მოვიდა და გაერია მათში.

ჯბ. დარ-ავდრის მომვლენელი ყოვლის მპყრობელი ერთი ღმერთია. ძერპები-კი წარმართ მოგვთა, ქურუმთა და ბრამანთ მოგონილ-მოკერებულია, რომელთაც ტყვილუბრალოდ კაცთა ცვა-მფარველობას აწერენ; რაც კაცის ხელით გაკეთებულ-გამოჭრილია ან ჩამოსხმული, ქვა იყოს, ხე, ოქრო თუ ვერცხლი, იმათ თვითან კაცნი ინახვენ და იფარვენ, არა თუ ისინი კაცთა. ამ სიმართლეს წარმართ ფილოსოფოსნიც მიმხდარიყვნენ და თქვენც უნდა მიმხვდარიყავით, რომ სულ უბრალო ცრუმორწმუნოებაა. სიზმრის ახსნა ასრე გახლავთ: ჰექა-ქუხვილი ქრისტიანობის მოქადაგეთ ძლიერება არის; არმაზის ყვირილ-ღაღადი და სხვა კერპებისა თავიანთ თავის უარ-ყოფაა, რომ ისინი არ არიან ღმერთნი; მთაგორების დაშლა-დარღვევა—კერპების პირქვე დამხობა-დამუსვრა არის; მთელი ქვეყნის გასწორება-გავაკება—ქრისტიანული წმიდა თავისუფლება არის, რომ ყველა კაცი, ქალი, ყრმა, მოხუცებული, დიდი თუ პატარა თანასწორე არიან ძმობაში, გარჩევა არ იქმნება; მტკვრის კალაპოტის გარედ გასვლა და მორწყვა მთელის მიდა-

მოებისა და დატბავება, რითაც დაღუპულან მთელი მცხოვრებნი—წარმართობის მოშლა-მოსპობა არის. აკვნის ჩჩვილ ყრმაწვილების გადარჩენა წყალში დაღუპვისაგან—ქრისტიანების ახალ ცხოვრებას ნიშნამს, აკვნის ჩჩვილ ყრმაწვილებსავით უმანკო და უწყინარი კაცთმოყვრული მშვიდობიანობით უნდა დაფუძნდეს ქრისტიანობა. ეს ხილვა ღმერთმან ზორანას აჩვენა, რომ არა მარტო თვითან მოემზადოს ქრისტიანობის მისაღებლად, ისევე თავისს ქვემდებარე მოგვნი თუ ქურუმები და მათთან მთელი ქართველი ერობაცა თავისთან ერთად შეიერთოს ქრისტიანობითა...

ზორანა მეტად გაწყრა და დაიძახა: „მე ვერ მოვითმენ კერპების გინებასა, საშინლად მწყინს მათი შეურაცხყოფა და არცა ვიკადრებ მაგაზე ურიას პასუხი მივსცე, რომ მეთაკილება“. გაშორდა ღა წავიდა მრისხანედ!

მირიან მეფე. რა აანჩხლებს ამ კარგ კაცსა, სიტყვის თუ სიზმრის სწორე ახსნას რა ეთქმის, რისთვის მწაროპს და ბრაზობს?

დიდსულა გეზირი. სიზმრის ახსნა თავის გულისად რომ არ იყო, არ ეხინიშა. *).

ა ბ. მგეც არის და უფრო ეს, რომ ქრისტიანი დედაკაცის საარწმუნოება არ მოსწონს, მისი სასწაულები ჰშურს, ვეღარაფერი ვერ მოუგვარებია, თუ რით გააშავოს და სახელი გაუტეხოს მას ერობაში. ჰხედამს, რომ დიდი წილი კეთილ-შობილება და მოქალაქობა დიდით წვრილამდის თანაუგრძნობენ, დიდად მიაჩნიათ, დღე-ღამ თავს დასტრიალებენ, სწავლა-დარიგებას დიდის მისწრაფებით უსმენენ. აბა თუ როდისმე გაგონილა ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ერობაში მაგდენი სასწაული, ასობით სნეულთ კურნება, უსასყიდლოდ, მარტო მადლისთვის?

*) ხინიში—ამება, სიამოვნება.

ვეზარა. საკვირველია, სითგან გაჩნდა ეგ ქრისტიანი დედაკაცი; როგორც ამბობენ, კარგი დედა თავის ერთადერთ ნანატრ შვილს მის დროს იმდენ სიყვარულს, იმდენ ლმობიერებას და სიბრალულს ვერ უჩვენებს, რაოდენსაც ის ნაირ-ნაირ სნეულთ, მახინჯთ და დიდად დაშავებულთ უჩვენებს დედა-შვილურად; და კურნების გარდაცა უტკბობს სამაგალითოდ სულსა და გულსაო, რომ სულ მის ხსენებასა და ქება-დიდებაში არიან ყველა გამრთელებულნიო!

ად. ეგ ქრისტიანი დედაკაცი მესხეთიდგან ჩამოვიდა ჩვენში ამ სამის წლის წინად, ერთ ხანს ჯავახეთში ყოფილიყო. იმ ქალწულებისაგანი არის, რომელნიც სომეხთ ტრთად მეფემ აწამა, ამოწყვიტა! ის ქალწულები წინად რომში ყოფილან, მერმე რომიდგან გამოქცეულან ამ ჩვენის ქვეყნისკენ; დიოკლეტიანე რომის კეისარს მოუწერია წერილი სომეხთ ტრთად მეფესთან: „ამა და ამ ნიშნით რომიდგან ქრისტიანი ქალწულები გამომექცნენ თქვენსკენ, მათში ერთი ჩემთვის არჩეული სადედოფლო არის, თუმცა საშინლად სძაგთ ჩვენთან შეუღლება, სახელი მისი რიფსიმე, მეტად საუცხოო ტურფა სახე-ტანისა; თუ გიყვარდე, ისინი მოსძებნე, ხელთ იგდე და მე ჩემი გამომიგზავნე და თუ არ ინებოს, ჩვენსკენ არ გამოსწიოს გულმან, თქვენთვის ინებეთ თქვენის სურვილისაებრ“.—ტირთადმა მართლაც მოაძებნინა, აპოვნინა, მაგრამ რიფსიმე ვერას ღონისძიებით ვერ „დაითანხმა ქორწინებაზედ: მე ქრისტესთან მაქვს სიტყვა მიცემული, ვერ ვუღალატებ, ასე ქალწულობაში უნდა მოვჰკვდეო! მისგამო რიფსიმესთან ერთად პირველ დღეს ამოწყვიტეს 33 ქალწული და მეორე დღეს რიფსიმეს გადია ბაიანესთან 4, სულ 37 ქალწული. აგერ ასეთი ბარბაროსული უწყალობისთვის რისხულა ტრთად მეფე სომხებისა ღვთისაგან და გალო-

რებულა, რომელიც შემდგომ ბრიგოლ პართეველის ლოცვით ხელ-ახლავ ადამიანად ქცეულა. იმ ქალწულების წამებისგან ეს ქრისტიანი ქალი ეკლნარის ქოჩებში მიმალული გადარჩენილა და მერმე ჩვენსკენ წამოსულა. ცოტა ხანს ურბნისში ყოფილა და მერმე მცხეთაში ჩამოსულა. იმ ხანებში, არმაზის დღეობაზედ, რომ შეყრილობა იყო არმაზის ციხესთან, ამბობენ ეს ქრისტიანი დედა-კაციც იქ უნახიათ; მისი ლოცვით თურმე მომხდარა ის ავდარი, რომ შემუსრულან მთელი კერპები; მერმე მეფის მებაღეს, უშვილო ცოლ-ქმართ შეხიზვნია, იმათაც ხომ შვილები გასჩენიათ მისი ლოცვითა! ახლანდელი სასწაულები თქვენ ხომ ჩემზედ უკეთ იცით, რაცა ჰხდება დღე-ყოველ!..

მეფე. მე ეგ ყველა მესმოდა და ვუფიქრდებოდი კიდეც, მარამ ნანა დედოფალი მეტად წყინობდა, არ უნდოდა სულ ქრისტიანი დედაკაცის სახელის გაგონება; და მის სასწაულებრივ კურნებათაც თვალთ-მაქცობადა სთვლიდა ერთ ხანსა, მერმე კი ეჭვი შეუვიდა თავისს მსჯელობაზედა და ხან-და-ხან მეტყოდა: როგორც სჩანს ამ ეროობის ხშირი მოძრაობა უბრალო არ უნდა იყოს, ბევრისგან ბევრნი იკურნებიან თურმე ყოველ-ნაირის სნეულებისაგან. რამდენიმე მეც ვნახე ჩემის თვალით ცხედრებით მიჰქონდათ და იმავ წამსვე თვალწინ დამიდგნენ ფეხით მობრუნებული მიმავალნი თავიანთ სახლისკენო! ბოლოს ხომ თვითონაც გამოსცადა, რო არა ეშველა-რა მკურნალებისგან იმ თავისს საშინელს სნეულებაში ტ მისი ლოცვით და ჯვარის გადაწერით კი სრულიად განთავისუფლდა, მაშინ დღე გაქვთ და სიცოცხლე, მან ის ქრისტიანი დედაკაცი შეიყვარა და მიიჩნია დიდად; ყოველ დღივ მის ხსენება-ქებაში არის, ძილშიაც კი ის აგონდება; აღარ მოსწონს კერპთ-მსახურება, ისე მოიხიბლა მისგან და შეეკვეთა, რომ სული-გული მისკენ

აქვს, ყოველ დღივ მიბრძანდება ხოლმე მის სანახავად!..

ას. რაც ითქვას გარეულად, საზოგადოდ საეჭვო ხდება: ქვეყანაზედ კაცს ტყუილ-მართალი თავს აბეზრებს: რა კაცი ზედ-მიწევნით თვითონ გამოსცდის და თვალით ნახამს, მაშინ კი მტკიცედ რწმუნდება, რომ ისრე არის და ისრე ყოფილა, და რაღა შეუძლია კაცს, რომ მაგისთანაზედ გაეჭვიანდეს!

ვეზარი. რა ტომისა არის და ან რა ენაზედ ლაპარაკობს, იქნება იცოდეთ, კარგია კაცმან შეიტყოს?

ას. ქართულად ლაპარაკობს და ქართველი ტომისაც უნდა იყოს სამეხეთოს მხრიდგან, იქნება ქაპადუკიელიც იყოს.

ვეზარი. მეხეთელ ან ქაპადუკიელს რომში რა საქმე ექმნებოდა, იქ რათ იქმნებოდნენ?

ას. საქართველოს დასავლეთი—მეხეთი და ქოლხიდა, რომაელების მფარველობის ქვეშ რომ არიან, ის, როგორც კეთილშობილთაგანი, მძევლად ყოფილა და რა ვადა შესრულებია, სხვა ჩასულა მაგის მაგიერ, და ეგ მაშინ იქაურ ქალწულების დობაში შესულა და ისინი რომ გამოქცეულან რიფსიმეს მიზეზითა, იმათ თან გამოჰყოლია ეგეც მწირად; იმისთვისაც რომაელ ტყვეობას იჩემებს სიმდაბლით.

ვეზ. ქართველებს ურიები არ უყვართ, ქართველი რომ ყოფილიყო ურიებს არ დაუმეგობრდებოდა, პირველშივე ქართველებს მიჰმართავდა?

ას. ბატონო, ეგ იმისთვის, რომ ქართველები წარმართები იყვნენ, ღვთის სჯულ-კანონის უვიცნი: ურიები კი ყოველგან სჯულ-კანონის მცოდნენი არიან და მასთან ადგილობრივ მცხოვრებთა ავ-კარგიანობის დაახლოვებით მცნობელნი. იმისთვის პირველში ურიებს გაეცნო, რომ იმათგან გაეგო ადგილობრივ მცხოვრებთ ყოფა-

ქცევა და ისე დაეჭირა თავისი საქმე; ქართველებთან ერთად ურიებიც შეიძინა და გული მოუგო ყველას!..

ვეზ. თქვენ ურიები ამბობთ: ჩვენი სჯულისთანა მართალი სჯული, ნამდვილი ღვთის მცნობელი არ არის ქვეყანაზედაო. ეს ქრისტიანული სჯული რაღა არის, რომ თავში მოექცა თქვენს სჯულს? თქვენ ვერც ერთ სასწაულებს ვერ ახდენთ ვერსად, და ეგ ქრისტიანი რა მოვიდა აქ ამ მცხეთაში, სულ სასწავლებრივი სნეულთ-მკურნალობით აავსო და გაასპეტაკა ჩვენი ქვეყანა!

ან. ჩვენი ებრაული სჯული საძირკველია ქრისტიანობის სჯულისა. ამ ქრისტიანობას უნდა მოეყვანა სისრულეში და დაეგვირგვინებინა ბრწყინვალედ და კიდევაც ისე იქმნა, ისეთი ბრწყინვალე ღვთიური მადლით სავსე სჯულის ტაძარი აშენდა ყოველთ იმედად და ნუგეშად, რომ მთელი ქვეყნის ტომების სანუკვარ-სანატრელია! სახარების წიგნშიც ასე სწერია: „სჯული მოსესაგან მოეცა, მადლი და ჭეშმარიტება იესო ქრისტეს მიერ“-ო. ეს სთქვა და მოშორდა.

გორანა, გამწყრალი კერპების გინებისათვის, წავიდა, თავისს დარბაზში შევარდა ტ სიბრაზისაგან დორბლებს ჰყრიდა პირითგან. იქ დახვდა თავისი შემწე მოგვი მახარა.

მახარა. ბატონო, რა დაგმართნია აგრე სახიფათო, რომ მაგრე გამწყრალხართ, — ჰკითხა წყნარად.

გორ. როგორ არ გაწყრება და არ გავეშპდება კაცი, რომ მეფისა და დიდებულის წინაშე ღმერთები უპატიურდებოდნენ ურიისაგან და ისინი კი გულიან უსმენდნენ მას?

მახარა. როგორ იქმნა ეგ, რომ ღმერთები შეურაცხ იქმნენ?

გორანა მოუყვა დაწვრილებით, ყველაფერი უთხრა თავისს სიზმრისა და მისი ახსნის საქმეცა და მოაყოლა მას დრტვინვა და სამდურავი: ახლავე მოურიდებლად გვიმჟღავნებენ კერპობის მოსპობასა, ჩვენს მარცხს, ჩვენს დაქ-

ცევასა და აკლება-აოხრებასა; ერთი ლუკმა პური გვქონდა, რითაც ძლივ-ძლივობით გამოკვყავდა თავი და ცოლ-შვილი და ისიც შეიშურეს ჩვენთვის, არ გაუტანათ თვალმან, ხელიდგან გვგლეჯენ, გვართმევენ ძალისძალად და ასე გულ-ხელ დაკრებილ შიშველ ტიტველთ გვსმენ მთელს მოგვობას და ქურმობასა ეკლებზედა; მოდი და ნუ მოკვდები! ჩვენი თავ-განწირული სამსახური, დღე-ღამე თავის ხეთქვა არავინ არ დაინახა, არც მეფემ, არც დიდებულთა და არც-არა თავად-აზნაურობამ; მოქალაქობა და გლეხობა ხომ აღარაფრად გვთვლის, მასხარად ვართ აგდებული დიდ-პატარისაგან!

მასხარა. ბატონო, ეგ მოსათმენი არ არის. ახლავე თბილთბილ კვალზედ უნდა მივჰყვეთ ფეხ-და-ფეხ, რამე საშუალება უნდა ვუღონოთ! შე დალოცვილო, მე თავიდგანვე გაგიტყდი ამ ჩვენის ქართველობის უკუღმართობაში, გეუბნებოდი, ამ დღივ მიტეხილნი არიან სიმრავლით, მთელ დღეს არ წყდება შიმსვლელ-მომსვლელი იმ ქრისტიან დედაკაცთან, რაღაცა თვალთ-მაქცი ქალია, ყველას ჰხიბლავს, იზიდამს ტკბილის ქართულით, ყველას ჰკურნამს და იძენს კიდეც თავისს სჯულზედა, სულ არავის სთხოვს გასამრჯელოს, არც ფასს და არც საჭმელ-სასმელსა და ჩვენს ერობასაც ის უნდათ!

გორ. ეგ გამთელება სენიან-ჭირიანებისა კარგი საქმეა, შველაა მთელი ქვეყნისა ტ დიდი სიკეთე; მაგრამ ერობა რომ ამ სჯულს ჰკარგავს და მის სჯულზედ მიდის, ის არის სატირელ-საგლოველი... დაფიქრდება... ჩვენ მაშინ გაგვიწყრა ღმერთები და სვე-ბედი, როცა ნანა დედოფალი ავად გახდა მეტად მძიმე სნეულებით და არა ეშველა რა მკურნალებისგან. იმ ქრისტიანმა დედაკაცმა რომ გაჰკურნა, იმან დაგვისხა ჩვენ ცეცხლზედ წყალი და მიიბირა მთელი ერობა!

მახ. დიაღ, სწორედ მეც მაგის თაობაზედ მინდა მოგელაპა-

რაკოთ: იმისთანა საქმე დავიჭიროთ მისი საწინააღმდეგო, რომ ერობა ისევ ჩვენსკენ გადმოვიდეს, ჩვენი ხელის შემხედვარი გახდეს და ჩვენს მზესა და სვეს უწყოს ფიცვა-რწმუნება!..

გორ. მეფე გაგვიორგულა დედოფლის განკურნებამ. იმიტომ ხმა არ ამოიღო ურიის გინებაზედ ჩვენ კერპთა. მთელი უფლისწულ-ასულობა, სეფე-ქალნი, სეფე-წულნი სულ იმ ქრისტიან ქალის ქება-დიდებაში არიან; ყოველ დიდებულთა, შორს მყოფ თავად-აზნაურობათა, მოქალაქეთ, ხელოსანთ და გლეხ-კაცობას მისწვდა მისი სიკეთის ამბავი. და რით უნდა შევიძლოთ ჩვენ მათი ხელის შეშლა, თვალების ახვევა, დღისით, მზისით საქვეყნოდ აშკარად მოხდენილ საქმეს რაღა ეთქმის, არა ერთისა და ორისა, მრავალ გვარი სნეულების მორჩენას და სრულიად განთავისუფლებას თავიანთ სნეულებისაგან: ბრმა ჰხედამს, ყრუს ესმის, ბლუ მშვენიერად ლაპარაკობს, კოჭლი სწორედ ადგამს ფეხთა, კუტი დარბის-დახტის სიხარულისაგან, ხელ-ფეხ შეტაცებული თავისუფლად ხმარობს ხელ-ფეხსა, ყვიციანი წითლად ღაჟღაჟებს, ჭორფლიანს ვარდივით მოსწმენდია სახე, ყიყვიანს დაჰფუქია ყიყვი, სურას მიუგავს ყელი, ცხვირ-პირ მორღვეულს ჩჩვილ-ყრმული სუფთა სახე მოჰბმია, წყალ-მანკი გამრთელებულა, ჭლექიანი კარგ ვაჟ-კაცებისგან აღარ ირჩევა, მუწუკიანები, ძუარებიანი, ელქუნიანები და მუნიანები განწმედილან ყოველ მანკიერებისაგან, ასე სხვა მრავალ ამისთანა დამიზმიზიანებულთ, ჭკუა-შეშლილთ, ატაცებულთ და გადარეულთ ვეღარვის ხედამთ, ასობით, ორასობით დადიან ყველა მხიარულნი მხიარული მცხეთის ქალაქის დამამშვენებლად, ასეთს მდგომარეობაში რაღა გვეთქმის? სულ რომ არა იყოს რა, ჩვენი დამაბრკოლებელი რამე საჩვენო შემთხვევაში, მარტო ისინი გვეყოფიან ჩვენ ჩვენის ენა-პირის დასაყოფად და

შემარცხვენელად! ეს ახალი საქმე ხომ არ არის, ბარე სამ წელიწადზედაც მეტია. დროით ვერ შევეცადეთ, ვერაფერი ვერ მოვაგვარეთ მის საწინააღმდეგოდ და ახლა ასე გასაჭირში ჩავარდით, ხელ-ფეხი ერთ მუხრუჭში მოგვემწყვდა, ველარ გავნძვრეულვართ, ასე ალაგობრივ უმტეროდ, უჩხუბრად ვმარცხდებით უბედურად!

მახ. მაშ თუ შეიძლება მოვიწვიოთ მოგვთა და ქურუმთ ყრილობა და მოვილაპარაკოთ გულნებიერად ჩვენ-ჩვენად, ვნახოთ სიმრავლე რას იტყვის ამაზედ, ბევრთ-ბევრი რამ ეცოდინებათ. ზოგჯერ ამისთანა ყრილობაში ერთი იმისთანა ნიჭიერი კაცი გამოხდება, რომ ყველას აჯობებს რჩევაში!..

ლელა წარმართთ ცრუ-მორწმუნებაზედ მდურვის შემდგომ მივიდა სასახლეში ნანა დედოფალთან და შესჩივლა ზორანას უკუღმართობაზედა: ეს ღვთის რისხვა ბოროტი კაცი ზორანა, ჩამოგვდგომია მეტად ახირებულად და არ გვასვენებს, გვიმწარებს და გვიშხამებს სიცოცხლესა თავისს შხამ-გესლიანის საეშმაკო ენითა: გვექადება, გვაშინებს ყველა სეფე-წულთა და სეფე-ქალთა. რა კი ურიებთან შეერთებულხართ და ქრისტიანობას ავრცელებთ მცხეთაში ჩემს წინააღმდეგად, დამაცადეთ თუ მე თქვენ რა შავი და ბნელი დღე დაგაყენოვო! თქვენც იცით, დედოფალო, თუ რა განხორციელებული ეშმაკის გვერდია; ჰსთხოვეთ მეფეს, შეაგონოს რამ მისთანა სიტკბო-სიამით, რომ როგორმე დაშშვიდდეს, დაწყნარდეს, თორემ მწარობით ვერაფერს ვერ შეასმენს და უფრო უარესს სავნო საქმეებს დაიჭერს ქრისტიანობის საწინააღმდეგოს; ღვთის გულისთვის გვიშველეთ, გვიპატრონეთ რამ, თორემ თავისს ნათქვამს არ გარდასთქვამს არას ღონით და ჩვენ დავიღუპებით!..

ნანა. ნუ გეშინიან, ქალბატონო ქალო. უბედური მოხუცებულობისაგან მიხრწნილა, პირში კბილი აღარა აქვს,

თავზედ ბალანი და მუხლში ძალ-ღონე. საკოდავი წან-წალ-ფარფატით დალონღილებს, ლაპარაკისა ხმაც უწყდება და ხიხინი გააქვს, მნახველი იტყვის, ეს არის სული გასძვრება ტანიდგანო ამ საკოდავსა. მაგისი რიხი და ქადაგება რა იქმნება? რად შფოთავ ტყვილად მაგაზედ და იფუჭებ სისხლსა?

ლელა. რას ბრძანებთ, დედოფალო! ბარეთ განგებ აგრე ისაწყლებს თავს ეგ წყეული: შინ სახლში ეშმაკად და ჯოჯოხეთად არის გამხდარი, შიშისგან ხმა ვერ გამიცია, ავის სიტყვით, ავის პასუხით, ლანძღვით და გინებით ქვეყანას გამომასალმებს. მაგ რიგობით არის, რომ ვეებართელა დელფინი დედა-კაცი დამლია, დამანახიჭოვა. არ გიკვირსთ, ხასებიც კი აღარ ადგებიან, მალ-მალ ვისაც არა მგონია მოხიბლამს, აითრევს, მოიყვანს, ერთ ორ დღეს ძლივ რჩებიან, რა იგემებენ მის უხასიათო ტინგიცობას *), ველარ ითმენენ და ისევ უკანვე იპარებიან, მიდიან თავიანთ სახლებში. სწორეთ ცეცხლია და მეხი ღვთის რისხვად მოვლინებული!

ნანა. ნახეთ მაგ გაღრეკილ გამხმარ ბერახუასა, თუ რამდენი სიავკაცე შესძლებია? კაცი თვალით არ გაისინჯება. რაღა ხასების დრო აქვს მაგ დასაქცევსა? იმისთვის უთქვიათ: ყოველი მფრინველი გარეთგან ჭრელია და ადამიანი კი შიგნითგანო!

ვინმე მესხი.

(შემდეგი იქნება).

*) ტ ი ნ გ ი ც ი, ტ რ ი ბ უ ც ი — ორივე მეტად ტუტუცს ნიშვნენ.

შანთი და მდულარე*).

(ჩვენის სამართლიდგან)

ერთი მეცნიერი ამბობს, ძველ დროის სამართლის ქმნა ბევრად მიაგავდა აწინდელს შელოცვას და მკითხაობასაო. მოსამართლე თითქო თითონვე გრძნობდა, რა ადვილად შეიძლება შევსცდეო და, ბჭობის ჟამსა, ემუდარებოდა უზენაეს ძალას და ევედრებოდა ღვთაებას,—მეუხ და მწე მეყავ ცოდვისა და ცდომის შვილს და ზეცით ჭეშმარიტება მომიგლინეო. ამიტომაც სამართალს ღვთიური თვისება და ხასიათი ჰქონდა და განაჩენი ღვთაების მსჯავრად ითვლებოდა. ამ აზრთა მიმდინარეობაში უნდა ვეძიოთ შანთისა და მდუღარის შთამოებაც. ერთიცა და მეორეც უძველეს დროს ეკუთვნოდნენ და თითქმის საყოველთავო ჩვეულებას წარმოადგენდნენ. თუმცა შანთი და მდუღარე უფრო ინდო-ევროპიელ ერთა შორის აღორძინდა, მაგრამ სხვა მოდგმის ხალხნიც არ დასტოვა. ახლაც-კი უჩვენებენ შანთსა და მდუღარეს აფრიკასა და იაპონიაში, კუნძულს ცეილონზედ და სხ.

ვახტანგის სამართალიც იხსენიებს შანთსა და მდუღარეს. უყურადღებოდ იმათ არც ვახუშტი სტოვებს. მაგრამ ვახტანგი და ვახუშტი, შედარებით, ახალის დროის მემატიანენი არიან და ამიტომ ჩვენს მწერლობაში წარმოითქვა აზრი, ვითომ შანთი და მდუღარე ქართულ სამართლის კუთვნილებას არ შეადგენდნენ და გადმოღებული იყვნენ... „Русская

---

*) შანთი გახურებულ რკინით გასამართლებაა, ხოლო მდუღარე—ადუღებულ წყლითა.

Правда"-დგან! „შანთი და მდულარე არ მოიპოვებიან ძველ ქართულსა და სომხურს მწერლობაში, კავკასიონის მთიელთა ადათმაც არ იცის არც ერთი და არც მეორე და ამიტომ მგონია, რომ იგინი „Русская Правда"-ს მეოხებით გაჩნდნენ ჩვენშიო",—ასე დაასკვნის ჩვენი სასიქადულო მეისტორიე დ. ბაქრაძე.

მაგრამ ასეთი დასკვნა უსაფუძვლოა. ჯერ ერთი, რაც აქამომდე ძველ ქართულ მწერლობასა და სიგელებში არ აღმოჩენილა, იგი შესაძლოა შემდეგ აღმოჩნდეს. მეორე, სრული შეცდომაა, ვითომ კავკასიონის მთიელთა ადათში შანთი და მდულარე არ მოიპოვებოდეს. აწინდელმა ეთნოგრაფიულმა გამოკვლევამ, აი თუნდ ოსების სამართალში, აღმოაჩინა შანთისა და მდულარის ნაშთი. ესეც რომ არ იყოს, რა შუაშია „Русская Правда"? ვახტანგის სამართალი ისრე ძალლა სდგას ამ რუსების „Правда"-ზედ, რომ იქ ჩვენი სამართალი გამოსაღებს და გადმოსატანს ვერას იპოვიდა. მაგრამ საყურადღებო უფრო სხვა გარემოებაა: ვახტანგის მდულარე ვრცლად აღწერილი და განმარტებულია და სრულიად მიაგავს ინდო-ევროპიელთა მდულარეს. „Русская Правда"-კი მარტო წყალს იხსენიებს და ახლაც მეცნიერებს ვერ გამოუკვლევიათ,—იგი წყალი მდულარეა, თუ სხვა რაიმე კერძო ფორმა წყლით განბეჭობისა. მაშ რა გზით შეიძლებოდა მდულარის გადმოღება?

თუ-კი გავლენა მართლა საჭიროდ დაინახეს, რუსულ „Правда"-ს რად მიმართეს, როცა შანოს ჰხმარობდნენ ძველნი ბერძენნი, სპარსნი, ბიზანტიელნი და საქართველოს კიდევ მჭიდრო დამოკიდებულება ჰქონდა ამ განათლებულ ერებთან?! მეტადრე ძალუმი იყო ბიზანტიის გავლენა და ბიზანტიაში ხომ შანთი სამართლის იარაღად აღიარებული იყო. რასაკვირველია, ამ გარემოებათა მიხედვითაც, ქართულ შანთისა და მდულარის უცხოეთიდგან შემოტანას დიდად ესაჭიროება დასაბუთება. ლიტონი სიტყვა, თუნდაც სახელოვა-

ნის მეისტორიესი, აქ არა კმარა. საბოლოოდ და სამუდამოდ-კი უნდა ხელვძღვანელობდეთ იმ მთავარ აზრით, რომ ქართულ სამართლის პირვანდელნი ფორმანი, ამ სამართლის ნასახნი (ემბრიონი) ინდო-ევროპიელ შთმოებისანი არიან. ამ დასკვნას დაადგა მეცნიერება. მომავალი კვლევა და ძიება ჩვენის სამართლისა ამ გზით უნდა ვიდოდეს.

ქართველთა ზნესა და ჩვეულებაში მოიპოვება თითოოროლა ისეთი ნაშთი, რომელიც ნათელს ჰფენს ამ დიად საყურადღებო საგანს. ინდო-ევროპიელებმა იცოდნენ ეგრედ წოდებულ კოტონით განსჯა: შეწამებულს, თავის გასამართლებლად, ანთებულ ცეცხლზედ გადაახტუნებდნენ ხოლმე. ასე იყო, მაგალითებრ, თვით ინდოეთსა, საბერძნეთსა და სპარსეთში. იქ კოკონის გარდა, შეწამებულს შიშველ ფეხებით ნაკვერჩხლიან ცეცხლზედ გაატარებდნენ ხოლმე. ჩვენებური ჭიაკოკონაბატ ხომ კოკონს ემსგავსება, თუმცა, დროთა მსვლელობისა გამო, აწინდელმა ჭიაკოკონამ აზრი და ფორმა ცოტად შეიცვალა. მაგრამ შანთის სხვა ნაშთიც არის დარჩენილი. სიგელებსა და გუჯრებში მოხსენებულია ეგრედ წოდებული დადაღვა. დადაღავდნენ ხოლმე გახურებულ რკინით და უეჭველად მძიმე შეწამებულს. მოგეხსენებათ, რომ ძველად ევროპაში კუდიანებს ცეცხლში სწვავდნენ. ჩვენი სამართალი-კი იმათ უმეტესად დადაღვას უჩენდა და აღსანიშნავია, რომ თვით ეკკლესია ღაღადებდა—კუდიანი უეჭველად დაიდაღოსო. ცხადზედ ცხადია, რომ ეს დადაღვა შანთია, თუ გნებავთ, ამ შანთის კერძოობითი ფორმა და სახე და არა სხვა რამე. საყურადღებოა, რომ ინდო-ევროპიელთა სამართალი შანთს მხოლოდ დიდ დანაშაულისთვის ჰხმარობდა. ჩვენი ძველი დადაღვაც ამ აზრისა იყო. ჯერ კუდიანობის შეწამება საზოგადოებას ისედ დიდ დანაშაულად მიაჩნდა, რომ ამ შეწამებისთვის ნახევარ სისხლს ახდევინებდნენ. აბა თვით კუდიანობა რაღა უნდა ყოფილიყო ხალხის თვალში?—იგი უმ-

ძიმეს დანაშაულად ითვლებოდა და დადაღვაც ამიტომ ჰქონდა გაჩენილი.

დიაღ, ჩვენის შანთ სა და მდულარის დასაბამი ინდოევროპიელთა და საზოგადოდ არიელთა სამართალში უნდა მოიძებნოს. ვახტანგისა და ვახუშტის შანთი და მდულარე ნამდვილი და უტყუარი ასლი იყო იმ სამართლისა. ამ აზრს ცხადად ამტკიცებს შედარებითი განხილვა. და აი ახლა თვით ეს განხილვაც.

უკვე აღვნიშნეთ, რომ ინდო-ევროპიელთა სამართალი შანთსა (და მდულარესაც) დიდ დანაშაულისათვის ჰხმარობდა. ჩვენშიაც სწორედ ეგრე იყო. სცდებიან ზოგნი მეცნიერნი, რომელნიც ამბობენ, ვითომ შანთსა და მდულარეს მაშინ მიმართავდნენ ხოლმე, როცა სხვა საშუალება და სახსარი აღარ იყოო. არა, ძველ ინდოეთში ერთსაც და მეორესაც წინადვე განსაზღვრული და ნაჩვენები ჰქონდა დანაშაული: ბოზობა, ძარცვა, ვარვა,—აი უმეტეს ნაწილად იქაურის წყლისა და ცეცხლის სამფლობელო, მდულარისა და შანთის საასპარეზო. მეტადრე ბოზობა უმძიმეს დანაშაულად მიაჩნდათ.

საყურადღებოა, რომ ვახტანგის სამართალიც სწორედ ასეთ დანაშაულად ჰხადიდა ბოზობასა. იგი სამართალი ისე მკაცრად სდევნიდა ბოზობას, ისედ დიდ ბოროტად და მწიკვლად აღიარებდა, რომ ზიზღი ბოზობისა თითქო უსულო საგანზედაც გადაჰქონდა—„თუ დიაცი ბოზი არის, მზითევიც ბოზი იქმნების“-ო, მკაფიოდ ბრძანებდა ვახტანგი. მაგრამ დედა-აზრს ავსცდით.

მსგავსად ძველ ინდოეთისა, ჩვენშიაც შანთსა და მდულარეს მძიმე დანაშაული ექვემდებარებოდა და, სხვათა შორის, იგივე დანაშაული, რაიცა ინდოეთში—ბოზობა, ქურდობა, ძარცვა. მართალია, ვახუშტი დასძენს—„ხოლო შანთი ქურდთა გამართლებისათვის იყოო“, მაგრამ ეს შეცდომაა, აქ მხოლოდ კერძო მაგალითია გაზოგადებული. შანთს

უფრო ფართო ასპარეზი ჰქონდა შემოფარგლული და იგი ასპარეზი სიგრძითა და სიგანით ინდოეთისას უდრიდა: „შანთი მაშინ აეღებინების, რომე ან ბატონის ღალატი და ორგულობა, ან საყდრის კატეხა, ან ბოზობა და მგზავსი ამისი შეეთქვას", — ამბობს ვახტანგი. სნვა ადგილას ყოველ ამას ვახტანგი ზედ უმატებს დიდებულთა და ცოლის მოკვლას. ეს მკვლელობა მძიმე დანაშაულს შეადგენდა და გასამართლებლად შეწამებულისთვის შანთს ანუ მდუღარეს თხოულობდა. რადგანაც ვახტანგის სიტყვით, „შანთი და მდუღარე ორივ ერთი არის", ამიტომ მდუღარის ასპარეზიც ისეთივე იყო, როგორიც შანთისა.

ინდოელთა სწამდათ, რომ ცეცხლს ღვთაებრივი ძალა აქვსო. ამ რწმენის გამო შანთი პირველადვე ღვთიურ მსჯავრად იქმნა აღიარებული. საქართველოშიაც ხომ, სპარსთა გავლენით, გავრცელდა ცეცხლის თაყვანისცემა, რომელიც, საშეფოს დაარსების დროიდგან, რელიგიურ დაწესებულებად იქმნა აღიარებული და დიდხანს ებრძოდა ქრისტიანობას. მაშ ჩვენშიაც შანთს ძველადვე შესაფერი და ნაყოფიერი ნიადაგი ჰქონდა და ხალხსაც შანთი ღვთიურ მსჯავრად მიაჩნდა. როცა არიელნი გარდასახლდნენ ევროპაში, მაშინ გაავრცელეს შეხედულობა, რომ შანთი ღვთაების საქმეა და თვით უზენაესი მეუფე უხილავად, გახურებულ რკინისა და ადუღებულ წყლის სახით, ასამართლებს დამნაშავეებსაო. შემდეგ ქრისტიანობამ ხელი შეუწყო ასეთს მოძღვრებას. ამის გამო შანთსა და მდუღარეს გარეგნობით ქრისტიანობის ფერი დაედო. ევროპიელთა სამართალი დიდის გულ-მოდგინებით აწესებდა, რომ შეწამებული, ქრისტიანულ კანონისამებრ, საშინელს სამსჯავროს ღირსეულად უნდა მიეგებოსო, ცოდვათაგან განიწმინდოს, ეზიაროს, ჯვარსა და ხატზედ იფიცოსო. ჩვენმა მართლმადიდებლობამაც ასეთის პატივითა და დიდებით შეამკო შანთიც და მდუღარეცა. ვახტანგი სავალდებულოდ ჰხადის — „ალოცონ იგი კაცი, რომელსაც შანთი და მდუღარე უნდა

გაუჩინონო". ხოლო, როგორც ზეპირ გარდმოცემით სჩანს, შეწამებულისთვის სულის მოძღვარს ზეთი უნდა ეკურთხა, შვიდი დღე ელოცებინა, აღსარება ეთქმევინებინა და მერე წარედგინა სადაც ჯერ იყო (ასე თურმე იყო გურიაში, როგორც დ. ბაქრაძის საარქეოლოგიო მოგზაურობა ჰმოწმობს).

თვით გარეგანი ფორმა, როგორც საზოგადოდ ევროპიულის, ისრე ქართულის შანთისა დიაღ რომ მიაგავს ინდოეთისას. რასაკვირველია, მათ შორის მცირედი განსხვავებაც მოიპოვება, მაგრამ ეს ხომ მიუცილებელად ასე უნდა ყოფილიყო. აი თვით ინდოელთა შანთიც: მოედანსა თუ სხვა გამოსაჩენს ადგილზედ შემოხაზავდნენ ცხრა თანასწორს წრესა, თვითეულს მათგანს თექვსმეტ გოჯის მანძილზედ ერთი მეორისაგან. მერე გაახურებდნენ რკინის ტუჯსა ანუ სახნისს, მოიყვანდნენ შეწამებულს და ხელის გულზედ მცენარის ფოთოლს დააფარებდნენ. შანთოსანს იმ ხელით იგი ცული ან სახნისი უნდა აეღო, ცხრა წრეზედ გადამხტარიყო და მერე გადაეგდო. შემდეგ ხელს შეუხვევდნენ და სამის დღის უკან გაუხსნიდნენ. თუ ხელი დამწვარი ჰქონდა, მტყუანი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში—მართალი. ეს შანთი მცირედის ცვლილებით დაფუძნდა ევროპიელა სამართალში. მაგალითებრ, ძველ ინგლისის შანთი თავისის ფორმითა თითქმის ინდოელისებურია. მაგრამ ირლანდიასა და შოტლანდიაში-კი შანთმა, ცოტა არ იყვეს, ფერი იცვალა: იქ შეწამებულს სამართალი უბრძანებდა, გახურებულს ცულს ხელით-კი ნუ აიღებ, ენა დაადეო და თუ ცული არ გეპრიანება, მაშინ გამდნარს ტყვიას დააწე ენაო. ჩეხნი საშანთოდ გახურებულს საკვეთელს ჰხმაროობდნენ. შეწამებულს ასეთს საკვეთელზედ ორი თითი უნდა დაედო და ვიდრე ლოცვას არ გაათავებდა, არ უნდა აეღო. პოლონელებმა ორ ნაირი შანთი იცოდნენ. მიწაზედ დააწყობდნენ სამს, ფეხის გულის ოდენა, რკინის ნაჭერს და შეწამებულს ზედ შიშველ ფეხით გაატარებდნენ. თუ ფეხები ებრალებოდა, ხელში უნდა აეღო გახურებული

რკინის ჯოხი, სამი ბიჯი გადაედგა და მერე გადაეგდო. ისპანია ინკვიზიციის სამშობლოდ ითვლებოდა და იქ, რა თქმა უნდა, შანთი უნდა აყვავებულიყო და აღორძინებულიყო. ასეც მოხდა. ისპანელთა სამართალი დაწვრილებით განმარტავს, საშანთო რკინა ამა და ამ სიგრძისა, სიგანისა და სისქისა უნდა იყვეს და ხელის გულზედ კარგად დაეტიოსო, მღვდელმა უნდა სწიროს და იგი რკინა აკურთხოს, შეწამებულს ხელები გაუსინჯოსო... ცხრა ბიჯის გადადგმა, ხელის ტილოთი შეხვევა და სამის დღის შემდეგ გასინჯვა სავალდებულოაო. ჩვენში?

ჩვენებური შანთიც ინდო-ევროპიულ ხასიათისაა და გარეგნობით, ფორმით ძრიელ მიაგავს თავისს დედანს—ინდოეთურს შანთსა. ეს მსგავსება იქამდე აღწევს, რომ პირველ შეხედვით გეგონებათ კიდეც, თითქო ქართული შანთი ინდოეთის სამართლის წიგნიდგან იყვეს ამოღებული. მეტადრე ეს ითქმის იმ შანთზედ, რომელსაც ვახუშტი აგვიწერს—„გაახურვიან სახნისი, ვითარცა ნაკვერცხალი და დასდვიან მალალთა ზედა, რათა მალიად შეეედვას ხელნი ქვეშე მისსა, დასდვიან შეწამებულსა ტიდო ანუ ქადალდი; იგი მივიდის და აღიღის სახნისი და წარდგის სამი ბიჯი და გარდააგდის; მასვე წამსა შეუხვევიან ხელნი სამ დღემდე და შემდგომად სამისა დღისა გაუხსნიან“...

ეს სახნისი, ტიდო ანუ ქადალდი, სამი ბიჯი და სამის დღის შემდეგ ხელის გასინჯვა, მცირედის განსხვავებით, თითქო გადმოღებული ასლიაო ინდოეთურის შანთისა!..

მაგრამ ჩვენში ორგვარი შანთი იყო. პირველი ხომ ზემოთ ვუჩვენეთ. მეორე ვანტანგის შანთია, რომელიც ვახუშტის შანთისაგან განსხვავდება. აი ვახტანგის შანთი—„რკინა რამ (ვახუშტის სახნისის მაგიერ) გაახურონ, რომ გაწითლდეს, მქნელს კაცს ხელზედ ქადალდი უნდა დაადვან, მერე ზედ ის გაწითლებული რკინა და რა რომ დაადვან, მაშინვე სამს ბიჯს წინ უნდა წახტეს და მერე წახტომილმან უნდა

გარდაგდოს; თუ არ დასწვა, მართალი არის და თუ დასწვა, ტყუილად გამოვა"... *) არც ხელის შეხვევა და არც საშის დღის შემდეგ იმ ხელის გასინჯვა საჭიროდ არ არის ცნობილი. სახნისის მაგიერ რკინა რამეა მოხსენებული. ცხადია, რომ ვახტანგს ამ შემთხვევაში შეცდომას ვერ დავწამებთ. არა, იგი შანთს სწორედ და მართლად აღწერს, მაგრამ მაინც ისრე არა, როგორც ვახუშტი. რად?—ჩვენის აზრით, ამის პასუხი ჯერ ინდოეთში და მერე ევროპაში უნდა მოვიკითხოთ.

ინდოეთში ღვთიური მსჯავრი—რკინითა და წყლით გასამართლება—მრავალნაირი იყო. ძერძოდ შანთი ორ სახით სწარმოებდა—რკინითა და კოკონით. დამნაშავის პიროვნებაზედ და თვით დანაშაულის თვისებაზედ იყო დამოკიდებული,—თუ რომელი შანთი უნდა ეხმარათ. ევროპაშიაც ზოგან სამართალი ამ გზას მისდევდა. მაგრამ ინდოეთში და მერე ევროპაშიაც შანთმა, დროთა ვითარების გამო, თავისი პირვანდელი სისასტიკე და სიმკაცრე ნელ-ნელა დაჰკარგა. მალალმა წოდებამ, თუ თავი ვერ იხსნა შანთისაგან, ისრე მაინც მოაწყო შანთის საქმე, რომ უვნებელად რჩებოდა ისეთს საშინელს და შემმუსვრელს სტიქიონს, როგორიც ცეცხლია. ეჭვი არაა, რომ არც ჩვენი შანთი ასცდა ამ ცვლილებას. აქ არის ძირითადი მიზეზი ჩვენებურის შანთის სხვა-და-სხვაობისა. ცხადია, რომ ვახუშტის შანთი თავისის სახნისით უფრო ძველის დროისაა და პირვანდელს ფორმას წარმოადგენს. თვით სახნისი ღალად ჰყოფს, რომ იგი უმეტე-

---

*) როგორც დ. ბაქრაძის საარქეოლოგიო მოგზაურობიდგან სჩანს, გურიაში შანთი წონით სამი გირვანქა იყო, სიგძე ჭქონდა შვიდი გოჯი და სიგანისა იყო კაცის ხელის გულის ოდენა. ქალალდზედ დოცვა ეწერა—დმერთო მამაო, ძეო და სულო წმიდაო, თუ მართალი ვარ, ნუ დამწვას ხელი, თუ მტუუანი—დამეწვასო. სამის ბიჯის გადადგმა საჭირო იყო.

სად მდაბიო დამნაშავესთვის იყო დაწესებული. ხოლო ვახტანგის შანთი თავისის რაისამე რკინით ახალს დროს ეკუთვნის და უფრო ხელს უწყობს შეწამებულს, მოტყუებითა და თვალთ-მაქცობით, უვნებელად გადარჩეს ღვთის მსჯავრსა...

საყურადღებოა, რომ ჩვენებურმა მდუღარემაც ისეთივე ცვლილება გამოიარა, როგორიც შანთმა და, ცვლილების გამო, ბოლო დროს ორის ფორმითა და სახით აღინიშნა. თავისი დასაწყისი ამ მდუღარესაც შორეულ წარსულში აქვს და ინდო-ევროპიულ შთამოებისაა. ინდოეთში წყალს, როგორც სამართლის იარაღს, დიდი ძალა და მნიშვნელობა ჰქონდა. ასეთ იარაღად ხმარობდნენ, როგორც ცივს წყალს, მდინარეს, ისრე ადუღებულს, მდუღარეს. შეწამებულს ხელფეხს შეუკრავდნენ და მდინარეში გადააგდებდნენ. თუ დასძირავდა,—მართალი იყო, ვინაიდგან წყალი წმინდა სტიქიონიაო და თვისს წიაღსა შინა მხოლოდ უმანკო არსებას მიიღებსო. როცა არ დასძირავდა, მაშინ მტყუანი იყო. ხოლო მდუღარე ეწოდებოდა ქვაბში ადუღებულ წყალს, საიდგანაც შეწამებულს შიშველის მკლავით რაიმე რკინეული ნივთი უნდა ამოეღო. იცოდნენ ეგრეთვე წმინდა წყლით განსჯა. წყალში კერპს ჩააგდებდნენ და შეწამებულს დაალევინებდნენ. ხმარებაში იყო შხამითა და ადუღებულ ერბოთი გასამართლებაც. ძვაბსა თუ სხვა ჭურჭელს ადუღებულ ერბოთი გაავსებდნენ, ძირში ბეჭედს ჩააგდებდნენ და შეწამებულს იმ ბეჭედს ხელით ამოაღებინებდნენ. საყურადღებოა, რომ ოქროს ბეჭდის მდუღარიდგან ამოღება ძველმა სპარსელებმაც იცოდნენ ხოლო ებრაელებს კერძოდ ბოზობისთვის თავისებური ჩვეულება ჰქონდათ: შეწამებულ მემრუშე ქალს ერთნაირს მწარე სასმელს დაალევინებდნენ. მუცელს თუ შემოაბერავდა, მტყუანი იყო, თუ არა და—მართალი. დიაღ, როგორც ისტორია მოწმობს, წყლითა და სასმლით განსჯა მრავალ-გვარი იყო, მაგრამ ინდოელთა ცივმა წყალმა და მდუღარემ კი ევროპა დაიპყრა. ამ ცივს წყალსა და მდუღარეს

ხშირად და უხვად შეხვდებით ირლანდიასა და შოტლანდიაში, შელსსა და ინგლისში, საფრანგეთსა და გერმანიაში, სლავიანთა ქვეყნებში და სხვ. დიდს ამბით იცოდნენ ძველ ინგლისელებმა მეტადრე ცივ წყალით განსჯა. შეწამებულს ალოცებდნენ, აზიარებდნენ და მერე მდინარის ნაპირს მოიყვანდნენ. აქ წყალს შეულოცავდნენ, შემდეგ დამნაშავეს თოკით ხელ-ფეხს შეუკრავდნენ, ჯვარსა და სახარებას ამთხვევდნენ, ასხურებდნენ და... წყალში თავ-დაღმა გადაუშვებდნენ. თითქმის ესეთივე ჩვეულება ჰქონდათ ძველ ფრანგებსაც. განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ იმათ არა სწამდათ წყალის წმინდა ძალა,—თუ შეწამებული მტყუანია, წყალმა უთუოდ უნდა დასძიროს და დაახრჩოსო. ფრანგთა Lex Salica მდუღარესაც იხსენიებს და იარაღად ასახელებს ბეჭედს, რომელიც ქვაბის ძირიდგან უნდა ამოელოთ. მდუღარე გავრცელებული იყო სლავიანთა შორისაც. სერბთა ენაზედ მდუღარეს ეწოდებოდა ქვაბი, ვინაიდგან შეწამებულისთვის ქვაბში ადუღებდნენ წყალს. პოლონელთა ცივი წყალი ინგლისელებისას მიაგავდა. თავისებურება ეტყობოდა მხოლოდ ჩეხების წყალსა. ჩვენი სამართალი ცივ წყალს არ იხსენიებს. მარტო ენაშია დარჩენილი თითო-ოროლა სიტყვა— „წყალსაც წაუღიხარ“, „წინ წყალი, უკან მეწყერი“ და სხ., მაგრამ ასეთი მასალა არა კმარა ცივის წყლით განსჯის არსებობის დასამტკიცებლად.

მდუღარე კი ხშირი იყო. უძველესი მდუღარე ვახუშტის აქვს აწერილი—„აადუღიან წყალი ქვაბსა შინა, შთააგდიან მტირე რკინა მას შინა, მოვიდის შეწამებული შიშველისა მკლავითა და აღმოიღის რკინა იგი და წამს შეუხვევიან“... აქ ქვაბი, მტირე რკინა და შიშველი მკლავი პირდაპირ ინდოეთიდგან გადმოღებულია და წარმართობის დროის ნაშთს წარმოადგენს.

მეორე მდუღარე მოხსენებულია ვახტანგის სამართალში და, როგორც ცხადად ეტყობა, უფრო ახალის დროისაა და

ქრისტიანობრივის სახისა. აი ვახტანგის მდუღარეც:—„წყალი აადუღონ, ზედ ჩხირი გადუდვან ქვაბზედა და ძაფით ან რკინისა და ან სპილენძის უნაწილო ჯვარი, რომელზედაც სახე არ იყოს გამოყვანილი, გინა ვეცხლისა იყოს, ჩაჰკიდონ და რა ადუღდეს წყალი და გადმობრუნდეს, გადმოიღონ და მან კაცმა ჩაჰყოს ხელი სახელსა ზედა ღვთისასა და ის ჯვარი ამოიღოს; მასუკან ფიცხლავ პარკში ხელი ჩაუდვან, დაუბეჭდონ, მესამე დღემდის ისრე იყოს, მერე გაუხსნან; თუ არ დასწვია, მართალი არის და თუ დასწვია, მტყუანი არის და რასაც ჰსწამობენ, გარდაახდევინონ“. აშკარაა, რომ ჩვენებურს მდუღარეს, დროთა მიმდინარეობაში, დიდი ცვლილება გამოუვლია, ვახუშტის საწარმართო მდუღარეს ვახტანგის საქრისტიანო მდუღარე გვერდით ამოსდგომია. რამოდენად პირველი მარტივია, იმოდენად მეორე რთულია. სად არის მიზეზი ამ მდუღარის სხვა-და-სხვაობისა? სწორედ იქ, სადაც შანთისა. ვახუშტის უზადო და უხრიკო მდუღარე მეტად სამძიმო იყო. შეწამებულის შიშველი მკლავი ძნელად თუ გადარჩებოდა იმ მრისხანე სტიქიონსა. სულ სხვა უნდა ითქვას ვახტანგის მდუღარეზედ. ეს ქვაბზედ გადებული ჩხირი და ძაფით ჩაკიდებული ჯვარი მეტად მარჯვე საშუალებას აძლევდა მოხერხებულს შეწამებულს—რუსების თქმისა არ იყვეს—წყლიდგან წმინდად გამოსულიყო... უვნებლად ჯვარი ქვაბის ძირიდგან ამოეღო. ვის უფრო შეეძლო ეს ოინი, თაღლითი? —რასაკვირველია, სასულიერო წოდებას და ფეოდალობას. სამართლის ქმნაც ხომ იმათ ხელთ იყო. ამიტომაც პირვანდელი მდუღარე შეამკეს თვალ ასამბელ ცერემონიით და შიგ ჯვარი ჩაჰკიდეს ჩხირითა და ძაფით... დაბალ წოდებას-კი უძველესი და აშასთანავე უმძიმესი და უძნელესი მდუღარე დაუნარჩუნეს,—პირდაპირ უჩხიროდ და უძაფოდ უბრალო რკინა მდუღარით სავსე ქვაბის ძირში ჩაუგდეს. სხვაგანაც ასეთი თავ-გადასავალი ჰქონია მდუღარესა. ინგლისში, მაგალითებრ, დამნაშავისა და დანაშაულის მიხედვით ხან ბევრს

წყალს აადუღებდნენ ქვაბში, ხან ცოტას, ზოგჯერ ღრმად ჩაუშვებდნენ მკლავს მდუღარეში, ზოგჯერ ზედაპირად. ეოველივე ეს დამოკიდებული იყო იმაზედ,—თუ სახელდობრ ვის და რისთვის ასამართლებდნენ. მაშ რა საკვირველია, თუ ჩვენი მდუღარეც, დროთა ვითარებისა გამო, ცდომისა და მაცდურების გზას დაადგა...

მაინც შანთი და მდუღარე ნელ-ნელა ჰკარგავდა თავისს საყოველთავო და სავალდებულო ძალას და საყურადღებოა, რომ ყველგან პირველად სასულიერო კაცთა და მაღალ წოდების წარმომადგენელთ აიცილეს თავიდამ ეს საშინელი სამსჯავრო. ასე მოხდა ინდოეთში, რომელიც შანთისა და მდუღარის სამშობლოა. ასე იყო ევროპაშიაც. Lex Salica კეთილ-შობილს და თავისუფალს კაცს ნებას აძლევდა შანთისა და მდუღარისაგან ფულით თავი დაეხსნა. ინგლისში XI საუკუნეს ცივი წყლით და მდუღარით მარტო ეგრედ წოდებულ ვილანებს *) ასამართ ლებდნენ,—არისტოკრატიამ და კერძოდ სასულიერო წოდებამ შანთი და მდუღარე მონებს დაულოცა. ჯერ მონებს ქირავობდნენ საშანთოდ და სამდუღროდ და შემდეგ ეს დაქირავებაც მიატოვეს. ბოლოს 1215 წ. ლატერანის კრებამ **) სრულიად ალკრძალა შანთიცა და მდუღარეც

---

*) ვილანები – საშუალო საუკუნოებში ევროპაში ასე ეძახდნენ დაბალი, მოხარკე წოდების ხალხს, გლეხებს, არა ფეოდალებს. ედ.

**) ლატერანის კრებანი—საეკლესიო კრებანი, რომელნიც იმართებოდნენ პაპების ეგრედ წოდებულ ლატერანის (პატრონის ეკვარია) სრა-პალატებში ქ. რომში (იტალიაში). მათში ხუთი კრება რომის ეკლესიისაგან ცხობილია მსოფლიო კრებად. მესამე მათგანმა, მაგ., 1179 წელს პაპა ალექსანდრე III-ის დროს, შეამუშავა წეს-რიგნი პაპების არჩევანების შესახებ, ხოლო ავტორის-მიერ აქ აღნიშნულმა კრებამ სხვათა შორის გადასწყვიტა მთლად ამო-

ყველგან, სადაც კათოლიკე სარწმუნოება იყო აღიარებული. ხოლო საქართველოში შანთმა და მდუღარემ სამეფოს თვითარსებობის მოსპობამდე გასტანეს. მაგრამ უკვე აღვნიშნეთ, რომ ჩვენშიაც იგი მსჯავრი ცვალებადობის გზას მისდევდა და მიუცილებლად თითონვე მოისპობოდა, თუნდაც გარეშე გავლენა არა ყოფილიყო...

ნ. ურბნელი



წყვეტა კეთილ ადბიგოელებისა (მდ. გარონის ხეობაში, საფრანგეთში), რომლებიც უარს ჭეოფდნენ ბაბის უფრობობას, მაგრამ მისდევდნენ მოტიქულთა დრობის ქრისტიანულ ცხოვრებას. კრების ამ დადგენილების წაადობით მართლაც ამოსწყვიტეს ოტი-ათასზე მეტი ადბიგოელი, განურჩევლად ასაკისა და წოდებისა.

რედ.

ეხლანდელი დუელი.

ბ-ნმა ურბნელმა, ჟურნალ „მოგზაურის“ პირველ ნომერში (გვ. 37), გაგვაცნო მკითველი საზოგადოება ჩვენებურ დუელის წარსულ ისტორიას, მის დასაბამ მიზეზებს და მაშინდელ მის დანიშნულება-მნიშვნელობას. ამიტომ, ვფიქრობ, მეტი არ იქმნება აქვე გამოვარკვიოთ იმისი დღევანდელი ვითარება-მდგომარეობაც.

რა დანიშნულების აღმასრულებელია დღეს დუელი? დუელის დღევანდელ დანიშნულებას შეადგენს: დააკმაყოფილოს შეურაცყოფილ ადამიანთა თავ-მოყვარეობა—შეურაცმყოფელთა დასჯით და მასთან-ერთად, აღასრულოს საზოგადო ჩვეულებათა მოთხოვნილება. თუ დღევანდელი დუელი ამას მართლა ასრულებს და ხსენებული დანიშნულებაც ყალბი და მარტო მოჩვენება არ არის, მაშინ, რასაკვირველია, ის ნამდვილად საჭირო ყოფილა საზოგადოებისათვის და ამიტომ მისი ასეთი გაზვიადებაც—სამართლიანი. ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში ის ძველთა ჩვეულებისაგან გადმოცემულ ჟინად უნდა ჩაითვალოს და ამიტომაც ადრე-თუ-გვიან უეჭველად სრულადაც მოისპოს.

ეველა ზემოხსენებულის გასათვალისწინებლად წარმოვიდგინოთ, რომ ერთმა პირმა შეურაცჰყო მეორე პირი. ამ შეურაცყოფის გასაბათილებლად მეორე პირმა გამოიწვია პირველი პირი დუელში, ე. ი. უთხრა: „ან მე უნდა მოგკლა შენ, ან შენ უნდა მომკლა მეო“. აქედგან ცხადია, რომ შეურაცყოფილი პირი ერთ და იმავე სასწორზედ სდგებს, როგორც შეურაცმყოფლის, ისე თვის საკუთარ ღირსება-თავმოყვარეო-

ბას და სიცოცხლეს. ვსთქვათ, გათავდა დუელი და შეურაცმყოფელმა მოჰკლა, ან დაჰკოდა შეურაცყოფილივე. ეხლა ერთი ვიკითხოთ: რით დაიკმაყოფილა ამ უკანასკნელმა თავისი თავ-მოყვარეობა?! პირველმა პირველად შეურაცჰყო უკანასკნელი და მეორედ დუელშიაც დაამარცხა იგი. ცხადია, რომ, თავმოყვარეობის დაკმაყოფილების მაგივრად, შეურაცყოფილს დუელი ერთი-ორად ამცირებს. ყველაზედ უფრო საკვირველი აქ ის არის, რომ დუელი, ვითომ, მაშინაც კი აკმაყოფილებს შეურაცყოფილ პირს, როცა იგივე მარცხდება!!. ეს თუ მართლა ასეა, მაშ გამოდის, რომ დუელის მოტრფიალე შეურაცყოფილი ადამიანი თხოულობს, ან უკეთ რომ ვსთქვათ, ეუბნება შეურაცმყოფელ პირს: „რაკი ერთხელ შეურაცმყავ და დამამცირე, გთხოვ (ჩემის თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად) მეორეჯერაც დამამცირო და დამსაჯოვო“!!. ამ ნაირად, დუელში გამოსვლით თავ-მოყვარეობის დაკმაყოფილება (უმეტეს შემთხვევაში) უბრალო მოჩვენება და თავისს მოტყუება გახლავს, რადგანაც არც ერთი ნამდვილად თავმოყვარე ადამიანი არ გასცვლის საყვარელ თავს,სხვა, მისგან უკვე ათვალწუნებულ,მოწინააღმდეგის თავზედ.ამიტომ თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ,რომ დუელი თავის-თავად დღეს ძალ-მომრეობის კანონს წარმოადგენს, რადგანაც ის ერთნაირად უყურებს ტ სჯის მართალს და მტუანს. მისგან გასამართლება შემთხვევაზედ ჰკიდია და ეს უკანასკნელი კი თოფ-იარაღზედ. და განა, სადაც თოფ-იარაღი მსჯელობს და სამართლობს, იქ შეიძლება რაიმე კანონ-სამართლის მოპოვება?!..

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ შეურაცყოფილმა დაამარცხა დუელში შეურაცმყოფელი. აკმაყოფილებს ამით პირველი თავისს თაცმოყვარეობას? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა, და, აი, რატომ: შეურაცყოფა ცოტათ თუ ბევრად, ხანგრძლივს შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზედ; ადამიანთა პატიოსანი ზნეობრივი სიფაქიზე და თავ-მოყვარეობა ვერ ურიგდება ხსენებულ შეურაცყოფას და ამიტომ რამდენადაც ადრე გაინთა-

ვისუფლებს თავს ხსენებულ შეურაცყოფისაგან და დავიწყებას მი სცემს მას, იმდენად ადრე დაწყნარდება თვითა დამიანი ტ დაკმაყოფილდება მისი ზნეობრივი სიფაქიზეც. მხოლოდ, საუბედუროთ, ადამიანის წარმოდგენა არ აშორებს თვალს ხსენებულს შემთხვევას და ყოველთვის მეცადინეა, რომ ხსენებული შეურაცყოფა, შეურაცყოფილ პირს ყოველს წამში თვალ-წინ დაუყენოს. აი, ამ ნაირია მისი ზნეობრივი დამცირება და სასჯელი.

ამიტომაც მისი შეურაცხყოფილი თავმოყვარეობა თხოულობს — შეურაცხმყოფელის ზნეობრივის სიფაქიზის ამნაირადვე დასჯა-დამცირებას. ხოლო ამ უკანასკნელის ზნეობრივი სიფაქიზე და თავ-მოყვარეობა დამცირდება მაშინ, როცა ის თავისს უგუნურობით ჩადენილს დანაშაულობას გულ-წრფელად თავ-მოხრილი აღიარებს მისგანვე შეურაცხყოფილის წინაშე. დუელში შეურაცხმყოფელის დაჭრა კი (დამარცხება) არა ვითარ ზნეობრივ სასჯელს არ წარმოადგენს, რადგანაც დაჭრილს (დამარცხებულს) მოწინააღმდეგე პირს ახსოვს და სტანჯავს მხოლოდ თავისი ჭრილობა. ზნეობრივის მხრით ის უზრუნველ-ყოფილია, რადგანაც მან, საზოგადოების წინაშე, უკვე აღასრულა თავისი ვალდებულება, ე. ი. დუელში გაჰყვა მოწინააღმდეგე პირს, ხოლო სიკვდილი ხომ სრულებით ანთავისუფლებს მას ყოველ-გვარ ზნეობრივ ტანჯვა-დამცირებისაგან. ცხადია, რომ დუელში გასვლით მხოლოდ თავს იტყუებს შეურაცხყოფილი პირი და ამით ის საზოგადოებასაც ატყუებს.

დუელი ადამიანთა ძველის ჩვეულების ნაანდერძევია. იგი ძალ-მომრეობის ნაშთი, უძველესი დროის და წეს-წყობილების ნაყოფია. თავისი ხანგრძლივის მეფობისა გამო იგი ისე მჭიდროთ შეეთვისა და შეუკავშირდა ადამიანთა ჩვეულებაშეხედულებას, რომ მისი აქედგან გამოძევა მეცხრამეტე საუკუნემაც კი ვერ შესძლო და დღეს, როგორც ვხედავთ, ამის შესრულება მეოცე საუკუნეს გარდაეცა. თუმცა საზოგა-

დოების უმეტესმა ნაწილმა კარგად იცის დუელის უმიზნო და სამარცხვინო თვისება-დანიშნულება, მაგრამ ბევრი მაინც ვერა სთმობს მას; ამისი მიზეზი საზოგადო ჩვეულება-შეხედულების მკაცრი და შეუბრალებელი ძალა უნდა იყოს, რომელიც აიძულებს ადამიანს (წინააღმეეგ თავისს შეხედულება-მიმართულებისა) ჩაიდინოს ის, რისაც თვით იგია წინააღმდეგი.

სწორედ ეს უნდა იყოს იმის უმთავრესი მიზეზი, რომ ჩვენს დროში, დუელი ხშირად მშვიდობიანად თავდება, ე. ი. შეურაცხყოფილი და შეურაცხმყოფელი პირნი გამოდიან დუელში საზოგადო ჩვეულების დასაკმაყოფილებლად და არა ერთმანერთისა შურის საძიებლად. ამ ნაირად, დუელი დღეს ჩვენთვის არავითარ საჭიროებას აღარ წარმოადგენს, არავითარ დანიშნულებას აღარ ასრულებს და აგრეთვე ის არავის შეურაცხყოფილ თავ-მოყვარეობას არ აკმაყოფილებს. მისი დღევანდელი ფართი-ფურთობა (ბატონობა) საზოგადოებაში უსაფუძვლო ძველის ჩვეულების განუდევნელობის ნაყოფია და ამიტომაც უნდა ვიმედოვნოთ, რომ მას მეოცე საუკუნე, ადრე თუ გვიან, თავიდგან მოიშორებს.

Ტ. Ართმელაძე.

სოლომონ ლეონიძე

(შემდეგი *)

თუ რამდენად მოქალაქური ჰაზროვნების იყო ს. ლეონიძე, ამას ცხადად გამოაჩენენ მისის ცხოვრების ცნობები და საქმეთა ვითარების მიხვედრ-განსჭვრეტა.

XVIII საუკუნის ნახევრიდამ, ქალაქის ხიდებმა დაძველება და ქცევა იწყო. ამ საქმეს ს. ლეონიძემ ყურადღება მიაქცია, მეფეს მოხსენება მიართვა ორივ ხიდის შეკეთების შესახებ, და ეს მალეც შეაკეთეს ქალაქის შემოსავლიდამ. ხიდები ისე გაამაგრეს, რომ მათ აღარაფრის ფიქრი არ ჰქონდათ, მაგრამ იგინიც დასწვეს სპარსელებმა 1795 წელს. ბარდა ხიდებისა, ნარიყალასაც ყურადღება მიაქციეს, აქ-იქ დაქცეული კედლები ხელ-მეორეთ ააშენეს, გაამაგრეს და ერთ ალაგას პატიმართა ოთახიც გაალაზათიანეს, რადგანაც პატიმართა შორის ხშირად ევროპიელნიც ერივნენ.

სოლომონ ლეონიძეს რჩევით, ერთმა მდიდარმა მთიულმა კაცმა კონსტანტინეპოლის გზით საზღვარ-გარეთ რამდენიმე ათასი თუმნის მატყლი გაიტანა და იქ გაასაღა კაი ფასად. იქიდგან ამან სხვა საქონელი შემოიტანა და ვაჭრობა დაიწყო; ამას სხვებმაც მიჰბაძეს. ამ დროდამ იწყება საქართველოში რუსეთიდგან მრავლად ქალალდის შემოტანა, ქალალდის კერძო მალაზიის გამართვა. ამავე დროს თბილისში დაარსდა სახლი, რომელსაც „სამადლო“ ეწოდა; ამ სახლში

---

*) იხ. № 2, გვ. 172.

ყოველ დღე მოვიდოდნენ თბილისის ვრდომილნი და კერძ-
სა და პურს მიიღებდნენ და სჭამდნენ. შეუძლოებს და მდე-
ბარეებს შინ ეგზავნებოდათ ულუფა; კვირაში ერთხელ შეუ-
ძლო მოქალაქეთ და ხელოსნებს დახმარებას აძლევდნენ პუ-
რით, ბრინჯით, ლობიოთი, ერბოთი, ზეთით და მარილით,
რაც კი იმ დროის კვალად სახლში საჭირო იყო. ამ საქმეე-
ბის მიმდინარეობა 1795 წლის უბედურების გამო მოისპო,

ამ საქმეების არსებობასთან სოლომონ ლეონიძეს დაა-
ხლოვებული კავშირი ჰქონდა და, „სამადლო“ კვალად
აღორძინდა, მაგრამ უბედურობის შემდეგ მეფესა და მსა-
ჯულს შორის უთანხმოება ჩამოვარდა და ამიტომ იგი დარ-
ჩა უყურადღებოდ, მალე მეფეც გარდაიცვალა და მით გა-
თავდა გლახაკთ საქმეც.

სოლომონ ლეონიძემ სამეფო სამსახურის ანუ მდივნობის
დროს ჩინებულად მართა საქმეები, ყოველ დღე დაიარებოდა
სამეფო სახლში კარის კაცთა დაუკითხავად, სადილობდა ყო-
ველ-დღე მეფესთან. სამეფო დარბაზში ერთი საქმეც არ
გაირჩევოდა და ისე არ გადაწყდებოდა, რომ სოლომონ ლეო-
ნიძეს მონაწილეობა არ მიეღო. ყოველ სჯასა და ბაასში
იგი იღებდა მონაწილეობას, ყოველთვის დიდს მჭევრ-მე-
ტყველებას იჩენდა, საქმის ულრმესად განხილვას ყოველ სა-
ქმეში; იგი იყო კეთილი მრჩეველი, მართალი მოსამართლე,
ქართველ ერისთვის დაშოშმინების მალამო. ჩვენმა პლატონ-
მა სამართლიანად სთქვა მასზე: „ვუწოდებ მას მადლისა დროთა
მათ ფაბრიცად ქართველთა და ისტორიის კატონად“ ⁹.

1778 წ. მეფისაგან მას მიებოძა კარის მდივნობაც, რის
შემდეგ სოლომონ ლეონიძე გახდა სამეფოს უმაღლეს წარ-
მომადგენ პირად. რა კი ამან უფლება მოიპოვა დიდის სა-
ქმეების შესახებ სჯისა და გამგეობისა, მერე მან უფრო სიმ-
ხნით დაიწყო მოქმედება და თავისს ასპარეზზე დიდ-ბუნე-
ბოვან კაცად აღმოჩნდა. თანამდებობით სოლომონ ლეონი-
ძე უნდა ჩათვლილიყო მესამე ხარისხის თავადად, მაგრამ მე-

ფის ბრძანებით იგი გათანასწორებულ იქმნა პირველ ხარისხოვან თავადობასთან. Oავისს ასეთ ამაღლების შემდეგაც, სოლომონ ლეონიძე არ სტოვებდა მოქალაქეებთან კავშირს, იგი დაუახლოვდა სომხის ვართაპეტებს და ფრანგის პატრებს, მისი ძლიერება ცნობილ იქმნა თვით სომეხთ პატრიარხის წინაშეც. სოლომონ ლეონიძემ დაიწყო თავისს ჰაზრის მსგავსი კაცების შეკრება და გარს მოხვევნა. ასეთი პირები მან ბევრი ვერავინ ჰპოვა. სულ რამდენიმე კაცი. მაინც ამ რიცხვითაც კარგად იმოქმედა, მეფე ერს დაუახლოვა და ერისამეფოს ჭეშმარიტ კანონ-დებულობას. კანონ-დებულებას სხვა სახე მისცა, მან შეადგინა ახალი კანონთ-კრება და მით ვახტანგ მეფის „სამართლის წიგნი“ უკუ გადასდო.—„აწინდელი დრო ვახტანგ მეფის „სამართალს“ არ ითხოვსო, ჩვენ ჩვენი სამართლის წიგნი უნდა გვქონდესო“. როგორ ჰქონდა ეს კანონები სოლომონ ლეონიძეს შედგენილი თუ დაწერილი, ამაზე ჩვენ არა ვიცირ რა და არცა რა სხვა მასალები სჩანს, მხოლოდ ის კი ვიცით, რომ მის კანონ-დებულებას უფრო წყნარი, მშვიდობიანი ანუ ქრისტიანული მიმართულება ჰქონია. Oგი ყოველთვის ამბობდა, რომ „სისხლი სისხლით არ დაიბანებაო“, ყველაფერს პატიება უნდაო, ვახტანგის სამართლითი რომ ვიაროთ, მაშინ მთელი ქართლ-კახეთი უთვალებო, უცხვირო და უხელ-ფეხო ხალხით გაივსებაო, რომელთ მცხოვრებიც საბრალო მდგომარეობაში მოთავსდება და მერე ეს სამეფოსთვის კარგი არ იქნებაო. აბა შევხედოთ ვახტანგის სამართლის ნაყოფსო... ამბობენ, მეფე იმით დაიყოლია სოლომონ მსაჯულმა ამაზე, რომ ერეკლე ვახტანგის მოდგმას ტახტის მოცილედ სახავდაო. „შეთქმაც“ ამ გარემოებამ გამოიწვია თურმე. ვახტანგის პატივის-მცემელნი ეძიებდნენ ქართლის ტახტსა, კანონით ვახტანგის შთამომავალს უნდა ეკავოსო და არა ერეკლესაო. ეს ამბავი ერეკლემ კარგად იცოდა და მიტომაც მოიღო მათზე სასტიკი რისხვა. მრავალნი ფიქრობდნენ, რომ ბაქარის ხელში

(ვახტანგ მეფის შვილის) საქართველო აყვავდებაო. უფრო კი იმიტომ ნატრობდნენ მის გამეფებას, რომ იგი რუსეთში მსახურებდა, გამოცდილი კაცია, გენერალ-ლეიტენანტი და რუსეთში ქართულ წიგნების აღმბეჭვდელიცო. ჩვენ ამაზე არას ვიტყვით და ის კი უნდა ვსთქვათ, რომ ვახტანგის სამართლის წიგნი ერთის მხრით ჩვენის ტომისთვის საზარალოდ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც იმისი კანონების ძალით დამნაშავეს ზოგს თვალს სთხრიდნენ, ზოგს ენას სჭრიდნენ, ყურებს, ხელ-ფეხს და სხვა კიდევ ვინ იცის რაებს ჩადიოდნენ, რაიცა სასტიკად ეწინააღმდეგებოდა იმ დროის ქართველო ცხოვრების პირობებს. ამიტომაც მიაქციეს ამას ყურადღება სოლომონ ლეონიძის ოსტატობით და კანონთ-კრებას სახე შეუცვალეს. ვახტანგის სიმძულვარე რომ არ ჰქონოდა მეფეს, იქნება ამის შეცვლაზე არც კი დათანხმებულიყო; მაინც იმ დროს ჩვენი სამეფო არ იყო საშიშარის საქმეებით დატვირთული, ქურდობა სრულებით არ სცოდნიათ.

საქართველოს მსაჯულობა ჩვენში ყოველთვის ყოფილა, მაგრამ იმ უპირატესობის მინიჭებით კი, რაც სოლომონ ლეონიძეს მისთვისეს, ეს კი პირველ იქმნა; ეს პირველობა ამ კაცმა უფრო გამოიყენა და მით კიდევ უფრო დაწინაურდა და წინ წავიდა. მსაჯულობის დროს მრავალს მოგზაურობდა, სპარსეთშიაც იყო, ეჩმიაძინშიაც, ნახა სომეხთ პატრიარქი და მის წინაშე განავრცო შემდეგი:

„ქართველთ ერთგულება სომეხთა უნდა უადრესობით იწამონ. საქართველოს ძლიერება იქნება სომეხთა ძალა, ქრისტიანობის ბჭე. თქვენ უნდა იშრომოთ და ეცადოთ იმის სასარგებლოდ. საქართველოს გაძლიერებისათვის თქვენ უნდა გადასდოთ თქვენი ქონება, სარჩო, საბადებელი. ქართველთ მეფობის განმტკიცება იქნება თქვენა მომავლის ცხოვრების აღდგენა, განმტკიცება და მერმისის არ დაკარგვაო“.

ასეთის სიტყვის გამო მან პატრიარხისაგან ლოცვა-კურ-

თხევაც მიიღო, მალე მთელს სომხეთში მოიფინა ხმა სოლომონ მსაჯულისა, როგორც ქვეყნის ერთგულის, სომეხთა დიდის პატივის-მცემელისა, მათის მოსარჩლისა და ქომაგისა. ამით იგი ისე პატივცემულ იქნა მრავალთაგან, რომ თვით სიკვდილის დროსაც კი მწარედ იქნა დატირებული სომეხთაგან. სომეხთადმი სიყვარული მარტო შინაურულად ანუ პურ-მარილის მიცემით არ კმაროდა. სოლომონ ლეონიძემ გარს მიიმხრო სომხის გვარის იმ დროის ყველა მსწავლული მოძღვარნი, რომელთაც თავიანთ დროის კვალად კაი ცოდნა და ხმა ჰქონდათ შეძენილი. ამათ მოილაპარაკეს ურთიერთ შორის, განაახლეს უწინ დაწყობილი მიწერ-მოწერის საქმე და მალე მეფის თანხმობით ცნობები გაუგზავნეს ინდოეთის ქალაქს მადრასეში მცხოვრებს მდიდარს შახრიმიანს და აუწყეს საქართველოს სამეფოის ვითარება და მასთანავე დავალებაც, რომ შენ საქართველოს სამეფოს დახმარება აღმოუჩინე, ქართველთა მეფე ქრისტიანი მეფეა, სომხეთის სამეფოს გვარის მომდინარე, ამათთან ჩვენ ნათესავობა ძველიდგანვე გვქონია, ამათის გაძლიერებით უკანასკნელ ჩვენც გავძლიერდებითო, ბოლოს შესაძლები იქნება, რომ თვით სომხეთიც აღვადგინოთო. შახრიმიანმა ყველაფერი სიამოვნებით მოისმინა, მან წინადვე იცოდა ერეკლეს რაინდობა, ამიტომ ყველაფერზე თანხმობა განაცხადა, კვლავინდებურად განახლდა მათ შორის მიწერ-მოწერა, სალამი და საქმის შესრულების ნატვრა. საქმეც შესრულდებოდა, რომ მსაჯულსა და მეფის შორის კავშირს ბოლო არ მოჰღებოდა. ზოგიერთ შურიან პირებმა ველარ მოისვენეს, როგორ თუ სოლომონ ლეონიძე წინ მიდისო, როგორ თუ ის შენიშვნებს გვაძლევს ჩვენო, ამათ იმეცადინეს დიდად და მეფესა და მსაჯულს შორის ჭორები და მტრობა დათესეს; ამ მტრობით ისე აირ-დაირია ქართველთა საქმეები, რომ მას კარგი არაფერი მოჰყვებოდა სამერმისოდ. რა კი დაირღვა ჭკვიანის მსაჯულის კავშირი, რა კი ერთგულ მოღვაწეს ხელიდგან გამოეცალა

ძალა გამგეობისა და პატიოსანი შრომისა, რა თქმა უნდა, დაირღვა თვით ჩვენი სამეფოცა, მტრებს აუსრულდათ წადილი, მსაჯულის ჯავრი ამოიყარეს. ლეონიძის წინააღმდეგ პირთ შორის უპირველესობა ბიორგი ბატონიშვილს (მომავალ მეფეს) უნდა დავუთმოთ და მის დედინაცვალს დარეჯანს. სოლომონ ლეონიძემ, როგორც თავისი თითები, ისე იცოდა ყველა ბატონიშვილები, იცოდა მათი ავი და კარგი, ცოდნა, ღირსება და ამიტომაც იყო, რომ მეფე ერეკლეს, ტახტის მემკვიდრედ ამუდარებდა ბიორგის ძეს დავითს, რუსეთში გაზრდილს და ნასწავლს, გენერალ-ლეიტენანტს, მაგრამ საუბედუროდ ვერც ეს მოხერხდა, რადგანაც ერეკლე მეფემ მეორე ცოლი რომ შეირთო, მაშინ იგი ხნიერი იყო და ქალი კი ახალგაზდა. ახალგაზდა ქალმა აიყოლია გმირი ერეკლე მეფე და თავისს თითებზე დაიხვია, ხნიერი კაცი თითქმის თავისს მონად აქცია. აქ კი იძლია მეფე, იგი ის აღარ იყო, რაც წინედ; ის, ვინც წინედ ვეო დაიმორჩილა ორმა-სამმა სამეფომ, დაიმორჩილა ერთმა ქალმა! აი ამან დასცა უფრო ჭკვიან ქართველთა გული და ნამეტურ იმან, რომ დარეჯანი არა კადნიერად იქცეოდა, გერები სულ ერთმანეთს გადაჰკიდა, არია მთელი სამეფო ოჯახის საქმეები, ვითარება და თვით კი იმავ დროს იმრავლებდა არა კეთილ პირებს, ვითარცა ოსეფა ყორღანოვი, რომლის ნაქნარ საქმეებისაგან დაირღვა და დაილეწა ყველა ისიც კი, რაც ერეკლე მეფემდის დიდის მხვერპლით იყო შექმნილის და აღორძინებული.

დედოფლისავე მეოხებით მეფემ დაარღვია წეს-რიგი ძველის სამეფო ტახტის მემკვიდრეობისა და ეს გადავიდა ძმათა მეუფროსობაზე. ვინ დასწერა ამის წესდება? ერთმა უვიცმა ოსეფა ყორღანაშვილმა!

ლეონიძეს თვით ბატონიშვილებიც სძულდა, მას არ მოსწონდა თვით ბიორგიც, თუმცა მას ვერას უბედავდა, მამის ერიდებოდა. ბიორგი მეფე და მისი ნათესავები ჯავრით

სოლომონ ლეონიძეს მოურიდებლად ნალეკარს უხმობდნენ; ეს კი მათ ყურადღებასაც არ აპყრობდა. ვისაც სურს გაიცნოს საქართველოს სამეფოს დაუძლურების მიზეზები, იმას ვურჩევთ, ამ ხსენებულ კითხვებს მიაქციოს ყურადღება და ის მაშინ ნათლად წარმოიდგენს ჩვენის სამეფოს დაუძლურების და მოსპობის მიზეზს „შეთქმამ“ მეფე ერეკლე ძლიერ შეაშინა, დააფიქრა და ცოტა არ იყოს თვალები მოაფშვნეტინა, მაგრამ არც ეს მოფშვნეტა გახდა მის სამუდამო გაფხიზლების ძალად, რომ შემდეგ მაინც ემოქმედა შესმენით და პატარა რიგიანი გეგმა მიელო სამეფოს მართვა-გამგეობის მოწყობისა და განმტკიცებისათვის. მეფე ერეკლე ცალის ხელით თუ რამეს აკეთებდა და მოქმედობდა, მეორე ხელით უფრო ბევრს ანგრევდა-აქცევდა, რაც განაკეთებზედ ერთი ათად უფრო დიდი იყო.

დავასახელოთ თუნდა ის გარემოება, თუ ვისის წყალობით და მეოხებით აიშალნენ ქართველთ ბატონიშვილები და შვილის-შვილები? სულ თვით ირაკლის მოქმედების წყალობით. აშლილთ ბატონიშვილებზე-კი ვერც „შეთქმამ“ იმოქმედა. ვერც ქართველთ ქვეყნის უბედურმა მდგომარეობამ და ვერც იმ გარემოებამ, რომ ქართველნი სასტიკათ იყვნენ დაცემულნი. ამ არევ-დარევის და მეამბოხეთ გვერდით იდგა ს. ლეონიძე და იგი მაღალის ხმით ასმენდა დაწყნარების სარგებლობას და დიდს საჭიროებას, მაგრამ ქართველნი ყურს არ იბერტყავდნენ, გამგონი აღარსად იყო, რადგანაც ამის მნიშვნელობა ქართველებში მას შემდეგ აღმოიკვეთა და დაირღვა, როცა საქართველოს ერთ-მეფობა სამ სამეფოდ განსქდა და სამი სამეფო ხუთ სამთავროდ. ამ განხეთქამ გახეთქა ურიასტანივით ერთობის და დაწყნარების დედა-ზრები ქართველებში და აქ სოლომონ ლეონიძე გინდ იერემიას ცრემლის ნაკადად გარდაქცეულიყო, გინდ ზეშთაგონებითის ნიჭიერებით აღსავსე სისხლის ცრემლად ქცეულიყო, მაინც იგი ყველა ამაებით ვერაფერს გააწყობდა და მეამბოხეთ სა-

კუთვნელი უბედური მომავალი უნდა მოვლენოდათ!.. შინაურს მეამბოხეთ და მოუსვენართ ის უფრო აძლიერებდა და ფრთებს ასხამდა, რომ რამდენიც მეფე ხანში შედიოდა, იმდენი მას ძალა ეცლებოდა ხელიდგან სამეფოის მართვისა, გამგეობის დაუძლურება ერთობ მაღლა იწევდა და მეფეს ეს უძლურება ყველაფერში დაეტყო, ნამეტურ შვილების აღზრდაში. ძარგად აღზრდილად ლევანს ასახელებენ, მაგრამ რა გამოვიდა, ესიც მოწამლვით მოუკლავსთ ტახტის მაძიებელთ, ანუ მისს ძმის-წულებს და ბიძაშვილებს.

ასეთს მდგომარეობაში მყოფ საქართველოსთვის სწუხდნენ ყველა შესმენილნი ქართველნი, თვით მრავალნი ძველნი მოქალაქენი ქართველთა და ისეთი მხვნელ-მთესველი მუშა კაცნიც-კი, რომელთაც დიდი არაფერი ხმა ჰქონდათ, არც ცოდნა, მაგრამ საქართველოს სიყვარული-კი უმანკო ჭეშმარიტებით ესმოდათ. ეს გლეხნი რომ უმანკოებით არ ყოფილიყვნენ აღვსებულნი, ვერც ჩვენი სამეფო დარჩებოდა თავისს წესებით და ვერც მისი სხეული იქმნებოდა უმუწუკოდ; როცა გლეხთა შორის, დიდებულთა უკანონო განკარგულებათა მეოხებით, გულის სიგრილე დაიბადა, განწირული შრომა მხოლოდ მისთვის, რომ მათთვის პირადის უფლების მფარველობის მეტი სხვა აღარა იყო რა სადიადო: როცა დიდებულთ ბოროტებამ მათზე თავისი კამარა გაშალა, გლეხთა გულის და სულის მოსწრაფებამაც სხვა ნაირი აღფრთოვანება მიიღო და სწორეთ ამ სხვა მისწრაფების მიღების მეოხება იყო, რომ ჩვენს სამეფოსაც თავისს უძლურება და დასასრული მოუახლოვდა. მის ნაცვლად, რომ ქართველთ დიდებულთა ეგრძნოთ გლეხთა ესეთი ვითარება, დაჰფიქრებოდნენ ქართველთ შავს ბედს, სისხლის ცრემლით დაწერილს ისტორიას, შავის სევდებით მოცულს გლეხთა ცხოვრებას, საყოველთაოდ დიდათ შემწიკვლულს მოძრაობას, რომ ამ დაკვირვებით იქმნება ავათმყოფნი კარგად გამხდარიყვნენ და არა სულთ-მობრძავად ქცეულიყვნენ,

—იგინი ამის ნაცვლათ უკანასკნელის სასარგებლოთ იღვწოდნენ და ამის ნიადაგის გამაგრებისათვის შრომობდნენ.

სოლომონ ლეონიძე და რამდენიმე სხვა სასულიერო პირნი ამ გარემოების წინააღმდეგ ამხედრდნენ, ამათ დაიწყეს სიბრალულის აღსავსებით საუბარი და ქადაგება, რომ გლეხთა სიმტკიცე და გამაგრება იქნება ბჭე ქრისტიანობისა, კარი სამოთხისა, ძალა სამეფოისა, სვეტი ქართველთ მოქალაქობისა; ამიტომ საჭიროაო, იტყოდნენ ხოლმე, რომ ურჩნი მოისპნენ, თორემ ურჩნი სხვებს არა ურჩებს სპობენ, სჩაგრავენ, უკანასკნელ ურჩნი გამაგრდებიან და მათის გამაგრებით წახდება ყოველისფერიო.

სოლომონ ლეონიძეს ჩვენის სამეფოს გამაგრების, გაფოლადების და გამდიდრების უმთავრესს ძალად ქართველთა გლეხთა და მოქალაქეთ კარგი ცხოვრების წეს-წყობილება ღა მიაჩნდა. უმთავრესს საგნად ეს მიაჩნდათ რამდენიმე პირთა და სწორეთ ამის მეოხება იყო, რომ სოლომონ ლეონიძემ 1780 წელს შემდეგი სიტყვა მოახსენა მეფე ერეკლეს:

„დიდებულო მეფეო! გიბედავსთ თქვენ მოხსენებასა უბადრუკი და უხმარი სოდომონი, რომ თუ ქართველთ ტომის მოსათესავეთ შორის თქვენ მტკიცე კავშირს დამტკიცებთ და დაამყარებთ, მათში სიყვარულს ჩამოაგდებთ, მთელ ქართველი ერთი აკვნის შვილებად გარდაქცევთ, მაშინ ჩვენი მტრები რაკი ყველას ერთად დაკავშირებულებს და შეყვარებულებს გვნახამენ, ჩვენს მტრობასაც ადვილად ვედარ გაბედავენ, სწორეთ უბედურება აქ იმაშია, რომ ქართველთ შორის დარღვეულია ის ურთიერთ თანაგრძნობა და სიყვარული, რითაც ბატრის სიტყვით მთელის ევროპის სახელმწიფოთ ძალანი ადორძინებულან“.

Ია. მარუშიძე

(შემდეგი იქნება)

სახალხო ლექსები

(შეკრებილი თ. რაზიკაშვილის-მიერ)

(შემდეგი *)

ჯიდაობა

ახალდაბელი კაკაო[1])
თხასავით მოიკაკვაო,
პეპუამ წამოიკიდა,
ერთი ძალიან დასცაო

—

ბოგოს ქადა გამოეცხო,
ქერქი მოეზილა რძითა,
ერთი ვთხოვე, ორი მომცა,
ღმერთო, გაახარე ძითა.

ბედნიერი ცოლ-ქმარი.

ვისია მწვანე კარავი,
კარვებში არ ერეოდა;
ვისია ქალი ლამაზი,
ქალებში არ ერეოდა.
გვერდს ეჯდა კარგი ვაჟკაცი,
ჰკოცნის და ზედ ელეოდა;
გვერდს ედგა საღვინით ღვინო,
სვამდა და არ ილეოდა;

---

*) იხილე № 2, გვ 149.

[1]) სახელია კაცისა.

გარედან ხალხი შეჰნატრის:
ნეტავი მაგის დედასა,
სხვა რაღა დეელეოდა.

დ. ქველიძე, ჩაწერილი 1897 წ.

კარგი მასხინძელი.

სტუმრისა მიყვარს სტუმრობა,
სტუმრისა არ ნახულისა:
დააპო ურმისა მორგვი,
ზაფხულის შენახულისა,
დასწვა ფიწალი, ორთითი,
ცეცხლი დაანთო გულისა,
ოთხკუთხივ ბოლი ამოდის,
დახე, დახვედრა სტუმრისა!

დ ა ლ ო ცვ ა.

სანამდი ღმერთმა გაცოცხლოს,
სანამ გასძლებს მცხეთის ხიდი,
ორას წელიწადს ხო გასძლებს,
გინდ მაგაზედ ამიხირდი.

ზარმაცი მწყემსი.

არცა ვჭამ რძესა,
არც წავასხამ თხებსა,
ვჭამ ფამფარასა,
წამოვუწვები მზესა.

თ ო ფ ი.

თოფმა სთქვა: ჩემსა პატრონსა
ჩემს უკეთესი რა ჰქონდა:

ერთი ისეთი თხა მოვკალ,
თორმეტი ადლი რქა ჰქონდა,
ვინც იმით ღვინო დალია,
ფეხები ველარ დაჰქონდა.

—

სამი სიტყვა გუშინ გითხარ,
სამი დღესა—გახდა ექვსი.
შენთან ვერა გავყიდე რა,
ვერც შაირი, ვერცა ლექსი.

—

უფალმა ღმერთმა დალოცოს
შენი მარჯვენა მხარენი,
მე მაშინ გავიხარევი,
ერთად რო შავიყარენით.

—

ისემც მოგივა ზამთარი,
როგორც შენა სთქვი მართალი.

უჭკუო ცოდები.

სამოც-და-სამი ცოლი ჰყავს
ივანე ჭიშბერდიანსა,
დადის და კიდევ დაეძებს
გონიერსა და ჭკვიანსა.

—

ერთხელ მეც ვიყავ მეცხვარე,
ცხვარი გავრეკე ლილოსა,
სულ თავზედ შემოვიკრავდი
მთელი ლეჩხუმის ტილოსა.

გაუკეთი.

Ваჟი კაცი ვარ ჯომარდი,
ალმართი ჩემთვის ვაკია,
არცა მყავს წვრილი შვილები,
არც დედა-კაცი მაკია.

ცოლის დარდი.

Რა ვქნა, რა ვუყო თავსაო,
ამ ჩემს პატარა ქმარსაო!
Არცა აქვს შენახვის თავი,
არცა მანებებს თავსაო.
ქვირამდე კიდევ მოვუცდი,
მერე გავყვები სხვასაო.

ეხლანდელი ახალ-გაზდა.

Ეხლანდელი ახალ-გაზდა
კერპი, კემუტი *) გამოვა,
უფროსი რო დაარიგებს,
იმის ჭკუაში არ მოვა.
Წავა იყიდის ქოშებსა,
შინ ბაკა-ბუკით შემოვა,
კედელს ცერცვი შეაყარე,
ძირს ტყაპა-ტყუპით ჩამოვა.

Ბ. პაატაშვილი, ს. ხელთუბანი.

წყევლა.

Ძალაქს ვიყიდე ბარები,
მცხეთას დავაგე ტარები,

*) გაუგონარი.

აქ შენამც ამოვარდნილხარ,
იქ მამაშენის გვარები.

—

სიდედრო, შავგვრემანობით
არ დაიწუნო სიძეა,
სოფელში მიდი, იკითხე
გძელი ვენახი ვისია.

—

Ოლსა ქმარი მოჰკლომოდა,
ბულბულივითა გალობდა,
აგრე ქმარს არა გლოვობდა,
როგორც შაიდიშს ნანობდა.

(ლეჩხუმში გაგონილი)

რას სწუხარ, ბეჩა ნინია,
რაზედ ხარ მოღრუბლულია;
სახეზე წყენა გეტყობა
სხვა რიგად გიცემს გულია!..
ხომ არ დაგჩაგრა ბედისგან
წამის-წამ ბრაზით ღრენამა,
ან ლუკმა პურის გულისთვის
მუდმივმა ოფლის დენამა?!.
— არა, რას მიზამს მე ჯაფა
და შრომა მრავალგვარია;
ჩემი ფოლადი მარჯვენა
მათშია გამომდნარია!...
ულელი ხარი ვიყიდე
გაზაფხულისა პირსაო,
ვთქვი ეხლა მაინც ავიყრი
სიღარიბისგან ჭირსაო:

მოვხნავ, მოვთესავ, მოვიმკი
ვუმატებ მხნეობასაო;
მოყვარეს მოყვრად დავხვდები
მტერსა გავუწევ მტრობასო.
მაგრამ გაჰყიდეს შავთვალა,
თან მიაყოლეს ყარაჩა,
და აბა ერთი მითხარით
სასიხარულო რა დამრჩა?!
არ გამაჩნია კიწაწი,
არც ფიჩხი, არცა შეშაო
და უსამართლოთ ცოლ-შვილიც
სიცივემ დამიშეშაო.
რაღა ვქნა, ვიღას მივმართო,
ვიღა მომიხნავს ალოსა?
ვინ მომიზიდავს შინ ძნასა,—
ან ვინ გამილეწს კალოსა?..
დამღუპეს, დამახიჩავეს,
მომჭრეს მარჯვენა მხარია,
ლომისა მედგრად მებრძოლსა
დღე დამაყენეს შავია...

ა. ხაბულიასაგან ჩაწერილი 1900 წ.

კულტურული ნაშთი *).

ამ სტატიაში მე მსურს აღვნიშნო კავკასიის ხალხების რამდენიმე საყურადღებო კულტურული ნაშთი და განვმარტო ისინი სხვა ხალხების ანალოგიურ ნაშთებთან შეფარდებით.

თუმცა უხსოვარ დროიდგანვე განდევნილ იქმნენ პრაკტიკული ცხოვრებიდგან გამოუსადეგარი და განუვითარებელი ტეხნიკური საშუალებანი და მოხერხებანი, მათ ნაშთებს მაინც დღესაც ვხედავთ სარწმუნოებრივ ცრუ-მორწმუნეობასა და ჩვეულებებში. უდები **), მაგ., დიდი ხანია, რაც უკვე წუმწუმას ხმარობენ ცხოვრებაში, მაგრამ, როდესაც რაიმე სარწმუნოებრივი მიზნისათვის სჭირდებათ მათ ცეცხლი, უეჭველად ტალ-კვესიდგან უნდა გამოაკვესონ იგი, რადგანაც მათ მხოლოდ ამ ნაირი ცეცხლი მიაჩნიათ წმიდა ღვთაებრივ ცეცხლად. ვართაშნელი მკითხავი სიყვითლით შეპყრობილ ავად-მყოფის მოსარჩენად სამჯერ აკვესებს მის პირის-სახის წინ ტალ-კვესიდგან ცეცხლს. საზოგადოთ ძველი საშუალებით გაჩენილ ცეცხლის სასწაულთ-მოქმედ ძალაში დღემდე დარწმუნებულია მრავალი გაუნათლებელი

---

*) ეს სტატია ეკუთვნის ბ-ნ გ. ჩ—ინსა, დაბეჭდილი იყო „ახალ მიმოხილვის“ ამ წლის № 5586-ში; ჩვენ საჭირად დავინახეთ მის ქართულად გადმოთარგმნა და „მოგზაურში“ დაბეჭვდა. მთარგმნელი.

**) უდები—ბატარა ხალხია, სულ რამდენიმე ასი კომლი, ნუხის მაზრაში, სოფელ ვართაშენში.

ხალხი. ბერმანიის მიყრუებულ სოფელში გულ-უბრყვილო გლეხი რაიმე გადამდების სენის გაჩენის დროს ორი გამხმარი ხის ნაჭრების ერმანეთზედ ხახუნით აჩენს ცეცხლს და მის ალში ატარებს საქონელს, ან თვითონ ტხება ზედ და სწამს, რომ, როგორც მას, ისე მის საქონელს სენი აღარ მიეკარება. ასეთსავე ცეცხლს ანთებს რუსის გლეხი რომელიმე სენის გაჩენის დროს.

უძველესი დროის ტვირთთა და სიმძიმეთა გადაზიდვა-გადმოტანის საშუალებებსაც დაუტოვებიათ თავიანთი კვალი ხალხთა ჩვეულებებში. კავკასიაში და ბევრს სხვა ადგილებში, მაგ., ჩვეულებათაა მიღებული მიცვალებულის სასაფლაომდე ხელით მისვენება. ზოგიერთა არა კავკასიელ ხალხებს კი (მაგ., ლოპარებს) ჩვეულებად აქვთ—მიცვალებულის ნათესავების მარხილში შებმა და ამ გვარად სასაფლაომდე მიცვალებულის მარხილით მიტანა; ჩვეულების ამ წესში, რა გვარი თვალითაც უნდა შევხედოთ მას, არ შეგვიძლიან არ შევნიშნოთ ნაშთი იმ უძველესი დროისა, როდესაც კაცს თავისს ხელით და ზურგით გადაჰქოდა ერთი ადგილიდგან მეორეზედ სხვა-და-სხვა ტვირთი და სიმძიმენი. როგორც საქართველოში და მის ახლო-მახლო მდებარე ადგილებში, ისე რუსეთის ზოგიერთ ადგილებში დღემდე ჩვეულებად აქვთ გვალვის დროს (უწვიმობას) დედა-კაცების გუთანში შებმა და გუთნის რიყეზედ ანუ წყალში გათრევა, წყლისათვის გადახვნა. ცხადია, რომ ეს გუთანში შებმული დედა-კაცები მოგვაგონებენ იმ უხსოვარ დროს, როდესაც დედა-კაცი შეადგენდა ერთად ერთ სამუშაო შინაურ ცხოველს და შემდგომ ბევრის ხნის განვლისა, თუმცა უკვე ხარ-კამეჩებიც ჰყავდათ, მაგრამ დედა-კაცი მაინც წინანდებურად მიათრევდა ხელით გუთანსა ქვედა ეგვიპტის და მდინარე იან-ძე-კიანგის (ჩინეთში) ნაპირების დიდად ნაყოფიერ მინდვრებზედ.

კავკასიის ხალხების უძველესი იარაღების ხსენებაც დარ-

ჩენილია სხვა-და-სხვა-გვარ ჩვეულებებში, რომელნიც აგრეთვე დიდად საინტერესონი არიან.

როგორც ვიცით ძავკასიის ხალხებთა ზოგიერთა მოდგმათ დღემდე ჩვეულებად აქვთ მიცვალებულის დასაფლავების დროს დოღის და ნიშანში სროლის გამართვა. ამნაირი წესი ჩვეულებად ჰქონიათ ჰომეროსის დროს ბერძენთაც, ურომლისოდაც იმ დროს არც ერთის წარჩინებულის მიცვალებულის დასაფლავება არა ხდებოდა. ვიდრე ჩვეულებრივ იარაღს შკილდი და ისარი შეადგენდნენ, სამგლოვიარო შეჯიბრებაც (состязаніе) ამ იარაღებით სწარმოებდა და, ვინ იცის, იქნება უუძველესი იარაღებითაც-კი: კეტით, ქვით, ბრჭყალებით და კბილებით. მაგრამ გაჩნდა თუ არა სწრაფ-სასროლი იარაღი—შვილდმა და ისარმა მაშინათვე დაჰკარგეს თავიანთი წინანდელი მნიშვნელობა, თუმცა სარწმუნოებრივ ჩვეულებაში მათ წინანდებულად შეინარჩუნეს პირველი ადგილი. ძავკასიაში დღესაც ხმარობენ ჩერქეზები მიცვალებულის დასაფლავების დროს შვილდსა და ისარსა, თუმცა მათი ხმარება ეხლა იშვიათად-ღა იცის ვინმემ. ეს სამგლოვიარო შეჯიბრება იწოდება „კებეკში სროლად“ და მდგომარეობს შემდეგში: მიწაში ურჭობენ მაღალ სარს და მის თავზედ პატარა რგვალ ფიცარს აკრავენ, რომელსაც კებეკი ეწოდება. მარდმა და მოსწრებულმა მხედარმა გაქანებული ცხენიდგან უნდა მოარტყას ისარი ამ ფიცარს. თუშებმაც მიცვალებულის დამარხვის დროს იციან ნიშანში თოფის სროლის გამართვა, ხოლო წლის თავზედ შვილდ-ისრის სროლა. შვილდს და ისარს ერთი თაობა უტოვებს მეორეს და მათ ინახამენ ამნაირ სარწმუნოებრივ საჭიროებისათვის, როგორც საღმრთო საგნებს. ამნაირად მარტო ყმაწვილები კი არ ირთობენ თავს შვილდით და ისრით, არამედ მათ ხელს ჰკიდებენ ხოლმე მათი მხცოვანი პატრიარქნიც, რათა ამით აამონ წინაპრების საიქიოს მოსიარულეაჩრდილებს.

უფრო შორეულ დროს, ვინემ შვილდი და ისარი, ეკუ-

თვნოდა დაწნული (წნელის) ფარი, მუზარადი და ჩაჩქანი. ამ უხსოვარი დროის იარაღების ხმარების კვალს ვხედამთ ჩერქეზთა ერთ ჩვეულებაში, რომელიც დღემდე დარჩენილია მათში და მდგომარეობს შემდეგში: სამგლოვიარო დოღის დროს ცხენოსანთა ერთი ნაწილი ეწყობა დაწნულ (მაგ., თხილის წნელით) ფარებით და მუზარად-ჩაჩქნებით, ⁄ მას უკან მოსდევს ცხენოსანთა მეორე რაზმი; პირველნი ცდილობენ თავიანთ ორიგინალური იარაღებით გაქცევ გასხლტომას, ხოლო მეორენი კი ამ იარაღის წართმევას და მით შემოსვას.

ᲓᲦეს, რასაკვირველია, ჩერქეზთა ახალ-გაზდობას ეს სამგლოვიარო ჯირითი უბრალო გასართობ ვარჯიშობად მიაჩნიათ, მაგრამ საუკუნეთა სიღრმიდგან მათ ღიმილით უმზერს აჩრდილნი მამა პაპათა, რომელნიც ამგვარის შვილდ-ისრით, დაწნულის ფარით, მუზარადით და ჩაჩქნით თავს იცავდნენ მტრისაგან. Ისტორია ყოველისფერს ასვამს თავისს ბეჭედს და ამიტომ ჩვეულება-ადათებში, რომელნიც სარწმუნოებრივ ცრუ-მორწმუნეობის ბურუსით არიან მოცულნი, დაცულია მთელი ჯგუფი საუკუნოებისა, შრომისა და იარაღის ნაშთებისა, რომელნიც დიდი ხანია პრაკტიკული ცხოვრების მიერ განდევნილ და მივიწყებულნი არიან. Ეგვიპტელები რკინეულ საუკუნეში, მიცვალებულის გვამის შესამურველად გაჭრის დროს ხმარობდნენ ისევ ქვის დანას, რადგან რკინა მათის აზრით ჰბილწავდა მიცვალებულის გვამს; ებრაელები წინა-დაცვეთას ქვის დანით ასრულებდნენ; მანზები (ვოგულების მოდგმაა) მიცვალებულებს და ღმერთებს შეწირული მსხვერპლის შესაჭმელად იმ კოვზევს კი არ უწყობენ, რომლებსაც ახლა თითონ ხმარობენ, არამედ ჩხირებს, რომლებსაც ხმარობდნენ მათი წინაპარნი.

Იმ წესებში და ადათ-ჩვეულებებში, რომელნიც სარწმუნოების გავლენით არიან განმტკიცებულ-განვითარებულნი, ნივთების საკეთებლადაც უეჭველად უძველესი დროის მასალა იხმარება. Რკინას ამჯობინებენ ბრინჯაოს და ბრინჯაოს—

ქვას. ეს წესი ყველგან მიღებულ დაცულია. ღვთის-მოყვარე გურული შინ მოქსოვილის სელის ტილოთი სუდრამს მიცვალებულს, რადგანაც გურულების რწმენით ქარხანაში მომზადებულ სამოსელს შეუძლიან ვნება მოუტანოს მიცვალებულის სულს. ამ ნაირი წარმოდგენის დასაწყისი იმალება იმ ძველ დროში, როდესაც გურიაში, გარდა შინ მოქსოვილ სამოსლისა, არ მოიძებნებოდა სხვაგვარი სამოსელი. ის გარემოება-კი, რომ სამოსელი უეჭველად სელის ტილოსი უნდა იყოს, გვამცნევს გურულების ძველ მეურნეობა-მრეწველობას. ის ხალხები, რომელთაც დაუცვამთ ხსენება თავიანთ წარსულ მწყემსურ მდგმოიარობაზედ, ცრუ-მორწმუნოებრივ პატივის-ცემით ეკიდებიან მატყლეულ ტანისამოსსა. მაგ., ქურთ-ეზიდების სასულიერო პირთ არ შეუძლიანთ სხვა-გვარი ტანისამოსის ხმარება, გარდა შალეულისა და ისიც უთუოდ ტიტველა ტანზედ. მოლდავანებსაც გურულებივით დიდ ცოდვად მიაჩნიათ მიცვალებულის გვამის, განსაკუთრებით თავ-პირისა, ნასყიდი ტილოთი შესუდვრა. მიცვალებულს იმ გვარად სუდრამენ, როგორც მათი წინაპრები იცვამდნენ. მიცვალებულის ნათესავები თავიანთ მწუხარების გამოსახატავად იცმენ შინ მოქსოვილ მსხვილ-მოუხეშავ ქსოვილიდან შეკერილ ტანისამოსსა. ამ ნაირი მგლოვიარობა წესად აქვთ მიღებული გურულებს, იმერლებს, ოსებს და სხვა ხალხებს. ამავე აზრით, რომაელთა და ბერძენთა სამგლოვიარო ტანისამოსიც იაფი და მსხვილი ქსოვილიდგან იკერებოდა; ამიტომ სპენსერი სრულიად სამართლიანად სთვლის სამოსლის მოუხეშაობას სამგლოვიარო ტანისამოსის არსებითს კუთვნილებად. ბევრმა წეს-ჩვეულებამ შეგვინახა არა მარტო ის, თუ რომელი მასალიდგან იკერებოდა ძველი დროის ტანთ-საცმელი, არამედ ისიც-კი, თუ სხეულის რომელ ნაწილს, რომელი საცმელი აკლდა. იმერლები და ვართაშნელი ებრაელები დღემდე მიცვალებულს სასაფლაომდე ფეხ-შიშველა მისდევენ; აგრეთვე ქართლ-კახელები და სომხები ხშირად ფეხ-შიშველა

მიდიან ხოლმე სალოცავად რომელისამე წმინდანის დღეობაში. ხევსურელი დეკანოზი საღმრთო ლუდის მომზადების დროს ფეხ-შიშველა არის ხოლმე. ყოველივე ეს იმ დროის მომაგონებელია, როცა კაცი უფეხ-საცმლოდ იოლად მიდიოდა. სხვა ხალხთა მაგალითები ცხადად მოწმობენ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს კულტურულ უცვლელობასთან (переживанія). მადრასში ყოველ წლიურ დღესასწაულზე დაბალი ხალხი იხდის საყოველდღეო სახმარ ტანისამოსსა და იფარებს წინა კალთებზედ ხის ფურცლებსა, ე. ი. ადამიანთ პირველ დროის ტანისამოსს. ძუნძულ ბორნეოზედ კაიანცები იხდიან ხოლმე უცხოელთ-მიერ მოტანილ მშვენიერ ქსოვილებიდგან შეკერილ საყოველდღეო ტანთსაცმელს და იცმენ ხის ქერქიდგან შეკერილ ტანისამოსს, ე. ი. იმ ტანისამოსს, რომლითაც მათი წინაპრები დახეტიალობდნენ ტყე-ღრეებში. ამ ნაირად კაცობრიობა პატივსა სცემს ცივილიზაციის-მერ განვლილ საფეხურებს.

ლამბერტის ძველის აღწერით, სამეგრელოში მდუღარე წყლით მსჯავრის დროს, წყალს მხოლოდ ერთგვარის ჯურის შეშით ადუღებდნენ; შეუძლებელი იყო სხვა ჯურის შეშის ხმარება. ბურიაში დღესაც ჩვეულებად აქვთ ბოროტი სულის გასადევნად და გარდაცვალებულ ნათესავთა სულის გასათბობლად ახალ-წელიწად დღეს დილით ცეცხლის დანთება უთუოდ რცხილის შეშით, სხვა გვარი შეშის ხმარება არ შეიძლებაო. ეს ჩვეულება შეიძლება აიხსნას იმით, რომ ესა თუ ის ჯურის შეშა ძველ დროშივე იყო ხმარებაში და ამიტომაც უპირატესობა ეძლევა მას. ბურულების-მიერ რცხილის შეშისადმი უპირატესობის მიცემა მოწმობს იმას, რომ მათი წინაპარნი ძველთაგანვე ცხოვრობდნენ იმ ადგილებში, სადაც რცხილის ხის ტყე იყო.

დასასრულ, ავღნიშნავ კიდევ ბურულების ერთ ცრუმორწმუნოებას. ამ უკანასკნელ დრომდე ისინი იმ აზრისანი იყვნენ, რომ მშობიარე დედაკაცს ზედ მიწაზედ უფრო ად-

ვილად შეუძლიან შვილის გაჩენა, ვინემ იატაკზედაო. ამიტომ, მშობიარე დედაკაცს პირდაპირ მიწაზედ უშლიდნენ ჩალას და აწვენდნენ ზედა. ჩვენი დროის მაგალითებმა დაარწმუნეს ისინი ამ უსაფუძვლო შიშის ყენიადაგობაში. ცხადია, რომ ეს ჩვეულება მომდინარეობდა იმ დროიდგან, როდესაც გურულები სახლებს უიატაკოდ იშენებდნენ და ცარიელ დედამიწაზედ იბადებოდნენ და იხოცებოდნენ.

იმის მიზეზი-კი, თუ რათ ინახება პირვანდელი კაცობრიობის მდგმოიარობის ნატეხები ცრუ-მორწმუნოებრივ ელემენტებით სავსე ჩვეულებებსა და ადათებში, ცხადია, რომ ასე სცხოვრობდნენ წინაპრები და ასე სცემდნენ ღმერთებს თაყვანსა. სხვა-და-სხვა გამოგონებით იადვილებს რა კაცი ცხოვრებას, იგი ვერა ჰბედავს ახალი გამოგონებით ძველ ჩვეულებათა სიწმიდის სავსებით დარღვევას. ამიტომ, საკვირველი არ არის, რომ ამ ჩვეულებებში და ადათებში იმალება ისტორიის საკმარისი მასალა. ესენი ერთგვარი სასაფლაონი და გორხანები (курганы) არიან. რამდენადაც გულ-მოდგინეთ ვსთხრით სკვითების და სხვა ხალხების სასაფლაოებს, იმდენადვე გულ-მოდგინეთ უნდა ვთხაროთ ხალხთა ცრუ-მორწმუნოების და ადათ-ჩვეულებების მთები და გორაკნი, რომლებშიც რიგზედ აღბეჭდილნი არიან კაცობრიობის წარსულის კულტურის საფეხურები.

მღვდ. ა. ტატუნაშვილი

გ უ რ ი ა

(შ ე მ დ ე გ ი *).

ა ი ჩემურის მოწყობილობაც: ძირს ქვის ჩემურია (ქვიჯა, საწაყვია), საცა ჩაჭურიან გასაცეხვს სუფთა ღომის მარცვალსა. ამ ქვიჯაში ღომს ურტყამს წირისთავი, რომელიც დიდი ხის კოვზის მეორე წვერზე აქვს ჩამოჩაქუჩავებული; მეორე წვერზედ კოვზსავით ამოთლილია, სადაც ერთი ფუთი წყალი ჩავა. ეს კოვზი წყლის ღარისაკენაა მიპირებული და წყალი ჩადის; რა აივსება, დასძლევს კოვზი და მეორე წვერი—წირისთავი, მაღლა წავა, კოვზი კი დაბლა და ამ რიგობით დაიცლება წყლიდგან, რის შემდეგ მსუბუქდება წირისთავზე მეტად, წირისთავი სძლევს და ტყვიასავით ეცემა ქვიჯაში ღომსა. ღომი ამ ცემით სქდება გარსიდგან, კანიდგან გამოდის, რომელსაც გადუნიავებენ და რჩება შიგნითი მარცვალი, რომელიც მალე მოიხარშება და იჭმება. ამგვარად კოვზი ისევ წყლისკენ მიეპირება და აივსება, დასძლევს, წყალი დაიღვრება და ამაღლებული წირისთავი კი ისევ ქვიჯისკენ ტყვიასავით ეშვება. ასე, ამ გვარად, ყოველი წამის განმავლობაში 3—4-ჯერ იმეორებს და ამ გვარად 5—6 საათის განმავლობაში ერთიან გაცეხვს საჭმელად ღომსა.

რა გახმება კარგად სიმინდი (ღომის ნადი სიმინდში შედის), სტეხენ კოტას და დანიშნულს ადგილას ისვრიან დასაგროვებლად; რა მოსტეხენ ერთიან, იმ წვრილ გროვებს მოზიდავენ კალოზედ და თუ სახლთან ან ნალიასთან ახლოა ყანა, აქავე გაარჩევენ, თუ შორსაა და შინ წაიღებენ გასარჩევად.

---

*) იხ. № 2.

ბარჩევასაც ნადი სჭირია. აი სიმინდის რჩევაზედ ნადი. დიდი თუ პატარა ორივე სქესისა შინაურ-მეზობლები (მიიპატიჟებენ საგანგებოდ ნადსა), მოუსხდებიან სამის მხრიდგან გორასავით შეყრილს სიმინდსა და არჩევენ, გარჩეულს სიმინდს ისვრიან დასახვავებლად და ნარჩიელა ქუჩეჩას კი მუხლს ქვეშ იჩრიან. რასაც მეტს იბრძვიან რჩევაში, იმდენი კალოს აკლდება, წინ იწევენ და ასე ამ გვარად გადააბრუნებენ გასარჩევს ხვავს გარჩეულ ხვავად. დიდი ხიარულებაა ამ დროს ნადის ქალ-ვაჟთ შორის, ნამეტურ ახალ-გაზდებში: ხუმრობა, აშიყობა, სიცილ-ხიცინი, სიმღერა და ყოველ-ნაირი მათდა წასადგომი შემაქცევარი ამბები. სიმღერას უფრო ხელ-ხვავს ამბობენ.

რა გაარჩევენ ერთიან (რადგანაც რჩევა უმეტესად ღამით ხდება ხოლმე), შეუდგებიან ვახშმის ჭამას. აქ ჭამას იმდენი მნიშვნელობა აღარა აქვს, რადგანც ღამე ნატეხი და მოღალული ნადი თვალების ბლეტით უგემოთ მიირთმევს. ეს დრო ისეთი დროა გურულებისთვის, რომ დღე და ღამე იბრძვიან ისინი ქალით კაცამდე, რომ, როგორმე ავდარმა ხელი არ შეუშალოს მათ ნამუშევარის შესაზამთრებლად, რადგანაც ახლა მოდის რაც მოდის: ღომი, სიმინდი, ყურძენი, ხილი, ბაღჩეულობა და სხვ.

ბარჩევის შემდეგ სიმინდს შეჰყრიან ნალიაში და იქიდგან თითო ქილობით ხარჯვენ საჭმელად. დაფშვნიან და ფქვავენ წისქვილში.

ახლა მივედით ჩალის მოჭრაზედ. ახლაც, როგორც ტეხა-კრეფაზედ, სათითაოდ შეავლებენ ხელს და სჭრიან, მოჭრილი კონებად უნდა შეკონონ და შეაზვინონ მაღალს ხეზედ ზამთარში შესანახად, საიდგანაც საქონელს უზოგვენ კონა-კონებადა, როდესაც თოვლს დაფარული აქვს მიდამო; თუ დაფარული არაა, მაშინ საქონელი ბალახსა სძოვს.

სამჯერ მარგლა-თოხნაში შემოუარეს სიმინდს და ღომსა, ორჯერაც ტეხა-კრეფაზედ და სიმინდის მოჭრაზე, ეს ნ-

ჯერ შემოევლო ხელი თვითო ღერს და ადვილი წარმოსადგენია, რომ სიმინდი და ღომი ბევრად ძნელი სამუშაო ყოფილა პურზედ და ქერზედ. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ გურული სწრაფი იყოს; სახუმრო ხომ არაა, იმოდენა თვალ-უწვდენ ღომისა და სიმინდის ყანებს ყოველს ღერს ხუთჯერ შემოავლოს ხელი; სიჩქარე თუ არ იხმარა გურულმა, ხომ ველარ მიეწევა გულის წადილს და საქმეც გაუკეთებელი დაურჩება...

ახლა ყურძნის კრეფაზედ მივიდეთ.

ისეც დაღლილ-დაქანცული მუშა გურული სწრაფად მიდის თვალ-უწვდენ 20 საჟენის სიმაღლე ხეზედ, საცა გასულია ვაზი ტ ყურძენს ჰკრეფს გიდელში; რა აავსებს გიდელს, ჩამოუშვებს ბაწრით, რომელიც წელზე მორტყმული აქვს, ქვევით დაუცლიან გოდორში და ცარიელა გიდელს ჩამოკაუჭებულს ჩამოუკიდებენ (თუ კიდევ მოსაკრეფი იქნება) და თან ეტყვიან: „მშვიდობით ჩამოდიო“. ასე ამ გვარად 100—200 ძირი და მეტიც ხეები უნდა მოიაროს და საცოდავად ჰკრიფოს ყურძენი. ნადი აქაც იციან (ყურძნის კრეფაზედ), შემდეგ მოიტანენ და საწნეხელში ჩაჰყრიან დასაწნეხად.

ეი წნეხვაც: გაიხდის გურული ფეხთ, დაიბანს, ჩადგება ხის საწნეხელში და წნეხს ნახევარს საათს, შემდეგ ამოვა, ტკბილს ამოიღებს და გარეცხილს ჭურში ასხამს. ტკბილის ამოღების შემდეგ ჭაჭას დაჭახრაკავს, ე. ი. ჭაჭას სიმძიმეს დაადებს, რომ მას ყოველივე სიჭყინტე წაართვას; შემდეგ იმასაც ამოწურავს და ჭაჭას არყისთვის გაამზადებს.

მოჭკრეფენ მსხალ-ვაშლსაც ზედ ამ დროს და მოკრეფილს ოდის თავზედ გაუკაკალებენ (თითოობით დააწყობენ) რავდენიმე კვირეს, შემდეგ ყუთებში შეინახვენ ჩალით საზამთროთა, გასაყიდს გარეთს. მსხალს-კი ჭურში ინახვენ.

ბაღჩეულსაც (ბოსტნეულს) ახლა იღებენ: მხალს, კეჟერს, ბადრიჯანს და სხვა ტ მეავეთ სდებენ საზამთროდა. ლო-

ბიოს ჰკრეფენ და სხვენზედ ჰყრიან გასახმობათ; ნიგოზს, მსხალსა და სხვა მისთანობას ჰკრეფენ და ინახვენ.

შემდეგ ამისა კი, რა დახედავს ყველაფერი ნამუშევარი თავ-თავის ადგილას შეინახა გურულმა წიფობის თვის დამლევს და გიორგობის თვის ნახევრობამდის, მაშინ, იღებს ცულს ხელში და ფეხს ტყეში შესდგამს საზამთრო შეშისათვის, სადაც ორ კვირას მაინც კიდევ მუშაობს, ქრისტეშობისთვის დამლევამდის და შემდეგ კი ცეცხლს მოუჯდება გვერდით და იანვრის დამლევამდე ამ ორ თვეს გემობს თავისი ნამუშევარითა და ცხოვრებას სწევს; აი ამ ორი თვისათვის ივაივაგლახა, რომ გემო ახლა ენახა. ყანის მუშაობას თუ რავდენი დღე მოუნდა ჩქარი გურული აღვნიშნოთ მოკლედ.

მაისში რა დათესა ყანები, ყოველი ორ-ორი კვირის შემდეგ, თოხი დასჭირდა მარგლა-თოხნას—სამი თოხი, სულიქნება ექვსი კვირა; ორი კვირაც ავდარი ვთქვათ, როცა არ იმუშავებოდა—ორი თვე—ივნისი და ივლისი. მარიამობისთვეში ყანაში აღარ მუშაობს გურული, არამედ სხვას ცდილობს მაშინ. ენკენისთვის ნახევრიდგან დაიწყება ცხარე ტეხა-კრეფა წიფობისთვის დამლევამდე. ორი კვირეც გიორგობისთვეც მივუმატოთ ყოველივე საქმეების მოსასრულებლად—ორი თვე. ორი თვეც წინეთ გვქონდა—4 თვე. აი, ამ ოთხ თვეში მოიმუშავა ყოველიფერი, მარა დიდი საქმე-კი ენკენისთვის ნახევრიდგან გაუჩნდა; ამ ხნის განმავლობაში სიმინდი და ღომი ასწიოს, ხილი და ყურძენი მოკრიფოს, დაწნიხოს და ჭურებში ჩაუშვას, ბაღჩეული ხილი და სხვა მისთანობა ახლა უნდა მოჰკრიფოს და შეზიდოს სახლში; ეს სულ ორ თვეში უნდა გაათავოს; მარა იმისთანა წვიმიანი დღეებიც გამოერია უმუშიერი, 15 დღემდინ ვიანგარიშოთ, რომ ვერ იმუშავებდა. დარჩება თვე ნახევარი. თვე-ნახევარში 6—7 დღე კვირა-უქმეა, დარჩება—38 დღე. ამ 38 დღეში ისწრაფა გურულმა და საქმე

საქმედ მოიყვანა. არ ემუშავნა—საქმე გაუკეთებელი დარჩებოდა, რო იმუშავა და ისწრაფა, ორის მაგიერ ცხრა ხელ-ფეხი გამოისხა, იჩქარ-ისწრაფა. ახლა ამოდენა საქმეს, რავდენი ლაპარაკი და გაკვლევ-გამოკვლევა დასჭირდა. ჩქარ საქმეს უთუოთ ჩქარი ლაპარაკი მოსდევს და დიდს საქმეს გულის მოსვლა მოსდევს; გულ-მოსვლას დიდის ხნით შეუძლებელია მრისხანება მოჰყვეს, რადგანაც გული თუ მალე არ დაიმშვიდა, საქმე გაუკეთებელი დარჩება. აქედგან ადგვილი გამოსაკვლევია გურულის სიჩქარ-სიფიცხე და ჩქარ-მოლაპარაკობა და, არც საკვირველია, როცა გურული ერთსა და იმავე დროს ხელფეხით იბრძვის და მასთანვე ენითა და სულიერი, გინა გონებრივი მოქმედებებითა და ამ უკანასკნელთაც გურულის სიტყვა-მოსწრებულობის მიზეზს ამას მივაწერ.

ძ. ბვარამაძე.

(შემდეგი იქნება)

ბიბლიოგრაფია.

ბოლის ესამეს ნაწერები საქართველოს შესახებ.

XIX საუკუნის დასაწყისს საქართველო დაუკავშირდა რუსეთს. მის შემდეგ ქართველთათვის აუცილებელ საჭიროებად შეიქმნა რუსეთის მთავრობის, ერის და მის ცხოვრების გაცნობა. ასევე საჭიროდ გახდა ახალის მთავრობისთვის საქართველოს ერის გაცნობა, ნამეტურ მის წარსულ დროთა ცხოვრების წვლილთა. საუბედურო, მაშინ თვით ქართველთ საქართველოს ისტორიის შეგნება სულ არ ჰქონდათ და თვით ქართულს ენაზედაც სულ არ იყო დაბეჭდილი ისტორიული წიგნები. იმ დროს მხოლოდ ორი წიგნი დაიბეჭდა საქართველოს შესახებ. ერთი ქართულიდგან რუსულად ნათარგმნი „ნარკვევი" დავით ბატონიშვილისა, რუსულად „საქართველოს ისტორიად" წოდებული და მეორე „Грузія" ალექსანდრეს აკადემიის გამოცემა 1805 წ.; ამის შემდეგ რუსეთის ხელში ჩვენ ისე გავლეთ 40 წელიწადი, რომ არამც თუ რუსულს ენაზედ, არამედ ქართულს ენაზედაც ერთი საჭირო წიგნიც ვერ დავსტამბეთ. ვისხედით ჭანდარს ქვეშ და ვარ-ჰარალოს ვმღეროდით, ვსომდით და მამა-პაპეულს მამულებს, ეკლესიებს და თვით საფლავებსაც კი ვყიდდით და განაყიდსაც, რასაკვირველია, ვფლანგავდით.

ჩვენს მდგომარეობას ისევ ევროპიელთ ორიენტალისტებმა მიაქციეს ყურადღება; პირველად მათ დასძრეს საქართველოს ერის შესახებ ევროპაში ხმა, პირველად სენ-მარტენისაგან განისმა ქართველთ ცოვრების გაცნობის ნატვრა და ამ ნატვრამ აიყოლია ბროსსე, ლუბოა და სხვანი. ამასობაში 1840 წლებიც მოახლოვდა და ქართულ ისტორიის ასპარეზ-

ზედ ორიოდე რუსული წიგნიც დაიბეჭდა, ერთი ფომინ ცა გარლისა და ერთიც სხვისა. ამავე დროს გამოვიდა პლატონ იოსელიანი, რომელმაც დაუცხრომლად დაიწყო რუსულს ენაზედ წერილების წერა და ბეჭდვა. მცირე დროის განმავლობაში რუსის საზოგადოებას მან საკმარისად გააცნო საქართველოს ერი და მთელი რიგი წიგნები დაბეჭდა ჩვენის წარსულის შესახებ. პ. იოსელიანს მოჰყვა ნიკოლოზ ბერძენოვი, რომელმაც თვალ-საჩინოდ იმოღვაწა ქართველთ სასარგებლოდ რუსულს ენაზედ და მალე დიმიტრი ბაქრაძეც გაჩნდა. ამათ გარდა დრო-გამოშვებით სხვა-და სხვა პირებიც სწერდნენ რუსულს ენაზედ, მაგალითებრ, დიმიტრი ყიფიანი, კონს. მამაცაშვილი და სხვანი.

ერთხელ პ. იოსელიანს მე ასე ვუსაყვედურე: „თქვენ რუსულად წერა და ბეჭდვა უფრო ადრე დაიწყეთ, ვიდრე ქართულად ქართულს ენაზედ მარტო „მეფე გიორგის ცხოვრება“ დასწერეთ და რუსულად კი აუარებელი-მეთქი“. მან მომიგო: „რუსულად წერა საჭირო იყო, მთავრობა არ გვიცნობდა, მე მიტომ ვსწერდი და ვბეჭდავდი უფრო, რომ მით შემძლებოდა მათს წინაშე ჩვენის დიდებულის წარსულის თვალთ-წინ გადაშლა და გაცნობა, თორემ იყო დრო, როცა ისინი ჩვენ ჩვენსავე წარსულში უვიცებად გვთლიდნენო“. ამავე დროსვე მოღვაწეობდნენ დაუცხრომლად დ. ჩუბინაშვილი, ს. ბარათაშვილი და ნამეტურ აკადემიკი მარი ბროსსე.

ამათ მოჰყვნენ: ალექ. ცაგარელი, ალ. ხახანაშვილი, ნ. მარრი, ეპისკოპოსი �ირიონი, ლ. ისარლოვი, ნატროშვილი და მრავალიც სხვანი. მოსე ჯანაშვილმა ხომ აუარებლად იმუშაკა რუსულს ენაზედ, ამის შრომა უმაგალითოა, მისის ნაშრომით კაცი განცვიფრდება, ბევრი რამ დასწერა და აღადგინა ამ პირმა და იმედია ჯერ ბევრსაც დასწერს.

უკანასკნელ დროს ჩვენის ისტორიის ასპარეზზედ აღმოჩნდა ბ-ნი ბორის ესაძე. ბორის ესაძემ მცირე ხნის განმავლობაში რამდენიმე წიგნი დასტამბა საქართველოს ერის და

ისტორიის შესახებ. მისი ნაწერების გაცნობა საყურადღებოა როგორც უცხოთათვის, ისევე ჩვენთვის, რადგანაც იგი ჩვენს წარსულს მაღალის სიმპატიით უმზერს. რუსულს ენაზედ წერას საქართველოს შესახებ ჩვენ დიდს მნიშვნელობას ვაძლევთ. ჩვენს ამ გვარს საჭირო მხარეთ ბევრი უმნიშვნელოდ სთვლის, მას ჯეროვან ყურადღებას არ აპყრობენ; წერით-კი სწერენ, მაგრამ ცარიელის წერით რა გამოვიდა, თუ იგი იმავ დროს ჩვენის გულის მოძრაობის და მისწრაფების სხივით არ იქმნება გამთბარი. რამდენათაც ვიცით ბ. ბორის ესაძეს ნაწერები სწორედ ასეთის თბილის კილოთია დაწერილები. დამწერი თავისს ნაწერების ყოველის სიტყვით და სტრიქონით უაღრესად ბრწყინავს, ცხადათ ემჩნევა, რომ დამწერი მკაცრად უნდა იყოს გამსჭვალული ჩვენის წარსულის სიყვარულით და თავისს თანამემამულეთა მომავალის ცხოვრების ნატვრით და განკაცებით.

მხნე და ნიჭიერ მშრომლის ნაწერებს ჩვენ აქ ყველას ვერ მოვსთვლით, ამას ოდესმე სხვა დროს დავუბრუნდებით. ამ ჯერათ-კი ეს ვიკმაროთ, გავიხსენებთ მხოლოდ შემდეგს: ამ უკანასკნელ ხანებში ბორის ესაძემ დასტამბა ორი წიგნი, სადაც აღწერილია საქართველოს რუსეთთან დაახლოვება და, უკანასკნელ, დაკავშირებაც. აქვე აღწერილია ნიახურის ომი, რომელსაც „ივრის ომს“ უხმობენ. ეს ბრძოლა ქართველთ სამეფოის უკანასკნელი ომი იყო, მის შემდეგ დადუმდა მკლავი და მხარი ქართველთა, მის შემდეგ განისმა აწ განსვენებულის გენერალ-ლეიტენანტის და სახელმწიფო რჩევის წევრის გრ. ორბელიანის სიტყვები:

„მამული ვეღარ იხილავს, ირაკლის ხმალსა მღელვარეს,
დიდება ივერიისა მასთან მარხია სამარეს!“

მეორე წიგნში „ალბომში“ მოთავსებულია თვით სურათიც-კი ივრის ომისა, სადაც ქართველნი რუსთა დახმარებით ებრძვიან მტერს *); ეს აღწერა ქართულად ნათარგმნი

*) სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ განგებ ბევრი

„ევერია“-შიაც დაისტამბა. ამ სურათს გარდა, თფილისში რუსის მხედრობის შემოსვლის სურათიც არის მოთავსებული და ბევრიც სხვ. საყურადღებოა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ბ. ბორის ესაძე, თვალ-ყურს ადევნებს საუახტო გამოცემებს და იქ თუ რამეს ნახავს ჩვენის წარსულის წინააღმდეგს, უპასუხოდ არ სტოვებს. ამის მაგალითია მისი პასუხი, რომელიც „პეტერბურგის ვედომოსტში“ დაიბეჭდა. ჩვენის ქვეყნის და ერის ისტორიულ წერილებს გარდა სხვა საგნების შესახებაც სწერს. ამ ჟამად იგი მუშაკობს საქართველოს ძველის დროის ნაშთების აღწერაზედ და დასურათებაზედ. სულით და გულით ვინატრებთ ამ მხნე ქართველის წარმატებას და თავისს სამშობლო ქვეყნის ისტორიის ასპარეზზედ თავ-გამოდებით მოქმედებას. იმედია ამისს სიმპატიურ შრომას ბევრი პატივის-მცემელი და მიმბაძავი გამოუჩნდება. ამას ვითხოვთ ჩვენ ნამეტურ ქართველ ახალგაზრდა სამხედრო პირებისგან.

ზ. ჯ.

რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი: **ლექსები** დავით გაბრუაშვილისა, გამოცემა დ. ვეძელისა, ფასი 25 კაპეიკი. მასში სხვათა შორის მოთავსებულია გალექსილი ლეგენდა, თუ რად დაერქვა ბორჯომსა და აწეურს ეს სახელები. ლეგენდის სიტყვით, იმ ადგილებში, სადაც დღეს დაბა ბორჯომია გაშენებული, პატარა ქალს (ირაკლი მეორეს) ჰქონია სასტიკი ომი მტერთან და როცა ბრძოლა მეტად დიდს ხანს გაგრძელებულა, მეფეს უთქვამს:

„ომი ძალიან გაგვიბორჯდაო,

ვსინჯეთ თვით დედანი ამ სურათისა, ბევრი ვეძებეთ მასზე ქართველი მეომრები, მაგრამ ამოდენა ჯარში, რომელიც სურათზეა დახატული, რომ იტყვიან—წამლადაც ვერ ვიპოვეთ ისინი. ეს, რასაკვირველია, მხატვრის ბრალია. რედ.

უნდა ვიხმარეთ სხვა რამე ხერხი,
თორემა ჯარი სულ გაგვიწყდაო“.

დიდებულებს ურჩევიათ მეფისთვის: „ზავი შევკრათ, ომი შევაჩეროთო“, მაგრამ ბატარა კახს არ უქნია. გაუმხნევებია ჯარი და იერიშის მიტანით გაურეკნია მტერი მაღლობებიდგან, საიდამაც ისინი დიდს ზიანს აყენებდნენ ქართველებს. მეფე ამით არ დაკმაყოფილებულა და უთქვამს:

„არ დამაჯრან მე აწ ყური,
ნურას დრეს მიქებთ ვაჟ-კაცობასა,
თუ მე გავუშვა ერთი სული“-ო.

შეუკრავს მტრისათვის ყოველის მხრიდან გზები, ვინც დაჰმონებია ხომ კარგი, ვინც არა და სულ ერთიან აუნიავებია. მას აქეთ არისო, განაგრძობს ავტორი გარდმოცემის თანახმად:

„ბუნებით შემკულს მთა-სიმაგრეში
დიდხანსა ჰქონდათ რომ მტერთან ომი,
ამა წამების მოსაგონებლად
დაერქვა მიტომ ადგილს ბორჯ-ომი“...
„რომ გაიმარჯვეს ქართველთა სრულად,
მიწას ალოკეს სისხლისა ღვარი,
და ამა დღეთა მოსაგონებლად
დაარქვეს ადგილს აწ-ყური“-ო. *)

—

რედაქციამ მიიღო დიდი სურათი „ჯგუფი ქართველ მწერლებისა“, ტ. მომცელიძისგან (განსვენებულის როინა-

---

*) შენიშვნაში ავტორი ამბობს: „თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ ეს ამბავი „ბატარა კახს“ არ ეკუთვნის, რადგანაც უწინაც ბორჯომი და აწყური ეწოდებოდაო, მაგრამ ხალხურის გარდმოცემის დირსების დასაცველად მეც ეგ ვიხმარე, რადგანაც „ბატარა კახს ასახელებენო“.

შვილის ფოტოგრაფიის გამგეა) შედგენილი და ფოტოტიპიით აღბეჭდილი. სურათზე აღბეჭდილია 30-მდის ჩვენი მწერალი — რუსთაველი, ოერბელიანები, ჭავჭავაძენი, ერისთავნი, წერეთლები, ფურცელაძე, მგალობლიშვილი და სხვანი. საზოგადო სახე სურათისა მშვენიერია. ფასი გაგზავნით ექვსი აბაზია.



ბრძოლა თარგამოსიანები ა ნებროოთან *).

ასტყდა ისეთი საშინელი კვეთა, რომ

„მტვერი ფერხისა მათისა იყო ვითარცა დრუბელი მოისა; ელვა აბჯრისა მათისა ვითარცა ელვა ცისა; ხმა ხირისა მათისა ვითარცა ხმა ქუხილისა, ტყორცნა და სიმრავლე ისართა და ქვათა—ვითარცა სეტყვა ხშირი და დანთხევა სისხლისა მათისა ვითარცა ღვარი სეტყვათა. გაგრძელდა კვეთა მათ შორის და მოსწყდა ორგნითვე ურიცხვი. სძლიეს მაშინ თარგამოსიანებმა და მოსრნეს სრულიად გმირნი იგი სამოცნი და სხვანი მათნი. ნახ. ნებროთმა მოსრვა გმირთა და სხვათა თვისისა, გა წყრა დიდად და წარმოემართა თარგამოსიანებისკენ ოოვლითა ძალითა თვისითა და იყო აღჭურვილი იგი რკინითა და რვალითა [1]) ტერფიდგან [2]) ვიდრე თხემამდე [3]). აღვიდა ნებროთ ერთსა გორასა ზედა და დაუწყო დაპარაკი ჭაოსსა, რომ დამემორჩილეო. მიუახლოვდა ჭაოსი ნებროთსა, სტყორცნა ისარი და მოჭკლა იგი. დაფრთხა მაშინ ბანაკი ნებროთისა და ვერდარა დაიპყრეს ასურელებმა არარატის ქვეყანა“.

ბრძოლა თარგამოსიანებისა ხაზარებთან.

ახლა შეაჭირვეს თარგამოსიანები ხაზარებმა.

---

*) იხ. „სახალხო ისტორია საქართველოსი“, № 2.

[1]) რვალი—სპილენძი და თითბერი; [2]) ტერფი—ფეხის გული; [3]) თხემი—მწვერვალი ანუ თავი რისამე.

შეიკრიბნენ მაშინ ქართველები და დანარჩენნი თარგამოსიანები და 1647 წელსა ქრისტეს შობამდე, გადაიარეს კავკასიის მთები, მოსტყვევნეს და ააოხრეს ყოველნი საზღვარნი ხაზარეთისანი და მობრუნდნენ უკან.

ამოირჩიეს მას შემდეგ ხაზარებმა მეფე, წარმოიძღვარეს იგი, გამოიარეს ზღვის-კარი და მოედვნენ თარგამოსიანების მთელს მხარეს. ვერ წინააღუდგრენ თარგამოსიანები, რადგანაც იყო სიმრავლე ხაზართა ურიცხვი, და წარტყვევნეს მათ სოფლები და ქალაქნი მთელის არარატის მხრისა და საქართველოსი. ბადურჩნენ მხოლოდ სიმაგრისა გამო: თუხარისი, სამშვილდე, მტკვრის-ციხე, იმერეთი და შიდა-ქართლი, ე. ი. ეხლანდელი ბორის მაზრა.

ისწავლეს მას მერე ხაზარებმა საქართველოში გადმოსასვლელი ორივე გზები, დარიალისა ანუ არაგვის-კარისა და დარუბანდისა ანუ ზღვის-კარისა [4]) და მოუხშირეს გამოსვლა და ტყვევნა საქართველოსი...

ბრძოლა თარგამოსიანებისა სპარსელებთან.

1607 წელს ქრისტეს შობამდე, საქართველოს ახლა სპარსეთის მეფე აფრიდონი შემოესია. ამან დაიპყრა მთელი საქართველო და დააყენა აქ თავისს მოადგილედ ვინმე არდამი. არდამმა განდევნა ქარ-

---

[4]) ზღვის-კარი—ასე იწოდებოდა იმ დროს დარუბანდის გასავალი კასპის ზღვის პირად, სადაც დასწყდება კავკასიის მთები ზღვასთან.

თლიდამ ხაზარები, გაამაგრა საქართველოში შემოსასვლელი კარები და მოზღუდა მცხეთა და ქალაქი ქართლი ქვით-კირის კედლებითა. ეს იყო პირველი ქვით-კირის შენობანი საქართველოში და ქართველებმა მისგან ისწავლეს პირველად ქვით-კირით შენება სახლებისა და ციხეებისა.

აფრიდონის სიკვდილის შემდეგ სპარსეთში მოხდა არეულობა. ქართველებმა ისარგებლეს ამით და გაინთავისუფლეს თავი.

1500 წლებში თურქების დიდ-ძალი ნაწილი, დევნილი სპარსეთის მეფისაგან, ქასპიის ზღვის და მდინარე მტკვრის აყოლებით ამოვიდა მცხეთაში და სთხოვეს მცხეთის მამასახლისს ადგილი დასასახლებლად, რისთვისაც აღუთქვეს მას თავისი მკერდით დაცვა საქართველოსი სპარსელებისაგან. ქართველებმა მიიღეს მათი თხოვნა და დაასახლეს ისინი სარკინეთში *), სადაც მათ ააშენეს სიმაგრეები.

ამათ შემდეგ, დაახლოვებით 1000 წლის წინად ქრისტეს შობამდე, მოვიდნენ საქართველოში, არაგვის-კარით, ჩინეთის **) სამეფო გვარის, ჯენ-ბაკურის უფლის წულები ***) დიდის ჯარითა და სთხოვეს ქართველებს აგრეთვე დასასახლებელი ადგილი იმავე პირობითა, როგორც თურქებმა. მამასახლისი დაეკი-

---

*) ეხლანდელ სოფელ ძეგვის მახლობლად მეორე ხევში, მცხეთის ზემოდ; ნანგრევები მისი ახლაც მოჩანს აქ.

**) ჩ ი ნ ე თ ი—დიდი სახელმწიფოა აზიის აღმოსავლეთს ნაწილში.

***) უ ფ ლ ი ს-წ უ ლ ე ბ ი—მეფეთა ან დიდებულთა შვილები.

თხა ხალხსა და მათის თანხმობით მისცა მათ ფრბეთის ციხე, რის გამოც იწოდნენ ჯამბაკურ ფრბელიანებად. შემდეგში ფრბელიანები შეიქმნენ საქართველოში პირველ თავადებად.

821 წელს ქრისტეს შობამდე დაემხო ურიების სამეფო და მას მერე 587 წელსა იერუსალიმი გაანადგურა ბაბილონის მეფემ ნაბუქოდონოსორმა; ებრაელები აიყარნენ და ათასობით გადმოიხვეწნენ ჩვენს ქვეყანაში, განსაკუთრებით იმერეთში. ეი რით აიხსნება მათი სიმრავლე იქა.

ბრძოლა თარგამოსიანებისა სომხებთან.

მეექვსე საუკუნეში ქრისტეს შობამდე, თარგამოსიანებს ახლა სომხები შემოესივნენ (ამბობენ ფრიგიიდგან, რომელიც მდებარეობდა მცირე აზიის დასავლეთს ნაწილში). დასუსტებული გამუდმებულის ომებითა მოსაზღვრე ხალხებთან, თარგამოსიანებმა ველარ გაუძლეს ახალ მოსულებსა. სომხებმა დაიპყრეს ქაპადოკიის (ჯანეთის), არზრუმის, ქურტისტანის, მუშაშირის, ვანის და არარატის მხარენი, სადაც იმ დრომდე ცხოვრობდნენ თარგამოსიანები და ზოგნი მათგანი გააძევეს, ზოგნი ამოწყვიტეს და ზოგნიც ჩანთქეს, ასე რომ თვით თარგამოსიანების ისტორიაც კი მიითვისეს. ეს გარემოება იყო მიმეზიო, ამბობს ერთი მეცნიერი, რომ სომხურს ენაში მოიპოვება მრავალი ქართული სიტყვები, რის გამოც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულს ენას სომხურის ენის შესწავლაშიო.

რომ ეს მართალია და 600 თუ 700 წლის წინად ქრისტეს შობამდე სომხებს სრულებით არ უცხოვრიათ მოხსენებულს ქვეყნებში, ნათლად დაამტკიცეს ადარადიელების, ე. ი. არარატელების და საზოგადოთ თარგამოსიანების ლურსმულმა წარწერებმა, რომლებიც ბლომად აღმოაჩინეს ეხლანდელმა მეცნიერებმა არარატის ქვეყნებში. ვსთქვათ ამ ლურსმულ წარწერებზე რამდენიმე სიტყვა.

როგორც ზემოთაც ვსთქვით, უწინდელს ქართველებს და საზოგადოთ თარგამოსიანებს დიდი ომები ჰქონდათ სამხრეთის მოსაზღვრე ხალხებთან—ასირიელებთან, ბაბილონელებთან და მიდიელებთან. ხოლო მშვიდობიანობის დროს, ომების მაგივრად, რაღა თქმა უნდა, ჰქონდათ მისვლა-მოსვლა და ვაჭრობა ერთმანეთში. ეს მოსაზღვრე ხალხები უწინდელს დროში იყვნენ უგანათლებულესნი ხალხნი მთელს ქვეყანაზე და სხვათა შორის იცოდნენ წერა-კითხვა. მათს წერას ეწოდებოდა ლურსმული, რადგანაც ასოები მათის ანბანისა ლურსმანივით წვეტიანები იყო.

ამ ლურსმულის ანბანის მიხედვით, თარგმოსიანებმაც შეადგინეს თავიანთებური ლურსმული ანბანი და სცდილობდნენ გაევრცელებინათ წერა-კითხვა და იმ დროის ყოველივე სწავლა-განათლება თავისს მონათესავე ხალხებში. მაგალითად, იპოვნეს ერთი წარწერა, ლურსმულის ასოებით ამოჭრილი, რომელიც დაუწერინებია თარგასიანთ ერთ მეფესა. ამ მეფეს ჰრქმევია სახელი ბელიტ-დური და ყოფილა შვილი ლუ-

ტიბარის, ნაირის მეფისა. მას განუძრახავს სწავლა-განათლებისა და წერა-კითხვის გავრცელება თავისს ხალხში და ამისთვის მოუწვევია თავისს სამეფოში ასირიელი მსწავლულნი, რომელთაც ჯერ ასირიულად უწერიათ, მაგრამ მალე, თვითონ მეფე ბელიტ-დურის შვილის, ისბუნის დროს, უკვე თარგმოსიანებისათვის შედგენილის ლურსმულის ანბანით დაუწყვიათ წერა, რომლიდგანაც შემდეგში წარმოსდგა ჩვენი ხუცური, ხოლო ხუცურიდგან ახლანდელი მხედრული წერა. ამ ადგილობრივის ენით ამოწერილი წარწერები ორმოცამდეა ნაპოვნი არარატისა, ვანისა, ქურაისტანისა და არზრუმის ქვეყნებში და მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ამ წარწერების ენა ამ სამის ათასის წლის შემდეგაც შესანიშნავად ემსგავსება ქართულსაო.

ეს უწინდელი ხალხები არარატისა, ვანისა არზრუმისა და კაპადოკიისა სრულიად განირჩევიან სომხებისგან, რომლებიც ამბობენ, რომ ჩვენ თარგამოსის შვილის ჰაოსის შთამომავალნი ვართო. მაგრამ, როგორც ვსთქვით, ეს მართალი არ არის, რადგანაც თარგმოსიანების ლურსმული წარწერების ენა სრულიად არა ჰგავს სომხურსა და ის ხალხები, რომელსაც ამოუჭრიათ ეს ნაწერები და რომელნიც მარტოდ-მარტო ჰფლობდნენ მოხსენებულს ქვეყნებსა მეექვსე საუკუნემდე ქრისტეს წინად, არავითარი ნათესავნი არა ყოფილან სომხებისა, არც შთამომავლობით, არც რჯულითა და არც ენითა და ზნე-ხასიათით. როგორცა სჩანს წერწერებიდამ, ეს ხალხები წვრილ-წვრილ სამეფოებად და თემებად ყოფილან დაყოფი-

ლნი, მაგრამ ენა და რჯულიკი ყველას ერთი ჰქონიათ. როგორც ამავე ნაწერიდამ სჩანს ისინი ყველანი თაყვანსა სცემდნენ უმაღლესს სამეფოს. ამ სამეფოში პირველს პირს ეწოდებოდა ქალდისი ანუ ქალდია, რომლისგანაც, როგორც ხსნის ჩვენი მეცნიერი ალექსანდრე ხახანაშვილი, ქართველებს ეწოდა სახელი ქართველი, ე. ი. ქალდიის აღმსარებელნი და თაყვანის მცემელნი. ეს სამეფული წარმოადგენდა შემდეგ ღმერთებსა პირველი—ბრწყინვალე ცას, მეორე—მზესა და მესამე მთვარესა.

ასურეთის მეფე სარიუკინი სწერს ერთს წარწერაში:

„მე გავემართე მარზანას, მუშაშირის მეფის ქვეყნისაკენ (რომელიც მდებარეობდა ვანის ტბის პირად) და მუშაშირის ქალაქს მოვეპყარ, ვითარცა ძღვა-მოსილი: შევიპყარ მეფის ცოლი, ვაჟები და ქალები, ავიღე იმისი საჯურჯღე და ოთვალიფერი, რაც მოიპოვებოდა მის სასახლეში, დავიჭირე 20,000 ტყვე და ოთვალიანი ქონება და აგრეთვე ღმერთი ქალდია მისის მრავალის სამკაულით და ისე დავბრუნდი შინაო“, ე. ი. გაუძარცვავს ქალდიის ტაძარი.

სომხების შემდეგ, 530 და 300 წლებში ქრისტეს შობამდე, განოჩნდა ორი შესანიშნავი მეფე: ერთი იყო სპარსეთის მეფე ციროსი, ხოლო მეორე მაკედონიისა,- ალექსანდრე, წოდებული დიდად. ციროსმა დაიპყრო მთელი დასავლეთის აზიის ქვეყნები და მათ შორის ჩვენი საქართველო და სომხეთიცა, ხოლო ალექსანდრე დიდმა დაიპყრო მთელი უზარ-მაზარი სპარსეთის სამეფო და ჩვენი ქვეყანაც, მაგრამ

ძალიან ცოტას ხნობით კი. ალექსანდრე დიდის სიკვდილის შემდეგ, რომელიც მოხდა 323 წელსა ქრისტეს შობამდე, მცხეთის უკანასკნელის მამასახლისის, სამარას, ძმის-წულმა, ფარნავაზმა, ააჯანყა ქართველები ბერძნებისა და მაკედონელების წინააღმდეგ, შეჰკრიბა ძლიერი ჯარები, დაამარცხა ისინი და გაანთავისუფლა რა საქართველო, გამოაცხადა იგი დამოუკიდებელ სამეფოდ, ხოლო თავისი თავი საქართველოს მეფედ. მაგრამ საქართველოს სამეფოს დაფუძნებაზედ და მის პირველ მეფეზედ, ფარნავაზზე, ჩვენ უფრო დაწვრილებით შემდეგ ვილაპარაკებთ, აქ კი განვაგრძოთ ამბავი საქართველოს მეზობელ ხალხებისა.

(შემდეგი იქნება).

აპრილი № 4 1901 წელი.

მოგზაური

ისტორიულ-არქეოლოგიური და გეოგრაფიულ-ეტნოგრაფიული სურათებიანი ჟურნალი, გამოვა ყოველის თვის პირველს რიცხვებში.

წლიური ფასი ჟურნალ „მოგზაური"-სა გაგზავნით არის 5 მანეთი. მისაც 2 ან 3 მანეთი აქვს შემოტანილი, დანარჩენი აპრილის გასვლამდის უნდა გამოგზავნონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჟურნალი აღარ გაეგზავნებათ.

რადგანაც მეტად ბევრნი გვთხოვენ ჟურნალის გზავნას უფასოდ ანუ ნახევარ ფასად, რედაქცია ამით აცხადებს, რომ ჟურნალი უფასოდ და ნაკლებ ფასად არავის გაეგზავნება, რადგანაც თვით ინტერესი ჟურნალისა მოითხოვს, რომ ჩვენ დასაწყისშივე გავუფრთხილდეთ მის გამოცემის თანხის უზრუნველად ყოფის საქმეს.

ხელის მოწერა მიიღება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში, ი. იმედაშვილის წიგნის მაღაზიაში და თვით რედაქტორთან, დავითის ვიწრო ქუჩაზედ, № 20. აქვე შეიძლება ნახვა რედაქტორისა ყოველ დღე შუადღის შემდეგ 4 საათიდდგან 7 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „МОГЗАУРИ".
რედაქტორ-გამომცემელი ივანე ბ. როსტომაშვილი.

თბილისი
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა, ნიკოლოზის ქუჩა № 21.
1901

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 Марта 1901 года.

თავ. რ. დ. ერისთავი, დ. 9 აპ. 1824, გ. 19 თებ. 1901 წ.

მხსოვნან პოეტის რ. ერისთავის ხსოვნას.

ბერი ბერუა წვეროს იგლეჯს,
მთის ხინჩლა მწარედ სტირსაო,

თინია*) ოქროს თმას იშლის,
იკაწრის ცსვირსა, ჰირსაო;
მათთანა სრულიად ქართლი
გლოვობს მამულის შვილსაო,
რომ მისებრ ვიღა მოუთხრობს
გლეხების გასაჭირსაო.

სიცოცხლეშივე, მოხუცო,
იუავი დარწმუნებული,
რომ შენი ნაღვაწ-ნაშრომი
ჩვენ გვქონდა დაფასებული;
არა ხარ მკვდარი, ჰოეტო,
როცა გსტირს მთელი ზღვა გული,
მკვდრად იგი მითქვამს ვინც აქვე
გულსა ჰუავს დავიწუებული.

ვ. უოფიანი.

---

*) ბერუა, ხინჩდა და თინია ჰოეტის ნაწერებიდამ არის ამოღებული. ავტ.

საქართველოს.

აც საქართველოს გადაჰხედია
ოხვრა, დარბევა, განსაცდელია,
ისტორიასაც არ ძალუძს სრულად
იმის აღწერა, ისე ძნელია.

—

ყველა სცდილობდა მის დაღუპვასა,
დედა-მიწასთან გასწორებასა,
დაწვას, დაბუგვას, ნაცრად ქცევახა,
ლამობდა ყველა მის მოსპობასა.

—

ურჯულო მტერი არ ასვენებდა
ქართველსა ერსა, ქრისტეს მლოცველსა,
უნდოდათ იმათ ივერიისა
ულვთოთ ჩაგდება ჭირ-განსაცდელსა.

—

მაგრამ ქართველი თვის მამულისთვის
თავსა სწირავდა, მტლედ ედებოდა,
კრიჭაში ედგა უთვალავ მტერსა,
მამულს დაცვისთვის თავს ევლებოდა.

—

ქართველთა სისხლი ვით ნაკადული,
ქრისტეს რჯულისთვის აქ იღვრებოდა,
მთა, ველი, ბარი, არაგვი, მტკვარი,
მათის სისხლითა იღებებოდა.

აქ წამებულან წმიდა მამანი—
დავით, კონსტანტინ, მიხეილ წმინდა,
რაჟდენ, ელიზბარ, აბო, ესტატე,
თამარ, ძეთეკან და წინო წმინდა;

—

შალვა, ნეკრესელ, ალავერდელი,
ივანე, ანტონ, პიროსი ღვთისა,
მამა-დედანი ქართლ-კახეთისა
მსხვერპლნი არიან ივერიისა.

—

ამ მოწამეთა მეოხებითა
ხელ-ახლათ ყველა განახლდებოდა,
ციხე, ტაძარნი მიუვალ კლდეზე
სწრაფათ ქვითკირით აშენდებოდა;

—

მისი არენი დიდ-ბუნოვანი
კეკლუცათ, ტურფათ დამშვენდებოდა
და საქართველო საუცხოვოთა
ძვირფას შენობით გაბრწყინდებოდა;

—

ერი მშრომელი ქრისტეს რჯულისა
ღვთის შემწეობით გამრავლდებოდა
და კავკასისა ქალაქ-სოფლები
სდუღდა სიცოცხლით, აჰყვავდებოდა...

მ. სიმონიძე.



ძ. თბილისი 1700 წლის ნახატიდამ.

თბილისი უძველესი ქალაქია მთელს დედა-მიწის ზურგზედ. **ბ**ევრს ცნობილს ისტორიულს ერს ჰსურდა სამუდამოდ დაეპყრო იგი, ვითარცა ბერძნებს, რომაელებს, არაბებს, მონგოლებს, სპარსებს და ოსმალებს, მაგრამ ამაოდ: ყოველი სიმრავლე მათი, ყოველი მძვინვარებანი მათი **თ**ბილისისა და **ს**აქართველოს მრავალ-წამებულ მცხოვრებლებზედ და ერზე დროს მიმავლობაში, ყოვლად უნაყოფოდ რჩებოდა და **თ**ბილისი, ვითარცა ფენიქსი *), კვლავ ქართველ ქალაქად შენ-

*) ფენიქსი (ბერძნ.)—ძველის ეგვიპტელების ანქმულებით, ფენიქსი იყო ფრინველი, რომელიც იგრძნობდა რა სიკვდილის მოახლოვებას, მოამზადებდა კოტონს (ცეცხლს), დაიწვამდა მასზედ თავს და შემდეგ კვლავ გაცოცხლდებოდა ფერფლად ქცეულ ძვალ-ხორცი-დგან, რის გამოც ფენიქსი მათში ითვლებოდა უკვდავების სიმბოლად, ნიშნად.

დებოდა და განახლდებოდა. როდის და ვისგან არის თბილისი პირველად დაფუძნებული, ნამდვილად არ იცის ისტორიამ. ეჭვს გარეშე კია, რომ იგი მცხეთის აშენების დროიდანვე უნდა იყოს დაფუძნებული, ე. ი., სულ უკანასკნელი, 1500 წლის წინად ქრისტეს შობამდე. ასე ადრე აქ სოფლის აშენება უნდა გამოეწვია გოგირდის ცხელს წყლებსა, რომლისგანაც მიიღო კიდეც მან თავისი სახელი თბილისი. ვინ იყვნენ პირველნი დამფუძნებელნი თბილისისა? თქმა არ უნდა ქართველები, რადგანაც თვით სახელი მისი თბილისი წარმოსდგება სიტყვა თბილი-საგან, რომელიც ქართულია. მის დაარსებაზედ არსებობს შემდეგი გარდმოცემა: ერთს რომელღაც მეფეს თუ დიდებულს, რომლის სახელი გარდმოცემას აღარ ახსოვს, უნადირნია თბილისის ახლო-მახლო მინდორ-ტყეებში და ირემი თუ ხოხობი დაუჭრია. დაჭრილი ნადირი გაქცეულა და ცხელს წყლებში გაბანებულა; გაბანება და განკურნებულის ირმის თუ ხოხბის გაქცევა და თავის შველა ერთი ყოფილა; მეფე მისულა სამკურნალო წყალთან და რა უნახავს, რომ იგი თბილია, დიდად ნასიამოვნები დარჩენილა და უბრძანებია აქ აბანოსი და რამდენიმე სახლის აშენება. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრმა ხანმა განვლო, სანამ თბილისი ქალაქად გახდებოდა. ეს მოხდა ცნობილის ვახტანგ ბორგასლანის დროს, მაგრამ აი ერთი ამბავი, რომელიც მოთხრობილია ჩვენს ისტორიაში და შეეხება თბილისში პირველად ციხის აშენებას, ვახტანგ ბორგასლანზე ადრე: მეფე ვარზა-ბაქარის დროს (379—394 წლებში), საქართველოს შემოესივნენ სპარსნი და მცხეთა რომ ვერ აიღეს, თბილისის კლდეზედ ააგეს ციხე და ჩააყენეს შიგ თავისი ჯარები, რათა აქედამ მარად მტრონ მცხეთას, რის გამოც ქართველებმა ამ ციხეს დაარქვეს შურის-ციხე, ე. ი. მცხეთისა და ქართლის შურის საგებელი ციხე. ვარზა-ბაქარი შეურიგდა სპარსებს, დაჰპირდა მათ ხარკსა და ამით კვლავ დაიბრუნა თბილისი, ამბობს ვახუშტი თავისს ისტორიაში (გვ. 82).

მაგრამ ნამდვილი მაშენებელი და განმადიდებელი თბილისისა იყო დიდებული ვახტანგ მეფე პირველი, ზორგასლანად წოდებული. ზანდიდებული და განძლიერებული მრავალის გამარჯვებით საქართველოს მტრებზედ, ვახტანგმა ივიწროვა მცხეთა და 455 წლებში მხნედ შეუდგა თბილისის აშენება-გამშვენებას, რათა ჰყოს იგი საქართველოს სატახტო ქალაქად. ამისათვის ბრძენმა მეფემ თბილისი გაჰყო სამ ნაწილად: 1) საკუთრად თბილისად, სადაც იყო აბანოები; 2) კალისად, სადაც იყო ციხე და 3) ნისანად ანუ ისანად, სადაც იყო მეტეხი და ეხლანდელი ავლაბარი. მანვე შეადგინა გეგმა ხუთის ეკლესიის აშენებაზედ თბილისში. ეი სახელები ამ ეკლესიებისა: 1) ღვთის-მშობლის მიძინების სახელობაზედ, წოდებული მისგან სიონად (იხ. „მოგზაური", № 2, გვ. 200); 2) მეტეხისა, კარის ეკლესიად; 3) წმ. ჯვრისა ანუ ბოლგოთისა; 4) ბეთლემისა, რომელიც ახლა უჭირავთ სომხებს და ეწოდება ფეთხანიის ეკლესია და 5) წმ. მთავარ-ანგელოზისა მიხეილისა, აწინდელი წმ. გიორგისა, ყოფილი კარის ეკლესია, ანჩისხატის ეკლესიის ახლო. დასასრულ, ვახტანგმა იწყო თავისთვის დიდ-მშვენიერის სასახლის აშენება მეტეხზე, მაგრამ სიკვდილმა აღარ აცალა. როგორც ვიცით, 499 წელს, ვახტანგი დაჭრილ იქმნა შჯარმის ბრძოლაში სპარსელებთან (იხ. „მოგზაური", № 2, გვ. 218) და იმავე წელს გარდაიცვალა. ტახტზე დაჯდა შვილი მისი დაჩა (499—514), რომელმაც არა თუ მარტო ოდენ გადმოიტანა სამეფო ტახტი თბილისში და მით შეასრულა აზრი და ანდერძი სახელოვანის მამისა, არამედ თავისს მხრივაც მრავალი შეჰმატა ქალაქსა: განამტკიცა სიმაგრენი თბილისისა ახალის შენობებით და გალავან-კედლებით, ააგო სასახლე და სხვ.

574 წელს საქართველოში გამეფდა ბურამ ბაგრატიდი, კაცი დიდად განთქმული და მოღვაწე. მან შემოავლო ქალაქს ქვით-კირის გალავანი, განავრცო ციხე, შეაკეთა და

განაახლა ძველი სიმაგრენი, ტაძარნი და სასახლენი. თუ სადამდის განდიდებული იყო თბილისი მის დროს, სჩანს სომეხთ მემატიანის უხტანესის სიტყვებიდამ, რომელიც ამბობს: „თბილისი არის დიდებული სატახტო ქალაქი საქართველოსიო, საკვირვლად აშენებული, საკვირველი და შესანიშნავიო“.



ჩანჩქერი თბილისის ლეღვთა-ბაღში (ბოტანიკურში).

მაგრამ დიდს ხანს არ გაგრძელებულა თბილისის ბედნიერება: სტეფანოს მთავრის დროს (600—619), თბილისს თავს დაეხსნენ ხაზარნი და ბიზანტიელნი ირაკლი იმპერატორის წინამძღოლობით და პირველს წელს თუმცა ვერ აიღეს, ისე მაგრად იდგა ქალაქი, მეორე წელს კი ველარ გაუძლო თბილისმა მკალსავით მოსეულს მტერსა და აღებულ იქმნა. ეს პირველი გამარჯვება იყო საქართველოს მტრებისა თბილისზე მისს დაარსებიდგან სატახტო ქალაქად, და ამიტომ, ნამდვილი უნდა იყოს თქმულება მატიანისა, რომელიც ამბობს, რომ ხაზარნი აღივსნენ ოქრო-ვერცხლის ჭურჭლეულითა, რომელიც მათ აფორიაქებულ თბილისიდამ გამოიტანესო. ამის შემდეგ ხომ სრულიად აღარ შეუსვენია თბილისს: მტერი მტერზედ მოდიოდა ამ სვე-უბედურ ქალაქზე და ანგრევდა და სცარცვავდა მას. აი მაგალითებიც: 731 წ. თბილისი ააოხრა მურვან-ყრუმ; 744 წ. კვლავ ააოხრეს იგი არაბებმა; რამდენიმე წლის შემდეგ არაგვის-კარით კვლავ შემოესივნენ საქართველოს ხაზარნი და სხვათა შორის ააფორიაქეს თბილისიც; მათ კვლავ მოჰყვნენ არაბნი, რომელთაც აიღეს იგი და გახადეს თავიანთ ემირების (მმართველების) სატახტო ქალაქად. 1042 წელს მეფე ბაგრატ მეოთხემ წარსტაცა თბილისი არაბებს და ნელ-ნელა მოაკეთა იგი, მაგრამ 1073 წელს საქართველოს თავს დაესხნენ თურქნი და სხვათა შორის თბილისიც ააფორიაქეს. 1122 წელს თბილისი აიღო მეფე დავით აღმაშენებელმა, რომელმაც ბევრი იზრუნა ქალაქის კეთილ-დღეობისათვის და სხვა-და-სხვა შეღავათებით და საშუალებით დიდ-ძალი ქართველობა და სომხობა მიიზიდა ქალაქში დასასახლებლად. მაგრამ უმაღლეს დიდებას და სიმდიდრეს თბილისმა მიაღწია თამარ მეფის დროს (1184—1212), რომლის დროს საქართველოს ექვემდებარებოდა მთელი კავკასია, სომხეთი, ყარსი და ადირბეჯანი, ვიდრე თავრიზამდე. მის შემდეგ-კი, განსაკუთრებით, რუსუდან მეფის დროს (თამარ მეფის ქალიშვილის დროს,

1223—1247) მთელი საუკუნის განმავლობაში შესვენებული და აყვავებული თბილისი აიღო ხორასნის სულთანმა ჯალალ-ედინმა (იხ. „მოგზაური", № 2, გვ. 204) და საშინლად ააფორიაქა და ააოხრა იგი.

1238 წელს მას მოჰყვნენ მონგოლები, აიღეს თბილისი და ჩადგნენ მასში თითქმის მთელი საუკუნით, ვიდრე მეფე გიორგი ბრწყინვალემ (1318—1346) მთლად არ განსწმინდა თბილისი და საქართველო მონგოლთაგან; მაგრამ 1388 წელს თბილისი აიღო ლენგ-თემურმა და სულ მიწასთან გაასწორა იგი. თბილისი კვლავ აღადგინა და განაახლა მეფე ალექსანდრე I-მა (1414—1442), რომელმაც ააგო მასში ბევრი ახალი შენობა და შემოავლო მას ახალი ციხის კედლები. 1518 წ. თბილისი აიღო ქრთამით სპარსეთის შაჰ-ისმაილმა, ააფორიაქა იგი, ააშენა აქ მეჩითი და ჩააყენა თავისი ჯარი, მაგრამ მეფე დავით VIII (1505—1525) მალე კვლავ დაიბრუნა ქალაქი და მაჰმადიანნიც ერთიან გარეკა ქართლიდამ. 1536 წელს თბილისი აიღო შაჰ-თამაზმა, ხოლო 1578 წელს ოსმალებმა, მაგრამ სიმონ მეფემ კვლავ წარსტაცა მათ.

1636 წელს საქართველოში გამეფდა მეფე როსტომი, რომლის დროს თბილისი კვლავ მოცოცხლდა და მოკეთდა. მან ააგო აქ მშვენიერი სასახლე ანჩის-ხატსა და სიონს შუა, მოზღუდა მეტეხი, გააშენა მშვენიერი ბაღები და სხვ. 1670 წელს თბილისში ჩამოვიდა საფრანგეთის ცნობილი მოგზაური შარდენი, რომელმაც დაგვიტოვა ვრცელი აღწერა როგორც თბილისისა, ისე თითქმის მთელის საქართველოსი. აი ზოგიერთი ადგილი მის თბილისის აღწერიდამ: „თბილისი მოზღუდულია ლამაზი და მტკიცე კედლებითა, აქვს მშვენიერი შენობები და ვრცელი ბაზარ-ქარვასლები, რომლებსაც სუფთად ინახავენო. უკეთესი შენობა თბილისში არის მეფის სასახლე, მრავალ პალატებიანი და ბაღებიანი და ქახეთის მეფის მოადგილისა, ქალაქის განაპირად, სადაც აგრეთვე ბევრია მშვენიერი ბაღები და სახლებიო". შარდენი სხვათა შო-

რის ყოფილა მეფესთან, რომელსაც მიუღია იგი თავისს ვრცელს დარბაზში. შარდენი დიდად აქებს მეფის დარბაზს და ამბობს, რომ სიგრძე მისი იყო 47 არშინი და სიგანე 17 არშინიო, მშვენიერის მოვარაყებულის სვეტებითა და მრავალის ძვირფასის ორხუებით მორთულიო. პლატონ იოსელიანის სიტყვით, დიდ-მშვენიერი რამ ყოფილა მაშინდელი საქართველოს მეფეების სასახლე თბილისში: მთელი სიგრძე სასახლისა ყოფილა 65 საჟენი და აგებული იყო ზედ მტკვრის მარჯვენა კიდეზეო. პირველი სართული შეიცავდა სარდაფებს, საყინულეებს, საკუჭნაოებს და სხვ. მეორე სართული მორთული იყო აღმოსავლეთურ გემოვნებაზე მრავალის ძვირფასის ქვებით, ფერადი სარკეებით, ორხუებით და სხვა, ეს იყო სალარო მეფისა (ერმიტაჟი). მესამე სართული იყო უმთავრესი და შეიცავდა 32 დიდსა და პატარა სრა-პალატსაო; აქ ცხოვრებდა მეფე თავისი ცოლ-შვილით; სასახლის ორივე გვერდით აშენებული იყო ორი შენობა, ოც-ოცი ოთახით თვითეულში, რომელშიაც იდგა მეფის ამალა. სასახლის წინ, მეიდანზე, გაკეთებული იყო მარმარილოს აუზი შადრევანით, რომლისთვინაც წყალი გამოყვანილი ყოფილა წავკისის მთებიდამ. იმ დროის მილების ნაშთნი დღესაც მოჩანს მამა დავითის მარცხვნივ მთებზედ; აქვე იყო გოგირდის აბანო, რომელშიაც წყალი გამოყვანილი ყოფილა მილებით გოგირდის აბანოს წყაროებიდამ. აქვე მახლობლად იყო ეკლესია, ზარაფხანა, სტამბა და სხვ.

თითქმის ამავე დროს ეკუთვნის ვახუშტისაგან, 1735 წელს, თბილისის გეგმის დახატვა და მისი აღწერა. მოგვყავს აქ ეს გეგმა და თვით აღწერა თბილისისა ვახუშტი ბატონიშვილისაგან.

„ხოლო ტფილისი არს სამი ქალაქი: ტფილისი, კალა და ისნი. ჰყოფს მტკვარი ქალას, ტფილისს და ისნს. ქალას უდის ჩრდილოთ-აღმოსავლით, ტფილისს ჩრდილოთ და ისნს —დასავლით და სამხრით. ხოლო ქალასა და ტფილისს



ᲒᲔᲒᲛᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐ, დახატული ᲕᲐᲮᲣᲨᲢᲘᲡ-ᲛᲘᲔᲠ 1735 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ.

ჰყოფს სალალაკის-წყალი, რომელი გამოსდის წავკისისა და ქო-ჟრის მთებსა, სამხრით და აღმოსავლით უდის ქალას და და-სავლით ტფილისს; არამედ პირველ იყო დაბა. 27 მეფის ვარზა-ბაკურის ჟამსა აღაშენა შურის-ციხე, მცხეთისათვის, ერისთავმან სპარსთამან. შემდგომად ბორგასლან დადვა სა-ფუძველი. დაჩიმ, 34 მეფემან, ქმნა ქალაქად და ტახტად მე-ფეთა. და მურვან-ყრუს შემდგომად შემუსრეს ხაზართა, და აღაშენა ამირ-აგარიანმან. შემდგომად შემცირებისა მცხეთი-სასა და აოხრებისა მისისა, უმეტეს ტახტი იქმნა ბაგრატო-ვანთა. ტფილისს დის ცხელი წყალი კლდიდამ, არს მით აბა-ნონი ექვსნი, და დიდ-შენნი, ავაზიანნი. მოდის მომდინარე ცხელი წყალი. აქ თაბორს ყოფილა ციხე, არამედ აწ შე-მუსვრილი არს. აქ დასხნა შაჰ-სეფიმ სეიდნი, მის გამო სპარ-სნი უწოდებენ სეიდაბადს. ყოფილან ეკლესიანი დიდ-შენნი, არამედ აწ შემუსვრილნი არიან.

ქალა არს ციხე ნაშენი მაღალს კლდესა ზედა და ჩამო-ზღუდვილი სალალაკის-ხევი მტკვრამდე. სალალაკის-ხევის კარს უწოდებენ ბანჯის კარად. მაღალს ციხეში არს ეკლე-სია გუნბათიანი, წმიდის ნიკოლოზისა, და სასახლე მეფის, პალატნი დიდ-დიდნი და შვენიერნი. არამედ დაუტევა 89 მეფემან როსტომ, ჩამოზღუდა ქალა, ციხიდამ ხიდის ყურამ-დე,და მისცა სპარსთა, მიერით-გან უპყრავთ მათ, და თავისა თვისისათვის სამეფოდ აღაშენა სიონსა და ანჩის-ხატს შუა სა-სახლე, მტკვრის გარდაკიდებით, ყიზილბაშთა რიგისა. 94 მეფემან ვახტანგ აღაშენა სახლი შვენიერი, სრულიად სარკი-თა და მოოქროვილი, დიდ-მხატვრობითა, ლაჟვარდითა და მარმარილოს კედლითა. შემუსრეს ოსმალთა. არს ქალას ეკლესია გუნბათიანი, დიდი, დიდად შვენიერი, სიონი, წო-დებული ღვთის-მშობლისა, რომლისა საფუძველი დასდვა 39 მეფემან ბურამ, შემდგომად შეასრულა ქვრივმან ვინმე და მოქალაქეთა, და 41 მთავარმან ადარნასემ, ხოლო აწ დარ-ღვევასა ზედა მიხდილი განაახლა და აღაშენა ძირიდამ გუნ-

ბათითურთ 94 მეფემან ვახტანგ. ზის ეპისკოპოზი მწყემსი ტფილისის სამხრით ძციისამდე. არს კვალად ეკლესია ჯვარისა, გუნბათიანი, შვენიერი. განაახლა აწ იმერლის-შვილმან. არს კვალად ანჩის-ხატი, დიდი, უგუნბათო, კათალიკოზისა, შემუსვრილი აღაშენა კათალიკოზმან დომენტიმ, ძემან ძაიხოსროსამან. არს ნათლის-მცემლისა, გუნბათი მოარღვია 89 მეფემან როსტომ, სხვით განაახლა 94 მეფემან ვახტანგ. არს კვალად, დაბალს ციხესა შინა, ეკლესია გუნბათიანი და აწ ცარიელი, და სხვანი გუნბათიანი არიან. სამი უპყრავთ სომეხთა. უგუნბათო აღაშენა კარის საყდრად 89 დედოფალმან მარიამ. კვალად აღაშენა 94 მეფემან ვახტანგ ორი უგუნბათო. 90 დედოფალმან როდამ აღაშენა ერთი უგუნბათო, კვალად უგუნბათო ოთხი, აწ უპყრავთ სომეხთა; ხოლო ხიდის-ყურს აღაშენა მეჩითი შაჰ-ისმაილ. 89 მეფემან როსტომ აღაშენა ციხეს გარეთ ერთი, სასახლესა შინა ერთი, და განჯის კართან ერთი. ურუმთ, ქორონიკონსა 1727 აღაშენეს სამი, არამედ შემუსრნა შაჰ-ნადირ.

ისნს არს, კიდესა ზედა მტკვრისასა, კლდესა ზედა ციხესა შინა, ეკლესია მეტეხი ღვთის-მშობლისა, გუნბათიანი, დიდ-შვენიერ ნაშენი, საარქიმანდრიტო. შემუსრვილი აღაშენა 66 მეფემან დიმიტრიმ. 92 მეფემან ერეკლემ მისცა სპარსთა, და არს უქმად. აქ განვალს ხიდი ქალიდამ ისნს, ციხიდამ ციხესა: ხოლო ხიდის ყურის სამხრით არს საფლავი წმიდის აბოსი, რომელი იწამა სპმრსთაგან ტფილისს. ხოლო ისნის-ციხე ყოფილ არს დიდი, რომელსა განაახლებდნენ ოსმალნი ქორონიკონსა 1728, და დაშთათ უსრულნი. ისნს არს ეკლესია ერთი უგუნბათო, არამედ გუნბათიანი ორი, და უგუნბათო ერთი უპყრავთ სომეხთა. ყოფილან ძველად მრავალნი ეკლესიანი ტფილისსა, ქალასა და ისნს, არამედ აწ შემუსრვილნი არიან.

ქალა მოზღუდა მეორე შაჰ-აბაზ პირველ შემუსრვილი. სამხრით მოავლო, სალალაკის კლდეზედ. დასავლით იქმნეს

ორი კარი: ზღუდეს გარედ უხმობენ აწ გარეთ-უბანს, სადაც არს ასპარეზი. აქა არს ეკლესია გუნბათიანი ორი, უგუნბათო ორი, და უპყრავთ სომეხთა, ხოლო უგუნბათო ორი უპყრავთ ქართველთა. ძალას არს რომაელთა ეკლესია ერთი, და მონოზონნი, ხოლო აწ უწოდებენ ოთხთავ ქალაქთა ტფილისს, და განყოფით ძალას ტფილისსა, ტფილისს სეიდაბათს და ისნს ავლაბარს, და გარეთ-უბანი არს ტფილისისა. მსახლობელნი არიან ციხესა და სეიდაბადს სპარსნი მოჰმადიანნი, ხოლო ციხეს გარეთ უფრო სომეხნი და მცირედ ქართველნი, ქცევა-ზნით ქართულითა. სახლნი ნაშენნი არიან ქვა-ტალახითა და გალესილი გაჯითა, ზოგთა სპარსთ რიგისა, ზოგთა ქართული, არამედ ციხე, ეკლესიანი და ზღუდენი ქვიტ-კირისანი არიან, ჰავითა არს მშვენი და მხიარული, ერნი მშვენიერნი და მშვიდნი, ქალნი ფრიად კეკლუცნი. ბარემო ქალაქისა წალკოტნი და სავარდენი მრავალნი, ყოვლის ხილითა და ყვავილითა სავსე, განა ქალაქი ვიწრო, ფოლორცნი (მეიდნები) უშვერნი ზაფხულს ცხელი და არა გაუძლისი, ზამთარ ცივი. ბაზაფხულ-შემოდგომა მშვენი და სატრფო. სანადირონი მრავალნი, ახლოს ფრინველთა და ნადირთა. ხოლო კვალად დასავლით, იშიტუტრუქის კლდესა შინა, არს მონასტერი მთა-წმიდისა, და აწ ცალიერი. ხოლო ტფილისის სამხრ-აღმოსავლით არს ნათლუხი. მუნ დის ნავთი, კიდესა მტკვრისასა, არამედ წყლის სიახლოვით მრავალი არ აიღების. აღმოსავლით ტფილისისა არს ლილო. ბრა არს მუნ ვენახნი და ხილნი, მთობისაგან, და არს უმდინარო წყაროებითა; და ნაყოფიერებს მთურად, ტბანი არიან მცირენი და უთევზონი, მყვრითა სავსე. სხდების წერო და ბატი მრავალი. ტფილისის ჩრდილოდ არს მინდორი დიდ-უბისა, რომელსა პირველ ეწოდა ცხენის-ტერფი. ტფილისიდამ მცხეთამდე უწყლო, არამედ მოსავლიანი: კვალად ტფილისის ჩდილოთ არს ჯურჯ-მონასტერი, ეკლესია წმიდის გიორგისა, უგუნბათო, დიდი, აწ ხუცის სამარ. ვერესა ზედა არს ხიდი

დიდი ქვიტკირისა, განა ვერე წყნეთამდე წალკოტითა შემკული და მრავალნი მის სამხრით არს ველი საბურთალისა. ამას შინა ყოფილა რუ ვერიდამ მოტანილი, და აწ უმისოდ უნაყოფო არს. მას ზეით არს ტბა ლისისა, და მის დასავლით მთა სხალ-დიდისა, კეთილი აგარაკი და შვენიერი ყოვლითა".



ქ. თბილისის რიუეზედ.

1786 წელს, მეფე ირაკლის დროს თბილისში ყოფილა მოგზაური ლელაპორტი, რომელიც სწერს შემდეგსა: „თბილისი არა დიდი, მაგრამ ლამაზი ქალაქია. მასში არის ფრიად კარგი სახლები, საზოგადო და კერძო, თამამად შემიძლია ვსთქვა ნამდვილი სრა-პალატნიო. უკეთესი მათში მეფის სა-

სახლეებია, ბაზრები აშენებულია ქვით და წმინდად ინახებაო, მაშინ, როდესაც საფრანგეთში ბაზრები აუშნოებენ მის უკეთეს და უმთავრეს ქალაქებსაო. ქართველთა სახლებში სისუფთავეა დაცულიო. ეკლესიათა რიცხვი არისო: ბერძენთ აღსარებისა 13, სომეხთა 7, კათოლიკეთა 1-ო. საქართველო არის ის ქვეყანა, სადაც ხალხი დიდის სიამოვნებით ატარებს თავისს სიცოცხლეს სულ მცირის ხარჯითაო. მასში უხვად მოდის პური, ბოსტნეული და ხილიო. პური და ხორცი ფრიად გემრიელიაო, განსაკუთრებით ნადირის ხორციო. ქასპიის ზღვა და მტკვარი, რომელიც მომდინარეობს მთელს საქართველოზედ, უხვად აწვდის მისს მცხოვრებთ ზღვისა და მდინარის თევზსაო. აქაური ღორის ხორცი ფრიად გემრიელიაო. ბარეული ღორი აუარებელია და ხორცი მისი თვით შინაურ ღორის ხორცზედაც გემრიელიაო. ღვინო კარგია და არ მოიპოვება ხალხი, რომ ქართველებზე მეტსა სვამდესო.

აქაურ ქალებზე უმშვენიერესი მე არაფერი მინახავსო, მე მარად განცვიფრებით ვუმზერდი მათო. ამ ქვეყანას თამამად შეიძლება ვუწოდოთ მშვენიერების, სილამაზის საცხოვრებელ ადგილათაო. აქ ისევე იშვიათია არა ლამაზი ქალის შეხვედრა, როგორც სხვა ქვეყანაში ლამაზისაო. თითქმის ყოველ ნაბიჯზე გხვდებიან ასეთებიო. მე ამას, რასაკვირველია, არ ვაზვიადებო. ძნელია წარმოიდგინო უკეთესი მოყვანილობა სახისა, წერწეტი ტანისა და მის სასიამოვნო რხევისა, რომლითაც განთქმულნი არიან ქართველნი ქალებიო. ამბობენო, რომ ასეთმა განსაცვიფრებელმა სიტურფემ აქაურ ქალებისა დაუშალა მაჰმადს აქ მოსულიყოვო. საქართველოში სრული თავისუფლებაა სარწმუნოების კითხვების განსჯა-განმარტებაშიო. არიან აქ სომხებიც, ბერძნებიც, ებრაებიც, ოსმალნი, ინდოელნი, თათრები, რუსები და სხვა ევროპიელნი, მაგრამ სომხები ყველაზე მეტნი არიანო. ქართველთა და სომეხთ შორის სიძულვილი არსებობსო, ეს აიხსნე-

ბა მათის ჩვეულებების განსხვავებითაო. თბილისში ასხამენ ზარბაზნებს, მარტირებს და ყუმბარებს, მაგრამ ოსმალეთისაზე ცუდებსაო; აკეთებენ თოფის წამალსაც, მაგრამ ცუდსაო. უკეთესი ღვინო აქ კახურიაო, რომელიც არ ჩამოუვარდება პონტაკუსა“-ო.

ასეთი იყო თბილისი 1795 წლამდის, როდესაც ცნობილ ძრწანისის ბრძოლის შემდეგ, სადაც მოხუცებულმა ირაკლიმ ზედ შეაკლა მტერს თავისი უკანასკნელნი მეომარნი, 12 ენკენისთვეს, სამშაბათს დღეს, იგი აიღო აღა-მაჰმად-ხანმა, ჯერ გაცარცვა და მერე დაანგრია და ერთიანად ფერფლად აქცია. მაგრამ თბილისი კვლავინდებურად ფენიქსებრ ადგა და დღეს რაც არის იგი, კარგად ვუწყით...



ნარიყალა*)

(ვუძღვნი რ. ერისთავის ხსოვნას).

ეჰ, ნარიყალავ, როს შემოგხედავ,
გლახ გული იწყებს ოხვრას და გმინვას,
ცრემლები მომდის ბეჩავ თვალებზე,
წუთი სოფელი რომ ეგრე გწირავს.

როს შემოგხედავ, გული არ დგება,
ფოთვასა იწყებს შავს ოცნებაში,
და ვითა ნავი ღელვიანს ზღვაში
იწყებს ტრიალსა ობოლსა გულში.

ბევრი სიკეთე მიგიძღვის ქართლთან
და ბევრიც ადევს მას შენი ვალი...
შენში სცხოვრებდა ამაღლებული
ქართველთა მეფე, დიდი თამარი...

შენ იყავ მუდამ ჩვენი საფარი,
მუდამ დარაჯი მთელის ქართლისა,
აწ ვით გიყურო გულ-გრილად შენა
კედლებ დაყრილსა და დანგრეულსა...

მაგრამ ვის მკერდშიც სდუღს ცეცხლი ღვთისა,
ქართული სისხლი სჩქეფს ვის გულშია,

---

*) ნარი-ყალა, ნარი-კალა—ქ. თბილისის ის ნაწილია, სადაც ამ ყამად ძველი ციხეა.

ის მოგიგონებს, მამულის მცველო,
ცრემლ-მორეული შემდეგს დროშიაც;

ის მოგიგონებს, ჰე, ნარიყალავ,
ის დაგისვენებს გულზე ხატადა
და დანგრეულსა შენსა კედლებსა
დაჰსახავს იგი წმიდა ტაძრადა...

ლევან მეტრეველი.

სოფელი ფოკა და მისი ნაშთნი.

სოფელი **ფოკა** ძევს ქ. **ახალ-ქალაქის** აღმოსავლით, 25 ვერსზე მისგან, სამხრეთ კიდეზედ **საქართველოს** წმიდა ტბისა—**ფარავნისა** და მარცხენა კიდით **ჯავახეთის-მტკვრის** სათავისა, რომელიც სულ რამდენიმე ნაბიჯზე სოფლიდამ გამომდინარეობს მოხსენებულ ტბიდამ. **ამ** ჟამად აქ ცხოვრობენ მარტო სომხები, უწინ კი, როგორც ცხადათ სჩანს დღევანდლამდე დარჩენილ ნაშთებიდგან, აქ სულ ქართველები ცხოვრობდნენ.



ფ ო კ ი ს წმ. ნინოს ძველი საყდარი.

სოფელი ფოკა იხსენება ჩვენს მატიანეში მეფე ბაგრატ მეოთხის მეფობაში (1026—1072), სადაც ნათქვამია შემდეგი:

„და განვიდა ბაგრატ ჯავახეთს. ბამოიყვანა ძაწყვერელმან მესხნი, განძითა, ბაგრატისათვის შველად, და მეფე სდგას ხრტილასა. ხოლო ლიპარიტ შეჰკრიბნა კახნი, და მოადგა ფოკათა. ბამოექცა მაწყვერელი ბაგრატ მეფესა, და შეეზრახა ლიპარიტს ცნა ესე მეფემან ბაგრატ, ზამთრისა ბუქთა საშინელთა, გარდაიარა შავშეთი და ჩავიდა ქართლს“ (გვ. 326).

ქართველთა აქ მოსახლობის დროიდამ დაშთენილია ძველი ეკლესია წმ. ნინოსი და ციხე, მაგრამ ეს უკანასკნელი ამ ჟამად წარმოადგენს მხოლოდ ნანგრევთა გროვას. ეკლესია-კი ჯერაც საკმაოდ კარგად არის შენახული და სდგას ტბის კიდის ახლო, როგორც ამბობს გარდმოცემა, იმ ადგილზე, სადაც სიზმარში მას გამოეცხადა იესო ქრისტე და მისცა მას დაბეჭდილი წერილი მცხეთის მეფესთან. მოვიყვანოთ ეს ამბავი „ქართლის-ცხოვრებიდამ“.

„და თვესა მეოთხესა მარტით-გან, რომელ არს ივნისი, წარმოემართა ნინო სომხითიდგან და მოიწია მთათა ჯავახეთისა, სადა იგი მიემთხვია ტბასა დიდსა გარდმომდინარესა, რომელსა ეწოდების ფარავანა. ხოლო მიხედნა-რაი მუნ-თ და იხილნა მთანი ჩრდილოსანი, დღეთა მათ ზაფხულისათა სავსენი თოვლითა და ჰაერითა სასტიკისათა, შესძრწუნდა წმიდაჲ ნინო და სთქვა: „უფალო, უფალო! მიიღე სული ჩემი ჩემ-გან“.

და დაჰყო მუნ ორ დღე, და ითხოვა საზრდელი მეთევზურთაგან, ტბასა მას შინა მონადირეთასა, და რამეთუ მწყემსნიცა იყუნეს ადგილსა მასვე და ხმილვიდეს (დარაჯობდნენ) რაჲ სახმილავსა ღამისასა სამწყსოსა ზედა მათსა, ხადოდენ იგინი შემწეთ და მფარველად მათდა ღმერთთა მათთა არმაზს და ზადენს და აღუთქმიდეს მათ შესაწირავთა, ოდეს მოვიდეთ წინაშე თქუენსა მშვიდობითო...

ვართ ჩვენ დაბით ელარბინით და საფურცლით, და ძინძარელნი, რაბატელნი, და დიდისა ქალაქისა მცხეთისანი, სადა ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“ და ჰკითხა: „სადა არს მცხეთა“! ხოლო მან მიუგო და ჰრქუა: „გარდამდინარე ესე ტბისა თანა წარვლის ქალაქსა მას მცხეთასა“.

ხოლო წმიდასა ნინოს შეუძლდა სიგრძე გზისა მის და სიბრტყე მთათა მათ, რომელი იხილა და ამისთვის, შეძრწუნებულ-მან სულთ-ითქუნა და დაიდვა ლოდი ერთი სასთუნალ (ბალიში) და ესრეთ მიიძინა გარდასადინელსა მას ტბისასა და ვითარ ეძინა, მოვიდა კაცი ერთი ჩვენებით, ჰასაკითა ზომიერ, ხოლო თმითა ნახევარ თმოსანი და მისცა მან წიგნი დაბეჭდილი წმიდასა ნინოს და ჰრქვა: „მიართვი ესე მსწრაფლ ქალაქსა შინა მცხეთას, მეფესა მას წარმართთასა“. ხოლო წმიდამან ნინო იწყო ტირილად და ჰრქვა მას ვედრებით, ვითარმედ მე, უფალო, დედა-კაცი ვარ უცხო და უმეცარი, არღა მრავლის მეტყველ მეცნიერ, ვითარ მივიდე უცხოსა ქვეყანასა და კაცთა მათ უცხო-თესლთა“. მაშინ კაცმან მან განუსხნა წიგნი იგი, და იყო წერილი რომაელებრ, რომელსა ზედა იყო ბეჭედი იესო ქრისტესი, და წერილ იყვნეს მათ შინა ათნი ესე სიტყვანი:

„სადაცა იქადაგოს სახარება ესე, მუნცა ითქმოდეს დედა-კაცი ესე; არცა მამა-კაცება არს, არცა დედა-კაცება, არამედ თქვენ ყოველნი ერთ ხართ; წარვედით და მოიწაფენით ყოველნი წარმართნი, და ნათელს-სცემდით სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა; და იქადაგოს სახარება ესე სასუფეველისა ყოველსა სოფელსა“ და სხვ.

მოსაგონებლად წმიდა ნინოს აქ ყოფნისა, ჩვენ წინაპართ მე-XI საუკუნეში აუგიათ აქ ფრიად მშვენიერი თლილის-ქვის საყდარი, რომელიც ჯერაც კარგად არის დაცუ-

ლი, თუმცა კამარა სულ ჩამონგრეულა. (სურათი გვ. 311).

ეკლესიის სამხრეთ კარებზედ აღსანიშნია ერთი დიდი ბრტყელი ქვა, სიგრძით $5^1/_2$ არშინი და სიგანით 2 არშინი, მშვენიერის ჩუქურთმებით და წარწერით. აი ამ ქვის ფოტოგრაფიული სურათიც. (იხ. შემდეგ გვერდზედ).

ამ ქვაზედ, ჯვრის მარცხნივ არის ეს მშვენიერი წარწერა:



„ქრისტე, აღიდე ბაგრატ კურაპალატი“,

ხოლო ჯვრის მარჯვნივ ეს წარწერაა:



„ქრისტე, ძეო და სიტყვაო ღვთისაო, აღდგენე ოქროპირი ქართლისა კათალიკოზი ორთავე შინა ცხოვრებათა, ამინ“. *)

---

*) აქ მოხსენებული ბაგრატ-კურაპალატი არის ბაგრატ მეოთხე, რომელიც მეფობდა საქართველოში 1027-დან 1072 წლამდის, ხოლო ოქროპირი იყო კათალიკოსად მის დროს. ოქროპირი კათალიკოსი იხსენიება ეკურმის საყდარზედაც, რომლის წარწერა მოყვანილი გვქონდა «მოგზაური»-ს № 3-ში (გვ. 210).



ერთიანი ქვა ზოკის საყდრის სამხრეთ კარების თავზე.

ფოკის საყდარზე დაცულია კიდევ ბევრი სხვა წარწერა, მაგრამ ჩვენ მოვიყვანთ აქ მხოლოდ შემდეგსა:



„სახელითა ღვთისათა მე ბაგრატ, რომელი ღირს ვიქმენ შენებასა წმიდისა ამის ეკლესიისა, საფუძველი დაიდვა, მე თანა დაგშვერი, ხელოსანი ვიყავ ოქროპირისა კათალიკოზისა“.

ქართული მატიანის ძველი სომხურის თარგმნის-გამო.

მეთერთმეტე თუ მეთორმეტე საუკუნეში, ჩვენი ჯუანშერის მატიანე ვინმე სომეხს უთარგმნია სომხურად. ეს თარგმანი ბ-ნს იუსტინე აბულაძეს, პეტერბურღის უნივერსიტეტში აღმოსავლეთის ფაკულტეტზე სწავლა-დამთავრებულს კარგად შეუსწავლია, შეუდარებია აწ არსებულ ჯუანშერის მატიანესთან ქართულს ენაზედ და რა უნახავს, რომ ეს ორი წყარო ჩვენის ისტორიისა საკმაოდ განსხვავდება ურთი-ერთისაგან, შრომა მიუღია და სომხურიდამ კვლავ ქართულად უთარგმნია მე-IX—X საუკუნის ენით, რათა, რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა, ზედ-მიწევნით აღედგინა იმ ქართულის დედნის ტექსტი, საიდამაც სომეხს იგი სომხურად უთარგმნია. მაგრამ ჩვენ უმჯობესად ვსთვლით თვით ბ-ნი აბულაძე ვალაპარაკოთ ამ საგნის შესახებ და ამიტომ მოგვყავს აქ თვით მისი წერილი.

ქართული მატიანის ძველი სომხური თარგმანი *).

ქართული მატიანეების შედგენა დაიწყო ძლიერ ადრე. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ჩვენში ნამდვილი მატიანე არსებობდა მერვე საუკუნეში და თითქმის საქართველოს ქრისტიანობის პირველ საუკუნოებშიაც-კი. რასაკვირველია, ჩვენ არა გვაქვს ნამდვილი და განსაზღვრული ჩვენებები, თუ როდის იყო შედგენილი პირველი ქართული მატიანე, რადგან არ გვაქვს ხელთ არც დედანი და არც მისი პირი, მაგრამ, სამაგიეროდ, ჩვენ გვაქვს მატიანური შრომა ძველ სო-

*) იხ. სომხური ტექსტი, ვენეტიაში გამოცემული 1884 წ.

მხურ ენაზე, რომელიც წარმოადგენს ქართულ მატიანის თარგმანს. ეს შრომა არის „საქართველოს მოკლე ისტორია“ ამ სათაურით: „*Համառօտ պատմութիւն վրաց*“. მიეწერება იგი ჯოვანშერ ჯოვანშერიანსა.

ავტორის ვინაობის და ამ ძეგლის შექმნის დროის შესახებ ჩვენ არა გვაქვს არავითარი თქმულება, თვით ამ შრომის ერთ ადგილს გარეშე. ეს, სახელდობრ, ის ადგილია, სადაც მოთხრობილია მეფე არჩილ მეორის (688—718) მოწამებრივ სიკვდილზე. აქ არის ნათქვამი: „და პოვნილ იყო მოთხრობაჲ ესე მცირედ აღწერილი ჟამსა შინა შფოთისასა და დასხმულ წიგნსა შინა, რომელსა ჰრქვიან „ქართლის ცხოვრება“ და რომელ არს მოთხრობაჲ ქართლისაჲ. და პოვა იგი ჯოვანშერ წერილი ვიდრე ვახტანგ მეფისადმდე. და აქამომდე თავით თვისით ჰმატა ჯოვანშერ, ხოლო რაჲცა ჯერ იყო ყოფად მისცნა მათ აღწერად, რომელნი თვით მხილველ იყონ და გარდამკდელ ჟამსა შინა მათსა“.

ამ ადგილის მიხედვით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ის უნახავთ საქართველოსათვის ფრიად სამძიმო დროს, სახელდობრ, შემოსევის დროს სარკინოს—არაბებისა, რომლებიც საქართველოს სრულ განადგურებას უქადოდენ. თუ რომ ეს ასეა, ის არსებობდა, რასაკვირველია, მისი ის ნაწილი, რომელიც უწევს ვახტანგ მეფის ეპოქას, ჯერ კიდევ მერვე საუკუნის დასაწყისში. მართლაც ავტორი მისი ჯავანშერი, „ქართლის ცხოვრების“ ჩვენებით არჩილ მე-II-ის ერთი მახლობელი ნათესავთაგანი, სახელდობრ, მისი ძმის სიძე ყოფილა.

თუ ჩვენ შევუთანასწორებთ ამ ძეგლს ქართულ მატიანეების არსებულ რედაქციებს, ვპოვებთ მისი ადრინდელი შედგენის უტყუარ მოწმობებს. ჯოვანშერის მატიანე „ქართლის ცხოვრებისაგან“, ყოვლის უპირველესად, განსხვავდება, როგორც უფრო ძირეული ანუ ნამდვილი ხასიათის მატიანე, ე. ი., როგორც ქვეყნის მსხვილმან შემთხვევებზე უმთავრესი

ცნობების წყობილი ჯარი. ჯოვანშერის მატიანე საკვირველად მოგვაგონებს „ქართლის ცხოვრების“ მატიანეს, ნამეტურ თავისს პირველ ნაწილში, მაგრამ თუ უფრო ქვემოთ ჩავყვებით კვალში, დავინახავთ, რომ „ქართლის ცხოვრებას“ აქვს ხასიათი ნამდვილი მატიანური კრებულის, კომპილაციის, სადაც მოზღვავებულია ფაქტები სხვა-და-სხვა დროის შედგენილი წყაროებიდგან და დაწყობილია ხრონოლოგიურ რიგზე. ამიტომაც „ქართლის ცხოვრება“ უფრო ვრცლად მოგვითხრობს ამა თუ იმ ფაქტებზე, მაშინ როდესაც ჯოვანშერი გარდმოგვცემს მათზე მოკლედ და კონსპექტიურად. ჯოვანშერს ჩვენ ვერ ვუპოვით ცხოვრებებს, ვრცელ ცნობებს იმის შესახებ, თუ სად ან რა დროს ვრცელდებოდა ქრისტიანობა; არა აქვს წმ. მოციქულების ანდრია და სიმონ ქანანელის მოქალაქობისა და ქადაგების შესახები ისეთი ვრცელი ცნობები, როგორიც იპოვება „ქართლის ცხოვრებაში“; არა აქვს მას არც ერთის წმიდანის ცხოვრება, წმ. ნინოს ცხოვრებას გარეშე, რომელზედაც „ქართლის-ცხოვრებასთან“ შედარებით ძალიან მცირედ არის მოთხრობილი. ქართველების განმანათლებელის მამისაგან ბრანჯების მოქცევის შესახებ ნათქვამია მხოლოდ, „რომ მან მოაქცია ისინი ქრისტეს რჯულზე, მაშინ როდესაც „ქართლის ცხოვრება“ ამის შესახებ ძალიან ვრცლად გვიამბობს.

ამ ნაირად ჩვენ ვხედავთ, რომ „ქართლის ცხოვრება“ შეიცავს მრავალ მოზღვავებულს და შეკეთებულ, ზოგჯერ ლეგენდარულ ფანტაზიით გამშვენებულ, ზოგჯერ-კი სხვა-და-სხვა კერძო ქრონიკებიდგან ამოკრებილ, როგორც უცხო, ისე ქართულ მოთხრობებს. ამის შესახებ ჩვენ ხშირად მოგვაგონებს თვით „ქართლის ცხოვრება“ ამ გვარი სიტყვებით: „ვითარცა წერილ არს ცხოვრებასა სპარსთასა“... „ვითარცა წერილ არს ცხოვრებასა ბერძენთასა“. „ვითარცა წერილ არს ცხოვრებასა მათსა“, „ვითარცა წერილ არს წიგნსა შინა წამებისა მათისასა“, „მოქცევასა მათსა“ და სხვ. ამ გვარ ფა-

ქტების მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ვიქონიოთ ის მოსაზრება, რომ ძველ სომხურ თარგმანს შემოუნახავს ჩვენთვის უძველესი ქართული მატიანის სახე; ეს მატიანე წარმოადგენდა უფრო ძირეულსა და ნამდვილი ხასიათის მატიანეს, ვიდრე ქართული მატიანების აწ არსებული რედაქციები. ამ უკ-ნასკ-ნელებში ცხადათ სჩანს სხვა-და-სხვა, როგორც ქართული, ისე უცხო წყაროებით სარგებლობა, როგორიც არიან ძველი ქართული მატიანე (რომელიც წარმოადგენდა ჯოვანშერის მატიანესაგან ძალიან ნაკლებად გასხვავებულს რედაქციას), გამოჩენილი პირების და შემთხვევების შესახები ცალკე მოთხრობები და პოეტური ზეპირ-გარდმოცემები.

მაგრამ ჯოვანშერის მატიანე რომ ყოფილა მისგან ნახული შფოთის დროს და ჩაკრული წიგნში, რომელსაც „ქართლის-ცხოვრება ეწოდება? აქედან ცხადია „ქართლის-ცხოვრებაც“ აგრეთვე არსებობდა მერვე საუკუნის დასაწყისში, მაგრამ შესაძლებელია რომ ის არსებობდა ცალკე წიგნებად, ბევრად უფრო ადრე და ამ ცალკე წიგნებიდან შესაძლოა შემდგარიყო მთელი კრებული. ეს ძალიან ადვილი დასაჯერებელია. მართლაც, თვით სათაური „ქართლის ცხოვრება“ ნიშნავს ხომ ცხოვრებას ქართლისას ანუ საქართველოისას. აქედან საფიქროა, რომ იმას მიუღია თავისი სახელ-წოდება ანალოგიური, მატიანური კრებულებისგან, უცხოელი ქრონიკებისგან და სხვა ამ გვარებისგან, რომლებიც დიდ ხმარებაში იყო უცხო და მოსაზღვრე ქვეყნებშიაც კი. როგორც „ქართლის ცხოვრების“ წიგნიდან სჩანს, ეს წიგნები ქართულს ენაზე ამ გვარ სახელებს ატარებდნენ: „ცხოვრება სპარსთა“, „ცხოვრება ბერძენთა“, „ცხოვრება წმ. ნინოისა“, „ცხოვრება წმ. მამათა“ და სუყველა ამ გვარი წიგნებიდგან შეიძლებოდა შემდგარიყო საერთო წიგნი, რომელმაც შემდეგში მიიღო სათაური „ქართლისცხოვრება“. ხოლო, რაც შეეხება ძველ ქართულ მატიანეს, ყოველგვარ გამშვენება-შეკეთება-მოკლებულს და ქვეყნის მსხვილმანი შემთხვევების შესახები

ამბების მომთხრობელს, იმას შეიძლებოდა მიეღო ისეთი სათაური, როგორიც დაცულია სომხურ თარგმანში, ე. ი. „მცირედი მოთხრობაჲ ქართლისათჳს“. ამ გვარი სათაური ბევრად უფრო მოხერხებულია.

ზემოხსენებული მოსაზრებები გვაძლევს ნებას ვიფიქროთ, რომ ძველი ქართული მატიანე იწერებოდა დაბადებიდგან, სპარსული, ბერძნული და სომხური ქრონიკებიდგან და შესდგებოდა საქართველოს მოქრისტიანების შესახები მოთხრობებიდგან, წმ. მოციქულების ანდრია და სიმონ კანანელის შესახები უცხო ლეგენდებიდგან, როგორც, მაგ., მოთხრობებიდგან, რომლებიც წარმოადგენენ ყველა სამხრეთელ მართლ-მადიდებელ ეროვნებების საერთო სამკვიდრებელს. ეს მატიანე, შესაძლოა, დაიწყო ჯერ კიდევ საქართველოს მოქრისტიანების პირველ საუკუნოებში და შემდეგ თანდათან ემატებოდა ქვეყნის მსხვილმანი შემთხვევების შესახები ყოველ დროული ამბები. ამას ცხადათ უჩვენებს ის ადგილი, რომელიც მირთულია არჩილ მეორის მოწამებრივი სიკვდილის მოთხრობის ბოლოზე; ამ ადგილიდან სჩანს, რომ ეს მატიანე ჯოვან შერისაგან ყოფილა დაწერილი, და რომ იმას შეეძლო ის გაეგრძელებინა ძველოდ „ქართლის ცხოვრების“ კრებულში და, მაშასადამე, მაშინ უკვე არსებულში, საკმაოდ მოგროვილი მასალებიდგან; შემდეგი მემატიანეები, რომლებსაც უწერიათ მეფე არჩილ მეორის მეფობიდან, ბაგრატების მესამე და მეოთხე და დავით აღმაშენებელის (980—1125) მეფობამდე, უკვე ამ უკანასკნელების თანამედროვეები და, მაშასადამე, ამ მეფეების მეფობის შემთხვევების თვით მხილველები ყოფილან *). ეს ცხადათ გამონათს იმ მხურვალე გრძნობაში, ლირიულ სულის მოძრაობაში და ცხარე სურვილში, რომლებითაც ისინი მოუთხრობენ თავიანთ

*) მე აქ, რასაკვირველია, ვამბობ ჯოვანშერის ხრონიკაზე და არა „ქართლის ცხოვრება“-ზე.

მეფეებზე. დავითის მეორე თანამედროვე უნდა იყოს აგრეთვე ჯოვანშერის მატიანის სომხურად მთარგმნელი; უკანასკნელი, ეჭვს გარეშეა, უნდა ყოფილიყო ერთი მისი დაახლოვებული სომეხთაგანი, ნამეტურ თუ სახეში ვიქონიებთ იმ გარემოებას, რომ დავითი სცდილობდა სომხების დაახლოვებას და მათთან სულიერი კავშირის დაჭერას, რასაც ცხადათ ლაღადებენ თვით მისი თანამედროვე სომხების მემატიანეები. ბარდა სწორი ძველი სომხური ენის, რომლითაც თარგმნილია ეს შრომა და რომელიც არ შეიძლებოდა ყოფილიყო მეთორმეტე საუკუნის უგვიანეს, ამას მოწმობს ის ჩამატებული ადგილიც, რომელიც მოსალოდნელი იყო მთარგმნელისაგან. მომადლა რა მეფე დავითი სიმპატიებით და კეთილგანწყობილებით სომეხი ერისადმი, მთარგმნელმა, რასაკვირველია, საჭიროდ ჩასთვალა აგრეთვე, მოეხსენებია თავისი სამსახურიც. მაგალითად ის ამბობს: „განიხარებდა მეფე და აქებდა კეთილსა თარგმანებასა სომეხთასა“-ო (იხ. სომხური ტექსტი გვ. 122 ვენეცია, 1884 წ.).

იმ ჩემი აზრის დასამტკიცებლად, რომ სომხური მატიანე არ არის დამოუკიდებელი შრომა, არამედ ძველის ქართული მატიანის თარგმანია, მე მოვიყვან ფრიად დამახასიათებელ ნიშნებს, რომლებიც აშკარად დავინახე ამ ძეგლის ქართულ მატიანეებთან შედარების დროს. მე არ შევეხები იმ სომხურ ძეგლის ფრაზეოლოგიას, არც მის სტილსა, ვიწყებ ისეთი ორთოგრაფიული ნიშნების გარდაშლას, რომლების მიხედვით, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ეს ძეგლი არის თარგმანი და თარგმანი, სახელდობრ, ისეთი ძეგლისა, რომელიც ხუცური წიგნით წერებულა.

მაგალითად, საკუთარი სახელების „არშაკ, შიუაშ, სამშვილდეს“-ს მაგიერად ვკითხულობთ: არბაკ, ბიუაბ, შამშუჰტე და სხვებს. ეს მით აიხსნება, რომ ასოების ш (შ) და ш (ბ)-ის მოხაზულობა ძალიან ჰგავს ერთმანეთს და გაკრული ხელით წერილში მათი ერთმანეთში შე-

ცვლა ადვილია; აგრეთვე ჰგავს ერთმანეთს ასოები ш (ჰ) ш (ლ); ამიტომ მათი ქართული სწორი გამოთქმა ამ გვარია: „Ար Շ ա ք, Ш ի ր ա Ш, Ш ի ր ա Ш, Ш ի ո Ш. Ս ք ա ն ա ս ք ն ե լ ի გამოთქმა დაცულია ქართულ მატიანეებში. ქართულად სამშვილდე—სომ. სამშუჰტე*), სომხ. აბებურა—ქართულად აბეშურა. ამ გვარ მოვლენასავე ვხედავთ სიტყვა: *արքիւրայք*-ში ერთი სიტყვის *արքաշիրք*-ის (მეფეების დინასტია) მაგიერად; წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ეს უნდა ვსცნოთ ორ სიტყვად *արք* (არდ) —აწ, და *քիւրք* მრავალი, რაც შეცდომაა; უნდა წავიკითხოთ: *արքաշիրք*—არდაშირიანნი. სომხურ თარგმანს შემოუნახავს ძველი ქართული ორფოგრაფიის მამხილებელი საკუთარი სახელები მაგ., Ш ი ვ ა Ш ის მაგიერად Ш ი ო Ш, ე. ი. უ ვ-ნის მაგივრად. ქართულს მატიანეში Ш ი ო Ш ის მაგიერად გვაქვს Ш ი ო Ш ი, ე. ი. ახალი ფორმა, იმის მსგავსად, როგორც, მაგალ., ჩვენ გვაქვს ახლა Ш ა რ ნ ა ო ზ ი, Ш ა რ ნ ა ვ ა ზ ი ს მაგიერად, Ш ი ვ ა რ გ ი ს მაგიერად Ш ი ო რ გ ი **) და სხვ. „ქართლის ცხოვრებაში“ ორფოგრაფია სიტყვა „სამშვილდე“-სი სრულიად ახალია, ე. ი. ის იწყრება ვ ნ ი თ უ-ს მაგიერად, სომხურ ტექსტს-კი შემოუნახავს ჩვენთვის ამ სიტყვის სწორი ძველი ქართული ორფოგრაფია *շամշուլդէ* ***)—სამშუილდე და სხვ.

რადგანაც ჩემგან შენიშნული ამ გვარი ფაქტები ცხადად გარდაგვიშლიან ძველის ქართულის ტექსტის უტყუარს ნიშნებს, ამიტომ მე, იმ მიზნით, რომ აღმედგინა ძველი ქართული დედანი, განვიზრახე მეთარგმნა ეს ძეგლი; ამასთან მე ვსთარგმნე იგი იმ ენაზე, რომელიც დაცულია (IX X) საუკუნეების ქართულ მწიგნობრობის ძეგლებში. თარგმნასთან ერთად მე შევასწორე სომხური ტექსტის გარყვნილი ადგილები და აგრეთვე ვუჩვენე ის შეცდომები, რომლებიც მოჰსვლია აკადემიკოსს ბროსეტს, რომელმაც სთარგმნა ეს

---

*) შენიშვნა იხილე სტატიის ბოლოში.

) სვანურ და სხვა მთიულ დიალექტებში აქამომდე დაცულია ეს ძველი ფორმები. *) ზოგ ადგილას ასეა.

თხზულება თავისს დედა ენაზედ (იხ. Additions et eclerciccement à l'histoire de la Géorgie. Chroniqre arme-niennc. S. Petersbourg 1851.

აქ მე გარდავშლი იმ შესწორებებს, რომლებიც შევიტანე მე სომხურს ტექსტში და აგრეთვე იმ შეცდომებს, რომლებიც ხვდება აკადემიკოსი ბროსეტის თარგმანში.

23 გვ. ჯოვანშერის მატიანეში ვკითხულობთ: *„և ետ նմա 'ի Գերոյրոյն Յիւրիանայ, միջնածովէն մինչև ցլեառն մեծ, որոյ ներքոյ կան եգերացիք և Սոնք.*

აქ არის საუბარი იმ სამფლობელოებზე, რომლებიც მიეცა ძუჯის, სამეგრელოს ერისთავს, საქართველოს პირველი მეფის ფარნავაზისგან, მაშინ როდესაც სიტყვა სიტყვით რომ ვსთარგმნოთ სომხური ტექსტი, მივიღებთ: „და მისცა მან (ფარნავაზმან) მას (ძუჯის) ბერო ჯრუიდან Ирივანამდი (ბროსეტით Ирივანამდი), ხმელთა-შუა ზღვიდგან დიდ მთამდი“ და სხვ.

ამ ადგილას ტექსტია გარყვნილი ან და სანახების უმსგავსო შერევაა და, მაშასადამე, მატიანის გარდაწერელის გეოგრაფიული უვიცობაა. აქ სრულიად არ არის ჭკუაში მოსასვლელი არც რაღაც გერჯჯრუი, არც ერივანი, არცა ხმელთა-შუა ზღვა. ეს სრულიად ცხადი ხდება მაშინ, თუ ამ ადგილს „ქართლის-ცხოვრების“ შესაბამ ადგილს შევადარებთ, სადაც ნათქვამია: „და მისცა ეგრისის წყალსა და რიონს შუა და ზღვითგან მთამდე“, რომელსა შუა არს ეგრისი და სვანეთი; აქედან ცხადია, რომ *„'ի գերոյրոյն“*-ის მაგიერად უნდა იყოს *„յեգեր ջրոյն“*—ეგრისის-წყლითგან, *„իւրիան“*-ის მაგიერად—*„րիաւն“*, მაშასადამე, სომხური ფრაზა ასე უნდა გასწორდეს: *„յեգրոյ ջրոյն մինչև ցրիաւն և 'ի ծովէն մինչև ցլեառն մեծ, որոյ ներքոյ կան եգերացիք և Սոնք“*, ე. ი. „ეგრისითგან რიონამდე და ზღვითგან მთამდე დიდად, რომლისა ქვეშე არნ ეგრისელნი და სოკანნი“.

ბვ. 24. ჯოვანშერის მატიანეში თითქო აკლიაო მეშვიდე

ერისთავი, რომელიც „ქართლის-ცხოვრებით“ ხვდება ძლარ-ჯეთს: საქმე იმაშია, რომ სომხურს თარგმანში ა), გარყვნილია ტექსტი; ბ), არ არის ნათქვამი, სად გაგზავნა ფარნავაზმან მეშვიდე ერისთავი, ნათქვამი კია, რომ მან გაგზავნა მერვე ერისთავი ძუჯაეთს და ეგერს.

ბროსსეტი სთარგმნის: „un huitieme dans le Koudchaeth et l'Eqer i. e. le pays de kondchi“; *) მაგრამ ძუჯის ქვეყნისთვის ჩვენ გვაქვს სახელწოდება ეგერი (ეგრისი), რომელიც იქვე ახლავს სიტყვას „ძუჯაეთ“ და სრულიად არ არის საჭირო კიდევ ძუჯაეთის გამოგონება. უფრო აქ არის დამახინჯებული სახელ-წოდება „ძლარჯეთი“: როგორც სჩანს სიტყვა „ეგერ“-ის წინ ყოფილა საკუთარი სახელი ძუჯი, სახელწოდების ძლარჯეთის წინ კი სიტყვა *զեօթերորդ* მეშვიდე (ერისთავი). ამაების მიხედვით, რომ შევასწოროთ ეს ადგილი, მივიღებთ: „*զեօթերորդ առաքեաց 'ի կլարջեթ և զքուջի յեգեր*“, ე. ი. „მეშვიდე წარავლინა ძლარჯეთად, ხოლო ძუჯი ეგერად“. წინააღმდეგ შემთხვევაში ვღებულობთ ამ გვარ სურათს: არის მეექვსე ერისთავი, მერვეც, მაგრამ მეშვიდე კი არ არსებობს. მერვე ხვდება ეგრისს, მეშვიდე კი ძლარჯეთს, მაშასადამე, აქაც ტექსტია გარყვნილი ან და სანახების უმსგავსო შერევაა, მაშასადამე, აქაც მატიანის გარდამწერელის გეოგრაფიული უვიცობა.

ბვ. 27. „*և զդուռն կրազմ, որ կայր անդադարբալա* —უნდა იყოს: „*և զդուռն կազմեացն, որ կայր անդ դարբուբալայ*“ ამ გვერდზედვე: „*և մուացաւ զՀաւատս մարց իւրոց և պաշտէ զՀայրենի կրօնս*“.

ბროსეტი სთარგმნის: „Oubliant la foi de son pays ne suit plus la religion paternelle“, აქ-კი ნათქვამია „მან დაივიწყა თავისი დედების რჯული და თაყვანს სცემს

*) მერვე (გაგზავნა) ქუჯაეთს და ეგერს, ე. ი. ქუჯის ქვე-

რჯულსა მამეულსა"-ო, როგორც უნდა, დარჩეს, ამიტომ რომ აქ მოთხრობილია ზარნაჯუმზე, რომელმაც დაივიწყა თავისი დედა-რჯული და აღიარა თავისი მამის —სპარსელის რჯული, რისათვის „მოიძულებდეს მას ქართველნი".

ბვ. 36 „*ապականաւ 'ի նոցանէ սակաւուք*-ის მაგიერად უნდა იყოს: „*ապա կան նաև 'ի նոցանէ սակաւուք.*"

ამავე გვერდზე: *Հատուածի պատճառով* **) ბროსეტს ვერ გაუგია ეს ადგილი, რომელიც სრულიად ადვილია: მე ვსთარგმნი: „რეცა თუ განდგომილი" ანუ მიზეზითა განდგომილისაჲთა".

ბვ. 46 „*մի երկնչիր: զի ընդ ելանելոց ես առ քորսն քոյ:*" ბროსეტს ვერ გაურჩევია „*քորսն*" უკანონო ბრუნვება, აკუზატივი, მრავლობითი რიცხვი სიტყვისაგან *քոյը* და და სთარგმნის ასე: „tu entreras avec celles-cie—უნდა იყოს: „tu entreras avee tes soeurs .

ბვ. 51: *Նիէբազոյ* —უნდა იყოს: *Եմբազոյ* — ემბაზი.

ბვ. 106: *յայնմ ժամանակի Գեորգի Թագաւորն Սփխազայ և Դէմետրէ փեսայ Լեոնի*"—დემეტრე ვახტანგით იყო ძე და არა სიძე ლეონისი. ჩემის აზრით ეს შეცდომა წარმოსდგა იმის გამო, რომ ქართულ ორიგინალში სიტყვები არ იყო ერთი-მეორისაგან საკმაოდ დაშორებული. ეს ფრაზა მთლად დაცულია „ქართლ. ცხოვრებაში", სადაც ვკითხულობთ: „მას ჟამსა შინა გამოვიდა მეფე ბიორგი ძმა თევდორესი და დემეტრესი, ძე ლეონისი". თუ ჩვენ ამ ფრაზის უკანასკნელ სამ სიტყვაში მოვახდენთ ისეთ ცვლილებას, რომ პირველი მათგანის მარცვალს სი—ს ვაკუთვნებთ მეორეს, მა-

---

**) იხილე ამ გამოთქმის ამგვარივე ხმარება მოსე ხორენელის ისტორიაში: (Моисей Хоренскій. Исторія Арменіи. Тифлисъ 1881 г. 2 книга, 74 глава) „*և Հատուածի պատճառաւ փախստական լինի* (Սնակ) *յԱրտաշրէ*".

შინ, მართლად, მივიღებთ სიტყვა „სიძე“-ს და სწორი წაკითხვის მაგიერად „მეფე ბიორგი, ძმა თევდორესი და დემეტრესი ძე ლეონისი, წავიკითხავთ: „ბიორგი ძმა თევდორესი და დემეტრე, სიძე ლეონისი“; ამას გარდა გამოჩენილია ორი სიტყვა: „*և դեմետրէ*“-ს წინ, სახელდობრ: „*եղբայր Լեոնի*“ —სიტყვა-სიტყვით და იმავე რიგზე, რომ გადავსთარგმნოთ ეს ქართული ფრაზა, მივიღებთ: „*յայնմ ժամանակի Գեորգի, թագաւորն Ափխազաց, եղբայր Թեոդոսի և Դեմետրէի, որդի Լեոնի*“.

ბვ. 88: „*Զկնի այսորիկ եւ թագաւորն Սինդայ 'ի պարսպակն*“, უფრო „*պահրակն*, როგორც შეიძლება კიდეც იყო ეს სიტყვა ქართულ ტექსტში. ეს სიტყვა იხმარება ძველ ქართულში ამ სახით: პაჰრაკი და ნიშნავს მცველს, სიმაგრეს (იხ. სახარება მათესი, თავი 27 გვ. 32).

ბვ. 39. *արդիւրոյք* ის მაგიერად უნდა იყოს *արդաշիրք*— არდაშირიანნი.

ამით ვათავებ ჩემ შესწორებებს და შენიშვნებს.

მე ხელ მძღვანელობდა სურვილი დამედგინა ჭეშმარიტება და ეს უფრო მაქეზებდა ჩავკვირვებოდი ამ სომხურ ძეგლს და მომენახა ისეთი მხარეები, რომლებიც დარჩენოდათ ჩემზე ადრე მისს მკვლევარებს.

რომ უფრო ნაყოფიერი იქმნას ჩემი ამგვარ მიმართულებაზე შრომა, მე ვამზადებ ჯოვანშერის მატიანის ძველ ქართულ ენაზე თარგმანს დასაბეჭდათ მე IX—X საუკუნოების ძეგლებში დაცული ენით – იმ შესწორებებით, რომლებიც ჩემზე ადრე მოეხდინათ და რომლებიც მე მოვახდინე ჩემი მუშაობის დროს.

ი. აბულაძე.

---

*) თუმცა აქ უნდა შევნიშნო, რომ სომხური յ მხოლოდ სიტყვის თავში გამოითქმის, როგორც ჰ, შუაში კი, როგორც ი ნი. ამას გარდა ზოგ ადგილას იმ ნაბეჭდ ტექსტში, რომლითაც მხოლოდ ვსარგებლობდი მე, გვაქვს *շամշոյլտէ* — შამშუილდე, ანუ სამშუალდე (յ (ա),ე.ი.յ— ცა და ლ-ც ამიტომ შესაძლებელია ეს ასო ხმარებული იყოს յ (ա)-ის მაგიერად. თუ ეს ასეა, მაშინ კიდევ უკეთესი მაგალითი გვქონია ძველი ქართული ორთოგრაფიის.

იანიჩარი *)

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად.

---

*) Иანიჩარი, იანიჩრები (ოსმ., ნიშნავს „ახალს ჯარს“) იყვნენ ერთგვარი ჯარის-კაცნი ოსმალეთში. იანიჩართა ჯარი პირველად შემოიღო სულთან-ჰურა-ხანმა 1328 წელს. იანიჩრების ჯარისათვის საგანგებოდ ჰკრეფდნენ ქრისტიან მცირე-წლოვან უმაწვილებს, აბარებდნენ მაჰმადიანთ ოჯახებში და ამ გვარად ზრდიდნენ თავ-დადებულ მაჰმადიან ჯარის-კაცებს. იანიჩრები შეადგენდნენ მუდმივ ჯარს ოსმალეთში რიცხვით 40,000 და ითვლებოდნენ მის უმამაცეს, მაგრამ იმავე დროს ურჩ და უწესურ ჯარად, რის გამოც ზოგიერთნი სულთნები ცდილობდნენ სრულიად მოესპოთ ეს ჯარი, მაგრამ ამაოდ: იანიჩრები იარაღით ხელში უძალიანდებოდნენ მათს განძრახვას და მხოლოდ სულთანმა მაჰმუდ მეორემ 1832 წ. შეჭსძლო მათი მოსპობა და ამოწყვეტა. მათ მაგივრად სულთნებმა შემოიღეს ევროპიულად განწყობილი ჯარი, წოდებული ნიზამად. იანიჩრებად ოსმალები ზრდიდნენ ქართველთ ბავშვებსაც და, როგორც მეისტორიენი გვარწმუნებენ, საშინელი ჯარის-კაცნი იზრდებოდნენ ამათგან. აი ერთ ასეთ იანიჩრებად გამოუვანილია ამ დრამაში ორი ქართველი, თავადი და აზნაური, რომელნიც წაუყვანიათ კახეთიდამ შემოსეულ მტრებს, ერთი 4 წლისა, ხოლო მეორე 7 წლისა. დროს მიმავლობაში ამ ორს გმირს დრამისას მოუხდებათ სამშობლოში ომი და აქ მოძმე ხალხის ულეტა-დამხობა. მაგრამ აქ ესენი ნელ-ნელა მოდიან გონს, იცნობენ სამშობლო

მომქმედნი პირნი:

ჯიმშერი-თავადი.
გოდერძი.
რობიტი.
ქიტა და სხვა ქართველნი თავადნი.
ანნა—ჯიმშერის ცოლი.
სალომე.
ნინო—ჯიმშერის ქალი.
ქალთამზე—სალომეს ქალი.
ფეფელა—გლეხის ცოლი.
ფაშა.
ასლან, ისკანდერ, ისაყ-ბეი. } იანიჩარნი.
არმაზან, საფარ და სხვა ჯართუფროსნი.
ფაშის სამი მსახური.
მეზვრე და ხაზუა.
ჯიმშერის მსახური.
ორი მზირი.
გლეხი და ოსმალო.
ორი იანიჩარი.
აზნაური.
შიკრიკი.
სამი თურქი.
ორი ქართველი.
სხვა მეომარნი—ქართველნი და ოსმალნი, ქართველი ხალხი.

მოქმედება სწარმოებს მეთვრამეტე საუკუნის დასაწყისში Oელავში (ქახეთში).

მიწა-წყალს, ხალხს და თავს გამოიდებენ თავიანთის ქვეყნის დახსნისთვის უწყალო მტრისაგან. ეს არის უმთავრესი ნასკვი და ძარღვი დრამისა. რამდენად ნიჭიერად შესძლო ახალ-გაზდა ავტორმა მათთვის ძვალ-ხორცის მოსხმა და სულის ჩადგმა, ამის თქმა ჩვენ თვით პირუთვნელის მკითხველისთვის მიგვინდვია.

რედ.

პირველი მოქმედება

სცენა I.

ოსმალთ ბანაკი. სცენის ცალს მხარეზედ მოსჩანს მაღალი მთები ტყით დაფენილი და ცალს მხარეზედ ციხე. აქა-იქ კარავები. ორი მეომარი შეხვდება ერთმანეთს.

პირველი საით მისდიხარ, ჩემო უსუფავ?
ფაშისგან ახალს რას გამაგონებ?
არ ემზადება ამ ჯარის აყრას
და იერიშით გურჯებზედ მისვლას?
ხომ სულ გავციოდით ამდენის ცდითა;
დასვენებაცა ამასა ჰქვიან!..
დღეს შეუსრულდა მზეს სამი გზობა,
რაც აღარ გვესმის ხმლის ხმაურობა.

მეორე. მივეშურები ჯართ-უფროსების
შესაკრებელად სწორედ ამ ალაგს,
რომ ფაშამ მისცეს იმათ ბრძანება
ახლო მომავალს გურჯთა ჟლეტაზედ.

პირველი. მაშ, შენი სიტყვით, მალე იქნება,
როცა ჩემს ხურჯინს და საცალოსა
გავავსებ გურჯთა მე ქონებითა
და მომღიმარი ბედით წავალ შინ!..

მეორე. შენ საწადელი აგისრულდება. (გადის)

პირველი. ჯარგა ხანია ვთელავთ გურჯებსა,
რავდენი სისხლის ღვარი ვადინეთ...
ბევრი სიმდიდრე ჩვენ შევიძინეთ
და კვლავ ვინ იცის რამდენს შევიძენთ...

(შემოდის ისკანდერი)

მეომარი და ისკანდერ.

ისკანდერ. ერთი მითხარი, რომელს ეკუთვნი—
იანიჩართა, თუ ოსმალთ გუნდსა?

ბერგ. მეომარი. ორივ ერთია ჩემის ფიქრითა;
გინდა ერთი სთქვი, გინდა მეორე,
რადგან ეკუთვნის ორივე ერთსა.

ისკანდერ. შე ბრიყვო, რასაც მე გეკითხები,
იმის პასუხი გამე საჩქაროდ,
თორემ ხომ ჰხედავ ამ ბასრს მახვილსა,
შუა გაგიპობ მაგ სულელ თავსა.

ბ. მეომ. მე მართალს ვამბობ, შენ რად გეწყინა?..

ისკანდერ. მიტომ, უზრდელო, რომ კარგად ვიცი,
ორივ ჯარია ერთის კაცისა,
მაგრამ-კი მათში განსხვავებაა,
ვით განსხვავდება ჩუგლუგი ხმლისგან!..
იანიჩარი სულ სხვა ჯარია,
მბრძავი უებრო, გულადი, მარდი...
საკუთრივ ოსმალთ და იმათს ჯარსა
სულ არ ვიყიდი მე ცალ ფულადა.

მეომარი. რა ძლიერ აქებ იანიჩრებსა,
განა არ ვიცი, რანიც არიან!
ამპარტავანი, ყარ*ან-ყურტანა,
შეკრებილია ხალხი უგვანო...

ისკანდერ. შენ როგორ ჰბედავ, ბრიყვ-არამზადავ,
ძლიერის ჯარის შეგინებასა!..
შენ თუ ეგ ენა არ ამოგგლიჯე,
კიდევ გაჰბედავ სხვა რისმე თქმასა!

ბერ. მეომარი. შენს მამაცობას მეც მალე ვნახავ,
გურჯი რომ შენს თავს მეფეს მიართმევს
ძღვნად, მაშინ მითხარ ეგ თილისმები.

ალექსანდრ. შენს თავზედ იყოს, რაც ბედმა გიყოს...
(გამოეკიდება, მაგრამ ისევ მალე შემობრუნდება)

ალექსანდრ. მისსა დევნაში ტყვილად დროს ვკარგავ...
უნდა მეკითხნა: ხომ არ იცნობდა
იგი ასლანსა, იანიჩართა
უსწორო მებრძოლს, მათს წინამძღოლსა,
მაგრამ სულელმა არ დამაცალა...
აქ გამომგზავნეს ფაშის საშველად,
რადგან მთლად ქართლის დაპყრობა უნდათ;
გუშინ საღამოს მოველ აქ ჯარით...
მას აქეთ ვსცდილობ ასლანის პოვნას,
მაგრამ ვერ მივწვდი მე საწადელსა.
ვიცი, აქ არის, ამ ჯარში სცხოვრობს:
მაინც ვერ შევხვდი პირის-პირ ცალკე.
დროთა ბრუნვითა სხვა მხარეს დადის,
იბრძვის სულთნისთვის, ქვეყნებს აოხრებს;
მეც სულ სხვა გზასა მათ გამისტუმრეს,
აღარ გვინახავს ჩვენ ერთმანერთი...
დიდი ხანია, რაც ივერიას
ორნივ ერთს დღესა მოგვწყვიტეს მტარვალთ...
(განა ჩვენ მარტო! ბევრნი სხვანიცა!)
ჩვენი მშობლები ჩვენით დაობლდნენ,
ჩვენი ტირილი ზეცას სწვდებოდა,
მაგრამ გულ-ქვა მტერს ის არ ესმოდა...
მათ გამოგვზარდეს თვისს წეს-რჯულზედა,
„იანიჩართა“ ჯარად წოდებულ,
ფიცით შეკრულნი მტარვლისთვის ვიბრძვით.
მე უფრო ვიყავ მაზედ უფროსი
და მიტომ ხსოვნამ ბევრი მიშველა...
მიტომ ვარ ისევ გულით ქართველი,
თუმცა სხვის ქურქი მაქვს წამოსხმული.

ვინ იცის, ასლანს სულ დაავიწყდა
სამშობლოც, ქრისტეც და თვითენაცა?!
აგერ თვით ფაშა თავისს ამალით —
აქეთკენ მოდის ჩქარის ნაბიჯით,
ეტყობა, უნდა, ჩვენ გვამცნოს რამე
საბრალო ქართველთ მომავალს ბედზედ.

(შემოდის ფაშა, ამალით, მეორე მხრითგან ჯართ-
უფროსები, რომელნიც მას სალამს მისცემენ და
დადგებიან რიგზედ).

ფაშა. მოგიწოდეთ თქვენ აქ იმისთვისა,
რომ შევასრულო დიდებულ სულთნის
ბრძანება წმინდა, დიდი კანონი;
გამოგიცხადოთ, რომ დილით ადრე, [ნოს,
როცა იქ (ციხისკენ უჩვენებს) ისევ ყველას ეძი-
ჩვენ უნდა მედგრად ციხეს მივადგეთ
და აღვასრულოთ გულად მეომრის
მოვალეობა ციხის აღებით.
აბა რას იტყვით, როგორ სჯობია
ციხეზედ მისვლა, გურჯთა დამხობა?
მი, ჯერ შენ სთქვი, ჩემო არმაზან.

არმაზან. მე რა უნდა ვსთქვა... თქვენს ბრძანებასა
ისე მივიღებ, როგორც კანონსა,
თავსაც გავსწირავ სულთნის გულისთვის...

ფაშა. შენ ერთგულებას მხოლოდ მეფიცვი,
რაზეც, მერწმუნე, დიდად გაფასებ,
თვით საქმეზე-კი სიტყვაც არა სთქვი!
აბა შენ, ასლან-იანიჩარო,
შენს მხნე გულადს ჯარს რაღას უპირებ,
ციხეში შესვლის გზას არ უჩვენებ?

ასლანი. მე, დიდო ფაშა, ჩემს რაზმთან ერთად
თქვენს ჯარსაც მინდა მივსცე თათბირი

ჩემი ნაწრთობი, თუ გამოდგება!
კარგად გავსინჯე იგი სიმაგრე,
როგორც შემეძლო შორი-ახლოდან,
და შევიტყე, რომ მისი აღება
არ არის ძნელი, თუ ხერხს ვიხმარებთ.

ფაშა. თუ იცი რამე მაგის წამალი,
აბა, გვასწავლე და გაგვამხნევე

ასლან. მე შევიტყევი, რომ მაგ ციხესა
სამი კარი აქვს შესავალადა;
თუმც ციხე არის ძლიერ მაგარი,
მაგრამ ჯარი-კი ციხის დამცველი
ფრიად მცირეა — სამას კაცამდე.
სამის კარისა დაცვას იგინი
ვერ შეიძლებენ, დამერწმუნებით.
დილით მივიდეთ იერიშითა
თითო კარზედა თითო ათასი,
დავკრათ, დავლეწოთ, შევმუსროთ კარნი,
გადავერივნეთ ქარისებურად.
გუშაგთ სიმცირე, იმათი ძალი
შეგვიწყობს ხელსა, ციხეს ავიღებთ.

ფაშა (გახარებული) იყავ წყალობა დიდ-ალლახისა
შენზედა, ჩემო მარჯვენა მკლავო!
შენსა გმირულსა და მხნე ბრძოლასა
ზედ დაემატა ჭ.ვა გამჭრიახი.
მმედიცა მაქვს, სულთანი დიდი
პატივისცემას შენ მოგიმატებს,
აგავსებს ფულით და სხვა წყალობით.

ასლან. ლირსი არა ვარ მაგ ნაირ ქების...
ჯერ ღმერთმა ბრძანოს, საქმე ასრულდეს...

ფაშა. მე დიდად მომწონს ასლანის სიტყვა...
თქვენ რაღას იტყვით, გაქვთა ყაბული?

ჯარ. უფრ. ჩვენც თანახმა ვართ, დიახ კარგია.

ფაშა. მაშ, აბა, ხალხო, გაისარჯენით,
მოამზადეთ თქვენი ჯარები;
და ხვალ დილითა მამლის ყივილზედ
გამოდით რაზმად გამოწყობილნი.
აღვასრულოთ ჩვენ ასლანის თქმული,
ცეცხლებრ მოვედნეთ ამ ჯიუტს ხალხსა.
(გავა, სხვებიც გაჰყვებიან).

ისკანდერ მარტო.

ისკანდ. ასლანის სახე კი დავისწავლე...
მაგრამ როგორა, რა მოვახერხო,
რომ მას გადავსცე ჩემი სურვილი?..
ეხლა, მგონი, რომ არ მოხერხდება,
რადგანაც გვიმზერს თვალი ათასი.
მაშ როდემდისინ უნდა დავფარო
ტკბილი, ნეტარი ეს საიდუმლო?
ნეტავ შემთხვევა როდის მექნება,
ჭეშმარიტს გზაზედ ეგ დავაბრუნო!..
ვის ასწავლი გზას, ვის დასაღუპად?
მგონი, არც ჰფიქრობ ამაზედ შენა!
მაგრამ, მოვა დრო, რომ გაგრძნობინო
შენი შეცდომა და შეგანანო!

სცენა II.

ციხეში. დიდი არეულობაა ქუჩებში, ნამძინარევი ქარ-
თველი მეომრები და ხალხი მირბიან თავ-აღებით.

ერთი მეომ. აგერ ორმოცის წლისა ვსრულდები,
ბევრი მინახავს ქარ-ცეცხლი ბრძოლის,

მაგრამ ანაზდათ — მუხანათობით
ჯერ არ მინახავს ასე თავ-დასხმა...

მეორე მეომ. ჩვენივ ბრალია... ხომ ვიცოდით, რომ
ეგ ურჯულონი გარშემო გვერტყნენ,
რაღას მივეცით თავი განცხრომას,
არ ვუდარაჯეთ, არ ვუგდეთ ყური?!.

ბირველი. ჩვენც თავს ვუშველოთ, თორემ აგერა —
თათრები ჩვენებს ჟლეტით მოსდევენ... (გავლენ).

(შემოდის კვლავ ბრბო ქართველებისა, ზოგი ნახევრად ჩაცმული და ზოგი როგორ; უკან მოსდევს ასლანი ოსმალოებით)

ხალხი. ბვიშველეთ, გვჟლეტენ! ვაჰ ჩვენ უბედურთ!..

ასლან. მიჰყევით უკან, სულ გაამტვერეთ,
მაგათი სისხლიც მარგებელია...
ნამძინარევნი თუმცა არიან,
მაინც ჰბედავენ წინ დადგომასა.
მაგრამ ჩვენც კარგი საქმე დავმართეთ:
ვინც კი ხელთ ვიგდეთ, არვინ დავინდეთ,
დიდი, პატარა ჩვენთვის ერთია.
(კიდევ ხმაურობაა)
ჰა, ეგრე მაგათ! დაჰკათ ყოჩაღათ!..

(შემორბიან სცენაზედ რამდენიმე ქართველი, უკან ოსმალოები მოსდევენ; წინ ასლანი დაუხვდება და შეუტევს)

ასლან. ეს ერთი შენა, ბედით ჩაგრულო...
შენც არ გაჩვენებ მზიანს დილასა...
ეს რაღასა ჰგავს? სად მიეშურვი?
ვერც შენ მიაღწევ შენსა ბინასა.. (გავლენ)

(შემოდის ჩქარის ნაბიჯით რავდენიმე წარჩინებული ქართველი)

გოდერძი. მაინც რას ჰფიქრობ, როგორ აპირობ?
სულ გაგვმუსრავენ თუ არ ვეცადეთ.
ჯიმშერი. რომ წამხდარ საქმეს რითმე ვუშველოთ,
აი ამაზედ მე რასა ვჰფიქრობ:
ჯერ სჯობს, ყველანი დავემორჩილნეთ,
ვეცადნეთ თავის გადარჩენასა,
რადგან სხვა ღონე ჩვენ აღარა გვაქვს!
მერე მალულად ვუწყოთ ძირის თხრა,
ძალი მოვიცეთ, ჯარი შევჰკრიბოთ,
შევატყობინოთ გალმა-მხარშიაც ..
და ოსმალთ როცა ვეგონოთ ძილად,
დავსცეთ მათ რისხვა ღვთის შეწევნითა...
მოკლეთ ეს არის, რასაც მე ვარჩევ,
ამაზედ მეტი გზა აღარა გვაქვს.
(გავლენ, ორნი დარჩებიან).
რობიტი. ეგ არის რაღა თქვენი ბიჭობა,
როცა ხალხს უჭირს, დავიმალნეთო!
და როცა ყველას გაგვამტვერებენ,
მაშინ აპირებს ომის დაწყობას!
როგორც მან მიგვცა ეხლა მტრებს ხელში,
ეგრეთვე იზამს მომავალშია,
თუ ჯიმშერს ეგ ხმა არ ჩამოვართვით.
ქიტა. ბამოცდილია ეგ კაცი საქმით,
ალბათ ეხლა სჯობს, რომ თავს ვუშველოთ;
მერე კი დროზედ ხმალს მივჰყოთ ხელი
და ოსმალთ დროშა მიწას გავართხოთ.
რობიტ. შენებრ მრჩეველსა კაცი მიენდოს! [დევ.
შენც სხვის ჭკვით სცხოვრობ, საქმეს ბრმად მის-
(შემოდიან რავდენიმე ოსმალო ნადავლით)
ერ. მეთ. თუმც კარგებს ჰგვანან, გაუჭრით მკლავი,
მაგრამ დამფრთხალს დათვს მგელი და ტურა
დაჰრევენ ხელსა შესაბოჭავად...

მეორე **მაშ** მივჰყოთ ხელი სიმდიდრის წყაროს.
(გარს შემოეხვევიან **რობერტს** და **ჰიტას**)

პირველი. **აბა** თუ ჭკვას ხართ, არ გასძალადდეთ.
გთხოვოთ, მოგვეცით, თორემ თქვენს თავებს
გავაძიძგნინებთ კაჭკაჭს და ყვავებს.

მესამე. **ჰო**, მართალს ამბობს, ქაბასა ვფიცავ,
ჩვენ უნდა მოგვცეთ, რაც გაბადიათ.

რობერტ. ჰაი, თქვე ბილწნო, რაებს გვიბედავთ!
ხომ არ გგონივართ ვიღაც უბრალო,
რომ არ შეგვეძლოს პასუხი გაგცეთ;
ჩვენა ვართ შვილნი მედგარ ბრძოლისა, [ობთ...
ბრძოლა გვშობს ხოლმე, ბრძოლით ვსაზრდო-
მაშ, თუ თქვენ ჩვენგან წაიღოთ რამე,
იქ თქვენ სულთანთან დაიტრაბახეთ.

ჰიტა. **ჰა**, თქვე ურჯულო, მყრალო ცხოველნო...
(შეუტევენ ორნივე, ოსმალნი გაიბნევიან, გავლენ)
შემოდის **ისკანდერი**.

ისკანდერ **რომ** არ ვერიო ამ წყეულს ჯარში,
ან რომ არ იყოს ადრე ჩემ-მიერ
განზრახულ აზრის საქმედ ჩინება,
მაშინვე ამათ, ქვეყნის მღუპავებს
მივეტეოდი, როგორც რომ ვეფხვი
და უკანასკნელ სისხლის წვეთამდის
თავს არ დავზოგდი ქართველთ სახსნელად.
მაგრამ რა ვუყო, ადრეა ჯერა;
მთელი აზრები სულ ჩამეშლება,
თუ მაინც არის შემნიშნეს რითმე
და უფრო დიდი საქმე წახდება.
ის კი—**ასლანი**—მხეცივით იბრძვის,
თითქოს არ ჰქონდეს კაცური გრძნობა!..
მე გული მიწუხს, სული მიშფოთავს,
ქართველთ ამნაირ ტანჯვის მნახველსა!

ოჰ, რად არ ძალმიძს მეც მიშველება,
ამ გასამუსრავთ სისხლით გაძღომა...

(ამ დროს დაინახავს, ერთი ოსმალო მოათრევს
ერთს ახალ-გაზდა ქალს)

ისკან. (თავისთვის) **ოჰ**, საზიზღარო ძალ-მომრეობავ!
(ოსმალს) საითკენ მიგყავს, შე უმსგავსო თხავ?
რას ერჩი მაგ ქალს, უნდა წაჰბილწო?
ხელი გაუშვი ეხლავე, თორემ...

ოსმალო. **ხ**ელს რათ გავუშვებ, ჩემი დავლაა?!
არც დაგანებებ, ვერც შენ გამცემ ხმას!
მე გიცნობ კარგად—**ი**სკანდერი ხარ,
და ამას ვეტყვი ჩვენს ძლიერს ფაშას.

ისკანდერ. (აქეთ-იქით დაათვალიერებს)
არავინა სჩანს, ვერც მიხვდებიან...
სულ შენზედ ვიყრი დანარჩენთ ჯავრსა!

ოსმალო. **რ**ოგორ თუ ჯავრსა?! მაშ დავიყვირებ...

ისკანდერ. (დასცემს ხანჯალს) **დ**აიყვირე, რომ ღირ-
(ოსმალო ძლივს-ღა ამოიკრინებს) [სად ვკვდები-თქო.

ქალი. (გახარებული) **დ**იდათა გმადლობ ქომაგობის-
მაგრამ კი ძნელი დასაჯერია, [თვის;
რომ მტრებში შევხვდეთ ეგრეთს სათნოსა;
და თუ მომეცა შემთხვევა როსმე
ამ სიკეთისა ნაცვალი გაგო,
მაშინ ნება მაქვს, ვსთქვა თამამადა:
აღარ გ'ახლავარ შენი მოვალე!
მანამდისინ კი უნდა ვიკისრო.

ისკანდერ. **მ**ე დაგიხსენი განა იმისთვის,
სამაგიეროს ვითხოვდე შენგან?

ქალი. **ა**რა, მე თვითონ ვთვლი თავს მოვალედ.
ერთს გთხოვ, მომეცი რამე ნიშანი,
რომ თავის დროზე მით მოგაგონო;

აი, მომეცი თუნდ ეგ ხანჯალი
მურასად მორთულ და მოკაზმული.

ისკანდერ. (აძლევს) თუმც ნაკლებია, არ გეკადრება,
მაგრამ ინებე თხოვნის-და გვარად.

ქალი. ეხლა მომეცი გზა წასასვლელად.

ისკანდერ. ინებე... მაგრამ მეც მომე რამე
შენს საგონებლად—სახელი მაინც.

ქალი. ჩემი სახელი არის ქალთამზე,
მადლობის ნიშნად გქონდეს ეს მძივი.

(აძლევს მძივს და საჩქაროდ გადის, მეორე მხრითგან შემოდის ფაშა და მხლებელნი, ისკანდერი ფაშის დანახვაზედ უკან დადგება)

ფაშა. ალლახმა მოგვცა ჩვენ გამარჯვება
ჯიუტ გურჯებზედ, ვით კვლავცა ბევრჯერ
მეომრებსა აქვთ ყველაფრის ნება,
რაც მოისურვონ, ის აისრულონ...
პაწა ბიჭები ბევრი მოკრიფეთ;
იანიჩარნი ამ გურჯებითგან
ძლიერ მხნე ჯარი დადგება ხოლმე,
მხოლოდ რაც იყოს ქალი ლამაზი,
სანაქებო და ტურფა შვენებით,
ჩემსა ჰარამში გამოამგზავრეთ;
ციხის ზღუდენიც გაამაგრეეთ,
რომ ან მეშველი არ შემოუშოთ,
ან აქეთგანა არვინ გაუშოთ
ჩვენს უნახავად, თუ არ ოსმალო.
გურჯებს სახლებში გაუნაწილეთ
ჩვენი ჯარები და ჯართ-უფროსნი.
ეხლა წავიდეთ სხვა საქმეცა გვაქვს. (ვავლენ)

—

სცენა III.

ჯიმშერის სახლი. შემოდიან ანნა და სალომე.

ანნა. ჩემო სალომე, ვერ გაიგე, თუ
ჯიმშერი ასე რად იგვიანებს?
კარგა ხანია, რაც ის წავიდა,
მიკვირს აქამდის იქ რას აკეთებს?

სალომე. ჩემო ბატონო, ვაჟ-კაცი არის,
სახლში რომ იჯდეს, რა გააკეთოს,
როდესაც ჩვენს ხალხს ჭირის დღე ადგას,
როცა ურჯულომ ლამის გაგვთელოს!..
ალარაფერსა ერიდებიან,
მათთვის ერთია დიდი, პატარა;
წმინდა საყდარი, ბინძური სახლი
მათთვის ერთნაირ მოსახმარია...
ვინც კი გაჟლიტეს, ისინი მორჩნენ!
ჩვენ, ვინც გადავრჩით, ვართ უბედურნი:
არ გვასვენებენ, შიშის ზარს გვცემენ,
შინ ძმურად ყველას შუა გვიყოფენ.
ამ უბედურს დროს კაცი შინ იჯდეს,
საქმეს საშველი არ მოუნახოს?!
სირცხვილიც არის, ჩემო ბატონო,
რომ შენი ჯიმშერ მით დაიძრახოს!

ანნა. მართალსა ამბობ, ჩემო სალომე,
მე სულ სხვა აზრით იგი ვიკითხე...
დღეს იმათ, მგონი, დარბაზობა აქვთ,
უნდა არჩიონ ხერხითა ღონე,
რომ მტარვალს აქვე მოუღონ ბოლო.
ცუდად დაგვჩაგრეს ამ ურჯულოთა,
თითქმის უომრად ციხე დაიპყრეს.
ოჰ, ღმერთო, შენ ხარ მხოლოდ-ღა სასო

ჩაგრულ-უბედურ-უმწეო ხალხის...

სალომე. ძალო, ნუ სწუხარ, იმედი გქონდეს,
ღმერთი უმწეოდ ჩვენ არ გაგვიშვებს,
იმას მივანდოთ ჩვენი ცხოვრება...

ანნა. ღმერთია ჩვენი სასო მოწყალე,
მითი ქართველს აქვს უდრეკი გული,
მით იმედოვნებს, განდევნოს მტერი,
სამშობლო იხსნას, დაიცვას რჯული.
მაგრამ მას ვწუხვარ, რომ სამშობლოსთვის
დღეს მარტო ქმარი ჩემი იომებს
და ჩემი შვილი, ჩემი იმედი,
მოხუცსა მამას ზურგს არ უმაგრებს...
მახსოვს ის წამი, თვალ-წინ მიდგია,
როცა არჩილი წამართვეს მტრებმა,
როგორ წამგლიჯეს ხელიდან შვილი
და გაიტაცეს დაწყევლილებმა.
ზედ ამ ადგილას თოკით შებოჭეს
და შენს ლევანსა ზედ გადააბეს;
იმის ცოცხალი გიშრის თვალები
მწარედ აფრქვევდნენ ცხარე მდულარეს;
მაგრამ იმ გულ-ქვა და ულმრთო ხალხმა
ჩემი ბიჭუნა არ შეიბრალა!
ალერსის ნაცვლად ხანჯლით დამიჭრეს,
მაზედ იხმარეს თავისი ძალა...
ოჰ, თქვე ურწმუნო, რაზედ მომტაცეთ
ჩემი პაწია—ტურფა ქმნილება!..
თუ ცოცხალია და თუ არ მოჰკლეს
დიდი ვაჟ-კაცი ეხლა იქნება...
ვაჰ, მაშინ ჩემს თავს, თუ იმ უბედურს
დაჰვიწყებია ღვთის მსახურება
და ჩვენი ტკბილი, წყნარი გალობა
მისს ქართველს გულს არ ესალმუნება!

სალომე. შენ მაგას ამბობ, ქმარი მაინც გყავს,
მე რაღა ვქნა... მე?.. რომ არც ქმარი მყავს,
შვილიც ხომ შენებრ მტარვალთ მომტაცეს...
მე რას ვარგივარ ტანჯულს სამშობლოს?
ჩენს მაგიერ მხვერპლს მას ვინ შესწირავს?
წყეულიმც იყოს ის დრო შავ-ბნელი,
როცა შვილები მოგვტაცა მტერმა.
მას აქეთ განვლო თვრამეტმა წელმა...
ჩემი ლევანი ხომ იქმნებოდა
ეხლა მაინცა ოც-და-ექვსის წლის...

ანნა. ჩემი არჩილი სწორედ გუშინ-წინ
შესრულდებოდა ოც-და-ორისა;
უხილავ ცეცხლით ორივე ვიწვით,
გული დედისა მკვდარია ამით.

(შემოდის ჯიმშერ)

ანნა. რა ჰქენით ჯიმშერ, რა გადასწყვიტეთ
ამ ურჯულოთა საქმის შესახებ?
ხომ ემზადებით და მეფის ჯარიც
მოგეშველებათ თავისს დროზედა?

ჯიმშერ. ჩვენი განზრახვა დღეს ვერ მოგვიხდა
და შემდეგისთვის გადავდეთ საქმე.
რომ არვინ გვნახოს, ან არ შეგვიტყოს,
ალგილს მოვსძებნით უფრო კარგს სადმე...
დღესაც კინაღამ თავს წამოგვადგნენ...
ოჰ, დაწყევლილო, შენ დროვ ტანჯვისა,
რაზედ მოგვისპე ჩვენ მყუდროება?..
ქართველს ერს ტანჯულს მშვიდად ცხოვრება
მტარვალთა შორის როს ეღირსება!?.
არ ერთჯერ მდგარან ამის მეტადა
ურჯულონი გარს შემოდგომილნი;
განძი ივერი მაგან გალია,
რომ მტერს მიჰყვანდა ქართველთა შვილნი.

მაგრამ ღმერთია ჩვენი მძლე შემწე,
ამით Ივერი არ დაეცემა!
კვლავ ვნახავთ Ივერს დიდებით ამდგარს
და შურიანს მტერს ელდა ეცემა!
ჩვენც—იმის შვილნი ჯანს ნუ დავზოგავთ,
ჯაფას, მხნეობას ნუ დავიშურებთ
და დაცემულსა ჩვენს ტკბილს სამშობლოს
ჩვენის ზრუნვითვე წამოვაყენებთ!

ანნა. მაშ რას აპირებთ, მაინც რას ჰფიქრობთ?

ჯიმშერ. იმას, რომ ხვალვე გავგზავნით კაცსა
მთაში, მოძმეთა შემომკრებელსა...
ჯარს გამოუძღვეს წინ ვით შურდული,
დაგვდვას წამალი, მოგვირჩეს წყლული.

სალომე. ღმერთო ძლიერო, ნუ გაიმეტებ
ქართველთა ბუდის ადრიან დაშლას!
ნუ გამოსწირავ ამ ტურფა კუთხეს,
კიდევ აღირსე დროშათა გაშლას!..

ანნა. Ოხ, ნუ თუ უნდა შევესწრო იმ დროს,
რომ ვნახო ქართლის გადაბრუნება?
ჰე, ღმერთო, მსხვერპლად ეს ჩემი თავი
შეიწირევი თუ შეიძლება!
ნეტავ შემეძლოს, რომ მტლედ დავედო,
მკურნალ-მალამოდ წავეცხებოდე...

ჯიმშერ. Ცარიელ სიტყვით არ გაკეთდება,
რასაც შენ ამბობ, უნდა იბრძოდე;
რომ ჭკვასთან მოძმედ გყვანდეს მკლავები
და ამოქმედო, რაც გაქვს უნარი,
სიტყვას აქცევდე ყოველთვის საქმედ,
მაშინ ხარ ქვეყნის შენ მეგობარი.

ანნა. რითაც შევიძლებ, არას დავზოგავ,
თუნდ მხარში შენვე ამოვიდგები,
ომშიც ვიქნები მე მეომარი,

ყველგან ვისაქმებ, საც გამოვდგები;
ოღონდ სამშობლოს კეთილი დღენი
ვნახო, დაწყნარდეს ეს ჩვენი მხარე.

ჯამშერ. მაგ აზრით შენა ღონე მიჩვენე
და გამახარე სულით მჭმუნვარე;
ქალებმა ყველამ უნდა გვიშველონ
და კაცებს მოგვცენ საშველად მხარი,—
ერთად შევებათ მხნედ-მამაცურად,
უკუ ვაქციოთ მტარვალთა ჯარი.

სალომე. ერთი ქალი მყავს—თქვენი გაზრდილი,
ის მამულისთვის მე შემიწირავს;
აიღოს ფარი, შეირტყას ხმალი,
შეაკვდეს მტერსა მხეცივით მბრდღვინავს.
შვილო, მეც ბერი, თუმც არ მაქვს მუხლი,
მტერთან საომრად ავიღებ ხმალსა...
(ტირილი ერევა)
ის კი აღარ მყავს, ვის ჩემმაგივრად
უნდა ებრძოლა, დასდებდა თავსა!

ჯამშერ. რათ მომაგონე მწარე ფიქრები!.. (სიჩუმე)
ჩემი **ა**რჩილი რომ ეხლა მყვანდეს,
თუნდ ასი კაცი მომმატებია,
ვინ არ შეჰნატრებს ჩემსა სიბერეს!..
მაგრამ წარსულზედ ფიქრი-ოცნება,
როცა აწმყოა ყურადღებისა,
ვერ გაჰკურნავენ დღევანდელს წყლულსა,
არიან მახე აზროვნებისა.
აქ რომ ურჯულო ჩამოგვიყენეს,
ყოველთვინ სადილს კარგს მიაწვდიდეთ,
რომ მასპინძლობა არ დაგვიწუნოს,
მტრობის დროს—მტრობას არ მოუშლიდეთ.

ანნა. მეტი ნაწილი **ა**სლანი თურმე
ფაშასთან არის, გვერდს არ იშორებს.

ის ჩვენსა მხოლოდ ხანდის-ხან მოდის.
როცა კი მოვა, არ დავიმდურებთ...

სალომე. მე მიმაქვს ხოლმე მასთან ხორაგი,
ამიტომ ერთხელ შემთხვევით ვკითხე:
სადაურია, ან ვისი შვილი.
მან დაუდევრად მითხრა შემდეგი:
ვინ მიაქვავა იანიჩარსო
სამშობლო მხარე, ნათესავები,
ან სადღა ახსოვს მას დედ-მამაო...
ასე რომ მაგას არა სცოდნია
არცა დედ-მამა და არც მამული..
ისიც კი მითხრა, რომ მის მაგვარი
ბევრია თურმე ოსმალოებში.

ჯიმშერ. ეგრეა, ეგრე. მართალი უთქვამს,
ჰო და მაგიტომ სჯობს, დავანახოთ,
რომ ქართველობა განთქმული არის
პურ-მარილითა მთელს ქვეყანაზედ;
მაგრამ მტრობის დროს კი არ გიმოყვრებს,
მტრულად დაგხვდებათ ყოველს სიტყვაზედ.

ანნა. მაგაზედ, ჯიმშერ, აი რას გეტყვი:
მართალი არის, რაც შენ ეხლა სთქვი,
საგრამ ხან-და-ხან ეგ გულ-უხვობა
ჩვენ გაგხვდის ხოლმე სასაცილოდა;
დიდის ამბითა მივიღებთ სტუმარს,
უხვად ვმასპინძლობთ, არასა ვზოგავთ,
გვგონია ჩვენი კეთილის მყოფი;
მაგრამ კი შემდეგ ვრწმუნდებით, ვხედავთ,
თვალი აგვბმია, მწარედ შევმცდარვართ.
და ის სტუმარი— ძმა მეგობარი,
სადილების დროს ბულბული მტკბარი,
ჩვენი ყოფილა უზნეო მტერი,
გულ-შავი, გველი, ფარისეველი.

ჯიმშერ. ეგ მართალია, ბევრი წავაგეთ
ჩვენის ბრმა-ყრუის მინდობილობით ..
მაგრამ მაინც კი პურ-მარილობა
და გულ-უხვობა არ დაიძრახვის...
სალომე. რათ დაიძრახვის, როდესაც შენა
კეთილ საქმისთვის არაფერს ჰზოგავ...
ჯერ რაც სიკეთე მე ბებერს მიყავ... [კეთე?
ჯიმშერ. (გააწყვეტინებს) რა სათქმელია, ან რა სი-
ეგ იყო ჩემი მოვალეობა
და აღვასრულე, მორჩა, გათავდა... (წამოდგება)
კარში არიან ვინმე ბიჭები?
ანნა. თვით მოურავი ჰაბუ მანდ არის.
ჯიმშერ. მაშ წავალ, ვნახავ, ცოტა საქმე მაქვს!..
(შემოდის ძალთამზე)
ქალთამზე. დილა მშვიდობის, ჩემო ბატონო!
ჯიმშერ. შვილო, ძალთამზე, გკითხავ ერთ რასმე,
კაცის საამო პასუხი გამე,
თუმცა ქალი ხარ, მაგრამ ვერ გასცვლი
მაგ შენს სამკაულს მძიმე ჩაჩქანზედ?
ხელ-საქმის ნაცვლად ეგ შენი ხელი
ვერ შესძლებს ხმალი იხმაროს მტერზედ?
ქალთამზე. ოღონდ მეღირსოს სამშობლოს შველა,
რატომ ვერ გავცვლი, რატომ ვერ შევძლებ?
მოვალეცა ვარ, რომ თავი დავდო,
სიკვდილსაც უფრო ტკბილად მივიღებ.
ჯიმშერ. როცა ეს ნაზი ტურფა ქმნილება
ამ სიტყვებს ამბობს და არც-კი ჰკრთება,
ნუ თუ დაჩაგრულ სამშობლოსათვის
თავის შეწირვა სხვას დაჰზარდება?! (გავა)
ქალთამზე. ძეკელა გახლავთ.
ანნა. ძალიან კარგი. (გავა).
სალომე. რა საქმისათვის მოსულა აქა?

ქალთამზე. მგონი, რაღაცა საუბოვარი აქვს.
სალომე. მაგასღა აკლდა მათხოვარობა!..
ქალთამზე. აქ მოდი, დედი; — ერთი მითხარი,
ამ ოჯახში ჩვენ იმიტომა ვართ,
რომ ჯიმშერია ჩემი ნათლია?
და მხოლოდ თავის გულ-კეთილობით
ჩვენ აქ გვაცხოვრებს, ტკბილად გვინახავს?
სალომე. ეგ არის, შვილო; გულ-კეთილია
და თან, იცოდე, აი როგორი:
აქამდის ეს ხომ არ მითქვამს შენთვის,
რომ მამაშენი, ის უბედური,
იყო ჯიმშერის ყმა-აზნაური.
როდესაც ერთხელ ოსმალთ აიკლეს
ჩვენი ქვეყანა, ის მაშინ მოჰკლეს.
შენ ძმაცა გყვანდა შენზედ უფროსი,
ლევანი ერქვა იმას სახელად...
ვაჰ იმ დღის მომსწრეს, რად ვარ ცოცხალი!..
ისიც ოსმალთა თან წაიყვანეს;
დამტოვეს ობლად, შენ დამრჩი მარტო,
მხოლოდ სამის თვის იყავი მაშინ.
ჩვენი პატრონი არავინ იყო...
მაგრამ ჯიმშერმა რომ მნახა ჭირში,
თავის ოჯახში მომცა მე ბინა,
შენცა მიგიღო ვით ღვიძლი შვილი,
თავის ნინოსთან არაფრით გარჩევს,
ისე მინახავს როგორც ძმა დასა,
რასაც შენისვე თვალითა ჰხედავ.
ანნასა ვშველი ოჯახობაში,
როგორც შეჰფერის ჩემის ხნისასა..
თვრამეტი წელი... აგერ აქ ვცხოვრობ...
ქალთამზე. აგრეა?..
სალომე. სწორედ.

ქალთამზე. ბამიგონია,
რომ ნინოს გარდა ჯიმშერს ჰყოლია
ერთი ვაჟიკა, მართალი არის?

სალომე. ჰყვანდა. ლამაზი, ცქვიტი რამ იყო;
ჩემი ლევანი და მაგის შვილი
სულ ერთად იყვნენ გაუყრელადა...
მაგრამ ოსმალთა ის მოიტაცეს
ჩემს ლევანთანა ერთად შეკრული,
და როცა იგი გაჭირვეულდა,
არ ჰნებდებოდა წასაყვანადა,
დასჭრეს მხარშია იმ საზიზღრებმა.

ქალთამზე. რა ხნისა იყო ლევანი ან ის?

სალომე. ჩემი ლევანი იყო შვიდისა,
ის-კი, ორჩილი, მგონი ოთხისა.

ქალთამზე. (მცირე ფიქრის შემდე)
რაკი ჩვენს ოჯახს პატრონი არ ჰყავს,
ჩემი ძმა ველარ ამოიღებს ხმალს
სამშობლოსათვის სისხლის საღვრელად,
მაგრამ-კი ვალი მამულისშვილის
ითხოვს, დედილო, ჩვენგან ზვარაკსა,
ამიტომ ვბედავ და აღთქმას ვაძლევ
ზენაარს შეფალს, რომ სამშობლოსთვის
აბჯარს ავისხავ, შევიჭურვები,
ბოძოლის ველზედა თავ-გასულს მტერთან
ვიბრძოლებ, როგორც შეჰფერის ვაჟკაცს;
და მაშინ სცნობენ, რა შეუძლიან
მამულისათვის განწირულს დიაცს!

სალომე. შენ გენაცვალოს დედის თვალები,
რომ მაგეთი ხარ—გულადი, წრფელი!..
თუმც მენანები, რადგან ქალი ხარ,
მაგრამ ღმერთია შენი მფარველი...

ქალთა-მზე. მაგას რას ამბობ? ქალი სუსტია!
რა ვუყოთ მერე? სუსტი არსებაც
რითაც-კი ძალუძს ემსახურება
საერთო საქმეს... ქალიც კაცია,
იგივე გული და გონება აქვს!..

(შემოდის ნინო ისე, რომ ეს სიტყვები ესმის)

ნინო. შენ მართალი ხარ, ჩემო ქალთამზე;
ამიტომ გვფერობს, გვერდში მოვუდგეთ
მამაკაცებსა ყოველისფერში.

სალომე. ღმერთმა ინებოს, ეგ თქვენი თქმული
საქმედ მენახოს გადაქცეული.

ნინო. ცოტა დაიცა, მაგასაც ჰნახავ,
არა, ქალთამზე?

ქალთამზე. მე უფალს მივე
მაგაზედ აღთქმა და აღვასრულებ...

ნინო. მაშ, საქმე თურმე გადაწყვეტილა...
მამაჩემსა ხომ არა უთქვამს რა
ჩვენს შესახები, თითქოს რაღასაც
მაგის მაგვარსა მოვკარი ყური?

ქალთამზე. შენ მართალი ხარ; ჯიმშერმა მითხრა,
რომ თქვენ—ქალებიც მოგვეშველეთო.

ნინო. ძალიან კარგი!

სალომე კარგი, შვილებო!
ქალთამზე, წამო, ცოტა საქმე მაქვს.

ქალთამზე. (ნინოს) მე ისევ მალე შემოვბრუნდები.
(გადიან ორნივე)

ნინო. (მარტო). ეს ძლიერ კარგი... კარგი... მაგ-
[რამ ის
თავიდგან მაინც არა მშორდება,
ძილში თუ ცხადათ ის მელანდება...
რა წამს ასლანი დასახლდა ჩვენსა,

მან წარიტაცა ჩემი გონება
ნეტავ ოსმალი მაინც არ იყოს,
იყოს ქართველი რჯულითა წმინდა...
ან, როგორც მითხრეს, იქნებ თითონაც
არ იცის, ვინ და სადაურია!
თუმც ურჯულოა, მაგრამ ჩემს გულში
გრძნობა სპეტაკი, საამო წრფელი
იმდენი აღძრა და აღმიშფოთა,
რომ კლდეს დაადნობს, ცვარებათ აქცევს.
იმ გრძნობათ პატრონს მსხვერპლად შეიწევს...
მაგრამ, ურწმუნოვ, თუმცა მიყვარხარ,
მაინც შენ ამას არ გაგრძობინებ,
და თუ ბრძოლაშიც შემხვდები წინა,
უმალვე თავსა გაგაგდებინებ,
ვით არა წმიდას და სამშობლოს მტერს...

(სიჩუმე)

თუმც სიყვარული ამეგზნო მწვავი,
მაგრამ, მამულო, შენსას ვერა ჰგავს;
შენი ვარამი მე გონსა მირევს
და შენი ჭირი სულსა მიხუთავს!
შენთვის მზათა ვარ თავი გავსწირო,
საყვარელ კაცსაც კი განაცვალებ...

(ჩოქით ლოცულობს)

„ღმერთო მაღალო, ქვეყნის გამჩენო,
ამ წმინდა ცეცხლსა ველარ ვინელებ!
ისმინე ხალხის მოთქმა, ვედრება,
დაიხსენ იგი განსაცდელთაგან!
მიეც მამაცთა გზა გამარჯვების,
მამულის დახსნა მტრისა ხელთაგან...

შთაჰბერე მძლავრი მათ ძალი ზენა...
მეფეს მოჰმადლე გონება სრული,
ხალხს ერთგულება თავისს მამულის,
ყველას-კი ერთად უბიწო რჯული"!..
(ჩუმად განაგრძობს ლოცვას)

ფარდა

დ. ნახუცრიშვილი.

(შემდეგი იქნება)

საქართველოს ექსარხოსები.

1783 წელს ქალაქ ბიორგიევსკში ქართლ-კახეთის მეფეს ერეკლე მეორეს და რუსეთის ხელმწიფე ეკატერინე მეორეს შორის მომხდარ ხელ-შეკრულობის მერვე მუხლის ძალით, აღმოსავლეთ-საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი ანტონი I ცნობილ იქმნა წევრად რუსეთის უწმიდესის სინოდისა, და ამ ნაირად მან, როგორც სინოდის წევრმა, დაჰკარგა ზოგიერთნი უფლებანი დამოუკიდებელის მღვდელმთავრისა... მაგრამ რუსეთის უწმიდესი სინოდი ამის შემდეგ ქართველთ ეკკლესიის საქმეებში მაინც და მაინც არ ერეოდა, და კათალიკოსი ანტონი მეორე, ანტონი პირველის მოადგილე, საეკკლესიო საქმეებს დამოუკიდებლად განაგებდა. 1796 წელს 30 მაისს ქალაქ კიევში დასავლეთ-საქართველოს კათალიკოსი მაქსიმე მეორე გარდაიცვალა, და ამ მხრის ეკკლესიაც ანტონი მეორეს დაემორჩილა. ესრედ ორი ეკკლესია, განუყოფელი სარწმუნოებით, ეკკლესია ზემო და ქვემო ივერიისა, რომელიც მეხუთე საუკუნიდგან დამოუკიდებელ ეკკლესიის სახელით არსებობდა, დიდის ხნის განცალკევების შემდგომ კვლავ შეერთდა (1796—1472=324)... იმპერატორმა პავლე პირველმა უბძა კათალიკოსს საქართველოსას ანტონი მეორეს თეთრი ბარტყულა სერაფიმებით შემკული. რუსეთის მთავრობამ სხვა-და-სხვა გარემოებათა გამო ათს ივლისს 1811 წელსა კათალიკოსი ანტონი მეორე გაანთავისუფლა საეკკლესიო საქმეების გამგეობისგან და გაიწვია რუსეთში... ამის შემდეგ მოისპო საქართველოში კათალიკოსობა და იმავე წელსვე დაარსებულ იქმნა ექსარხოსობა. ექსარხოზს მიეცა წო-

დება მთავარ-ეპისკოპოზისა და უწმიდესის სინოდის წევრისა. 1814 წელს საქართველოს საეკლესიოზედ მიწერილ იქმნა დასავლეთ ივერიის ეკკლესია, და 1810 წლიდგან აფხაზეთის ეპარქიაც. 1818 წლიდგან აღმოსავლეთ საქართველოს ეპარქია იწოდება ქართლ-კახეთის ეპარქიად, რომლის პირდაპირი მღვდელ-მთავარი საქართველოს ეკლესიოსია... ეპარქიები იმერეთისა, ზურია-სამეგრელოსი და სოხუმისა ემორჩილება ეკლესიოზს, როგორც პირველ მღვდელ-მთავარს საქართველოს ეკკლესიისას და თავმჯდომარეს სრულიად საქართველოს სინოდალურ კანტორისას. ეკლესიოსობა დიახ საპატიო და მაღალ უფლებებით აღჭურვილი თანამდებობაა... ეკლესიოსად ძველ საქრისტიანო ეკკლესიაში იწოდებოდა მთავარ-ეპისკოპოსი ისეთის ეკკლესიისა, რომელსაც ოდესმე დამოუკიდებელი არსებობა ჰქონდა .. აგრეთვე ამავე სახელით იწოდებოდა მთავარ-ეპისკოპოსი ისეთის ეკკლესიისა, რომელიც სახელმწიფოს განაპირა ადგილს არსებობდა.. წელს, 10-ს მკათათვეს, შესრულდება 90 წელიწადი, რაც საქართველოს საკათალიკოსო ეკკლესია გამოცხადებულ იქმნა საეკლესიოსო ეკკლესიად. ამიტომ საჭიროდ ვრაცხთ გავაცნოთ „მოგზაურის" მკითხველებს მოკლეთ საქართველოს ეკლესიოსების ვინაობა და მათი საეკკლესიო მოღვაწეობა.

ა) პირველი ეკლესიოსი საქართველოსი ბარლაამი (ერისთავი 1811—1817 წ.) ქართველთაგანი იყო. ის 1801—1808 წლებში მსახურებდა წევრად უწმიდესის სინოდისა და ესწრებოდა ყოველს მისს სხდომას და საქართველოს ეკკლესიის ბედიღბლის შესახებ მსჯელობაში დიდს მონაწილეობას იღებდა. 1811 წელს იგი დანიშნულ იქმნა მცხეთის მიტროპოლიტად. იმის დროს მოხდა იმერეთის ეპარქიის შეერთება აღმოსავლეთ საქართველოს საეკლესიოსთან. ამავე წელში დაარსებულ იქმნა ქართლ-კახეთ-იმერეთის სინოდალური კანტორა, რომლის თავმჯდომარედ დანიშნულ იქმნა ეკლესიოსი. მიტროპოლიტი ბარლაამი მართავდა საქართველოს საეკლესიო-

ხოს 14 მაისამდის 1817 წლისა, როდესაც ის პეტერბურგში გაწვეულ იქმნა უწმიდესს სინოდში დამსწრე წევრის თანამდებობაზედ; აქ ის იმყოფებოდა 1825 წლის 9 თებერვლამდის, შემდეგ იგი მოსკოვში წავიდა და იქ გარდაიცვალა 18 დეკემბერს 1830 წ. ბარლაამი კარგი მქადაგებელი იყო... ᲘᲛᲐᲜ მიაქცია ყურადღება მცხეთის და ქვაშვეთის ეკკლესიების გამშვენებას და გაუკეთა მათ კარის-ბჭე. ᲛᲐᲜᲕᲔ აღაშენა კუკიაში ეკკლესია ჯვარის გამოჩინების სახელზედ იმ ადგილს, სადაც ახლა კუკიის წმ. ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲝᲖᲘᲡ ეკკლესია არსებობს. ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ტფილისის სიონის ტაძრის დასავლით აღაშენა მან მაღალი სამრეკლო. ᲛᲐᲜᲕᲔ დიდად იმოღვაწა ქართულ საეკკლესიო წიგნების შესწორების და ბეჭდვის საქმეში.

ბ) საქართველოს მეორე ექსარხოსად დანიშნულ იქმნა 14 მაისს 1817 წელსა რიაზანის მთავარ-ეპისკოპოსი თეოფილაკტე (რუსანოვი 1817—1821). საქართველოში მან მიიღო მიტროპოლიტის ხარისხი. ᲘᲛᲘᲡᲘ მაცადინობით ქრისტიანობა მიიღო 47 ათასმა მთიულმა (განსაკუთრებით ოსებმა). ᲘᲡ აქცევდა ყურადღებას ეკკლესიების აღშენებას და განახლებას; მარტო ოსთათვის აღშენებულ და განახლებულ იქმნა 29 ეკკლესიამდის. ᲛᲐᲡ ამ საქმეში შველოდა ერთგულად მთავარ-ეპისკოპოსი ᲓᲝᲡᲘᲗᲔᲝᲡᲘ, ტომით ქართველი (ᲤᲘᲪᲮᲔᲚᲐᲣᲠᲘ), რომელსაც ებარა ყველა საქმეები, ესრედ წოდებულის „ᲝᲡᲔᲗᲘᲡ კᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ“ და დავალებული ჰქონდა კავკასიის მთიულთა შორის ქრისტიანობის აღდგენა. ᲔᲥᲡᲐᲠᲮᲝᲡᲛᲐ ᲗᲔᲝᲤᲘᲚᲐᲙᲢᲔᲛ დაარსა ტფილისის სასულიერო სემინარია (ᲔᲠᲔᲙᲚᲔ მეორის დროს დაარსებული სემინარია ხოჯამ 1795 წ. დაანგრია) და მასთან სასულიერო სასწავლებელი ავლაბარში, დედოფლის ᲓᲐᲠᲔᲯᲐᲜᲘᲡ (ᲓᲐᲠᲘᲐᲡ) სასხლეში, სადაც 1821 წლიდგან დაარსებულ იქმნა მაცხოვრის ფერისცვალების მონასტერი. ᲛᲐᲜᲕᲔ დაარსა სასულიერო სასწავლებლები გორში, თელავში და სიღნაღში. ᲣᲬᲘᲜᲓᲔᲚᲘ, 1617 წელს ᲑᲝᲓᲑᲔᲨᲘ დაარსებული სასწავლებელი, სამ-კლასიანად გადააკეთა. ᲐᲛ

სასწავლებლის კეთილ-წარმატების საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე მიტროპოლიტს Iოანნე ბოდბელს. Eქსარხოსის თეოფილაქტეს დროს მოხდა საეკკლესიო აღრეულება Iმერეთში. Iმერეთის სამწყსოს სურდა ჰყოლოდა დამოუკიდებელი მწყემს-მთავარი; ეს სამწყსო ექსარხოზს არ ემორჩილებოდა 1819 წლამდის. Aრეულობის მეთაურებად იყვნენ მიტროპოლიტები: ქუთათელი დოსითეოსი და გენათელი ექვთიმე, რომელნიც, მთავრობის განკარგულებით, შეპყრობილ და რუსეთში გაგზავნილ იქმნენ. Aმის შემდეგ დამშვიდდა Iმერეთის სამწყსო და დაემორჩილა ექსარხოზს. Mის გამგეობა ჩაბარდა რაჭის მთავარ-ეპისკოპოზს სოფრონს, რომელსაც ებოძა წოდება Iმერეთის მთავარ-ეპისკოპოზისა. 19 ივლისს 1821 წელსა ექსარხოსი Თეოფილაქტე ქახეთში უეცრად გარდაიცვალა და დასაფლავებულ-იქმნა ბოდბის წმ. Gიორგის ტაძარში. Oსთა და სხვა მთიულთა შორის ქრისტიანობის გავრცელების საქმეში ექსარხოზს Თეოფილაქტეს და მთავარ-ეპისკოპოზს Dოსითეოზს შველოდა მრავალი ქართველი საერო და სასულიერო პირი. სასულიერო პირთა შორის შესანიშნავნი იყვნენ დეკანოზები: Nიკოლოოზ სამარღანიშვილი, Iოსებ Eლიოზიძე, Pეტრე Aვალიანი, Bესარიონ Iლურიძე, Vასილი Cერაძე, Aთანასი Mაჭავარიანი, Gიორგი Aმირიძე, Zაქარია Mამაცაშვილი, Iაკობ Lომაური, Aლექსანდრე Თევდოროვი და მღვდლები: Gაბრიელ საძაგლიშვილი (წინაპარი Zორის აწინდელის მღვდელ-მთავრის ყოვლად-სამღვდელო Kირიონისა) და Iაკობ Zათარაულიშვილი.

g) Sაქართველოს მესამე ექსარხოსად დანიშნულ იქმნა Iონა (ვასილიევსკი 1821—1832), Aსტრახანის მთავარ-ეპისკოპოსი, 1 ღვინობისთვეს 1821 წელსა. Sვიდი წლის შემდეგ საქართველოშივე მას ებოძა მიტროპოლიტის ხარისხი. Iმან განაგრძო თვისის წინა-მოადგილის ღვაწლი საქართველოს სამწყსოს კეთილ-წარმატებისა და Kავკასიის მთებში მკვიდრთა შორის ქრისტიანობის დამყარების საქმეში. Mან

გაამრავლა სკოლების რიცხვი და მიაქცია ყურადღება მათში სწავლა-აღზრდის საქმის კეთილს გზაზედ დაყენებას. მან აღაშენა სამ-სართულიანი სახლი ტფილისის სას. სემინარიის თვის, მაგრამ ეს სახლი მალე დაირღვა. მისი შუამდგომლობით ძავკავში დაარსებულ იქმნა სასულიერო სასწავლებელი და სოფელს ალაგირში ორკლასიანი პანსიონი. ამავე ეექსარხოსის დროს დამყარებულ იქმნა ღვთის-მსახურების შესრულების საქმე ოსურს ენაზედ .. აზნაურმა ივანე იალღუზიძემ, რომელმაც მშვენივრად იცოდა ქართული და ოსური ენა, ქართულის ასოებით გადათარგმნა ქართულიდგან ოსურს ენაზედ ლოცვები, კატეხიზმო, კურთხევანი, სახარება და სხვა წიგნები. ამ გვარად მან პირველად დაარსა მწერლობა ოსურს ენაზედ ქართულის ენისა და ასოების შემწეობით. 5 მარტს 1832 წელსა ეექსარხოსი იონა გადაყვანილ იქმნა პეტერბურგში სინოდის დამსწრე წევრად და გარდაიცვალა 22 ივნისს 1849 წელს.

დ) საქართველოს მეოთხე ეექსარხოსად დანიშნულ იქმნა მოსე (ბოგდანოვ-პლატონოვი (1832—1834), სარატოვის მღვდელ-მთავარი, 12 მარტს 1832 წ. და მაშინვე ებოძა მთავარ-ეპისკოპოსის ხარისხი. მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესი მოსე ღრმად განათლებული პირი იყო; იმას ჰქონდა მიღებული ღვთის-მეტყველების დოქტორის უმაღლესი ხარისხი. იგი იყო გამოცდილი და ფრიად გონიერი, შორს მხედველი გამგე და უფროსი. სამწუხაროდ, მას ცოტა ხანს მოუხდა ყოფნა მის მიერ შეთვისებულს საქართველოში: იგი გარდაიცვალა 1834 წ. 13 ივლისს. მთელი ქართველი ერი შავის ზღვიდგან კასპიის ზღვამდის ღრმად შეაწუხა მისმა გარდაცვალებამ. მისი გვამი, მორწყული სამწყსოს მდუღარე ცრემლით, დასაფლავებულ იქმნა ტფილისის სიონის ტაძარში. ეექსარხოსი მოსე დიდის პატივით ეპყრობოდა საქართველოს ეკკლესიის სიძველეთა, გარდმოცემათა, გალობას, ღვთის-მსახურებას და სხვათა... იმან დიდად ხელი შეუ-

წყო ქართულ საეკკლესიო გალობის გამშვენების საქმეს: ხშირად თვისს სასახლეში შეაგროვებდა საქართველოს ყოველ კუთხიდგან საუკეთესო მგალობლებსა და ნაგალობებს თითონვე საგალობელს ნიშნებზედ (ნოტებზედ) იღებდა. იგი მცოდნე იყო ოსურის ენისა, მან შეადგინა ოსური გრამმატიკა ზმნებამდის. მის ამ შრომას სახელ-მძღვანელოდ ხმარობდნენ ტფილისის სასულიერო სემინარიაში ოსურის ენის შესასწავლად... აკადემიკოსი შეგრენი ამ შრომით სარგებლობდა ოსურის ენის გამოკვლევის დროს. მანვე განიძრახა განეახლებინა თვისის ხარჯით წმ. ილიას ტაძარი, რომლის ნანგრევები დღესაც მოსჩანს ავლაბრის ახლოს, მახათას მთაზედ, მაგრამ, როგორც ვსთქვით, სიკვდილმა აღარ აცალა. თუმცა ცოტა ხანს, სულ ორი წელიწადი, სცხოვრებდა ის საქართველოში, მაგრამ მისი სახელი მაინც ძლიერ შორს გაითქვა: მას ერთნაირის მოწიწებით მოიგონებდნენ როგორც ქართლ-კახეთში, ისე სამეგრელო-სვანეთში, როგორც ბარად, ისე მთაში. ეს იყო მიზეზი, რომ მისმა უდროვო სიკვდილმა ერთნაირი გულითადი გლოვა გამოიწვია საქართველოს ყველა კუთხეში და ქართველის ერის ყველა წოდებაში... ამითი აიხსნება ის გარემოებაც, რომ იმერეთის მიტროპოლიტმა დავით წერეთელმა სტამბოლიდგან გამოიწერა ძვირფასი მარმარილოს ძეგლი და თვისის ხელით დაადგა მისს საფლავს, რათა ამ სახით უკვდავ ეყო საქმით უკვდავ-ყოფილი სახელი მწყემს-მთავრისა, რომელსაც ასე ღრმად უყვარდა თავისი სულიერი სამწყსო.

ე) მეხუთე ექსარხოსად საქართველოში დანიშნულ იქმნა მინსკის ეპისკოპოსი ევგენი (ბაჟენოვი), (1834—1844), 1 ენკენისთვეს 1834 წელსა... ეს იყო მტკიცე და მთავრობის მოყვარე ხასიათის კაცი... იმის დროს გარედგან შეკეთებულ იქმნა სვეტი-ცხოვლის ტაძარი, რასაც 30,000 მან. მოუნდა. მან ტფილისის სასულიერო სემენარიისთვის 1838 წელს იყიდა ის შენობა, რომელშიაც ახლაა იგი მოთავსე-

ბური. ამ ადგილს ძველად არსებობდა ქარვასლა, რომელიც ეკუთვნოდა ბატონიშვილს ლეონს მეჩვიდმეტე საუკუნის გასულს. 12 ნოემბერს 1844 წელსა, ექსარხოსი მეგენი გადაყვანილ იქმნა ეპისკოპოსად ასტრახანში. იგი გარდაიცვალა 22 აპრილს 1869 წელსა.

3) საქართველოს ეკკლესიის მეექვსე ექსარხოსად განწესებულ იქმნა მოგოლიოვის მთავარ-ეპისკოპოსი ისიდორე (ნიკოლოსკი), 12 ნოემბერს 1844 წელს, (1844—1858). იმის ექსარხოსობის დროს განახლებულ და აღშენებულ იქმნა ბევრი ტაძარი. საეკკესიო მამულების შემოსავლით შეკეთებულ-იქმნა მცხეთის, ტფილისის სიონის, ალავერდის, სამთავროს, მარტყოფის და ძვაბთახევის ტაძრები და მონასტრები. მის დროსვე აღშენებულ იქმნენ ექსარხოსის ახალი სასახლე და შენობა სინოდალურს კანტორის მოსათავსებლად. სასულიერო წოდებას იმის შუამდგომლობით მიეცა ჯამაგირი; მცხეთაში დაარსებულ იქმნა ქალთათვის სასწავლებელი, ხოლო ბურიაში ჯუმათის მონასტერთან—ვაჟთა სასწავლებელი. მის დროსვე ახლად გამოცემულ იქმნა დაბადება (ბიბლია) ქართულს ენაზედ, რისთვისაც ცნობილი მეისტორიე პლატონ იოსელიანი მის მიერ გაგზავნილ იქმნა ათონის მთაზედ, საიდგანაც მან მოიტანა ძველი ისტორიული თარგმანი დაბადებისა, შესრულებული 976 წ. წმ. ეფვთიმე მთაწმიდელის-მიერ. ექსარხოსმა გადაწერინა სამი ასლი: ა) სამეგრელოს მთავრის დავით ლევანის ძის დადიანისთვის; ბ) ტფილისის სიონის ტაძრისთვის და ბ) იმერეთის მიტროპოლიტის დავითისთვის. ექსარხოსი ისიდორე მოგზაურობდა თავისს საექსარხოსოში და ყოველგან ყურადღებას აქცევდა ეკკლესიების და სასულიერო წოდების მდგომარეობის გაუმჯობესობას. იმის დროს 1851 წელს, 1200 გამაჰმადიანებულმა ქართველმა საინგილოდგან მიიღო ქრისტიანობა. 1856 წელს მას ებოძა მიტროპოლიტის ხარისხი

და 1858 წელს-კი გადაყვანილ იქმნა ქიევის სამიტროპოლიტო კათედრაზედ. გარ 7 ენკენისთვეს 1892 წ.

მოგვყავს დეკანოზის ბ. ხელიძის „მოგონებათაგან“ ერთი ამბავი მიტროპოლიტის ისიდორეს შესახებ:

1850 წელსა ექსარხოსი ისიდორე ბრძანდებოდა ძუთაისში მიტროპოლიტს დავითთან. ამაღლების წინა დღეს ექსარხოსმა უბრძანა ცნობილს ახალ-ქალაქის მაზრის მისსიონერს დეკ. ბამრეკელს, რომელიც იმ ჟამად ძუთაისის საკათედრო საკრებულო ტაძრის წინამძღვრად იყო, გადაეხადა საღამოზედ მწუხრი ცირკითურთ ჩვეულებისამებრ რუსთა ეკკლესიისა. მაგრამ მიტროპოლიტმა დავითმა არ ინება და ექსარხოსის განკარგულება დეკანოზს არ შეასრულებინა. ექსარხოსი დამორჩილდა... მიტროპოლიტმა შეასრულა ღამის თევით ლოცვა მთელის ღამის განმავლობაში, საქართველოს ეკლესიის წესით, როგორც მას ჩვეულება ჰქონდა.—მე უფროსი ვარ, მე ვარ მმართველი ეკკლესიისა“,—ბრძანა წყრომით ისიდორემ.—„მართეთ კანონის, წესდების თანახმად“,—მოახსენა მიტროპოლიტმა. ექსარხოსმა ისიდორემ დიდი ყურადღება არ მიაქცია ასეთს პასუხს მიტროპოლიტისას და ამიტომ მათ შორის უთანხმოება არ გამწვავებულა. მიტროპოლიტი ისიდორე საქართველოს ეკკლესიის მფარველად ითვლებოდა თავისის გარდაცვალების დღემდის.

ზ) 1 მარტს 1858 წ. საქართველოს ექსარხოსად დაინიშნა ქამენეც-პოდოლსკის ეპისკოპოსი ევსევი (ილინსკი, 1858—1877). მის დროს, 1860 წელს დაარსებულ იქმნა ოსეთის კამისიის მაგივრად „ქავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება“ და შემდეგში მის მიერ ბევრი სხვა სასიკეთო საქმეცგაკეთდა საქართველოს ეკკლესიაში. ექსარხოსი ევსევი კარგა ხანს ემსახურა ამ ეკკლესიას და დიდი სიყვარული დაიმსახურა სასულიერო წოდებისა და სამწყსოსი. დიდის სიყვარულით გააცილა თავისი საყვარელი მწყემს-მთავარი საქართველოს სამწყსომ, გადაყვანილი ტვერის საეპისკოპოსო კა-

თედრაზედ 1877 წ. 8 დეკემბერსწ. (გარ. 12 მარტს 1879 წ.). ეექსარხოსი ევსევი მქადაგებელიც იყო და უყვარდა დღესასწაულებრივად ღვთის-მსახურების შესრულება.

ბ) ყოვლად სამღვდელო ევსევის მაგივრად საქართველოს ეექსარხოსად დანიშნილ იქმნა 8 დეკემბერს 1877 წ. ნიჟეგოროდის მთავარ-ეპისკოპოსი იოანნიკე (რუდნევი 1877—1882) ხსენებულმა მღვდელ-მთავარმა დიდი ამაგი დასდო საქართველოს ეკკლესიას: ა) სასულიერო წოდებას გადასცა საეპარქიო სანთლის ქარხანა, რომლის შემოსავალი შეიქმნა სასულიერო წოდებისთვის მრავალ სიკეთეთა წყაროდ; ბ) დაარსა საეპარქიო დედათა სასწავლებელი ქ ტფილისში და იმის სასარგებლოდ 40,000 მან. შესწირა თვისთა საშუალებათაგან; გ) გააუმჯობესა ტფილისის სას. სემინარიის მასწავლებელთა და მოსწავლეთა ცხოვრება; დ) დაარსა ამავე სემინარიაშივე „ძმობა წმ. ანდრია პირველ-წოდებულისა“ ღარიბ მოწაფეთათვის ნივთიერ დახმარების აღმოსაჩენად; ე) დიდი ყურადღება მიაქცია იმის დროს (1878 წ.) რუსეთთან შემოერთებულს „ძველ მესხეთს“, დასახლებულს ძალათი გამაჰმადიანებულის ქართველის ტომით. მაღალ ყოვლად-სამღვდელო იოანნიკეს ჰაზრით, ამ მხარეში, სადაც 200,000 სულზედ მეტი გამაჰმადიანებული ქართველი სცხოვრობს, საუკეთესო მისიონერებად შეიძლება ცნობილ იქმნას ქართველები, რომელთ ენაზედაც ადგილობრივნი მკვიდრნი ლაპარაკობენო. ვ) მისივე დახმარებით და შუამდგომლობით დაარსებულ იქმნა ქართულის ენის კათედრა ტფილისის სასულიერო სემინარიასა და საეექსარხოსოს ეექვსს სასულიერო სასწავლებელში; აგრეთვე დიდი ყურადღება მიექცა ქართულ საეკკლესიო გალობის ადგენის და სწავლების საქმეს; ქართულის ენის მასწავლებლებს მიეცათ სახელმწიფო სამსახურის უფლებანი; და ქართული ენის შესწავლა სავალდებულოდ ცნობილ იქმნა სასულიერო სასწავლებელთა ყველა ქართველთათვის. საზოგადოდ ეექსარხოსმა იოანნიკემ დაიმსახურა

სახელი სიმართლის და ქველ-მოქმედების მოყვარე მღვდელ-მთავრისა. დიდი და პატარა, თავადი და აზნაური, მღვდელი და გლეხი ერთ-ნაირის პატივისცემის გრძნობით მოიხსენებ და იმისს სახელსა... ამის გამო დიდის ამბით გააცილა ის საქართველოდგან თვისმა სამწყსომ, მოსკოვის სამიტროპოლიტო კათედრაზედ გადაყვანილი, 17 ივნისს, 1882 წ. (გ. 7 ივნისს 1900 წ.). როდესაც ყოვლად-სამღვდელო იოანნიკეს შეუსრულდა ორმოცდა ათი წელი სამღვდელო სამსახურში მოღვაწეობისა (7 ნოემბერს 1899 წ.) ქ. ტფილისიდგან მრავალმა ქართველმა მისალოცი დეპეშები გაუგზავნა, რომელშიც გამოხატა თვისი უღრმესი პატივის ცემის გრძნობა მის მიმართ, გამოწვეული ყოვლად სამღვდელოს საქართველოში უანგარო და კეთილ-შობილურის მოღვაწეობის სასიამოვნო მოგონებით.

Ილ. ზერაძე.

(დასასრული იქნება)

მოკლე აღწერა თბილისის ნაწილისა

(Тифлисскій участокъ). *)

თბილისის ნაწილად დღეს იწოდება ის ადგილი თბილისის მაზრისა, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისის სამხრეთ-და სავლეთისკენ მდინარე ხრამსა და მტკვარს შორის, ვიდრე გამოლმა სანახებამდე მცხეთისა (ორ ვერსზე ამ სოფლიდამ, სადაც თავდება თბილისის მაზრა და იწყობა ლუშეთისა და ბორის მაზრები). სივრცე თბილისის ნაწილისა იქნება 4500 კვ.ვერსი და უმეტეს ნაწილად წარმოადგენს ერთიან მთა-გორას, შემოსილს ადგილ-ადგილ საშენებელ და ადგილ-ადგილ საშეშე და წვრილის ტყით. ვაკე და დაბალ ადგილთა შორის აქ აღსანიშნია ორი: დიდომის ველი, მტკვრის მარჯვენა კი-დით, ექვს ვერსზე ქ. თბილისიდამ მის ჩრდილო-დასავლე-თისკენ, სივრცით 36 კვ. ვერსი და ოდანლუდის ველი, სივრ-ცით 40 კვ. ვერსამდის, მტკვრისავე მარჯვნივ, 10 ვერსზედ ქ.

---

*) თბილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელის ბ. სვეჩინის განკარგულებით, მის ხელ-ქვეით მაზრების ნაწილების ბოქაულნი დავალებულ იყვნენ, რათა ყველა მათგანს დაწვრილებით აეწერა თავ-თავისი საბოქაულო ნაწილი და წარედგინათ მისთვის, ზედ-დამატებით იმ მოსაზრებათა, თუ რა ნაკლი აქვს ნაწი-ლის დღევანდელს მდგომარეობას, ხელს რა უშლის მის ნიგთიერად და ქონებრივათ გაღონიერებას და სხვ. ჩვენ საჭიროდ ვცანით დრო-გამოშვებით ადგილი დავუთმოთ „მოგზაურში“ ბოქაულთ ასეთ აღ-წერებს და ამ მიზნით პირველ ხანად ვბეჭდავთ ბოქაულის ე. გუგუ-შვილის თბილისის საბოქაულო ნაწილის აღწერას. რედ.

თბილისიდამ, მის სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრისაკენ. ჰავა ორსავე ვაკეში ცხელი და დამცდელია, ხოლო დანარჩენს ადგილებში—გრილი და სალი, რისგამოც აქ მრავლად მოიპოვება სააგარაკო ადგილები.

მცხოვრებლები თბილისის ნაწილში უმეტესად არიან ქართველები, შემდეგ სომხები, რუსები, ბერძნები, თათრები, ოსები, ნემცები და მალაკნები. აქვე დგას გრენადერთა ორი პოლკი: ლეიბ-ერევნის მეცამეტე პოლკი დაბა მანგლისში 1824 წლიდამ და გენერალ ოტლიარევსკის ქართველთა მეთოთხმეტე პოლკი დაბა აღბულაღში 1848 წლიდამ.

ამავე ნაწილში ძევს უდიდესი მამულები ქართველ წარჩინებულ თავადიშვილთა და აზნაურთა, ვითარცა: ჯამბაკურ-ოორბელიანებისა, ბარათაშვილებისა, სოლოღაშვილებისა, მუხრან-ბატონისა, ბებუთაშვილებისა, თარხნიშვილებისა, შერვაშიძისა, ამილახვრებისა, აფხაზისა, სუმბათაშვილებისა, ბაბაშვილებისა, საგინაშვილებისა, ქავრიშვილებისა, ჯავრიშვილებისა, თულაშვილებისა, ონიკაშვილებისა, ისარლოვებისა და სხვ. აქვე აქვთ დიდ-ძალი მამულები თბილისის მდიდარ სომხებს, ვითარცა მირზოევებს, თაიროვებს, ისტომანოვს, მამიკონოვს, ტერ-ღუკასოვს, შახ-აზიზოვს, არაფელოვს, ქანანოვს, ენიკალოფოვს, ქალანთაროვს, ჩითახოვს, ლოლუხანოვს, მარკოზოვს და სხვ.

მთელს ნაწილში ითვლება 25 სასოფლო საზოგადოება: აღბულაღისა, ვაშლოვანისა, დილმისა, ღურნუკისა, ქუმისისა, ლისისა, სამშვილდისა, თონეთისა, თელეთ-ხატისა, წავკისისა, წყნეთისა, წინ-წყაროსი, მანგლისისა, ენაგეთისა და სხვ. უდიდესი სოფლები არის: ქუმისი—222 კომლი მცხოვრებით, ქოდი—120 კომლით, სამშვილდე—105 კომლით, დიდი და პატარა თონეთი—274 კომლით, წყნეთი—115 კომლით, წინ-წყარო—174 კომლით, მანგლისი—109 კომლით და სხვ.

როგორც ვსთქვით თბილისის ნაწილი მდიდარია საგა-

რაკო ადგილებით; მათში აღსანიშნია შემდეგნი:

კოჯორი, 18 ვერსზე ქ. თბილისიდამ, სამხრეთ-დასავლეთისკენ მისგან, 300 საგარაკო სახლით. ძევს 5893 მწყრთაზე (ფუტზე) ზღვის მაღლა და უჭირავს 5 ოთხ-კუთხი ვერსი ადგილი. ზაფხულობით აქ ცხოვრობს მთავარ-მართებელი კავკასიისა, მისი თანაშემწე, საგუბერნიო მთავრობა და თბილისის უმაღლესი წოდება და სოვდაგრობა, ასე რომ რიცხვი მეაგარაკეთა ზაფხულში უწევს 6,000 სულს. უწინდელს დროში აქვე ცხოვრობდნენ ზაფხულობით საქართველოს მეფენი. მაგალითად, ცნობილია, რომ აქ ჰქონდათ მშვენიერი სასახლენი როსტომ მეფეს (1634—1658), ბიორგი XI (1676—1688) და ვახტანგ VI ეს (1703—1714). აქვეა ძველი შესანიშნავი კოჯრის-ციხე, აწ უვიცობით წოდებული ქორ-ოღლის ციხედ.

მანგლისი, 60 ვერსზე ქ. თბილისიდამ, დასავლეთისკენ, ძევს 3949 მწყრთაზე ზღვის მაღლა და უჭირავს 9 ოთხ-კუთხი ვერსი ადგილი. აქ არის სადგომები ლეიბ-ერევნის პოლკისა და სამი სოფელი — სერგეისა, ბოლიცინისა (ძველი მანგლისი) და საკუთრად მანგლისი, დასახლებული სამსახურიდგან გადამდგარ ჯარის-კაცებით. სერგეის სოფელში აღსანიშნია დიდად მშვენიერი ფიჭვნარი.

აღბულაღი (Бѣлый-Ключъ), 54 ვერსზე ქ. თბილისიდამ, მის სამხრეთ-დასავლეთისკენ, ძევს 4785 მწყრთაზე ზღვის მაღლა და უჭირავს $4^1/_2$ ოთხ-კუთხი ვერსი ადგილი. აქ არის სადგომი გენერალ ოტლიარევსკის ქართველთა პოლკისა და ორი სოფელი: საკუთრად აღბულაღი და კონსტანტინესი, დასახლებული აგრეთვე სამსახურიდამ გადამდგარ ჯარის-კაცებით.

ლისი, 12 ვერსზე ქ. თბილისიდამ, ჩრდილო-დასავლეთისკენ მისგან, ძევს 2326 მწყრთაზე ზღვის მაღლა, აქაც არის რამდენიმე საგარაკო სახლი.

ბრიუტი, 38 ვერსზე ქ. თბილისიდამ, ძევს 4528 მწყრთაზე ზღვის მაღლა, შეიცავს 60 საგარაკო სახლს.

კიკეთი, 25 ვერსზე ქალაქ თბილისიდამ, ონიკაშვილების მამულში, თელეფანი—ლილომის საზოგადოებაში და სხვ.

მცხოვრებნი თბილისის ნაწილისა უმეტეს ნაწილად მისდევენ მიწად-მოქმედებას და უფრო ნაკლებ—საქონლის მოშენებას, რძის საქმეს, ქირაზე სიარულს ⁄ სამეურნეო ნაწარმოებთა გადაზიდვა-გასყიდვას ქ. თბილისში და აგარაკებში. ხოლო სამხრეთ ნაწილში მისდევენ მევენახობას ⁄ ბაღოსნობასაც. მცხოვრებნი ზოგიერთ სოფლებისა, განსაკუთრებით ბერძნები, მისდევენ სასაფლავო და სატროტუარო ქვის ჭრას. რუსები მისდევენ საagარაკო სახლების შენებას და ქირით ძლევას, მეagარაკეთა გადაყვან-გადმოყვანას თბილისიდამ agარაკებში და agარაკებიდამ თბილისში და სხვ. თონეთის მცხოვრებნი მისდევენ ნამჯიდამ კალათების წვნას, რომლებსაც ასაღებენ ზაფხულობით მეagარაკეებზე. სოფელ წინწყაროს მცხოვრები ბერძნები, მისდევენ ფარდაgების ქსოვას; მდინარე ხრამის პირად მცხოვრებნი მისდევენ თევზის (ხრამულის) ჭერას და სხვ. თბილისის ნაწილშივე არსებობს ერთი საწუმწუმო ქარხანა საბურთალოზე, მტკვრის პირად, 250 მუშით, 2 ტყავის ქარხანა მანგლისს ახლო მდ. ალgეთზე და სხვ.

თბილისის ნაწილი საკმაოდ მდიდარია ხეირიანის გზებით. მასზე გადის: 1) თბილის-ყარსის რკინის გზა, რომელიც გაივლის აქ 25 ვერსის მანძილზედ, სადgურებით სოლანლუღში და ჯანდარში.

2) საქართველოს სამხედრო გზა, გაივლის მასზე 16 ვერსის მანძილზედ, უსადgुროდ.

3) თბილის-მანgლისის გზა-ტკეცილი სიgრძით 60 ვერსი, მიდის თბილისის ამაღლების აღმართით ძოkორში, შემდეg გაივლის სოფელ ელისაბედზე, დიდ თონეთზე და ჩადის მანgლისში; ეს გზა არის გაgრძელება საქართველოს სამხედრო გზისა და გადაწყვეტილია გაიყვანონ ქ. ახალ-ქალაქამდის (ჯავახეთში). ამ ჟამად მანgლისიდამ გზა უკვე გაყვანილია 15 ვერსზე. როgორც საქართველოს სამხედრო გზა, თბილის-მანgლისის

გზაც იმყოფება კავკასიის საგზაო ოლქის გამგეობაში. ამ გზით სიარული და მოძრაობა ყოველ-გვარის ეტლით—ურმით, ფაეტონით, დილიჟანებით, საფოსტო ეტლებით და სხვითი, ფრიად გაცხოველებულია, განსაკუთრებით ზაფხულობით. ამ გზაზედ სადგურები გამართულია: ტაბახმელაში, ქოჯორში და პრიუტში, ხოლო საფოსტო-სატელეგრაფო განყოფილებანი —მანგლისში და ზაფხულობით ქოჯორში.

4) ტაბახმელა-ადბულადის გზა ტკეცილი, იწყება თბილისიდამ 15 ვერსზე სადგურ ტაბახმელიდან, გაივლის სოფელ ვაშლოვანზე, ბორბალოზე, ელისაბედპოლზე, დიდ ენაგეთზე, ბოგვზე, საღარაშენზე, ჩხიკვთაზე და ჩადის ადბულადში. ამ გზაზედ სადგურები არის: ბორბალოში, საღარაშენში და ადბულადში, ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება-კი მხოლოდ ადბულადშია გამართული.

5) თბილის-სოდანლუღ შულავერის გზა-ტკეცილი, გავლის მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მდ. მტკვრის მარჯვენა კიდით, სოფელ სოღანლუღამდის და შემდეგ ქოდამდის, სადაც გაიყოფება ორად: ერთი მიდის სოფელ მარნეულზე შულავერში (ბორჩალოს მაზრაში), ხოლო მეორე—სოფელ მუხათზე სოფელ ბარბალომდის, სადაც უერთდება ზემოთ-მოხსენებულ აღბულადის გზა-ტკეცილს. ამ გზაზე საფოსტო სადგურები არ არსებობს და მისვლა-მოსვლა და ზიდვა საქონლისა სწარმოებს კერძო ეტლებით და ურმებით.

6) საქონლის სატარებელი დიდი გზა, რომლითაც ზაფხულში დაჰყავთ ცხვარი და სხვა საქონელი თრიალეთისკენ, ქახეთისკენ და არტაანისკენ, მიდის თბილისიდამ ქრწანისზე, შინდისზე, ტაბახმელაზე, გაივლის ქოჯორსა და მის ციხის (ქთროღლის) შუა, შემდეგ სამადლოზე, პრიუტზე, აქედამ უხვევს მარცხნივ და ვიდის ტყე-ტყე ბედენამდის, გაუვლის პატარა თონეთს, ჩაუხვევს მდ. ალგეთს, რომელზედაც 1898 წელს გააკეთეს ხიდი, გადივლის ბედენის მთებს და შედის წალკაში (ბორჩალოს მაზრაში), საიდამაც სიგრძე მისი კიდევ იქნება 80 ვერსამდის

სახალხო განათლება თბილისის ნაწილში ჯერ-ჯერობით ფრიად სამწუხარო მდგომარეობაშია. აიხსნება ეს იმით, რომ აქეთკენ თითქმის სულ არ არსებობს სახალხო სკოლები. აქ არის სულ ოთხი სასწავლებელი: მანგლისში, აღბულაღში, ელისაბედპოლში და თონეთში. ეს უკანასკნელი ეკუთვნის საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. უკანასკნელს ხანებში ადგილობრივ მღვდელთა მეცადინეობით დაარსდა ხუთიოდე სამრევლო სკოლაც: ირაგაში, დიდ-ენაგეთში, ძველს მანგლისში, პრიუტში და დიღომში. ბანზრახვა აქვთ გახსნან ასეთივე სკოლები წავკისში, წინ-წყაროში და სამშვილდეში.

ხალხის ჯან-მრთელობა მთელს ნაწილში, გარდა დაბლობ ადგილებისა, ჰავის სისაღის წყალობით საკმაოდ კარგს მდგომარეობაშია. ციებ-ცხელება და სხვა ავათმყოფობანი იშვიათია და ზოგჯერ თუ ვრცელდება აქ რომელიმე გადამდები სენი, ეს აიხსნება მხოლოდ უსუფთაობით სოფლებში. ციებ-ცხელება ყველაზე მეტად გავრცელებულია აქ სოფელ ძუმისში; ამისი მიზეზი უნდა იყოს ძუმისის ტბა, რომლის თხელი კიდენი ზაფხულობით საშინლად შხამავენ ტბის ახლო მდებარე სოფლებსა. 1897—98 წელს ამ ტბის ახლო-მახლო მდებარე სოფლებში—ძუმისში, ვაშლოვანში, ძოდში და ხატის თელეთში მარტო ციებ-ცხელებისგან გამოესალმა წუთი სოფელს 200-ზე მეტი სული.

ზნეობის მხრივ, თბილისის ნაწილის მცხოვრებლებში აღსანიშნია ერთი დიდი მანკი—დამნაშავეთა დაფარვა და ტყუილი ფიცი. ეს სენი განსაკუთრებით გავრცელებულია თათრებში, ოსებში და ერევნის გუბერნიიდამ გადმოსახლებულ სომხებში, რომლებისგანაც ისწავლეს ეს მკვიდრმა ქართველებმა, რუსებმა და ბერძნებმაც. ბვარწმუნებენ, რომ ეს სენი გავრცელდა აქ მას აქეთ, რაც ჩვენში შემოვიდა მომრიგებელი მოსამართლეები და ადვოკატობა. ამისი უმთავრესი მიზეზი იმაში უნდა ვეძიოთ, რომ

სასამართლოებში საქმე სწარმოებს ხალხისათვის სრულიად გაუგებარს ენაზედ, რისგამოც ხალხს არ შეუძლიან ჩივილის დროს პირდაპირ მოსამართლესთან დაიჭიროს საქმე. ეს გარემოება ჰბადავს ადვოკატს, რომელიც საშინლად ჰრყვნის და მიწასთან ასწორებს ისედაც უვიცს ხალხს. ადგილობრივ ქართველებში წინეთ გაცილებით უფრო მაღლა იდგა ზნეობა, პატიოსნება და სიმართლის სიყვარული. აწ ყოველი ეს განქრა სამუდამოთ და ხალხს ჰგონია, რომ სასამართლოებში უთუოდ ტყუილი უნდა ილაპარაკოვო. ზნისა და ჩვეულებათა ასეთის ცვლილებით უნდა აიხსნას აგრეთვე გავრცელება ხალხში ყაჩაღობისა, ქურდობისა, გარყვნილობისა და სხვათა დანაშაულობათა, თუმცა უნდა ვსთქვათ, რომ იმავ დროს ხშირია მათში ძველებური პურადობა, სტუმართ-მოყვარეობა და კეთილი გული.

შეძლებით და კეთილის ცხოვრებით და მდგომარეობით თბილისის ნაწილში ყველაზე მაღლა დგანან ნემცები, რუსები და ბერძნები. ნემცები გადმოსახლებულან აქ ჰამბურღიდამ 1817 წელს; ესენი ცხოვრობენ აქ მდ. ასურეთის და ალგეთის ხეობაში, სადაც დაუარსებიათ ახალ-შენი ელისავეტალი, 188 კომლით, სწორის ქუჩებით და მშვენიერ ვენახ-ბოსტნებით; ჰყავთ საკმაო საქონელი, ცხენები და სხვ. რუსები ცხოვრობენ აღბულაღსა და მანგლისში, დაუსახლებიათ ისინი აქ ვორონცოვის დროდამ და აქვთ გეგმით აშენებული სოფლები, საკმაოდ კარგის სახლებით. მათს კეთილს ცხოვრებას და წარმატებას განსაკუთრებით ხელს უწყობს სიმრავლე ადგილ მამულისა და შემდეგ საადგილ-ცხოვრების აღორძინება აქეთკენ. კარგად მოწყობილან აგრეთვე ბერძნები ირაგანის საზოგადოებისა, 15 ვერსზე აღბულაღიდამ. აქ ამათ დაუსახლებიათ ოთხი სოფელი, სადაც ყოველს ბერძენს უდგას ქვითკირის სახლი, ხშირად ევროპიულ გეგმაზე და გემოვნებაზეა შენებული. თავისს კეთილს ცხოვრებას აქაური ბერძნები მეტ ნაწილად იძენენ ქვის თლაზე მუშაობით. მათ თქვენ ნახავთ

თითქმის მთელის კავკასიის დაბა-ქალაქებში, სადაც ესენი დიდს ფულს შოულობენ. მისდევენ აგრეთვე ხვნა-თესვას და ჰყავთ საკმაოდ საქონელი. ბერძნები გადმოსახლებულან აქ ამ 30 წლის წინათ ოსმალეთიდამ და დაუარსებიათ, როგორც ვსთქვით, 4 სოფელი: Ივანოვკა, დიდი და პატარა Ირაგა და Ჯიგრაშენი. Ესენი აქამომდე ირიცხებოდნენ ოსმალეთის ქვეშევრდომებად და მხოლოდ შარშან თუ წელს მთავრობამ აღძრა საქმე, რომ ესენიც შეირიცხნენ რუსეთის ქვეშევრდომებად. რაც შეეხება ქართველთ, სომხებს, თათრებს და ოსებს, ამათი ცხოვრება ვერ არის წარმატებული და ჯერაც იმ მდგომარეობაშია, რა მდგომარეობაშიაც იყო იგი წარსულის საუკუნის დასაწყისში. Ოსები გადმოსახლებულან აქეთკენ სხვა-და-სხვა დროს და დაუარსებიათ 6 სოფელი მემამულეთა მიწებზე: ორი სოფელი მანგლისიდან 10 ვერსზე თავად Თარხნიშვილების მამულში და 4 სოფელიც Აღბულაღის ზემოთ აზნაურ Არეშოვების და Ბაიროვების მამულში. Ასეთსავე მდგომარეობაში არიან აქაური თათრები, რომელთაგან ზოგიერთნი, განსაკუთრებით დაბლობ ადგილებში მცხოვრებნი, მაგალითად, სოღანლოელნი და კოსალარლები აქამდე მისდევენ მთა-ბარობას, ე. ი. ზაფხულობით მთელის დედა-წულობით და ქონება-საქონლით გადადიან მთაში, საიდამაც კვლავ ბრუნდებიან თავიანთ სოფლებში შემოდგომაზედ.

მოხსენებული მხარე ფრიად მდიდარია ძველის ნაშთებით. ჩვენ აღვნიშნავთ აქ ზოგიერთ მათგანს: ბეთანიის მონასტერი, Ვერის ხეობაში, 30 ვერსზე ქ. Თბილისიდამ, Ბარათაშვილების მამულში, აღშენებული, როგორც ამბობენ, მეფე Გაგრატ IV-ის დროს (1027—1072). Ამბობენ აგრეთვე, რომ Თამარ მეფეს ძლიერ უყვარდა იგიო და ზაფხულობით ხშირად ცხოვრებდა აქა. Მონასტრის უმთავრეს ტაძრის კედლებზედ აქამომდე შენახულია სურათები: Თამარისა, ქმარისა მის Დავითისა, ძისა მათისა Ლაშა Გიორგისა, Შოთა რუსთაველისა და Დავით აღმაშენებლისა. 1997 წ. აქ

დასახლდა 7 ბერი და თავადმა **დ. ბარათაშვილმა** შესწირა მონასტერს 70, ხოლო **ბაბალე ბარათაშვილისამ** და მისმა შვილებმა 40 დესეტინამდის მამული.

კაბენის მონასტერი, 4 ვერსზე ქოჯრიდამ, სამხრეთ-დასავლეთისკენ, ღრმა ღელეში, თავად **სოლაღაშვილების** მამულში. 1898 წელს აქაც ჩასახლდა რამდენიმე ბერი (რუსები) და სცდილობენ აღადგინონ იგი. **როდის** არის აშენებული უმთავრესი ტაძარი, ცნობილი არ არის, ერთს პატარა საყდარზე კი შენახულა წარწერა, რომელიც მოიხსენიებს **თამარ** მეფეს.

ბიდარეთის მონასტერი, დიდად მშვენიერი, მდ. **ხრამის** კიდით, 24 ვერსზე **აღბულაღიდამ**, აღშენებულია **გიორგი ბრწყინვალისაგან** (1318 — 1346) თავად **ორბელიანების** მამულში, რომელიც ახლა შეუძენია სყიდვით **თაიროვს** და **მონასტერიც** იმის ხელშია.

გუდარეხის მონასტერი, ცნობილის მდიდრის **მირზოევის** მამულში, რომელიც აგრეთვე შეუძენია მას **სყიდვით** თავად **ბარათაშვილებისგან**, 10 ვერსზე **აღბულაღიდამ**. **აშენებულია** **რუსუდანის**-მიერ მე-XIII საუკ. გარდა **უმთავრესი** საყდრისა აქ არის რამდენიმე მომცრო საყდარი მშვენიერის ჩუქურთმებით. **მონასტერს** ჰქონია თლილის ქვის გალავანი.

ანგლიასის მცველი მონასტერი, თლილის ქვისა, აღშენებულია მე-IV საუკუნეში **კონსტანტინე** მეფის გამოგზავნილებისაგან.

აღწერა ყველა შესანიშნავ ნაშთთა ჩვენ შორს წაგვიყვანს და ამიტომ დანარჩენებს მოვიხსენებთ აქ მარტო სახელით: **შავ-ნაბადა**, **ხატის** თელეთის საყდარი, **წვერის** წმ. **გიორგის** საყდარი, **უძო**, **თელოვანისა**, **დილმისა**, **სამშვილდისა**, **წინ-წყაროსი**, **დურნუკისა**, **ქუმისისა** და სხვ. და სხვ.

ელ. ბუგუშვილი.

გეოგრაფიული და ისტორიული აღწერა

ჰერეთისა.

ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ქახეთს ორ ნაწილად ჰყოფს: ერთს უწოდებს „ქახეთი“, მეორეს ეძახის „ჰერეთი“; მაგრამ როცა იწყებს ამ ნაწილების გეოგრაფიულსა და ისტორიულს აღწერას, ის ორივე ნაწილს აერთებს და ეძახის „ჰერეთ-ქახეთი“, ხოლო ხალხს უწოდებს „ჰერ-ქახნი“.

ეს ორი პროვინცია, რომელნიც შეადგენდნენ ქახეთის სამეფოს, გეოგრაფიულად არ განისასღვრება ერთმანერთისაგან რომელიმე ბუნებითი საზღვრით და შეერთებულია ველ-მინდვრებით, ასე რომ, ალაზნისა და ორის ხეობათა (ბასეინების) ნახევარი (ე. ი. ზემო ნაწილი) ეკუთვნის კახეთს და ნახევარი (ი. ი. ქვემო ნაწილი)—ჰერეთს.

ასრე ამ სახით ჰერეთს შეადგენდნენ: სიღნაღისა (ქიზიყი), ზაქათლისა (საინგილო), ნუხისა და ალტაშ-არეშის მაზრები. როგორც ეს ჰერეთი, აგრეთვე მიწა-წყალი ქასპიის ზღვამდე, *) თეიმურაზ ბატონიშვილის აზრით, ეკუთვნოდა საქართველოს, მაგრამ ამ ჟამად სრულიად დაკარგული აქვს მას ნუხისა და ალტაშ-არეშის მაზრები, რადგან მათში აღარ სცხოვრობენ ქართველნი. პირველი დაჰკარგა მან მე-XV საუკუნის დასაწყისიდგან, ხოლო მეორე მონგოლების დროს მე-XIII საუკუნის დამლევს.

---

*) შესანიშნავია, რომ ჯუანშერის მატიანის სომხური თარგმანი კასპიის ზღვას უწოდებს ჰერეთის ზღვად. აწ არსებულ „ქართლის ცხოვრებაში“ ჰერეთის ზღვა წოდებულია „გურგენის ზღვად“.

რედ.

ამ ორის მაზრის დაკარგვამ ქახეთის სამეფოს დიდი ზარალი მისცა. აღმოსავლეთის მხრით ესენი შეადგენდნენ საქართველოს სიმაგრეს. აქ მცხოვრებნი ქირთველნი შეადგენდნენ სამეფოს სანაპირო ხალხს, რომელსაც უცხო ხალხნი უწოდებდნენ „სვბირნი“ (სანაპიროანი), „გარგარენი“ (გარეგანი, გარეთ-მცხოვრებნი). მსენი იცავდნენ საქართველოს გარეშე მტერთა შემოსევისაგან სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდგან (იხ. Нов. изв. о Кавк. Шоп.) და, მართლაც, აღტაშ არეშის მაზრები მრავალის ხეობით არის შემკული, ნაჭერ-ნაჭრად დასერილი და გარეშე მტერიც ამიტომ ეგრე ადვილად ვერა ჰბედავდა ამ მხრიდამ შემოსევას ჰერეთ-კახეთის სამეფოში.

როგორც ქახეთი, აგრეთვე ჰერეთი განიყოფება ორად Ціу-გომბორის მთით, რომლის ჩრდილოეთ მხარეს მდებარებს შიგნითი ჰერეთ-კახეთი, ხოლო სამხრეთ მხარეს—გარეთი ჰერეთ-კახეთი, გადაბმულნი ერთმანერთზე ველ-მინდვრებით. მტერი რომ შემოესეოდა ჰერეთს, ტალღა აწიოკ-დაწიოკებისა ქახეთსაც ჰხვდებოდა და ერთის სატკივარი მეორეს გადაეცემოდა ხოლმე. ამისათვის საქართველოს ერი, მეფენი და სასულიერო წოდება ძალიან უფრთხილდებოდნენ ჰერეთს და არ ანებებდნენ მას მტერს. ხოლო, როცა საქართველოს წაერთო ძალ-მომრეობით ნუხისა და აღტაშ-არეშის მაზრები და აქაურმა ქართველებმა დასტოვეს ეს მხარე, მაშინ გარეშე მტერს გაეხსნა კარები და ის დაუბრკოლებლად აწვებოდა გულზე ჰერეთს და, რაღა თქმა უნდა, დანარჩენ კახეთსაც, რომელიც პირდაპირი გაგრძელებაა ჰერეთისა. ვიმეორებ, რადგან ჰერეთი იყო საქართველოს სიმაგრე აღმოსავლეთის მხრით, ამისთვის დიდი ყურადღება იყო მიქცეული მასზე ქართველთაგან. ფარნაოზ მეფის დროიდგანვე ერი ქართველთა იცავდა იმას, როგორც თავის თვალის გუგასა და სამშობლოს საფარს; ის იყო საქართველოს სამეფოს გვირგვინის თვალ-მარგალიტი.

ფარნაოზ მეფის დროს ჰერეთი შეადგენდა ერთ საერისთოს, მის შემდეგ კი მეფეები ნიშნავდნენ აქ მთავარმართებელს. თუ სადამდის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჰერეთს საქაროველოსთვის, სჩანს იქიდამ, რომ ხანდის-ხან მეფეები ნიშნავდნენ მის მთავრად თავიანთ მემკვიდრე შვილებსაც და ჰყოფდნენ ოთხ საერისთოდ. მაგალითად, მირიან მეფემ ჰერეთის გამგებელად დანიშნა თავისი შვილი რევი; მეფე ბაქარმა გაამთავრა აქ სამუდამოდ რევის ნათესავნი და შთამომავალნი; ვახტანგ ბორგასლანმა თავისი მემკვიდრე შვილი დაჩი დანიშნა მის გამგებელად ⁂ აქვე მისცა მან დაჩის საუფლის-წულოდ ქალაქები: ჭერემი, ნეკრესი, ძამბეჩი და ხორნაბუჯი მდინარე მტკვრის აღმოსავლეთად მდებარე ადგილებით, სწერს ბროსე (იხ. ისტ. ბროს. გვ. 79). ჰერეთში მთავრობდა აგრეთვე მეფის ბაკურ მესამის შვილი ადარნასე, დევნული სპარსთაგან. თვით მეფე არჩილი მოწამე აქა სცხოვრობდა და სასახლე ჰქონდა ლაგოდახში, ორს წყალს შუა.

ვგონებ, ამ არჩილის შემდეგ ჰერეთი სამეფოდ იქცა. ვახუშტიც სამეფოდა ჰსწერს ჰერეთსა, მაგრამ არ იცის, რამდენი მეფე ჰყვანდა ჰერეთს, ვიდრე ადარნასე პატრიკისამდე, რომელსაც ეომებოდა ბაგრატ მე-III და ბაგრატ მე-IV. „ჰერეთი დაიპყრეს ძმის-წულთა ადარნასე ბრმისათა“, სწერს ვახუშტი, — „რომელთა დასწვეს თვალნი მამის-ძმისა, და არჩილ მოწამემან მიუბოძა ამას შაკიხი და ცოლი აბუხოსროსი (თუშთა და ხუნზახთა ერისთავისა), და ამის ძეთა დაიპყრეს შაკიხიდამ გუჯგუჯამდე, და შემდგომად ჯუანშერის *) სიკვდილისა დაიპყრეს სრულიად ჰერეთი და იწოდნენ მეფედ, და დასხნეს ერისთავნი, ვითარცა იწერვის: ერისთავი შტორისა, ერისთავი ხორნაბუჯისა (ქიზიყისა), ერისთავი ვეჯინისა, ერისთავი მაჯისა (ზაქათალის ოლქისა); მაგრამ არა

*) არჩილ მეფის მხედართ-მთავარი და მის სიკვდილამდე ისტორიის დამწერი.

არს უწყებული, თუ რამდენნი მეფენი ისხდნენ". იგივე სწერს: „ჭერეთი დაფარული და დაბურული იყო ტყითა და შეუვალი მტრისაგან, მდიდარი და აშენებული, სცხოვრობდა დინჯად და მყუდროდ, ხოლო თუ ოდესმე მოადგებოდა მტერი, მეფენი ხარკს აძლევდნენ და აბრუნებდნენ უკანვე".

მცხოვრებნი ჭერეთისა იყვნენ ივერიელნი. ისინი ცხოვრობდნენ კავკასიის მთის ძირში (ხეობებში) და მის (მთის) მწვერვალებზედ. ასე სწერს სტრაბონი. იმათ ეძახის ის მთიულ ივერიელებს. მისივე სიტყვით ისინი დაჰყურებდნენ ალბანიას და ეკუთვნოდნენ მას.

ჭერეთი ალბანიის ნაწილი არისო, სწერს თეიმურაზიცა (იხ. ისტ. მისი). მაგრამ სომეხთ მწერალი მე-IV საუკუნისა ელიშე (იხ. გვ. 124) და მე-IX საუკუნისა მოსე კალანკატვაცი (იხ. გვ. 86) სწერენ, რომ ივერიელნი სცხოვრებენ ხალხალამდეო (ს. ვართაშანის ახლო), რომელიც ალბანიისა და ივერიის მიჯნას შეადგენსო. ამასვე მოწმობს „ქართლის ცხოვრება"-ცა, რომელიც სწერს: „ალსართანი იყო მეფე შირვანისა და მოვაკანისა და ზღვისა პირისა დარუბანდით ხალხალამდის (იხ. გვ. 272), და მოვიდა საზღვარსა ივერიისასა, ქალაქსა, რომელსა ჰქვიან ხილხალა" (იქვე გვ. 58).

ამ ისტორიული ცნობების ძალით ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ ჭერეთელნი მართლაც ქართველნი იყვნენ. ამ ჩვენს რწმენას ექომაგება, ჰშველის, ამაგრებს და ამტკიცებს სტრაბონის ის თქმულებაცა, რომ ალბანიაში სცხოვრებდა 26 ხალხი. ამ თქმულებას ემოწმება აგრეთვე ქართული წოდება ქვეყნისა ჭერეთი. არა ვგონებ, ყველანი არ დამეთანხმნენ, რომ სიტყვა ჭერეთი წარმოსდგება ლექსიდგან ერი, რომელიც ქართულს ენაზე ნიშნავს მრავლობითი რიცხვზე ხალხებს—კრებულს. ამასვე ამტკიცებს ჭერეთის მეორე წოდება ელისენი, რომელიც მონგოლთ უთარგმნიათ თავიანთ ენაზე და უწოდებიათ „ელი", ნაცვლად ქართულის წოდებისა, რომელიც ულრის ქართულს სიტყვას ერი. ხოლო ეხლანდელი თათრუ-

ლი წოდება ჰერეთის ერთის ნაწილისა, სახელდობრ ზაქათალის ოლქისა (საინგილოსი) გურჯისტან ამტკიცებს, რომ ჰერეთი ყოფილა საქართველოს მიწა-წყალი. ძლასიკური მწერლები მთლად ერთიანად ჰერეთს ეძახიან ალბანია-ს, ხოლო ქართველები — ალვანია-ს, რადგან ძველს დროს ის ეპყრათ ალბანიის მეფეთაც. მაგრამ ალბანია ერქვა მხოლოდ შირვანს, ბაქოს, დერბენდს და ტაბასარანს. ხანდის-ხან მას ეპყრა ჰერეთიცა და ყარაბაღიც (ქართულად სევანი, სომხურად აღვანი). ამ შემთხვევაში ალბანია განიყოფებოდა სამად: ქართველთა ჰერეთი, სომეხთა ალვანია და საკუთრათ ალბანია, და შეადგენდა ერთს სამეფოს ალბანია-ს.

საქართველოს ალბანია ანუ ჰერეთი მრავალს ქართველს, მსწავლულს და უსწავლელს, გლეხს და აზნაურს უნახავს, მაგრამ აქამდე არ იციან არც მსწავლულ ქართველებმა, არც უსწავლელთ, რომელი მაზრები შეადგენდნენ იმ ქვეყანას, რომელსაც „ქართლის ცხოვრება"-ში ეწოდება ჰერეთი.

აწ ჩვენ ვეცდებით მოკლედ აღვსწეროთ ჰერეთი გეოგრაფიულად და ისტორიულად და დავამტკიცოთ, რომ ჰერეთს შეადგენდნენ მაზრები: სიღნაღისა, ალტაშ-არეშისა, ნუხისა და ზაქათალის ოლქი (ანუ საინგილო).

ამ განზრახვის აღსასრულებლად ჩვენ ვიწყებთ აღწერას, ერთ დროს ქალაქად ყოფილ, ყაბალადგან.

ინგილო ჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება)

სამხრეთი საქართველო

(სამხეთი).

(დასასრული *)

სამხრეთ საქართველოში მოიპოვება წითელი, ყვითელი, ცის-ფერი, მუქ-ფერი საღებავ წამლებთა მიწა, მაგალითებრ, არის დიდი ნიშნები, რომ უგრა, ოხრა და სხვა ასეთი წამლები ბევრი უნდა იყოს; ასეთი წამლები ერთობ ბევრი აღმოჩნდა ალგეთის ხეობაზედაც, სოფ. ბოგვის მახლობლად; აქ ერთ დროს ქარხანაც გააკეთეს და რამდენიმე ურემი ოხრა და უგრაც გამოიყვანეს; ეს წამლები ვინც ნახა, ყველანი აღტაცებულნი დაშთნენ, მცირედ მომზადება აკლდა მათ, მაგრამ იგი მაინც გაიყიდა თბილისში სახლების გარედგან საღებავად. ასეთ წამლებს გარდა ცარცის მთებიც არის აქეთ, გოგირდის ნიშნები, კირი, გვარჯილა და ბევრიც სხვანი.

ვერცხლის მადნები აქ ხომ ძველადვე იქნა შენიშნული; თვით საქართველოს უკანასკნელ მეფემდის, აქ იყო გამართული ვერცხლის მადნის ქარხანა, ვერცხლი აქედგან გამოჰქონდათ, ქართველ მეფეთა ფულს ამ ვერცხლიდგან სჭრიდნენ, ქარხანას ადრე ქართველნი ამუშავებდნენ, შემდეგ ბერძენთა ხელოსნები. ვერცხლის ქარხანა აქეთ რამდენსამე ალაგას ყოფილა, არის კიდევ ნიშნები რკინისა, თითბრისა, სპილენძისა, თუჯისა, ნახშირიც სჩანს და როგორც ამბობენ, აქეთ ძველად საცალა ოქროს მადნის ნიშნებიც უნახავთ. ერეკლე მეფემ ოქროს ფულის მოჭრა რომ დაი-

*) ‹ლ. № 2, გვ. 128.

წყო, მაშინ მოუძებნიათ აქეთკენ და ნიშნებიც უპოვნიათ.

აქაური დედა-კაცობა და კაცებიც ძლიერ მისდევდნენ ფეიქრობას და ნამეტურ ხალიჩების, ფარდაგების და ყაითნების ქსოვას, ნაბდების კეთებას და სხვანი; აქაური ხალიჩა, ხალები და ფარდაგები ქებული იყო ყოველგან, მის მომქსოვნიც ქართველნი იყვნენ, რაც შემდეგ ერთობ მოისპო ქართველთ შორის.

ამას გარდა, რადგანაც ხსენებული კუთხის ქვა და მიწა ხალხს ბევრ ნაირად უწყობდა ხელს, ამიტომ მათში ჭურჭლის კეთებაც წინ ყოფილა წასული. იგინი ყველაფერს ჭურჭელს და სახლის საჭირო ნივთებს თვით აკეთებდნენ. სპარს-ოსმალთ იცოდნენ ამ კუთხის ქართველთა ასეთი ღირსება, მხნეობა და მიტომაც იყო, რომ ამათგანს ისინი ვისაც კი ჩაიგდებდნენ ხელში, აღარ ანთავისუფლებდნენ; ასე ჰქმნეს შაჰ-თამაზ და შაჰ-აბასმაც, რომელთაც აქაურ ქართველთა უმეტესი ნაწილი სპარსეთში გადაასახლეს ძალადობით და მათ მაგიერ თათრები მოიყვანეს. მას შემდეგ იწყეს თათრებ ა აქ გამრავლება.

აქაურნი ქართველნი ვაჭრობაშიაც წინ იყვნენ წასულნი; შეზიბლობა სპარსთა, სომეხთა და სხვათა მათში ჰბადავდა ვაჭრობის და აღებ-მიცემობის ცოდნას, ამის უარყოფა ჩვენგან არ შეიძლება, რადგანაც ტაშირელ ქართველთა ცოდნა და მხნეობა თვით ჩვენის ისტორიიდგანაც სჩანს, ამაზე არც სომეხთ მეისტორიენი სდუმებენ. ომში, ბრძოლაში და ქვეყნის სამსახურშიაც შესამჩნევი ადგილი ეკავათ: ვიდრე ტაშირ-ბერდუჯელნი მაგრა იდგნენ, მინამდის საქართველოს სატახტო თბილისსაც მტერნი ვერას აკლებდნენ, რადგანაც ესენი გზაში უხვდებოდნენ და ბრძოლას უმართავდნენ, მტერს ძლევით უკან აბრუნებდნენ. როცა ტაშირი დაეცა, როცა იგი განადგურდა და ქართველობა მოისპო, მას შემდეგ-კი შიდა ქართლის საქმეც ცუდათ წავიდა, თბილისს ცა ლესად ეცემოდნენ თავზე.

ამ კუთხის მაღალ მნიშვნელობის შესახებ საუბარს ჩვენ რომ სრულიად თავი დავანებოთ, კმარა გავიხსენოთ ის მწერლობითი ძალა და გადამწერლობითი ოსტატობა, რაც-კი აქაურს ქართველობას შესწავლილი ჰქონდა. ამ კუთხეში ქართულ წიგნების გადაწერის ოსტატობა და სიმრავლე მაღალს ხელოვნებამდის იყო ასული; აქ იწერებოდა ძრიელ ბევრი შესანიშნავი წიგნი, საღვთის-მეტყველო, ფილოსოფიური და ისტორიულიც. ვახუშტის სიტყვით თვით უშორიეს ლორეს კუთხის მახლობლივ, ერთს მაღალ კლდეში გამოკვეთილია ძველნი ქვაბნი ქართველთა, ამ ქვაბებში სხვათა შორის აწყვია ქართული ძველი ხელთ-ნაწერი წიგნებიო; ამ წიგნების ისტორიას განცვიფრებაში მოჰყვანდა მრავალი, ყველა განკვირვებით კითხულობდა, ნეტავი ერთი გაგვაგებინა და გვაჩვენა, თუ ამ ადგილებში რა წიგნები მოიპოვებაო. სხვათა შორის არის ნათქვამი:

„აქ არს მაღალს კლდესა შინა, ქვაბნი მრავალნი და მას ქვაბსა შინა მდებარებენ წიგნნი მრავალნი ძველნი, არამედ, კაცთა აუსვლელობითა უხმარ არიან“-ო

ეს ხელთ-ნაწერი წიგნები ამ ბოლოს დროს ამ ხსენებულის ადგილებიდგან ჩამოიტანეს, მაგრამ მათი გარკვევა შეუძლებელი აღმოჩნდა, ეს წიგნები მთლად გაქვავებულან, ერთმანეთს დაჰკროდენ ისე, რომ მათი ერთმანერთისაგან გაცალკევება და განხილვა შეუძლებელი გახდა; დღეს ეს წიგნები ასე ერთიან გაქვავებული აწყვია ერთის სომხის მეისტორიეს სახლში, რომელმაც მოიპოვა ეს წიგნები.

ქართველებს აქეთ იმიტომ ჰქონდათ ჯეროვანი ყურადღება მიპყრობილი, აქეთ მიტომ ამაგრებდნენ ყველაფერს, რომ სომეხთაგან გადაბირების ერიდებოდათ, ქართველნი ჰაოსიანეგბმა არ მიიზიდონ, თავიანთ სარწმუნოებას არ შეუერთონო; დიახ, ამის მორიდება ჰბადებდა აქეთკენ ყველაფრის წარმატებას; ქართველთა წარმატება და მორიდება დიდხანს დარჩა, კაი დროამდის გაგრძელდა, შემდეგ-კი იკლო, რადგანაც მტე-

რი ყოველთვის პირველათ ამ კუთხეს მომართავდა ხოლმე, პირველათ ამათ ეცემოდნენ. მაჰმადიანთა ტომის განძლიერების შემდეგ ქართველნი უძლურ იქმნენ არა მარტოთ სამეფოს საქმეთა მართვის მხრით, არამედ სარწმუნოების საქმეებშიაც შეეშჩნიათ დიდი ნაკლი; სამეფოს უძლურების მეოხებით დაუძლურდა სასულიერო წოდებაც, მრევლის საქმეთა პატრონობას ვეღარ ასდიოდა, უყურადღებოდ დასტოვეს და მათ მაგიერ ქართველებზე სომხის სამღვდელოებამ იწყო გავლენა და პატრონობა; იგინი, როგორც მეზობელნი და ქართულის ენის მცნობნიც, ხშირათ მოგზაურობდნენ ქართველთა სოფლებში და, რადგანაც მაშინ ქართველებში ქართველთა მღვდლები ნატამალობდნენ, ამიტომ ბევრს აღაგას ქართველნი გრიგორიანთა მღვდლებს ასრულებინებდნენ მღვდელ-მოქმედებას. ეს ამბები ქართველთ უმაღლეს სამღვდელოებამაც იცოდა, მაგრამ იგინი უძლურების გამო ვერას ღონობდნენ, მათ შინაურთა პატრონობაც არ შეეძლოთ, არამც თუ გარე-ყოფილთა პატრონობა, რომელიც შუა გულ დედა თბილისთან ერთობ შორს იყო. მართალია აქეთ ხშირათ ქართველ მეფეთა მოურავებიც ისხდნენ, მაგრამ ამას არც ესენი დასდევდნენ, ხშირათ თვით მოურავებიც-კი უერთდებოდნენ მათს სარწმუნოებას.

ნელ-ნელა, დროს მიმავლობაში აქეთ ქართველნი ისე შემცირდნენ, რომ სულ შეუმჩნევლად მოისპნენ და გაჰქრნენ. ეს ამბავი ყოველ ქართველს დიდათ შეაწუხებს. იქმნება ბევრისთვის ეს დაუჯერებელი იქმნეს, ვინ იცის, მაგრამ დაუჯერებელი აქ არაფერია! ჩვენ მოკლეთ გადავავლეთ თვალი ამ კუთხეს, ჩვენ გვსურდა მარტო ერთის შეხედვით შევხებიყავით და აღგვენუსხა ის კითხვები და ცნობები, თუ ამ კუთხეში როგორ მოისპო ქართველობა. ზეითაც ვსთქვით და აქაც ვიტყვით, რომ ქართველთა გაწყვეტის უმთავრეს მიზეზათ უნდა ჩაითვალოს შემდეგი:

მაჰმადიანთაგან თავ-დასხმა, ხშირი ომები, აქაურ ქართ-

ველთა ტყვევნა და სპარსეთში გარდასახლება, გარდასახლებულთ ნაცვლად აქ თათრების დასახლება, როგორც ეს ქმნეს სპარსეთის შაჰებმა. მებატონეთაგან ყმათა დევნა და მათი დაყიდვა, სპარს ოსმალეთში გარეკვა და იქ თათრის დიდ-კაცებისთვის მირთმევა. შიში, ტანჯვა და ათასი შინაური და გარეული უბედურება. ვინც დარჩნენ, ისინიც უმღვდლობისაგან გრიგორიანებს დაუკავშირდნენ, დროს მიმავლობაში გადაგვარდნენ, თავიანთი ენა და გვარტომობა დაივიწყეს, დღეს ქართველობისა აღარა ახსოვსთ რა, ზოგმა ქართული ენაც იცის, მათს დედა ენას ქართული ენა შეადგენს, მაგრამ რადგანაც გრიგორიანობას ეკუთვნიან, ამიტომ იგინიც თავს ჭაეთ აღიარებენ, სომხობენ, დროის წყალობით, შემდეგ ესენიც დაჰკარგავენ ქართულ ენას ისევე, როგორც დაკარგეს მრავალთა ქართველთა, რომელნიც ჩვენის ეკლესიისაგან გადრკნენ. ზოგი გათათრდა, ზოგი გასომხდა, ზოგი აქეთ წავიდა, ზოგი იქით გაიქცა და მის მეოხებით ოდესმე დიდებულათ წოდებულს, აყვავებულ ქართველთა მხარეში მოისპო ქართველთ ტომის ძეთა რიცხვი და მათის მოსპობით იქ ქართველთა კვალიც გაქრა.

თუ რაოდენად ძლიერი იყო ეს კუთხე ქართველთა ტომის ძეთა რიცხვით და თუ იგი რა მნიშვნელოვანი იყო ჩვენს ისტორიაში, ამას გამოაჩენს ამ კუთხეში ძველად ყოფილ ქართველთ სოფლები, რომლებიც მოგვყავს აქვე: ხოჟორნა, ოგბოლქაშენი, ტეფური, წოფა, ახტალა, ყაზანჩი, ჯაჭვანი, ბადექი, ბორდაძირი, ჩორთანი, ბორნაკარი, ყანგირი, ნაქალაქევი, შულავერი, მატიკას სოფელი, თეთრი სოფელი, მახრახაჯი, ხუცის სოფელი, ჯონხოში, ბორული, დალარი, წერაქვი, ალეგი, ველი, ბესთის სოფელი, ჩალაუბანი, ციხის სოფელი, ოფრეთი და სხვა და სხვა, სულ 466 სოფელი.

ამ რიცხვში ჩათვლილია მხოლოდ ის სოფლები, რომლებიც თბილისის მაზრის სოფლებს შორავს, მას გარს აკრავს;

ჩვენ აქ არც თრიალეთის სოფლებს შევეხეთ, მარტო მის საზღვრამდის მდებარე სოფლები მოვიყვანეთ, ამ სოფლების რიცხვი ძველად არის შედგენილი ვახუშტის ბრძანებით მისის გეოგრაფიისთვის. სოფლებთა სახელები ძველად სულ ქართული იყო, მაგრამ შემდეგ და შემდეგ მათი სახელები თათრულებრ და სომხურად შეიცვალა, რადგანაც ქართველმა ტომმა იწყო კლება და მათ მაგიერ თათრებმა და სომხებმა იწყეს გამრავლება, ზოგს სოფელს ნახევარი სახელი შეესცვლია, მრავალ ალაგას ეკლესიები კი დაშთენილა და ესენი ცხადლივ მოწმობენ, იქ ოდესმე ქართველთა ტომის სიძლიერეს. ამის შემდეგ, მკითხველს ამაზე რწმუნება აღარ დასჭირდება, იგი კარგად მიხვდება, რომ ოდესმე აქეთ სწორედ ეს ასე უნდა ყოფილიყოს.

ეხლა მოვიყვანთ ცნობებს, თუ სოფლების ამოდენა რიცხვში ქართველები სადღა ცხოვრობენ, მათ სად შეინახეს თავი დიდის ტანჯვით და მწუხარებით. ეს ცნობები შეკრებილია მთავრობის განკარგულებით და დაბეჭდილია სარწმუნოს ცნობებით, მაშასადამე, აქ შემცდარი არა უნდა იყოს რა, ასეთ შემთხვევებში ცნობების დაფარვა და შემცირება მათ არ გამოადგებათ.

კლდეისი, სოფელი, სცხოვრებენ ქართველნი, 19 კომლი, მათში 76 მამა-კაცია და 80 დედა-კაცი, ყველა ესენი საბატონოთ ყოფილი გლეხები არიან, ბატონის მონაწილედ ითვლებიან.

აკაურთა, სოფელი, 25 კომლი ქართველია, აქ ცოტა სომხები და თათრებიც სახლობენ. ამათში 38 მამა-კაცია და 32 ქალი; ეს რიცხვი ჩვენ შემცდარად მიგვაჩნია, რადგანაც აკაურთას ქართველთ რიცხვი შემცნეულია; მათი მებატონე არღუთაშვილია, ამის მეოხებით ამ სოფელში ქართველთა სასოფლო სკოლაც არსებობს, აქ სწავლობენ ვაჟები და ქალები, მებატონეს ერთობ დიდი ამაგი აქვს ამ საქმეზედა, იგი დიდათ ზრუნავს ამ სკოლის მომავალში კეთილად წარ-

მართვას. სკოლაში ბავშვებს ხელსაქმესაც ასწავლიან, ქალებს ქალებისას და ვაჟებს ვაჟებისას, ბავშვებს პურსაც სასწავლებელში აჭმევენ, ერთის სიტყვით დიდს ამაგსა სდებს ეს მეგბატონე თავისს ყმათ ყოფილ გლეხთა შვილების განვითარების საქმეს.

ბალიეზი, ქართველები სცხოვრებენ, 36 კომლი, 137 მამა-კაცი და 167 დედა-კაცი. ნახევარი ქართველობა გრიგორიანთა სარწმუნოებას აღიარებს, ამიტომ ისინი დღეს თავიანთ თავს ჰაებათ სცნობენ.

ბოსლევი, ქართველები სახლობენ, 45 კომლი, 200 მამა-კაცია მათში და 180 დედა-კაცი. ნახევარი ქართველები გრიგორიანთა სარწმუნოებას აღიარებს, ამიტომ ესენი დღეს თავიანთ ვინაობას ჰაებათ ჰხატვენ, თუმც ჰაური ენა არ იციან და ქართულ ენით ლაპარაკობენ.

ვარდის-უბანი, ქართველები სახლობენ, 23 კომლი, 80 მამა-კაცი და 65 დედა-კაცი. ასევე ნახევარი ქართველებისა გრიგორიანობას აღიარებს, ქართულს ენაზე არიან მოლაპარაკენი, მათ ერთმანეთში ნათესავობაც აქვთ და გრიგორიანთ სარწმუნოების მექონთ ქართველთ გვარები ცხადათ მოწმობს მათს განვლილ დროს, ისტორიას და გვარტომობას.

დიდი დმანისი, სახლობენ ქართველები, 40 კომლი, მათში 200 მამა-კაცია და 160 დედა-კაცი. ნახევარი გრიგორიანთ სარწმუნოებას აღიარებს, შთამომავლობით ქართველები არიან, ამიტომ ისინიც ქართულს ენას ხმარობენ დედა-ენად, მაგრამ ესენიც თავს ჰაებათ სცნობენ. დღეს-ხვალ ესენიც ისე განვლენ ჩვენგან, როგორც სხვები განგვეთვისნენ. მთლად გლეხნი არიან.

ბატარა დმანისი, სახლობენ ქართველნი, 10 კომლი, 30 მამა-კაცი და 25 დედა-კაცი. მთლად გლეხნი არიან.

კაზარეთი, ქართველები სცხოვრებენ, 25 კომლი, 105 მამა-კაცი და 95 დედა-კაცი. ნახევარი გრიგორიანთა სარწმუნოებას აღიარებს, შთამომავლობით ქართველნი არიან,

ქართულ ენას ხმარობენ, ზოგს სომხის სახელებზე შენაცვლებიათ გვარები. მაგალითებრ ქირაკოზაშვილი, მიკირტუმაშვილი და სხვანი, მთლად გლეხნი არიან.

კალმაშა, სცხოვრებენ ქართველები, 42 კომლი, 150 მამა-კაცი, 140 დედა-კაცი. სასულიერო წოდების 8 სული ირიცხება. მთლად მართლ-მადიდებელნი არიან. დედა-ენათ ქართულ ენას ხმარობენ.

მიჯა, სცხოვრობენ მთლად ქართველნი, 35 კომლი, 130 მამა-კაცი და 117 დედა-კაცი. ყველა სახელმწიფო გლეხებად ირიცხებიან, მამულები თავიანთ საკუთრებად აქვთ შეძენილი, მართლ-მადიდებელნი არიან, ქართულს ენაზე მოლაპარაკენი.

ტანძია, სახლობენ ქართველნი, 10 კომლი, 25 მამა-კაცია და 23 დედა-კაცი. ქართულ ენაზე მოსაუბრენი, მართლ-მადიდებელნი, სცხოვრებენ საბატონო ადგილებზე.

ქვეში, სცხოვრებენ მთლად ქართველნი, 30 კომლი, მამა-კაცი 105 სული და დედა-კაცი 95 სული. მთლად მართლმად-იდებელნი, ქართულს ენაზე მოლაპარაკენი, საბატონო მიწაზე სცხოვრებენ.

რატევანი, ქართველები სცხოვრებენ, მთლად ქართულს ენაზე მოსაუბრენი, 30 კომლი, 105 მამა-კაცია და 95 დედა-კაცი. სცხოვრებენ საბატონო მიწებზე, არიან დროებით ვალდებულნი. ნახევარი ამათგან გრიგორიანის სარწმუნოებას აღიარებს, გვარები ზოგს შეუცვლია, სომხურებ გადაუკეთებიათ, ამათი დედა-ენაც ქართულია.

ხატის სოფელი, მთლად ქართველი ტომისანი სცხოვრებენ, 30 კომლი, 106 მამა-კაცია და 97 დედა-კაცი. სახელმწიფო გლეხნი, სცხოვრებენ საბატონო მამულებზე მეიჯარადრეთ. მთლად ქართულს ენაზე ლაპარაკობენ, ნახევარი ამათგანი გრიგორიანის სარწმუნოებას აღვიარებენ და თავი სომხად მიაჩნიათ, ესენიც ქართულ ენას ხმარობენ დედა-ენად.

წერაქვი, ჩვენგან შორი სოფელი, ობლად შთენილი,

გარშემო მთლად თათრები და სომხები აკრავან. მოსახლობენ მთლად ქართველნი, მართლ-მადიდებელნი, ქართულს ენაზე მოლაპარაკენი, თათრული და სომხურიც იციან. მოსახლეთ რიცხვი 20 კომლია, მათში მამა-კაცი 50 და დედაკაცი 47 სული. სცხოვრებენ საბატონო მამულებზე და ირიცხებიან დროებით ვალდებულ გლეხებად.

სიონი, ახალი სოფელია, აქ წერაქვიდამ რამდენიმე მოსახლე გადმოსახლდა და დასახლდა. სოფელი მოშენდა, ღმერთმა ჰქმნას. სიონი ამისთვის უწოდეს, რომ ამ სოფელში ძველი ტაძარი სიონი სდგას.

ამათ შესახებ ჩვენ აქ მცირედ უნდა ვისაუბროთ და იმედია, რომ ეს საუბარი მრავალთათვის იქნება საყურადღებო, რადგანაც მცირე მიზეზებს ესეც გამოაჩენს ამ მხრის ქართველთა მოსპობის ცნობებს. წერაქველები ადრე ერთის ქართველის მებატონის მამულზე სცხოვრებდნენ; ეს ქართველი მებატონე მათ არაფერს ყურადღებას არ აქცევდა, ცხოვრების პირობებს უძნელებდა, უხლართავდა, საქმე ისე გაუჭირა, რომ მცხოვრებნი ერთ დღეს კინაღამ არ აიყარნენ აქედგან და სხვაგან არ გადასახლდნენ; შემდეგაც არ შესწყდა მათი დრტვინვა, აქეთ-იქით კაცები გაგზავნეს და ადგილებს ეძებდნენ, რომ სხვაგან ვიშოვნოთ სადმე და ეგები გადავსახლდეთო. ამათ საჩივარს და გოდებას საზღვარი არ ჰქონდა, ჩვენ ეს ამბები კარგად შევიტყეთ და მაშინათვე დიდის გულის წყრომითაც ავივსენით; მაგრამ რას ვიზამდით, ერთის პირის საშუალებით ხსენებულ გლეხთა მებატონეს მუდარება შევუთვალეთ, რომ მას თავისს გლეხებისთვის დევნა დაეტოვებინა, მაგრამ მან არ შეისმინა ჩვენი ვედრება და გლეხებს კვლავინდებურად უწყო დევნა, გლეხნი ამისაგან შესწუხდნენ ძალიან, კვალად იწყეს დრტვინვა. ამ დროს მოხდა შინაური შემთხვევა და ამ ცნობილს ქართველს მებატონეს ხსენებული სოფლის მამულები გაეყიდა; ეს მამულები ერთმა რუსის გენერალმა იყიდა, მან როგორც

შეიტყო, რომ წერაქვის გლეხნი ქართველნი არიანო, მან მაშინათვე ყურადღება მიაქცია, დაიბარა, გაიცნა, ხარჯი შეუმსუბუქა და ბევრი რამ გარდასახადი გაუადვილა; გლეხებს დიდათ გაეხარდათ, ისინი მიემკვიდრნენ იმ ახალს მებატონეს და დღეს მისის წყალობით იგინი მოსვენებით სცხოვრებენ, აქედგან აღარსად აპირებენ გარდასახლებას, დღეს ამ რუსის ხსენებას ლოცავენ. ამ სოფლის გლეხნი აქამდის უეკლესიოთ და უმღვდლოდ იყვნენ დაშთენილნი, მათში ეს იშვიათი იყო, წერა-კითხვის ცოდნა ხომ მთლად მოსპობილი იყო და მთელს სოფელში ერთი კაციც არ მოიპოვებოდა, რომ ქართული წერა-კითხვა სცოდნოდა. ეხლა კი ამ სოფელში პატარა ეკლესიასაც აკეთებენ ზემოხსენებულის ახალის რუს მებატონის დახმარებით. ახლა ჩვენ უნდა ვჰკითხოთ ჩვენს თავს, თუ ნეტა ჩვენ რაღა უნდა ვიქმნეთ ჩვენის გლეხების წინაშე!?.

მარნეული, ცნობილი ძველი სოფელი, სადაც სცხოვრებენ მთლად ქართველნი.

ულამშია, 120 კომლი. სცხოვრობენ მთლად ქართველნი.

ეგრისი პატარა. ეს სოფელი დაუარსებიათ ლარაძიანთა. ლარაძიანი ძველათ აქეთ სამეგრელოდან გადმოსულან, ანუ ეგრისიდამ. დღეს ამ გვარის მებატონეთაგან აქ არავინ სცხოვრებს, ქართველთა რიცხვი დიდათ შემცირებულა.

აქამდის, ხსენებულ კუთხეში, თუმცა ქართველთ რიცხვი ერთობ მცირე იყო, ის რაც ზემოთ მოვიყვანეთ, მემამულენი მთლად ქართველნი იყვნენ. დღეს ეს მემამულე პატრონებიც ისპობიან, ვინც რჩებიან ისინიც თავიანთ მამულებს უცხოელებზე ჰყიდიან, ასე რომ რამდენიმე წლის განმავლობაში ხსენებულ ადგილების პატრონებათ მთლათ სომხები გამოცხადდებიან ! მაშინ რაღა ფიქრი უნდა, რომ „მანგლა-ფორა“ და „ბოლნა-ფორას“ მსგავსი სახელ-წოდებანიც უცბად და უხვად მოიფინება ხსენებულს საქართველოს ძირეულს კუთხეში, უკანასკნელ, იგი ნამდვილ არმენიად შეიქმნება,

რადგანაც მამულები მათ მეგვარტომეთა მეტრფეთ საკუთრება იქმნება, მაზედ მცხოვრებ ხალხიც მათისავე სარწმუნოების იქმნებიან და მაშინ რაღა ფიქრი უნდა, რომ მთელი ამ მხარის წარსული, აწმყო და მომავალიც მათს საკუთრებად შეიქმნება, მასზე ქართველთა ყველაფერს თავისი სახე შეეცვლება, მის ნაცვლად სხვა დაეკერება. შეიცვლება თვით უდიდეს შთენთ ეკლესიების წარწერანი და სახელ-წოდებანიც. ამას ჩვენ მიტომ ვამბობთ, რომ ამის მსგავსი მაგალითები ბევრი გვინახავს.

ასე ამ გვარად ქართველებს ხელიდამ გამოგვეცალა ბორჩალოს მაზრა, ის კუთხე, სადაც ადრე ქართველთ ეპისკოპოზის სამი კათედრა არსებობდა, სადაც ძველად ქართველ მცხოვრებთა რიცხვი იმოდენი იყო, რომ ამ კათედრის ეპისკოპოზნიც-კი ვერ ჰყოფნიდნენ სამწყსველად!.. დღეს იქ ის მცირე რიცხვიდა არს დარჩენილი ქართველებისა, რაც ზემოთ მოვიყვანეთ და რაც, ცხადი საქმეა, თუ მეტი შორს-მხედველობა, მუყაითობა და მოქმედება არ გამოვიჩინეთ, მომავალში ესეც მოისპობა.

ზ. ჯ.

გარდმოცემა აკოევების გვარის ხმალზედ.

დიგორიაში *) ძველი-თგანვე დიდის დიდებით იხსენიება აკოევების გვარის საკვირველი ხმალი, რომელსაც დიდის მოწიწებით წმიდა ნაწილივით ინახავენ ერთ-ერთ მათის გვარის სახლში საიდუმლოდ და ხელ-უხლებლად დაკრძალულსა. ამ ხმალს, როგორც ზეპირ-გარდმოცემა მოგვითხრობს, საკვირველი ძალა და მოქმედება აქვს და ამიტომ აკოევების გვარნი დიდის ანბით და სისხლოვანის მსხვერპლის შეწირვით დღესასწაულობენ ყოველ წელს მაისის თვეში მინდვრად (ნებითი-ქრისტიან სოფელში), სადაც ესენი სწირამენ ცხვრებს, მთელს დღეს ატარებენ ლხინ-თამაშობაში (მარტო მამრობითი სქესი, დედათა სქესს დაშლილი აქვთ მონაწილეობა მიიღონ ამ დღეობაში) და საღამოთი ბრუნდებიან შინ სიმღერა-თამაშობით და თოფის სროლით. ზეპირ-გარდმოცემას ამ ხმალზედ ასე მოგვითხრობენ:

მამათ-მთავარი აკოევების გვარისა, სახელად „აკო“, ჩამომავლობით დიგორელი არ იყო, არამედ სხვაგნიდან მოსული ერთად თავისს ძმასთან ბადელასთან, რომელიც გამხდარა მამა-მთავრად ახლანდელ დიგორელ ბადილოვების გვარისა. ეს ორი ძმა, აკო და ბადელა მოვიდნენ თურმე დიგორიაში სხვა უცხო ქვეყნიდან (ამბობენ საქართველოდან). აკო იჯდა ცხენზედ, როგორც უფროსი ძმა და ბადელა ჯორზედ. ბადელა უფრო ეშმაკი კაცი ყოფილა; როცა ძმები მოახლოვდნენ დიგორიას, ბადელამ აკოს ცხენი სთხოვა. აკომ ეშმაკობა ვერ გაუგო, ათხოვა

*) დ ი გ ო რ ი, დ ი გ ო რ ი ა — ნაწილია ოსეთისა, რაჭის, გადადმა, კავკასიის მთების ჩრდილო ხეობებში. რედ.

ცხენი და ამ ნაირად ბადელა ცხენზედ შეჯდა და აკო კი მის ჯორზედ. როცა ორივე ძმები შემოვიდნენ სოფელში, მოხუცებული კაცები, რომელნიც ნიხასში **) ისხდნენ, წამოდგნენ ფეხზედ და სტუმრებს მიეგებნენ, ჩამოართვეს ბადელას ცხენი და უფროს ძმას აკოს კი ყურადღებაც არავინ მიაქცია, რადგანაც ჯორზედ იჯდა. ამ დღიდგან ბადელას დაუწყეს პატივის-ცემა დიგორიაში და ღირსეულ კაცად ჩათვლა, როგორც ცხენით მოსულს და აკოს კი ყურადღებას არავინ აქცევდა, როგორც ჯორით მოსულს.

რადგანაც ამ ძმებს არა ჰქონდათ დიგორიაში სამკვიდრო ადგილი და სხვა რამე საქმე, ამიტომ ბადელა დაუდგა დიგორელებს ყარაულად და მცველად მაშინდელ მტრებისაგან, ხოლო აკომ დაიწყო ცხოვრება საწყლად, რომელსაც ერთის ძროხის მეტი არა გააჩნდა რა. ერთ დილით, საწყალმა აკომ, ჩვეულებისამებრ, გამოუშვა თავისი ერთად-ერთი ძროხა სოფლის ნახირში საძოვრად. მისდა საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, დილით მშვენიერი დღე, საღამომდის ცუდ ტაროსიანად შეიცვალა. აირივნენ შავი ღრუბლები, დაჰბერა ქვენა ქარმა და დაუშვა წვიმა. შეშინებულმა მენახირემ შეაგროვა ნახირი, რომ არ გაფანტულიყნენ. შეცრად დაიელვა, დაიჭექა და გავარდა მეხი. შეშინებული ნახირი აქეთ-იქით გაიფანტა; დარჩა მხოლოდ ერთი წაქცეული ძროხა. რამოდენიმე წამის შემდეგ გადიღო წვიმამ, გადიწმინდა ღრუბელი და გამოჩნდა ლაჟვარდი ცა. მენახირე მიუახლოვდა წაქცეულ ძროხას, რომ შეეტყო რა ამბავია და ნახა, რომ თითქოს ზარბაზნის ტყვია მოხვედრიაო, ისე გახვრეტილი ეგდო ძროხა. ბადაა-ბრუნა მკვდარი ძროხა და მიწაც ძირს ჩახვრეტილი ნახა. მისდგა მენახირე თავისი წვეტიანი რკინის ჯოხით და დაუწყო თხრა ჩახვრეტილ მიწას. ძარგა ხანს დასჭირდა მენახირეს წვალება. თითქმის ერთ საჟენზედ მეტი რომ ამოთხარა, მე-

---

**) ნ ი ხ ა ს ი — სალაყბო, სალაპარაკო ადგილი.

ნახირემ იპოვნა მიწაში ბატის კვერცხის სიმსხო ზარბაზნის ტყვიის მსგავსი რაღაც ნივთი და საღამოთი შინ რომ დაბრუნდა, ის ტყვიაც თან წამოიღო, რათა დაერწმუნებინა ძროხის პატრონი, რომ მისი ძროხა მოკლულია ამ ნივთით. ერთი ანდაზისა არ იყოს: „ფარეხში მგელი შევარდა, ვაი ერთის პატრონსაო“, ისე, ეს ძროხაც საწყალის აკოსი გამოდგა. რას იზამდა. აკომ მიიღო მენახირისგან ეს ზარბაზნის ტყვიის მსგავსი ნივთი, რომლითაც მისი ძროხა იყო მოკლული და ამით დაიმშვიდა გული.

ამ დროს დიგორიაში სცხოვრობდა ერთი ვინმე ბრძენი კაცი, რომელმაც ყველაფრის შეტყობა კარგად იცოდა. ამ ბრძენ კაცს მოუტანა აკომ თავისი ნივთი საჩვენებლად. ბრძენმა კაცმა გასინჯა ნივთი და სთქვა: „ეს წინასწარმეტყველის ელიას იარაღიაო, იმ ელიასი, რომელიც მფლობელობს ელვა-ღრუბელს და ჭექა-ქუხილსო; გააკეთებინე აქედამ რამე იარაღი და იგი ძვირფასი რამ იქნებაო“. აკომ მოისმინა დარიგება მეცნიერისა და შეუკვეთა მჭედელს ამ ნივთიდგან ნამგალი. ნამგალი ისეთი რამ გამოდგა, რომ მკის დროს კაცის ხელს ვერ შეეძლო მისი დაკავება. ამიტომ აკომ ახლა შეუკვეთა მჭედელს ამ ნამგლიდგან ცელის გაკეთება; მაგრამ ესეც ვერ გამოდგა, რადგანაც თიბვის დროს, ცელი ყოველ შემოქნევაზედ კაცს ციბრუტივით შემოატრიალებდა ხოლმე და ბალახი კი გაუთიბავი რჩებოდა. როცა მთიბავი დასდებდა მიწაზედ ცელს, ცელი თავისით იწყებდა თიბვას, იკარგებოდა სრიალით ბალახში და კაცი ძლივს ღა ეწეოდა თვით-მთიბავს ცელს. ასეთი ცელი, რასაკვირველია, გამოუსადეგარი იყო პატრონისათვის და ამიტომ აკომ ახლა ხმლის გაკეთება შეუკვეთა მჭედელს. მჭედელი თითქმის ერთ თვეზედ მეტი ეწვალა ხმლის გაკეთებას და ბოლოს, როგორც იყო, როცა გააკეთა, გადასცა ხმალი აკოს და უთხრა: „ატარე ეს შენი ხმალი მშვიდობაში და ბედნიერებაში, საძლევლად მტერთა ღა სასახელოდ

შენის შთამომავლობისაო“. ბახარებულმა აკომ მშვენივრად გაკეთებულის თავისის ხმლის ძალისა და ღირსების გაჰოცდა აქვე მოინდომა. მოუქნია იქვე მდგომარე ხარს თავისი ხმალი, შუაზედ გასწყვიტა ერთის დაკვრით და მიწაც ერთ საჟენამდის გააპო. ამ საქმის მნახველებმა ეს ამბავი იმავ წამს მთელს დიგორიაში მოსდეს და მალე მთელს ოსეთშიაც. რადგანაც ძველს დროებაში იარაღი ძვირად ფასობდა, ამიტომ სანახავად აკოს საკვირველის ხმლისა, მოაწყდა ხალხი ოსეთის ყველა სოფლებიდგან.

პირველ დღეებში აკო სიამოვნებით იღებდა ქარქაშიდგან თავისს ხმალს ხალხისთვის საჩვენებლად, მაგრამ, რადგანაც ხმალი ყოველთვის აღარ ამოდიოდა ქარქაშიდგან, სანამ არ შესვამდა (რამდენჯერაც ამოიღებდნენ, იმდენჯერვე უნდა დაელვარათ რამე საქონლის სისხლი) სისხლსა ხარისას, ძროხისას ანუ სხვა რომელიმე ცხოველისას, ამიტომ მან (აკომ) დაიფიცა—მეტი აღარავისთვის ეჩვენებინა თავისი ხმალი *). ამ ხმლის შეძენის დღიდან საწყალი აკო შესამჩნევად გამდიდრდა. ბოლოს, როცა აკო კვდებოდა, მან მოუწოდა თავისს შვილებს, შემოიკრიბა გარშემო, დაარიგა და უთხრა:

„მე ეს არის ვკვდები და ჩემი ხმალი დეე დაცული იყოს თავისთვის საიდუმლოდ და ხელ-შეუხებლად ვისგნითმე გარდა თქვენის გვარის უფროსისა. ბიტოვებთ აგრეთვე ანდერძად, რომ შემდეგ ჩემის სიკვდილისაც არ აჩვენოთ ეს ხმალი არავის და არც გადასცეთ იგი არავის, სანამ ერთი მაინც იყოს ცოცხალი ჩემის შთამომავლობისა. ამ ჩემმა მა-

---

*) ამბობენ აგრეთვე, რომ როცა აკოს ხმალი ზედ ერტყა, ტოტა დაპარაკიც რომ მოსვლოდა ვისთანმე, ხმალი მაშინვე ტოკვას დაიწყებდა, ქარქაშიდან ამოიწეოდა და ჩაიწეოდა ხოლმე თავისთავათან.

ხვილმა გაამაგროს და გაამხნეოს თქვენი ერთობა და დიდებაო“...

აკოს შთამომავლობა გამრავლდა და გვარიც მათის მამათ-მთავრისა დარქმევიათ, ე. ი „აკოევი“. აკოევები წმინდად იცამენ წინაპრის ანდერძს. ეს ხმალი დღესაც მათში არის დაცული, უსათუოდ გვარის უფროსის სახლში, დაკეტილს სკივრში, ასე რომ გვარის ერთის უფროსის მეტი, თვით აკოევების გვარისაც, ვერავინ ნახავს მას აგრე ადვილად, რათა მით არ გატეხონ ანდერძი მამა-მთავრის აკოსი. აკოევებს, ისე ძვირად ულირთ თავიანთ არა ჩვეულებრივი ხმალი, რომ სყიდვა მისი არ შეიძლება არაფერის მილიონ ფასითა, რადგანაც აკოევები სთვლიან ამ ხმალს იშვიათ „თილისმად“ და თავიანთ გვარის სიამაყედ.

ქართველი ოსებში.

ძველის ბერძნების ახალშენები შავის ზღვის ნაპირებზედ იმერეთში.

(შემდეგი *)

საქართველოს და განსაკუთრებით მისის დასავლეთის ნაწილის იმერეთის ანუ ძოლხიდის სიმდიდრე უძველეს დროდამ იზიდავდა ბერძნებს, რომლებიც ყოველ საშუალებასა ხმარობდნენ, რომ როგორმე ფეხი მოეკიდათ ძოლხიდის შავის ზღვის ნაპირებზე. ესენი ბლომად აფუძნებდნენ აქ თავიანთ დაბა-ქალაქებსა და არ სტოვებდნენ უყურადღებოდ არც ერთს კუთხესა, რომელიც გამოსადეგი იყო მათის მრეწველობისა და აღებ-მიცემობისათვის. ყველა დიდი მდინარის შესართავში, ყოველ მოხერხებულ ზღვის ყურეში, ყოველ სავაჭრო ადგილას ისინი აფუძნებდნენ დიდ ქალაქებსა. როცა ამისთანა ქალაქები გამდიდრდებოდნენ, მაშინ ისინი, თავიანთ გარშემო, სხვა პატარა ქალაქებს აარსებდნენ და ასეთის მოხერხებით ნელ-ნელა იპყრობდნენ ქართველების მიწა-წყალსა. ამისთანა ქალაქები იყო: ფანაგორია, რომლის მდებარეობა მდინარე ყუბანის ბოლოში ძლიერ მოხერხე-

---

*) იხ. მოგზაური № 3, გვ, 24.

ბული იყო. სადაც ახლა ნოვოროსიისკია, იქ მაშინ იყო ორი ქალაქი: ტორიკოსი და ბატა, ხოლო სადაც ახლა სოხუმია, იმის მახლობლად იყო დიდი ქალაქი დიოსკურია. აქ იყო დაარსებული მთელი რესპუბლიკა, *) რომელიც იწყობოდა მდინარე ქოდორიდამ და მიდიოდა ენგურამდის. დიოსკურიის რესპუბლიკა ისეთი ძლიერი იყო, რომ როცა საქართველოს პირველმა მეფემ ფარნავაზმა (302—237 წ. ქრისტეს წინად) განდევნა საქართველოდამ ბერძნები და მაკედონელები და თვით დაიპყრო მთელი აღმოსავლეთის და დასავლეთის საქართველო, ეს დიოსკურიის რესპუბლიკა ვერ დაიმორჩილა და იგი ისევ ბერძნებს დარჩათ. დიოსკურიას გარდა ბერძნების უმთავრესი ახალშენები იყო: გენო ანუ ტგუანა, ილორი, ბედია და ჰერაკლე (ეხლანდელი ანაკლია). ამ ახალშენებს ძალიან ეშინოდათ გარშემო მთებზე მოსახლე ხალხებისა, რომელთა შორის ყველაზე უფრო მამაცნი იყვნენ სვანები და ბორაქსელები (ეხლანდელი წებელდელები). ესენი თავიანთის მაღლობიდამ, საიდგანაც ჩამოდის ქოდორი, მუდამ აშინებდნენ დიოსკურიას და სწორედ, ეს იქმნებოდა მიზეზი, რომ ბერძნებმა უშველებელი ზღუდე ააგეს აქ, რომელიც დღესაც აკვირვებს მნახველსა. ეს ზღუდე იწყობა ზღვის პირიდამ სოხუმის მახლობლად, ეხლანდელს ქელსურში, აქედამ მიემართება შიგ შუა-გულ აფხაზეთში, ქოდორის სათავისაკენ და ებჯინება მდ. ენგურსა. როგორც

*) რესპუბლიკა—ისეთი საწელმწიფოა, რომელშიაც საქმეებს განაგებს თვითონ ხალხი ანუ ხალხისგან ამორჩეული პირები.

ამბობენ, სიგრძე ამ ზღუდისა იყო 160 ვერსი და შიგა და შიგ ჩატანებული ჰქონია კოშკები.

ᲓᲦᲔᲡ ᲓᲘᲝᲡᲙᲣᲠᲘᲐ მიწასთან გასწორებულია, ასე რომ მოგზაურები ვერც-კი პოულობენ იმ ადგილს, სადაც ის არსებობდა, რადგანაც მისი ნაქალაქევი ამ ჟამად ტყით არის დაფარული.

ძველის ბერძნების თქმულებანი ჩვენს ქვეყანაზედ

ᲣᲬᲘᲜᲓᲔᲚᲡ დროში ბერძნები იყვნენ ყველაზე უფრო მამაცი და განათლებული ხალხი. ᲘᲛᲐᲗᲘ გმირები უშიშრად დადიოდნენ შორეულს ქვეყნებში სალაშქროდ და მსწავლულნი კიდევ სამოგზაუროდ და ალსაწერად სხვა-და-სხვა ქვეყნებისა. ᲐᲘ, მაგალითად, რა ამბავი დაგვიწერეს ძველმა ბერძნებმა თავიანთის გმირების „არგონავტების“ მოგზაურობის შესახებ ᲙᲝᲚᲮᲘᲓᲐᲨᲘ.

არგონავტების გალაშქრება კოლხიდისაკენ.

1350 წლებში ქრისტეს შობამდე, ცხოვრებდა ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲨᲘ მეფე ვინმე ᲐᲗᲐᲛᲐᲡᲘ და ცოლი მისი ნეფელა. ᲐᲛᲐᲗ ჰყვანდა ერთი ქალ-ვაჟი: ვაჟის სახელი იყო ფრიქსი და ქალისა ჰელლა. ᲜᲔᲤᲔᲚᲐ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, რომ მეფე ᲐᲗᲐᲛᲐᲡᲛᲐ სხვა ქალი მოიყვანა ცოლად. ᲜᲔᲤᲔᲚᲐ დიდად გაჯავრდა და მიატოვა ქმარი. მას აქეთ უბედურება მუდამ სდევნიდა ᲐᲗᲐᲛᲐᲡᲘᲡ ოჯახს. ᲓᲔᲓᲘᲜᲐᲪᲕᲐᲚᲘ ᲑᲝᲠᲝᲢᲘ ქალი გამოდგა და

დაუწყო დევნა ნეფელას შვილებს. ნეფელამ რომ გაიგო ეს ამბავი, გამოუგზავნა შვილებს ოქროს-მატყლოვანი ვერძი *) და შემოუთვალა შვილებსა—მოშორდით მამასაო. ვერძმა შეისვა ყმაწვილები ზურგზე, აფრინა ჰაერში, გადაატარა მთა-მინდვრები და, როცა მიაღწია იმ ზღვას, რომელსაც მაშინ დარდანელს უწოდებდნენ, ჰელლა ჩამოუვარდა და დაიხრჩო. ამის გამო დაერქვა იმ ზღვას ჰელლეს-ბონტი, ე. ი. ჰელლას ზღვაო.

ფრიქსმა-კი, ჰაერში დიდხანს მოგზაურობის შემდეგ, მიაღწია ქოლხიდას და ეწვია ჩვენს სახელ-განთქმულს მეფეს აეტსა.

აეტმა სიყვარულით მიიღო ფრიქსი და, როცა გაიზარდა, შერთო მას ცოლად თავისი ქალი ხალკიოპი. ნიშნად მადლობისა გადარჩენისათვის, ფრიქსმა ვერძი ღმერთებს შესწირა და მისი საწმისი-კი **) მიართვა მეფე აეტსა. აეტმა ეს ძვირფასი საუნჯე ჩამოჰკიდა მუხაზე სამლრთო ჭალაში და დარაჯად დაუყენა საშინელი გველაშაპი ***), რომელიც არასოდეს არ იძინებდა. აქ, ამისთანა სანდო დარაჯის ხელში, ეს ოქროს საწმისი დიდ ხანს ეკიდა. იმისი აქედამ წაღება მეტის-მეტად საძნელო და საშიშო საქმე იყო.

ამ ოქროს საწმისის თაობაზე და საზოგადოთ

---

*) ვერძი — ცხვარი.

**) საწმისი—ოქროს-მატყლოვანი ტყავი.

***) გველაშაპი—ზღაბრული გველი, ფრთებიანი და ფეხებიანი.

ᲙᲝᲚᲮᲘᲓᲘᲡ სიმდიდრეზე დიდი ხმა იყო დავარდნილი მთელს საბერძნეთში და განსაკუთრებით ᲤᲠᲘᲥᲡᲘᲡ ნათესავებში. ᲐᲛ ნათესავებს ჰსურდათ უკან დაებრუნებინათ ოქროს საწმისი, რადგან, იმათის აზრით, ამ საწმისზე იყო დამოკიდებული მთელის იმათის გვარეულობის ბედი და კეთილ-დღეობა. ᲐᲛ ნათესავთა შორის განსაკუთრებით შესანიშნავი იყო ᲤᲠᲘᲥᲡᲘᲡ ბიძის შვილის-შვილი—ᲘᲐᲖᲝᲜᲘ, ჭაბუკი ოცის წლისა და სრული ძალითა და სილამაზითა. ᲛᲐᲨᲘᲜᲓᲔᲚᲘᲡ გმირების ჩვეულებისამებრ, მას ხელში ეჭირა ორი მაგარი ᲚᲐᲮᲕᲐᲠᲘ *) და მხარზე წამოსხმული ჰქონდა ვეფხვის ტყავი.

ᲐᲡᲔ აღჭურვილმა ᲘᲐᲖᲝᲜᲛᲐ შემოიარა მთელი საბერძნეთი და, სადაც-კი მივიდოდა, იწვევდა მაშინდელ გამოჩენილ გმირებსა მშვენიერის და მდიდარის ᲙᲝᲚᲮᲘᲓᲘᲡᲐᲙᲔᲜ გასალაშქრებლად. ბევრმა სიამოვნებით მიიღო მისი მოწოდება და, აი, შეიკრიბნენ ორმოც-და-ათამდე გმირები ქალაქ ᲘᲝᲚᲙᲝᲡᲨᲘ, კოლხიდისაკენ გასამგზავრებლად. ᲐᲥ ესენი ჩასხდნენ ᲘᲐᲖᲝᲜᲘᲡᲐᲒᲐᲜ წინათვე დამზადებულს, მშვენიერს ხუთ-ნიჩბიანს ხომალდში, რომელიც იყო მეტად მსუბუქი და მსწრაფლ-მოსიარულე, და გაუდგნენ შორი გზას.

ᲔᲡ იყო პირველი დიდი ხომალდი, რომლითაც ბერძნებმა პირველად გაბედეს შუა ზღვაში სიარული. ᲐᲛ ხომალდს ერქვა თავისი გამკეთებლის ოსტატის ᲐᲠᲒᲝᲡ სახელი და ამიტომ მასში მსხდომარე გმირებ-

---

*) ᲚᲐᲮᲕᲐᲠᲘ—პირ-განიერი და გრძელ-ტარიანი შუბი.

საც უწოდეს ᲐᲠᲒᲝᲜᲐᲕᲢᲔᲑᲘ, ე. ი. არგოს ნავში მსდომნი.

ᲑᲔᲕᲠᲘᲡ ᲪᲣᲠᲕᲘᲡ შემდეგ, ᲐᲠᲒᲝᲜᲐᲕᲢᲔᲑᲘ მიადგნენ ერთს კუნძულსა, რომელსაც ერქვა ᲐᲠᲔᲢᲘᲐ, და გამოვიდნენ ნაპირზე, სადაც ნახეს სამი ყმაწვილი, დაკონკილს ტანისამოსში. ᲐᲚᲛᲝᲩᲜᲓᲐ, რომ ესენი იყვნენ ᲤᲠᲘᲥᲠᲘᲡ შვილები, რომელთაც მამამ თურმე სიკვდილის დროს ანდერძად დაუტოვა, დაბრუნდით ჩემს სამშობლოში მამიჩემის ᲐᲗᲐᲛᲐᲡᲘᲡ მდიდარს სახლშიო, და იძიეთ თქვენი სამკვიდროო. ᲛᲐᲛᲘᲡ ანდერძის შესასრულებლად ეს ახალგაზდა ყმაწვილები დიდის იმედით გამგზავრებულიყვნენ საბერძნეთისაკენ იმ ხომალდით, რომელიც მათთვის ᲰᲐᲠᲠᲘᲞᲐ ᲐᲔᲢᲡ მიეცა, მაგრამ გზაში ერთს ბნელს ღამეში, საშინელი ღელვა ასტეხოდათ, მათი ხომალდი დაემსხვრია და თითონ-კი ხსენებულს კუნძულზე გამოეგდო, სადაც ახლა მოადგა ᲘᲐᲖᲝᲜᲘ თავისი თანამოგზაურებით.

ᲐᲠᲒᲝᲜᲐᲕᲢᲔᲑᲡ ამ ჭაბუკებმა სთხოვეს ტანისამოსი და საჭმელი და თავიანთი ვინაობაც აუხსნეს. ᲐᲠᲒᲝᲜᲐᲕᲢᲔᲑᲛᲐ შემოსეს და გააძღეს ისინი. ᲛᲐᲨᲘᲜ უთხრა იმათ ᲘᲐᲖᲝᲜᲛᲐ: „მე თქვენი ნათესავი ვარ და მივდივარ ᲙᲝᲚᲮᲘᲓᲐᲨᲘ ოქროს საწმისის საშოვნელადაო; გაგვიძეხით წინ და შემწეობა აღმოგვიჩინეთ ამ ძნელს საქმეშიო“. ᲑᲐᲝᲪᲓᲜᲔᲜ ᲤᲠᲘᲥᲡᲘᲡ შვილები ამ ამბავზე და უპასუხეს: „დიდის სიამოვნებით შეგეწევით, მაგრამ იცოდეთ, რომ ᲐᲔᲢᲘ სასტიკი და ᲛᲫᲘᲤᲠᲘ *) მეფეა, ის მბრძანებლობს დიდსა და ძლიერს ხალხში, რომელიც მეტად ერთგულია მისი. ᲗᲕᲘთ ᲐᲔᲢᲛᲐ რომ

*) ᲛᲫᲘᲤᲠᲘ — ძლიერი, სასტიკი.

კიდეც მოინდომოს ოქროს საწმისის მოცემა, ამ საწ-
მისს მაინც ვერავინ ვერ გამოჰგლეჯს იმ საშინელ
გველაშაპსა, რომელიც უდარაჯებს მასაო“.

ამ სიტყვებმა ძლიერ დააღონეს არგონავტები,
მაგრამ იმედი მაინც ამხნევებდა მათ და მეორე დი-
ლას ფრიქსის შვილებითურთ განაგრძეს მოგზაურო-
ბა. ერთი დღე-ღამე იარეს ზღვაში და მეორე დღეს
დაინახეს შორიდამ კავკასიის მთების თოვლიანი წვე-
რები.

აქ ერთ კლდეზე მაშინ მიჯაჭვული იყო პრო-
მეთეოსი, ღმერთების შთამომავალი. იმ დროის ადა-
მიანები იყვნენ მეტად უგნურნი და უძლურნი.
ესენი თუმცა თვალ-ხილულნი იყვნენ და ყურე-
ბი ესხათ, მაგრამ ვერას ხედავდნენ და არც-არა ეს-
მოდათ-რა, როგორც აჩრდილნი, ისე დაიარებოდნენ
უაზროდ და უგზო-უკვლოდ. არ იცოდნენ ჯერ არც
სანათი, არც ქვის სახლები და არც ხუროთ-ხელოვ-
ნება; ჭიანჭველებივით მიწის ორმოებში ცხოვრობდ-
ნენ და ბნელს მღვიმეებში ბუდობდნენ; არ იცოდნენ
არც მოახლოვება ცივის ზამთრისა, არც კეკლუცი
გაზაფხულისა და არც მოსავლიანის შემოდგომისა.
შეებრალა ეს საწყალი ადამიანები პრომეთეოსსა და
ასწავლა მათ ყოველი ხელოვნება და მეცნიერება, აუხსნა
მნათობთა აღმოსვლა და ჩასვლა, ასწავლა თვლა და ან-
ბანის ხმარება და მისცა ძალა მეხსიერებისა; ასწავლა
იმ დრომდე გარეულის ხარ-კამბეჩის და ცხენის ურე-
მში და ეტლში შებმა; გაუკეთა ხომალდები, შეასხა
მას ტილოს იალქნების ფრთები და ასწავლა ზღვაზედ

სიარული-მოგზაურობა. მანვე ასწავლა ადამიანებს ამოღება და მოხმარება მიწაში დაფლულ საუნჯეთა —სპილენძისა და რკინისა, ოქროსი და ვერცხლისა, ასწავლა აგრეთვე ყოველგვარი საცხები და დასალევი წამალი. ერთი სიტყვით, გამოიყვანა ადამიანები ველურ და უძლურ მდგომარეობიდამ და გახადა ისინი წარმატებულნი და ბედნიერნი.

(შემდეგი იქმნება)

მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესი საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე

(იხ. სტატია „საქართველოს ექსარხოსები“).

ნაწყვეტი

დიდ მოურავიანიდამ. *)

წიგნი თვითონ პატარაა, საგანია მისი გრძელი,
ამას მხოლოდ დარწმუნდება ბოლომდისინ წამკითხველი.

I

პირველ ღმერთია მაღალი საქები, სადიდებელი,
ძლიერი, უზენაესი, მომნიჭე, შემაძლებელი,
მორჭმული სრულის დიდებით, ჩვენ კაცთა მაცხოვრებელი,
გულთა მხილავი, უსწორო, გამგე, ყოველთა მცნებელი.

ძვეყანა სრული, შემკული, ყოვლის ფრით სავსე, ვრცელია,
ზეგარდმო დიდი არსება მაღლიდამ დამხედველია,
იგი დაჰყურებს, განაგებს, ყველას გზის გამკვლეველია,
ნუ დამსვამს უნუგეშოსა, შვებას იმისგან ველია...

მე უძალოს ამ საგანზე მან გონება აღმიხადოს,
ბრუნდე აზრი განმაშოროს, ჭეშმარიტი გამიცხადოს,
და როს სიტყვა დამელიოს მომეხმაროს, დამიბადოს,
მემრე შრომამ მომავალი კმაყოფილი გამიხადოს.

მე კაცი ვარ უსწავლელი, არაშიგან განაცადი,
უბირისა ხალხისაგან დანარჩენი, დანაბადი,

---

*) ჩვენ მივიღეთ ვრცელი შრომა „დიდ მოურავიანი“ ანუ „გიორგი სააკაძე“ ლექსად დაწერილი გიგო ხეჩოაშვილისაგან. მისი მთლად დაბეჭდვა „მოგზაურში“ ჩვენ არ შეგვიძლიან, მაგრამ მკითხველის გასაცნობად ბოემის კილოსთან მოგვაქვს ეს ნაწყვეტი. რედ.

ვიკისრე და ხელთ ავიღე მე კალამი განაცხადი, [ზადი*).
ვთხოვ მკითხველმან არ დამიგმოს, თუ რამ ჰპოვოს მასში

ესე წიგნი საკითხავი წყლულით სავსე, სხვის ნაღვაწი,
დიდებულის საქართველოს ცუდის ჟამის დრო და ნაწი**),
ვპოვე, ლექსად გარდავიღე, კალმის წვერი ხშირად ვაწი,
გულ საფხანად მოვიშრომე, შემეწიე, ღმერთო, აწი!..

შეიძლება წამკითხველმან მიპასუხოს ამ საგანზე:
რომ თავს ვიდე შემკულება ცუდის ჟამის, დრო და ხანზე,
მაგრამ უკეთ დაინახვის თუ ავიდა კაცი ბანზე,
ავი კარგთან, კარგი ავთან, გამოჩნდება მეიდანზე.

შბედობის დრო და ჟამით ვცან ქართლისა ბედკრულება,
დიდებულის საკაძის თავ-დადებით ერთგულება,
საქართველო დღეს ცოცხალი, მე იმისგან მეგულება,
და მისათვის თავს შევიდე მისი ლექსით შემკულება.

ბული ჩემი არ მასვენებს, არ ვიცი რას დაუტყვია,
მომავალი თავისს თავზე არავის არ შეუტყვია,
ვინ რა იცის ხვალის ბედი, დანაა თუ ცხელი ტყვია,
სხვის ხელისა შემყურალი, მონაა და პირუტყვია.

ესე არის ჩემი სიტყვა, არას ვამბობ ამის გარე,
მორწყულია წმიდა სისხლით საქართველოს მთელი არე,
ქვეყნად სხვას ის არ უნახავს, რაც მან განვლო დღენი მწარე,
ქრისტე ღმერთო, სხვა სასჯელი, ააშორე და აკმარე!..

ბიგო ხეჩოაშვილი.

---

*) ზადი—ნაკლი; გულსა ზადი—წყენა.
**) ნაწი—დვრიტა, ეგვლის დედა.



ძსნის-მტკვრის ციხე.

თბილისიდამ ან ბათუმიდამ რკინის გზით მიმავალი ძსნის სადგურს რომ მიუახლოვდებით, თქვენს ყურადღებას უნებლიეთ იზიდავს ერთი მეტად მშვენივრად ნაგები ციხე, მაღალს მთაზე ბუმბერაზად წამომდგარი. აი ამ ციხის სურათია აქ დასტამბული. მგონი არც ერთის ციხის სახელ-წოდებაზედ არ იყოს ისე გადარეული ცნობა, როგორც ამ ციხისაზე. ბატონიშვილი ვახუშტი უწოდებს მას „მტკვრის-ციხეს“ და ასეც არის იგი აღნიშნული ბროსესაგან გამოცემულ ფრანგულ რუკებში *). ახალ ხუთ-ვერსიან რუკებზე

*) ჩვენს ისტორია-გეოგრაფიაში „მტკვრის-ციხედ“ წოდებულია აგრეთვე ხუნანი, სადაც მდინარე ხრამი უერთდება მტკვარსა.

იგი აღნიშნულია „ვარ-ციხედ“, ხალხი უწოდებს მას სიცოცხლის მომცემ ასოს მომჭამიას სახელს, ხოლო ჩვენ ვარჩიეთ ვუწოდოთ მას „ქსნის-მტკვრის ციხე“, რადგანაც დღეს იგი მდებარებს სულ ნახევარის ვერსის მანძილზედ „ქსნის სადგურიდგან“, თუმცა თვით წარწერა, რომელიც დღევანდლამდე კარგად შენახულა ამ ციხის ჩრდილო კედელში ჩატანებულ ქვაზედ, უწოდებს მას „კოსტანტიდაბათს“ (ე. ი. კოსტანტინე-პოლად, ქალაქად). აი თვით ეს წარსერა ისე, როგორც ქვაზეა იგი ამოჭრილი:

„ქ: დᲬᲗᲡ. მინდობით. ჩვენ. მუხრანბატონმან სახლთ-ხუცესმან. კოსტანტინემ. აღვაშენეთ. ციხე. ესე. დავსდევით. სახელათ. ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲚᲐᲑᲐᲗᲘ. მტერთა მბრძოლთა. განმაბნეველად. რათა. მკვიდრნი. მამულთანი. არ წარტუვევნიდ იქმნენ. ᲥᲬᲡ. ᲐᲥᲐᲗ. ᲩᲚ მეᲥᲕს ᲣᲚᲓ:. (1746 წ., ქორონიკონს 434).

წარწერა გაკეთებულია კვადრატულ არშიანიან ქვაზედ და ძირიდამ ორი საჟენის სიმაღლეზეა კედელში ჩატანებული ციხის ჩრდილოეთის მხრიდამ. სიმაღლე ციხისა იქნება 6—7, ხოლო სიგრძე-სიგანე—ათ-ათი საჟენი. აშენებულია ქვითა და აგურითა, ერთი რიგი რომ ქვაა, მეორე რიგი აგურია. შიგნით, ციხის ირგვლივ მრავალი განყოფილებანია, როგორც ეტყობა საცხოვრებელი ოთახები ყოფილა, ბუხრებით, სარდაფებით და სხვა. შუაში კი პატარა ეზოა ბალახით მოსილი, რომლიდამაც, ჩვენ რომ მივედით რამდენიმე მსუქანი კაკაბი ამოფრინდა.

ციხე ჯერაც კარგად არის შენახული და მხოლოდ დასავლეთის მხრის კედელი აქვს ჩამოქცეული, მაგრამ ესეც იმიტომ, რომ ნიაღვარს ჩამოურეცხია ამ მხრიდამ მთის გვერდობი, ციხეს საძირკველი გამოსთხრია და კედელიც იმიტომ ჩამონგრეულა. შრიგო არ იქნებოდა, რომ ციხის ახლანდელს პატრონებს ეს სუსტი ადგილი ციხისა გაემაგრებინათ და მით სამუდამოდ დაეცვათ იგი დანგრევისაგან, თორემ ნიაღვარი

თავისას არ დაიშლის და დროს მიმავლობაში შეიძლება მთელი მთა და შენობაც ჩარეცხოს. ციხე აგებულია სარკინეთის მთის დასავლეთ კენწეროზე, საიდამაც მშქენივრად მოჩანს მტკვრისა და ქსნის ხეობები ჭალებითა და სოფლები: მუხრანი, ალაიანი, ქსოვრისი, ოკამი, სასხორი, ქვემო და ზემო ნიჩბისი, ნადირაანთ კარი, ძეგვი და სხვ.

ბატონიშვილი ვახუშტი ამ ციხის შესახებ სწერს შემდეგსა:

„ციხის-ძირის სამხრით არს ციხე მტკვრისა, სარკინეთის მთასაგე ზედა, რომელი აღაშენა 79 მეფის კოსტანტინეს ძემან ბაგრატ. ამ ციხის სამხრით, მტკვრამდე და ნასპარსევამდე, არს მინდორი ნასპარსევისა წოდებული: ოდეს დაისხნენ თურქთა მოსვლასა სპარსნი და მოსწყვიდნა ალექსანდრე დიდმან, მისგამო ისახელა. არს უწყლოობით უნაყოფო, არამედ ზამთარ ბალახიანი, და იზრდებიან ცხოვართა და ჯოგთა სიმრავლე. ხოლო კსანი მდინარე ერთვის მტკვარს ჩრდილოდამ, ციხეს ქვეით“ (გვ. 216).

ეჭვს გარეშეა, რომ ვახუშტი აქ სწორედ ამ ქსნის ციხეზედ ლაპარაკობს, მაგრამ იგი მის აშენებას მიაწერს ბატონიშვილს ბაგრატს, შვილს მეფე ქონსტანტინე III-ის, რომელიც მეფობდა 1469—1505 წლებში, წარწერა კი აღნიშნავს მის აღშენებას 1746 წლებში. უნდა ვიფიქროთ, რომ ქონსტანტინე მუხრან-ბატონმან იგი ხელ-მეორედ ააშენა და სახელიც თავისი უწოდებია. ჩვენს ისტორიაში ამ ციხეზედ მოიპოვება შემდეგი ცნობები:

„ქონსტანტინე მეფის სიკვდილის შემდეგ 1505 წელს, ქართლის ტახტზედ ავიდა შვილი მისი დავით VIII. ქახეთში ამ დროს მეფობდა ალექსანდრე II; იგი მოჰკლა საკუთარმა შვილმა ბიორგიმ და თვით გამეფდა. ბიორგი დიდი ბოროტი კაცი იყო და ამიტომ ეწოდა სახელი ავ-ბიორგი. 1510 წლებში იგი უცებ შემოესია ქართლს და მიუხტა მე-

ფე დავითს ატენში, მაგრამ ვერაფერი გააწყო და დაუწყო ქართლს აოხრება. მეფე დავითი მშვიდობის მოყვარე კაცი იყო და ამიტომ ავ-ბიორგისთან შებმას არ აპირებდა, ძმათა სისხლი არ უნდა დაიღვაროსო. მისი ძმა ბაგრატი კი აქეზებდა მეფეს და ეუბნებოდა: „წაგვართვეს ქახეთი და ახლა ქართლის წართმევაც ჰსურთო; მომეც საუფლისწულოდ მუხრანი, არაგვისა და ქსნის ხეობანი და მე აღუდგები მტრად ავ-ბიორგისო". დავითმა მისცა. მაშინ,—განაგრძობს ისტორია:—

„ბაგრატი მოვიდა მუხრანს ციხესა მტკვრისა, რომელ არს ციხის ძირის ოავსა და დადგა მუხ. ავ-გიორგი მიუხტა მას და ალყა შემოარტყა ციხეს. სამს თვეს ბრძოდა, მაგრამ ციხე ვერ აიღო, ბრაზ-მორეულმა ავ-გიორგიმ კაუგზავნა ბაგრატს ერთი ლიტრა ღვინო და დაცინვით შეუთვალა: „ხარ ძე მეფისა და არს უამი მრავალი, რომელსა არა გისვამს, აწ ისმიე". ბაგრატს ამ დროს ჰქონდა ციხეში ახალი ორაგული; კაუგზავნა ავ-გიორგის და დაცინვითვე შეუთვალა: „სამი თვეა დგეხარ ქსანსა ზედა და არ გიგემებია; მიირთვი და შეიტკბე, რომ არ ძალ-გიძს ციხის აღება". ავ-გიორგიმ მარილა ჰსცნა სიმტკიცე ციხისა და მოშორდა ციხეს. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ შემოესია ქარიოლს და უწყო დარბევა. ბაგრატი ჩაუსაფრდა ძალისის ხევში და როცა ავ-გიორგი განლაღებული უკან ბრუნდებოდა, თავს დაესხა, მოსრა მისი მხლებელნი, შეიპყრო იგი და შეამწყვდია მტკვრის ციხეში, 1513 წელს, სადაც იგი მალე მოა-შოვეს კიდეც".

აი რა ამბების მომსწრეა ქსნის მტკვრის-ციხე და ჩვენ კი აქამომდე ისიც არ ვიცით, რომელია იგი და ვისგან ან როდის არის აშენებული?



სოფელი სარო და მისი ნაშთნი.

სოფელი სარო ძევს ჯავახეთში, ახალ-ქალაქის მაზრაში, 25—30 ვერსზე ქ. ახალ-ქალაქიდამ, ჩრდილო-დასავლეთისკენ მისგან, ჯავახეთის ვაკე-გორის განაპირზედ, საიდამაც, ვითარცა ხელის გულზედ, იხილვის მშვენიერი სანახები მტკვრის ამწვანებულ ხეობისა. საროს მცხოვრებნი სულ მართლ-მადიდებელი ქართველები არიან, ჰყავთ მღვდელი, აქვთ სასწავლებელი. სცხოვრობს აქ ერთი კომლი მაჰმადიანიც, ტომით ქართველი და გვარად ოჩრბელიანი.

საროში აღსანიშნია რამდენიმე ნაშთი, სახელდობრ: სამი ციხე ძველის ასო-მთავრულის წარწერით ერთს მათგანზე და საყდარი სამის ტრაპეზით.

როგორც ვსთქვით, სოფელი სარო გაშენებულია ჯავახეთის ვაკე-გორის განაპირზე, საშინელის ნაპრალის და ღრმა ხევის პირად. აი, ზედ ამ ნაპრალის პირად აგებულია საქენიანის ლოდებით სამივე ციხე, შორი-ახლო ერთი-ერთმანეთისაგან, როგორც ცხადად სჩანს ამ სურათიდამ:



პირველი ციხე წარმოადგენს გურგვალს, კოშკისებურს შენობას, რომლის შიგნითი მთლად ჩაკირულია დუღაბით. ზემო ნაწილი ციხისა მონგრეულია და ქვები მისი ყრია აქვე ახლო. აქვეა ერთი მოზრდილი ქვა, რომელზედაც დაცულია ძველი ასო-მთავრული წარწერა. მასში ჩვენ ამოვიკითხეთ შემდეგი სიტყვები:

„ქრისტე, ადიდე თამარი, დაუძლეველი მეფეთა მეფე“...

დანარჩენი აზრი-კი სისრულით ვერ გავიგეთ, თუმცა ადვილად იკითხვის აგრეთვე სიტყვები: „გამრეკელსა“ „ესე“ „ციხე“ და სხვა, მაგრამ წარწერის სრული აზრი-კი ვერ აღვადგინეთ. ვინც წაიკითხოს, ვსთხოვთ დაგვავალოს და გვაცნობოს საყოველთაოდ გამოსაცხადებლად. ეი თვით წარწერა ისე, როგორც იქ არის:



ამ ციხეების აშენების შესახებ ხალხში დარჩენილია შემდეგი თქმულება:

„საროში ოდესღაც *) სცხოვრებდა სამი ძლიერი თავადი, ძმებიო, — ამბობს გარდმოცემა. თვითეულმა მათგანმა აააშენა თავისთვის ეს ციხეებიო, ხოლო საყდარი-კი ერთი აააშენესო, მაგრამ, რადგანაც ყოველს მათგანს საკუთარი მოძ-



ღვარი ჰყავდაო, ამიტომ საყდარშიაც სამი ტრაპეზი გააკეთებინესო, რათა ყოველს მათგანს ცალკე შეჰსძლებოდა ღვთის-

*) უნდა ვიფიქროთ თამარ მეფის დროს (1184—1212), რადგანაც ამ მეფეს მოიხსენიებს ამ ციხის ქვის წარწერა.

მსახურებაო. ბამოდის, რომ საყდარიც თამარ მეფის დრო არის აშენებული. ამბობენ, წარწერაც ჰქონდა ამ საყდარსაი მაგრამ დაიკარგა, როდესაც აქეთკენ მძლავრობდნენ მაჰმადიანნიო. დღეს ამ საყდარში აღსანიშნია მაცხოვრის ერთი ძველი ხატი, იგი დახატულია კაკლის ფიცარზედ ფერადის წამლებით და სიგრძე აქვს 8 და სიგანე 6 ვერშოკი. სახის მარჯნივ და მარცხნივ ოქროს ფერის ასოებით აწერია სიტყვები: „იესო ქრისტე"! ხოლო ბოლოში ესა:

„ადიდე შენ, მაცხოვარო, მადიდებელი შენი აბაშიძე ლეონი, 1747, გლახაკი იოანე".

ჩვენ ბეჯითად და ზედ მიწევნით გადმოვიღეთ ეს წარწერა და მოგვყავს აქ ისე, როგორც ნამდვილშია, რათა ჩვენთან ერთად მკითხველიც დასტკბეს ჩვენის წინაპრების უეჭველ ხელოვნებით (იხ. წარწერა მე-405 გვ.).

ვინ არის აქ მოხსენებული ლეონ აბაშიძე, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ საჭიროდ ვსთვლით დავურთოთ, რომ საროდამ 7—8 ვერსის მანძილზედ ძევს სოფელი თოკი, სადაც დღესაც სცხოვრობენ ბეგნი აბაშიძენი, რჯულით მაჰმადიანნი, მაგრამ ქართულად ჯერაც მშვენივრად მოლაპარაკენი. ვგონებთ, რომ ამ ხატის პატრონი, ლეონ აბაშიძე, ამათგანი უნდა იყოს და 1747 წლებში ყველანი თუ არა, ზოგნი მაინცა, ჯერაც ქრისტეს მაღიარებელნი ყოფილან.

ბუმბერაზნი ჩვენის მთებისა, მყინვარი.

სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა
ორბნი, არწივნი ვერ შეჰხებიან,
სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი
მზისგან აროდეს არა ჰდნებიან,
სად უდაბურსა მას მყუდროებას
კაცთ ჟრიამული ვერ შეჰსწვდენია,
სად მეუფება ჭექა-ქუხილსა,
ყინულს და ქართა მხოლოდ ჰშთენია,—
უწინდელს დროში ღვთისა მოსავთა
გამოუქვაბავთ მუნ მონასტერი...

(„განდეგილი“ ილ. ჭავჭავაძისა).

ასე ასურათებს მგოსანი ჩვენის მთების ერთს ბუმბერაზთაგანს—ყაზბეგს ანუ, როგორც ჩვენი ხალხი და მგოსანი უწოდებს—**მყინვარს**.

დიახ, საუკუნო სიცივისა და ყინულისა, შავის სიკვდილისა და დაღუპვის სავანეა თხემნი მყინვარისა, მაგრამ ცნობის-მოყვარეობით აღსავსე ადამიანმა როდი იცის დაბრკოლება და საზღვარი! ეს არის მიზეზი, რომ მრისხანე მყინვარიც ვერ წინააღუდგა ადამიანის გაბედულობას, მან ფეხი შესდგა მისს თხემზედა და მედიდურად ამართა მასზედა ალამი (ბაირალი) გამარჯვებისა...

აი ერთ ასეთ გამარჯვებაზე გვსურს მოვუთხროთ დღეს „მოგზაური“-ს მკითხველებს. მაგრამ ვიდრე მყინვარზე ასვლის ამბავს მოვუთხრობდეთ მკითხველს, საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვით მაინც გავაცნოთ მას ვითარება და ადგილმდებარეობა ამ მთისა.

მყინვარი (ყაზბეგი).

თავ-და-პირველად მყინვარი სანძარი ყოფილა, ე. ი. ცეცხლ-მქმინავი მთა; მაშინ იგი გრგვინავდა, ირყეოდა და სიკვდილსა და ზარს ჰფენდა გარშემო. მყინვარი მაშინ დღევანდელი თვალ-აუწვდენი მყინვარი როდი იყო: თავ-და-პირველად იგი ჩვეულებრივი სიმაღლის მთა იყო, მაგრამ ცეცხლმა და გამხვალმა დედა-მიწამ ის თან-და-თან ისე მაღლა ასწია, რომ სხვა მთები მასთან სულ უმცროს ძმებად დარჩენენ. მაგრამ მოგეხსენებათ, რომ ამ ქვეყნად ყველაფერს დასასრული აქვს და ჩვენს მყინვარს-სანძარსაც დასასრული დაუდგა: დროს მიმავლობაში ცეცხლი განელდა და მყინვარი გაყინულ მთად შერჩა ცის სივრცეს!



ყაზბეგის სანძარის გული უწინდელს დროში.

ყაზბეგი ამართულია კავკასიის ქედის თითქმის შუა წელზედ, დუშეთისა და კავკავის მაზრების სასღვარზედ,

სადაც მის ახლო (11 ვერსზე) გაივლის საქართველოს სამხედრო გზა და გამართულია სადგური ყაზბეგი, საიდამაც მშვენივრად მოსჩანს იგი, რასაკვირველია, თუ კარგი დარია.

სიმაღლე მისი უდრის 16,546 მწყრთასა ზღვის მაღლა ($4^3/_4$ ვერსს). თუმცა მყინვარი სიმაღლით მთელს ხუთს მთაზედ ნაკლებია ქავკასიის მთებში (იალბუზი, დიხ-ტაუ, ქოშტან-ტაუ, შხარი და ჯანღის-მთა), იალბუზს შემდეგ იგი მაინც ყველაზე ცნობილი მთაა ქავკასიაში. ქართველები უწოდებენ მას მყინვარს (ყინულოვანს), ოსები—ურუს-ხოხს (თეთრ მთას), ხოლო ყაზბეგი დაარქვეს მას რუსებმა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში სოფელ სტეფან-წმინდაში მცხოვრებ საქართველოს მოურავების ყაზბეგების გამო. ცის სივრცეში ყაზბეგი იყოფა ორ წვერად (თხემად): აღმოსავლეთ და დასავლეთ თხემებად და აღმოსავლეთის თხემი თითქმის 100 საჟენით მაღალია დასავლეთისაზე და უფრო ციცაბოცა. ყაზბეგი სდულიად მოკლებულია ტყეებს, რადგანაც ძირი მისი ძევს 5700 მწყრთაზედ, სადაც თითქმის აღარ იზრდება ხე; აქედამ იწყობა ჯერ ბუჩქები და მთის ბალახი, ვიდრე 10,807 მწყრთამდის, ხოლო მას შემდეგ-კი ყაზბეგი დაფარულია საუკუნო თოვლით, რომელიც ჰკვებავს მის 8 ყინვარს (ледникъ). ყაზბეგის ყინვართ შორის აღსანიშნია: ანაბოტი, სიგრძით $5^1/_2$ ვერსი, ორ-წვერა—$7^1/_2$ ვერსი (აღმოსავლეთის მხრიდამ), დევდორაკი—6 ვერსი (ჩრდილო მხრიდამ), საიდამაც ბევრჯელ ჩამოწოლილა საშინელი ზვავი თოვლისა საქართველოს სამხედრო გზაზედ და სხვ.

როგორც ჩვენის მგოსნის სიტყვებიდამაც სჩანს, ყაზბეგზე ოდესმე მონასტერიც ყოფილა, მაშასადამე, აქ ბერებს უცხოვრიათ, მაგრამ თითონ მის თხემზე ასვლა-კი ცრუ-მორწმუნე ხალხს დღესაც შეუძლებელად მიაჩნია, თუმცა უკვე ბევრი მოგზაური ასულა ამ მთაზედ.

ყაზბეგზე ასვლა პირველად სცადეს პარროტმა და ენგელგარდტმა 1811 წელს, მაგრამ ავდრის გამო მათ მიაღ-

წიეს მხოლოდ 13,863 მწყრთამდის; 1829 წელს—მეიერი ავიდა 14,840 მწყრთამდის, 1868 წელს, 13 ივლისს პირველად მიიღწიეს მის თხემებს ლონდონის ალპიურის კლუბის წევრებმა: ფრეშვილდმა, მურმა და ტეკერმა და 29 ივლისს 1889 წელს ყაზბეგზე ავიდა რუსის მსწავლული ა. პასტუხოვი.

მოგვყავს უკანასკნელის მოგზაურობა ყაზბეგზე თამარ ფალავანდიშვილის თარგმანიდამ, რომელიც მივიღეთ ჩვენ მისგან „მოგზაურში" დასაბეჭდად.—

26-ს ივლისს 1889 წელს, დაუღალავმა მოგზაურმა ა. პასტუხოვმა განიძრახა ყაზბეგზედ ასვლა და შეასრულა კიდეც ეს თავისი განძრახვა. ეი როგორ მოგვითხრობს იგი თავისს ამ მოგზაურობას:

„მე განვიძრახე ყაზბეგზედ ასვლა,—მოგვითხრობს პასტუხოვი,—მის უდიდეს ყინვარიდგან (ледникъ), რომელიც ჩამოწოლილია მთის დასავლეთის გვერდობზე. თან მყვანდა ორი ყაზახი, ლაპკინი და ჰოტაპოვი, და ერთი ოსი—ცარახოვი. 27-ს ივლისს, შუადღის სამს საათზედ, შევიბით ფეხებზე ოთხ-კაპიანი წრიაპები, ავიღეთ ფოლად-წვერებიანი ჯოხები და გავუდექით გზას. დარი მშვენიერი იდგა, ცა მოწმენდილი იყო. ყინული ძალაზედ დნებოდა. გზა-გზა მრავლად გვხვდებოდა ღრმა ნაპრალები; ზოგ მათგანზე ვხტებოდით, განივრებს კი ვერიდებოდით, გზას ვუქცევდით. მალე შევგხვდა თოვლის ზვავი და ზედ ავედით. აქედამ გადავედით კლდეებზედ და განვაგრძეთ გზა. საღამოს ექვს საათზე მოვიყარეთ თავი ერთის კლდის ძირში და გადავწყვიტეთ აქ ღამის თევა. ვერც კი მოვასწარით დალაგება, რომ ქვემო ხეობიდამ დაჰბერა ნიავმა და მთელი ტალღებით ზედ მოგვაყარა ნოტიო, ნისლი და ბურუსი. ერთს წამში ყოველი

დაბნელდა, თვალიდამ დავკარგეთ მშვენიერი სანახები თოვლიან მთებისა და მხოლოდ ერთმანეთის დაღვრემილ პირის სახეს-ღა ვხედავდით. დაღამებას აღარ მოვუცადეთ და მივწექით დასაძინებლად. დილა ყინვიანი იყო და ქვები დასთვილა.

დილით განვაგრძეთ გზა. ბავიარეთ რამდენიმე მანძილი და წავაწყდით შესაზარს ფრიალო კლდეს ყინულისას. რადგანაც სხვა გზა არ იყო, ჩვენ ამოვჭერით მასზედ 200 საფეხური (კიბე) და ისე ავედით მასზედ. ბავიარეთ კიდევ ცოტაოდენი მანძილი და შეგვხვდა ახალი კლდე ყინულისა, რომელზედაც აგრეთვე ამოვჭერით 116 საფეხური და ისე გადავედით მასზედ. ამის შემდეგ გზა კლდეებზე მიდიოდა. დილის ათი საათია. დავნაყრდით და ხელ-ახლად გავუდექით გზას. ასი საჟენი რომ გავიარეთ, პოტაპოვს გული აერია, თავ-ბრუ დაესხა და უარი სთქვა გზის გაგრძელებაზე. იგი დავსტოვეთ აქ და განვაგრძეთ გზა სამმა. 12 საათზედ გავედით ვრცელს თოვლიანს მინდორზედ, სივრცით 6 კვადრატიულ ვერსამდის. ყაზახი ლაპკინი მის დანახვაზედ ისეთს აღტაცებაში მოვიდა, რომ უნებლიეთ წამოიძახა: რა კარგი იქნებოდა, რომ აქ სოფელი გააშენონ და მარხილებით ვისრიალოთო!

ბამხვალი თოვლი წარმოადგენდა ფხვიერს ნამქერს და ჩვენ მუხლებამდის ვიფლეთოდით შიგ. ამიტომ წინ-სვლა ძალიან გვიძნელდებოდა. მოგვწყურდა წყალი, მაგრამ ის არსად იყო. დავიწყეთ ყინულის წოწვნა, მაგრამ ის წყურვილს ვერ გვიკლავდა. ჩვენდა სასიხარულოდ შორი-ახლო მალე მომესმა ჩხრიალი წყლისა; მე თამამად გავემართე, საიდამაც ჩხრიალი მესმოდა, მაგრამ ამ დროს უცბად სადღაც ჩავვარდი: მივიხედ-მოვიხედე და ვხედავ უძირო ორმოს, თხელის ყინულით და თოვლით წაფარებულს! მე თურმე ვერ შევნიშნე ეს და იმიტომ ჩავვარდი ორმოში. ჩემი იღბალი, რომ ადგილი, სადაც მე ჩავვარდი, ღრმა არ იყო, თორემ

ორიოდე ნაბიჯით რომ წინ გადავვარდნილიყავ, ჩემს ძვლებსაც ველარ იპოვნიდნენ! წყურვილმა მალე ისევ წყალი მომაგონა და მე კვლავ იქითკენ გავუდექი, საიდამაც წყაროს ჩხრიალი მესმოდა. მივედი ჩხრიალის ადგილს, მაგრამ მწარედ მოვსტყუვდი: ქარი აგორებდა წვრილ ხორხოშელას თოვლიანს ველზედ, ახლიდა ერთმანერთს და ხმაურობაც თურმე იმისგან იყო. წყურვილის მოსაკლავად ჩვენ ისევ ყინულს მივმართეთ და ისე განვაგრძეთ გზა.

ნახევარი საათის შემდეგ ახლა თვითონ მე ვიგრძენ გულის რევა, რომელსაც მალე მეორე უბედურებაც დაერთო: სამხრეთიდგან წამოვიდა ნისლი; ის ხან გამოჩნდებოდა მთის ზურგს იქიდან, ხან ისევ მიეფარებოდა მას, თითქოს იკრებდა ლონესა,რომ ერთბაშათ გადმოხეთქოს მთა. აი, მართლაც, შეირყა,მაღლა ავიდა და თოვლის მრისხანე ზვავივით ზედ გაეკრა ჩვენ წინ მდებარე თოვლიანს ველსა.ნისლი ისეთი სქელი იყო, რომ ათ ნაბიჯზედაც ველარაფერს ვხედავდით და ისეთი ცივი, რომ ტანისამოსზე სრთვილამდა; რადგანაც გულის რევა არ მიდგებოდა, 3½ საათზე დავიწყეთ მოხერხებულის ადგილის ძებნა, რომ ღამე აქ გაგვეთია, შეგვესვენა და მეორე დილით ისე განგვეგრძო გზა. ვიპოვნეთ ერთი ბოხჩა უთოვლო ალაგი და გადავწყვიტეთ აქ დარჩენა. ცოტა რომ მოვისვენეთ, გავგზავნე ყაზახი ლაპკინი ქვევით დარჩომილ პოტაპოვთან მოსაკითხად და მასთან დარჩენილის ბარგის ამოსატანად. დაუბერა ცივმა ქარმა. მოვაგორეთ დიდრონი ქვები და კარგად მოვაყორეთ ღამის გასათევი ის ერთი ბოხჩა ადგილი იმ მხრიდამ, საიდამაც ქარი უბერავდა. დაბრუნდა ლაპკინი და სთქვა, რომ პოტაპოვს ამოსვლა არ შეუძლიან, რადგანაც გული ერევა და თავბრუ ესხმისო. საღამო ხანზე დავწექით და რადგან ძალიან დაღალულები ვიყავით, მალე ჩაგვეძინა, მაგრამ სულ მცირე ხნით.

ღამემ საშინელი სიცივე მოიტანა. ამან გამომაღვიძა და თვალები გავახილე. ვხედავ, რომ იმ საშინელი ნისლიდამ,

რომელიც ზემოთ ავწერე, მხოლოდ აქა-იქ-ღა მოჩანდნენ მისი ნაფლეთები და მუქი, შავი ცა მოჭედილიყო ვარსკვლავებით. ყაზბეგის წვერს იქიდამ წყნარად ამოდიოდა მთვარე და თავისი ნაზი შუქით თავს ევლებოდა მის თოვლიანს თხემსა. აუწერელი დუმილი იდგა ირგვლივ; ხანდახან თუ გაიგონებდით ყრუ ჭახანს ყინულისას და მის ხმოვან გამოძახილს სადმე შორს ხევში, თორემ სხვაფრივ აქ სულ მცირე ნიშან-წყალსაც რისამე სიცოცხლისას ვერ ვხედავდი მე. რადგანაც ძალიან შეგვცივდა, ყველანი ავდექით და დავიწყეთ აქეთ-იქით სირბილი და როცა პატარა შევთბით, ისევ დავწექით. ასე რამდენჯერმე გავიმეორეთ. გათენდა. ყინვამ უმატა, ასე რომ სიცივემ 10-°-ს მიაღწია. ჩვენი ტანისამოსი სულ მთლად დაირთვილა და თვით ჩვენც სრულიად გავფიჩხდით სიცივისაგან. ბანვაგრძეთ გზა. მივადექით თვალ-აუწვდენელ ციცაბ კლდეს. დავიწყეთ საფეხურების ამოთლა, როგორც უწინ. მე საშინლად მომწყურდა წყალი, ლაპკინს თავბრუ დაესხა და ცარახოვს კიდევ სისხლი წასქდა ცხვირიდგან, რომელიც ძლივს შევსწყვიტეთ თოვლით... ციცაბზედ ასვლა ძალიან გვიძნელდებოდა და თან ყაზახიც უარესად ხდებოდა: ის ძალზედ კანკალებდა და კბილებს აკაწკაწებდა. ბოლოს გაჩერდა და გამომიცხადა, რომ წინ-სვლა აღარ შემიძლიანო, თვალთ-მიბნელდება და მუხლებიც მეკეცებაო. ვუბრძანე უკან დაბრუნებულიყო. ყაზახი სირბილით წავიდა... დავრჩით ორნი. $12^1/_2$ საათზედ ციცაბო კლდეს, როგორც იყო, ავედით და გავჩერდით ერთ მომცრო ვაკე მოედანზე დასასვენებლად. ოსს კვლავ აეშალა ცხვირიდამ სისხლის დენა, რომელიც კვლავ ძლივს შევსწყვიტე... ცა სრულიად მოწმენდილი იყო და გარეშემო სრული სიჩუმე სუფევდა, თითქოს თავის-თავად და არა იმიტომ, რომ არაფერი ხმა არსაიდამ არ ისმოდა. ცხოვრების ერთი ბეწო ნიშან-წყალიც არ იყო აქ და მთელი დედა-მიწა, სადამდინაც-კი თვალი მიმიწვდებოდა, ამომწყდარს წააგავდა...

ამ ფიქრში ვიყავ გართული, რომ უეცრად დავინახე პეპელა, ლამაზი, ჭრელი. მე მეგონა თვალი მატყუებს. მეთქი, მაგრამ არა: ის ხან მაღლა ავიდოდა და ხან დაბლა დავიდოდა, თითქოს თამაშობდა ჰაერში. ჩვენ თვალს ვადევნებდით მას, მანამ არ მიიმალა. ხუთი წამის შემდეგ იმავ რიგად გაფრინდა მეორე და მესამეც.

ორის ნახევარზედ მივედით ყაზბეგის აღმოსავლეთის წვერის ძირში. აქ ოსმაც განაცხადა უარი მთაზე ასვლაზე, რადგანაც ყოვლად შეუძლებელად მიაჩნდა ამ კედელზედ ასვლა. მეც ვურჩიე დარჩენილიყო და მოეცადა აქ ჩემ დაბრუნებამდის. დავიწყე მარტომ საფეხურების ამოჭრა და ზედ ასვლა. მაგრამ ჯერ ათი საფეხურიც არ ამომეთალა, რომ ოსიც მომყვა. გზა მიდიოდა ხან გაყინულ თოვლზედ, ხან კლდეებზედ, ხან წმიდა სპეტაკ ყინულზედ და, ბოლოს, როგორც იყო, სრული ოთხი საათი იყო, რომ ავედით ყაზბეგის უმაღლეს წვერზედ! ეს იყო 29 ივლისს...

სრულიად დაკმაყოფილებული იმ დიდ-მშვენიერის სურათის ხილვით, რომელიც ერთბაშათ ირგვლივ გარდაიშალა ჩემს წინ,—მე შევუდექი ალამის (ბაირაღის) შემზადებას. ჩემს ალამს შეადგენდა: გრძელი, ორ საჟენ ნახევრიანი ლატანი, რომელიც განგებ ამისათვის ამოვიტანე ამ სიმაღლეზე და წითელი ყუმაში, სიგრძით 4 და სიგანით 3 არშინი. დავდგით ალამი და $4^1/_2$ საათზე იმავ გზით შევუდექით ჩამოსვლას. რადგანაც ფრიალო ადგილებზე კიბე უკვე ამოჭრილი იყო, ამიტომ ძირს მეტად ჩქარა ჩამოვდიოდით, სიხარულისაგან ზოგან თიოქმის გორვით მოვდიოდით, ასე რომ სული გვიგუბდებოდა. $7^1/_2$ საათი იყო, რომ ჩამოვედით ჩვენს უკანასკნელს ბინაზედ, სადაც დავტოვეთ ლაპკინი და ერთხელ კიდევ შევხედე ყაზბეგს, რომელსაც მშვენივრად ანათებდა ჩაწურული მზის სხივები. იქვე ფრიალებდა ჩემი წითელი ალამიც. მომაგონდა ლერმონტოვის ლექსი „ყაზბეგს“:

თეთრი დოლბანდი დასაბამიდგან
შენს შეჭმუხვნილს შუბლს გარს შემოეკვრის
და კაცის დრტვინვა ამპარტავნული
შენს ამაყს ძილსა ვერ შეაშფოთვის“.

ჩვენ-კი მას არა თუ ძილი შევუშფოთეთ, დოლბანდიც-კი დავუმშვენეთ წითელის ჯიღით...

ჩამოვედით პოტაპენკოსთან. მზე ჩაესვენა, დაბინდდა და საჭირო იყო გვეზრუნა ღამის თევაზე. დავიხადეთ დამძრალი ფეხ-საცმელი და ესე ფეხ-მოკეცილებმა გავატარეთ მთელი ღამე. თუმცა ისე აღარ ციოდა, მაგრამ მაინც რა გაგვათბობდა! დილისთვის ფეხ-საცმელი უარესად დაყინულიყო და ძლივს-ღა ჩავიცვით ფეხზე. ნისლისა და ნოტიოსაგან კლდეები სულ მოყინულიყო და ჩვენ ყოველ-ნაბიჯზე ფეხი გვისხლტებოდა და ვიქცეოდით. $11^1/_2$ მოვაღწიეთ ყინვართან, საიდამაც დავიწყეთ პირველად ასვლა ყაზბეგზედ და დავბრუნდით სოფელ სანიბში, რომელიც რამდენიმე საათის წინათ საშინლად აეკლო ნიაღვარს—ყანები წაელეკა და რამდენიმე წისქვილი და მიწური წაეღო. სოფლის მოედანზედ შევხვდი ოსთა ბრბოს. ერთმა მათგანმა მიმითითა აოხრების სურათზე და მითხრა: ეს სულ შენი ბრალია, ყაზბეგზე შენ ახვედი, ღმერთმა-კი ჩვენ გადაგვახდევინაო. ეტყობოდა, რომ მთელი ბრბო ეთანხმებოდა მოსაუბრეს. მე არ შევეცადე დამერღვია მათი აზრი, რადგანაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ასეთი ცდა ტყუილად ჩამივლიდა და ისევ შემდეგი სიტყვებით ვარჩიე მათთვის ნუგეშინის ცემა: თავის დღეში არ ავიდოდი ყაზბეგზედ, თუ ჩემს მასზედ ასვლას ასეთი სამწუხარო შედეგი მოჰყვებოდა მეთქი. ჩამოვედით ქავკავში. ბავიხედე დურბინდით და ჩემი ალამი წინანდებურად ფრიალებდა ყაზბეგის წვერზე...

თამარ ფალავანდიშვილისა.

წმიდა მოღვაწე ნინო *)

წმ. ნინო, მირიან მეფე და ნანა დედოფალი.

ლელა. ეშმაკები უსხედან ხელ-ფეხში. ისინი აძლევენ უძლეველ ძალ-ღონესა. მერწმუნეთ, კარგი ვაჟ-კაცი ვერ დაუჭერს მკლავსა და ვერც არავინ გაუმკლავდება ვერც ერთს საძალო საქმეში, სწორედ ქვა და ლოდია მიუკარებელი! მასთან მაგის ხასიათის სიწამხდრეს კი ნულარ იტყვით: საშინელი ამპარტავანია, ამაყი, ჟინიანი, ურწმუნო, უნდობი, წადი-მოდის ჭკუისა, უწყალო, გამცემ-გამყიდი კაცისა, მოღალატე, ქვებუდანი, ბილწი, ავხორცი და დასახრჩობი!

---

*) იხილე „მოგზაური“ № 3, გვ. 238.

ნანა. ყველა რისხვა-ურჯულობა მაგის თავზედ ყოფილა შეკრებილი და იმიტომ მაგის მიხედვით გაირყვნა მთელი საქართველო და ველარაფრით შეკავებულან ავ-კაცნი და მტაცავ-მგლეჯველნი!

ლელა. ზოგიც ეხლა ნახეთ, ქრისტიანების საწინააღმდეგოდ თუ რეები ჰქმნას? მთელი მოგვ-ქურმობა მოწვეული ჰყავს მოსალაპარაკებლად, მათთან გრძნეულები, მკითხავნი, თვალთ-მაქცნი, ულუკნი და სხვაც მისთანანი!

ნანა. ღმერთი მოწყალეა, მაგათ ბევრს აღარაფერს დააცლის; ეშმაკის ქალამანი გაცვეთილია: შენ გული დაიმშვიდე, დაწყნარდი, ყოვლიფერს ეშველება...

ამიათარი რომ წავიდა, მეფე და ვეზირი მარტო დარჩნენ და ორნივე სამეფო სასახლეში წავიდნენ თავ-შესაქცევად საუბრით.

ვეზირი. ამ ურიებს, საკვირველია, რომ კაცი წინ ვერ მოუვა. ყოველიფერში გამოქანჩულნი არიან. მუდამ მზა აქვთ სიტყვაც, პასუხიც, რაც იყოს არაფერს არ დაერიდებიან, ყოვლიფერს გზა-კვალს უპოვნიან და გაიტანენ თავში თავიანთ ნებისად. მეტად გონებ• ხსნილნი არიან და დახელოვნებულნი საუბარში. წიგნებიც აქვთ შედგენილი ბრძნულად მეცნიერი კაცებისაგან. სულ იმათ კითხულობენ და მისთვის ასე ამაყობენ ყველგან ყველასთან!

მეფე. ურიები რაც არიან, ეგ დიდი ხანია ვიცით. წინ თუ უკან სვლა მაგათი სულ ერთია, ვისმეს არც ავნებენ და არცა რას ასარგებლებენ, შენ სხვა საქმე მითხარ. ახლა საფიქრებელია ჩვენთვის უფრო ქრისტიანების საქმე. მთელ ქვეყანაზედ მოეფინნენ, მოედვნენ. დღითგან დღე ვრცელდებიან ევროპაში, პონტში, ანატოლიაში, სომხეთში. აგერ ჩვენკენაც გადმოვარდა მათი ცეცხლის ნაპერწკალი, რომ დიდით წვრილამდის შეაშფოთა მოგვ-

ქურუმობა, ყველას ძილი-მოსვენება გაუწყვიტა. მეტის-მეტი მწუხარების ნაღვლისაგან, არ იციან თუ რა ჰქმნან! კერპები ხომ შეგვიმუსრა, ლოცვით შეგვიფქვა, ახლა ლამის საკერპოს მთელი სერ-ტყენი, გორა-ბორცვნი გარდგვიწვას და მთელი საქართველო ქალაქ-დაბა-სოფლებით გარდგვიბუგოს და გაგვინადგუროს სრულიად! ცეცხლი, მერე როგორი ცეცხლი, რომელიც არავითარი ხერხ-ღონით და საშვალებით არ ქრება! თუ ერთმა საწყალმა უმწეო, ულუკმა-პურო მწირმა დედათ-სქესის არსებამ ასე გაგვიჭირა საქმე, მათი სამღვდელოთაგანი რომ გამოჩნდეს და ერთი დაიხმაუროს, მაშინ ხომ ერთიან განაცარმტვერდება ჩვენი წარმართული კერპთ-თაყვანის-მცემლობა! ტყვილათ-კი არ სტირის ჩვენი მოგვთ-პეტო ბორანა, ბევრი, ბევრისგან-ბევრი სავაგლახ-სავალალო აქვს, მეც შევშლილვარ და ვერაფერი იმედი და შემწეობა ვერ მიმიცია, არა თუ საქმით, ცარელა სიტყვითაც, რომ რამე გული დაედვას საცოდავ-საბრალოს შვილსა! ქრისტიანობაზედაც მეტად ვყოყმანობ, პირად მოწონებას ვაჩვენებ, მაგრამ გული არ მომდევს, უარს მეუბნება (წარმართობაზედ მიჩვევისგან თუ არის), სიმართლე არ მიწონებს, თავს მძლევს; უფრო მეტად მსჯის მე ჩემი თვალი, გზა ვერ გამიკვლევია, ვერც აქეთ, ვერც იქით და ასე ვარ დაძმარებულ-დალონებული, ლამის გარდავირიო!

ჯეზარა. მეფეო, როგორ თუ თვალი, მე ეგ ვერ მივხვდი, ვერ გავიგე?

მეფე. ხომ იცით, მე მზესაც თაყვანს ვსცემ და კერპებსაც. მზე განმაცხოველებელია ყოველ მცენარეთა, მადნეულებათა და ცხოველთა; კერპებიც, როგორც მისი შვიდ-ფეროვანი სხივებისაგან განშვენებული არსებანი სახელოვან დევ-გმირთა განწესებულან კაცთ მისაბაძავად. ამ სამის წლის წინად არმაზის მთაზედ წასვლისა, მოვ-

რთე, მოვკმაზე ჩვეულებისამებრ შვიდ-ფერად ჩემი სამეფო კერპები—ზადენი, არმაზი, ჰერა, ჰერმესი, აპულონი, არტემი, ვენერა, მათთან ბაიმ და ბაციცა. შევსხი ყველა თავ-თავის ადგილას, დავხშე მე ჩემი სამლოცველო და წაველ ერობასთან ერთად არმაზის კერპთან, იქ დამხვდა ის ქრისტიანი ქალიც, გარჩეული ჩვენებურ დედათაგან თავისს ნაცვამი ფეხებამდის ჩაშლილი შნოიანის კაბით. მთელ დღეობაზედ ჩემი ყურადღება სულ იმ დედეკაცმა მიიზიდა, ჩვენის გაცხარებულ ლოცვა ღაღადების დროს იდგა კერპების ახლოს ზღუდის ერთ კუნჭულში, აღეპყრა თვალნი ზეცისკენ, შესჩერებოდა ერთ მცირე პურის ოდენა თეთრ ღრუბელს, ლოცულობდა მხურვალედ უძრავად მდგომი და თან ტიროდა მწარედ; სრულიად არ აქცევდა ყურადღებას არც ჩვენ ლოცვას და არცა-რა კერპებსა; იმ ღრუბლის დანახვა იყო ჩემი მასთან ერთად და გაშავდა კუპრივით: იმავ წამსვე მოეფინა ტრიალ ცას თუ არა, მაშინვე ამოვარდა გრიგალი, დაგლიჯა ტყე-ღრე და დაგვეცა თავს საშინელად. აბა ვინ ვის გაასწრობს! ისრისებოდა სიმრავლის ფეხ-ქვეშ მრავალი სული! ბარდავსცვივდით, გარდმოვსცვივდით სადმე თავის შესაფარად! მცველების მეტი კაცი არ დარჩენილა ზღუდესთან... როგორც მითხრეს, ის ქრისტიანი ქალი-კი ადგილიდგანაც არ დაძრულა იმ საშინელ ავდარში და ზედი-ზედ მეხების ცვივნაში, რომლითაც დაიმუსრნენ მთელი კერპები და დაირღვნენ ზღუდის კედლები. მერე რომ მიველ მე ჩემ სასახლეში მოღალულ-მოფეთქილი და ცოტა რამ შევისვენე, მიველ, გავაღე სამლოცველო თუ არა, პირს კატა მეცა, ვნახე რომ მთელი კერპები ჩამოცვივნულ იყვნენ თავიანთ საყუდრებიდგან და ნაკუწ-ნაკუწად ეყარნენ გაფანტულ გამოფანტულნი ზითამში დანაყილ კორკოტივითა. ბავშრი და დავრჩი სახტად, რაღა უნდა მეთქვა?!.

გეზარა. მაშ რაღათ თქვეს, რომ Ითრუჯან ასურეთის კერპ-
მან ადრინდელი ჯავრი ამოიყარა Არმაზისაგანო; ადრე
Არმაზს ზღვის წყალი მოუშვია Ითრუჯანზედა, წაულე-
კია და ახლა იმანაც ეს ამ ნაირი რისხვა მოუვლინაო!
ზოგნიც ამბობდნენ, რომელმან ღმერთმაც ტრთად მე-
ფე ღორად აქცია, იმ ღმერთმანვე მოავლინა ეს რისხვა
ქართველების გასაქრისტიანებლადო!

მეფე. მაგის თქმასა, შენ ის თქვი, რომ ჩვენი სასულიერონი
ცის ყოვლისმპყრობლობას აწერენ Არმაზის ძლიერებასა:
თუ მართალი იყოს, როგორ გაიმეტებდა Არმაზი თავისს
სახე-ხატის დარღვევა-დაშლასა, მემრე იმდენი ათასობით
სიმრავლის ლოცვა-ვედრების დროს? ნახე, რომ სულ
ტყვილ-უბრალოდ მოკერებულ-მოგონილია ყველა კერ-
პების სახე-ხატი და საქმეცა, მათ არავითარი ძალა და
ღონე არა აქვთ ქვეყანაზედა მზის მეტსა, როგორც ვხე-
დამთ დღე ყოველ გამოცდილებით.

Ამ დროს შეიყვანა ნანა დედოფალმა ლელა მეფესთან
და მოახსენა.

ნანა. რა არის რომ მოგვთ-პეტი ბორანა ასრე გადარეულა
ქრისტიანი დედეკაცის შურისაგან და მთელ Ცხეთის
წარმართობას მტრად ასევს. Აგერ მის წინააღმდეგ შე-
უყრია მთელი სასულიერობა მოგვ-ქურუმნი, ჩამდგარა
შუაში, ყვირის და შამათობს და ერთი დიდი ყოფა უდ-
გია. რა აქვს მაგას იმასთან სადავიდარაბო, ასაღები არა
აქვს და მისაცემი. მეფევ ბატონო! რატომ არაფერს
ეტყვი, რომ დაწყნარდეს, დაჩუმდეს და მძიმედ საბა-
ტურად იყოს, როგორც მას და მისს სამსახურს შეჰფე-
რის?

მეფე. რას აშავებს, ყველა კაცი გასაჭირ შემთხვევაში თავისს
თავს დაიცვამს, ბორანაც იმას ცდილობს, რომ თავი დაი-
ფაროს განსაცდელისაგან; წარმართობის მოთავეა, არ უნ-
და ვინმემ ავნოს მას და მის მიმყოლ წარმართთა!

ნანა. მაგ შემთხვევაში ვინ რას უშავებს, როგორც უნდა ისე შეინახოს. ვინ ჰყავს მოწალმართე?

მეფე. როგორ არ უშავებს. თვით ის ქრისტიანი უორგულებს საწყალ ბორანას წარმართობასა მრავალ-ნაირ სნეულთ სასწაულებრივის კურნებითა და მით ღირსებას და პატივს უმცირებს იმ დროულ მოღვაწე-მოხუცებულსა!

ნანა. მაგანაც ჰქმნას მისთანა სასწაულები, მისთანა სიკეთენი დასთესოს მადლისთვის საზოგადოებაში და დაიბრუნოს უკანვე თავისი ღირსება და პატივიცა თუ რამე დაჰკლებია, თუ კი სიმართლე აქვს; თუ არა და უკან დადგეს თავისთვის. **ა**რ კმარა, რაც აქამდის მატყუვრობით სჭამა ქვეყანა, ცრუ-ღმერთების სახელზედ ეშმაკის მსახურებითა გადაგვრია, ერთიან დიდით წვრილამდის მთელი საქართველო?

მეფე. ყოველიფერს მაგრა უნდა დავუდგეთ, სანამ ავ-კარგი უფრო ნათლად გამოირკვეს, გამოაშკარავდეს მთელ წარმართობაში სათემ-ქვეყნოდ!

ნანა. **ა**მაზედ მეტი გამორკვევა და გამოაშკარავება გინდა, როცა უმანკო წმიდა ქალწულის ერთს შეუწირია თავი **ღ**ვთისათვის ქრისტიანული უზაბაკო სარწმუნოებით, სულ ლოცვასა და მარხვა-მარხულობაში ატარებს თავისს წუთს სიცოცხლესა. **მ**ით **ღ**მერთსაც მაგისი მადლიანობის დასამტკიცებლად მიუცია მაგისთანა მადლი სასწაულთ-მოქმედებისა, რითაც განკურვნილან, იკურვნებიან და განიკურნებიან კიდევც მრავალნი; როგორც ვხედავთ დღესაც ჩვენ თვალ-წინ, ამას მოწმობს განკურვნილ ურიცხვთ სნეულთ სიმრავლე. **ა**მდენი მადლი, ამდენი სიკეთე არაოდეს გაგონილა ჩვენში. **ა**მას რას ვეუბნებით?

მეფე. **დ**ედოფალო, დედავ თვალო! ეგ მე და შენ ვიცით

ზედ-მიწევნით ბეჯითად და რომელნიც თვალით ხედვენ ამ დღივ და შესწავლილ-შეგნებული აქვთ ყოველი მისი გარემოება და ცხოვრება. მთელ ქვეყანას ვინღა უნდა გააგებინოს და დაარწმუნოს მისი ქრისტიანული სარწმუნოების ავ-კარგნი?

ნინა. თქვენ, შეფეო, თქვენ, თქვენ გმართებს ავ-კარგის გაგებინება ქრისტიანობის სიწმინდეზედ თქვენ ქვეშევრდომთა.

მეფე. ეგრეთი მძიმე საჭირ-ბოროტო საქმე მე არ შემეხება. მე ჩემი სამხედრო, სამოქალაქო საქმეების კარგად ცოდნა მომეთხოება, იმასაც რომ გავსწვდე რიგიანად და ვაწარმოვო დიდი საქმეა, სულიერი საქმე სასულიეროთ რჩებათ საქმნელად. იმათ იციან კარგი სწავლა-გამოცდილებით, რომ საკუთრად განგებ მისთვის არჩეულან. მე მარტო მეფე და მფლობელი ვარ კეთილ-მართველობით მიწა-წყლისა და ქალაქ-სოფლებისა ქართველთა ქვეყნიურად. სულიერი მეფობა ღმერთებისაა, მათ საკუთრად მოგვთ-პეტ და ქურმებს მოეთხოებათ მისი მართვა-გამგებელობა, რომ ღმერთების მხრით დადგინებულნი არიან და არა მეფესა! მე რომ გავერიო მათ საქმეში უსამართლობა იქმნება, და მე, ქვეყანამ იცის, რომ უსამართლობა საშინლად მძულს!..

ნანა დედოფალი უხმოდ გაბრუნდა თავისს სადგომისაკენ და თან გაიყოლია ლელაცა მოგვთ-პეტის ცოლი.

ნინა. ხომ გაიგონეთ ჩვენის მეფის შეხედულება და აზრი. ჩვენ ახლა სიჩუმე გვმართებს, მოთმინება და ლოცვა იესო მაცხოვართან, რომ მან იზრუნოს ქრისტიანობისთვის!

ლელა. კი, მაგრამ მოგეხსენებათ, ბოროტების გზა ფართოა, მისთვის ამდენი საუკუნოებით იტანჯება კაცობრიობა წარმართული საშინლად დაცემული უწყალო ცხოვრებით. სიმართლის გზა მეტად იწრო და ეკლიანია, რომ

გაკაფულიყო, ყოველ კაცს გაუადვილდებოდა მისით სვლა; მეფეს შეეძლო ამის ქმნა, მაგრამ არ ინება, ესეც ჩვენი ქვეყნის ცოდვაა!.. ბამოეთხოვა და წავიდა.

ნანა. (თავისთვის მარტო). რა ნაირი კარგი იმედი მქონდა და მიხაროდა; ვამბობდი, სიტყვას გავიყვან მეფესთან, ეშმაკებს ფეხებს დავამტვრევ და არ ვანავარდებ, არ გავახარებ მტერს-მეთქი, მაგრამ არ იქმნა, ბოროტებამ თავისი გაიტანა. ნეტა ვიცოდე მეფე რამ შეშალა! თითქო ჩემს სნეულებაზედ დიდი სიყვარული მაჩვენა, მთელი მკურნალები თავს დამახვია, ძილი, მოსვენება გაიწყვიტა, გვერდითგან აღარ მშორდებოდა, ხასა-მხევლებს სულ უბღვერდა, უწყრებოდა იქამდის, რომ თვალით დასანახავად აღარ უნდოდა არც ერთნი; მე კიდევც ვთქვი ჩემს ფიქრში, ნახე როგორ გაგიჟებით ვჰყვარებივარ მეთქი; მე-კი ვეჭნეულობდი, გარეგან სიყვარულად ვსთვლიდი ჩემს მიღებულებას და მიჩნევას მისგან! მერმე რომ გავიკურნე ნინოსგან და სრული სიმრთელე მომეცა, რა ნაირად გაეხარდა, რა ნაირად თავისი მზე, სიცოცხლე იფიცა ნინოს ცვა-ფარვაზედ და მასთან რა ნაირად მოწადინებული იყო... იმ ერთ კვირას მალ-მალ ამბობდა: უეჭველად გავქრისტიანდები და ბევრს სხვათაც შევაგულიანებ ქრისტიანულ სარწმუნოების მისაღებლადო! ახლა რამ შეშალა და რამ გადარია... ამისთანა უნდობ, უმტკიცო ორგულ კაცზედ განა მინდობა იქნებოდა?.. ახ! არ ვიცი საბრალო დედათ-სქესისანი მეფეთა და მთავრების წინაშე რა უძლურნი, რა საწყალნი და რა საცოდავები ვართ! ბევრჯერ პირი გვიცინის, გვიღიმის მტერ-მოყვრებთან სათვალ-ფერისოდ და გულში-კი სისხლი ჩაგვდის, ველარაფერი გვიწამებია-რა და ველარაფერი გვითქვამს, მეტადრე პარსებთან და უცხო ტომებთან; ტყვესავით გვინახვენ და გვეპყრობიან,

როგორც უნდათ ისე გვითრევენ და ისე გვჩაგვრავენ, მიწასთან გვასწორებენ რაღა? რაც უნდა კარგი რამ ვთხოვოთ, რაც უნდა ვევედროთ და ვეხვეწოთ, თუ არ სწადიანთ, არ გაგვიგონებენ; და თუ გაგვიგონეს, ისიც ასში ერთი, იმასაც დიდის ნაზით, ტეხით, თავს მოგვაძულებენ. ასეთი მათი უწყალობა, უზრდელობა და უკულმართობა განა მოსათმენი, განა გასატანია? არ არი არც მოსათმენი, არც გასატანი, მაგრამ რას ვიზამთ, მეტი გზა რომ არ გვაქვს? თავ-განწირული უნდა ვიყოთ ყოველ წინააღმდეგ შემთხვევისთვის. ეაცმა ერთი ჰკითხოსთ: რაზედ მედიდურობენ, რაზედ ამაყობენ, რით არიან უკეთესნი დედაკაცებზედ, განა დედითგან არ არიან ნაშობნი, დედის რძით არ არიან გაზრდილნი, დედისგან არ მიუღიათ ის ხორცი, ის სისხლი, ის სამშობლო ტკბილი ენა, ზნე, ხასიათი, თავითგანვე მშობელი დედებისგან არ ჩასწვეთებიათ ყველა ეს, მაგრამ ვის ეტყვი? წარმართ ბარბაროსს რას გააგებინებ? აგერ დღეს ჩემი ბატონი მეფე მირიანი დიდად გასამტყუნებელია: მე ზრდილობიანად ვსთხოვე, რაც სათხოვარი მქონდა და არ გამიგონა! რათა, რისთვის, რა სიმართლე ჰქონდა? მე მისი გოგო, ხასა ან მხევალი ხომ არ ვიყავ? ის თუ გვირგვინოსანი მეფე იყო ჩემი, მეც მისი გვირგვინოსანი დედოფალი ვიყავ, მას ჩემ სიმართლიერ თხოვნაზედ უარი არ უნდა ეთქვა, თუ სიბრძნე და შეგნებულობა ჰქონდა, მაგრამ ვის? პარსელსა? აბა, ბატონო, პარსელები საზოგადოდ ურწმუნო არიან, უწყალო, მატყუარნი და ვერაგნი; რაღაში გამოსადეგი იქმნება მათი გონება-ხსნილობა, ტკბილ-მოუბრობა, საქმიანობა, როცა თავიანთ ნიჭს ბოროტზედ უფრო ხმარობენ; დღევანდელი ჩემის თხოვნის შეუსრულებლობით ხომ გაკიცხულ-გაუპატიურებული ვარ მისგან? განა მარტო ეს არის, რამდენ

ამისთანა კიცხვა და ლანძღვა ჩამოკლია მე მისგან ამ ჩემს საბრალო გულში. დიდებული, მეფე მე მის ერთ-გულს, ერთ-სულ დედოფალს, რომ ასე უდიერად მეპყრობა, ვინ იცის სხვა ჩემებრნი, ან ჩემი ღირსებისანი, რამდენ ჩემგან უფრო ასსა და ათასს წყევა-კიცხვასა და ტანჯვაში ატარებენ მწარე შხამ-ნაღვლიან დღეთა... ღმერთი შეეწიოსთ ყველას...

ვინმე მესხი.

(შემდეგი იქნება)

დავით აღმაშენებელი

(1089 - 1125 წ.).

ვიდ იყო და შეემძლებელი
დავით აღმაშენებელი,
ქვეყნის მანუკეშებელი,
მისი დამამშვენებელი.

მან ბრძანა: „აღსდეგ, ქვეყანა,
აღორძინდინ ვით კეთილ ყანა,

დედისა მის ღვთისაგანა
კურთხეული ხარ რახანა".

და არეცა ჩვენი აღჭედა
ჯაჭვნი ამირანსა დაჭედა,
ქართველსა ბნელ უკუნი აჭედა,
მტერსა-და დიდება წარჭედა.

დავით, ძე მეფის გიორგის,
გამეფდა წლის ათექვსმეტის;
მსგავს იყო გაბადრულ მანგის [1],
ჰერანგ ეცო საკრამანგის [2].

ძალ-ღონე, ვით გოლიათსა,
ამკობდა ჭაბუკს დავითსა;
დაელოცნა იგი ღმერთსა
დაბადებისავე წუთსა.

ბიორგი-ღა ჭეონდიდელი
იყო მეფეს ხელმძღვანელი,
მისი კეთილის მუოფელი
და ანგელოზი მფარველი.

ესწავლა მას ყოვლი საგან
არსენ ღვთის-მეტყველისაგან,
იოანე მოძღვრისაგან,
ბერის ეფრემ მცირისაგან.

ბრძენთა მიერ ბრძენ ქმნილიყო,
სეფისწულობით ზრდილიყო,
კარგსა შემეცნებულიყო,
ავსა განრინებულიყო.

---

[1]) მანგი—მთვარე.

[2]) მარგალიტით ნაკერი პერანგი.

Ყოველსა ქვეყანასა ქართლისა,
ყამსა დავითისა მშობლისა,
აშთობდა სიმძიმე უღლისა
თურქთა და არაბთა უფლისა.

Ოხერ ქმნილიყო ამერეთ,
დანგრეულ იყო იმერეთ,
აღწყვეტილ იყო კახ ჭერეთ,
ქართლს ეტირებოდა მწარეთ.

ჩვენი ქვეყანა საქართველო,
მტრის გამხდარიყო სამრეველო,
ოთხასსა წელსა განევლო,
რაც მისთვის ვერვის მოევლო.

Ტფილისსა ესხათ დაშქარი,
სპასპეტნი და სპასალარი;
არაბთ უძღები სალარი [3])
იყო ქვეყნისა მოლარი.

Ტარტს დაჯდა სხივოსან დავით,
აღტეინდა ყამთა სიავით,
იგზეხცა დევ-გმირსავით,
ზარიც გაჭედა გრგვინვასავით.
Მტერი აღბორგდ-აიშალა,
აქეთ იქით დაიშალა,
ზოგი ჭკვაზე შეიშალა,
ზოგსა კვალი წაეშალა.

Ასრე იყო მტრის წალეკა,
ციხე, კოშკით გამორეკა,
სასიკვდინე ხნარცვს ჩარეკა
ანუ ქართლით გადარეკა.

---

[3]) გაუმაძღარი ვაჭარი.

საქმენი სამხედრონი.

Ესას-ოთხმეოტ და-რვასა
დავით, აღვიდა რა ტახტსა,
მოუწოდა თვისსა დასტსა,
ეამბორა ჯვარსა, ხატსა.

მერმე ტუე-ღრეთ იხმო ერი,
მოიყვანა დიდ, წვრილ, ბერი,
დაუწყინარა სულიერი,
ამერი თუ იმიერი.

Აკადად უთხრა თვისსა დასსა:
„შეეკრიბნეთ წაღვლისს თავსა [4]),
განვბჭოთ, ვართ ეოფას ვითარსა,
რაჲთურთ რაჲ ვუყოთ თათარსა“?

შეეკრიბნენ, კადასწყვიტეს:
ანაური აღიწყვიტეს,
ხარაკაი მტერს მოსწყვიტეს,
მერმე თვით იგიც აღწყვიტეს.

Ა.

Საბაღვაშეო სახლ-კარნი,
ორიალეთი და კლდე-კარნი [5]),

---

[4]) წაღვლის-თავი ანუ წაღვლი მაგარი ციხე-კოშკი იყო ფეის-ფრონეს ხეობაში და მისს ტოტის აბანოს წყლის ღელეში. აქ, მშვილდაურის მთიდამ ჩამოდის პატარა ხევი წაღვლის წყლისა და მისს სათავეზედ დღესაც მოჩანს ნანგრევი სახელოვანის მეფის ციხისა.

[5]) კლდეკარნი, ბაღვაშთ (ორბელიანთ) მაგარი ციხე წალკის მხარეს.

ლიპარიტის შენაკარნი,
ქართლის იყვნენ ისრის მკარნი.

დავით ბრძანა: „ეს ლიპარიტ,
ვაზიერნო, მეის შეიპყარით,
ხელ-ფერხნი მას შეუკარით,
და საბერძნეთს შეაპარით.

„**ვ**ითარცა კუდი ძალისა
არ-რას განემართებისა,
ვითა ლორი ინწუბისა
მწვირეს არ მოშორდებისა, —

„**ე**გრეცა ბალვაშ მზაკვარსა,
უგუნურს და უკეთურსა,
მსგავსად ძალის, ზნედა სჯირსა
მიქცევად თვისს ნათხევარსა:

„**ე**გენი ჩვენ გვორგულებენ,
თურქთ ძალით ამირთ-ამირობენ,
ქვეყანასა ჭალალტობენ
და მამულსა გვიოხრებენ“.

მკვირცხლნი კალდეკარს შეიპარნეს,
ლიპარიტ მეეს მოიპარნეს,
აქედგანა განაპარნეს
და საბერძნეთს შეაპარნეს;

თევდორეს-და მეფის ერთგულს,
გიორგი ჭეონდიდლის დისწულს,
კამგეობანი კალდეკარის
მიებოძა დიდად ბრძენ ქმნულს [6]).

---

[6]) 1101 წელს.

ბ.

ქართველ მეფობდა კვირიკე [7]),
ხელს არ სკიპტრა, ეპყრა რიკე;
ზედაზენ, ვით ქარქარიკე,
მეფევ, შენ მას გაურიეე [8]).

ქვირიკე მოკვდა უძეოდ,
ტახტი დაშთა საძმისწულოდ,
ქვეყანა ეოვლად უმწეოდ,
უნუგეშო, უხვაიშნოდ.

ქართ ხატრონ იქმნა აღსართან [9]),
მეგობარი უსჯულოსთან,
ამაყი თვისს მოგვარესთან,
ცუნდრუკი და მწყრალი ჯკვასთან.

აღსართან იმძიმა კახმან;
შეიპყრეს იგი ბარამმან,
არიშიანმან, ქავთარმან,
კახეთის დიდებულებმან

და მოსტეს მეფესა დავითს,
რომელ ეპატრონა კახეთს,
მასთან ჭერეთსა და კუხეთს,
თუშეთსა და ხოზანიხეთს [10]).

ბ.

აღბოგდა ერი განძელი,
სულტანი დიდი სპარსელი,

---

[7]) კვირიკე IV (1084—1102 წ.).
[8]) ზედაზენი აიღო დავითმა 1101 წელს.
[9]) აღსართან II (1102—1105).
[10]) ძურძუკეთს.

მოჰკდა ერწოს უდრტვინველი,
რომ დათრგუნოს ჯვარი—ძელი.

მეფემ ქმნა დიდნი წუობანი,
თვისთა დაშქართ განმხნობანი,
ჰკრა მტერს, ქმნა გულოვნობანი,
მტრის წახდა ხელოვნობანი:

ხუთი იბურობდა ოთხასთა,
ათი ქართველი ათასთა,
თურქთა მათ ათაბაგისთა
და მტერთა ამათ ქრისტესთა.

თვით დავით წინ უვიდოდა,
ლომივითა იძახოდა,
გრიგალივითა ხუოდა,
მტერ-და ხვიოდა, ჭუოდა.

სამნი რაშნი მეფეს მას დღეს
მტერთ მძვინვარეთ გამოუკლეს,
გაჭნა შეჯდა რა მეოთხეს,
ომიცა სრულ ჰყო იმავ მზეს [11]).

ლ.

ამის აღმწერთ დაგვიჯერეთ:
მას ჟამსა თურქს ეპყრა ჯერეთ
უარია და მაშავრეთ,
ახტალია და ფანავრეთ.

ეოვლისა ქვეყნის თურქობა,
მათი უზომ სარანგობა [12]),

---

[11]) 1105 წელს.
[12]) დასდასობა.

ლაშქართ დიდი ფალანგობა,
დასობა და ქალაქობა

ჰმანგლიდა [13]) ტფილისს, გაჩიანს,
სამშვილდესა და აგარანს;
გარდაბანსა, ბარდავ, არანს
საძოვ ჰქონდა აგარეანს [14]);

ამ ადგილთ იგინი დგიან,
ზამთარსა ნადირობდიან,
ზაფხულს თივასა თიბდიან
და მარად ყამს იშვებდიან.

ერმანი შეკრბენ, ითათბირნეს,
დარაჯანი მიიბირნეს,
სამშვილდესა შეიპარნეს
და ძერნითურთ წარიპარნეს [15]).

დაწიოკდა მახმედიან,
აიყარა სულ ერთიან,
გაიქცა, განვლო გაჩიან,
თავსლაფ სსმულ, ნატარ-ტუტიან.

ე.

მეფე დგა ნაწარმაგევსა, [16])
სასახლეს ნაამაგევსა,
ხელმწიფეთაგან ნაგებსა,
ტურფად მკობილ, დანაგებსა.

უთხრეს მას სასახლისა კარს:
„სულტანი მოუძღვის ლაშქარს,

---

[13]) მანგალი (ჰეგრულად მანგა) იგივ ნამგალია.
[14]) აგარეანი, აგარის შთამომავალნი (არაბნი).
[15]) სამშვილდე და ძერნა აიღო მეფემ 1110 წ.
[16]) გორის ახლოს, კარალეთს.

ამურებს თვისსა სარასკარს,
რომ ქართველთ შთაუსწრონ ციხეკარს“.[17])

მეფეს ტაძრეული დასი [18])
ჭეშვა მას ყამს ათას-ხუთასი;
აღდგა, განვლო მასლათასი,
მოსრა მტერ ორას-ათასი. [19])

3.

ქორონიკონი იყო ტლე, [20])
რომ მძვინვარ მტერს თავს ესხა ტლე,
მუცელს შეეყარა სატლე
და რუსთავც აღერთო სათლე.

ზ.

თურქნი ტაოსკარს ჩამოდგეს,
თვისნი კარავნი წამოდგეს
და თქვეს: „სთლობა რომ შემოდგეს,
კაცია მაშინ გამოდგეს“.

სცნა მეფემან თურქთ ზვალობა,
ბრძანა ლაშქართა მზადობა,
ტაოს მხარესა გზადობა,
კლარჯეთს შეერა, შეზადობა.

თვე-და იყო თებერვალი, [21])
მეფემან ჩაიცო რვალი,

---

[17]) თრიალეთის (არჯევნის) მთის გადალმა მაგარი ციხე.

[18]) სასახლის და მეფის მცველი ჯარი.

[19]) 1110 წელს. მტერი ლაშქრობდა ხოლმე „დედა-ბუდიანად“ და დიდ-წვრილიანად, ალბად, შეადგენდა 200,000 სულს.

[20]) (780+335)=1115 წ.

[21]) 1116 წ.

წარვლო გზაი წარუვალი,
მტერს ჭვდა ვით ბოჭრა მბერვალი.

დავითმან მტერი მიდეწა,
მისი ბანაკი დალეწა,
მისი კალოი გალეწა
და ჭრქვა: „აქედგან მალე წა“.

ბ.

ბიშს [22]) ძმანი ასამ და შოთა
ნებივრად ბურს ჭამდნენ ღვთითა;
ალვსილნი ოოვლისა ფრითა,
ჭსუფევდნენ მორჭმულობითა.

შოთა მკვიდრობდა შოთავარს, [23])
შოთს უცხობდა ბერს და მთავარს,
სოთსა [24]) აჭრიდა ავს ავარს, [25])
თავს არ უხრიდა ოოვლს მთავარს.

მოვიდა მეფე დავითი,
დიდ რომ არს და გოლიათი,
იბურნა ასამ შოთიათი,
ალიხვნა გრიგოლიათი. [26])

თ.

ძე თვისი წარგზავნა შარვანს:
„დემეტრე“, ჭრქვა სახელოვანს,

---

[22]) გიში — ნუხი.

[23]) შოთავარი საინგილოში სოფელია.

[24]) მოხდენილი ცხვირი.

[25]) ავარელი.

[26]) გრიგოლი იყო ასამისა და შოთას მამა. მისი კერძი დაიპყრა მეფემ 1117 წ.

„წარვედ კავკასის წვერობანს
და ზარ დასტ მტერს უპირობანს“.

წარვიდა ზარკლით დიმიტრი,
წასხა დაშქარი ბევრი,
დასტა ციხე ულაძოვრი,
ველს მოჰფინა მტრისა მძოვრი.

ულაძოვრი მთლად დაიქცა,
მტერი ქართლის მონად იქცა,
მეფის შვილი უკუნ იქცა
და კიშს მამისა მოიქცა. [27])

ი.

ბზობის დღეს დროშა აღმართა,
დანუხით [28]) წარმოემართა,
რახსისა [29]) მხარეს მიჰმართა,
და ღმერთმაც გზა წარუმართა:

შრიცხვსა თურქსა მიუკდა,
საკვირველებაცა მოჰკდა:
სულ ერთიან მტერი წაკდა
რომ ქართველის ხმალ კისერს მოჰხვდა. [30])

ია.

ექიდგან მოვიდნენ ლორეს,
მიუკდნენ ციხეს ახლორეს,
მტერი მხეცთათვის ალორეს,
მის მძოვრ ჰყარეს მგლის სალორეს. [31])

---

[27]) 1117 წ.

[28]) აწ გოდანუგი.

[29]) რახსი — არეზი ანუ არაქსი.

[30]) 1118 წ.

[31]) ლორეს აღება 1118 წ.

იბ.

Ივლისს იბურეს აგარანი, [32])
მერე ციხე ციხკარანი;
განასხეს აგარეანი,
ქვითა უკსეს ვაშკარანი.

იგ.

Თურქი მეფეს განმსტრობდიან,
იმერს განიგულებდიან,
თვით ბოტორს მოვიდოდიან
და აქ დაიზამთრებდიან.

Მეფეს-და არა ჭრულოდა,
თურქის სისხლი მას სწყუროდა,
ძლიერად დაიგრულოდა
მტრისა გასაოხრულოდა.

Იმერეთით შუა ზამთარს
მოთრინდებოდის ყამს მთოკარს,
დალეწდის მტერს შეუბოვარს,
არვის გაუშვებდის მგლოვარს.

Ამსა ერთს მეფის სიშორეს
თურქნი ჩამოდგეს ბოტორეს,
ოოვლიფერი მოტორეს,
მკვიდრნი ტორითა დატორეს.

Ზარნა მეფე არ შეშინდა,
ლიხს იმერით გადმოთრინდა,
მტრისა გუნდში შთაბრიალდა,
მტერზედ ბოლი აბრიალდა.

---

[32]) 1118 წ. ივლისში.

თებერვლის თოთხმეტს ბოტორა [33])
მეფემან დავით მოტორა,
მტერსა მოაკლდა კოტორა, [34])
გაშენ ვით კურდღლის კოტორა. [35])

იდ.

ლანუხით მისწვდა უაბალას, [36])
შემდეგ ყიაით არბილას
და ქურდევანით შიშტალას;
იპურსა სულ, [37]) მისცნა თვისს ტალას.[38])

იე.

მთავარი დარუბანდელი
და მთავარი შარვანელი
იყვნენ ერთ-ურთის მდევნელი,
გამეტებით მაწყინელი.

დარუბანდელთ მოჰკლეს ფრიდონ,
მეფის მეგობარი სფრიდონ;
აწ და უგუნურთა სცადონ,
რისხვა მეფის ვით ირიდონ!

დავით მიუკდა სევგელმეჯს, [39])
ისარ მიასხა ქურდსა მკრეხს,
თურქმანსა გაუმაძღარს, მგლეჯს,
დათრგუნნა მტერნი ერთსა მეჯს.

---

[33]) 1120 წ.
[34]) პურის ნატეხი.
[35]) ბაჟია.
[36]) აღტაშის მაზრაშია.
[37]) 1120 წ.
[38]) მხმილავი, დარაჯი.
[39]) 1120 წ.

ᲘᲒ.

ზამთარს ჩავიდა ათხაზეთს, [40])
მეფე ეწვია ათშიდეთს,
დამწუსნა მრევლნი ბიჭვინტს, ჯიქეთს,
განაგნა საქმე ადანეთს.

თურქთ, სტნეს-რა მეფე შორს არსო,
თქვეს: „მოთ, ჩავდგეთ ხევს მტკვარსო,
დავსახლდეთ მის კიდე-ბირსო,
იქ გამოვრჩეთ ამ ზამთარსო“.

ᲐᲓᲒᲜᲔᲜ და მოჭუვნენ თვისს სულტანს:
„ტანსა ვიმოსავთო კურტანს,
არც ვიწუნებთო კარკატანს, [41])
აწ ვიუხვოთო გურჯისტანს“.

ზამთარ იყო მაშინ ძნელი,
მკსინვარება და უინელი
იყო თრიად საშინელი,
მგზავრის გზა-კვალ ამრევნელი.

ᲚᲘᲮᲡ თოვდ იდო სამი მხარი;
შენ, მეფევ, თოვდ გადასთხარი,
მოხვედ და მტერს თვალ დასთხარი,
მას სამარე გაუთხარი. [42])

ᲘᲖ.

ჩადგნენ თურქნი აწ ბარდავსა,
მეფე ეტემა მათ თავსა,

---

[40]) 1120 წ.
[41]) ჩვარი.
[42]) 1121 წ.

ჭლეწს, ანიავებს მქირდავსა,
მოტირალს სჯობს მისს კარავსა. [43])

ია.

მტრის ხელთ დაშთა აწ ტფილისი,
მისს ზემოთა სოფელ ლისი
და დიდებული დმანისი,
ციხე-კოშკი ორბელისი.

მუნებურნი თურქთ ვაჭარნი,
ქართველის ნაშრომის მხვეჭარნი,
აღგნენ, შეიდებნეს წვერნი,
გაიშავეს თავნი, პირნი,

წარვიდნენ სპარსეთს ჩქარ-ჩქარა
და ჰრქვეს თვისს სულტანს: „სად ხარ?
გურჯთა მეფემ ჩვენ მოგვთხარა,
ქალაქები დაგვითხარა!

„პირ მოწეულა ჩვენზედა,
ხნარტვი გაგვთხრია გზაზედა,
მანგლ ლესულ გვკიდავს ყელზედა,
მო, გვიხსენ ანაზდაზედა!“

სულტნმან იხმო დურბეზი,
ძე არაბთ მეფის სადუესი,
სპასალარად ჰყო ელდეზი,
შვიდი დიდის არდუხესი;

მოუწოდა თვისსა დაშქარს,
თურქთა, სპარს, არაბთა, ჰამარს,—
დამასკოთგან ჰალაბიარს,
და ათაბაგს, განძას [44]) რომ არს;

---

[43]) 1121 წ.

[44]) განძა, განჯა.

Დიდებით წარმოსტანა
ძე თვისი მეფიქ მათ თანა;
ბევრმა დრომაც არ გასტანა,
რომ მტერმა ქართველს მოსტანა.

მტერი იყო ოთხას-ათას,
სხვათა თქმითა ექვსას-ათას;
მოვიდა, მოეღო ველს, მთას,
მოაწია სამგორეთას. [45])

რამდენ იყო მტერ, როგორი?
მან ავსო მთა და გორი,
აქ მანგლისი, იქ დიდგორი,
ციხე ლორი, თუ კოლორი.

Უშიშ-უძრავმან გულითა,
მეფემ, მუდრომან სულითა,
განაწყო რაზმი სწრაფითა,
მტერს მიესხა ხუვილითა.

მტერს კიოტა [46]) უეიოდა,
თუმც მის ისარი წიოდა;
მტერი ზარკლითა ეიოდა,
გარნა მეფემ განიოტა:

ქართველებმა ბრეშეს, ულიტეს,
მტერს თავ-ხირი გაუწყლიტეს,
ხორცებიცა დაათლითეს,
სახლ კარიცა ჩაუკლიტეს:

Ოთხასი ათასი თურქმან
გაულიტა ქართველთა მკლავმან, [47])

---

[45]) სამგორი, ლოჭინის მიდამო კახეთის გზაზედ.
[46]) ცხრა-მუცელა (ფრინველი).
[47]) 1121 წ.

ოცდათასიც იბურა კელმან,
მტერზედ გაკელებულმან.

ბორბალი დურბეზ გაიქცა,
ადარცა სადა წარიქცა,
დაწრილი ილდაზ ჯარს მისცა
და თვით სპარსეთს სწრაფვ შეიქცა.

ველნი, ფელენი ავსებით
აივსო მტრისა მძოგრებით,
საქართველო-და სავსებით
აივსო არაბთ რაშებით,

აგრეთვე რემა, ჯოგებით,
ოქრო-ვერცხლითა, კარვებით,
ქოსითა, ფილოკავნებით
და ტურფითა სასმურებით.

ბამარჯვება იყო სრული,
მტერი ავი და ავგული,
ღვთისა მიერ ზენით კრული,
სამს დღეს იქმნა მოამანგლული.

თვით გლეხნიც ადათოობდიან,
არანთ მთავრებს იბერობდიან,
დიდთ გოლიათთ შეჰკვრიდიან
და მეფესა მოჰკვრიდიან.

(.თ.

მეორესა წელს [48]) ისანი,
კალანი ქალაქისანი,
აიხვნა ტფილისისანი
მტერს მიაგო მის ჯკვისანი:

---

[48]) 1122 წ.

Თურქი ხუთასი მოაშთო,
მრავალი მტკვარში დააშთო,
ზოგნი საბნელოს შთააშთო,
ნეშტი-და ცოცხალ დანაშთო.

Ოთხასსა წელს მტრის ნაუმური,
ქართველის ქალაქ ნატახტური,
კვალად ჰქმნა შვილთ სატახტური
და თურქიც ჰყო მათ საუმური.

 კ.

Სულტანმან იბერა შარვანი, [49]
საქმე არ ჰქმნა ჯეროვანი:
ტუვე-ჰყო შაი-შარავანი,
თვისს ჯარს ჰრქვა შაბა-შაბანი.

Მოუმტინო მეფესაც მერე:
„მოდი, ძღვენი მიძღვენ ჯერე
შემდეგ მახმედც დაიჯერე,
უმობაც ჩვენი შეიჯერე“.

Უყივლა მეფემ დაშქარსა,
შეაფრინდა ჭუნეს ჩქარსა,
გადაფრინდა მტრისა კარსა
და მიესხა მისს სახლ კარსა.

Შეჰკრა თურქმა შამახია:
ერთკერძო სხირტი ახია,
მეორეს თხრილი ჩმახია,
კარნა ჭხვდა ბედი წმახია:

Დაუტიეს ქართველებმა,
დავითის კისკას შვილებმა,

---

[49]) 1123 წ.

ზანზარი იწყეს ვეღებმა,
„ვაჲ ჩვენ“! სთქვეს შამახელებმა.

რანის ათაბაგ აღსუნდულ
იყო სულტნის წინ მოკუნტულ;
მას მოუკლეს ოთხ ათას სულ,
თვით ათაბაგსაც სცეს სხარტულ.

თურქსა დღე ჭხვდა სამგლოვარო:
სულტანმა გზა სამლტოლვარო
ძლით-და ჭპოვა გასაპარო
და სპარსეთსა შესაპარო.

მეის აღიხვნეს გულისტანი, [50])
ჩვენებრ რომ არს ვარდისტანი;
მეფემ ქართველისა დასტანი
აქ დასხნა ბევრნი, ბაშტანი;

თვით შინ მოჰკლა, იდოცა მცხეთს,
შემდეგ გარდავლო იმერეთს,
სთლობას შეისვენა გეგუთს
ქუთაისსა და გაენათს.

ᲙᲐ.

ᲐᲮᲓᲒᲐ დავით ბრძენთ უბრძნესი,
მარტს გამოვლო გზა ლიხისი,
გარდავლო მთა არჯევნისი
და აღიხვნა დუმანისი. [51])

ᲙᲑ.

ᲐᲥᲔᲓᲒᲐᲜ ჩავლო არანი
და შეიპურა შაბურანი,

---

[50]) 1123 წელს, ივნისს.
[51]) 1124 წ.

აიხვნა მტრის მთა გორანი,
დარუბანდელთ სახლ-კარანი.

Ივერნა მეფემან თერგამდი—
ლასანსი და ხოზანდი,
ეიგჩალთ კარი დარუბანდი [52])
და ქართლს მოჭეინა შარვანდი.

 კბ.

Ლამშვიდა-რა ყაბალა,
ვით არწივმან ალისრბოლა,
ჯარი სომხითს გალისროლა
და ქრისტეს მტერი მოსპოლა.

Მაისს [53]) ალიხვნა ციხენი,
სომხითისა სიმაგრენი,—
ტერონაკალი და გაგნი,
ტალინჯაქარ, მანასგომნი.

კგ.

Ივნისს მეფე აემართა,
ქართლისა დროშა ალმართა, [54])
დიდ ალ-წოობით გაემართა,
ზემოსა სამცხეს მიჭმართა.

Ჯერეთ უხვი თანავრეთი,
მერე სრული ჯავახეთი,
არტან, კოლა, კალმახეთი,—
ჩავლო დიდის სისწრაფეთი;

Და ალიდო კარნიფოლი,
შემდეგ მორჯმულ კარახოლი,

[52]) 1124 წ., აპრილს
[53]) 1124 წ.
[54]) 1124 წ.

მუფარაკან-მარტირბოლი,
და თურქმანს ადინა ბოლი.

კე.

ჩამოვლო ბუიათეური, [55])
დასწვნა აქეთ ოლთის-ეური,
დასჭრნა მტერსა ცხვირი, ეური,
დაანატრა საჭმელ ბური.

ლაშქარს მადი უთხრა მაშინ
და თვისთვისად ისტეშრა შინ,
უბრძანა: „ძმანო, ნუ გეშინ,
კვალადცა ჩემთან თურქ მრეშინ“!

კვ

ოცს აგვისტოს [56]) მწიგნობარნი,
ქალაქ ანისის მოძღვარნი,
ეწვივნენ დავითს მძღნობარნი,
მისნი შემსხმელ-შემკობარნი,

და ჰრქვეს: „მო, ძირს დასცე თურქმანი,
აიხვენ ქალაქი ანი,
გვათავისუფლენ მონანი,
შენნი სომეხნი, ერმანნი“.

საბოლ ათასის კაცითა
წარვიდა მეფე სწრაფითა,
მტერი გაუწყო კაფითა,
არა დიდითა ჯაფითა;

ტუვე ჭეო ამირი ბულასვარ,
ანისსა რომ იყო მთავარ;

---

[55]) 1124 წ.
[56]) 1124 წ.

შეფემან იგი ჴუო მგლოვარ,
თავისუფლებისა მთხოვარ

ბამოისტუმრა ათხაზეთს,
ბულასვარ ცოდ-შვიდით ცხუმეთს;
ან დაუმკვიდრა ბუდეთს
და მიაკერძაცა მესხეთს. [57])

ეკლესია ანისისა
სალოცავ იუო მოდისა;
შეფემ იწყია სომხისა
ადმსარებელნი სჯულისა,

და აკურთხა კვლავ ტაძარი,
არეკინა ძელის ზარი,
საქმე ჴქმნა მტრის შესაზარი,
სომეხთ-და მარგი, მწუალზარი.

ქალტრონიკასა დედუფალს,
სომხისავე დიდსა უფალს,
მათს დედასა მხნეს, არ დაფალს,
ანისს ტაძარსა დანაფალს,

უეიგლა მეფემ: „საფლავო,
გიხაროდენ! დედოფალო,
აგარეანნი დავფალო
და აწ შენ გიძღვენ ტაბლაო“!

ქალტრონიკამან საფლავით
ამოსძახა: „შენ, დავით,
კურთხეულ იუავ მეფობით,
ქრისტე იესოს წუალობით“.

---

[57]) 1124 ფ.

კზ.

მეფე უკუნ იქცა ქართლად,
ლაშქარ წარიყვანა კვალად,
ბიგრიტი იბირნა მსწრაფლად
და წარგლო შარვანსა სთვალად. [58])

დავითს თან ახლდა მძლეველი
ლაშქარი ბევრი და ქველი;
აიხვნა შარვან ოთველი
და იქ დასვა ჭყონდიდელი. [59])

დაამშვიდა რა შარვანი,
სრულ ჭეო რა მტრისა მოსრვანი,
ქართლს დაბრუნდა გულოვანი,
მეფე დაკით ციხკროვანი.

რა იყო ქართველის დიდობა
ანუ მისი ხელმწიფობა,
დავითს რომე ხვდა მეფობა,
სეფობით შარავანდობა?

სულ მტირე და არ-რა იყო:
არე დაკნინებულიყო,
ერი მთლად დახარკულიყო,
ტყე-დრესა მიმალულიყო;

ბრვის ეგონა ქვეყნის ხსნა,
უამრავ სპარს-თურქმნისა დაკსნა,
მონობისა ბორკილთ ახსნა
და მტრისაგე ფერხთა შესხნა.

---

[58]) 1124 წ.

[59]) სვიპონ ჭყონდიდელი.

ლავით მეფემ ეს ჭეო ესრეთ:
ქართლსა შერთო კახეთ-ჭერეთ,
შემდეგ განვიდაცა გარეთ,
იხერა დარუბანდი, სხერეთ;

მოსრნა მტერნი ას-ბევრადმდე [60])
ანითგან დარუბანდადმდე,
გურგანითგან სხერის ზღვადმდე,
აქ თუ იქ, კიდით-კიდედმდე.

შინა უმანიცა ორგულნი
ალსართანი თუ სოხღულნი,
ბადვიაშნიცა ავგულნი, —
უველანი ჭეო დადაგულნი.

ლრეშაცა ასეერიალა,
ალამიც შეიეერიალა,
მტერიცა დაიეერიალა
უეესკრულსა ჩაიეერიალა.

ესრე მისცა ძვება ქართველს,
შვება-ლხინი ჭირსა თუ რთველს,
თვალ დაუბრმავა ეოვლს მკირთველს
უქარეოსა ანუ ქართ ველს.

ქართლ, ქართველისვე სამკვიდრებელ,
ჭეენა მან დამოუკიდებელ,
მტერის საბელ მოუკიდებელ,
ხარკთა მისი ზურგთ უკიდებელ.

ვ. გ. ლასურიძე.

(დასასრული იქნება)

---

[60]) ერთი ბევრი არის 10,000.

იანიჩარი *)

მეორე მოქმედება

სცენა I

ჯამშერის კარ მიდამო

შემოდის ასლანი

ასლან. ჯარგა ხანია, რაც სისხლს ვღვრით უხვად,
ბევრი ქვეყნები გადავაბრუნეთ,
ბევრი ლამაზი ქალი მინახავს
და ბევრსაც მწარე ხვედრი ვარგუნეთ.
მაგრამ მისთანა, მე რომ აქ ვნახე,
ჩემს თვალებს არსად არ განუცდია...
თვალი მომტაცა, გული წაიღო...
ჩემს გრძნობას თითქოს მისთვის უცდია
და აქამდისინ არ ვისთვის გული
ამ გვარ ლაჩრობით არ დაუთმია,
როგორც ის ნინოს დაუმონავა!..
ყოველი ღონე ჩემთვის უქმია,
გონებითგანა ის მოვიშორო,
განვდევნო ჩემგან ტურფა სურათი,
რომ მისს მიმდევარს ეკლიანს გზაზედ
არ შემეხეჩოს უდროდ ხიფათი...
ვგრძნობ, უღონო ვარ ამ გვარ ბრძოლისთვის,
მას ვერ უარ-ვყოფ, მისთვის მოვკვდები!
იგია ჩემი დილის ცისკარი,

---

*) იხ № 4, გვ. 352

მისის სხივითა მე განვახლდები!
ნეტავ მაღირსა, მის გიშრის თვალებს
მოელამაზოთ ჩემ გულის წამლად!.. (შემოდის ნინო)
ის მოდის... მაგრამ ენა მებმება...
ლამის დავეცე მზე-ბნელი დამბლად...
(ნინო ასლანის დანახვაზედ შეკრთება)

ნინო. (ტალკე) აი ეს არის, ცეცხლს რომ მიკიდებს
და გონებითგან არა მშორდება!
ან უჩინარად, ან კიდევ ცხადად,
საითაც წავალ, ყველგან დამხვდება. (მიდის)

ასლან. მომზადებული სიტყვა სათქმელად
ყელში ჩამიწყდა, ვერ ვხმარობ ენას...
შემთხვევას ვკარგავ, თუ არ გავბედე... (ნინოს)
მოითმინეთა ცოტა, თქვენს ლხენას!
ვომისმინევით თქვენს ყურ-მოჭრილს ყმას
საჭირო საქმე—საქმე ცრემლების...

ნინო. (შესდგება) საჭირო საქმე? არაფერია
ჩემს და შენს შუა—მოსისხლე მტრების.

ასლან. დიდი, ცისკარო აღმოსავლეთის,
იმედო, ბეჩავ-დამწვარ გულისა!
ვიწვი, ვიდაგვი ძლიერის ცეცხლით,
მომეც მალამო გრძნობათ წყლულისა!

ნინო. როგორ, ბედკრულო, ვინა გგონივარ,
რომ ჩემთან მაგა სიტყვებსა ჰბედავ?!
ვფიცავ სამშობლოს დაავადებულს...

ასლან. ნუ მრისხავ, ტურფავ, ვდნები, ხომ ჰხედავ!..
ძალმიძსა შენი მეც დაფასება,
არ მოგექცევი, როგორც რომ მტერი;
შეურაცხყოფა არა მწადიან,
არც გაძალადებ ძალისა მჭერი.
ვითხოვ მხოლოდა შებრალებასა...
შენ დამიკოდე ზვიადი გული...

მეომრის თვალზედ ცრემლს ვინა ჰნახავს—
კლდე უნდა იყოს გამაგრებული!
მე კი შენ თვალთა ცრემლად დამცალეს,
არ მასვენებენ შენი წარბები...
ორჯერ ძლივს გნახე, მაგრამ მაგითაც
შენის ეშხითა მე ვიბნიდები;
დღე და ღამ თვალ-წინ შენი სახე მაქვს,
არა მშორდება... ვერც მოვშორდები!..

ნინო. ეჰმარა, უგნურო, თავხედო გმირო!
რას ჰბოდავ, მგონი, შენ არც კი გესმის!..
ვისთან გაქვს საქმე, იქნებ არ იცი?
მე ქართველი ვარ... ეს ვალი გესმის?
შენ ხარ მტარვალი, ჩვენი ამკლები,
გამწყვეტი ყოველ საცხოვრებლისა,
შემგინებელი სარწმუნოების,
წამრყვნელი ტურფა დედა-ენისა.
ერთად კი ჩვენი სამშობლოს მტერი,
ქართველი კაცის სისხლისა მსმელი...
ეს არ იკმარე, ეხლა სხვას ითხოვ,
რომ გავხდე შენი შემბრალებელი!
მერე ვინა ხარ? სადაური — სად?
ვის უწვდი ხელსა სამეგობროდა?
რა ტომისა ხარ, სად დაიბადე?
შენს მამა-პაპას რა რჯული ჰქონდა?
მე ჩვენს ამკლებელს არ ვცემ იმ პატივს,
რისაც ღირსია მამულის მცველი...
და, ეფიცავ კვალად, ხმა აღარ დასძრა,
თუ გინდა—გქონდეს ეგ თავი მთელი!

ასლან. თუმც ეგ, რაცა სთქვი, მართალი არის,
ავიკლეთ მხარე, არ ვიცი ვინ ვარ...
მაგრამ ეს ჩემი გრძნობა წრფელია,
შენ ფეხის მტვრადა, მონად შევქმნილვარ!..

ნინო. ხმას არ გაიკმენდ! იძულებულს გყოფ,
რომ შენი თაფლი შენვე ჩასჩქლამო...
(გაიძრობს ხანჯალს და შეუმაღლებს)

ასლან. (მუხლებზედ დაეცემა) Oჰ, ნეტარებავ, ჩემთვის სიკვდილი
შენგნით ტკბილია, მკურნალ-მალამო!..

ნინო. (შესდგება) Ვხედავ ჩემს ფეხ-ქვეშ ქვეყნის მბზარავ ლომს,
სულით ხორცამდე დაავადებულს;
მაგრამ არა აქვს ნება ექიმსა,
წამალი მისცეს მისს გრძნობათა წყლულს!
აღარ გაჰბედო ჩემთან ეგენი,
არც ხომ შეგისმენ, არც შეგიბრალებ,
თავსაც გაგიხეთქ. უცხოს, ურჯულოს —
სამშობლოს მტერსა არ გავახარებ. (გადის) [ვარო?

ასლან. (გაშტერებული დარჩება) რა ვქნა, რა ვუყო რა მოვაგ-
მაზედ ფიქრი მე ჭკუითგან შემშლის! (სდგება)
გავქრისტიანდე და გავქართველდე,
ღვიძლი ძმა გავხდე ოსმალთა მტრების?...
ვინ მასწავლის გზას ხსნის კარებისკენ?
ვინ შემიბრალებს, მასთან რა შემყრის?..
(ძალიმედ ჩაფიქრებული გავა)

შემოდის მსახური და შეხვდება ისკანდერს.

ისკანდერ. ძმობილო, მითხარ, ამ სახლს ეკუთვნი?

მსახური. Aმ სახლს ვეკუთვნი, მაგრამ შენ სცდები,
შენი ძმობილი მე რათ ვიქნები?!
შენ ურჯულო ხარ — ჩვენი ამკლები,
მე-კი ქართველი...

ისკანდერ. Mაგის პასუხსა
მე მაშინ გეტყვი, როს საქართველო
ოსმალ-თათრისგან გაიწმინდება
და გაცოცხლდება ეს ტურფა მდელო.

მსახური. შენ გულ-კეთილი კაცი მოსჩანხარ,

თუმც ქურქი გასხავს უწმინდურისა
ალკანდერ. მაშ მითხარ, ეხლა სად არის ასლან?
მსახური. მჯერა — არც მჯერა ჩემი ყურისა!..
შენი ნათქომი?.
ალკანდერ. მასთან საქმე მაქვს
მაგის შესახებ. მითხარ, სად არი?
მსახური. აქეთ წავიდა სასეირნოთა
დაფიქრებული, გაუღიმარი. (კვა)
ალკანდერ. მეორედ მოველ, შინ არ დამიხვდა;
მაშ როდის ვნახავ აქ მე იმასა?..
იქ წავალ, ვეტყვი, მოვაგონებ მას
წარსულს ცხოვრებას ბავშვობისას;
შემდეგ-კი საქმეს შევუდგეთ ახალს—
ჩვენის მამულის გამოხსნისასა.
თუ არ ვეცადეთ, საქმეს წავაგებთ,
ოსმალოები სხვა რიგს აწყობენ;
ვაჰ, თუ გაცრუვდეს გულის წადილი,
ჩვენები მაშინ რას გააწყობენ! (კვა)

ს ცენა II

ჯიმშერის ზვრის ერთი მხარე

შემოდიან **გოდერძი, რობიტი** და **ქალა, მოუძღვით მეზვრე,**
უკან მსახური მოსდევთ

გოდერძი. ჩვენს მეტი კიდევ მოვიდა ვინმე?
მეზვრე. **დიალ,** ბატონო, გახლავან სამნი,
თქვენს მობრძანებას მხოლოდ უცდიან.
გოდერძი. **აი** ჩვენც მივალთ. **შენ,** ჩემო **რობიტ,**
ნუ დაიწყებ იქ აურ-ზაურებს;
ეხლა ერთ-ურთში განხეთქილება

საქმეს წაახდენს, არ გამოდგება.

რობიტ. მე რას დავიწყობ, თუ არ მიმიყვანს
იმ ზომამდისა უქმი ლაყბობა,
თუ გავაკეთებთ საქმეს, ხომ კარგი;
არა და მე რომ არ მოგიწონოთ
უსაქმურობა, ეს საწყენია?

გოდერმა. მეხლანდელს ყოფას უსაქმურობა
არ ურჩევნია, არ გამოდგება,
ეს ყველამ ვიცით ძალიან კარგად;
მხოლოდ ჯიმშერს რომ ეკამათები,
ეგ კი არ მომწონს, არც გეკადრება.

ქიტა. ძმაო, რა დროის კამათობაა
სარდლობაზედა, გინდ სხვა რაზედმე!
ჩვენ ეხლა ყველა იმას ვეცადნეთ,
როგორმე ერთად მხარი მხარს მივსცეთ
და შეერთებით რომ გავძლიერდეთ
მტერი შევმუსროთ, ქვეყანა ვიხსნათ.
მე იმედი მაქვს, რობიტი მაგას
სულაც არ იზამს, რა საქნელია!

რობიტ. არ ვიზამ... მაგრამ კარის დათმობა
როგორ გაჰბედა? მაგით დაგვღუპა.
ამ განსაცდელში ვის წყალობით ვართ?
ამის შემდეგ ის რა საქმეს შესძლებს!
მე ვამბობ მხოლოდ, რომ ვერ შეიძლებს,
სხვა აურ-ზაურს რაღას დავიწყებ.

გოდერმა. ძაცო, რადა ხარ ახირებული!
შენ თითონ იცი, რათ დასთმო კარი...
გათენებისას, როს შენც ჰხვრინავდი,
ოსმალო ციხეს ოთხივ მხრივ ეცა;
დარაჯებმაცა დროით ვერ გვამცნეს,
შემოუტიეს, კარნი დალეწეს,
მძინარე ჯარმაც ველარ გვიშველა
და მით იძლია ჩვენი ქალაქი.

შენც იყავ მცველად ერთის კარისა,
რად მიეც ნება მტერს შემოსვლისა?
განა რომ ძილი თვალებზედ ვეწვა,
შენ ამას ბრალად არავინ გადებს!
მასთან გვიმტყუვნა ჯარის სიმცირემ.

რობიტ. ჩემი საქმე სულ სხვა რიგად იყო...
მაგრამ სარდლობა მე რომ მჭეროდა,
ეგრე ძაბუნად ვერ ჩაგვიგდებდნენ ..

ქიტა. მერწმუნე, ვერც რას შენ გაჰხდებოდი,
ტყუილი არის ეგ დაქადება.

რობიტ. ეგრე გგონიათ...

გოდერძ. ძარკი, წავიდეთ,
იქ საქმეს სრულად გავაჩიხრიხებთ
და ჩვენს რობიტსაც დავიყოლიებთ. (მეზვრეს)
შენ აქ იყავი, კარგად სდარაჯე,
აი ეს ბიჭიც შენთან იქნება. (გადიან ფრთ გარდა)

მეზვრე. ბიჭო, ხაზუავ, რობიტს რა მოჰდის,
რაზედ დგას ეგრე ცივს უარზედა?

ხაზუა. შენი ბატონი ხომ სარდალია,
მაგას-კი უნდა, რომ თითონ იყოს
და იმას, ჰფიქრობს, ხლინკები ჭგდოს.

მეზვრე. ჩემს ბატონთან ეგ ფეხს ვერ გაიწვდენს,
ჩემი ბატონი გაჯეჭკილია
ომის ქარ-ცეცხლში ვითა ფოლადი,
გაჭირებისა ტალკვესი არი,—
ეგ კი უბრალო ბაქი-ბუქია
მის ნახევარი გამოცდილება
არც კი აქვს მაგას, რით ეჯიბრება?
ბატონი მოდის...

ხაზუა. შენი, თუ ჩემი?

მეზვრე. შენი, აქეთგან.

ხაზუა. რათ მობრაცუნობს?..

შემოდის გოდერძი

გოდერძ. ჯიმშერი ნეტავ რათ იგვიანებს...
იქ ხალხი იმის მოსვლას-ღა ელის,
ცოტა კიდეცა ფხუკიანობენ,
რათ გვაცდევინებს ამდენს ხანსაო...
მაგრამ აგერა ისიც ხომ მოდის. (შემოდის ჯიმშერი)

გოდერძ. ძაცო, სადა ხარ ამდენი ხანი?
შენს მოლოდინში სული ამოგვძვრა!

ჯიმშერ. საქმეში ვიყავ, ვერ მოვიცალე,
მაგრამ რას მერჩი, დროზედ მოვედი!
სწორედ ეხლაა დრო საუზმისა.

გოდერძ. რა საქმე იყო?

ჯიმშერ. აი რა საქმე:
გუშინ წინ კაცი გავგზავნე გაღმა,
რომ ხალხი აგებ გამოგვეშველოს;
მეორე კიდევ—მთაში, რომ იქაც
შეატყობინოს ბარის დაცემა.
დღესა ვცდილობდი, შამეტყო რამე,
ოსმალოები რას აპირობენ,
მაგრამა მოვცდი, ვერაფერს გავხდი.
სხვა წვრილმანები სად მოგითვალო,
ფეხის გადადგმა საქმით სავსეა.

გოდერძ. მზირები კარებს როგორ გავიდნენ?

ჯიმშერ. ოსმალოების ტანისამოსი
ვუშოვნე, იგი ჩავაცვი ბიჭებს
და ისე მშვიდად გავიდნენ კარებს,
არც-კი უკითხავთ, რისთვის მიხვალთო.

გოდერძ. ეგ-კი ძალიან კარგი გიქნია,
მაშ უფრო ადრე შეგვეწევიან?
რობიტი მაგას სად მოახერხებს!

ჯიმშერ. როგორ, ის კიდევ თავისას ამბობს?

გოდერძ. დიახ, რობიტი ისევ ჯიუტობს,

იმის სარდლობა არ იქნებაო:
მაზედ ღირსეულ სხვებიცა გყვანან;
აქ დასწრეთაგან მეტი ნაწილი
ჩამომავლობით მაღლა დგანანო.—
და მაგალითად ვინ მოიყვანა! —
თავისი თავი წამოაყენა.

ჯიმშერ. მე იმას არც-კი ვათხოვებ ყურსა...
ამ უბედურს და გაჭირვებულს დროს
სულ მეტი არის ეგ ლაპარაკი.
აქ ბევრსა ჰნიშნავს გამოცდილება,
რაც სხვებს არავის მოეპოვება;
თორემ სარდლობა, თუ სხვა უფლება
არავისათვის არ შემშურდება.
მაგრამ თუ მხოლოდ შთამომავლობას
მე მიწუნებენ, თამამად ვიტყვი:
ვერ ვინ უძრახავს ჩემს მამა-პაპას
ვერც ვაჟკაცობას, ვერც ერთგულებას!
და ეს იცოდეს კარგად ყველამა:
წინა-პართ სისხლი მიჩქეფს ამ ჩემსა
მოხუცსა მკერდში აღქაფებული,
მათის სახელით დღემდის ვქებულვარ,
კვლავცა ვიქნები მე დიდებული?
და ვერც არავინ შემიშლის ხელსა,
რომ აღვასრულო ვალად დებული!..

ბოდერმ. ნუ სცხაროობ, ჯიმშერ, სხვები არც ერთი
არ არის მომხრე იმ სულელისა,
შენ იმოქმედე გაბედულობით,
ქვეყანა შენგნით შვებას ელისა.

ჯიმშერ. მაშ, ჩემი საქმე პირველ ის არის,
რომ მავნე პირი არ ვიყოლიო
და ხელი რობიტ მე დავამწყვდიო?
თუ დღეის შემდეგ თავისუფლადა

ეგ ინავარდებს აქეთ-იქითა,
ოსმალთა გაგვცემს, ჩვენ გვიღალატებს
ჩემდამო მხოლოდ შურის ძებნითა...

გოდერძ. შენი ნებაა... კარგი, წავიდეთ —
მოთმინებითგან არ გამოვიდეს
იქ მომლოდინე ჩვენი კრებული. (გადიან)

მეზგრე. ეჰ, ბიჭო ხაზო, ჩემს ბატონს, ჰხედავ,
ჩამომავლობის წუნსაც-კი სდებენ!

ხაზუა. რა ვუყოთ მერე? ჩვენ ხომ ეს ვიცით.
შენი ბატონი დანარჩენთ ყველას
საქმით თუ სიტყვით გაცილებით სჯობს:
მაგრამ მე ვიცი ძალიან კარგად,
რომ მარტო რობიტ — ეგ ოჯახქორი,
არ ჰყაბულდება, თორემა სხვები,
დროს რომ ჰხედავენ ესეთს გასაჭირს,
თვის მხსნელად მხოლოდ ეგღა ჰგონიათ.

მეზგრე. ეგრეც იქნება... ყველა ჭკვიან კაცს
ესმის, რომ ეხლა შეერთებული
ძალა სჭირია მამულს სახსნელად.

ხაზუა. დაიცა, ტუხავ, ეს ურჯულოა!
აქ საით მოდის, რა ესაქმება?...

მეზგრე. დაღონებულს ჰგავს... გაბრუებულა...
თითქოს ვერაფერს ვერა ჰხედავდეს...
ეგ ასლანია... აქეთკენ მოდის
ეგ ოჯახქორი... რა უნდა ვუყოთ?..

ხაზუა. რა უნდა ვუყოთ და გავისტუმროთ
დაურიდებლად, რა გვეფერება;
თუ გაძალადდა, კარგებიც ვადოთ!..

მეზგრე. იქ ხალხის ყოფნა არ ვაგრძნობინოთ,
ისე მოვიქცეთ...

ხაზუა. შენ მე დამაცა...
(შემოდის ასლან ჩაფიქრებული)

ხაზუა. აქ რას დასდიხარ, რას დასანსალებ?
ეხლავ გაბრუნდი, თორემ ინანებ!.. (ასლან განაგრძობს)
შეზგრე. მაღლა უთხარი, არ ეყურება.
ხაზუა. ჰა, შე ურჯულო, არ გეყურება,
გაბრუნდი მეთქი!..
ასლან. (გამოერკვევა) ჰა... რას მეძახდი?..
რა გინდა ჩემგან?.. ან დაგიშალე?..
ხაზუა. დაგვიშალე, მაშ, მუშაობაში!..
შეზგრე. (ჩუმათ) ნუ სტყუი მაინც...
ხაზუა. დამაცა, კაცო!..
ასლან. მაშ, კარგი, ძმაო, უკანვე წავალ;
აქ უცაბედათ თურმე მოვსულვარ... (გაბრუნდება)
ხაზუა. ბიჭოს, რა მალე შევაშინევით!
მე-კი მეგონა, ჩხუბს აგვიტეხდა
და მოვემზადე ჯავრის საყრელად.
შეზგრე. ეი არ შეშინდა, ფიქრს არ დაეხსნა,
იმიტომ ისევ უკან გაბრუნდა!
თორემ ისეთი მეომარია,
რომ ჩვენისთანა ცხრა არ ეყოფა.
ამ ჩვენი ციხის აღების დროსა.
ისე ბრდღვინავდა, როგორც ძუ ლომი;
ციხეზედ პირველ ეგ ამოვიდა,
ვერავინ წინა ვერ გადაუდგა!
ეტყობა, ეხლა ფიქრს შეუპყრია,
თორემ შენს თავხედს შეძახებასა
შეგანანებდა... ეჰ, ერთს დროშია
მეც კი შემეძლო სახელით კვეხნა,
მაგრამ ჭალარამ დამრია ხელი,
ძლივს-ღა ვვარგივარ მიწის მუშათა!..
აბა, საქმესაც ნუ დავივიწყებთ.

სცენა III

ზვრის მეორე მხარე

შემოდის ასლან ჩაფიქრებული, კუნძულად ჩამოჯდება; ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ გამოერკვევა.

ასლან. ჰო, მართალია... სულ მართალია!..
მიტომაც მოჰხვდა გულს ვით ისარი!
სადაური ხარ, რა ტომის ხარო...
ვინ უთხრა მაგას, ნეტა ვინ არი,
რომ მე უბადრუკს, ქვეყნის მეტს ბარგსა,
არ მაბადია იგი არც ერთი,
რაც-კი მან მკითხა, მისაყვედურა
და გამიწყრომა ამითი ღმერთი.
მართლაც, აქამდის საღ მემალვოდა
ამ ტანჯისათვის ეს საკითხავი?
რატომ აქამდის არ მომაგონდა,
რათ დამავიწყდა მე ჩემი თავი?..
ჩემი თავი-თქო, ვამბობ ამაყად,
მაგრამ, საბრალოვ, შენ-კი გეკუთვნის?
დიდი ხანია, ის სხვამ წაგართვა
და ისე ხმარობს, ვით თითონ ჰსურის! (წამოიჯრება ფეხზე)
თუ არ მეკუთვნის, მაშ, მე რაღა ვარ,
რას ვემსგავსები, ქვეყნად რა მქვიან?
მღილი მცოცავი და ჭიაღუა
ჩემს ამაყს თავსა რით არ სჯობიან?
თუ კაცსა თავი თვით არ ეკუთვნის,
განა ის კაცად სახსენებია?!
მას ყველა გრძნობა შეხუთული აქვს,
სურვილ-ნება გაჰქარწყლებია!
ნეტავ ვიცოდე ამ ყოფა-ბედში

რა შემთხვევისა წყალობითა ვარ,
ან ვინა მშობა, სად დავიბადე,
გადმოვარდნილი რომელ მხრითა ვარ?
ნუ თუ არ მყვანდა მშობელი დედა,
რომელიც აკვანს ნანით მირწევდა?
ან მამაჩემი რა კაცი იყო,
რომ შვილსა ობლად ასე სტოვებდა?
ან არა მქონდა ნუ თუ სამშობლო
თავზედ უმეტეს ტკბილ-საყვარელი?
რა ვარ ტიალი უდედ-მამოდა,
ან უმამულოდ ბედის მძებნელი?..
ცოცხლებშია ვარ გამოკლებული,
ჩემთვის წარსული დაბნელებულა;
აწმყო—ეს ყოფა არა რა არის,
მომავალისა ცა მოღრუბლულა!
მშობელთ არ ცოდნას კაცი გაუძლებს,
თუმც მოსასმენად საზარელია;
მაგრამ არ ცოდნა სამშობლოსი კი
მიწამდის კაცის დამთრგუნველია...
უმიწა-წყლოთა კაცი რა არის?
სადაც-კი წახვალ, ყველა მას გკითხავს:
სადაური ხარ, სად დაიბადე,—
რომელი მხარე გირწევდა აკვანს?
მე-კი, ოხერი, მოკლებული ვარ
ამ გვარს კითხვაზედ პასუხის გებას!
იანიჩარად გაუფხეკივართ,
უნდა ვემონო მუდამ სხვის ნებას!..
იქნებ მეც მქონდა ტურფა სამშობლო,
სადაც ამ გვარად ჰშვენოდა მთები,
და მის კალთებზედ გადმოწოლილი
თეთრის გვირგვინით შავი ტყეები;
შიგ რომ გამოსჩქეფს ჟღრუნტულა წყარო,

აგერ ტყის ბოლოს მიიკლაკნება...
საამოდ მფშვენსა ყვავილთა გუნდსა
ჰსურს მთლად დააშროს ის უკვდავება.
იქნება იქაც ტურფად და ნაზად
სოფელს გარს ჭალა ვაზის მორტყმოდეს,
და საამურად—შესაშურებლად
ჭიგოსა ვაზი ჩაჰკონებოდეს!
ქნება ვარდზედ ეშხით დამთვრალი
ბულბული ზილსა აკამკამებდეს,
და მის მსმენელი ჭაბუკის გული
სატრფოზედ ოხვრას გაახშირებდეს?..
მაგრამ მე ყველა დაკარგული მაქვს...
მხსნელად ღა მიჩნდა მართ სიყვარული;
ისიც ხომ სატრფომ დაბუგა-დასწვა,
შევიქენ სრულად დაობლებული.
ოხ, ღმერთო, ღმერთო, ესრე უბრალოდ
რად მკარგავ შენი ხელის ქმნილებას?
რად მომაკელი მშობელს მიწა-წყალს,
რად დამანატრე მე მისს შვილობას?!. (ჩაფიქრდება)

შემოდის ისკანდერი.

ისკანდ. ეტყობა, მწარე ფიქრს შეუპყრია,
რომ ვერ გაიგო ჩემი ფეხის ხმა...
სხვა რა იქნება იმის მეტი, რომ
ენგიჩარია—დაკარგული ყმა...
(მივა ხელს დაადებს მხარზედ, ასლან შეკრთება)
რა არის, ასლან, ფიქრს მოუცვიხარ,
თითქოს მოეცეთ შენთვის მეფობა,
და არ იცოდე, რა გვარად უნდა
ოქროს ტახტითგან უზომო ფლობა?

ასლან. ისკანდერ ძმაო, ფიქრმა წამიღო
და გამიტაცა, აღარ მასვენებს;
სულს ჰხუთავს, ჰბურავს, გულს მუხრუჭს უჭერს,

გონებას ხომა მირყევს, მისენებს.
ისკანდ. **რა** არის, კაცო: ეგეთი რამე,
რომ გრევს და გტანჯავს, აბა მითხარი,
იქნება საშველს გავხდე რითიმე...
ასლან. **Ა**რა, ის ძლიერ დუხჭირი არი.
ისკანდ. **მ**ითხარი, სცადე, თუ ვერ გაგკურნო,
დამემდურევი; ეხლავ-კი გატყობ,
რომ ისეთს რასმე გამიზიარებ,
რითაც დრო-ჟამით მეცა ვვალალობ.
ასლან. **შ**ენ რაღაზედა? შენ რა გაწუხებს?
ისკანდერ. **ჯ**ერ დაიწყე ღა და გაათავე,
მერე მეც გეტყვი: სად იმალება
შენი და ჩემი ნაღვლის სათავე
ნუ დამიმალავ ნურაფერს ტანჯვას,
ძალ-ღონის მომშლელს მწუხარებასა;
დაფარულ გრძნობათ გაზიარება
გულს ალხვობს, გვაძლევს ნამდვილს შვებასა.
იმედიც გქონდეს, თუ ისეთია,
არ გამხილდება არასოდესა;
თუ გიღალატო, მაშ ძმობა შენი
გაჭირვების დროს გამწყრომოდესა!
ასლან. **ი**მას ეგეთი ფიცი არ უნდა,
უმაგისოთაც ხომ მოგენდობი;
მაშ, გამიგონე, რა ჭლრღნის ჩემს გულსა,
გეტყვი, რაც არის ჩემი მომდნობი.
ჩვენ ვართ უბრალო იანიჩარნი,
ხონთქრისთვის დანა, სახმარი მჭრელი;
ჩვენით ქვეყნებსა სცარცვავს და ჰყვლეფავს,
არა ვინა ჰყავს მას მადლობელი.
არ გაგვაჩნია ზღვა და ხმელეთი,
კლდე-ღრე, უდაბნო, მთა-ტყე და ველი...
არაფრის წინა ჩვენ არ დავიხევთ,

მით გვსურს მოვხვეჭოთ გმირთა სახელი.
სხვის ბრძანებისა ყურ-მოჭრილნი ვართ,
ჩვენ არ გვეკუთვნის ჩვენივე თავი;
სითაც ჰსურთ, იქით გაგვირეკავენ...
ესრე ჰქრება დღე გაუკითხავი!
ეს არაფერი... ა უფრო მწარე;
ბევრს ქვეყნებს ვარბევთ, ვიპყრობთ და ვჟლეტავთ;
ხან ვძლევთ აბაშელთ, ვქელავთ ყანდაარს,
თეთრსა და შავს ზღვას ხშირ-ხშირად ვხედავთ;
ბაღდადს არ დარჩა ჩვენგან ქვა-ქვაზედ,
ასურ-ეგვიპტოს ხარაჯა დავდეთ;
ევროპას ჩვენგან თავ-ზარი ეცა,
ავსტრო-უნგრეთში ხიდები გავდეთ...
ამდენ ქვეყნების მიმომსვლელს ერთხელც
თავს არ მომსვლია—დავფიქრებოდი
იმას თუ, რომელს ამ კუთხეთაგანს
მე ღვიძლ შვილადა ვეკუთვნებოდი!
ჩემი სამშობლო რა მხარეს არის,
სად დავიბადე, მამა ვინ მყვანდა?
ანუ მოყვასნი, ნათესავები?
ტკბილ-ლარიბული ქოხი სად მაქვნდა?
სიჭაბუკისა დილის ცისკარი
სხვისთვის ვაქციე შავ ბნელ ღამედა...
ჩემი სამშობლო იქნებ მეტადაც
ჩემს ვაჟკაცობას დამიფასებდა!
იქნებ ჩემს მამულს უჭირს მაშველი,
მტრისგან უზომო ვაებაშია;
მე კი არ ძალ-მიძს მას მივეშველო,
დავედო წამლად ჭირ-ვარამშია!..
აი ეს არის, რაც მე მაღონებს,
რამაც შესცვალა ჩემი გუნება.
მხოლოთ აქ ერთის შემთხვევის გამო

სხვა გვარ გარდიქმნა ჩემს ბუნება.
სულ სხვა თვალითა შევხედე ხალხსა,
სხვას გრძნობს ეს გული, მით იტანჯება;
მაგრამ კი ნათლად ვერ გავარკვიე,
ვეძებ რა ნამდვილს, კვლავ იხვანჯება...

ისკანდერ. ვხედავ შენს ტანჯვას, ძლიერიც არის;
სწორედ მეც მაგას ველოდებოდი...

ასლან. ხომ არ თვალთ-მაქცობ, ისკანდერ ძმაო?
როგორ თუ შენც მას ელოდებოდი?!.

ისკანდერ. მეც შენებრ, იცი, ენგიჩარი ვარ,
მეც შენებრ ვიბრძვი სხვისა გულისთვის,
მაშ რაღად გიკვირს, ეგეგვე დარდი
რომ იყოს მტარვლად ჩემი სულისთვის?..
ერთს ტაფაში ვართ ორნივ ჩაყრილნი,
მიტომ ველოდი შენგან მაგის თქმას;
და რაკი ვიცი ნამდვილი წყლული,
ჩემის წამლითა მას შევყრი რისხვას!

ასლან. მას შემდეგ რაც შენ იმ დღესა მნახე,
და გამეფიცე ძმად და მეგობრად,
ისე გენდობი და შემიყვარდი,
რომ შენღა მყევხარ გულის მეზობლად.

ისკანდერ. ბული გულს იცნობს და თვალი იერს,
ეგეც იმისგან გამოწვეულა;
წინანდელს ძმათა მსწრაფლ აკავშირებს
ახალი ნახვა, ვითა ჩვეულა.

ასლან. როგორ წინანდელთ? ერთი ამიხსენ
ეგ გულის ძმობა საითგან არი?

ისკანდერ. ეგეც იქნება. ჯერ რაცა გკითხო,
იმის პასუხი სწორედ მითხარი.
შენ დაანებე თავი აწმყოსა,
ფიქრით-გონებით წადი შორს-წინა,
როს იქნებოდი სამი-ოთხის წლის

და შენს ბიჭობას როცა ეძინა;
რაც მოგაგონა იმ დროინდელი,
შენს გულს ჩაუხდი ძლიერ ღრმა კვალში;
დავიწყებული ფსკერი მოსძებნე
და გაუყარე თვალი მას თვალში.
კარგად გაქექე: დავიწყებისა
ფერფლ ქვეშ იქნება ის დამარხული;
და შეუბერე მეხსიერების
ძალ-ნიავქარი გაღვიძებული.
აბა, დაფიქრდი: შენ გყვანდა ერთი
პაწა გოშია ხელს შეჩვეული;
ძლიერ გიყვარდა; მაგრამ რა ერთხელ
შენი წაელო მას ტკბილეული,
ძლიერ გეწყინა, სცემე იმდენი,
ხელში შეიკალ გაჯავრებულმა.

ასლან. (ფიქრის შემდეგ) ვერა, ვერ ვპოვე ჩემსა ხსოვნაში
მაგგვარი რამე წყალ-წაღებულმა...
მაგრამ სხვანი-კი ბევრი ავშალე,
რა გადავხადე პირბადე წარსულს...

ისკანდერ. რა მოგაგონდა, აბა, მითხარი,
რა ელფერი აქვს იმ შენგან ნახულს?

ასლან. მახსოვს, ვიყავით ტოლ-ამხანაგნი,
ბაღში ვისხედით და ვთამაშობდით;
ბაღთან პირდაპირ დუქანი იყო;
ჩვენ იქით არც-კი ვიყურებოდით...
უცებ მოგვესმა დიდი კიჟინა,
ლანძღვა-გინება დიდის ღრიალით...
მაშინ მივცვივდით ღობეს და ვნახეთ,
ერთს კაცს მკერდში სდის სისხლი თქრიალით.
გადაქცეულა, სახე ეპრანჭვის,
სულს ჰლევს, კაცისთვის საზარელია...
შეშინებული გავიქეცი შინა,

ფერმკრთალი შემხვდა ჩემი მზრდელია.
მაშინ ნახვისგან გული გამისქდა,
ეხლა-კი თვით ვარ რის ეარ მქნელია!..
კიდევაც მახსოვს თითო ოროლა,
კანტიკუნტათა თავს ჩამრჩენია...

ისკანდერ. შენ მართალი ხარ; სწორედ იმ დროსა
მეც შენთან ვიყავ მოთამაშეთა;
ეგ ამბავი რომ ნამდვილად იყო,
თვით ჩემი ხსოვნა მყავს მოწამეთა.
ერთს კიდევ გკითხავ: გახსოვს, ბიჭები,
ჩვენი ტოლები, ოავლის ბანითგან
ძირს დაბლა ვხტოდით, ვიჯიბრებოდით,
არ ვუგდებდით ყურს ლანძღვას სახლითგან.
ამ დროს-კი ერთი რა გადმოხტა ძირს,
ელრძო ფეხი და წაჰსვლოდა გული..

ასლან. მგონია, იმ ბიჭს ჰყვანდა ბებია,
ერთი აშარი, აქოთებული,
და რა გაიგო მან ეს ამბავი,
სულ ყველა სახრით ლანძღვა-გინებით
კარგათ დაგვჯოხა, ტანი გვისუსხა
და გაგვაძევა ცრემლთა დინებით.

ისკანდერ. ოჰ, ვენაცვალე, შენს ძმობას, ასლან!
მე მეტი აღარ მჭირდება კვლევა;
შენ ის ჰყოფილხარ, ვისაც გამგზავსე
და ეხლა გინდა მხოლოთ მოკვლევა!
ჩვენ ორნივ, ძმაო, ვართ ქართველები!
აი სამშობლო, ჩვენი მამული,
რომლის არ ცოდნას ისე სტიროდი,
მის პოვნით იყავ შენ მხიარული!
აი ის მთა-ტყე, მინდორი ფართო,
კავკასით-ცივით უხვად მორწყული;
ზამთარ-ზაფხულის იქ მთათ ყინული,

ვაზით და ყანით ბარი მორთული...
აგერ ვაკეზედ, მწვანით შემკულზედ
პირ-ჭალიანი ალაზნის ზოლი,
ობოლ მუხებით არე მორთული...
იფ, ამ მშვენებას სადა ჰყავს ტოლი!?.
და ეს ხომ შენს თვალს სიყრმით სჩვევია,
გულს ნეტარებით იგი გივსებდა!
ეხლაც, მგონია, მთელს შენს არსებას
უკვდავებასა აგრძნობინებდა!

ასკანდ. (განცვიფრებული) როგორ?..საითგან?..მე ქართველი ვარ?!.
შენ საითგან გაქვს გამოკვლეული?
რით დამაჯერებ სიმართლეზედა?
გთხოვ, დამარწმუნო გზა-დაბნეული!

ასკანდერ. ძალიან კარგი! ეგ ადვილია.
კიდევ გიამბობ ერთსა ამბავსა:
ვიდრე ვიყავით ჩვენს დედ-მამასთან,
ბევრჯერ ვხედავდით კარგს სანახავსა...
მაგრამ ოსმალო რომ მოგვესია,
(იქნება ასე თვრამეტი წელი),
სულ მთლად აიკლო ჩვენი კახეთი,
ტყვეთ წაიყვანეს ბევრი ქართველი...
აი მაშინ ვართ მოტაცებულნი,
მაშინ მოვაკლდით ჩვენს მიწა-წყალსა.
ბევრი ეცადნენ ჩვენი მამები,
დიდხანსა სდიეს ოსმალთა კვალსა,
მაგრამ ვერა გზით ვეღარ გვიშველეს,
და დავრჩით, ჰხედავ, ოსმალთა ხელში.
ერთად ვიყავით ჩვენ შეკრულები,
ორსავე მოგვდეს თოკები წელში...
როცა ცხენს უნდა გადავეკიდნეთ,
შენ გასძალადდი, მორთე ტირილი;
მათ მოგიქნიეს ხანჯალი თავში

და დაგიყუჩეს შიშით ყვირილი.
დანიშნულს ადგილს თუმც ვერ მოგარტყეს,
დაგკოდეს ბავშვი უძლურს მკლავშია,
რაც მე შეგატყე სისხლის დღნაზედ,
როს გამოგვრეკეს ძალით კარშია.
ამის ნიშანი თუ გაქვს მკლავზედა,
მით დაგაჯერებ შენს ქართველობას,
და მაშინ, ვიცი, აღარ ახანებ,
მამულს შესწირავ შენს ვაჟ-კაცობას. [მაკრთეს,

ასლან. (გაკვირვებული) მახსოვს, რომ ხანჯლით ერთხელ შე-
დაჭრა არ მახსოვს, არც გამიგია...
შენ ამბობ მკლავში დაჭრილი ხარო,
თუმც-კი, რაც ვომობ, არ მიმიღია
მკლავში ჭრილობა ერთი ნამცეცი...
რომელში? მარცხნივ...

ისკანდერ. ვგონებ, იგია!

ასლან. მაშ, აბა ვნახოთ შენი სიმართლე.
(იხსნის მარცხენა მკლავს, ისკანდერ ჭშვლის)

ისკანდერ. დაიცა, მკლავის ამ თავში არის...
აი! დარწმუნდი, მართალი მითქვამს,
კარგად გეტყობა კვალი იარის...

ასლან. (გაისინჯავს) მართალი გითქვამს, ძმაო ისკანდერ,
შენს საბუთებსა ვემორჩილები!..
ჩვენ ვართ ქართველნი, ქართვლის ძუძუთი
გამონაზარდნი, მისი შვილები!..
აღშფოთებული აქამდის გული
დასცხრა, დაწყნარდა, დაიდო ბინა;
აღარც გონება მერევა ცუდათ,
სრული სიმშვიდე სხეულს მომფინა.
აღარ მსურს შენგან სხვა საბუთები,
თვით ჩემი გული მას მეუბნება!
ყოველიფერი ამ მხარეშია

სალამს დაკარგულს შვილს ეუბნება.
სიამოვნებით მევსება გული,
მეც მივესალმი აღტაცებული;
და ვთხოვ ყველასა, ისევ მიმიღონ,
შემრაცხონ შვილად დაბრუნებული!
თუმცა აქამდის ეს ტურფა მხარე
თვალში საამოდ მეჩვენებოდა,
მაგრამ ჯავრისგან მე გონ-არეულს
მით უფრო ბოღმა მემატებოდა!

ალკანდერ. ხომ გახსოვს რამე—მცირე მაინცა
იმ მწარე, შავ და ბნელ წარსულიდან,
როცა ოსმალურ ზნითა გვმოსავდნენ,
ნელ-ნელა გვგლეჯდნენ ქართულს გულიდან?
ტანჯვით ვცხოვრობდით... ჯერ არ ვიყავით
სათარეშოთა გაგზავნილები ..
ჩვენს ჭირს-წუხილზედ, დროს თუ ვიგდებდით,
ვიჩურჩულებდით დაღვრემილები,
თუმც მკაცრად გვზრდიდნენ, არ გვშორდებოდნენ
ჩვენდა აღმზრდელად მოჩენილები;
ბევრჯერ უდროვოთ გვაწყვეტინებდნენ
დაწყობილს ბაასს ამრეზილები...
მაშინ, თუ გახსოვს, გეტყოდი ხოლმე,
რომ შორის ქვეყნის ვართ ჩვენ შვილები.

ასლან. ჰო, მაგონდება ზოგი და მიტომ
მწველს ფიქრებს ძალა გაჰქარწყლებია,
თუმცა აქამდის არც ერთი ეგეც
ჩემს ბნელს ჭკუას არ გაჰხსენებია...
ბრძოლის სურვილსა და გმირულს თრევას
ღრმად დაუმარხავს, წაჰფარებია!

ალკანდერ ერთს კიდევ გეტყვი, მით გავათავებ
ჩემგან ნაკისრსა ვაჟკაცურს ვალსა;
იცოდე, რომ ხარ შენ ქრისტიანი

და თაყვანს სცემდე ქრისტე უფალსა,
აღარ წახვიდე ყორანის ჭკვაზედ,
გფარვიდეს ჯვარი და სახარება. .
ვხედავ-რა საქმე კარგათ წავიდა,
მსურს, გითხრა ცოტა რამ აღსარება:
შენ ხარ თავადი, მე აზნაური;
მამაშენს ჩემი ყმად ეკუთვნოდა,
მაგრამ სცხოვრობდნენ ისე ძმურადა,
რომ მეტის ნატვრა აღარ უნდოდა.
ეხლა შენ იცი, გინდ მიმიღე ყმად,
გსურდეს კიდევა—მიგულებდე ძმად.

ასლან. ჩვენში დამყარდეს თანასწორობა...
სხვა არა მწამს რა, არც ღირდა ეგ თქმად!

ალკანდერ. ძარგი, მომენდე, გაგიწევ ძმობას!
ეხლა მე მხოლოდ ისღა მაწუხებს,
რომ ველარ ვიცნო ჩვენი დედმამა...
ეს მიჭერს გულზედ რკინის მარწუხებს.
დაიცა, ასლან, ეს ვილა მოდის?
ალბად მათი რამ ეცოდინება!

ასლან. აქ მივიმალნეთ, იქნებ გავიგოთ,
აქეთკენ რისთვის მოედინება... (მიიმალებიან)
(შემოდიან **რობიტ** და **ქიტა**)

ქიტა. სწორედ რომ გითხრა, მტყუანი შენ ხარ,
ჯიმშერს ტყუილად დავემდურები.
პირველად შენვე აკადრე სიტყვა,
რასაც უარ-ჰყოფს კაცის ყურები,—
და რაღად გიკვირს, რომ გიპასუხოს,
არც რამ დაგითმოს საყვედურები;
შენ მაინც მარად შენსას იძახი,
არ გსურს გაიგო სხვისა თქმულები...
მაგრამ რაც იყო, იყო, წავიდა...
მოდი, შეჰრიგდი პატიოსნურად;

დროს ვერა ჰხედავ? რა მაგის გცხელა!
ყველამ გავწიოთ ულელი ძმურად.
შინაურს მტრობას, შურსა და ქიშპსა
ამ გვარ საერთო გაჭირებაში
არ აქვს ადგილი, უნდა მოისპოს,
ნურც ჩაიბრჯნები ახირებაში!

რობიტ. **მ**აშ დავთმო ყველა, რაც კი მაკადრა?
ნუ თუ სულ ყველა ასატანია?
არა, ეს გული ვერ დასთმობს იმას,
მას ეგ ლაჩრობა არ ატანია!
თუ არ ვიყარე გულის ბუხარი,
ისე ვერ გასძლებს გული მკვნესარი...
ვერა, ვერ ვიზამ მაგ სიმდაბლესა —
ჩემი პასუხი სწორედ ეს არი.

ქიტა **ნ**უ თუ ვერა ჰგრძნობ ამ გაჭირებას,
რაც ჩვენს კახეთსა დღეს მოსდგომია!
ხვალ, ან ხვალზევით დავიწყებთ ბრძოლას,
ყველა ერთ ხმადა ამის მდომია...
იმის მაგივრად რომ შეეცადნეთ,
შენა გწადიან შინვე ომია?!
არ გიყვარს ღმერთი და მის ქმნილება
ეს მარგალიტი — ჩვენი კახეთი?
იქნებ ჩვენ დაგვთმო, კიდეც გაგვცვალო
და აირჩიო შენ ოსმალეთი?..
შენ იცი, ძმაო, მაგრამ იცოდე,
ძმათა ღალატი კაცს არ ახარებს...
მე წავალ ისევ ჩემს მოძმეებთან,
ყველას ჯიმშერი თვით მოაგვარებს. (გავა)

(რობიტი დარჩება ცოტა ხანს ჩაფიქრებული)

რობიტ. **რ**ა სთქვა ამ კაცმა!.. მაგრამ რა ვიცი?..
კაცის თავზედა რა არ მოხდება!..
ჯერ იქნებ კიდევ რა გადავწყვიტო...

შემდეგში ყველა გამოცხადდება... (კვა)
(გამოვლენ ასლან და ისკანდერ)

ასლან. მტრის წინააღმდეგ ალბათ რაღაცა
მათ ყრილობა აქვთ აქ გამართული!
შეხედე, მათშიც ღალატი არის...
ან იქნებ არის ეგ გაბუტული?..
არა, მაგას-კი ვერ დავიჯერებ,
რომ ჰღალატობდეთ მაგისი გული.
მოუფიქრებლად თუ მოუვიდა,
ან ჭკვას არ არის—გადარეული,
როს მოეგება, გამობრუნდება,
კვლავ შეიქნება გულ-მტკივნეული.

ისკანდერ. მეგ იყო სწორეთ გაჯავრებული,
გულ-ავსებულს კი რაღა დაიჭერს?..
მეც ეგრე ვფიქრობ, როცა დასცხრება,
ისევ ქართულად პირჯვარს დაიწერს.
კიდევ მოდიან

ასლან. მაშ მოვიცადოთ. (მიეფარებიან)
(შემოდიან ჯიმშერ, გოდერძი და სხვანი)

ჯიმშერ. რა კი არ სჩადის რობიტი იმას,
რომ შეგვიერთდეს, ძმურად ვიომოთ,
მაშ რაც მოუვა, თავს დააბრალოს,
უმაგისოთაც იქნებ ვიშრომოთ! (კადიან)
(ასლან და ისკანდერ გამოვლენ)

ასლან. რაც ამბავია, ხომ მიჰხვდი ყველას?

ისკანდერ. რაღა თქმა მინდა, ვეშურნეთ შველას!

ასლან. ისევ ვიქნებით ოსმალთ ბანაკში,
ვითომ მათნი ვართ კვალად ერთგულნი,
ვინამ ქართველნი მოგვცემენ მხარსა—
მტრის წინააღმდეგ შეერთებულნი.
მაშ, აბა, ძმაო, წავიდეთ ჯარში,
ამ საქმეს მალე მივყოთ ჩვენ ხელი,

თორემ გაიგე? ხვალ ან ზეგაო,
ვეშურნეთ დროსა, არ არის გრძელი.
ალკანდერ. წავიდეთ გულში სხივ-ჩაშვებულნი,
ახალ საქმისთვის გადადებულნი!..
ასლან. ეს წამი ჩემთვის ძვირფასი არი,
ახალ ცხოვრების შვილადა მშობა;
და ჩემი გულის დამტყვევებელი
ველარ გაჰბედავს, დამიწყოს გმობა...
ალკანდერ. ეგ რაღას ჰნიშნავს?
ასლან. ბეტყვი პირობით,
წამო, ბევრი გვაქვს კიდევ სათქმელი.
ალკანდერ. წავიდეთ, ძმაო, ვთქვათ ჯერ უთქმელი. (კაკვლენ)

ფარდა

დ. ნახუცრიშვილი.

(შემდეგი იქნება)

საქართველოს ექსარხოსები

(დასასრული *)

თ) მეცხრე ექსარხოსად საქართველოში დანიშნულ იქმნა ქიშინიოვის მთავარ-ეპისკოპოსი პავლე (ლებედევი 1882—1887) 16 ივლისს 1882 წ. მან ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებლისთვის შეისყიდა საკუთარი სადგომი; მის დროსვე აღშენებულ იქმნა სადგომი ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლისთვის; შეძენილ იქმნა მიწა და გამონახულ იქმნა საშუალება ბორის სასულიერო სასწავლებლის შენობისათვის; ტფილისის სასულიერო სასწავლებლის შენობა შეკეთებულ იქმნა და გადიდებულ ახალის მინაშენებით; ბრდონში ოსთათვის დაარსებულ იქმნა სასულიერო სასწავლებელი, დაარსებულ იქმნა სასულიერო ქართული გაზეთი „მწყემსი“ დეკანოზ ლამბაშიძის რედაქტორობით; მის დროსვე მოხდა შემდეგი ცვლილება საქართველოს ეკკლესიაში: ძავკავის ეპარქიას შეუერთდა თერგის ოლქი; დასავლეთს საქართველოში დაარსდა ორი ახალი ეპარქია: ზურია-სამეგრელოსი და აფხაზეთისა; დაარსდა სიონის საკათედრო ტაძართან წმ. ლვთის-მშობლის ძმობა, რომელიც პირველ ხანად ცოცხლად და სასარგებლოდ მოღვაწეობდა სასულიერო განათლების სარბიელზედ; იმის დროსვე შეცვლილ იქმნა რამდენადმდე ძავკასიაში ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოების წესდება ამ საზოგადოების საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნულ იქმნა საქართველოს ექსარხოსი; მის დროსვე დამტკიცებულ იქმნა უწმ. სინოდის-მიერ „სასწავლო

---

*) იხ. № 4, გვერდი 363.

გეგმა საქართველოს საეექსარხოსოს საეკკლესიო სკოლებისათვის“, შედგენილი ტფილისის საეპარქიო სასკოლო საბჭოსაგან; ამ გეგმას საფუძვლად აქვს პედაგოგიკის საღი და უტყუარი შეხედულება იმის შესახებ, რომ ქართველი ბავშვის სულის ძალთა და ნიჭთა ჯეროვანი და ბუნების თანახმა განვითარება უპირველეს ყოვლისა მშობლიურ ენის შემწეობით უნდა ხდებოდეს. ამ ენის შემწეობით განვითარებული ქართველი ბავშვი ადვილად სძლევს ყოველს დაბრკოლებას, ხალისით, შეგნებით და საფუძვლიანად შეისწავლის და შეიყვარებს სახელმწიფო რუსულს ენასაც და გახდება შეგნებული ერთგული წევრი რუსეთის სახელმწიფოსი.. ეს საღი და უცილობო პედაგოგიური შეხედულება არარუსთა ბავშვების აღზრდის შესახებ მეტად დამყარებულ-დამკვიდრებულია ყაზანის მხარეში ნეტარ სახსოვარ, უანგარო პედაგოგის ნ. ვ. ილმინსკის მეოხებით... ამ მხარეში არსებობს არარუსთა სკოლებში სწავლების განსაკუთრებული სისტემა, რომელსაც მითვისებული აქვს სახელი თვისის დამაარსებელისა... ზემოთ ხსენებულს სწავლების გეგმას ქართულ საეკკლესიო სამრევლო სკოლებისას, სხვათა შორის, საფუძვლად აქვს ილმინსკის არარუსთა ბავშვების სწავლა-აღზრდის სისტემის შეხედულებანი. 29 ენკენისთვეს, 1887 წელსა, ექსარხოსი პავლე გადაყვანილ იქმნა ყაზანის მთავარ-ეპისკოპოსად.

ი) 1887 წელსა 29 ენკენისთვეს, საქართველოს ექსარხოსად დანიშნულ იქმნა ვალადი (1887—1892), რაევი, ყაზანის მთავარ-ეპისკოპოსი, კაცი მშვიდის და ლმობიერის ხასიათისა. მისი მოღვაწეობა საქართველოში ფრიად სასარგებლო და ნაყოფიერი იყო. მისი მშვიდი ხასიათი და ლმობიერი გული დღესაც-კი ახსოვთ ქართველებსა. საქართველოს შესახებ ყოვლად-სამღვდელო პალლადი კარგის აზრისა და შეხედულების იყო... 1888 წ. საქართველოში მობრძანდა თვისის სახლობით აწ უკვე განსვენებული იმპერატორი ალექსანდრე მესამე... ყოვლად-სამღვდელო პალლადი მიე-

გება მისს უდიდებულესობას ტფილისის სიონის საკათედრო საკრებულო ტაძარში და შესაფერი სიტყვა მოახსენა... ამ სიტყვაში მათმა მეუფებამ საქართველოს სამართლიანად უწოდა „ძვირფასი მარგალიტი რუსეთის სამეფო გვირგვინისა“. ხელმწიფე იმფერატორს მეტად სახსოვრად დარჩა თვისი ეროგულის საქართველოს ნახვა და მისი კეთილ წარმატების ხელშემწყობლად, სხვათა შორის, მათი მეუფებაც დასახა. იმავე წლის დეკემბრის 25 გამოვიდა უმაღლესი წყალობის წერილი ხელმწიფე იმპერატორისა ყოვლად-სამღვდელო პალლადის სახელზედ მათის მეუფებისთვის ბარტყულაზედ სატარებლად ბრილიანტის ჯვრის ბოძების გამო. წერილში სხვათა შორის ხელმწიფე ბრძანებს: „ამ მიმდინარე წელს კავკასიის ნახვამ დამარწმუნა, რომ თქვენმა მწყემს-მთავრულმა მოღვაწეობამ, ადსავსემ სიყვარულის და სიმშვიდის სულით, მოგიზოვათ თქვენ პატივის-ცემა და შვილებრივი სიყვარული მრავალ ტომოვანის სამწესოს მხრით“. განსვენებულის მეისტორიეს დ. ბაქრაძის მოხსენების თანახმად, ყოვლად სამღვდელომ დაარსა ტფილისის საეკლესიო სიძველეთ-საცავი, შესაკრებად და შესანახად საქართველოს საეკლესიო ძვირფას სიძველეთა. სიძველეთ-საცავის დაარსებამ მეტად ხელი შეუწყო საქართველოს ძველის ისტორიულის ცხოვრების შესწავლის საქმეს და საისტორიო კვლევის სარბიელზედ გამოიყვანა რამდენიმე ქართველი განათლებული გვამი, რომელთ შორის საპატიო ადგილი დაიჭირა ბ. თ. ჟორდანიამ და სხვათა.

ყოვლად სამღვდელო პალლადიმ გააძლიერა სამისიონერო მოღვაწეობა ძავკასიაში ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოებისა რომელიც მისის ეკლესიის ხელმწიფის დროს შევიდა მისი იმპერატორებითი უდიდებულესობის ხელმწიფის მეუღლის მარიამ თეოდორეს ასულის უავგუსტოეს მფარველობის ქვეშ... მათის მეუფების დროს თვისი ნაყოფიერი მოღვაწეობა დაიწყო 1888 წელს ძიევის სასულიერო აკადემიაში ახლად კურს-დამთავრებულმა მღვდელ-მონაზონმა

ლეონიდემ (აწ იმერეთის ეპისკოპოსმა), მის-მიერ განწესებულმა ამ საზოგადოების მისიონერად და სკოლათა ინსპექტორად. *) ყოვლად სამღვდელო პალლადიმ განაახლა რამდენიმე ძველი ნაშთი ქართულ საეკკლესიო ხუროთ-მოძღვრებისა და დაარსა ჟურნალი „საქართველოს საეკსარხოსოს სასულიერო მოამბე", რომლის პროგრამმაში საპატიო ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეს. მისივე შუამდგომლობით, 1890 წელს ტფილისის სასულიერო სემინარიაში პირველად შემოღებულ იქმნა საქართველოს საეკკლესიო ისტორიის სწავლება, რომელსაც ამ სემინარიის მოწაფეები, ეროვნების განურჩევლად, სწავლობენ მეოთხე და მეხუთე კლასებში... ბანმარტება აღარაა საჭირო იმისი, თუ რა დიადი მნიშვნელობა აქვს საქართველოს მომავალ მოძღვართა და მასწავლებელთათვის თვისის მშობელის და აღმზრდელის ეკკლესიის ისტორიის ცოდნას.

საქართველოს სამწყსომ დააფასა მათის მეუფების სასარგებლო მოღვაწეობა სასულიერო განათლების სარბიელზედ და 1889 წელსა 28 იანვარს ყოვლად-სამღვდელოს მიართვა კვერთხი ამ თვისის მის მიმართ პატივის-ცემის და სიყვარულის წინდად. ამ დღეს მირთმეულს ადრესზედ უწერია ხელი 2000 ქართველსა. ადრესში სხვათა შორის ნათქვამია: „თქვენის მეუფების სახელს არ დაივიწყებს ქართველი ერი, სანამდის ცოცხალი იქნება. თქვენ შეიყვარეთ ერი და მან, თქვენ-მიერ კურთხეულმა, შეგიყვარათ თქვენ. თქვენ ერთ-ნაირად მიიზიდეთ მკვიდრთა ყოველი წოდება დიდიდგან დაწყებული მცირემდის"...

ყოვლად-სამღვდელო პალლადის უყვარდა ღვთის-მსახურების ღღესასწაულვბრივად შესრულება და განმშვენებული

*) ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის მოღვაწეობას „მოგზაური"-ს შემდეგს ნომერში გავაცნობთ მკითხველებს. ამავე ნომერში მოთავსებული იქმნება მათის მეუფების სურათი. ავტ.

გალობა. 18 ღვინობისთვეს 1892 წ. მათი მეუფება გადაყვანილ იქმნა პეტერბურღის მიტროპოლიტად და უწმიდეს სინოდის პირველ წევრის თანამდებობაზედ.

ია) 1892 წ. 18 ღვინობისთვეს საქართველოს ეკლესიად დანიშნულ იქმნა სამარის ეპისკოპოსი, ყოვლად-სამღვდელო ვლადიმერი (1892—1898), ბოგოიავლენსკი. მან ყურადღება მიაქცია საეკკლესიო მოძღვრების განვითარების საქმეს რუსულსა და ქართულს ენაზედ. მის დროს დაარსებულ იქმნა მცხეთის საპატრიარქო თორმეტთა მოციქულთა ტაძრის გასაახლებლად კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედ თვით ბრძანდებოდა. მანვე დაარსა ტფილისში საეპარქიო სამისიონერო სასულიერო განმანათლებლობითი ძმობა, რომელსაც საკმაო თანხაც შესწირა თვისთა საშუალებითაგან. მათის მეუფების შუამდგომლობით ძავკასიაში ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოების სკოლათა მასწავლებლებს დაენიშნათ პენსია და ებოძათ სახელმწიფო სამსახურის უფლებანი. მათ დროსვე დაარსებულ იქმნა ქ. ძუთაისში სასულიერო სემინარია, რომლის გახსნას რამდენიმე წლის განმავლობაში დიახ გულ-მხურვალედ სცდილობდა იმერეთის ეპისკოპოსი ნეტარ-ხსენებული ყოვლად-სამღვდელო ბაბრიელი. მათის მეუფების დროსვე გახსნილ იქმნა 300-დის საეკკლესიო სკოლა საეკსარხოსოში, რომელთაც, მისის შუამდგომლობით, დაენიშნა სახელმწიფო ხაზინიდგან შესანახი თანხა. საეკკლესიო სკოლათა გამრავლებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ მათთვის მათის მეუფების მიერ დანიშნულ იქმნენ საკუთარი მეთვალყურეები, მცოდნენი ადგილობრივის ენისა...

21 თებერვალს 1898 წ. ყოვლად-სამღვდელო ვლადიმერი გადაყვანილ იქმნა მოსკოვის სამიტროპოლიტო კათედრაზედ...

იბ) აწინდელი ეკლესიები საქართველოსი მაღალ-ყოვლად სამღვდელო ფლავიანე დანიშნულ იქმნა ეკლესიად 21

თებერვალს 1898 წ. მათი მეუფება, ერის კაცობაში ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ბოროდეცკი, სიმბირსკის გუბერნიის აზნაურთაგანია. მას მალე დაეხოცნენ შშობლები. იგი 1853 წელს შევიდა ორლოვის გიმნაზიის მეოთხე კლასში და 1857 წ.-კი—მოსკოვის უნივერსიტეტში, რომლის მეოთხე კურსიდგან 1861 წ. გამოვიდა. გიმნაზიაშივე ეტყობოდა მომავალს მწყემს-მთავარს გულ-მხურვალე სიყვარული სარწმუნოებისა და ეკკლესიის სამსახურის მიმართ. ამისთვის იგი უნივერსიტეტიდგან გამოსვლის შემდეგ დაადგა იმ გზას, რომელიც შეეფერებოდა მისს თან-დაყოლილს მიდრეკილებას,—ეს გზა იყო გზა სასულიერო მოღვაწეობისა. 1861 წლიდგან 1873 წლამდის ნიკოლოზ ბოროდეცკი იმყოფებოდა სხვა-და-სხვა მონასტერში, სადაც დროს ატარებდა მარხვასა, ლოცვასა, მორჩილებასა და სასულიერო წიგნთა კითხვაში... მან ამის მეოხებით სასულიერო სიბრძნე შეიძინა და განიმტკიცა თვისნი ფეხნი სვლად გზასა ქრისტიანობრივის კეთილ სათნოებისასა. 1873 წელსა 6 თებათვეს ნიკოლოზ ბოროდეცკი, როგორც საფუძვლიანად მცოდნე ძველ და ახალ ენებისა, დანიშნულ იქმნა პეკინის სასულიერო მისსიის წევრად ჩინეთში. აქ მაშინ მღვდელ-მონაზონმა ფლაბიანემ მშვენივრად შეისწავლა ჩინური ენა და ხელი მიჰყო ამ ენაზედ სასულიერო შინაარსის წიგნების თარგმნას რუსული ენიდგან. ამავე დროს იგი მღვდელ-მოქმედებდა, ასწავლიდა ჩინელ ქრისტიანებს რუსულს ენას და სასულიერო მისსიის შენობის გადაკეთების გამგედ იყო. 2 იანვარს 1879 წ. მღვდელ-მონაზონი ფლაბიანე დანიშნულ იქმნა პეკინის მისსიის უფროსად და ებოძა არქიმანდრიტის ხარისხი. 2 თებერვალს 1885 წ. არქიმანდრიტი ფლაბიანე ხელ-დასხმულ იქმნა აქსაიის მღვდელ მთავრად, დონის ეპარქიის ქორ-ეპისკოპოსად, ხოლო 1898 წ. 21 თებერვალს ხოლმის და ვარშავის მთავარ-ეპისკოპოსის კათედრიდგან გადმოყვანილ იქმნა საქართველოში ექსარხოსის თანამდებობაზედ. დი-

დის აღტაცებით და იმედებით შეეგება მას თავისი ახალი მართლ-მადიდებელი ქართველი სამწყსო მცხეთაში. ამ ქართველთა იერუსალიმში. აქვე მათმა მეუფებამ მცხეთის საკრებულო ტაძრის გასაახლებლად შესწირა 1000 მან. ქ. ტფილისში მათს მეუფებას მიმართეს შესაფერის სიტყვით ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრემ, მაშინ ბორის ეპისკოპოსმა და ძვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიის წინამძღვარმა, მღვდ. მარკოს ტყემალაძემ. ყოვლად-სამღვდელო ალექსანდრემ სხვათა შორის, ისურვა, რომ ახლად მობრძანებულმა ეკლესიარხოსმა დაამყაროს თვისს სამწყსოში მშვიდობა და სიყვარული, ყურადღება მიაქციოს საქართველოს საეკკლესიო ძველს ნაშთებს და, მათ შორის, დიდებულს მცხეთის ტაძარს, დედას ქართველთა ეკკლესიებისას და ქართველის ერის ემბაზსა. „მშვიდობა თქვენდა“,—ასე დაიწყო თვისი პირველი, მოკლე, მაგრამ ღრმა ჰაზროვანი სიტყვა მაღალ-ყოვლად-სამღვდელო ფლაბიანემ,—„მშვიდობა თქვენდა, მშვიდობა ქალაქსა ამას, მშვიდობა ამ მხარეს, მშვიდობა სახლთა თქვენთა“... მათის მეუფების მაცადინეობით გაძლიერდა მცხეთის ტაძრის გასაახლებლად დაარსებული კომიტეტის მოღვაწეობა. მათმა მეუფებამ 1898 წელს მღვდელ-მთავრად ხელ-დასხმული ყოვლად-სამღვდელო ლეონიდე, ბორის ეპისკოპოსად დანიშნული, დანიშნა ამ კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგად. ამ წლიდგან უხვად მოვიდა შეწირულებანი საქართველოს და რუსეთის ყველა კუთხიდგან ხსენებულ ტაძრის განსაახლებლად. მაღალ-ყოვლად-სამღვდელო ფლაბიანეს სურვილის თანახმად, ტფილისის საეპარქიო დედათა სასწავლებელი სამ-კლასიანიდგან (ორი კურსით თითო კლასი) გადაკეთდა ექვს-კლასიანად და ეწოდა მას სახელად: „იოანნიკეს სასწავლებელი“; ამავე სასწავლებელს მათის მეუფების შუამდგომლობით, დაენიშნა უწმიდეს სინოდიდგან ყოველ-წლიური შემწეობა. ეს სასწავლებელი ინახება ტფილისის საეპარქიო სანთლის ქარხნის ხარჯზედ. ქართულის ენის და გალობის სწა-

ვლებისათვის ამ სასწავლებელში ქართლ-კახეთის ეპარქიის თითოეული შტატის ეკკლესია იხდის ათ-ათს შაურს წელიწადში. მათის მეუფების დროს შესყიდულ იქმნა ტფილისის საეპარქიო ქირხნისთვის საკუთარი შენობა ქარხნის საშუალებით (45,000 მან.); მრავალი საეკკლესიო სკოლა გახსნილი და უზრუნველ-ყოფილ იქმნა; გადაწყვეტილ იქმნა ქ. ტფილისში საეკკლესიო საოსტატო სემინარიის დაარსება, რომლის მოსათავსებლად შესყიდულ იქმნა ხარფუხში არსებული საექსარხოსო კარის სახლი ბაღითურთ; ყურადღება მიექცა საეკკლესიო მოძღვრებას რუსულს და ქართულს ენაზედ; გამდიდრდა ხელ-ნაწერებით და საარქეოლოგიო საგნებით ტფილისის საეკკლესიო სიძველეთ-საცავი, რომელიც შეიძინა თავისს საკუთრებად ქართლ-კახეთის სასულიერო წოდებამ; სასულიერო წოდების რწმუნებულთა კრების დადგენილებით, სიძველეთ-საცავს ყოველ წლიური შემწეობა დაენიშნა სანთლის ქარხნის შემოსავლიდგან; გაძლიერდა „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოების" მოღვაწეობა; ამ საზოგადოებამ გახსნა რამდენიმე ახალი სკოლა და სამრევლო კავკასიის მიყრუებულს ადგილებში; დამთავრდა კრებულთა სახლეპისა და სასკოლო სადგომების აღშენება ამ საზოგადოების უწყებაში. მათი მეუფება დიდის ყურადღებით ეპყრობა კავკასიის მთიულთა შორის ქრისტიანობის აღდგენის საქმეს, როგორც გამოცდილი და გამობრძმედებული შორეულს აღმოსავლეთში მისსიონერი; ქართულს ენაზედ მოძღვრებათა წარმოთქმის, შეკრების და გამოცემის საქმეს გზა გაეხსნა; გავრცელდა ქართლ-კახეთის ეკკლესიებსა და სასწავლებლებში ქართული საეკკლესიო საგალობლები, ნოტებზედ გადაღებული; შემოღებულ იქმნა სწავლების ახალი პროგრამმა საექსარხოსოს სასულიერო სასწავლებელთა მოსამზადებელს კლასებში; შედგენილ იქმნა „სწავლების ახალი გეგმა" საეკკლესიო სკოლათათვის სასწავლო მასალის ოთხს წელზედ განაწილებით; ქუთაისის საეპარქიო დედათა ზაბრიე-

ლის სასწავლებელი ექვს კლასიანად გადაკეთდა და მას დაენიშნა უწმიდესის სინოდიდგან ყოველ წლიური შემწეობა ფულით; დაიბეჭდა ქართულს ენაზედ რამდენიმე საეკკლესიო და საღმრთო წიგნი (სახარება, სამოციქულო, ქამნი და სხვა...) მაღალ-ყოვლად-სამღვდელო ფლაბიანე, ეს მეოთხე წელიწადია, იღვწის დაუღალავად და მხურვალედ საქართველოს ეკკლესიის კეთილ-წარმატების სასარგებლოდ. როცა მათის მეუფების საქართველოში სასარგებლო სასულიერო მოღვაწეობას გაითვალისწინებს შეგნებული ქართველი, მას უნებლიეთ გაახსენდება ის სიტყვები, რომელიც მათმა მეუფებამ ბრძანა ტფილისის სიონის ტაძარში პირველად ფეხის შედგმის დღეს: „მოვდივარ თქვენთან გატანებული მხურვალე სურვილით ვიმსახურო თქვენის წმიდა ეკკლესიის სასარგებლოდ, თქვენთა სულთა საცხოვნებლად, მოვდივარ, ადსავსე სიყვარულითა და მშვიდობითა, გთხოვთ სიყვარულით და მშვიდობით მიმიღოთ!“

ვისურვოთ მათის მეუფებისთვის დღეგრძელობა მართლმადიდებელ ეკკლესიის სასარგებლოდ ნაყოფიერის მოღვაწეობისათვის. *)

Ილ. ფერაძე.



*) წყაროები: ა) Кратк. ист. груз. ц. П. Іоселіани; ბ) იმისევე: „Описаніе древностей“ г. Тифлиса; გ) „Дух. Вѣст. груз. экзархата“ 1892, 1894, 1896 და 1898 წწ. დ) „Хомлскій народ. календарь 1893 г.; ე) „Исторія груз. іерархіи“ изд. 1826 г.; ვ) „Церковныя Вѣдомости“ 1901 г. № 2; ზ) „Пятидесятнитіе митр. Іоанникія, Кіевъ 1900 г. და სხვ...

სოლომონ ლეონიძე

(შემდეგი *)

1780 წლამდის ორივე მთავრობის ბრძანებით და თანხმობით გათავდა აღწერა ქართველთ თავად-აზნაურებისა, აღწერეს დავით რექტორმა და სოლომონ ლეონიძემ. ამას გარდა მომზადდა შეერთების პირობებიც; ამ შეერთების პირობებზე ორმა წრემ იმუშავა: თბილისში მყოფთ—სოლომონ ლეონიძის თავმჯდომარეობით, ხოლო პეტერბურგში—ბარსევან ჭავჭავაძისა. 1781 წ. დასრულდა ყოველისფერი. ქართველთ და რუსთ დასწერეს პირობის წერილები.

შეერთების საქმე ისე მოეწყო და მის პირობები ისე შეამუშავეს, რომ მალე თვით მეფემაც კი განიზრახა რუსეთში წასვლა და საქმის დაბოლოვება. ირაკლი მართლაც, მალე რუსეთში წავიდა და თან წაიღო ყველა საჭირო მასალები, მაგრამ მინამდის ის საქართველოს საზღვარს გასცდებოდა, სპარსეთში უკვე კაცები მივიდნენ და ყეინს ამბავი მიუტანეს, რომ ერეკლე მეფე რუსეთში წავიდა, რუსეთს ეკედლებაო. ყეინისაგან კაცებმა ამბავი მოიტანეს, რომ მეფეს კაცები გამოუყენეთ და უკან დააბრუნეთ, თორემ ყეინი მოვა და მეფის ჯავრს ხალხზე ამოიყრისო, ერთის სიტყვით, საქართველოს ფერფლიც აღარ დარჩებაო. მეფე მოზდოკის და ყიზლარის გენერალ-გუბერნატორამდის მივიდა, აქ კაცები დაეწივნენ საქართველოდგან და შაჰის დანაბარები მოახსენეს. მეფე ძლიერ შესწუხდა, მაგრამ რას იზამ-

*) იხ. № 3, გვ. 264.

და, უკან დაბრუნდა, თავისი ცნობები გენერალ-გუბერნატორს გარდასცა, გარდასცა აგრეთვე წერილი იმპერატრიცასთან გასაგზავნი, სადაც ეწერა თანხმობა, გადასცა აგრეთვე სხვაც ბევრი რამ ამბებიც. ერთის სიტყვით, შეერთების შესახებ საქმე ერთობ ცხარედ წავიდა, საქმე შესამჩნევად გაღვივდა.

მეფემ სამჯობინრად დაინახა, რომ საქმის მოსაწყობად რუსეთში სოლომონ ლეონიძე გაეგზავნა. მეფემ უთხრა:

„ჩემო სოლომონ! შენი არაფრის შიში არა მაქვს, შენ ხომ მე არ მოგატუეილებ, ჩემი მოტუ�ება ქვეყნის მოტუeბა არის და შენც ხომ ქვეყნის შვილი ხარ".

სოლომონ ლეონიძეს არ უნდოდა რუსეთში წასვლა, იქაურ ქართველ დესპანებს ვერ შეეწყობიო, მაგრამ საქმის სიყვარულის გამო მაინც წავიდა. ს. ლეონიძე რუსეთში მივიდა, დაიწყო საქმეზედ დიდის სიფრთხილით თათბირი და საქმე შეერთების სასარგებლოდ გაათავა, ელჩები დაბრუნდნენ საქართველოში, ჩამოვიდა ლეონიძეც.

საქართველოს შეერთებას ითხოვდნენ ოსმალნიც იმ პირობით, რომ საქართველოს წართმეულ ადგილებს სულ უკანვე დაგიბრუნებთ, მეფეთაც ერთს კაცს გიყოლიებთ თქვენის გვარისასაო, ოღონდ ჩვენი ქვეშევრდომობა მიიღეთო. ამისთვის მეცადინეობდნენ ახალციხის ფაშები, ოსმალეთიდგან დეპუტაციაც მოვიდა ამისთვის, მაგრამ ქართველნი არ შვრებოდნენ, გათათრების ეშინოდათ, მერე სულ მოკვშლიანო. თოფ-ზარბაზანსაც მოგცემთ, ფულსა და ყველა საჭირო ნივთებსაც გადმოგცემთო, ოღონდ ჩვენ შეგვიერთდითო.

სოლომონ ლეონიძემ, როგორც სახელმწიფო ჭკვიანმა პირმა, რუსეთში ყოფნა და მოგზაურობა კარგად გამოიყენა, ნახა ყველა ის ძალოვნებითი სახსრები, თუ რით შეიძლება, რომლისამე ერის და სამეფოის ამაღლება, დაწინაურება, სიცოცხლე და მანაც სწორეთ ასეთი საჭიროების მხარეების აღორძინებით დაიწყო მოქმედება. ამის შესახებ მან მეფეს

ბევრი რამ აუწყა სახელმძღვანელოდ. სხვათა შორის უთხრა:

„მეფეო, სამეფოს სასარგებლოდ და გასაძლიერებლად მე ბევრი რამ შევისწავლე უცხოობაში ყოფნის მეოხებით, ბევრი რამ ავნუსხე მათი სამეფოს წეს-რიგის, მართვის და ხალხის წესების; მე ვფიქრობ, ჩვენც რომ ჩვენ ტკბილ სამეფოს ისეთი წესები მივსცეთ, აქაც ისე მოვახერხოთ სამეფოს მართვის საქმე, მაშინ შესაძლებელი იქნება, რომ ჩვენი მეფობაც დარჩეს ოვიისს მართვით, გამგეობით და სხვანი. ჩვენ ვნახეთ ჩვენის თვალით ის, თუ უცხონი რა წესების მეოხებით დაწინაურდნენ, როგორ წავიდნენ წინ. შევკრიბოთ სამეფო პირნი, ვქმნათ ბრძენ კაცთა და პატრებთა კრება, გამოვკითხოთ მათ საქმენი და ნუ მოვშლით მას, რაც მოშლილი დღეს უნდა აღშენდეს“.

მეფე ერეკლემ ამ აზრით განამტკიცა და განაძლიერა საქართველოს მსაჯულის თანამდებობა, მას მიანიჭა ევროპიული კანცლერებრივი ღირსება.

სოლომონ ლეონიძის ასეთის უფლებით აღჭურვამ ფრთები შეასხა სამეფოს, თვით მეფეს და დააღონა ის პირნი, ვისიც გული შურის ბოროტებით იყო სავსე და ქვეყნის დაღუპვა აღდგომად მიაჩნდათ. ასეთი პირებით მაშინ სავსე იყო საქართველო. მეფე ერეკლე გარეშე მტრებს აქცევდა ყურადღებას, მარტო მათ მუსრავდა, მათი დამორჩილება ჰსურდა, შინაურს მტრებს კი, რომელნიც მისს სამეფო სხეულში ჭიებივით იყვნენ და ღრღნიდნენ, მათზე კი ხმას არ იღებდა, რადგანაც—ზოგი მისი ნათესავი იყო და ზოგიც კარგი მეგობარი. ეს მედიდური მტრები იმან უფრო აღბორგა, რომ მსაჯულმა თავისს სამსაჯულოში თბილისის ქართველთ მოქალაქეებსაც მისცა ხმა და ხშირად საქვეყნო საქმენი ხსენებულ პირთ თანადასწრებით განიხილობდა; დიდთა თავადისშვილთათვის საწყენი იყო კიდევ ის, რომ სამეფოს სამსაჯულოში გაირჩა თექვსმეტი სოფლის გლეხთა სა-

ქმე, რომელნიც ბორჩალოს მაზრაში სცხოვრობდნენ, სადაც ამათ თვისს მებატონეებთან უსიამოვნება და მტრობა ჰქონდათ ატეხილი. ბლეხნი ჩიოდნენ, რომ სპარსნი და სხვა-და-სხვა თათრები ჩვენ ხშირად გვეცემიან და გვარბევენო, ჩვენ დიდ გაჭირებაში ვართ მოთავსებული, და ამავე დროს ჩვენი მებატონენიც სასტიკად გვაწუხებენ, შვილებსაც კი გვტაცებენ და არ გვიბრალებენო, ლამის მოვისპოთ და გავსწყდეთ მტერთაგან თავ-დასხმის და მებატონეთა დევნისაგანო. სოლომონ ლეონიძემ გლეხების მხარე დაიჭირა, ეს მომხრე გახდა სიმართლის, მართლ-მსაჯულების და არა მებატონეების. ეს ეწყინათ მრავალთ, გაიმართა ჭორები, მუქარა, სევდა და ვინ იცის რა, ამიტომ, მსაჯულმა მეფეს მოახსენა შემდეგი:

„ბატონო მეფეო! საქართველოს სოფლები ახრდა, ვერანად იქცა, მრავალ ომებში ოფიდნი გლეხნი უძლურ არიან და ამათ უფრო აუძლურებენ მებატონენი, იგინი ბევრ მტრობას და ორგულობას სთესენ თქვენს ტკბილს სამეფოზე. ჩვენთ მებატონეთ ხელში უკავიათ ისეთი ძალა და კანონი, რომელიც ჩვენი გლეხ-კაცობის ოჯახს სასტიკად, ცხარეთ სპობს, მას შლის სამუდამოთ და ხელიდგან აცლის ჩვენს ტომს.

მებატონენი არბევენ გლეხთა, სტაცებენ ყველაფერს, თვით შვილებსაც და ჰყიდიან სხვებზე. ამიტომ ალაგმეთ უმართებულო მებატონენი, რისხვა დაეცით მათ და ერთგულ გლეხებს დაუმკვიდრეთ მშვიდობიანი წესები. დამშვიდებულნი გლეხნი უფრო კარგად ემსახურებიან ქვეყანას, უფრო მხნედ გამოვლენ სალაშქროდ და უფრო გმირულად დაიწყებენ ბრძოლასო“. როგორც ვიცით მეფემ ყურადღება მიაქცია ამას.

სოლომონ ლეონიძე სასტიკი მძრახველი და მგმობელი იყო მუხანათის ქართველების, იგი ყველას მოურიდებლივ ეკამათებოდა, ეს მეფემაც კარგად იცოდა, იგი ამ კიცხვა-

გმობისას, თითქმის, ნებას აძლევდა, რადგანაც კარგად იცოდა, რომ მსაჯული უბრალოდ არავის გაჰკიცხავდა, მათში დიდი კავშირი, დიდი მეგობრობა არსებობდა. არა მგონია, რომ მეფე ერეკლეს თვისს სამეფოში ისე ვინმე ჰყვარებოდა, როგორც სოლომონ ლეონიძე უყვარდა. ამ სიყვარულის საფუძვლები მან არა ერთხელ აჩვენა მეფეს, ბევრ გზით დაუმტკიცა ქვეყნის გამო სიყვარული, ჭეშმარიტება და პატივისცემა. სოლომონ ლეონიძე ისეთ გულ-შემატკივარ პირად აღმოჩნდა, ისეთ შინაურ თავ-დადებულ ქართველად, რომ მან თავისუფლად დაიწყო ხმის ამაღლება თვით ბატონისშვილებზედაც. ჩვენ ვიცით შემდეგი ამბავი გარდმოცემით:

სოლომონ ლეონიძე ვერ უმზერდა კარგის თვალით დარეჯან დედოფალს. სძულდა და ეთაკილებოდა, რომ დედოფალს დაახლოვებული ჰყვანდა ვიღაც ტლანქი ოსეფა ყორღანაშვილი; ამ პირს ისეთი გავლენა ჰქონდა დედოფალზე და ისეთ მეძავურ გზას ადგა, რომ მის მეოხებით საქართველოს მოევლინა თავისს დასანთქმელი ნიადაგი. ამბობდნენ, რომ სოლომონ ლეონიძემ ბევრ გზის ამხილა დედოფალი, აუწყა, რომ ოსეფას თავი დაანებეო, არ გეკადრებათ, მაგის მეგობრობა თქვენს საქმეს არევსო. დედოფალი არ ისმენდა და ოსეფას სიტყვით მოქმედებდა. მეფე ერეკლე მოხუცდა, მას ცოლის დამორჩილების ძალა იღარ ჰქონდა, ოსეფას კი ისეთი გავლენა ჰქონდა დედოფალზე, რომ დედოფალი ამის სიტყვით მოქმედებდა, რაც ოსეფას უნდოდა, დედოფალი მეფეს იმას აკეთებინებდა. ამბობენ, რომ თვით იმერთა შეერთების წინააღმდეგი ჰაზრები დარეჯან დედოფალმა მეფეს ოსეფას ჩაგონებით გარდასცაო. ამაზე ოსეფას სოლომონ ლეონიძესთან კამათიც მოუხდა, კამათმა ჩხუბი გამოიწვია, დიდი მძულვარება ჩამოვარდა, მაგრამ სოლომონ ლეონიძე ვერას აწყობდა, რადგანაც დარეჯან დედოფალს დიდი სიყვარული ჰქონდა ოსეფასი. ეს ამბავი მეფემაც კარგად იცოდა, მაგრამ ჰფარავდა და სოლომონ ლეონიძეს ავალებდა დედო-

ფლის დარიგებას და ოსეფას მოცილებას. ოსეფამ აუწყა დედოფალს, რომ შენ უნდა იმეცადინო და შენი ქმრის სიკვდილის შემდეგ შენ უნდა გამეფდეო. მაშინ ჩვენ ჩვენი ნატვრაც შეგვისრულდება, მაშინ ვერც მსაჯული გვიზამს რამეს და ვერც შენი გერებიო. ოსეფამ დედოფლისაგან დიდი შეძლება შეიძინა, ამბობდნენ ადრე მოხუცნი, რომ სოლომონ ლეონიძე ისე აღელდა ოსეფასაგან, რომ ერთს დღეს ერთმანეთს სცემეს და ხმალში გასვლასაც აპირებდნენო, მაგრამ მეფემ დააშოშმინა და საქმე დაჰფარესო.

ამ დღიდგან ოსეფამ მხოლოდ საიდუმლოდ დაიწყო სიარულიო. მეფის ოჯახი ამან არია უფრო; ბიორგი მეფე თავისს მამას უფრო დედინაცვლის გამო ემდურებოდა, თუმცა პირში ვერ უბედავდა, თორემ ამბობდა, რომ მამაჩემს მეორე ცოლი მოხუცებულობის გამო მაინც არ უნდა შეერთოო. ამავე გარემოებამ დაბადა ძმებში და ძმისწულებში შფოთი, განხეთქილება და აყალ-მაყალი, რასაც მოჰყვა ისეთი ცვლილება, რომლის აღნუსხვას კარგი მხატვარი და საქმის ღრმად დამკვირვებელი სჭირია. სოლომონ ლეონიძე ბიორგი მეფეში ვერ ხედავდა საიმედო კაცს, მაგრამ პატივს სცემდა, რადგანაც იმას სურდა, რომ მეფე ერეკლეს სიკვდილის შემდეგ ბიორგის შვილი დავითი გამეფებულიყო, გენერალ-ლეიტენანტი რუსეთისა. დარეჯან დედოფალმა რა-კი სოლომონ ლეონიძისაგან თავისს ქმარი ვერ მოსდრიკა, რა-კი იმათში განშორება ვერ ჩამოაგდო, მერე სოლომონ ლეონიძეს პატივის-ცემა და თავაზი დაუწყო, მას მეტად ოსტატურად დაუახლოვდა. ამ დაახლოვების მეოხებით მსაჯულმა ისარგებლა და დედოფლისაგან ბევრი რამ ამბები შეიტყო დედოფლის საიდუმლოების, დედოფალმა ბევრი რამ გაანდო მას.

დედოფალი ამუდარებდა, რომ ჩემი ქმრის სიკვდილის შემდეგ დახმარება მომეცი, რომ ტახტზედ ჩემი შვილი დაჯდეს მეფედ და არა ჩემი გერიო. ეს მოხერხდება შენის

ჭკუით, თუ შენ მოინდომებ, ჯერ მე გამაძეფე და მერე მე ჩემს შვილს მივკერძამო. სოლომონ ლეონიძე, რასაკვირველია, იმედებს აძლევდა მოტყუილებით. მსაჯული არწმუნებდა, თქვენ კარგად იყავით, ტახტი თქვენ არ მოგეშლებათ, შემდეგ თქვენი ნაშობი გამეფდება, მომავალი თქვენიაო. ოსეფა კი აუწყებდა დედოფალს, რომ მსაჯული გატყუილებთ, არ ერწმუნოთ მას, იგი სხვას ამზადებს მეფეთაო. თუ ეგ არა სტყუის და ეს სწადიანო, ეხლავე დაიწეროს სამეფო წესი და თვით მეფისაგან დამტკიცდესო. დარეჯან დედოფალი შეუჯდა მეფე ერეკლეს, იგი ისე მიიბირა თავისკენ და ისე აცდუნა, რომ თავისს გულის წადილი აისრულა, ოსეფას დააწერინა ერთი რაღაც ბრიყვული წესრიგის წერილი—თუ ერეკლეს შემდეგ ქართველთ მეფეთ ძენი რა წეს-რიგით უნდა გამეფებულიყვნენ და ეს წერილი მეფეს ხელ-მოწერით დაამტკიცებინა კიდეც. ეს ამბავი დიდად ეწყინათ მრავალთ, ბევრნი აღელდნენ, მომართეს ბასრი ენა და, ვინ იცის, რაები არ ჰქმნეს. სოლომონ ლეონიძეც ძლიერ აღელდა, ძლიერ ეთაკილებოდა, მაგრამ დამტკიცებული ქალალდის კვალს ველარ მიაგნეს. ამ გარემოებამ სასტიკად გადაჰკიდა მეფე ბიორგი დარეჯან დედოფალს.

სოლომონ ლეონიძე ბატონიშვილებში ერთობ ოსტატურად ტრიალებდა, ერთთავად საუბარი ჰქონდა მათ ერთობასა და სიყვარულზე, მტკიცე კავშირზე, აუწყებდა მორჩილების მნიშვნელობას, სიმტკიცის საჭიროებას და ბევრს სხვებს, მოუთხრობდა უცხო ხელმწიფეთ შვილების ვითარებას, ურთიერთის დამოკიდებულებას და წარმატებას; თქვენც ისევე მოიქეცითო, თქვენც იზრუნეთ ქვეყნის სასარგებლოდ და მეფობის დასაფარავადო და ბატონიშვილებსაც სოლომონ ლეონიძის საკმარისი მორიდება ჰქონდათ და ხათრი.

სოლომონ ლეონიძის გავლენა ბატონიშვილებზე და ღვეგობრობა, მრავალთ შურიან პირებს შეშურდათ, მათ იწყინეს, რად ხდება ეს ასე, რომ სოლომონ ლეონიძეს ასეთ

უპირატესობას აძლევენო. ამიტომ მას „მელაძუა“ უწოდეს, ბატონიშვილების, მეფის და დედოფლის მომჯადოებელ-მომტყუებელად. იგი ყველას მეგობარია, ყველას ეკედლება, ეთვისება და ყველა ამაებიდგან რაღაცაებს გამოელისო, იცის სად როგორ მოიქცეს, ვისგან როგორ და რით ისარგებლოსო; მაგრამ ეს არ იყო სწორე, ამას დაახლოვებული კავშირი მხოლოდ ზოგ ბატონიშვილებთან ჰქონდა და ზოგთან არა, თუმცა საუბარი და რჩევა მათში არა დროს არ მოსპობილა. რა კი ქართველთა შორის ზოგიერთა დიდებულის გვარისანი ამხედრდნენ და აღარ იცოდნენ, რა ექმნათ სოლომონ ლეონიძის მტრობით, მის შემდეგ სამტრო დასმა გაძლიერება იწყო, იგინი ისე გაასპიტდნენ, რომ სოლომონ ლეონიძის საწინააღმდეგოდ ყველაფერს იკადრებდნენ, ოღონდ კი მოწინააღმდეგე დაეღუპათ. ამიტომ ამ დიდებულთ შორის გაჩნდნენ ისეთი პირნიც, რომელთაც მეფესთან მიკედლება მოახერხეს და მასთანვე ცილის-წამება, სიტყვების რევა და ათასი სხვა ამისთანები, რითაც კი შესაძლებელი იქმნებოდა მეფის და მსაჯულის შორის მტრობა და შური ჩამოვარდნილიყო. პირველ ხანებში ესენი ვერას აწყობდნენ, მაგრამ მალე მიაღწიეს საწადელს. აუსრულდათ ნატვრა, გაუთენდათ კარგი დილა, მოესწრნენ იმას, რომ მეფეს და მსაჯულს შუა ზერა-ქვერათ ერთმანეთის მზერა ჩამოვარდა. მეფე ჭორებით გაავსეს, მაგრამ სოლომონ ლეონიძეს ჰქონდა ისეთი მოხერხება და ოსტატობა, რომ მეფეში ყველა ეჭვებს და ბრალმდებლობას აქარწყლებდა, რაც მრავალთათვის ხშირად დიდად საშურველათაც ხდებოდა.

მცირედ განხეთქილების ჩამოგდების დროსაც კი, სოლომონ ლეონიძემ იმეცადინა და მეფის თანხმობით ოსმალეთის მთავრობასთან ახალ-ციხის ფაშის დაწყობილ შუამავლობით იქმნა მიწერ-მოწერა მასზე, რომ საქართველოს და ოსმალეთის საზღვრები დაინიშნოსო, გარდა ამისა, დღეის შემდეგ დაღისტნელ ლეკთა გავლა-გამოვლაც მოისპოს ქართლზედაო,

რადგანაც ესენი ხშირად ქურდულად მიიპარებოდნენ ᲓᲐᲚᲘᲡ-ᲢᲜᲘᲓᲒᲐᲜ ᲐᲮᲐᲚ-ᲪᲘᲮᲘᲡᲙᲔᲜ და ამ დროს გზაში ქართველთ სოფლებსაც სცარცვამდნენ. ᲒᲐᲠᲓᲐ ᲐᲛᲘᲡᲐ ჩვენ ნება დაურთველად ოსმალთ არც თავიანთ ნებით შეეძლოთ ხალხის ტაციობა და ნურც მებატონეთაგან იყიდიან მათ მოყმეთა შვილებს, ვიდრე გამყიდავს ჩვენგნით ნება არ ექმნეს მიცემულიო. ᲐᲛᲐᲕᲔ ᲓᲠᲝᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲗᲐᲜᲐᲪ იქმნა თხოვნებით უწყებული, რომ კარგი იქმნება რუსეთმა ᲐᲮᲐᲚ-ᲪᲘᲮᲔᲨᲘ ელჩები იყოლიოსო. რადგანაც რუსის კონსულს შეუძლიან დიდი დახმარება აღმოუჩინოს ქრისტიანებსაო. ᲐᲥ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲔᲑᲘ სასტიკად იდევნებიანო. ᲐᲮᲐᲚ-ᲪᲘᲮᲔᲨᲘ ბაზარიც კი იყო, სადაც ქართველთ შვილებს ცხვრებივით ჰყიდდნენ. ᲔᲡ მრავალთათვის არის ცნობილი. ᲖᲝᲒᲘ-ᲔᲠᲗᲘ ᲙᲐᲪᲘᲡ თვისება ისეთია, რომ თუ ის კარგ საქმეს დაადგა, მერე იგი სულ კარგს გზასა და კვალს გაჰყვება; კარგი თვისების მექონი, ხშირად თავისს უნებლივად ცუდს საქმეებს ჩადის, მაგრამ არა თავისს ნებით, არამედ მის გარშემო მოწოლილის მიზეზების წყალობით, ასე რომ ყოველი ასეთი საქმის ჩადენის მიზეზები სათავიდგან უნდა გაიშინჯოს. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ასეთი პირები არ უნდა იქმნენ გაკიცხული, არამედ ის მიზეზები უნდა იქმნეს განხილული და გაკიცხული, რამაც ჩაადენინა პატიოსან პირს ცუდი საქმე. ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲡᲔᲗ მდგომარეობაში მოთავსდა სოლომონ ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲔ ერთს დროს ᲓᲐ ᲐᲡᲔᲗᲡᲐᲕᲔ პიროზების მორევში სცურავდნენ თვით ბატონიშვილები, რომელთა გამტყუნება ჩვენ არას დროს არ შეგვიძლიან, რადგანაც მათი ყოველ ნაირი გახრწნილების მიზეზები თვით მათ უზომო გალაღებასა და მედიდურობაში სწარმოებდა, მათ რომ მცირე დაკვირვება მიეღოთ, მაშინ ისე აღარ დაბრმავდებოდნენ, მაგრამ მათ ამის დაფიქრება აღარ სჭიროდათ, რადგანაც იგინი შორს მხედველნი არ იყვნენ. ᲐᲛᲐᲗᲕᲔ ᲩᲐᲘᲗᲠᲘᲔᲡ სოლომონ ᲚᲔᲝᲜᲘᲫᲔ, მაგრამ ეს პირი თავისს არევ-დარევის და შეცდომის დროსაც კი მტკიცედ იდგა ქართველთ წინაშე.

ამ დროს, 1786 წლებში, თუშ-ფშავ-ხევსურეთ-მთიულეთში მოხდა საკმარისი აჯანყება ლ საქმემ საშიში სახე მიიღო. მათი აჯანყება გამოიწვია ბოროტ მოურავის მოქმედებამ, მოურავს დაერბია, ეწვალებინა მრავალნი ხარკის გამო და მასთანავე მოენდომა ზოგიერთ ხეობათა დამორჩილება და ყმობა, მათი საკუთარი ადგილების წართმევა. ეს არ ეკმარა ხსენებულ პირს, მას მიემხრო თვისკენ ზოგიერთი თავად-აზნაურნი და მათ გადაეწყვიტათ მთიელთა დამორჩილება, ყმობა და მასთანვე მთელი მათი ადგილების დასაკუთრება. ამაზე დიდი აყალ-მაყალი და ჩხუბები მოსდიოდათ, მთიულნი არ ემორჩილებოდნენ, ამათ სურდათ, რომ მათგან ყველი, ერბო და საქონელი უფულოდ ეზიდნათ, მაგრამ ვერ იქმნა, ვერ მიაღწიეს საწადელს, რადგანაც მთიულნი მაგრად და ყოჩაღად ებრძოდნენ, თან ეტყოდნენ:

„ჩვენ ყმობას ჩვეულნი არ ვართ, ჩვენი მთა-ბარი თქვენ არ გაგიჩენიესთ, მა რაიზე გინდის ჩვენი დაჭერა, ჩვენ ვერ ვიზამთ თქვენს საწადელს“ და სხვანი.

საქმე ისე მოეწყო, მთიულნი ისთე გაგულისდნენ, რომ 1786 წელს ამათ დაღისტნელებს პირობა მისცეს დაკავშირების, მათთან შეერთების და თვით სარწმუნოების მიღებისაც კი, ე. ი. გათათრების. მთიულთ მეფე ერეკლეზედ ჯავრი მოსდიოდათ, იგი ჩვენ მტრებს ნებას აძლევს ნავარდობისას და იქნება სურვილიც აქვს, რომ ჯერ თავად-აზნაურებმა წაგვართვან და მერე იგი მათ წაართმევს თავისს შვილის იულიონისთვისო, როგორც ეს მან უყო ძსნის ერისთავებსაო.

ია მარუშიძე.

(შემდეგი იქნება)

გეოგრაფიული და ისტორიული აღწერა

ჰერეთისა.

(შემდეგი *)

ნუხის მაზრის ერთს საბოქაულოს, რომელიც მდებარეობს ვართაშნიდამ აღმოსავლეთ-სამხრეთისაკენ, ჰქვიან ყურთ-ხაშენი. აი ამ საბოქაულოში მდებარეობს ძველს დროს სავაჭრო ქალაქად ცნობილი ისტორიული ყაბალა. იგი აშენებული ყოფილა სოფელ ნიჯის სამხრეთ მხარეს, ცივ-გომბორის მთის ძირის იმ ალაგას, საცა მდ. ტურიან-ჩაჲ არღვევს ცივ-გომბორის მთას და გადის აღტაშ-არეშის მაზრაში.

ყურთ-ხაშენის საბოქაულოს ხალხის ენაზე ეწოდება ყაბალა-მაალ (районъ); ეს გვაგულისხმებს, რომ ქ. ყაბალა ძველს დროში ყოფილა რეზიდენცია ეხლანდელი ყურთ-ხაშენის საბოქაულოს ერისთვებისა. როგორც ერისთავნი, აგრეთვე მისნი მცხოვრებნი ქართველნი ყოფილან. ასრე მოგვითხრობენ არაბთა მწერალნი. ისინი სწერენ, რომ იმ დროს, როცა მონგოლნი შემოესივნენ საქართველოს, ყაბალაში ერისთავად იყო ქართველთა თავადიშვილი. იმან შეუთვალა თურმე მე-XIII საუკუნეში მონგოლებისაგან გამოქცეულ ყიფჩაყელებს, რომელნიც მოადგნენ ყაბალას ასაკლებად: შევერთდეთ და ერთად ვეომოთ საერთო მტერს—მონგოლებსაო. ქართველ მეფეს მე კაცს გავუგზავნი,—ეუბნება ის ყიფჩაყელებს,—რომ იმან ხალათი და ფული გამოგიგზავნოთო. შევერთდეთ თქვენ და მე და დავიმორჩილოთ ახლო-მახლო ქვეყნებიო,

---

*) იხილე № 4, გვ. 376.

ერთად ვეომოთ საზოგადო მტერს—მონგოლებსაო (იხ. ჟურ. „მოამბე“ № 1, 1896, გვ. 35 და 36).

ბეოგრაფი სტრაბონი სწერს, რომ Ყაბალა Ალბანიის დედა-ქალაქი იყოო. ის მას ეძახის ყაბალაკა ს (იხ. Ган გვ. 107). აქედგან სჩანს, რომ სტრაბონის დროს, ჰერეთი ქართველების Ალბანიის სამეფოს შეადგენდა.

ქალაქი Ყაბალა ყოფილა შემოზღუდული მაღალის ქვიტკირის კედლით. Არხებისა და ქალაქის ალაყაფის კარების ნაშთები მოწმობენ, რომ ოდესმე აქ უცხოვრია განათლებულ ხალხს. Ამას ამტკიცებს მისი ისტორია და ხაფანგნი არხებისა (ШЛЮЗЫ). Ისინი ქალაქს გარშემო ჰქონია გაკეთებული. Თუმცა მდ. Ტურიან-ჩაი ანგრევს და ანადგურებს ძველთა შენობათა ნაშთებს და მეზობლად მცხოვრებნი თათარნიც ერთგულად მიეზიდებიან იქიდგან ქვებს, მაინც კიდევ ეტყობა ნაშთები წყალ-საგუბრებისა. Როდის და ვისგან აშენდა Ყაბალა არავინ იცის; უეჭველი კია, რომ ის ყოფილა ქრ. დაბ. უწინაც. Მის განადგურებასა და დანგრევას კი მიაწერენ Თემურ-ლენგს, რომელიც შემოესია საქართველოს 1380—1395 წლებს შუა.

Დარჩენილა ხალხში თქმულება, რომ უწინდელ დროს ქ. Ყაბალაში წელიწადში ერთხელ დიდი ბაზრობა იმართებოდაო. Ამ ბაზრობაზე ვაჭრები მოდიოდნენ თურმე შორეულს ქვეყნებიდგანაც. Ბაზრობა ეხლაც იციან ჩუღურ-Ყაბალაში, რომელიც შობილია პირველისაგან, მაგრამ არა ისეთი შესანიშნავი, როგორიც ყოფილა უწინდელ დროს. Ძველად აქაურ ბაზრობას დიდი მნიშვნელობა ჰქონია რუსებისათვისაც. Პროფესორი Шорромкинი სწერს, რომ რუსული სიტყვა „кабала“ ამ ქალაქის სახელიდგან წარმოსდგებაო. Რუსულს ძველს კანონებში თურმე სწერია „о кабальныхъ и безъ кабальныхъ искахъ“, ხოლო ხალხის ენაში დარჩენილა სიტყვა „закабалить“, და ფრაზა: „далъ на себя кабалу“. Იგივე სიტყვა იხსენიება 1364 წელს Დიმიტრი Დონელის და მისის

ძმის Ვლადიმირ Ანდრიას ძის პირობის ქალალდში, საცა ასრეა თურმე ნათქვამი: „не брать людей въ кабалу“. Ასრე ამ სახით, სიტყვა Ყაბალა რუსებს ხმარებაში ჰქონიათ. Ის ნიშნავს იმათ ენაზე: მოსამსახურეს, მოვალეს, ვექსილით და პირობის ქალალდით შეკრულს (იხ. словарь церк.—слов. языка, გამოც. 1867 წლისა). Ეს სიტყვა იმათ მიუღიათ ქ. Ყაბალასაგან, საცა ვაჭრობის დროს მათ (რუსებს) უწერიათ თამასუქებიო, სწერს Ა. Იანოვსკი (იხ. Ж. М. Н. пр. 1846). სიტყვას ყაბალას იგივე მნიშვნელობა აქვს ქართულს და თათრულს ენაზედაც, რაც რუსულში Ყაბალა—თამასუქი, პირობის ქალალდი, ხელ-შეკრულობააო, სწერს Საბა-სულხან Ორბელიანი თავისს ლექსიკონში.

ამ ჟამად გამაგრებულ და ბრწყინვალე ძველებურ ქალაქის Ყაბალა-ს ნაცვლად არსებობს მხოლოდ პატარა სოფელი ჩუდურ-ყაბალა (ესე იგი ყაბალა ჩავარდნილ ადგილას), რომელიც პირის-პირ ძველის Ყაბალასი არის აშენებული და მაღლა შეჰყურებს ძველ Ყაბალას ნანგრევებს.

შესანიშნავია, რომ Ნუხის მაზრის ყაბალას ჰყოლია მოსახელე ქალაქი Სიღნაღის მაზრაშიაც. Მაგრამ იმისი სახელი ყაბალი-ა, ხოლო პირველისა ყაბალა.

Ჭიზიყელების ყაბალი არის Ლაგოდახის მახლობლად, Ჭიაურის ტყის თავში და Კავკასიის მთების ძირში. Აქ იპოვებიან დიდ-დიდ შენობათა ნანგრევები და მრავალი ეკლესია. Ამ Ყაბალაზე გადის გზა Ლაგოდეხიდამ Შილდა-ყვარელისაკენ. Ეს ყაბალი ელის გამოკვლევას და აღწერას და ამის მოვალენი არიან უფრო Ჭიზიყისა და Კახეთის ნასწავლნი კაცნი. Მე მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ Კახეთის ყაბალი-ს და Ნუხის მაზრის ყაბალა-ს რაღაცა ნათესაობა აქვთ, როგორც ადგანს—ადბანიასთან. *)

---

*) ჩვენის აზრით კახეთის ყაბალი დაფუძნებული და ასე წოდებული ნუხის ყაბალადამ გადმოსახლებულებისგან მტრის ერ-

დიდად საყურადღებონი არიან აგრეთვე ფუნდრუკები (სადგურები—სტანციები, ინგილოურად ბუდრუკი), რომელნიც დაკეთებულნი ყოფილან ნუხის მაზრის ყაბალადგან დაწყებული, ვიდრე ძახეთის ყაბალამდე. ერთი მათგანი უნახავს 1846 წელს ა. იანოვსკის, ნუხის მაზრის ყაბალას მახლობლად; დანარჩენები ვნახე მე 1897 წელს. რისთვის და რა მიზეზით ყოფილან ისინი დაკეთებულნი? ხალხი ნუხის მაზრისა მოგვითხრობს, რომ ცივ-გომბორის მთის აღმოსავლეთი მხარე უწინ შემოსილი და დაბურული ყოფილა ტყითა და, ყაბალადგან შიგნით ძახეთისაკენ მომავალი გზაც, შიგ ამ ტყეში ყოფილა გაყვანილი. თურმე დიდი შიში იყო: ამ გზაზე მიმავალთ ჰხოცდნენ და სცარცვავდნენ ავაზაკნი. ღამე არავის შეეძლო გავლა. უშიშრობისათვის და ღამის გასათევად ჰერეთელებს ფუნდრუკები ჰქონიათ დაკეთებული. ფუნდრუკები ბევრი ყოფილა. ჩვენ ვიცით ექვსი. ერთი იყო ყაბალას მახლობლად, მეორე სოფ. ქუნგუთის პირის-პირ, რომელსაც ახლა ჰქვიან ეიზ-ეაჯა, მესამე არის სოფ. ყარაბულალთან, მეოთხე ალყაბურზე, მეხუთე—ალაზნის მარჯვნივ მხარეს, მეექვსე მილლარის მინდორზე ალაზნის მარჯვნივ, სიღნაღის მაზრაში, ყარაღაჯის მახლობლად. იმას ხალხი ეძახის ავუდებულ-ქვას. ამ მახლობელს დრომდე ის კიდევ კარგად იყო შენახული, მაგრამ ახლა ისე დარღვეულა, რომ საფუძველი-ღა ეტყობა.

ეს გადმოცემა ხალხისა ჩვენ უეჭველად მიგვაჩნია, ამისათვის რომ ასეთი ფუნდრუკები გაკეთებული ყოფილა საქართველოს სხვა ნაწილებშიაცა. აი რასა სწერს გამოჩენილი და სახელოვანი მკვლევარი კავკასიისა ულარი: „ძოლხიდის გზებზე აშენებული იყოო ქვის ფირფიტები, რომელნიც მოგზაურებს თურმე უჩვენებდნენ გზის მიმართულებას და სა-

---

თის რიმელიმე შემოსვევისა და აფორიაქების შემდეგ, ანუ უკუ (обратно). რედ.

დგურების ადგილ-მდებარეობას (იხ. Древнѣйшія сказанія о Кавк. II Услара, გვ. 421—427). ეს ფირფიტები ჯერ ქვისა უკეთებიათ და შემდგ ხისა. მათ ეწოდებოდა კურბეისი —იგივე სახელი, რომელიც ერათოსთენმა უწოდა ათონელთა ძველ ფიცრებს. შეეჭველია, რომ ეს ფირფიტები ნასახია ლანდ-ქარტებისა და ადვილად საფიქრებელია, რომ ჰეროდოტეს თვალწინ ჰქონდა ამისთანა ფირფიტები, როცა ჩამოსთვალა (IV, 21—25) ჩრდილოეთის ერთა სავაჭრო გზები ბორისთენისა და პონტოს მიდამოებში“ (იხ. Карлъ Риттеръ. Ист. Землевѣдѣнія).

ძავკასიაში მოგზაურობის დროს ეენის პროფესორს ძოხს გაუგონია კახელებისაგან მამა-პაპათა გადმონაცემი, რომ ყარალაჯში დიდი ქალაქი იყო უწინაო. თუ ეს გადმონაცემი სიტყვა მართალია, მაშ, სჩანს, ფუნდრუკიანი გზაც ამ ქალაქში შემოდიოდაო, დაასკვნის ის (იხ. Жур. М. Н. просв. Ноябрь 1846 წ.), მაგრამ ძოხი შემცდარია: ყარალაჯის ნანგრევები—არის ნაშთი ოსმალეთის მხედართ-მთავრის საფარფაშისაგან აშენებული ციხისა და სასახლეებისა, რომელნიც სპარსეთის ხანებს აუშენებიათ ოსმალთ შემდეგ და აქა მსხდარან, როგორც ძახეთის მთავარ-მართველნი (იხ. II ნ. ქ.-ც. გვ. 118—129). გარდა ამისა, აქვე, ფრიალო კლდის წვერზე ყოფილა აშენებული ძველს დროში სასახლე, რომლის ოთახების კედლები ჯერეც არ დანგრეულა სრულად. აწ ეს სასახლე მიუვალია, რადგან გზა გაფუჭებული აქვს. ბლეხები ამბობენ, რომ ამ კლდის, სასახლის ან კოშკის ძირს, ვაკეზე, ჩრდილოეთ მხარეს, ერთს დიდს კედელზე, ქართული ხუცური წარწერა არისო. შინაარსი არ იციან. *)

ყარალაჯის მახლობლად, ალაზნის მარჯვენა მხარეს, ყოფილა დიდი ქალაქი. მას ჰრქმევია „მოსაბრუნი“. მას იხსე-

---

*) აქ მოხსენებული ციხე-კოშკნი და დარბაზნი ფრიალო კლდეზე, ყარადაჯის მახლობლად, არის ნაშთი ძველის ქალაქისა ხორნა-

ნიებს „ქ.-ცხოვრებაც“ (იხ. ნაწ. II, გვ. 119). ასეთი სახელი დაჰრქმევია მას იმის გამო, რომ ლარივით სწორედ მიმდინარე ალაზანი ამ ადგილას მარცხნივ შეუბრუნდება, ორ-სამ ვერსის მანძილს რომ გაივლის, შემოუხვევს მინდორს, შემობრუნდება სამხრეთისაკენ, მოიქცევს დიდს მეიდანს მარჯვნივ და მერე ისევ გასწორდება და მიმდინარებს მილლარის ველზე. ასე სწერს ვახუშტი თავისს გეოგრაფიაში. ამისსავე სიტყვით ეს ქალაქი აუოხრებია უღმერთო შაჰ-აბაზს მე-XVII საუკუნეში. აქედგან მას გადუსახლებია სპარსეთს 100,000 ქართველი. იმას ისეთი მდებიარება ჰქონია, რომ იქიდგან კარგად იხილვება კახეთის უაბალი ჰიაურის თავში.

ჩემის აზრით უაბალადგან დაწყობილი ფუნდრუკებს მოგზაურები ნუხის მაზრიდგან მოჰყავდათ ჯერ „მოსაბრუნ“ ქალაქში და მერე აქედგან მიამგზავრებოდნენ კახეთის უაბალისაკენ, რომელიც აგრეთვე სავაჭრო ქალაქი უნდა ყოფილიყოს.

იქნება ვინმემ იფიქროს, რომ ნუხის მაზრაში მყოფი უაბალა ალბანიის სატახტო ქალაქი იყო, და ძიზიყის უაბალი ჰერეთის სატახტო ქალაქი ყოფილაო; მაგრამ ასეთი აზრი ეწინააღმდეგება ისტორიის თქმულებას. ჩვენის აზრით სტრაბონიც შემცდარია. უაბალა იყო ქართველთა ჰერეთის სატახტო ქალაქი, ხოლო უაბალი მისი განაყოფი. პირველი საზამთრო რეზიდენცია იყო, ხოლო მეორე—საზაფხულო. ალბანიის სატახტო რეზიდენცია კი იყო ქალაქი „ბერდა“ ანუ „ბარდა“, ბანჯის მახლობლად. იმას იხსენიებს „ქ.-ცხო-

---

ბუჯისა (იგივ ჭოეთი და კამბეჩოვანი), სიდამაც კახეთის შეფე დავითმა 1603 წელს გადმოყარა 12 მოამხრე თვისის ძმის გიორგისა, რომელთაც გაეფიცნათ გიორგის წინაშე, რომ შენს ძმას დავითს მოვჰკლავთო. ხორნაბუჯის სურათს და მის დაწვრილებითს აღწერას „მოგზაურში“ შემდეგში დავბეჭდავთ.

რედ.

ვრება“ უძველეს დროიდგან. მას იხსენებენ სომეხთა მწერალნიც და თავიანთებურად უწოდებენ „პარტავ“.

საქართველოსა და სომხეთის ეკლესიების გაყრის შემდეგ, ალბანიის ეკლესიის კათალიკოსები გადმოჰყავთ სომხებს დერბენდიდგან (ჩოგა) პარტავში (წურტავ?). აქვე სცხოვრებდნენ ალბანიის მეფეებიც. ხოლო ჰერეთის მეფენი სად იდგნენ, ისტორიამ არ იცის. ამ გარემოებას უჩივის ვახუშტიცა.

ინგილო ჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება)

გ უ რ ი ა

(შემდეგი *).

ახლა მოვიდეთ გურული დედა-კაცის საქმიანობაზედ, რომელიც უფრო უკეთ დაახასიათებს მოხსენებულ საგნების მიზეზებს.

გურული მანდილოსანი რა ადგება დილით ქათმებს აპურებს, ძროხას წველს და მათ ლორებთან ერთად საბალახოზე უშვებს; შემდეგ ამისა სამზარეულოში ხვეტს, სწმენდს და ცეცხლს ანთებს, კვერს ზელს და აცხობს; მის გამოცხობაში სახლ-კარს მიალაგებს და შემდეგ კვერსაც იღებს ცეცხლიდგან, გარეცხს მას და წვრილ შვილთან ერთად მითი თავს იხებსებს (ისაუზმებს), შემდეგ ამისა კი ყანის მუშის საადილის მზადებას შეუდგება.

აიღებს კოთხოს ანუ კალათას და გარბის წისქვილში ფქვილისათვის, ახვეტს და სასადილოს წამოიღებს; გაცრამდინ და მოზელამდის კეცს დაადგამს კარგს გაჩაღებულ ცეცხლზე, წყალს საჩქაროდ გაათბობს ფქვილის გაცრაში და შემდეგ კიდევაც მოზელს ცომს. (მჭადს ოც-და-ოთხი ტელეევერი (ძარღვი) აქვსო, იტყვიან ხოლმე, და ამიტომაც მუშისთვის რომ მავნებელი არ დარჩეს, დიდ-ხანსა ზელენ ცომს).

მჭადის მოზელაში კეციც გახურდება; — „არიქა! — იძახის სახლის დედა-კაცი; — „გადმომიდგით კეცი“! გადმოუდგამენ... „არიქა, ფურცელი, მომეხმარეთ!“ ყმაწვილები გარბიან გარეთ და იქავე ახლოს თხემლასი ან წაბლის და მუხის ხეებს

---

*) იხილე „მოგზაური“ № 3, გვ. 282.

შეართმევენ ფოთლებსა და მიურბენინებენ; სანამდინ ცეცხლისგან გაწითლებული, გახურებული კეცი შენელდებოდეს, ფურცელს რა მიაწვდიან, უფროსი მანდილოსანი გადაფერთხავს კეცს, სულსაც შეუბერავს, მოაგორებს გობზე ცომს და დააკრავს ცხელს კეცზე — „Არიქა, ჟესტიო“.—იძახის და თავს ულამაზებს ცომსა და თან ფურცლავს (ფოთლებს ადებს ზემოდგან), ჟესტს მოათბობს ცეცხლზე, რომ ბორბალას (ობობას) ქსელი, ან სხვა სიბინძურე არ მოჰკიდებოდეს ჟესტსაო და დაფურცლულს კეცს დაადებს.—„ბარი, ნიჩაბი, ან ყავარი, ან რაცხა მომეხმარეთო“,— იძახის ოფლში შეპკურებული მანდილოსანი. Ამასაც მალე მოუტანენ. Იღებს მითი საუკეთესო მღვიერს (ნალვერდალს), დაყრის ჟესტზე კეცს. Თუ ცეცხლი შესაფერი არ დაურჩა, მაშინ ბავშვს უშვებს „პიწკა-პუწკას“ მოსატანად და სანამ ბიჭი მოვიდოდეს, თითონ სიმინდის ნაგულებს ეძებს სამზარეულოში და აყრის კეცზე, რომელიც ერთობ ადრე აცხობს მჭადს. Ამის შემდეგ გარბის კალათით ბაღჩაში სასადილო მისაჭმელისათვის და თან უმოწმებს ყმაწვილს, რომ „სამისაჭმლო წყალი მომირბენიე და შემიკიდე ჩალხანითო“.

Რავდენიმე წამში მხალს ან ლობიოს შეჰკრეფს, გადაარჩევს სუფთად სათითაოდ და სწრაფადვე გადმორბის ბაღჩიდგან და რამდენიმე-ჯერ გადარეცხის შემდეგ შეკიდულს ჩალხანაში ჩაჰყრის; სანამდის ის ადუღდებოდეს და მოიხარშებოდეს, ის ხელ-მეორეთ ბაღჩაში გარბის და სუნნელებს: მაკიდოს, პრასას, ნიახურს, შაშტრამს, ნიორის ფურცელს, პილპილს და მისთანობას ჰკრეფს, გადმოარბენინებს, ჰყრის მარილთან ერთად სუნნელსა და ფილში ნაყავს, ნიგოზსაც ცალკე... Მხალის მოხარშვამდის ამასაც მოამზადებს; რა მოიხარშება, გადმოდგამს, ცივს წყალს დაასხამს, გაანელებს და ხელ-გობაზე გადმოუშვებს.—„არიქა“,— იძახის მზარეული ქალი:—„მომეხმარეთ,ძმარი, ყარავო და საინებიცაო (თეფში)“... Რა შეანელებს—გასწურავს მაგრათ ხელში და კურკუშ-კურ-

კუშს მხალ-ლობიოს გაშლის, ძმარში გახსნის სუნნელს, ნიგოზს და დაასხამს მშრალს გაშლილს მხალ-ლობიოსა, შეუსვრის და შემდეგ გასანახავს (გემოს) ნახავს და სხვასაც კი მიაწვდის: „გაინახულე, რავარია, მარილი, ან „ძმარი“, „ყარავო“ .არ აკლდესო“...

ამასობაში ჭურჭელსაც დარეცხს, მჭადსაც არეკს და ღინწკათი გაფხეკს—ტალაქვებიდგან; გასუფთავებულს მჭადს საინზე დასდებს და აგზანის ოდაზე, თვითონ კი მოსაჭმელს არიგებს საინებზე და თან იძახის: „მიშველეთ, ღვინო და სასადილო წყალიო, თვარა აგერ მოსულია სასადილოთ მეყანულიო“. *)

ეს ამოდენა სასაქმო (სადილი) საათ-ნახევარში მოამზადა. იჩქარა რაც შეეძლებოდა; ისაქმა ხელით და ფეხით, და თან ენით ლაპარაკიც მოახმარა, რაც თითონ ვერ მოასწრო, იქ სვვისი შემწეობით საქმე სისრულეში მოიყვანა. ბავშვებიც დიდათ ჩქაროობდნენ საქმეში, რომ სასადილო საქმეები არ დარჩენოდათ თავის დროზე გაუკეთებელი და თავისს გაკვეთილებსაც კი,თუ სწავლიდგან თავისუფალია, ყურადღებით ათვალიერებდნენ, რომ გაკვეთილები მოუმზადებელი არ დარჩენოდათ. ამათი შემხედვარნი ბავშვები ჩქარნი როგორ არ იქნებიან და მხნე-ცოცხალნი ყოველისფერში!..

თუ ნადი ბევრი ჰყავთ ყანაში, მაშინ მჭადის მაგიერ ღომს ამზადებენ, რადგანაც ღომი უფრო პატივდებაშია მიღებული გურიაში.

ეი ღომის დამზადებაც: ჩაჰყრიან საწყაოთი ღომს კარდალში (ქვაბში) და გარეცხენ, შემდეგ დაასხამენ წყალს სამ წილს ღომისას, შეჰკიდებენ ცეცხლზე და ურევენ ლაფერათი (ხის პატარა ნიჩაბით). როდესაც ადუღდება, ამოურევენ

---

*) თუ შორსაა ყანა, გააგზავნიან ვისმეს ხელით, ხოლო გამგზავნელს აჭმევენ და ისე გაისტუმრებენ, „ცოდვაა“ თუ არ ჭამაო, ამბობენ.

ლაფერათი, რა დაიშრობს წყალს, შემდეგ მოუწებავს თავსა, დაჰხურავს თავს ბაბილოს და ნელ ცეცხლზე აშუშებენ. დაშუშებისას ჩამოდგმენ, დაზელენ ჩოგანით (გათლილი ხის მოკლე ჯოხით), დაარიგებენ საინებზე და მიაწვდიან საჭმელად (რომელიც მეტად გემრიელია).

Ცივ ღომს გააფიცხებენ და ისე მიირთმევენ. ბემრიელია ღომის ქერქიც (ნაფხეკი).

კ. ზვარამაძე.

(შემდეგი იქნება)

ჰონსტანტინე იაკობის ძე ზუბალაშვილი
და მისი გვარის ისტორია. *)

მარად მოსაგონარის ჰონსტანტინე იაკობის ძის ზუბალაშვილის გარდაცვალება ნებას გვაძლევს ჩვენ, რომ მცირედ აქ ჩვენს წერილს ისტორიული ხასიათი მივჰსცეთ, მოკლედ მოვიხსენოთ განსვენებულის გვარის ისტორია. ეს ჩვენთვის საჭიროებას შეადგენს, რადგანაც ამათ გვარის ისტორიამ საკამათო მიმართვა მიიღო. სომხურ გაზეთებში ბევრჯერ სწერეს, რომ ზუბალოვები სომხები არიან, ანუ სომეხ-კათოლიკენი და არა ქართველნი. ასეთ საუბარს თვით განსვენებულის დასაფლავების დღესაც კი შევესწარით, ბევრს ალაგას ლაპარაკობდნენ ამათ გვარის შესახებ, რომ ისინი სომხები არიან და არა ქართველნი. ამბობდნენ:

„ქართველი კათოლიკე არც ყოფილა და არც იქმნებაო, ეს არც ეკლესიას უცვნია და არც მთავრობასაო“.

ასეთ კამათობის შესახებ, როდესაც ადრე სომხურ გა-

---

*) მდგომარე წლის 26 მარტს გარდაცვალებული ჰონსტანტინე იაკობის ძე ზუბალაშვილი ჩვენ მიგვაჩნია ერთ უბრწყინვალეს გვამად ჩვენს ხვს-მოკიდებულს ცხოვრებაში. ხე ნაყოფით იცნობაო, ნათქვამია, და ი განსვენებულმაც სწორედ ამ ნაყოფით გვამცნო თავისი ზღვა გული, თავისი ვინაობა, კაცობა, ადამიანობა, უნტრფესი ძმის—ხალხის—სიყვარული და მისდამი ყოველს მდგომარეობაში პატივისა და ვალდებულების ხსოვნა! დიახ! **სამასი-ათასი მანეთის შეწირვა სახალხო საქმისათვის** ისეთი დიდი და იშვიათი საქმეა ჩვენში, რომ ყოველმა ჩვენგანმა და, კერძოდ ხალხმა, მარად კეთილ-სახსენებელი უნდა გახადოს ასეთის გვამთა სახელი.

ზეთებში წერილები დაისტამბა, მის შესახებ განსვენებულ კონსტანტინესთან გვქონდა საუბარი.

ზუბალაშვილების გვარი ეკუთვნის ქართველთ მოდგმას, ძველად იგინი მოსახლეობდნენ ბორის მაზრის ცხინვალის ხეობის ჯავისაკენ. მაშინ ამათი წინაპარნი სოფლის მეურნეობას მისდევდნენ, ამიტომ ისინი ხშირად ცხინვალ'შიაც ცხოვრებდნენ და იქიდამ ბორშიაც მოგზაურობდნენ. ძველად, მე-XVII საუკუნის გასვლამდე ესენი იწოდებოდნენ — ზუბაშვილებად. ზუბაშვილები დღესაც მრავლად სცხოვრებენ ცხინვალის ხეობისაკენ, ზოგნი ჯავის ხეობის ქართველ ოსებშიაც არიან. ზუბალაშვილი ზუბაშვილიდგან არის გადაკეთებული. ამ გვარის გარდაკეთების ხანად XVII საუკუნის წლები უნდა აღვნიშნოთ, რადგანაც 1720 წელს, ოსმალეთიდამ საქართველოში დაბრუნებული ზუბაშვილები უკვე ზუბალაშვილებათ არიან მოხსენებულნი.

მაგალითებრ: 1730 წელს, ქ. ბორში სცხოვრებდა ორი ოჯახი ზუბაშვილებისა, რომელნიც ქართველ კათოლიკებათ ირიცხებოდნენ და რომელთა გვარს ბორის კათოლიკეთ ლათინის წეს-რიგის პატრი ზუბალოვად მოიხსენებს და შთამომავლობით ქართველად. ეს ზუბალოვები არიან ბიორგი და თამარი და ამათი შვილი, რომელიც ბორის კათოლიკეთ ეკლესიაში 1733 წელს მოუნათლავთ და სახელად პეტრე უწოდებიათ. ამ დროს, ბორის ეკლესიის კათოლიკე მღვდლად ყოფილა ფელიქს ანტონიუსი, რომელიც იმ დროის ზუბალაშვილებს ასე მოიხსენებს თავისს წერილში:

ეს არის მიზეზი, რომ ჩვენ დიდის სიამოვნებით ადგილს ვუთმობთ პატივცემულ ზ. ჯ—ის წერილს განსვენებულის და მისის გვარის შესახებ.

„ფელიქს ანტონიუმ, გორის კათოლიკეთ მოძღვარმა, ამ (გორის) სამშობლოს შვილებს თამარს და გიორგი ზუბალოვს მე მოუნათლე შვილი პეტრე 1733 წ.“.

აქედამ კარგად სჩანს, რომ ზუბალოვების გვარის წევრთა ისტორია XVIII საუკუნეზედ წინეთ უნდა ვეძიოთ, რადგანაც 1733 წ. თამარი, გიორგი და სხვანი უკვე კათოლიკე ზუბალოვებათ სჩანან და ისიც უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ ეს წევრნი 1733 წ. 25 წლებამდე მოღწეულნი მაინც იქნებოდნენ. ამას გარდა სჩანან კიდევ შემდეგი პირნი ზუბალოვებისა: ზურაბი, ამის შვილები: გიორგი, მერაბი და იოსები; ესენი სჩანან 1740—90 წლებამდე. გიორგის ჯალაბი თამარი მიიცვალა 1785 წ. მერაბის ჯალაბი ელენე 1790 წ. ანდრია ზუბალოვი 1793 წ. იოანე ზუბალოვის შვილი პეტრე 1794 წ. მერაბის მეუღლე ლალებ 1798 წ. იოანეს მეუღლე ანასტასია 1802 წ. გიორგი ზუბალოვის მეუღლე ანნა მიიცვალა 1806 წ. მიხეილის მეუღლე თამარი 1818 წ. ანდრია ზუბალოვის მეუღლე მარიამა 1820 წ. ივანე ზუბალოვი, პაპა აწ განსვენებულის ზუბალაშვილისა 1810 წ., რომელიც გორის კათოლიკეთ „სავარდისის“ ძმობაში ჩაწერილა; ამავე ძმობაში ჩაწერილა დედა განსვენებულის კონსტანტინესი ანნა და მამა იაკობი, ამათი გარდაცვალების წელნი არ სჩანს. ამ გარდაცვალებულთ და ცოცხალთ ზუბალოვებს გარდა სჩანან კიდევ შემდეგნი: გიორგი ზუბალოვი, გრიგოლი, ივანე, ივანეს ძე ანდრია, პეტრე, ამის ძე დავით, მიქელი, თომა, გიორგი, სომეხთაგან გრიქურად წოდებული და ქალი თამარი და მრავალიც სხვანი, რომელნიც XVIII საუკუნის პირებად ირიცხებიან და ესენი XIX საუკუნესაც მოესწრნენ.

ამ სახელებიდამ კარგად სჩანს, რომ ზუბალოვებს, როგორც ქართველთ შთამომავალთ ქართული სახელების დარქმევა ძველიდგანვე ჰქონიათ მიღებული, თვით ქალების სახელებიც კი ნამდვილი ქართულია. იგინი რომ სომხის ტომის ყოფილიყვნენ და მათი შთამომავალნი, მაშინ მათში გრი-

ქორა, პოლოსა, მარტირუზა, ძირაკოსა, შუშანა და სხვანიც მრავლად იქმნებოდა, მაგრამ არა, ამას ჩვენ მათში ვერ ვხედავთ, სომხური სახელების დარქმევა ზუბალაშვილებში შემოვიდა ხმარებაში 1800 წ. შემდეგიდამ, როცა სომეხ-კათოლიკეთ გავლენა მათზედ დიდათ განცხოველდა, თუმცა ისიც კი უნდა ვსთქვათ, რომ XVIII საუკუნეშიაც ხშირად არქმევდნენ ქართველებს სომხურს სახელებს. ამის გავლენა აიხსნება 1800 წლების შემდეგ მომხდარ სხვა-და-სხვა გარემოებათა მეოხებით.

ამ ბიორგის, თამარის და მათის შვილების ზუბალოვების გარდა, 1689—1724 წლებამდე სჩანს კიდევ ერთიც სხვა ბიორგი ზუბალაშვილი, მოძღვარი, თანამედროვე ვახტანგ მეფისა და თავის დროის კვალად განთქმული მწიგნობარიც. ამ მწიგნობარ ბიორგი მოძღვრის სახელს აქა-იქ სიგელ-გუჯრებშიაც მოიხსენებენ. ეს მოძღვარი სარწმუნოებით მართლმადიდებელი იყო, ტომით ქართველი, ღვიძლი მონათესავე კათოლიკეთ ქართველ ზუბალაშვილებისა. ამ პირს გარდა 1680—1730 წლებში, სხვა ზუბალაშვილებიც ყოფილან, მაგრამ მათზედ ჩვენ ცნობა არ გვაქვს.

ჩვენ გარდაწყვეტით ვიტყვით, რომ ის შტო ზუბალაშვილებისა, რომელნიც კი კათოლიკობას შეუერთდნენ, ოსმალეთიდამ საქართველოში 1690 წლებს უნდა იყვნენ დაბრუნებულნი, ესენი უნდა ჩაითვალონ ზუბალაშვილების უპირველეს მამათ-მთავრათ, რომელნიც კათოლიკობას შეუერთდნენ და ოსმალეთიდგან განთავისუფლებულნი და უკვე კათოლიკის სარწმუნოების მაღიარებელნი 1690 წ. ახალციხიდამ ბორს დაბრუნდნენ. ასე რომ ზუბალაშვილების გვარის წევრთა კათოლიკის სარწმუნოებასთან დაკავშირება ქ. ბორს და ცხინვალს არ მომხდარა, სადაც მაშინ კათოლიკეთ რიცხვი ძრიელ მრავლობდა.

თუ ეს ასე არ არის და 1733 წ. მოხსენებული ბიორგი, მისი მეუღლე თამარი და მათი შვილები მივიღეთ ზუ-

ბალაშვილების გვარის პირველ მამათ-მთავარ კათოლიკებათ, მაშინ მათი ოსმალში წაყვანა 1723 წ. უნდა მომხდარიყოს, როცა ოსმალთა ქართლი მიმოვლეს და ბორი აიღეს, მაგრამ არა, ეს არ შეიძლება მივიღოთ სახეში, რადგანაც ხსენებულ წელს წაყვანილთ, ზუბალაშვილები 1730 წლებამდის, კათოლიკობასთან დაკავშირებულნი და უკვე წინ წასულნი, ბორში გადმოსახლებას ვერ მოასწრებდნენ, ასე, რომ ზუბალაანთ გვარის იმ მამათ-მთავართ რიცხვი, რომელნიც კი კათოლიკობას დაუკავშირდნენ, უნდა ყოფილიყვნენ XVII საუკუნის ნახევრის შემდეგ და მათი კათოლიკობით საქართველოში დაბრუნება 1690 წლებში უნდა მომხდარიყოს. სწორედ ამ წელს დაბრუნებულთ შთამომავალნი უნდა იყვნენ ბიორგი და თამარი, რომელნიც 1730 წ. მოიხსენებიან.

XVIII საუკუნის ნახევარს, მეფე თეიმურაზის და ირაკლის კარზედ სცხოვრებდა ერთი რომან ზუბალაშვილი, თავის დროის კვალად წარჩინებული პირი, მწიგნობარი ტ მეფეთაგან პატივცემული; იგი ერთ დროს დადგენილ იქმნა თბილისში ქართულ სტამბის უფროს გამგე წიგნთ-მბეჭდავათაც, მისის გამგეობის დროს თბილისში რამდენიმე ქართული წიგნი დაისტამბა, რომლის ფურცლებზედაც რომანი ზოგ ალაგას ზუბაშვილად მოიხსენება და ზოგან ზუბალოვად.

რომანოზ ზუბალაშვილის აღზრდის შესახებ ჩვენ არა ვიცით რა, თუ იგი სად აღიზარდა, ვისგან შეისწავლა მესტამბობა. თავისს საგანში მცოდნე პირათ კი იგულისხმება. ამის საფუძვლად პროფესორს ალ. ცაგარელს შემდეგი ცნობა მოჰყავს, რომელიც მიწერილია ერთს ძველად დაბეჭდილს „სახარების“ წიგნზედ, მაგალითებრ, „на стр. 301: „განსრულდა ხელითა მესტამბე რომანოზ ზუბალაშვილისათა; ბრძანის მბრეძანებითა და დაზგის მართველობით კარის საუდრის ხუცის დავით კეკურაშვილი; რუსეთიდგან მოვატანინეთ ქალაქადი,—და სხვა-და-სხვა ქალაქადი მოვიდის,—განა-და არა უოფისა სალმრთოჲსა წერილისასა, ესრეთვე განმრავლება ვარჩიე“.

თბილისში სტამბის აყვავების შემდეგ რომანოზ ზუბალაშვილი იმერეთში გადასულა, სოლომონ იმერთა მეფის წინაშე, იქ ის პატივით მიუღიათ და მერე იმერეთის სტამბის გამგეთ დაუნიშნავთ. იქ რომანოზს და მისს შვილს წიგნები უბეჭდიათ, ამათგან იმერეთის სამეფო სტამბაში დასტამბული წიგნი უკანასკნელად 1811 წ. გამოიცა. შემდეგს დროებში იმათი ცნობა იკარგება. 1810 წლების შემდეგ იმერეთში ჩნდება ბიორგი თუ იაგორ ზუბალაშვილი, რომელიც იმერთა რუსთაგან დაკავშირებაში იღებს მონაწილეობას, მას ენატრება ამ კუთხის ქართლ-კახეთთან დაკავშირება. საქმის შესრულების შემდეგს ეს მსახურებდა „ექსპედიციის“ ნაწილში. იგი თავის დროის კვალად მწიგნობარ პირად ირიცხებოდა, იცოდა რუსული ენა, წერა და კითხვაც. ის კი არ ვიცით კარგათ, თუ ეს იაგორ თუ ბიორგი ზუბალაშვილი ვისი შთამომავალი იყო, რომანოზისა თუ სხვების, ან იმერეთში იგი როდის გადასახლდა და რა საქმეების გამო. ის კი ვიცით, რომ ბიორგი ზუბალაშვილს იმერეთის მეფე სოლომონ მეორესთან დაახლოვებული კავშირი ჰქონია. რომანოზ ზუბალაშვილის ძეთ დასახელებულია დავით ზუბალაშვილი, რომელიც აგრეთვე იღებდა მონაწილეობას იმერეთის სტამბაში წიგნების ბეჭდვაში და იგიც მცოდნე ოსტატ ხელოსნათაც ირიცხებოდა.

საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ ზუბალაანთ გვართა შორის, ძველადვე გამრავლდნენ ისეთი პატიოსანი წარჩინებული პირნი, რომელთაც ცხოვრებაზედ და ადამიანურს მოქმედებაზედ მკაცრათ იწყეს მზერა. სწორეთ ეს მკაცრი და ენერგიული ვითარება უნდა ჩაითვალოს მის მიზეზად, რომ იგინი საქართველოში ძველიდგანვე წარჩინებითის მხარეებით მიეცნენ წარმატებას და მეფედამ დაწყობილი უმდაბლესამდე ყველა იცნობდა მათ და პატივს სცემდა.

კარგად სჩანს, რომ ამ გვარის წევრთ გვაროვნობის შესახებ 1795 წ. შემდეგ უკვე გარდასწყვიტეს თბი-

ლისში მეფის ირაკლის და გიორგის ჩვენებით და იმერეთში სოლომონ მეფის თანხმობით, რომ ზუბალაშვილებს აზნაურისშვილობა უნდა მიეღოთ, რადგანაც 1795 წლის უბედურების შემდეგ ბორის და ქუთაისის მცხოვრებთ ზუბალაშვილებმა დიდი დახმარება მისცეს თბილისის გაჭირებულთ მცხოვრებთ, რომელთაც სახლ-კარი აღა-მაჰმად ხანისაგან დაექცათ და დაეწვათ. მაშინდელის მოწყალების განღებით ზუბალაშვილებმა თბილისში დიდათ განითქვეს სახელი. იგინი პატივცემულ იქმნენ, როგორც მეფისაგან, ისე თავად-აზნაურთ, მოქალაქე და გლეხთაგან. ამათი უხვი შეწირულება და შრომა გახდა მის მიზეზათ, რომ მათ მეფე ერეკლემ სიტყვიერად 1796 წ. აზნაურისშვილობა დაჭვირდა, მაგრამ ბოძებას კი ვერ მოესწრა, რადგანაც 1798 წ. იანვრის 18-ს მეფე გარდაიცვალა, ვედარ მოასწრო სიტყვით დაპირების გარეშე წერილითაც ადსრულება. 1798 წლის შემდეგ, მოგეხსენებათ, რომ საქართველოში დიდი არევ-დარევა ხდებოდა, უცხოთა მეოხებით ბატონიშვილები ერთმანერთში აირ-დაირივნენ. აქ სამეფოს ტახტის დასასრულმაც თავი იჩინა და გიორგი მეფემაც ვეღარ მოასწრო, ზუბალაშვილებს ვეღარ აღუსრულა მეფე ერეკლეს ანდერძი. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ საქმეთ ამბავნი ზუბალაშვილებში ბევრს ხნიერ კაცს ეცონიდება, ამბათ მაინც ექმნებათ ძველებთაგან გაგონილი.

ზეპირ და ისტორიულად კი შემდეგი მოთხრობა არის დარჩენილი ზუბალაშვილების გვარის შესახებ მოგვყავს იგი აქ სავსებით.

XVII საუკუნის ნახევარს, ოსმალთა სამუდამოთ გადასწყვიტეს ქართლ-კახეთის საყოველთაოთ დამორჩილება, ქართლ-კახეთის დაღისტანთან შეერთება, თბილისში ოსმალის ფაშის დასმა და შემდეგ მთელს ქართველობაში ისლამის გავრცელება. მათ ბრძანეს: რომ ამდენი სამეფოები დავიმორჩილეთ, დავიმონეთ და ვერ დავიჭირეთ საქართველო, ეს რასა ჰგავსო! მათ ნათლათ დახატეს საქართველოს დაჭე-

რა, დაღისტანთან დაკავშირება და მერე მთელის საქართველოს გათათრება; ამის მეოხებით იმედოვნებდნენ ქართველების ერთგულებას, საქართველოში საყოველთაოთ ფეხის გამაგრებას. ამას ესენი მით უფრო ფიქრობდნენ, რადგანაც ვადრე დასავლეთ საქართველო არ დაიჭირეს მაგრათ და იქ მცხოვრები ქართველნი არ გაათათრეს, მათში ქრისტიანობა არ აღმოკვეთეს და ისლამის ფანატიზმი არ დაამყარეს, მინამ მათ იქ ფეხი ვერ მოიკიდეს. ოსმალეთმა ეს გეგმა გაარკვია 1629 წ., როცა სამცხე საათაბაგოში ახალ-ციხის ათაბაგობა მოსპეს და ფაშობა განაწესეს.

ამ განძრახვით აღვსილთ ოსმალთა საქართველოს დაუწყეს მტრობა. იმ დროს, იმერეთი მათი მოხარკე იყო. მალე დაიწყეს ნავარდობა და ქართლზედ გალაშქრება. 1680 წლებში ახალ-ციხიდამ მათ გამოვლეს ბორჯომის ხეობა, შემოვიდნენ ქართლში და ბორამდის აიღეს ყველა დაბა და სოფლები, ციხეები და კოშკები. ბორში ფეხი გაიმაგრეს, იქ ფაშა დასვეს და იქიდგან თბილისზე უნდა წასულიყვნენ, მაგრამ არ გავიდა დიდი ხანი, რომ მთელის ქართლის მცხოვრებნი შეიკრიბნენ ერთად, შეერთებულის ჰაზრით შეთანხმებულნი ეკვეთნენ ოსმალთ და ისე დაამარცხეს, რომ ოსმალნი უკანვე დაბრუნდნენ ბორჯომის გზით ახალ-ციხეში. ეს დამარცხება ოსმალთ ძვირათ დაუჯდათ, მათ ველარსად ველარა გააწყეს-რა, ყველაფერი აქ დაყარეს, ქართველთ გმირულად სძლიეს იგინი, მათ მხოლოდ ომის დროს იხელთეს და რამდენიმე მეომარი დაიჭირეს და თან წაიყვანეს. ამ მეომრებში რეულან დღევანდელის ზუბალოვების წინაპართ შთაომავლობის რამდენიმე წევრნიც, რომელთაც ომში თავი უსახელიათ.

ქართლიდამ დევნილი ოსმალნი ახალ-ციხეში მივიდნენ და ტყვეებიც იქ მიიყვანეს, იქიდამ მათ ოსმალეთში გაგზავნას უპირებდნენ და იქ დაყიდვას. იმ დროის ახალ-ციხის კათოლიკეთ მოძღვრებმა დიდი ქრისტიანული მხნეობა გამოი-

ჩინეს და ის ტყვეები მთლად დაიხსნეს, რის შემდეგ ზოგნი მაშინათვე სამშობლოში—ქართლში დაბრუნდნენ და ზოგნი კი იქ დარჩნენ. ამ დაშთენილებში მოჰყვნენ დღევანდელ ზუბალოვების წინაპარნიც, რომელთაც ახალციხეში კათოლიკობა აღიარეს, ლათინის წეს-რიგის ტიბიკონს შეუერთდნენ და იქვე დასახლდნენ, კათოლიკეთ პატრების მფარველობის ქვეშ იყვნენ და ნელ-ნელა ვაჭრობასა და წარმატებასაც ეჩვეოდნენ, რამდენიმე ხნის განმავლობაში იგინი აღმოჩნდნენ შესამჩნევ პირებათ, მცოდნე ვაჭრებად. ესევე დრო იყო, რომ ლათინის პატრების და ოსმალური ენის გავლენის წყალობით გვარი შეენაცვლათ და ზუბალოვი ეწოდათ. ზუბალოვებმა მალე ოსმალეთშიაც იწყეს მგზავრობა და იქიდამ ახალციხეში სხვა-და-სხვა საქონლის შემოტანა. ამ აღებ-მიცემაში, პატრები მათ დიდს დახმარებას და მფარველობას უწევდნენ, ფულითაც უმართავდნენ ხელს. ახალციხიდამ მალე ზუბალოვებმა ქართლშიაც იწყეს გადმოსვლა, თან ოსმალური და ევროპიული საქონელი მოჰქონდათ და ვაჭრობდნენ. მათ სავაჭრო ადგილებათ ამოირჩიეს ბორი, თბილისი, ქუთაისი, ცხინვალი და სხვა დაბა-ქალაქებიც.

ზუბალოვები მალე დაწინაურდნენ ქონებით, ქართლში კარგათ წაუვიდათ საქმე, ახალციხიდამ გორში გადმოსახლდნენ, იქ აღაგეს სასახლე, შეიძინეს მამულები და იქვე დასახლდნენ, მერე იქიდამ მოგზაურობდნენ ოსმალეთს, სპარსეთს და მთელს საქართველოში. იქიდამ მათ საქართველოშა შემოჰქონდათ სხვა-და-სხვა საჭირო საქონელი, მაგალითებრ ჩაი, შაქარი, ლილა, კევი, ძაფი, ქალალდი, ფარჩეულობა, ნემსი, სარკე და სხვ. აქედამ გაჰქონდათ ის ნივთები და საქონელი, რაც აქ იყო და იქ არა. ასეთის ვაჭრობით, ზუბალოვები ისე დაწინაურდნენ, რომ მათ გამოჩენილ ჰყვეს თავისი სახელი ქართველთ მეფეების წინაშე. მათ პატივს სცემდნენ მეფენი, მთავარნი და დიდებულნიც. მე-XVIII საუკუნის დამლევს, მათ უკვე კაი შეძლება და მამულები ჰქონდათ მოპოვებული.

მაშინდელ ვაჭარ ზუბალოვების შეძლება და წარმოება იმოდენი იყო და მათ ისე პატივს აპყრობდნენ თვით მეფენიც, რომ ესენი ზუბალაანთ გვარის წევრთ ყმებსაც აძლევდნენ, ამათ ყმებთაგანი ჩვენც ბრავლად გვინახავს. ამათი ერთი ყმა ზაქარია მოხსენებულია ბორის კათოლიკეთ ძმობის „სავარდისში". ყმანი ყოველთვის ემადრიელებოდნენ თავიანთ მებატონე ზუბალაშვილებს.

საქართველოს რუსეთთან დაკავშირების შემდეგ ამათი გვარის საქმე უფრო კარგად წავიდა, რადგანაც მათ ვაჭრობის გზა გაეხსნათ, მთავრობისაგან საიჯარო საქმეების აღება დაიწყეს და ფულის მოგებაც.

1802 წ. ზუბალოვები რუსეთის მთავრობის წინაშე ცნობილ იქმნენ, როგორც შეძლებულნი ქართველთ ვაჭარნი. ამათი გვარის პატივისცემა ისე წავიდა წინ მაშინდელის მთავარ-მართებლის წინაშე, რომ თვით პირველ მთავარ-მართებელმა ციციშვილმაც მიაქცია ყურადღება და ჯეროვანი პატივიც აგო, მათ მისცა კარგა ბევრი „ფოდრადები". 1802 წ. ბოლოს, ჯავის ხეობაზედ, გაცარცულ იქმნა ერთი მდიდარ ზუბალაშვილთაგანი, რომლის ცნობები მაშინათვე აცნობეს მთავარ-მართებელს და მან ამ გაცარცვას დიდი ყურადღებაც მიაქცია. „კავკასიის აქტებში" ბევრ ალაგას მოიხსენებიან ზუბალაანთ გვარის წევრნი, ვითარცა მოწინავე პირნი, მრჩონი და შემძლენი.

სხვათა შორის ივანე და ბიორგი ზუბალოვს მოიხსენებს საფრანგეთის მოგზაური ორიენტალისტი **დუბოა დე მონპრე**. ორიენტალისტი ზუბალოვებს სომხად იხსენიებს, ხოლო, როგორ სომხებად, გვარით თუ სარწმუნოების მხრით, ამაზედ მეცნიერი ორიენტალისტი არაფერს ამბობს, იგი მარტო იმას ამბობს, რომ ზუბალოვები სომხები არიანო. სწორედ ეს უნებლიეთი შეცდომა უცხო კაცისა დაიხვიეს სომხებმა ხელზედ და დაიწყეს ადრე სომხურ გაზეთებში წერა, რომ ზუბალაშვილები სომხის გვარის კათოლიკენი არიან და არა ქარ-

თველნიო. ამის შესახებაც მოგახსენებთ ცნობას, თუ დუბოა დე მონპრეს ზუბალაშვილებმა რათ უთხრეს, რომ ჩვენ სომხები ვართო. რა იყო ამის მიზეზი, რომ ძირეულ მკვიდრ საქართველოს შვილებმა, ქართველთ შთამომავლებმა უცხოეთის მოგზაურის წინაშე თავიანთი ვინაობა სომხად გამოაცხადეს?

XVIII საუკ. ნახევარს, საქართველოს რომის კათოლიკების ყურის გდება და პატრონობა მეტად გამწვავდა სიშორის გამო, საქართველოს ქართველთ გვარის კათოლიკებს რომის სამღვდელოება ჯეროვნად ყურადღებას ვერ აპყრობდა. საქმე მეტად უძნელდებოდათ, ამ სიძნელისთვის რომის სამღვდელოება დიდათ სწუხდა, სწუხდნენ მით უფრო, რადგანაც საქართველოში მათი მოძღვარნი დიდს დევნასა და გმობასაც ეძლეოდნენ. მათ მფარველად ახლოს არავინ ჩნდებოდა. ამიტომ ერთ დროს რომის სამღვდელოებამ კონსტანტინეპოლის სომეხ-კათოლიკეთ პატრიარქს მიმართეს და მას დაავალეს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ქართველ კათოლიკების მფარველობა და ყურის გდება.

პატრიარქმა რომის პაპის დავალება სიამოვნებით მიიღო, ბრძანება შეიწყნარა, საქართველოს ქართველთ კათოლიკობა ჩაიბარა, მალე საქართველოში სამღვდელო პირნი გამოგზავნეს, საქართველოს კათოლიკეთა რაოდენობა და ეკლესიების ცნობები შეჰკრიბეს, ხალხი გაიცნეს და შემდგომ, სადაც საჭირო იყო, იქ სომეხ-კათოლიკის მღვდლებიც განაწესეს. სამღვდელო პირნი მოვიდნენ, ეკლესიებში დამკვიდრდნენ და დაუწყეს მწყსვა. ეკლესიებში სახმარ, საეკლესიო ენათ მათ, რასაკვირველია, სომხური ენა შეიტანეს, რადგანაც სომხურს ენაზედ აღორძინებული ჰქონდათ საეკლესიო მწიგნობრობა. მცირე ხნის განმავლობაში საქმე ისე მოეწყო, რომ სომხის კათოლიკეთ სამღვდელოებამ სომხური ენის გავრცელება და ქართველთ კათოლიკეთ სომხათ აღიარებაც იწყეს. ესენი ეკლესიებში ხალხს უქადაგებდნენ, რომ თქვენ სომეხნი ხართ,

სომეხთ კათოლიკენიო. ლოცვა, სახარების კითხვა, ქორწინება, დასაფლავება და ქადაგებაც სულ სომხურს ენაზედ სწარმოებდა. სომეხთა შრომით საქმე ისე მოეწყო, რომ 1848 წ. ქართველ გვარის კათოლიკენი სომხის გვარის კათოლიკეთ იქმნენ შერაცხილნი და ამ დროდგან ქართველებში სომხური სახელების ხმარებაც შემოვიდა. ამას ცხადათ ამტკიცებს ახალ-ციხის ქართველ კათოლიკეთ ეკლესიის ძველი ცნობები და ისტორიული მასალები.

უნდა ვსთქვათ, რომ ქართველებში არამც თუ მარტოდ სომხური სახელები შემოვიდა ხმარებაში, არამედ ზოგიერთს კუთხეებში, ქართველთ კათოლიკეთ შორის, ქართულმა ენამაც კი იწყო ამოვარდნა და დავიწყება. ამის მაგალითს გვიმტკიცებს ართვინის ქართველ კათოლიკეთა გარემოება და ის ცნობები, რაც კი ბ. პ. იზაშვილისაგანაც იქმნა განმარტული მისს წერილში. რაც ართვინს მოხდა, იგივე ნარუქი სხვა ადგილებსაც ეწვია, სხვაგანაც ისევე გადაგვარდნენ, ახალ-ციხეშიაც ისევე მოხდებოდა, რომ საქმეს დაცდის დრო მისცემოდა. აქ ამ გარემოებას აეწინააღმდეგა უფრო ის პირობები, რომ 1829 წ. ახალციხე რუსთაგან აღებულ იქმნა და ქართლ-კახეთ-იმერეთთან დაკავშირებული. ქართველთ გადაგვარება კი უფრო ოსმალეთის საქართველოს ქართველ გვარის კათოლიკეებში ხდებოდა, რადგანაც იქ ქართველობა ოსმალთაგან ყოველთვის დევნაში იყო, ქართველთ იქ არამც თუ არსებობის, უბრალო ხსენების ნებასაც არ აძლევდნენ.

საქმე მარტოდ გადაგვარება კი არ გახდა საყურადღებოთ, საოცრება ის არის, რომ იმ გადაგვარების დროს, თვით გადაგვარების რწმენაც კი მტკიცედ იდგამდა მათში ფესვსა და ყველა ქართველ გვარის კათოლიკეს თავში ეხატებოდა ის აზრი, რომ ის სომეხ-კათოლიკეა, სომხის შთამომავალი. ამას, რასაკვირველია, ეკლესიაშა სომხური ენის ხმარება და მათ ტიბიკონზე დგომაც საკმარისად ასხამდა ფესვებს. აი

სულ ამ გარემოების წყალობა გახლავთ, რომ საფრანგეთის მოგზაურს დუბოა დე მონპრეს ივანე და ბიორგი ზუბალოვებმა თავიანთი ვინაობა სომხად აუწყეს.

მოგზაურს რომ შეეტყო, რომ ზუბალოვებმა მას აცნობეს თავიანთი გვარი ბრუნდეთ, ანუ უცხო ტომის ტიბიკონის დაჩრდილების ქვეშ, მაშინ ის იმათ დაწვრილებით გამოჰკითხავდა და ისე აღნიშნავდა ზუბალოვებს, მაგრამ მან ეს არ იცოდა და ზუბალოვებსაც სულ არ მოუვიდოდათ ფიქრათ, რომ ბორის მკვიდრთ ქართველთ შთამომავალთ უცხო მოგზაური როგორ იკადრებდა იმას, რომ ქართველი გვარის შთამომავალი, სარწმუნოების მხრით სხვა ტომის შვილათ ეღიარებინა. ეს მარტოდ ჩვენში მოხდება, თორემ ევროპაში და საფრანგეთშიაც ფრანცუზი, კათოლიკის სჯულის, თუ პროტესტანტის და სხვის სარწმუნოების, ყველა ფრანცუზათ ითვლება და არა სხვა-და-სხვა ტომის ძეთ, სჯულის მეოხებით. ხშირად ჩვენში ასეთ უნებლიეთ შეცდომებს ზოგიერთები ისტორიულს ხასიათს აძლევენ და მერე ხელზედ იხვევენ და სჯიან კიდეც. აი ასეთი გახლავთ ზუბალოვების გვარის ისტორია და ასეთსავე ისტორიულ პირობებთან არის დაკავშირებული მთელის ქართველთ კათოლიკეთა გვაროვნობის ისტორია.

ისტორიულის გარდმოცემით ვიცით, რომ XVIII საუკუნეში, ზუბალაშვილების ერთი თუ ორი წევრი, კათოლიკობიდამ გრიგორიანობაზედ გადასულან. მიზეზი ამათი გადასვლისა ჩვენ არ ვიცით, ის კი უნდა ვიქონიოთ სახეში, რომ მათი გარდასვლა სომეხ-კათოლიკეთა მოძღვართაგან მოხდებოდა, თორემ რამდენადაც ვიცით ჩვენ, ზუბალაშვილების თვისება და გარდმოცემა, იგინი თავიანთის ნებით და წადილით არა დროს არ დაუკავშირდებოდნენ გრიგორიანებს. აქ უეჭველია, რამე განსაკუთრებითი პირობებს ექმნება მნიშვნელობა. დღეს ასეთ ანუ გრიგორიანთ მაღიარებელთ ზუბალაშვილის შთამომავალნიც სცხოვრებენ საქართველოში და თავიანთ ვინაობას სომხად აღიარებენ.

II

ქონსტანტინე იაკობის ძე ზუბალაშვილი იყო თავის დროის კვალად ქართველ წარჩინებულ პირთაგანი. იგი დაიბადა და აღიზარდა ისეთ დროს, როცა საქართველოში რუსეთის წესები მტკიცე საძირკველზედ ფუძნდებოდა; მამა და დედა განსვენებულისა იყვნენ თავის დროის კვალად ცნობილნი პირნი და მასთანვე მაღალის სათნოებით აღზრდილნი. დედა ამათი ანნა ერთგული წევრი იყო ბორის კათოლიკეთ ძმობის „სავარდისისა“ და მამაც ასეთსავე ღვთის მოსავ პირათ ირიცხებოდა; სულ მათი მოძღვრება იყო და გავლენა, რომ ქონსტანტინე იაკობის ძე მომავალში ერთ წარჩინებულ და პატიოსან მოქალაქეთ გამოვიდა, ჭეშმარიტ ქრისტიანეთ, რასაც განსვენებულის ცხოვრებაც ამტკიცებს და ის აღმატებითი მაგალითებიც, რომ თვით განსვენებულის შვილებიც კი მამისაგან არჩეულს პატიოსანს გზას ადგანან და დღეს იგინიც უწარჩინებულეს სუფთა ქართველ მამულიშვილებად ირიცხებიან.

ზ. ჯ.

(დასასრული იქნება)

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფუნდამენტალური ბიბლიოთეკა
Фундаментальная библиотека Академии Наук Грузии